კვირის პალიტრა

N18 (3
3/V-9/V.
80 თეთრ

ჟურნალი ჟურნალში

39-ე გვერდიდან

ქეთა თოფურიას ქურდობა დააბრალეს — ვის უჩივის მომღერალი

დავით ზურაბიშვილმა ნანკა კალატოზიშვილი ოპოზიციაში ჩაითრია

„ნევროზი 51 თეთრად"

ანუ რას მოგვიტანს მთავრობის სამაისო საჩუქარი

„ხუთგზის მეძავი" მსახიობი ქალი კვლავაც „მეძაობისთვის" ემზადება

სტალინის მკვლელები

XX საუკუნის მთავარი საიდუმლო

გამოძიება „გზაში"

როგორ შევათავსოთ ცოლი და საყვარელი

საბა SABA

კანდელაკის ქ.65 0160 თბილისი, საქართველო. (+995 32) 38 44 54 www.saba.ge E.mail: sabaco@caucasus.net

ქვირის პალიტრა
ფეხი
№18 (360)
3 - 9 მაისი, 2007 წ.
ფასი 80 თეთრი

ფეხი ჟურნალი ჟურნალში
ვნილები

ცოლს ამიმ ეფერები, ეცოდე, ამიმ ხახიამოვნაზე იფიქრა.

მამაშვილობა

ულამაზესი ქალები

უკვე გაზრდილი, „საშინელი ბავშვის" არასასიამოვნო ხუმრობები

39-70

დათო გოგიჩაიშვილი თანამდებობიდან „გადადგა"...

თურმე დათო გოგიჩაიშვილი თანამდებობიდან გადადგა. იუმორისტულ შოუებს ჩამოშორდა, მაგრამ რა მიზეზით მოიქცა ასე და სად არის ამჟამად, – ეს გაურკვეველია...

8

ქართველი ბიჭები აფხაზურ ჯარში

„მინაისკაგელი" მარგო ნაღმის კი არა, ნებისმიერი ლითონის „დანახვაზე" სიგნალს აძლევდა, გყეში კი, სადაც ქართულ-აფხაზური მოვლენების დროს, ისე პარგიზანების იქ ყოფნისას არაერთი შეტაკება მომხდარა, ლითონს რა გამოლევდა?!"

28

■ მინიატურები
საპირველმაისო საჩუქარი მთავრობისგან ანუ „ნეკროზი 51 თეთრად" 5
■ ინფორმაცია 6
■ ფაქტი და კომენტარი
„რა გვეშველება, არ ვიცი – ყველაფერი ფასიანი გახდა..." 6
■ ჭორ-მართალი
დათო გოგიჩაიშვილი თანამდებობიდან „გადადგა"... 8
■ ცოდნის წყარო
„წიგნზე ლაპარაკი მომენატრა"... 10
■ პრობლემა
ჯავახელი სომხები, „ვირქის" მოსკოვური ლობი და ქართული ენის სწავლების ჩაგდებული პროგრამა 11
■ დაიჯესტი 12
■ ჟურნალისტის როლში
დავით ზურაბიშვილმა ნანკა კალატოზიშვილი ოპოზიციაში ჩაითრია 14
■ კრიმინალი
✓ ცოფიანი მაქსი სასამართლო პროცესზე თავს მესიად აცხადებდა 16
✓ მოზარდის გაუპატიურებისთვის განსასჯელს 5 წელი მიუსაჯეს 18
■ კაბინეტს მიღმა
როგორ გაძარცვეს ჟურნალისტებმა პარლამენტარი ალეკო შალამბერიძე 19
■ ოჯახი
ვარდისფერი ლენტით შეკრული სია და ნიტას გრაფიკით ცხოვრება 20
■ ტრადიციები
ერთმეტრიანი არყის ბოთლი, მილიონ დოლარად დაზღვეული ცხვირი... 22
■ საპატარძლო
სიყვარულში გამოუცდელი ანანო ზრდილობიან და ყურადღებიან საქმროს ელის 25
■ შეამონმეთ თქვენი ცოდნა
ტესტი ერუდიციაზე 26
■ ნამდვილი ამბავი
მოტაცება რაჭულად 27
■ ანტიდეპრესანტი 28

„...ქველი ბიჭები" არასდროს მხიბლავდნენ"

„მოკლედ, არ გვინდოდა გაკვეთილზე დასწრება... კლასში გოგონები უფრო ჩამოყალიბებულები ვიყავით, ვიდრე ბიჭები. ისინი განმორჩილებიც იყვნენ და თან, ვერც ვერაფერს წყვეტდნენ".

75

■ კონფლიქტის ზონა
ქართველი ბიჭები აფხაზურ ჯარში 28
■ დიზაინერი
რატომ სჯობია მამაკაცი დიზაინერი ქალს 30
■ საკითხავი ქალებისთვის
მენდელსონის მარშამდე არც ისე შორია 30
■ სახე
„ხუთგზის“ მეძავი, მსახიობი
ქალი კვლავაც „მეძაობისთვის“ ემზადება... 32
■ ჯანმრთელობა
✓ პირველი დახმარება კომური
მდგომარეობის დროს 34
✓ იდეალური წონა 35
■ ფავორიტები
ლეო მესი — დონ დიეგოს
ღირსეული მემკვიდრე?! 36
■ ასპარეზი
უბრალო ბიჭის ახდენილი ოცნება 37
■ ქურნალი ქურნალში
გზავნილები 39-70
■ რომანი
ზაზა ვაჩნაძე. გველის ქერქში (გაგრძელება) 71
■ თინეიჯერული პონტები
„...ძველი ბიჭები“ არასდროს მხიბლავდნენ“ 75
■ ტაიმ-აუტი 78
■ ერთი მინის შვილები
პლატონ წურწუმიას ერთი თვე! 80
■ წმინდანები
ერთი მონეტა რაა, ისიც კი არ მოუკლია... 82
■ LOVE STORY
ამედეო მოდილიანი: ვარდნა მარადისობაში 84
■ ვარსკვლავები
✓ ჰოლივუდში ფორესტ უითაკერის
სახელობის ვარსკვლავი გაიხსნა 86
✓ ხულიო იგლესიასი თაყვანისმცემლებს კარგავს 87
✓ მილა იოვოვიჩი ორსულადაა 88
■ გამოძიება
სტალინის მკვლელები. XX საუკუნის
მთავარი სიადუმლო (გაგრძელება) 89
■ შოუბიზნესი
სპილოს ახალი ბენდი, ფიუქენის
მოყვარულთა „მობილიზაცია“ და ტელეშოუ
— „ცხოვრება მშვენიერია!“ 92
■ ბომონდური მოზაიკა 94
■ აფ(ი)ორიზმები
გზაში საკითხავი 96
■ კრიმინალური ნოველა
გლენ ენდრიუსი
მემკვიდრეობით ბოროტმოქმედი ქალი 97
■ ემიგრანტები
„ჩვენი რუსი კოლეგები ხუმრობენ
— ინსტიტუტში პატარა საქართველოაო“ 100
■ ავტო 102
■ სპანეორდი 103
■ ტესტი 104
■ პორნოსკოპი 105
■ კალეიდოსკოპი 106

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@kvirispalitra.com

ერთმეტრიანი არყის ბოთლი

„დილაობით თავი არ სტკივა მას, ვინც ცოტა კი არ დალია, არამედ მას, ვინც სწორად დალია. დიდი რაოდენობით ალკოჰოლის მიღების დროს, ორგანიზმში ტოქსინები გროვდება, რაც იწვევს „პახმელიას“.

22

ერთი მონეტა რაა, ისიც კი არ მოუკლია ...



თვითმფრინავი თბილისის აეროდრომზე 11 აპრილს დაეშვა. ექვთიმე თაყაიშვილმა ფეხი დადგა თუ არა ქართულ მიწაზე, ზეცას ახედა, მადლობა შესწირა უფალს, მერე დაიხარა, მარჯვენა ხელით მიწა აიღო და ეამბორა.

82

უბრალო ბიჭის ახდენილი ოცნება

„მინდორზე ნამდვილი აგრესორი ვარ და არც საკუთარ თავს ვინდობ და არც მეგოქეს. მოედანზე ხისგან ვთამაშობ და ყოველთვის ბოლომდე ვიხარჯები. თუმცა ასე მხოლოდ მაგჩის დროს ვიქცევი და ცხოვრებაში სულ სხვანაირი გახლავართ“.

37

გველის ქერქში

ველური წაბლის ხეივანი

— ბაა, რას აკეთებ? სადა ხაარ? — „გატყლარჭა“ სიტყვები ირაკლიმ, რაღაც „წასვეტების“ პონტში.

— რას უნდა ვაკეთებდე, სახლში ვარ, ტახტზე წამოგორებული და ჭერზე ბუზებს ვითვლი!

— მერეე, „პრასვეტი“ არ არის არსაიდაან? — ისევ ისე გააგრძელა ირაკლიმ.

— რა „პრასვეტი“ უნდა იყოს ამ დამპალ ქვეყანაში?! „პრასვეტი“ კი არა, ისეთი წყვდიადია გარშემო, თვალთან თითს ვერ მიიგან...

71

საპრეზიდენტო საჩუქარი მთავრობისგან

ანუ „ნევროზი 51 თეთრად"

ტარიფი, მე თუ მკითხავთ, დენის იქნება, წყლის თუ გაზის, ბავშვივითაა: დღითი დღე, თვალსა და ხელს შუა იზრდება, ნერვებს გვიშლის, მაგრამ უმისობა მაინც არ შეგვიძლია. მოკლედ, ტარიფი ცელქი კი უნდა იყოს, მაგრამ უზრდელი — არა. თუმცა „მშობლებსაც" გააჩნია. მაგალითად, ჩვენი მთავრობა და ენერგომამები ისე ზრუნავენ ამ ტარიფების გაზრდაზე, რომ გაზის ფასმა ერთ კუბურ მეტრზე უკვე 51 თეთრს მიაღწია, რასაც „გულწრფელად გილოცავთ". პრინციპში, ბრჭყალების გარეშეც შეიძლებოდა მართლა გულწრფელად მოლოცვა, რადგან გაზის ფასი, დამიჯერეთ, კიდევ არაერთხელ გაიზრდება და მაშინ ეს 51 თეთრი მართლა მოსალოცი გახდება.

მოკლედ, სანამ საცხოვრებელი ფართის მოსაკრებელზე დავა და კამათი გაიწელა, არ დაახანა ხელისუფლებამ და საპირველმაისო საჩუქარი გაგვიკეთა. მაისი კი მოგეხსენებათ, ვარდობისთვეა ანუ საქართველოში მილიონი ვარდი იშლება და ნეტავ, არ ეშინიათ?! ერთი რიტორიკული შეკითხვა: იმ ისტორიულ 23 ნოემბერს რომ ეთქვა „მამაჩვენს", გამოდით, ხალხო, გადამაყენებინეთ ეს მთავრობა და მე ვიცი თქვენი პატივისცემა, ყველაფრის გადასახადს გავზრდიო, ნეტავ, რამდენი კაცი მივიდოდა?!

მივედით, ბატონო და არც ვნანობთ. ისიც გვესმის, რომ გადასახადები უნდა გადავიხადოთ, მაგრამ ეს „51" მიშლის ნერვებს ან 55 გამოსულიყო, ან — 50. ეს ერთი თეთრია სწორედ, ნევროზს რომ აჰკიდებს კაცს და მისი მკურნალობა ათიათასობით 1 თეთრი რომ დაუჯდება. ან კი, რა გახდა ასეთი ეს ბუნებრივი გაზი, სულ რომ ძვირდება?! ბოლო-ბოლო, საკონცენტრაციო ბანაკში, 1944 წელს ჰქონდა ბაბუაჩემს გაზი უფასოდ და მე რა დავაშავე?!

ხან „თბილგაზი" გვაძლევდა ამ ბუნებრივ აირს, ხან — „საქტრანსგაზი", ხან — „გაზპრომი" და ხან — ვინ. ახლა, არიქა, ყაზახები არიან ჩვენი მშველელებიო და იმათ ჩავაბარეთ ჩვენი ბედი და აი, შედეგიც: საჭმლის გაკეთება უფრო ძვირი გიჯდება, ვიდრე მისი ყიდვა. სულ არ გვინდა, ბატონო, ზაფხული მოდის და ისე დაცხება, რომ ერბოკვერცხი პირდაპირ ასფალტზე შეიწვება და სხვას მაინც ვერაფერს ვყიდულობთ.

ისიც გავიგე — ჩინელების ექსპანსიის ისე ეშინიათ, რომ მათთვის ქმნიან ცუდ პირობებს, საქართველო რომ დატოვონ და უკან გაბრუნდნენო... ჩინელებს რად უნდათ გაზი, ცოცხალ ხვლიკს გაახვევენ პალმის ფოთოლში და მშვენიერი „ჰოთ-დოგი" გამოსდით. ისევ ჩვენ ვიკითხოთ. ამიტომ საერთოდ არ მოვიხმაროთ გაზი, გაკოტრდება ის კომპანიაც და აღარ მოგვცემს გაზს. ჩვენც დავისვენებთ და ისინიც. მერე მემატიანე დუმბაძის „ძაღლის" მსგავსად დაწერს: „ის დილაც ჩვეულებრივ გათენდა თბილისში: ძაღლმაც დაიყეფა, ავტობუსმაც დაასიგნალა, მემაწნემაც დაიყვირა, წყალმაც დაიფურთხუნა ონკანში, მოკლე ჩართვამაც დაიგუგუნა შტეფსელში, მაგრამ ქალაქს მაინც აკლდა რაღაც ძალიან ახლობელი, სუნიანი და ფეთქებადი... და მე მივხვდი, რომ ეს „რაღაც" გაზი იყო"...

მანამ კი უნდა შევეგუოთ ტარიფების გაზრდას, 51-თეთრიანი გაზიც უნდა გადავიხადოთ, 16-თეთრიანი დენიც, 2,40-ლარიანი წყალიც და 1,2-ლარიანი დასუფთავებაც; ამას მივუმატოთ ფართი, ტელეფონი, მზე, მეზობლის ღიმილი, მთავრობის დაპირება და კიდევ ბევრი სხვა. კიდევ კარგი, რომ ახლა ერთ ბანკში შეგიძლია ყველაფრის ერთად გადახდა. ამიტომ ინკასატორიც ერთი უნდა იყოს, აიღებს შენ მაგივრად ხელფასს და პირდაპირ შეიტანს იმ ბანკში. ამაში მაინც იგრძნოს კაცმა ევროპული დონის კომფორტი. ეს ცოტას ნიშნავს?!

ამიტომ ემოციურ განცხადებებს თავი დავანებოთ და ნუ გავკივით — ჩვენ მოვიყვანეთ და ჩვენვე გავუშვებთო! ვის აშინებ შენი „ქვითრების რევოლუციით"?! ან მართლა ჩემი და შენი მოყვანილი გგონია?! სამაგიეროდ, დედაბუნება ზრუნავს ჩვენს არსებობაზე: აგერ გლობალური დათბობის პროცესი დაწყებულია, ჰოდა, აწი ზამთარიც თბილი გვექნება და არც გაზი დაგვჭირდება. დადნება მთელი ჩრდილოყინულოვანი ოკეანე და წყალი პირდაპირ აივანზე შემოგვიგდებს საჭმელს. აირჩიე, სულო და გულო, რა გინდა: თევზი, პინგვინი, სელაპი თუ ლურჯი ვეშაპი...

P.S. გაზის ინკასატორი ეუბნება აბონენტს:

— თქვენ სამი კუბური მეტრი გაზი გაქვთ გახარჯული. გაზი გაძვირდა და 51 თეთრი ღირს. ამიტომ სამ კუბურ მეტრზე 1 ლარი და 53 თეთრი უნდა გადაიხადოთ. თუ 3 თეთრი არ გაქვთ, არა უშავს, 1 ლარი და 60 თეთრი გადაიხადეთ.

— კიდევ გაძვირდა, სანამ აქ ხარ, შვილო და 53 თეთრი გახდა?!

პროვოკატორი

მაღში კიდევ 5 ქართველი დაპატიმრეს

2 მაისს გალის ე.წ. მილიციამ კიდევ 5 ქართველი დააკავა და მათი სახლები დაარბია. სოფელ გაგიდაში დე ფაქტო ხელისუფლების სამართალდამცველებმა ლევტერ კვარაცხელია, ჯუმბერ ხასაია და ავთანდილ გერგედავა დააკავეს, ხოლო სოფელ ოტობაიაში — კინტუშა ბახტაძე და გოჩა გაბისონია. აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების გალის მიმართულების კოორდინატორის თორნიკე კილანავას თქმით, აფხაზმა მილიციელებმა აღნიშნულ სოფლებში რეიდი ჩაატარეს, რომლის მიზეზადაც ქართველებისგან იარაღის ამოღება დაასახელეს. არც ერთ დაკავებულს იარაღი არ ჰქონია, მაგრამ ისინი სცემეს და საცხოვრებელი სახლები დაურბიეს. ■

ასლან აბაშიძის თხები მაიყიდა

როგორ ცნობილია, აჭარის ავტონომიის ყოფილ ლიდერს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ კახაბერში ზაანური თხების ჯიშსაშენი ჰქონდა, რომელიც რამდენიმე დღის წინ 10.000 ლარად გაიყიდა და მისი 100-პროცენტიანი წილი მართვის უფლებით, 25 წლით, შპს „კახაბერ-2005“-ს გადაეცა. საკონკურსო პირობების მიხედვით, ახალმა მფლობელმა ფერმის პროფილი უნდა შეინარჩუნოს, ასევე განავითაროს მეძროხეობა და რძის წარმოება; 2 წლის განმავლობაში მანვე 500.000 ლარის ინვესტიცია უნდა განახორციელოს. ფერმაში 28 სული თხაა, მათ შორის 27 — მეწველია. ■

12 წლის ბავშვები დანაშაულისთვის პასუხს აგებენ

პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ ბიუროს სხდომაზე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის 12 წლამდე შემცირების გადაწყვეტილებაზე დადებითი პოზიცია დააფიქსირა. როგორც ქალბატონმა ნინომ განაცხადა, ამ საკითხთან დაკავშირებით სერიოზული დებატები მიმდინარეობდა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება იოლი არ ყოფილა. ამასთანავე, ქალბატონმა ნინომ სასჯელაღსრულების ადგილებში არასრულწლოვნების ნორმალურ პირობებში ყოფნის აუცილებლობას გაუსვა ხაზი. პარლამენტი მომავალ სასესიო კვირას უკვე მესამე მოსმენით განიხილავს „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე პროექტს“, რომელიც ზოგიერთი კატეგორიის დანაშაულისთვის პასუხისმგებლობის მინიმალური ზღვრის 14-დან 12 წლამდე შემცირებას ითვალისწინებს. ■

კვირის ყველაზე აქტუალური მოვლენა ალბათ გაზის გაძვირებაა. ყოველ შემთხვევაში, ჩემი რესპონდენტების უმრავლესობას ყველაზე მეტად სწორედ ეს საკითხი აღელვებს. მათ შორის, როგორც ოპოზიციის წარმომადგენლები, ასევე უმრავლესობის წევრები არიან. თავდაპირველად, პარლამენტის წევრებსა და ოპოზიციის წარმომადგენლებს, მოგვიანებით კი, ქუჩაში შემხვედრ ხალხს ვკითხე — განვლილ კვირას რომელმა მოვლენამ აღგაშფოთათ და რომელმა გაგახარათ?

„რა გვეშველება, არ ვიცი — ყველაფერი ფასიანი გახდა...“

ხელისუფლება

რატი სამყურაშვილი:

— ამ კვირაში ყველაზე უსიამოვნო ფაქტი გაზის გაძვირებაა. ეს არც საზოგადოებას და არც ხელისუფლებას არ სიამოვნებს. რადგან სახელმწიფომ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო და ამ ნაბიჯზე წავიდა, ე.ი. სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. ყველამ კარგად იცის, რომ გაზს ისეთი სახელმწიფო გვაწვდის, რომელიც ჩვენ მიმართ არცთუ ისე კარგად არის განწყობილი. იმის თქმა, რომ ეს დემაგოგიაა და ხელისუფლებას ეს ფული „შინ მიაქვს“, — სისულელეა... კიდევ არ მომწონს ჩვენს ქვეყანაში მომრავლებული დანაშაული. ყოველდღე ვიღაცას კლავენ ან ჭრიან. ეს მართლა აღმაშფოთებელი ფაქტია, მაგრამ დამნაშავეების დამცველებად ოპოზიციის წარმომადგენლები რომ გვევლინებიან, ძალზე ცუდია. გასული კვირის ისეთი მოვლენა, რომელმაც გამახარა, რატომღაც არ მახსენდება...

ოპოზიცია

კობა დავითაშვილი:

— ყველაფრის გაძვირება და კომუნალური მრიცხველების შემოღება არის ყველაზე ცუდი ფაქტი. კიდევ იმდენი ცუდი რამ ხდება ჩვენს ქვეყანაში, ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. რაც შეეხება ქვეყანაში მომხდარ კარგ ამბავს: „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?!“

საზოგადოება

ჯუმბერ სიხარულიძე, *ვეტერანი, 70 წლის:*

— კარგი ჩვენს ქვეყანაში არც არაფერი ხდება, შვილო.

ახლა პარლამენტის წინ გამართულ მიტინგზე მივდივარ. ყველაფერი გაგვიძვირეს. პირველი მაისიდან გაზიც გაძვირდა, პენსიონერებს კი ყველანაირი შეღავათი მოგვიხსნეს. ამბობენ, ტრანსპორტიც გაძვირდებაო. მე, მოხუცს ასე რომ გამიმწარეს სიცოცხლე, წარმოიდგინე, ახალგაზრდებს რას უშვრებიან. სახელმწიფო ასეთ მდგომარეობაშია და რა უნდა მოხდეს კარგი?

მანანა ძავთარაძე, *პედაგოგი, 46 წლის:*

— გასულ ნომერში თქვენს ჟურნალში თათია ხაბურძანიას ინტერვიუ წავიკითხე. საშინლად არ მომეწონა ეგ პიროვნება. როგორ შეიძლება, ახალგაზრდა გოგონა ასე აზროვნებდეს?! რა სამწუხაროა, რომ ის მხოლოდ ისეთ ყოფით რაღაცებს აქცევს ყურადღებას, როგორიც ხინკლის ჭამაა. ის კი არ იცის, რომ ჩვენდა საბედნიეროდ, მისნაირების გარდა, საქართველოში ძალიან კარგი, განათლებული და კულტურული ახალგაზრდებიც არსებობენ, რომლებისთვისაც ინტელექტი პირველ ადგილას დგას და საზოგადოებისთვის რომ ცნობადი სახეები იყვნენ, მათთვის არაფერს ნიშნავს. საკუთარ საქმეს ჩუმად აკეთებენ... ყველაზე საუკეთესო ფაქტი ამ კვირაში ის იყო, რომ 29 აპრილს წმინდა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ეკლესიამ წმინდა სამების ტაძარს ხატი შესწირა, რომელიც ხალხმა სამებამდე ხელით ააბრძანა. ძალიან მომეწონა, ამხელა მანძილზე რამდენიმე პატრულის მანქანა ამ ხალხის გარშემო რომ ტრიალებდა და მათ მსვლელობას იცავდა.

დურუ დვალიშვილი, *მიკროსესხების ექსპერტი, 22 წლის:*

— არ მომწონს, გაზი რომ გაგვიძვირეს. რა გვეშველება, არ ვიცი — ყველაფერი ფასიანი გახდა... კვირის საუკეთესო მოვლენა კი ის არის, რომ გურამიშვილზე, როგორც იქნა, ახალი გზის დაგება დაიწყეს. მუხიანში ვცხოვრობ და დღეში ორჯერ მიწევს ამ გზის გავლა. დატანჯული ვიყავი. სახლიდან ერთი საათით ადრე მაინც გამოვდიოდი, რომ სამსახურში არ დამეგვიანა. იმ გზის გავლას სამარშრუტო ტაქსი საკმაო დროს ანდომებს. სულ მალე კი, ეს პრობლემა აღარ მექნება...

თიკა კახიძე, *ინგლისური ენის სპეციალისტი, 25 წლის:*

— ახალგაზრდა ბიჭი, გიორგი აფციაური რომ დაჭრეს მოზარდებმა, ამ ფაქტმა ძალზე აღმაშფოთა. როგორ ჩანს, საქართველოში მკვლელობასა და სხვა დანაშაულებს არათუ ბოლო მოეღება, არამედ არც კი შემცირდება. რას აკეთებს ჩვენი პოლიცია, ძალიან მაინტერესებს!.. 30 აპრილს რუსთაველის თეატრში ავთო ვარსიმაშვილის სპექტაკლი — „ოსტატი და მარგარიტა“ ვნახე და ძალზე ვისიამოვნე. ეს ჩემი საყვარელი ნაწარმოებია და სპექტაკლიც ძალიან მომეწონა. ჯერ ისევ შთაბეჭდილებების ქვეშ ვარ.

ლუკა ცხადაძე, *15 წლის:*

— მიხარია, აფხაზეთში პატრიოტული ბანაკი რომ შენდება. ძალიან დიდი სურვილი მაქვს, რომ ამ ბანაკში მოვხვდე... ■

საქართველოში ყველის ფესტივალი ჩატარდა

პირველ მაისს საქართველოში პირველად ყველის ფესტივალი ჩატარდა. ყველის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება ახმეტის რაიონის გამგეობის შენობასთან გაიმართა, სადაც ყველის სხვადასხვა სახეობის გამოფენა და დაგემოვნება მოხდა. ზეიმზე მოეწყო მეწველი ძროხების გამოფენაც, ასევე — ყველის დასამზადებელი მანქანა-დანადგარებისა და საქონლის საკვების გამოფენა-გაყიდვა. საზეიმო ღონისძიებაზე მისულ სტუმრებს ახმეტელები ღვინით გაუმასპინძლდნენ, მიართვეს მწვადი და თონეში გამომცხვარი შოთის პური. ყველის ფესტივალი ტრადიციულმა ხალხურმა სიმღერებმა და ცეკვებმა დაამშვენა. გაიმართა შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. ■

სვანური სამანძურის ამსახველი გამოფენა

„თი ბი სი ბანკის“ საგამოფენო დარბაზში 1-ელ მაისს როლფ შრადეს ფოტოგამოფენა გაიხსნა. ექსპოზიციაზე წარმოდგენილია სვანეთში აღმოჩენილი უნიკალური ფრესკებისა და ხატების 100-ზე მეტი ფოტო, რომელიც ფონდი „ჰორიზონტის“ რესტავრაციის პროგრამის ფარგლებშია მომზადებული. ეს ფონდი საქართველოში 1997 წლიდან საქმიანობს და მისი ერთ-ერთი პირველი პროექტი სვანეთში დაცული, შუა საუკუნეების ხელოვნებისა და კულტურის ნიმუშების გადარჩენას მიეძღვნა. პროგრამას ახორციელებდნენ წამყვანი ქართველი მკვლევრები და არქეოლოგები, რომლებსაც გერმანელი პროფესორი როლფ შრადე ხელმძღვანელობდა. ექსპოზიციაზე გამოფენილია კედლის ფრესკული მხატვრობის, ჭედური ხელოვნებისა თუ ხატწერის უნიკალური ქართული ნიმუშები — როგორი იყო ისინი რესტავრაციამდე და მას შემდეგ. გამოფენის გახსნას შვილებთან და მშობლებთან ერთად საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსი დაესწრო. როგორც მან აღნიშნა, სვანეთი ერთ-ერთი ყველაზე უნიკალური კუთხეა საქართველოში, რომელიც „ქართული კულტურის ნამდვილ შედევრებს და მარგალიტებს ინახავს“ და მათ განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება. პირველ დღესვე ექსპოზიციას უამრავი ქართველი და უცხოელი, მათ შორის ხელოვნებათმცოდნეები და მეცნიერები გაეცნენ. გახსნისას დარბაზში ანსამბლი „რუსთავი“ იმყოფებოდა, რომელმაც დამსწრე საზოგადოების სმენა სვანური ხალხური სიმღერებით დაატკბო. ■

დათო გოგიჩაიშვილი თანამდებობიდან „გადადგა“...

ნათია ქივიძე

დათო გოგიჩაიშვილი თანამდებობიდან გადადგა. იუმორისტულ შოუებს ჩამოშორდა, მაგრამ რა მიზეზით მოიქცა ასე და სად არის ამჟამად, — ეს გაურკვეველია

ყველა ასაკის მაყურებლისთვის საინტერესო და საყვარელი გადაცემებია იუმორისტული შოუები: „შაბათის შოუ“ და „ღამის შოუ“... მიმდინარე სატელევიზიო სეზონში დიდი გამოხმაურება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ „რუსთავი 2“-ის იუმორისტული შოუების ხელმძღვანელი დათო გოგიჩაიშვილი გადაცემის წამყვანის „თანამდებობიდან“ საკუთარი ნებით გადადგა და სავარძელი ვანო ჯავახიშვილს დაუთმო. ზოგს მოსწონდა მისი შემცვლელი, ზოგს კი დათოს

დათოს „რუსთავი 2“-ის დირექტორთან, კობა დავარაშვილთან უთანხმოება მოუვიდა და თავის გუნდთან ერთად „მზეში“ გადასვლას აპირებს

„ამერიკული“ ხუმრობა ერჩია ვანოს — „თემქისას“... მაშინვე ბევრი ჭორი გავრცელდა ამის გარშემო. ზოგი ამბობდა, დათო უფრო მაღალ თანამდებობას უმიზნებს, ისეთს, როგორიცაა ვთქვათ, ტელეკომპანია „მზის“ ხელმძღვანელობაო; ზოგი ფიქრობდა, რომ დაიღალა, თან ამდენი ხალხის ხელმძღვანელია, გადაცემების პროდიუსინგი მას აბარიაო... სულ რაღაც ერთი თვის წინ ისიც ითქვა — დათოს „რუსთავი 2“-ის დირექტორთან, კობა დავარაშვილთან უთანხმოება მოუვიდა და თავის გუნდთან ერთად „მზეში“ გადასვლას აპირებსო, — მაგრამ მაშინ არც ერთმა მხარემ არ დაადასტურა ეს ინფორმაცია. თუმცა ჭორი უსაფუძვლოდ თითქმის არასოდეს გორდება...

ჩემი პროფესიის წყალობით უამრავ ადამიანს ვიცნობ, მათ შორის, „რუსთავი 2“-ის თანამშრომლებსაც და მათ გარეშეოცვაშიც ბევრი ახლობელი მყავს. რამდენიმე დღის წინ, ერთ-ერთი მათგანი შემხვდა და რომ მოვიკითხე, მითხრა — შენ არ იცი, რა ხდება „რუსთავი 2“-შიო... დაწვრილებით გამოვკითხე ყველაფერი და შევიტყვე: თურმე დათო გოგიჩაიშვილი თანამდებობიდან გადადგა. იუმორისტულ შოუებს ჩამოშორდა, მაგრამ რა მიზეზით მოიქცა ასე და სად არის ამჟამად, — ეს გაურკვეველია. მის „მემკვიდრედ“ კი ალეკო მალხაზიშვილი დაუნიშნავთ. პროდიუსინგის ჯგუფიც ცალკე გამოყოფილა და ამ ჯგუფში, საზოგადოებრივ მაუწყებელში დათოს ამბიციებს რომ გაექცა, სწორედ ის ბაკურ სვანიძე დაუბრუნებიათ. ჩემმა მეგობარ-„ინფორმატორმა“ ისიც მითხრა — მაგ გუნდიდან ვისაც არ უნდა დაურეკო, ამ საკითხზე ხმას მაინც არავინ ამოიღებს, სასტიკად აქვთ აკრძალულიო.

მიუხედავად გაფრთხილებისა, ინფორმაციის გადამოწმება მაინც ვცადე. თავდაპირველად, საზოგადოებრივი მაუწყებლის“ პრესსამსახურში დავრეკე და ვიკითხე — ბაკურ სვანიძე მართლა წავიდა კომპანიიდან თუ არა-მეთქი? ინფორმაცია დამიდასტურეს, მაგრამ მისი წასვლის მიზეზებსა და ამჟამინდელ სამუშაო ადგილზე არაფერი მითხრეს: ამ საკითხზე კომენტარს ჩვენთან ვერავინ გააკეთებსო, — მიპასუხა პრესსამსახურის თანამშრომელმა და სასწრაფოდ დამემშვიდობა. „რუსთავი 2“-იდან კომენტარის მიღებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. თუმცა მის მესვეურებთან დაკავშირება მაინც ვცადე. თავდაპირველად, დათო გოგიჩაიშვილს დავურეკე, მაგრამ „გამარჯობის“ შემდეგ მითხრა — საქმიან შეხვედრაზე ვიმყოფები და შენთან სალაპარაკოდ არ მცალიაო. მოგვიანებით ისევ შევეხმიანე და დაახლოებით ისეთივე პასუხი გამცა, თან ისე, რომ შეკითხვის დასმაც არ მაცალა. ვიფიქრე, ახლა ეს ახალი, უკეთესი თანამდებობისთვის ზრუნავს და ხელს ხომ არ შევუშლი-მეთქი, — და ალეკო მალხაზიშვილს დავურეკე: მეგობარია და სხვა თუ არაფერი, მისთვის დაწინაურება ხომ უნდა მიმელოცა:

დათო გოგიჩაიშვილი „თანამდებობიდან“ საკუთარი ნებით გადადგა და სავარძელი ვანო ჯავახიშვილს დაუთმო

— ალეკო, ინტერვიუს ჩაწერა მინდა შენთან და როდის შევხვდეთ?

— იცი, მეორე შვილი შემეძინა და ისეთ გადარბენაზე ვარ, მართლა არ მცალია ინტერვიუსთვის (მახსოვს, ალეკოს პირველი ქალიშვილი, ლიზი რომ შეეძინა, რამდენიმე დღის მერე უპრობლემოდ დამთანხმდა ინტერვიუზე...)

— გილოცავ, ღმერთმა ჯანმრთელი და ბედნიერი გაგიზარდოს! როდის დაიბადა?

— 20 აპრილს. 3,200 კგ დაიბადა, 49 სანტიმეტრი. ძალიან კარგი ტიპია, სალომე დავარქვით.

— ვის ჰგავს?

— ბავშვს...

— შენთვის კიდევ ერთი ამბავი მაქვს მოსალოცი: ახალ თანამდებობას გილოცავ!

— რა თანამდებობას?

— გავიგე, დათო გოგიჩაიშვილის ადგილზე დაუნიშნიხარ.

— მაგაზე კომენტარის გაკეთება ჯერ ადრეა. არ არის ეგ ინფორმაცია მართალი...

ალეკოს ხასიათის მომენტალურად შეცვლა მის ნათქვამს არ ადასტურებდა. მოკლედ, ვის და რატომ სჭირდება ამ ინფორმაციის დამალვა, ჯერ გაურკვეველია, მაგრამ ალბათ ძალიან მალე თავად განაცხადებენ ამის შესახებ და იმედია, იუმორისტული გუნდი ახალი ხელმძღვანელობით უფრო მეტ და განახლებულ პროდუქციას შემოგვთავაზებს.

■

სოციალურად დაუცველთა საქველმოქმედო დაზღვევის პროგრამას „ჯი-პი-აი“ ჰოლდინგი ახორციელებს

ბოლო რამდენიმე წელია, საქართველოში სადაზღვევო კომპანიებთან თანამშრომლობა ძალიან მოდური გახდა, თუ თქვენ თქვენი ქონება როგორც უძრავი, ასევე მოძრავი, დაზღვეული გაქვთ, შეგიძლიათ ნებისმიერ სიტუაციაში, მშვიდად იყოთ.

სადაზღვევო კომპიანია „ჯი-პი-აი“ ჰოლდინგი 2001 წელს შეიქმნა, 2006 წელს კი მოზიდული პრემიებითა და ანაზღაურებებით, სადაზღვევო კომპანიებს შორის პირველ ადგილზე გავიდა. სხვა კომპანიებთან შედარებით, ის ყველაზე აქტიურად საცალო ბაზარზე, ისეთ პროდუქტებზე მუშაობს, რომლებიც ჩვეულებრივი ადამიანებისთვის იოლად ხელმისაწვდომია. დღესდღეობით, საზოგადოების დიდ ნაწილს, სადაზღვევო კომპანიის მომსახურება ძალიან ძვირი ფუფუნება ჰგონია. ამ მხრივ, კომპანია „ჯი-პი-აი“ ჰოლდინგი, საკუთარ მომხმარებელს გამარტივებულ და ხელმისაწვდომ ფასებს სთავაზობს. „ჯი-პი-აი“ ჰოლდინგში თქვენ, მრავალმხრივი დაზღვევა შეგიძლიათ. თუ თქვენ გაქვთ მცირე ან საშუალო ბიზნესი და შესაბამისად, დაზღვეულიც ხართ, შეგიძლიათ მშვიდად იყოთ, გაქურდვის, დაყაჩაღების ან თუნდაც ხანძრის გაჩენის შემთხვევაში, თქვენ ზარალს კომპანია „ჯი-პი-აი“ ჰოლდინგი აგინაზღაურებთ. ეს ყველაფერი მომხმარებელს თვეში 15 ლარი უჯდება, რომლითაც საზოგადოების დიდი ნაწილი უკვე აქტიურად სარგებლობს. ბოლო ხანს, კიდევ უფრო აქტუალური ავტომობილების დაზღვევა გახდა. თუკი თქვენ ყოველთვე, თქვენი ავტომობილის დაზღვევისთვის 10 დოლარს გადაიხდით, ავტომობილი შეგიძლიათ, სადგომზე ან სუპერმარკეტის წინ მშვიდად დატოვოთ. გახსოვდეთ, რომ ამ სიმშვიდის გარანტი „ჯი-პი-აი“ ჰოლდინგია. თუკი ახალგარემონტებულ ბინაში მეზობელმა წყალი ჩამოგიშვათ ან წყლის გაყვანილობის სისტემა და ელექტროტექნიკა გაგიფუჭდათ, თუ თქვენ დაზღვეული ხართ — ანუ კომპანია „ჯი-პი-აი“ ჰოლდინგს ყოველთვე 8 ლარს უხდით, მსგავს პრობლემებს საკუთარი ხარჯებით, თანაც ოპერატიულად მოგიგვარებთ. „ჯი-პი-აი“ ჰოლდინგი საკუთარი მომხმარებლისთვის დღეში დაახლოებით 15.000 ლარს გასცემს. შარშან კი მხოლოდ ჯანმრთელობის დაზღვევაში, საკუთარი მომხმარებლისთვის 6 მილიონი გადაიხადა. სადაზღვევო კომპანიას, თქვენი სიცოცხლის დაზღვევაც კი შეუძლია. კომპანია „ჯი-პი-აი“ ჰოლდინგი A კლასის რეიტინგის მქონე, ევროპის ერთ-ერთი უმსხვილესი ვენის სადაზღვევო ჯგუფის აქციონერია. ამ ჯგუფის წლიური შემოსავალი 6 მილიარდი ევროა. „ჯი-პი-აი“ ჰოლდინგს ყველაზე დიდი სააგენტო ქსელი აქვს, რითიც კომპანიის მომსახურება მომხმარებლისთვის კიდევ უფრო ხელმისაწვდომია. თუკი თქვენ კომპანიაში მისვლას და დაზღვევას ვერ ახერხებთ, კომპანიის აგენტი სახლში მოგაკითხავთ და შესაბამის მომსახურებას გაგიწევთ.

შარშან, ქალაქ თბილისის მერიამ, სადაზღვევო კომპანიებს შორის ტენდერი გამოაცხადა. ტენდერში გამარჯვებული კომპანია სოციალურად დაუცველთა სამედიცინო დაზღვევას უზრუნველყოფდა. გამარჯვებული, კომპანია „ჯი-პი-აი“ ჰოლდინგი გახდა. კომპანიამ სულ 77000 ადამიანის ჯანმრთელობის ხარჯები აანაზღაურა. ამ პროგრამას, ადრე სახელმწიფო ახორციელებდა. საქართველოში ეს პირველი პრეცედენტია, როცა ამგვარი მომსახურება კერძო კომპანიას გადაეცა. პროექტმა სრული წარმატებით ჩაიარა. ქალაქის ყველა რაიონში სერვისცენტრი იყო გახსნილი, სადაც სოციალურად დაუცველი ადამიანები, ე.წ. ოჯახის ექიმისგან კონსულტაციებს და რჩევებს იღებდნენ; ამისთვის მათ რიგში დგომა და ლოდინი აღარ უწევდათ. მათ კი, ვისაც სახლიდან გამოსვლა არ შეეძლო, მიდიოდნენ და კონსულტაციებს ბინაზე უტარებდნენ. ეს პროგრამა მთელი წლის განმავლობაში ხორციელდებოდა. წელს, თბილისს იმერეთის რეგიონიც დაემატა. სოციალურად დაუცველი ადამიანების დაზღვევის წლევანდელ პროგრამაში 200000 ადამიანი შედის. პროგრამის განხორციელება ჯერ არ დაწყებულა, ვარაუდობენ, რომ ეს ყველაფერი ივნისიდან დაიწყება.

„ჯი-პი-აი“ ჰოლდინგმა, მერის პროექტით დაზღვეული, სოციალურად დაუცველი ფენის კვლევითი ანალიზი ჩაატარა. კითხვაზე — „ჯი-პი-აი“ ჰოლდინგის მომსახურებამ, თქვენი მოლოდინი რამდენად გაამართლა? პასუხები შემდეგნაირად განაწილდა: გამოკითხულთა 49,9% მიიჩნევს, რომ მიღებულმა მომსახურებამ სრულიად გაამართლა. 43,5% მიიჩნევს, რომ მათი მოლოდინი ნაწილობრივ გამართლდა, ხოლო 6,5% აცხადებს, რომ ამ ყველაფერმა არ გაამართლა. გამოკითხვა, პროექტში მონაწილე 10 პოლიკლინიკაში ჩატარდა. რესპონდენტები რიგითობის პრინციპით შეირჩა. პოლიკლინიკაში, სადაზღვევო პოლისით მისული, ყოველი მესამე ადამიანი გამოიკითხა. გამოკითხვაში 1500 დაზღვეული მონაწილეობდა.

სულ ანაზღაურება სადაზღვევო ბიზნესიდან	77 000
ოჯახის ექიმის სერვისით იხარგებლა	17 000 დაზღვეული
ამბულატორიული მომსახურებაში დაფიქსირდა	100 000 სერვისი (მუმთხოვნელი ანაზღაურებულ)
სტაციონარული მომსახურების შემთხვევათა რაოდენობა	1 900
მედიკამენტები	240 000 რეცეპტი
პოლიკლინიკებში დაფიქსირდა	30 000 ბინადრობა
ყოველდღიურად ოჯახის ექიმები იღებენ	450 დაზღვეული
ყოველდღიურად მომსახურებას იღებენ	500 დაზღვეული

კარგი მწერლისა და წიგნის ფასი საქართველოში ყოველთვის იცოდნენ. ჩვენი სახელოვანი წინაპრები ბიბლიოთეკებს „ადამიანის სულის საგანძურს“ უწოდებდნენ, ხოლო მეფეები წიგნის გარეშე ბრძოლის ველზეც არ მიდიოდნენ. დღეს კი ხშირად გაიგონებთ გამოთქმას — „წიგნი კომპიუტერმა ჩაანაცვლა“ ან კიდევ — „ახალგაზრდობა წიგნს გაუუცხოვდა“. არის თუ არა ეს სიმართლე? მოხდა თუ არა ღირებულებების გადაფასება? XXI საუკუნეში მართლა ხომ არ იკარგება წიგნის (ეი. სიბრძნის) სიყვარული? ხომ არ წარმოადგენს მწერლისთვის პრობლემას დაწერილის მკითხველამდე მიტანა? ყველაზე მეტად რომელი ჟანრის ლიტერატურაზეა მოთხოვნილება? ამ კითხვებზე სასაუბროდ მწერალ ᲖᲐᲐᲚ ᲡᲐᲛᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲡ ვესტუმრეთ.

„ᲬᲘᲒᲜᲖᲔ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘ ᲛᲝᲛᲔᲜᲐᲭᲠᲐ...“

ᲗᲐᲛᲣᲜᲐ ᲙᲕᲘᲜᲘᲙᲐᲫᲔ

სანამ მასთან ინტერვიუს შემოგთავაზებდეთ, ერთ საინტერესო გარემოებაზე მინდა გავამახვილო მკითხველის ყურადღება: ბატონ ზაალთან ერთად, მის კოლეგასთან — ნუგზარ შატაიძესთან ამავე საკითხებზე საუბარი გვსურდა. როდესაც მათ დავუკავშირდი და ინტერვიუსთვის შეხვედრა ვთხოვე, თავდაპირველად თავაზიანი უარი მითხრეს, მაგრამ როგორც კი ჩვენი ახალი რუბრიკის თემა გავუმჟღავნე, გადაწყვეტილება უმალ შეცვალეს. ამჯერად ბატონმა ნუგზარმა, გადაუდებელი საქმის გამო, ჩვენი დიალოგის შემდგომისთვის გადადება მთხოვა, ხოლო ზაალ სამადაშვილმა საკუთარი საქციელი ასე ახსნა:

— დაგთანხმდით იმიტომ, რომ წიგნზე ლაპარაკი მომენატრა. ორი წელია, ბავშვების „მოვლით“ ვარ დაკავებული, მაგრამ ეს ჩემთვის მარად თანამდევი თემაა. ბავშვობიდანვე ჩემი ლიტერატურული გემოვნების ჩამოყალიბებაზე, ოჯახის წევრები ზრუნავდნენ. მათი სახით მყავდნენ მრჩევლები, რომლებიც მარიგებდნენ — როდის რა უნდა წამეკითხა. მართალია, მათ რჩევას ბოლომდე არ ვითვალისწინებდი, მაგრამ კითხვით მართლა ძალიან ბევრს ვკითხულობდი.

— ამბობენ, რომ დღევანდელი ახალგაზრდობა წიგნს დაშორდა. თქვენ უშუალოდ გიწევთ ურთიერთობა მოზარდებთან. ამ აზრს ეთანხმებით?

— ახალგაზრდას ოჯახშიც და სკოლაშიც წიგნზე უნდა ელაპარაკო, უნდა ურჩიო, რა წაიკითხოს. თუ არ შეაყვარე, თუ არ მოუყევი ოდესღაც წაკითხულ წიგნებზე, რომლებმაც შენზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვეს, თუ ნაწარმოების გმირები არ შეაყვარე და წიგნი ამ გრძნობით არ გადმოაღებინე თაროდან, ისე ბავშვი სიზმარში ხომ არ ნახავს, რა უნდა წაიკითხოს? ეს არის უფროსების მოვალეობა. ბავშვი უნდა იზრდებოდეს ისეთ გარემოში, სადაც ხედავს, რომ წიგნს კითხულობენ. როდესაც დღეს ახალგაზრდების მიმართ ამ ბრალდებას აყენებენ, რატომ არ ფიქრობენ იმაზე, ეს ვისი ბრალია? თითოეულმა ადამიანმა, როცა ამ თემაზე დაფიქრდება, სანამ ახალგაზრდებს გააკრიტიკებდეს, ჯერ საკუთარ თავს ჰკითხოს — მე რა გავაკეთე იმისთვის, რომ ეს ასე არ ყოფილიყო? ასევე ხშირად ისმის — წიგნი კომპიუტერმა ჩაანაცვლაო. კარგ წიგნს არათუ კომპიუტერი, არამედ ვერაფერი ჩაანაცვლებს. კონკურენტი კი ნამდვილად არსებობს — როგორც კომპიუტერი, ასევე ტელევიზია. მაგრამ ინტერნეტში შეიძლება ბევრი საინტერესო წიგნიც აღმოაჩინო, შემდეგ გამოიწერო და შეიძინო. ადრე სასურველი წიგნი მხოლოდ ლონდონის, პრაღის ან სხვა ქალაქების მაღაზიებში იყიდებოდა და მისი შეძენა იქ ჩაუსვლელად არ შეგეძლო, დღეს კი კომპიუტერული ტექნოლოგიის წყალობით ეს პრობლემა მოხსნილია.

— ბატონო ზაალ, იცვლება თუ არა მკითხველის გემოვნება? თუ იყო წინა წლებში გარკვეული ჟანრის ლიტერატურაზე მოთხოვნა და დღეს აღარ არის ან — პირიქით?

— დეტექტივზე ყოველთვის დიდი მოთხოვნილება იყო და ასეა დღესაც. სამწუხაროდ, ეს ჟანრი საქართველოში ძალზე სუსტად არის განვითარებული. იმ ადამიანებზე, რომლებიც დღეს ცდილობენ, შექმნან რაიმე ღირებული ამ ჟანრში, გულზე ხელს დავიდებ და გეტყვით, რომ მათ მცდელობას, წარმატებულს ვერ ვუწოდებ. თუ დეტექტივის წერას განიზრახავ, არტურ კონან დოილივით თუ არა, ჟორჟ სიმენონივით და აგათა კრისტივით უნდა წერდე. მდარე პროდუქცია, რომლის დასასრულს დასაწყისშივე ხვდება მკითხველი, დროს ვერ გაუძლებს.

— მიუხედავად ამისა, ეს წიგნები დიდი ტირაჟით გამოიცემა და ბაზარზე კარგად იყიდება. რატომ ხდება ასე? ღირებულებების გადაფასება ხომ არ მოხდა?

— ადამიანს, რომელსაც არა აქვს წაკითხული ჩემ მიერ ჩამოთვლილ მწერალთა ნაწარმოებები, არ იცის, ვინ არის კომისარი მეგრე, შერლოკ ჰოლმსი, — მოეწონება, აბა, რა იქნება?! ლიტერატურულ გემოვნებას კარგი წიგნების კითხვა აყალიბებს.

— კარგი წიგნი მაღალი ფასის გამო ყველასთვის არ არის ხელმისაწვდომი.

— გეთანხმებით. ამ ბოლო დროს ჩვენს ქალაქში მომრავლდა „წიგნის სახლები“, რაც ძალიან მახარებს. მკითხველს, რომელსაც არა აქვს წიგნის შეძენის საშუალება, შეუძლია იქვე ჩამოჯდეს და მისთვის საინტერესო ლიტერატურას გაეცნოს. ეს ძალიან კარგი ჩანაფიქრია.

— „მწერალს ხშირად ერთი მასწავლებელი ჰყავს და ეს მასწავლებელი — მკითხველია“. ნიკოლაი გოგოლის ამ ცნობილ გამონათქვამს თუ ეთანხმებით?

— რომ გითხრათ, არ ვეთანხმები-მეთქი, ჩემი მხრიდან კადნიერება იქნება... მიმაჩნია, რომ თითოეული ჩვენგანისთვის, რა პროფესიისაც არ უნდა ვიყოთ, მასწავლებელი არის ცხოვრება და ის საინტერესო ადამიანები, რომლებიც ცხოვრებაში გვხვდებიან. რაც უფრო მეტ საინტერესო პიროვნებას გადაეყრები, მით უფრო კარგია. ამ მხრივ საკუთარ თავს იღბლიან ადამიანს ვუწოდებ. ამჟამად ბავშვებთან მიწევს ურთიერთობა. ისინი ყველაზე გულწრფელები, მართლები და მგრძნობიარენი არიან. მათგან ძალიან ბევრ რამეს ვსწავლობ.

— შეიძლება, დაწერო კარგი ნაწარმოები, მაგრამ ვერ შეძლო მისი მკითხველამდე მიტანა, მეთანხმებით?

— კარგ მწერალს ეს პრობლემა არა აქვს. შეიძლება, ერთმა საგამომცემლო სახლმა უთხრას უარი, მაგრამ არსებობს მეორე, მესამე და ა.შ. დღეს გამოცემული წიგნებიდან (და ეს ყოველთვის ასე იყო) რაღაც ნაწილი დროს გაუძლებს, მათ მკითხველი შეიყვარებს, ნაწილი კი დავიწყებას მიეცემა. დრო და მკითხველი — ეს ორი რამ მწერლის სიძლიერის უტყუარი შემფასებელია. ■

ლიტერატურულ გემოვნებას კარგი წიგნების კითხვა აყალიბებს

ჯავახელი სომხები, „ვირქის“ მოსკოვური ლობი და ქართული ენის სწავლების ჩაგდებული პროგრამა

საქართველოს დედაქალაქში გამართული საპროტესტო აქციების ტალღას არც სამცხე-ჯავახეთის რაიონული ცენტრი, ახალქალაქი ჩამორჩება. თუმცა იქ მოთხოვნებიც განსხვავებულია და აქციის ინიციატორთა გათვლებიც. სომხურისთვის სახელწიფო ენის სტატუსის მინიჭება, რუსეთთან საავიზო რეჟიმის გაუქმება, ქართული ენის არმცოდნე სომხების მაღალ თანამდებობებზე დანიშვნა — ეს მოთხოვნები სომხური დიასპორის წარმომადგენლებმა ახალქალაქის ცენტრში გამართულ ერთ-ერთ საპროტესტო აქციაზე გააჟღერეს. რა მიზეზებით იყო განპირობებული ეს მოთხოვნები, ვინ არიან გახშირებული საპროტესტო აქციების ინიციატორები და რამდენად წარმოადგენენ ისინი საფრთხეს ქართული სახელმწიფოსთვის?

ხათუნა ბახტურიძე

ვან ბაიბურთი, *საქართველოს პარლამენტის წევრი:*

— ბატონო ვან, რამდენად მართებულად მიგაჩნიათ საპროტესტო აქციებზე გაჟღერებული მოთხოვნები?

— მინდა აღვნიშნო, რომ „ვირქისა“ და „ჯავახქის“ წევრები ხალხს ძალზე ვერაგულად ატყუებენ. ამჯერად საპროტესტო აქცია „ვირქის“ ინიციატივით მოეწყო, მისი წარმომადგენლები სოფლებში დადიოდნენ და მოსახლეობას ეუბნებოდნენ — რუსეთის ვიზების გაცემას საქართველოს ხელისუფლება აფერხებსო. „შაბაშნიკები“ (მშენებლები) რუსეთში ყოველ გაზაფხულზე მიდიოდნენ სეზონურ სამუშაოზე და კარგ ფულსაც შოულობდნენ. უკვე ერთი წელია, რუსეთი მათ ვიზას აღარ აძლევს და ცხოვრებაც ძალიან გაუჭირდათ. „ვირქმა“ ამ თემით სპეკულირება მოახდინა და ხალხი მიტინგზე გამოიტყუა, იქ მისულთ კი სხვა ლოზუნგებიც დაახვედრა. რაც შეეხება მეორე მოთხოვნას — სომხურის რეგიონულ ენად გამოცხადებას, — ახალქალაქში ადგილობრივი ხელისუფლების უმრავლესობამ ქართული არ იცის, შესაბამისად, გამგეობაში სხდომებიც სომხურ ენაზე მიმდინარეობს, მაგრამ ამის გამო, ხელისუფლებისაგან პრობლემები არ შეჰქმნიათ.

— რატომ არ სწავლობენ სომხები სახელმწიფო ენას?

— სურვილი აქვთ, მაგრამ ვერ სწავლობენ. ჩემი აზრით, რეგიონული ენის შემოღება საქართველოსთვის პრობლემა არ არის. ევროსაბჭოს ჩარჩო-კონვენციაში წერია, რომ სახელმწიფო ვალდებულია, შექნას შესაბამისი პირობები ეროვნული უმცირესობისთვის, მაგრამ ჩვენ ამ პუნქტის რატიფიცირება არ მოვახდინეთ და სწორადაც მოვიქეცით: ასე რომ მომხდარიყო, სომხების ქართველ საზოგადოებაში ინტეგრაცია წლობით გაიწელებოდა. ამერიკაში და სხვა ქვეყნებში მცხოვრები სომხური დიასპორა ყოველთვის გაკვირვებით აღნიშნავს, რომ საქართველოს მოქალაქე სომხები სახელმწიფო ენას ვერ ფლობენ.

— რატომ გახდა სომხებისათვის ქართული ენის სწავლა ასეთი პრობლემური?

— იმიტომ, რომ მათ არა აქვთ შესაბამისი წიგნები და არ ჰყავთ პროფესიონალი მასწავლებლები. სომხურ სკოლებში ქართულს ის ადამიანები ასწავლიან, რომლებმაც უმაღლესი განათლება თბილისში მიიღეს და ქართული სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგები არიან. სულ სხვა სპეციფიკაა არაქართულ სკოლაში ქართულის სწავლება. გარდა ამისა, ძალიან ცუდადაა შედგენილი სახელმძღვანელოები. წიგნი თავიდან ბოლომდე ქართულია და არც ლექსიკონი აქვს დართული. რა უნდა გაიგოს მასში ქართულის არმცოდნემ?

— ამ საკითხების შეთანხმება საქართველოს განათლების მინისტრთან არ გიცდიათ?

— ვცადე. განათლების სამინისტროს რამდენჯერმე მივმართე განცხადებით, მაგრამ გვითხრეს — ეს წიგნის შედგენის აპრობირებული მეთოდია და მსოფლიოში ამართლებსო. ჩემი აზრით, ჩვენთან არ ამართლებს ეს მეთოდი და იქნებ სხვა გვეცადა? ახალქალაქში მაინც მასობრივად სწავლობენ ქართულს, მაგრამ 40 წელს გადაცილებულ ადამიანს უკვე უძნელდება. პრობლემები მართლაც არსებობს, მაგრამ მათი მოგვარება შესაძლებელია და საპროტესტო და სამიტინგო აქ არაფერია, უბრალოდ „ვირქი“ სომხებსა და ქართველებს შორის ურთიერთობის გამწვავებას ცდილობს.

— რატომ?

— ალბათ მოგეხსენებათ, რომ ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ძალზე ხშირად დადის მოსკოვში, ზატულინის მოწყობილ პრესკონფერენციებზე. ზატულინი იმუქრება — ნახეთ, ჯავახეთში რა მოხდებაო!..

— ოფიციალური ერევნის პოზიცია როგორია?

— მკვეთრად უარყოფითი. ოფიციალური ერევანი ჯავახეთში გამართულ მიტინგებს გმობს. იქ იციან, რომ საქართველო სომხების მიმართ მკაცრ პოლიტიკას არ ატარებს. სომხურის მეორე სახელმწიფო ენად გამოცხადებას იქაც ალოგიკურად მიიჩნევენ და ფიქრობენ, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ეს პრობლემა დღის წესრიგში საერთოდ აღარ იქნება. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და აღვნიშნო, რომ „ვირქის“ მიერ მოწყობილი საპროტესტო აქციის შემდეგ, ერევნიდან ჩამოვიდნენ სომხები, რომლებმაც საქართველოს მხარდასაჭერი აქცია მოაწყვეს და იქ ბევრად უფრო მეტი ხალხი მივიდა. რატომღაც ეს ფაქტი არსად არ გაშუქდა.

გაგრძელება იხ. გვ. 94

„ვირჯინიელი მსროლელი“ პუტინთან გატარებულ დასვენების დღეებს იხსენებდა

მკითხველმა უკვე იცის იმ საზარელი ხოცვა-ჟლეტის შესახებ, რომელიც სამხრეთკორეელმა სტუდენტმა, ჩო სიუნგ ჰიუმ ვირჯინიის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში მოაწყო. ახლახან კი CNN-მა ინტერვიუ იმ სტუდენტებს ჩამოართვა, რომლებიც ჩოს პირადად იცნობდნენ, ამასთან, მეტ-ნაკლებად ინტენსიური ურთიერთობაც ჰქონდათ. ამ სტუდენტთა აზრით, ჩოს უცნაურობებს ყოველთვის ამჩნევდნენ, თუმცა ვერაფრით წარმოიდგენდნენ, რომ მას ასეთი საშინელების ჩადენა შეეძლო. ერთ-ერთმა სტუდენტმა ენდი კოჩმა, რომელიც ერთხანს ჩოსთან ერთად ერთ ოთახში ცხოვრობდა, გაიხსენა, რომ ჩო ბუნებით ძალიან პირქუში და სიტყვაძვირი იყო, თუმცა ცოტას დალევდა თუ არა, მაშინვე გულახდილობის ხასიათზე დგებოდა და კოსმოსიდან მოფრენილი საკუთარი ვირტუალური მეგობარი გოგონას ამბების მოყოლას იწყებდა. ერთხელ ჩომ თავის ყოფილ მეზობელს დაურეკა და უთხრა — შაბათ-კვირას რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინთან ერთად ვატარებო. „კი, მაგრამ პუტინი ხომ რუსეთში ცხოვრობს?“ — გაოცება ვერ დაფარა კოჩმა, რაზეც ჩომ სრულიად მშვიდად უპასუხა, რომ ის და რუსეთის მეთაური ჩრდილოეთ კაროლინაში ისვენებენ...

უნიკალური რობოტი-ქირურგი ოპერაციებს კოსმოსშიც ჩაატარებს

ვაშინგტონის უნივერსიტეტის მეცნიერებმა შექმნეს რობოტი, სახელად „რავენი“, რომელიც სულ მალე „ნასას“ მიერ ორგანიზებულ გამოცდას გაივლის. 12 დღის განმავლობაში, „ნასას“ წარმომადგენლები „რავენის“ იმ მონაცემებს შეისწავლიან, რომელთა დახმარებითაც კოსმოსის პირობებში დისტანციურად მართული ოპერაციების ჩატარება გახდება შესაძლებელი. პენტაგონის დაფინანსებით შექმნილი „რავენის“ ავტორები თავიდანვე მიიჩნევდნენ, რომ მისი გამოყენება მხოლოდ ერთი უმთავრესი მიზნით — იმ ბრძოლის ველებსა თუ სტიქიური უბედურების ზონებში დისტანციური ოპერაციების ჩასატარებლად უნდა მომხდარიყო, სადაც ექიმები შეღწევას ვერ ახერხებენ, მაგრამ „ნასა“ არც იმის იმედს კარგავს, რომ რობოტ-ქირურგს კოსმოსური ფრენების დროსაც გამოიყენებს და ის თეორიულად, „ცოცხალი“ ექიმის შეცვლას შეძლებს. მანამდე კი გამოსაცდელი რობოტი ფლორიდის სანაპიროს მახლობლად, 25 მეტრის სიღრმეზე იმოქმედებს. სცენარის მიხედვით, „რავენი“ ოთხმა ადამიანმა უნდა ააწყოს, რის შემდეგაც ამერიკის მეორე ბოლოში — სიეტლში მყოფი ქირურგები მისი დახმარებით ჩაატარებენ ქირურგიულ „ოპერაციას“, სადაც პაციენტის როლში რეზინის ნაჭერი იქნება.



მსოფლიო ბოროტმოქმედთა გალერეა

იტალიურმა გაზეთმა — La Republica — გამოაქვეყნა მსოფლიოს ბოროტმოქმედ ლიდერთა სია, რომელიც მათი სიმაღლის გათვალისწინებით იქნა შედგენილი. შედეგად ადგილები ასე განაწილდა:

ტანდაბალნი:

ნაპოლეონ ბონაპარტე

სწორედ მის სახელთან არის დაკავშირებული ფსიქოლოგ ალფრედ ადლერის მიერ აღმოჩენილი „ნაპოლეონის კომპლექსი“, რომლის შესახებაც ჩვენ უკვე ვწერდით. ნაპოლეონის სიმაღლესთან დაკავშირებით, ისტორიკოსები დღემდე დაობენ: მათი ერთი ნაწილი 158 სმ-ზე თანხმდება, მეორენი კი 165 სმ-ს ფეხს არაფრით უცვლიან.

იოსებ სტალინი

1902 წელს შედგენილი საპოლიციო დოსიეს მიხედვით, „ხალხის მამის“ სიმაღლე 2 არშინსა და 4,5 გოჯს ანუ 160 სმ-ს შეადგენდა.

იოზეფ ჰეგელი

„ღვარძლიანი ქონდრისკაცის“ მეტსახელით ცნობილი, ნაცისტური გერმანიის პროპაგანდის მინისტრის სიმაღლე 162 სმ იყო.

ტანმაღლებს შორის აღმოჩნდნენ:

სადამ ჰუსეინი

მასობრივი მკვლელობებით, შიდაპარტიული „წმენდებითა“ და სასტიკი ახირებებით ცნობილი ერაყის დიქტატორი თავის მოწინააღმდეგეთა უმეტესობაზე მაღალი (182 სმ) იყო.

იდი ამინი

უგანდის ყოფილი პრეზიდენტის სიმაღლე (190 სმ) მის სასასტიკეს არაფრით ჩამოუვარდებოდა. დიქტატორის შვილის — ჯაფარის თქმით, მისი ძმების უმეტესობა იდიზე მაღალი იყო.

უსამა ბინ ლადენი

გამოძიების ფედერალური ბიუროს მონაცემებით, „ალ-ქაიდას“ ლიდერი ტანმაღლობით (191 სმ) და სიგამხდრით (75 კგ) ერთნაირად გამოირჩევა.

MK

ტელეწამყვანი ღორივით დათვრა

როგორც რუსული — Экспресс газета — იუწყება, ახლახან, მწერალ მაშა მალინოვსკაიას წიგნის — „Мужчины, как машины“ პრეზენტაციაზე მიწვეულმა ტელეწამყვანმა მიხაილ ლეონტიევმა ერთი ბოთლი არაყი მარტომ გამოცალა და „ღორივითაც დათვრა“. პირველი ჭიქით ლეონტიევმა მალინოვსკაიას წიგნში ნაპოვნი „მარგალიტების“ სადღეგრძელო შესვა, შემდეგ კი ეს ვაი-მწერალიცა და მისი ნაცოდვილარიც საფუძვლიანად დაავიწყდა და ძირითადად, მსოფლიო პოლიტიკაში საკუთარ ღრმადჩახედულობაზე ალაპარაკდა: „ათი წლის შემდეგ, — არყით სავსე ჭიქა კიდევ ერთხელ ასწია ლეონტიევმა. — ამერიკა რუსეთის გარშემო რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის წრეს შეკრავს. აბა, კარგად დააკვირდით მცურავ და სახმელეთო ელემენტებს ალასკაზე, კალიფორნიაში, იაპონიაში, გრენლანდიაზე, 24 კოსმოსურ თანამგზავრს, 20 რაკეტას ჩეხეთში და რადარს — პოლონეთში, — დამსწრეთ მტრის ცბიერ განზრახვას „უსსნიდა“ აცრემლებული ლეონტიევი. — რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემასთან მიერთებას აპირებს თურქეთიც, საქართველო მზადაა რადარის ასაშენებელი ტერიტორიის გამოსაყოფად, აზერბაიჯანთან კი მოლაპარაკებები მიმდინარეობს... პენტაგონში უკვე გამოთვალეს, რომ წინმსწრებ შეტევას წარმატების ყველა შანსი აქვს. შედეგად კი შეიძლება, ჩვენი ბირთვული არსენალის დიდი ნაწილი განადგურდეს და ამიტომ დარტყმაზე დარტყმით ვეღარ ვუპასუხოთ“, — არყის ბოლო ჭიქა გამოცალა ლეონტიევმა და კიდეც „გამოირთო“: ამის შემდეგ, მისი გონს მოყვანის ყველა მცდელობა სრულიად უშედეგოდ დასრულდა. ■

რუსეთის ვიცე-პრემიერის ვაჟიშვილმა ინგლისელი ბანკირი დაასახიჩრა

როგორც ინგლისური გაზეთი — The Times იუწყება, საუთვარკის სასამართლოში რუსეთის ვიცე-პრემიერ ალექსანდრ ჟუკოვის ვაჟის — პიოტრის საქმის განხილვა დაიწყო. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, 24 წლის ბანკირმა პიოტრ ჟუკოვმა მისივე კოლეგა, იაპონური საინვესტიციო კომპანიის ბანკირი, 25 წლის ბენ რამსი ფეხქვეშ მას შემდეგ გაიგდო, რაც ამ უკანასკნელმა ჟუკოვის მეგობრის — 27 წლის არტიომ დაშკოს ბინაში გამართულ რუსულ წვეულებაზე დაუპატიჟებლად მოხვედრა გადაწყვიტა. ბენ რამსის მეგობრის — ბარი უაიტის თქმით, თავიდან რამსს არტიომ დაშკომ დაუწყო ცემა, პიოტრმა კი ჯერ ჩხუბის შეჩერება სცადა, მაგრამ შემდეგ, თავადაც დაუპატიჟებელი სტუმრის უმოწყალო ცემაზე გადავიდა. საბოლოოდ, ყველაფერი საკმაოდ მძიმე შედეგით დასრულდა: პოლიციის მიერ საავადმყოფოში გადაყვანილ ბენ რამსს ლოყაზე შვიდი, ქვედა ტუჩზე კი ოცი ნაკერი დაადეს. გარდა ამისა, ექიმებმა ღაწვის ძვლის მოტეხილობა, კეფაზე რამდენიმე ჭრილობა, ორი გატეხილი ნეკნი, ყბის შეშუპება და ხელებზე, მხრებზე, მკერდსა და ფეხებზე უამრავი სისხლჩაქცევა დაუფიქსირეს.

ალექსანდრ ჟუკოვი

როცა პოლიციამ პიოტრ ჟუკოვი და მისი მეგობარი დააპატიმრა, ორივე გვარიანად მთვრალი იყო, თუმცა რუსეთის ვიცე-პრემიერის ვაჟს იმის განცხადება მაინც არ დავიწყნია, რომ ის მხოლოდ „თავდაცვის ფარგლებში“ მოქმედებდა... ■

რუბრიკის გაგრძელება ის. გვ. 93

შეიძინეთ
საკუთარი
ბინა!
ბინა
ბინა
ბინა

დავით ზურაბიშვილმა



ნანკა კალატოზიშვილი ოპოზიციაში ჩაითრია

ნათია ქივიძე

თითქმის ყველა უყურებს სერიალს „ასა“, სადაც ნანკა კალატოზიშვილი ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს. თუმცა ეს მსახიობი უკვე იმდენად პოპულარულია, რომ მისი ნახვა მხოლოდ სერიალში კი არა, ყველგან და მათ შორის, „პატრინოტის“ წამყვანის ამპლუაშიც შეგიძლიათ... გადავწყვიტე, სწორედ ეს პოპულარული და ყველასთვის საყვარელი ნანკა ისეთ ადგილას წამეყვანა, სადაც მისი გამოჩენა გაუკვირდებოდათ და არც შევმცდარვარ... პარლამენტის სიახლოვეს გამოვჩნდით თუ არა, ყველამ გაოცებული მზერა გააყოლა. ზოგი აშკარად დაინტერესდა ამ ამბით და დაცვის წევრებს ჰკითხეს, ამას აქ რა უნდაო? მართალია, მაშინ ვერავინ გაიგო ნანკას იქ მისვლის მიზეზი, მაგრამ ახლა გაიგებენ. ოპოზიციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, დავით ზურაბიშვილმა და ნანკა კალატოზიშვილმა ჟურნალისტის როლები მოირგეს.

ჟურნალისტი – ნანკა კალატოზიშვილი
რესპონდენტი – დავით ზურაბიშვილი

— მე, როგორც აპოლიტიკური ადამიანი, ინტერვიუს შემდეგი კითხვით დავიწყებ — დარწმუნებული ვარ, პოლიტიკოსობა თქვენი ბავშვობის ოცნება არ იყო. რაზე ოცნებობდით მაშინ, ვინ გინდოდათ, რომ გამოსულიყავით?

— სიმართლე გითხრა, ბავშვობაში იმაზე არც კი ვფიქრობდი, მომავალში რა პროფესიას უნდა დავუფლებოდი. ვოცნებობდი, გიტარაზე დაკვრა კარგად მესწავლა, რადგან როკ-მუსიკა მიზიდავდა. მაშინ ეს აკრძალული ხილი იყო. სკოლაში მასწავლებლები იმის გამო მეჩხუბებოდნენ, რომ გრძელი თმა მქონდა. მეუბნებოდნენ: შეიჭერი, „ბითლზის“ რომელიმე წევრი ხომ არ ხარო... აი, ეს ერთადერთი ოცნება დამრჩა განუხორციელებელი.

— პოლიტიკაში როდის ჩაერთეთ?

— საბჭოთა კავშირის დროს დისიდენტური რაღაცებისადმი სიმპათია გამიჩნდა. მართალია, თავად დისიდენტი არ ვიყავი, მაგრამ სათანადო ლიტერატურას ვკითხულობდი, ეს ყველაფერი მაინტერესებდა. ზვიად გამსახურდია პირველად რომ დაიჭირეს, მის სასამართლო პროცესს დავესწარი. მერე 1978 წლის 14 აპრილის დემონსტრაციაში ვმონაწილეობდი და ა.შ. მართალია, ეს ყველაფერი მთლად პოლიტიკა არ არის, მაგრამ მაინც... რეალურად პოლიტიკაში 1988 წელს ჩავერთე, მიტინგებზე დავდიოდი და ა.შ. აი, ვარდების რევოლუციის შემდეგ კი პოლიტიკაში აქტიურად ჩავები...

— სტაჟიანი პოლიტიკოსი ყოფილხართ. ისიც გეცოდინებათ, პოლიტიკოსისთვის რა თვისება არის მთავარი?

— ჩემი დაკვირვებისა და გამოცდილების შედეგად მიმაჩნია, რომ პოლიტიკოსისთვის ორი რამ არის მთავარი: პირველი, ეს არის კომუნიკაბელობა ანუ ნებისმიერ ადამიანთან უნდა შეძლო ურთიერთობა, მიუხედავად იმისა, ესა თუ ის ადამიანი მოგწონს თუ არა; მეორე — პოლიტიკოსისთვის ძალიან მნიშვნელოვანია გარეგნობა, რადგან ხალხი ამას დიდ ყურადღებას აქცევს. პრინციპში, კარგი მეტყველებაც საჭიროა. გარდა ამისა, სასურველია, პოლიტიკოსი განათლებული იყოს, თუმცა წარმატების მისაღწევად (ჩემი დაკვირვებით), ეს აუცილებელი არ არის.

— სამწუხაროდ...

— ეს მხოლოდ ჩვენთან არ ხდება. მაგალითად, ამერიკაში ანეკდოტები დადის ბუშზე. იქაურ საუნივერსიტეტო წრეებში ბუშზე კარგი რომ თქვა, ეს ძალიან ცუდ ტონად მიიჩნევა. ვინც ასე მოიქცევა, მასზე იტყვიან, გოიმი და ქაჯიაო. სამაგიეროდ, ლიდერის თვისებები უხვად აქვს.

— თქვენ არ გაქვთ ლიდერის თვისებები?

— არა, მე ამით ვერ დავიტრაბახებ.

— მიუხედავად ამისა, დღეს (*ინტერვიუ ჩაწერილია პირველ მაისს.* — *ავტ.*) „დემოკრატიული ფრონტის“ თავმჯდომარედ დაინიშნეთ... გილოცავთ.

— დიდი მადლობა. როგორც გურიაში იტყვიან — მაი აფერი. ვიღაც შეიძლება კარგი ლეიტენანტი იყოს, მაგრამ პოლკოვნიკად არ გამოდგება. ზოგი კარგი პოლკოვნიკია, მაგრამ გენერლობამდე ვერ გაქაჩავს... უბედურება ის არის, რომ საქართველოში ყველას გენერლობაზე აქვს პრეტენზია, ამბიციური ხალხი ვართ...

— რამდენი შვილი გყავთ? და კიდევ, თქვენმა შვილებმა პოლიტიკოსობა რომ მოინდომონ, მათი გადაწყვეტილება მოგეწონებათ?

— ორი შვილი მყავს. ისინი უკვე თინეიჯერები არიან. მათი გადასაწყვეტია, პოლიტიკოსები გახდებიან თუ სხვა პროფესიას აირჩევენ. მათ არჩევანში არ ჩავერევი.

— მაგალითად, მე არ მაქვს იმის სურვილი, რომ ჩემი შვილი მსახიობი იყოს, რადგან ვიცი, ეს რა რთული პროფესიაა.

— არც პოლიტიკოსობაა ადვილი. ამ სფეროში მომუშავე ადამიანებს ნერვები წესრიგში არა აქვთ. მას შემდეგ, რაც პოლიტიკაში ჩავები, შეიძლება ითქვას, 5 წლით დავბერდი...

— ალბათ, ოპოზიციას გაცილებით მეტი რამ აქვს სანერვიულო...

— არა, ასე არ არის. ოპოზიციაში ყოფნა ერთი მხრივ კარგია ანუ შეგიძლია იმ ყველაფრის თქმა, რასაც ფიქრობ. მეორე მხრივ ძნელიც გახლავს, რადგან სულ გვითვალთვალებენ. ხანდახან, ერთმანეთს ტელეფონით რომ ველაპარაკებით, მერე ვყვირით: ვანო, გესმის, რა ვთქვით? სულ „პრესში“ ვართ...

— ერთ მტკივნეულ თემაზე მინდა გელაპარაკოთ. მახსოვს, ბატონი ზურაბ ჟვანია აქტიურად დადიოდა სპექტაკლებზე, მას უყვარდა ხელოვნება. ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის კი ეს მეათეხარისხოვანია. პროპაგანდისთვის თუ დასჭირდათ, ისევ იმ ხელოვან ხალხს იყენებენ, მაგრამ სხვა დროს ყურადღებას არ გვაქცევენ...

— გამოდის, რომ შენ ოპოზიციის კან-

გამოდის, რომ შენ ოპოზიციის კანდიდატი ხარ

მოკლედ, პაგარაობიდანვე ნანკა ვარ

დიდატი ხარ (*იცინიან*). უბრალოდ, იცი, რა არის? ვინც ახლა ხელოვნების სფეროს განაგებს, მას არც თეატრი აინტერესებს და არც ხელოვნების რომელიმე სხვა დარგი. პრეზიდენტისა და მის გარშემო მყოფი ადამიანების ცხოვრებაში ამ სფეროს ყოველთვის უმნიშვნელო ადგილი ეკავა. ეს ყველაფერი კი მათ შინაგან კულტურაზე მეტყველებს.

— იცით, როდის მიჩნდება შინაგანი პროტესტი? როცა ჩემხელა ან ჩემზე გაცილებით უმცროსი ასაკის ადამიანები რაღაც სერიოზულ „პოსტზე“ არიან. ასეთი ხალხის არ მჯერა, რადგან მათ ქვეყნის მართვის არანაირი გამოცდილება არ აქვთ. ამ პატარა ჰალსტუხიან ბიჭებს გართობა უნდათ, დისკოთეკაზე ან სხვა მსგავს დაწესებულებებში სიარულის სურვილი უჩნდებათ. ამ დროს კი მათთვისვე გაურკვეველ მოვალეობას ასრულებენ, რაღაც ბრძანებებს იძლევიან... როგორ ფიქრობთ, ასეთ გამოუცდელ ადამიანებს რაღაც თანამდებობებზე რატომ ნიშნავენ?

— ახლა ფიქრობენ, რომ ძველი თაობა ანუ გამოცდილი ადამიანები საბჭოთა მენტალიტეტით უიმედოდ არიან დაავადებულნი და მათ აღარაფერი შეუძლიათ. გარემოს დაცვის სამინისტროში მოხდა ასეთი ფაქტი: მათ ჰყავდათ იქთიოლოგი (რაც თევზის შემსწავლელ მეცნიერებას ნიშნავს), რომელიც იქ 30 წელი მუშაობდა. მოგვიანებით, როცა ატესტაცია ჩაატარეს, ამ კაცმა ზოგადი უნარჩვევები ვერ ჩააბარა და სამსახურიდან გაუშვეს. მაგრამ მალევე დააბრუნეს უკან, რადგან იქთიოლოგია სხვამ არავინ იცოდა, მათ მხოლოდ თევზის ჭამა იცოდნენ... პირველი პრეზიდენტის დროს — როცა 26 წლის ბიჭი ფინანსთა მინისტრად დანიშნეს, ჟვანია ჯერ კიდევ პარლამენტის თავმჯდომარე იყო. მახსოვს, ეს საკითხი რომ იხილებოდა, სავალუტო ფონდის თავმჯდომარემ იკითხა: კი, მაგრამ ეს კაცი 26 წლის ასაკში მინისტრი რომ გახდება, 40 წლისამ რაღა უნდა აკეთოსო? მეც მიმაჩნია, რომ ყველაფერს თავისი დრო აქვს...

— ყველაზე მეტად, პრეზიდენტის ის თვისებები მომწონს, რომ არის გამტანი და რეალურად ბევრი რაღაცის გაკეთება შეუძლია. გარდა ამისა, საკმაოდ კომუნიკაბელურია. უბრალოდ, გარემოცვა უნდა ჰყავდეს კარგი...

— საკუთარ გარემოცვას ყველა თავადვე ირჩევს.

— მე მაინც ვიტოვებ იმედს, ჩვენი პრეზიდენტი ადრე თუ გვიან მიხვდება, რომ გვერდით ვიღაც სხვა სჭირდება. ეს იმედი რომ არ გამიმართლდეს, ხომ ხედავთ, როგორი გრძელი თმა მაქვს, ჰოდა, ამ თმით ჩამოვეკიდები „ლუსტრაზე“... გზების, მუდმივი შუქის და სხვა ამდაგვარი რაღაცეების გამო ხელისუფლებას დიდ მადლობას ვუხდი, მაგრამ ეს ყველაფერი კი არ უნდა დაგვამადლონ, კიდევ უფრო მეტი რამ უნდა გაგვიკეთონ.

— მე ამ ყველაფერზე აღარაფერს ვიტყვი, რადგან ჩემი სათქმელი შენ თქვი. ხომ ვამბობ, შენი ადგილი პოლიტიკურ პარტიაშია, თანაც — ოპოზიციაში...

— რამდენად თეატრალური ხართ?

— სამწუხაროდ, წინა წლებთან შედარებით, ახლა იშვიათად დავდივარ თეატრში და ეს ჩემი ნაკლია. მეუღლე სულ მსაყვედურობს, ერთხელ მაინც წავიდეთ თეატრში. სამწუხაროდ, შენი სპექტაკლიც არ მინახავს...

— ჰოდა, მეუღლესა და შვილებთან ერთად მობრძანდით თეატრში.

— აუცილებლად...

ჟურნალისტი – დავით გურაბიშვილი
რესპონდენტი – ნანკა პალატოვიშვილი

— პირველ რიგში, მეც ის მაინტერესებს, რატომ გადაწყვიტე, რომ მსახიობი გამოსულიყავი?

— ადრეულ ბავშვობაში ნაყინის გამყიდველობა მინდოდა, მერე ვეტერინარობაზე ვოცნებობდი. ერთხელ რაღაც თეატრალური წრიდან დამირეკეს და მითხრეს, რომ ერთ-ერთი ბავშვი სპექტაკლიდან გამოეთიშა და სასწრაფოდ მისი როლი უნდა მესწავლა. შემაგდეს ამ სპექტაკლში და მაშინვე ჩეხეთში მიკრეს თავი. ასე რომ, ჩემი მსახიობური დებიუტი საზღვარგარეთ შედგა. მაშინ 12 წლის ვიყავი.

— ახლა საკმაოდ აქტუალური თემაა მოზარდების მიერ ჩადენილი დანაშაული. ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ მოზარდები ამას მხოლოდ იმის გამო სჩადიან, რომ გოგონებს „კრიმინალური“ ბიჭები მოსწონთო. ბავშვობაში შენც ასეთი ბიჭები გხიბლავდა?

— არა, „ძველი ბიჭები“ არასდროს მომწონდა. ისე, ხულიგნობა კი მიყვარს, რადგან თავად გახლდით ხულიგანი ბავშვი — ბიჭებთან ფეხბურთს ვთამაშობდი, ხან ერთ ხეზე ვეკიდე და ხან — მეორეზე. სხვათა შორის, ჩანთით დანაც დამქონდა, მაგრამ ვინმეს დასაჭრელად კი არა, უბრალოდ, ეს ნივთი მომწონდა...

— შენ გამო თუ უჩხუბიათ ბიჭებს?

— არასოდეს, რადგან ყოველთვის თვითონ ვაგვარებდი მათთან ურთიერთობას. იმდენად ბიჭური ტიპი ვიყავი, რომ ვინმე რამეს თუ მეტყოდა, გარეთ გამყავდა და სხვების დაუხმარებლად ვარკვევდი მასთან ურთიერთობას. არასოდეს მიმიყვანია საქმე იქამდე, რომ ჩემ გამო კონფლიქტი მომხდარიყო.

— ჟურნალისტები სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ცნობილ ადამიანებს პოლიტიკაზე ან რაიმე სხვა პრობლემაზე უსვამენ კითხვებს. როგორ ფიქრობ, ცნობილი ადამიანის მოსაზრება საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია?

— გარკვეულწილად, ჟურნალისტების მხრიდან ასეთი კითხვების დასმა სწორია, მაგრამ ზოგიერთი ადამიანი მერე ისეთი მონოლოგის კითხვას იწყებს, მისი მოსმენა კატასტროფის ტოლფასია. საერთოდ, მონოლოგი ისე უნდა წაიკითხო, რომ ამ დროის განმავლობაში ადამიანმა ყურადღებით მოგისმინოს, ფიქრი არსად გაექცეს, მაგრამ ეს ყველას არ შეუძლია... მსახიობი ზაზა პაპუაშვილი ამაში საკმაოდ ძლიერია. ისეთი მონოლოგი აქვს, რომ გვერდზეც კი არ გაიხედავ... საზოგადოებამ ყველა ცნობილი ადამიანის მოსაზრება უნდა იცოდეს ამა თუ იმ საკითხის შესახებ. იმ ცნობილმა ადამიანმა კი უნდა გაითვალისწინოს, რომ სანამ რამეს იტყვის, კარგად დაფიქრდეს, თავის სიტყვებზე პასუხისმგებელი იყოს. მე მაგალითად, სულ მშვიდობის მტრედებს ვეძებ, აღარ მინდა ეს ომი და უბედურება...

— სასიამოვნოდ გაკვირვებული ვარ შენი მსჯელობით. შეგიძლია, პირდაპირ მოხვიდე პარლამენტში და დაჯდე... პოლიტიკის თემას გადავუხვიოთ და ერთ ბანალურ შეკითხვას დაგისვამ: შენი საოცნებო როლი რომელია?

— ჩემი ცხოვრების პრობლემა ის არის, რომ როცა პიესებს ვკითხულობ, სულ ვამბობ, რა მაგარი კაცის როლია-მეთქი. რატომღაც ყოველთვის კაცის როლი მხიბლავდა და არასოდეს მიოცნებია ჯული-

ეტას როლზე. ლედი მაკბეტი გაცილებით მეტად მომწონს. ისე, პიესების კი არა, რომანების გმირები უფრო მომწონს...

— ეი. ლიტერატურაც გიყვარს...

— წიგნების კითხვა ძალიან მიყვარს. ამ ბოლო დროს, რატომღაც ხარუკი მურაკამიზე ვარ გადართული. ვიცი, რომ ის ბევრს არ მოსწონს, მაგრამ ჩემს სულთან მეოცე საუკუნის მწერლები ძალიან ახლოს არიან. მათ ხშირად სიმარტოვის თემა აქვთ და მე ეს მომწონს. ხშირად დავდივარ ლიტერატურულ კაფეებში და იქ მომუშავე პერსონალი ისე შემეჩვია, რომ ერთი პერიოდი ფულსაც აღარ მართმევდნენ.

— მაშინ ასეთ შეკითხვას დაგისვამ: ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა თქვა, რომ წიგნი შეიძლება, კომპიუტერმა ჩაანაცვლოსო. ამაზე რას იტყვი?

— რა სისულელეა. ჯერ ერთი, კომპიუტერი თვალებზე საშინლად მოქმედებს, მეორეც — მე თვითონ წიგნის სუნი, მასთან შეხება მიყვარს. წიგნის კითხვისას უფრო კომფორტულად ვგრძნობ თავს, წერაც კი ხელით მიყვარს და არა — კლავიატურის მეშვეობით. როგორც ჩანს, ძალიან ძველმოდური ვარ.

— 70-80-იან წლებში თითქმის მსოფლიო დონეზე იყო ქართული თეატრი. ეს მხოლოდ ესთეტიკა და ხელოვნება კი არა, სოციალურ-პოლიტიკური მოვლენაც იყო. ახლა რა მდგომარეობაშია ხელოვნების ეს სფერო?

— ჩემი აზრით, ახლა თეატრში ძიების პროცესია. ომისა და არეულობის პერიოდში ხალხი თეატრში მხოლოდ კომედიაზე დადიოდა, აღარ შეეძლოთ ამდენი ტრაგედიის ყურება. რეჟისორებიც მხოლოდ კომედიას დგამდნენ, რადგან ხალხს სიცილი და ყველა პრობლემის დავიწყება სურდა. ახლა ძალიან რთულია იმის გაგება, თუ რა უნდა დღევანდელ მაუყრებელს. სამაგიეროდ ვიცი, რომ სიყვარულის თემა ყოველთვის აქტუალური იქნება. სხვათა შორის, „ოსტატი და მარგარიტა“, რომელიც ავთო ვარსიმაშვილმა გრიბოედოვის თეატრში დადგა და ახლა რუსთაველის თეატრში გადაიტანეს, სულ ანშლაგით მიმდინარეობს, მიუხედავად იმისა, რომ იქ მოსულ ბევრ მაყურებელს წაკითხულიც არა აქვს ეს ნაწარმოები, უმრავლესობა კი შუა სპექტაკლიდან მიდის, რადგან რუსული არ იცის (სპექტაკლი რუსულენოვანია)... ჭოლა და დიი სულ ექსპერიმენტებს ატარებენ სპექტაკლებზე... მოკლედ, ადრე ხალხიც უფრო კულტურული იყო, ვიდრე ახლა...

— და ბოლო შეკითხვა, რომელიც სულ მაინტერესებდა — რატომ გქვია ნანკა და არა — ნანა?

— დაბადების მოწმობის მიხედვით, რა თქმა უნდა, ნანა ვარ, მაგრამ რატომღაც, ბავშვობიდანვე ნანკას მეძახიან. თან ბებიაჩემი რუსულენოვანია და ეს „კ“ ალბათ მისგან მოდის. ნანას რომ მეძახიან, რეაქციაც არ მაქვს. ერთი-ორჯერ სახლის ტელეფონზე ნანათი რომ მიკითხეს, დედაჩემმა უთხრა, სხვაგან მოხვდიო. მოკლედ, პატარაობიდანვე ნანკა ვარ. ■

ცოფიანი მაქსი სასამართლო პროცესზე თავს მესიად აცხადებდა

რუსი მილიონერის გახმაურებული მკვლელობის დეტალები

38 წლის, ცნობილი რუსი კომერსანტის, არასამთავრობო ორგანიზაცია „რუსული კლუბის“ პრეზიდენტის მოულოდნელი, დღისით, მზისით ჩადენილი საშინელი მკვლელობა ბოლო დროის ერთ-ერთი ყველაზე რეზონანსული დანაშაული აღმოჩნდა. მას „წმინდა წყლის რუსულ-უკრაინული მკვლელობაც“ უწოდეს. სამართალდამცველები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ წინასწარ კარგად დაგეგმილ, წამებში გათვლილ და პროფესიონალი კილერების მიერ განხორციელებულ დანაშაულთან გვაქვს საქმე.

მაქსიმ კუროჩკინი, იგივე ცოფიანი მაქსი (როგორც მას ეძახდნენ) ცნობილი რუსი დიპლომატის შვილი, ენერგოსადგურების, ელიტური სასტუმროებისა და სანატორიუმების ქსელის მფლობელი და ნავთობკომპანიების მეწილე გახლდათ. კომერციულ საქმიანობას ის რუსეთის გარდა, უკრაინაშიც ეწეოდა. აქტიურად იყო ჩაბმული პოლიტიკაშიც, რუსეთ-უკრაინის ურთიერთობებში და ბევრი მის მკვლელობას სწორედ პოლიტიკური მოტივებით ხსნის, თუმცა არსებობს ვერსიები, რომლებიც ამას გამორიცხავს.

ბიზნესმენი ხშირად გახლდათ მოქცეული პრესის ყურადღების ცენტრში. არასამთავრობო ორგანიზაცია „რუსული კლუბი“ მან 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ დააარსა. თავად აცხადებდა, რომ ორგანიზაცია საერთაშორისო, პოლიტიკურ წრეებსა და მსხვილ კომერციულ კომპანიებს შორის დიალოგის წარმართვას, ურთიერთობების დარეგულირებასა და თანამშრომლობას ისახავდა მიზნად. ამავე დროს ბევრი ეჭვობდა, რომ ეს ორგანიზაციაც და ზოგადად პოლიტიკაც კუროჩკინს თავისი კრიმინალური საქმიანობის შესანიღბავად სჭირდებოდა. სამართალდამცველების თქმით, ბიზნესმენს მოქმედ და კარგად ორგანიზებულ კრიმინალურ დაჯგუფებებთან საკმაოდ მჭიდრო კავშირი ჰქონდა. მისი სახელი ხშირად ისმოდა ნარკობიზნესის პრობლემების განხილვისას, მას ბრალს სდებდნენ რეკეტში, ადამიანთა სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებებში, ყაჩაღური დაჯგუფების ორგანიზებაში, ფინანსურ მაქინაციებსა და ბინძურ გარიგებებში, სავაჭრო ობიექტებისა თუ სხვა დაწესებულებების შენობათა უკანონოდ მითვისებაში... ბიზნესმენს, რომელიც რუსეთ-უკრაინის ურთიერთობებში აქტიურად გახლდათ ჩაბმული, 2004 წლის დეკემბერში, უკრაინის განსაკუთრებულ საქმეთა მაშინდელი მინისტრი დავით ჟვანია ქვეყნის ამჟამინდელი პრეზიდენტის — ვიქტორ იუშჩენკოს მოწამვლის ორგანიზებაშიც კი ადანაშაულებდა. ცნობილია, რომ კუროჩკინი იანუკოვიჩს უჭერდა მხარს და მის წინასაარჩევნო კამპანიას აფინანსებდა...

ზემოთ ჩამოთვლილი ბრალდებებიდან უმრავლესობა ოფიციალურად არ დადასტურებულა. მართალია, უკრაინის შს სამინისტრომ ბიზნესმენზე ძებნა გამოაცხადა, შარშან 30 ნოემბერს კი ის საერთაშორისო აეროპორტში — „ბორისპოლში“ დააკავეს კიდეც და იქიდან პირდაპირ წინასწარი დაკავების იზოლატორში წაიყვანეს, მაგრამ ბრალდება მხოლოდ ორი მუხლის მიხედვით წარუდგინეს... მის მკვლელობამდე რამდენიმე საათით ადრე, კუროჩკინის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით გამართულ სასამართლო სხდომაზე ბიზნესმენმა კიდევ ერთხელ კატეგორიულად უარყო ის კანონსაწინააღმდეგო ქმედებები, რომლებშიც მას პროკურატურა ადანაშაულებდა. ოფიციალურად, მას დიდი რაოდენობით თანხის გამოძალვაში (ლაპარაკია 10 ათას დოლარზე) და უკანონო პრივატიზაციებში ედებოდა ბრალი. თანხის გამოძალვის ბრალდება ორ ეპიზოდს შეიცავდა. კუროჩკინი წინასწარი გამოძიების დროს, შემდეგ კი საქმის სასამართლო განხილვისას, ორივე ეპიზოდს შეთითხნილს უწოდებდა, აცხადებდა, რომ განსასჯელის სკამზე მის წინააღმდეგ შეკრული წრეებისა და მისი მოღვაწეობით გაღიზიანებული პირების წყალობით აღმოჩნდა.

ბიზნესმენის მიმართ აღძრული საქმის განხილვა სვიატოშინის რაიონულმა სასამართლომ 2007 წლის თებერვლიდან დაიწყო. ერთ-ერთ სასამართლო სხდომაზე განსასჯელმა მისთვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლა მოითხოვა და ამასთან დაკავშირებით, მოსამართლეს შუამდგომლობითაც მიმართა. „გთხოვთ, პატიმრობა ქალაქიდან გაუსვლელობის ხელწერილით შემიცვალოთ, რადგან ამ შემთხვევაში თავად ვიზრუნებ საკუთარი უსაფრთხოების დაცვაზე“, — მიმართა მან მოსამართლეს. სასამართლომ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. დღეს ამ ფაქტს ბევრი ხაზგასმით და მრავალმნიშვნელოვნად აღნიშნავს. ვარაუდობენ, რომ ბიზნესმენი გრძნობდა და ხვდებოდა, რომ მას მოკვლას უპირებდნენ.

მისთვის საბედისწერო დღეს პროცესზე განსასჯელმა განაცხადა, რომ მას ვინმესგან ფულის გამოძალვა არაფერში სჭირდებო-

და. „ამის გაკეთებას არავის ვაიძულებდი. ბრალდება შეთითხნილია და ეს გამოძიების მასალებიდანაც ნათლად ჩანს. ქმედება, რომელშიც მადანაშაულებენ, სწორედ ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, არალოგიკურად და არადამაჯერებლად ჟღერს. რამდენიმე წელია, რაც უკრაინაში სამი ენერგოსადგურის მფლობელი ვარ, მაქვს სამი ელიტური სასტუმრო, მნიშვნელოვანი წილი მაქვს „ქალაქგაზში“, ჩემი ყოველთვიური შემოსავალი კი მილიონ-ნახევარ დოლარს შეადგენს. აქედან გამომდინარე უნდა გაკეთდეს დასკვნა, რომ ვინმესთვის 10 ათასი დოლარის გამოძალვა არაფერში მჭირდებოდა. ფაქტია, რომ გაყალბებული ჩვენებებისა და გამოგონილი, ე.წ. მტკიცებულებების საფუძველზე ააგეს ეს ყოვლად წარმოუდგენელი და არარეალური ბრალდება“, — აღნიშნა სიკვდილამდე რამდენიმე წუთით ადრე ცნობილმა ბიზნესმენმა. სასამართლოსგან მან წაყენებულ ბრალდებებში გამართლება და სასამართლო დარბაზიდან მისი დაუყოვნებლივ გათავისუფლება მოითხოვა. მაშინ არათუ კურორჩკინი, არამედ დარბაზში მსხდომი ჟურნალისტებიცა და სხვა დამსწრეებიც ვერ წარმოიდგენდნენ, რომ ეს განსასჯელის უკანასკნელი სიტყვები იყო და სიკვდილს მას სულ რაღაც წუთები, რამდენიმე ნაბიჯიღა აშორებდა... მომდევნო სასამართლო პროცესი 4 მაისს უნდა გამართულიყო. მაგრამ ბევრისთვის სრულიად მოულოდნელად, ბიზნესმენის ცხოვრებას უცნობმა სნაიპერმა დაუსვა წერტილი...

სხდომის დასრულებისთანავე განსასჯელი ბადრაგმა დარბაზიდან გამოიყვანა და სასამართლოს შენობიდან გასასვლელი კარისკენ წაიყვანა. კარის ზღურბლს გასცდნენ თუ არა, ტყვია გავარდა. გასროლის ხმა არავის გაუგონია. სნაიპერმა სასამართლო შენობის პირდაპირ მდებარე სახლის სახურავიდან გაისროლა. მანძილი ამ ორ შენობას შორის 300 მეტრია. სასიკვდილო ჭრილობა ბიზნესმენმა გულმკერდის არეში მიიღო. ის ადგილზევე გარდაიცვალა...

შემთხვევის დროს მძიმედ დაიჭრა ბადრაგის ერთ-ერთი წევრიც. მან მუცლის არეში მიიღო დაზიანება, მაგრამ დროული სამედიცინო დახმარების წყალობით სიკვდილს გადაურჩა. დანაშაულის ადგილზე თავმოყრილმა „ოპერებმა“ მკვლელობის კვალი ზემოთ აღნიშნული სახლის სხვენზე აღმოაჩინეს. ადგილის დათვალიერებისას მათ ოპტიკური სამიზნითა და სპეციალური სამფეხათი აღჭურვილი უცხოური წარმოების ცეცხლსასროლი იარაღი იპოვეს. იქვე ნახეს მასრებიც...

უკრაინის შს მინისტრის მოადგილის, კრიმინალური მილიციის უფროსის ნიკოლაი კუპიანსკის თქმით, მკვლელმა (თუ მკვლელებმა) პროფესიონალური ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენა. მისივე თქმით, ამ იარაღით 1200 მეტრის მანძილზე მდებარე სამიზნის დაზიანებაა შესაძლებელი. დანაშაულში პროფესიონალი კილერების მონაწილეობაზე მეტყველებდა მკვლელობის დრო და ადგილიც. როგორც სამართალდამცველები აღნიშნავენ, შესაფერისი მომენტის შესარჩევად ბოროტმოქმედთ ძალზე ცოტა დრო ჰქონდათ — ფაქტობრივად, სულ რამდენიმე წამი.

მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით უკრაინის შს სამინისტროში საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე მწვავე კითხვები დაისვა. ჟურნალისტებს აინტერესებდათ — უშუალოდ სასამართლოს შენობის კართან რატომ არ გაჩერდა მანქანა, რომლითაც პატიმრის ეტაპირება უნდა მომხდარიყო, როგორც ეს ადრე ჩვეულებრივ ხდებოდა და რატომ გახდა აუცილებელი განსასჯელის სრულიად ღია და დაუცველ ეზოში გატარება? შს მინისტრის მოადგილემ ყველაფერი რემონტით ახსნა. „მოგეხსენებათ, რომ ამჟამად სასამართლოს ეზოში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს, სამშენებლო მასალების საკმაოდ დიდი გროვები პირდაპირ შენობის გასასვლელთანაა, რის გამოც მანქანა კართან ახლოს მისვლას ვერ შეძლებდა“, — ასე უპასუხა კუპიანსკიმ ჟურნალისტების მიერ დასმულ შეკითხვას...

ბოროტმოქმედებმა მიმალვა მოახერხეს. მოგვიანებით, კიევის ცენტრში საღამოს 7 საათზე, უკრაინის შს სამინისტროს თანამშრომლებმა აღმოაჩინეს ავტომანქანა, რომლითაც სავარუდოდ, ბოროტმოქმედები შემთხვევის ადგილს გაეცალნენ, შემდეგ კი მიატოვეს. ეს ვერცხლისფერი „მაზდა-3“ გახლდათ. ის მილიციამ ქალაქის ცენტრში იპოვა. მანქანაში არც ცეცხლსასროლი იარაღი ან საბრძოლო მასალა აღმოჩნდა და არც რაიმე ასაფეთქებელი მოწყობილობა.

სამართალდამცველებმა იმავე დღეს დაადგინეს ავტომანქანის მფლობელის ვინაობა. აქ მოულოდნელობას წააწყდნენ: გაირკვა, რომ ადამიანმა, რომლის სახელზეც ავტომანქანა იყო დარეგისტრირებული, სინამდვილეში არაფერი იცოდა ამ რეგისტრაციის შესახებ და მანქანაც არასდროს ჰყოლია. სწორედ ამის გამო გამოძიებამ გაიხსენა რამდენიმე წლის წინ მომხდარი დანაშაული. სამართალდამცველებმა წლების წინ ბიზნესმენზე განხორციელებულ თავდასხმასა და მკვლელობას შორის საერთო აღმოაჩინეს...

ბიზნესმენის სიცოცხლის ხელყოფის მცდელობას ადრეც ჰქონია ადგილი. ოფიციალური ცნობების თანახმად, 2004 წელს კურორჩკინზე თავდასხმა განხორციელდა. დანაშაული მაშინაც კიევში მოხდა: გავლენიანი კო-

მაქსიმ კურორჩკინი

მერსანტის გვერდით, დანაღმული ავტომანქანა აფეთქდა. მაგრამ ბოროტმოქმედებმა საწადელს ვერ მიაღწიეს. ბიზნესმენი არათუ სიკვდილს გადაურჩა, არამედ სხეულის დაზიანებაც კი არ მიუღია. სამაგიეროდ, მძიმედ დაიჭრნენ კურორჩკინის პირადი დაცვის წევრები. გაირკვა ისიც, რომ ავტომანქანა, რომელშიც ასაფეთქებელი მოწყობილობა იყო დამონტაჟებული, იმ მოქალაქის სახელზე გახლდათ გაფორმებული, რომელმაც ამის შესახებ არაფერი იცოდა...

აღნიშნულ დანაშაულს მკვლელობების მთელი სერია მოჰყვა. ბიზნესმენზე თავდასხმისა და მისი განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტი რომ მის საქმიანობას უკავშირდებოდა, ამას მომდევნო დღეებში განვითარებული მოვლენები და არაერთი შემზარავი დანაშაული მოწმობდა. კურორჩკინსა და მის წრეზე გადამტერებულმა პირებმა ბიზნესმენის პარტნიორებზეც დაიწყეს ნადირობა. სწორედ ზემოთ აღნიშნული თავდასხმიდან ცოტა ხანში, დნეპროპეტროვსკში მუხანათურად ჩაცხრილეს ასევე ცნობილი ბიზნესმენი და გავლენიანი პირი ვლადიმერ ვორობიოვი; რამდენიმე ხნის შემდეგ, გვიან ღამით, კიევის მახლობლად, ობუხოვის ტრასაზე კიდევ სამი მამაკაცი მოკლეს. მათგან ორი მოსკოველი იყო და კურორჩკინთან საერთო ბიზნესი ჰქონდა, ისინი უკრაინაში სწორედ ბიზნესთან დაკავშირებით გახლდნენ ჩასულები...

რაიონული სასამართლოს ტერიტორიაზე განხორციელებულ მკვლელობას ქვეყნისთვის ნამდვილი ტრაგედია უწოდეს. როგორც პოლიტიკოსები და საზოგადო მოღვაწეები აღნიშნავენ, მომხდარი ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ კილერობა ქვეყნის ცხოვრებისთვის ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. ამასთანავე, საზოგადოება ამ საქმის გამოძიების პრსპექტივასაც სკეპტიკურად უყურებს. „ვფიქრობ, შემკვეთთა ვინაობას ვერასდროს დაადგენენ. ამ საქმეში ან ძალიან დიდი ფული ტრიალებს, ან მკვლელობა პოლიტიკური ინტერესითაა ჩადენილი!“ — აცხადებს ნატალია ვიტრენკო, რომლის ბიზნესმენთან კავშირებზე (პოლიტიკოსის მხრიდან უარყოფის მიუხედავად) აქამდე ბევრს ლაპარაკობენ...

კურორჩკინის პირველი მსხვილი კომერციული ობიექტი სავაჭრო ცენტრი „ლუჟნიკი“ იყო. სწორედ აქედან მიიღო მან თავისი პირველი მეტსახელი — მაქს ლუჟნიკოვსკი. იმ დროიდან მოყოლებული, სამართალდამცველები ბიზნესმენის მიმართ ყურადღებას არ ადუნებდნენ. 1989-2001 წლების მანძილზე კურორჩკინი რამდენჯერმე დააკავეს, მის მიმართ სისხლის სამართლის საქმეები რამდენიმე მძიმე მუხლით აღძრეს, მაგრამ საქმის წარმოება ყოველთვის შუა გზაზე წყდებოდა. ამავე დროს, სამართალდამცველებთან შექმნილი პრობლემები კურორჩკინის ბიზნესს არაფერს ვნებდა. რუსმა კომერსანტმა დიდძალი თანხა უკრაინის საკურორტო ბიზნესში ჩადო. 2000 წლის დასაწყისში კურორჩკინი კიევში მდებარე სასტუმრო „უკრაინის“ მფლობელი გახდა და რამდენიმე თვეში ის ხუთვარსკვლავიან „პრემიერ-პალასად“ აქცია. მასვე ეკუთვნოდა, ქალაქ იალტაში არსებული ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო „ორეანდა“.

ცოტა ხანში ყირიმის და დნეპროპეტროვსკის ბევრი მსხვილი ობიექტიც შეიძინა.

მას შემდეგ, რაც იანუკოვიჩმა არჩევნები

წააგო, კურორჩკინი კარგა ხნით ჩამოშორდა პოლიტიკას. ამ სფეროს ის მხოლოდ 2 წლის შემდეგ — 2006 წელს დაუბრუნდა. რუს ბიზნესმენს ორი ქვეყნის — რუსეთისა და უკრაინის გავლენიანი წრეები ცნობილი უკრაინელი პოლიტიკოსის — ნატალია ვიტრენკოს ბლოკის ერთ-ერთ სპონსორადაც მოიხსენიებდნენ. თუმცა ვიტრენკო ამას თავის დროზეც კატეგორიულად უარყოფდა და ახლაც, უკვე ბიზნესმენის მკვლელობის შემდეგაც არ ადასტურებს. აცხადებს, რომ კურორჩკინს ის საერთოდ არ იცნობდა და არც მის წრესთან აკავშირებდა რაიმე.

რაც შეეხება მეტსახელს — ცოფიან მაქსს, ამბობენ, რომ ის თავად ბიზნესმენის ცხოვრების წესიდან, მისი ხასიათიდან და პიროვნული თვისებებიდან გამომდინარეობდა. მეტსახელი იმ დონეზე გახლდათ ცნობილი და გავრცელებული, რომ მოსახლეობიდან ბევრმა ბიზნესმენის რეალური გვარი და მისი წარმოშობა არც იცოდა. ცოფიანი მაქსი მას 1990-იან წლებში შეარქვეს. მანამდე, ბიზნესმენს ხან ლუჟნიკოვსკის, ხანაც — ლიპეცკის „ფსევდონიმით“ იცნობდნენ.

ამჟამად სამართალდამცველები ოფიციალურ განცხადებებს აკეთებენ იმასთან დაკავშირებით, რომ კურორჩკინის წინააღმდეგ აღძრულ საქმეში არსებული ჩვენებებისა და გამოძიებით მოპოვებული სხვა ცნობების თანახმად, ის ნარკოტიკული ნივთიერებების, განსაკუთრებით კოკაინის აქტიური მომხმარებელიც გახლდათ. რაც შეეხება, ნარკოტიკების რეალიზატორობას, — ასეთი ბრალდება მის საქმეშიცაა დაფიქსირებული.

ჟურნალისტებთან საუბრისას კურორჩკინი აღნიშნავდა, რომ არაფერი იცოდა მის მიმართ გამოცხადებული საყოველთაო ძებნის შესახებ და ამის თაობაზე პირველად მაშინ შეიტყო, როცა ის აეროპორტში დააკავეს. მაშინ მან ამ ფაქტს მის წინააღმდეგ განხორციელებული „პოლიტიკური რეპრესია“ უწოდა.

წინასწარი გამოძიების პერიოდში კურორჩკინმა არაერთხელ სცადა, სამართალდამცველების მისამართით პროტესტი გამოეხატა. ხმამაღალი და მწვავე განცხადებებით ვერაფერს რომ ვერ მიაღწია, შიმშილობა გამოაცხადა. სასურველ შედეგს ვერც ამ გზით მიაღწია. ამის შემდეგ განსასჯელმა ბიზნესმენმა ქვეყანა აალაპარაკა: სასამართლო პროცესებზე მეტისმეტად გამომწვევად და აგრესიულად იქცეოდა, განუწყვეტლივ ლაპარაკობდა და ყვიროდა. ბიზნესმენის ნაცნობები ამბობენ, რომ ეს მისი ბუნებისთვის დამახასიათებელი იყო. სასამართლო დისციპლინის დარღვევისთვის კურორჩკინს არაერთხელ მისცეს შენიშვნა, ხოლო მას შემდეგ, რაც ის ფეხზე წამოდგა და მოსამართლეს განუცხადა, რომ მესია და ღვთის შვილი იყო, სასამართლომ სხდომა შეწყვიტა.

მოსამართლემ ეს გადაწყვეტილება გამოაცხადა თუ არა, განსასჯელმა დარბაზში მჯდომ ერთ-ერთ გოგონას მიმართა და მას სიყვარული აუხსნა. თან ისიც უთხრა, რომ მასზე თავდასხმა და მისი მოკვლა უკვე 16-ჯერ სცადეს. იმ პერიოდში ბიზნესმენის ფსიქიკური მდგომარეობის გაუარესებაზე ბევრი ლაპარაკობდა, მაგრამ არსებობენ ადამიანები, რომლებიც დღემდე მიიჩნევენ, რომ ეს, მოსალოდნელი პასუხისმგებლობიდან თავის დაძვრენის გეგმის ნაწილი გახლდათ.

როგორც დარბაზში დამსწრეები და პროცესის მონაწილეები აღნიშნავენ, მკვლელობის დღეს კურორჩკინი უჩვეულოდ მშვიდად, თავშეკავებულად და ადეკვატურად იქცეოდა. 10 ათასი დოლარის გამოძალვის ბრალდებას მან სასაცილო უწოდა და მხოლოდ ამ კომენტარით შემოიფარგლა.

უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა მკვლელობაში ეჭვმიტანილები დაკავეს. ამ სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის — ვალენტინ ნალივაიჩენკოს თქმით, ორი ადამიანი, რომელსაც სავარაუდოდ, მკვლელობასთან უშუალო კავშირი აქვს, ქალაქ დნეპროპეტროვსკში აიყვანეს. მათ ვინაობას სამართალდამცველები არ ამჟღავნებენ და ამის მიზეზად, გამოძიების ინტერესებს ასახელებენ. სამართალდამცველთა თქმით, ამჟამად გამოძიება შემკვეთთა ვინაობის დადგენაზე მუშაობს, რის გამოც საქმის დეტალების გახმაურებას და პრესის საშუალებით გამომზეურებას დაუშვებლად მიიჩნევს. ■

მოზარდის გაუპატიურებისთვის განსასჯელს 5 წელი მიუსაჯეს

ბრალდების მხარემ ამ განაჩენს აშკარა უკანონობა უწოდა

მარნეულის რაიონულმა სასამართლომ შემზარავი დანაშაულის ფაქტი განიხილა. საქმე არასრულწლოვნის გაუპატიურებას ეხება. ბრალდების მხარემ განაცხადა, რომ განსასჯელმა — ჩათანჯოვმა დანაშაული გაცნობიერებულად, ძალადობის გამოყენებით ჩაიდინა და მსხვერპლის უმწეობით ისარგებლა.

შემზარავი შემთხვევა წალკის რაიონის ერთ-ერთ სოფელში მოხდა. საღამოს, დაახლოებით 10-ის ნახევარზე, ჩათანჯოვმა, რომელიც იმ მომენტში საკუთარი მოტოციკლეტით მოძრაობდა, გზაზე თანასოფელი, 15 წლის ბიჭი შენიშნა. მოზარდს რომ მიუახლოვდა, შეჩერდა და მას სახლამდე მიყვანა შესთავაზა. ბიჭიც მაშინვე, სიხარულით დათანხმდა. იმის ნაცვლად, რომ მარატი (დაზარალებულის ნამდვილ ვინაობას გასაგები მიზეზების გამო არ ვაფიქსირებთ) შინ მიეყვანა, ჩათანჯოვმა გზიდან გადაუხვია, ცენტრალურ ტრასაზე გავიდა და მანგლისის მიმართულებით აიღო გეზი. მარატის კითხვებს, თუ სად მიდიოდა, ის გაურკვევლად, ბუნდოვნად პასუხობდა. დაახლოებით ორი კილომეტრის გავლის შემდეგ, ჩათანჯოვმა სოფელ იმერას მახლობლად მდებარე მინდვრისკენ გაუხვია და მოტოციკლიც იქვე გააჩერა.

მისი ამ მოულოდნელი საქციელით გაკვირვებული და საკმაოდ დაბნეული მარატიც ჩამოვიდა მოტოციკლეტიდან. ჩათანჯოვი მას ეძგერა და მიწაზე წააქცია. იმის გამო, რომ თავად გაცილებით ძლიერი აღნაგობის იყო, მოზარდის დამორჩილება არ გასჭირვებია. მარატი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებებში აღნიშნავს, რომ მთელი ძალით შეეცადა მისთვის წინააღმდეგობის გაწევას, მაგრამ ვერაფერს გახდა — გამხეცებულმა მოძალადემ ის ჯერ სასტიკად სცემა, შემდეგ კი გააუპატიურა.

დანაშაულში ეჭვმიტანილი მალევე დაკავეს. სამართალდამცველების წინაშე ჩათანჯოვმა კატეგორიულად უარყო ყოველივე, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბრალდების მხარემ ის სასტიკ, განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულებრივ ქმედებაში დაადანაშაულა. ჩათანჯოვმა ბრალი არც შემდეგ აღიარა. მთელი პროცესის მანძილზე აცხადებდა, რომ არავინ გაუუპატიურებია. აღსანიშნავია ისიც, რომ ის მარატთან სექსუალურ კავშირს არ უარყოფდა და როგორც ამბობდა, ყველაფერი ნებაყოფლობით მოხდა, მოზარდისთვის ძალა არ დაუტანებია. რაც შეეხება მარატს, ის სასამართლო პროცესზე არ გამოცხადებულა. სასამართლომ მის მიერ გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებით იხელმძღვანელა. დაზარალებულმა მომხდარი დანაშაულის შესახებ იგივე გაიმეორა ჩათანჯოვთან დაპირისპირების დროსაც და ჩადენილ სასტიკ ქმედებაში კვლავ ამხილა. მისივე სიტყვებს ადასტურებს საქმის მასალებში არსებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაც, რომლის მიხედვითაც, მარატს სხეულზე არაერთი დაზიანება აღენიშნებოდა. ექსპერტებმა ცემის კვალთან ერთად სექსუალური ძალადობის ნიშნებიც დააფიქსირეს. მათი თქმით, მიყენებული დაზიანებები მსუბუქ ხარისხს მიეკუთვნება.

ერთგვარი მოულოდნელობა მოხდა სასამართლო პროცესზეც: დაზარალებულის მშობლებმა განაცხადეს, რომ განსასჯელის მიმართ არავითარი პრეტენზია არ გააჩნიათ და მათ ჩათანჯოვისთვის „შედარებით ჰუმანური“ სასჯელის შეფარდება მოითხოვეს. ბრალდების მხარემ ეს თავისებურად ახსნა: დაზარალებულსა და მისი ოჯახის წევრებზე ზეწოლა განახორციელეს, რის შედეგადაც ბრალდებულის მხარემ მარატის მშობლებთან შეთანხმებას მიაღწია. მას შემდეგ, რაც რაიონულმა სასამართლომ განსასჯელი წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავედ ცნო და მას 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ბრალდებამ განაჩენს აშკარა უკანონობა უწოდა და ის ზედიზედ ორჯერ, ზემდგომ ინსტანციებში გაასაჩივრა. მხარემ საქმის ხელახალი განხილვა და სხვა სასამართლო შემადგენლობა მოითხოვა. განაჩენით უკმაყოფილონი დარჩნენ მსჯავრდადებულის ადვოკატებიც, რომლებმაც ჩათანჯოვის გამართლება მოითხოვეს. პალატის მოსამართლეებისთვის არც ერთი საჩივარი საფუძვლიანი და არგუმენტირებული არ აღმოჩნდა. მათ მიიჩნიეს, რომ შეფარდებული სასჯელი სწორედ ის ზომა გახლავთ, რომელსაც მოძალადე მოზარდის გაუპატიურებისთვის იმსახურებს. ■

რუბრიკა მოამზადა მეგი ცანავამ

როგორ გაძარცვეს ჟურნალისტებმა პარლამენტარი ალეკო შალამბერიძე

უმრავლესობის წევრი ალეკო შალამბერიძე იმ პარლამენტართა რიგს განეკუთვნება, რომელიც თავის არაპოლიტიკურ ცხოვრებას წიგნებით ავსებს. მისი კაბინეტი სხვა პოლიტიკოსების კაბინეტებისგან იმით გამოირჩევა, რომ კარადები ნაირ-ნაირი საინტერესო წიგნით აქვს სავსე; გარდა ამისა, მას არაჩვეულებრივი იუმორის გრძნობაც აქვს და მისი ცხოვრებიდან არაერთი საინტერესო, მხიარული ამბავიც გაიხსენა.

ნუცა თოფჩიშვილი

— ბატონო ალეკო, პოლიტიკოსი არაპოლიტიკურ ცხოვრებას რით ავსებთ?

— წიგნების შეძენით, რომელიც პოლიტიკას, გამოჩენილი ადამიანების ბიოგრაფიებს, ეკონომიკას, გეოგრაფიას და ისტორიას ეხება. ეს არის ჩემი ჰობი. თავისუფალი დრო როგორც კი გამომიჩნდება, ვკითხულობ.

— ყველაზე ძვირად რა წიგნი შეგიძენიათ?

— ავსტრიული ეკონომიკური სკოლის წარმომადგენლის მიზესის წიგნში, 140 ლარი გადავიხადე. გურამ დოჩანაშვილის ოთხტომეულიც იმავე ფასად შევიძინე.

— გამოჩენილი ადამიანები ახსენეთ. სასწაული რომ მოხდეს და ერთ-ერთი მათგანის ცხოვრება რომ აგარჩევინათ, რომელს მიანიჭებდით უპირატესობას?

— რეიგანის ცხოვრებით სიამოვნებით ვიცხოვრებდი. ეს გახლდათ ის პრეზიდენტი, რომელმაც თავის თანამშრომლებს უთხრა: ორი საათის შემდეგ, არავინ დაგინახოთ სამსახურში, თუ ვინმეს ვნახავ, მივიჩნევ, რომ ცუდად მუშაობს და სამსახურიდან გავათავისუფლებო. ამერიკაში მუშაობა ადრე იწყება, ასე — 7 საათზე.

— ისევ წიგნებს დავუბრუნდეთ. ყველაზე ემოციური შთაბეჭდილება რომელმა წიგნმა დაგიტოვათ?

— ჩერჩილზე დაწერილმა წიგნმა, სადაც მისი ციტატებია მოყვანილი. საოცარი იუმორი ჰქონდა. ერთი მაგალითი მინდა მოვიყვანო: ინგლისში იყო პირველი პარლამენტარი ქალი — ლედი ნენსი ასტორი. ჩერჩილთან მეგობრობდა, მაგრამ თან შემთხვევას არ უშვებდნენ ხელიდან, ერთმანეთი რომ არ „გაეშავებინათ“. ერთხელ ჩერჩილი და ასტორი შეხვდნენ ერთმანეთს. ლედი ნენსიმ უთხრა — უინსტონ, შენი ცოლი რომ ვიყო, ყავაში საწამლავს ჩაგიყრიდიო, რაზეც ჩერჩილმა უპასუხა — შენი ქმარი რომ ვიყო, დიდი სიამოვნებით დავლევდი ასეთ ყავასო...

— რომელ წიგნზე გიტირიათ?

— ჰიუგოს რომანზე — „კაცი, რომელიც იცინის“.

— ხშირად ვის წიგნებს კითხულობთ?

— რეიგანზე გამოცემულ წიგნებს. ძალიან საინტერესო ადამიანი იყო. დიდი იუმორი ჰქონდა. თავის გამოსვლებს ასე იწყებდა: მართალია, რთულ საკითხებზე სალაპარაკოდ ვართ შეკრებილები, მაგრამ ბევრ დროს არ წაგართმევთ, სათქმელს მოკლედ მოგახსენებთ, რადგან მთავარი იქით გველისო — და გაშლილი სუფრისკენ მიუთითებდა.

— საოცნებო წიგნი თუ გაქვთ, რომლის შეძენაც ჯერ ვერ შეძელით?

— მაქვს და ვერ ვიშოვე, ეს არის XX საუკუნის პოლიტიკის ისტორიის ინგლისელი მკვლევრის ლორდი ექსტონის წიგნი. მას ეკუთვნის ცნობილი ფრაზა: „ძალაუფლება რყვნის ადამიანს, აბსოლუტური ძალაუფლება კი მას აბსოლუტურად რყვნის“. სამწუხაროდ, მისი წიგნი არა მაქვს, მის გარეშე კი ჩემი პოლიტიკური ძლიერება შესუსტებულია *(იცინის)*.

— იუმორის გრძნობით დაჯილდოებული ადამიანი ბრძანდებით. ერთხელ, ბრაზილიის პრეზიდენტმა თქვა, თუ შევატყვე, რომ სახელმწიფო გადატრიალება მზადდება, იმ დღესვე ფეხბურთის მატჩს დავნიშნავო. თქვენ რომ პრეზიდენტი იყოთ და საქართველოში ანალოგიური საფრთხის წინაშე დადგეთ, ქართველებს რით დააკავებდით?

— ქართველ კაცს?.. ქართველს ფეხბურთით ვერ დააკავებ. ამ შემთხვევაში, ალბათ, „ღვინო, დუდუკი, ქალები“ თუ უშველის საქმეს.

— ხშირად მოგზაურობთ და საზღვარგარეთ თავს გადახდენილ ამბებს ხომ არ გაიხსენებდით?

— მე და დათო კირკიტაძე ბრიუსელში ვიყავით ერთად წასულები. იქაური ღირსშესანიშნაობების გადაღება მოგვინდა და ფოტოაპარატი შევიძინეთ. საინტერესო ქალაქია, თან ძალიან კარგ სასტუმროში ვცხოვრობდით. მის გარშემო ბევრი რესტორანი იყო და ამ ტერიტორიაზე მანქანები არ შემოდიოდა. კაფე იყო ერთი — „ლეფე“, სადაც ყოველ დილით ჩავდიოდით და მოლუსკებს ვყიდულობდით. კასრებიდან ჯამებით ლუდს გეახლებოდით. ორ დღეში შევნიშნეთ, რომ ჩვენი საქმე ცუდადაა: გავსუქდით, ღიპები დაგვედო. სასწრაფოდ ლუდი ღვინით შევცვალეთ... ბრიუსელში ყოფნისას, სხვადასხვა ადგილას ერთმანეთს სურათებს ვუღებდით. არავისთვის გვითხოვია, ერთად გადაგვიღეთ-თქო. თბილისში რომ ჩამოვედით, უამრავი ფოტო ჩამოვიტანეთ, მაგრამ არც ერთზე არა ვართ ერთად. მეუღლემ მითხრა — თქვე უპატრონოებო, ვერ სთხოვეთ ვინმეს, თქვენთვის გადაეღო სურათიო *(იცინის)*?.. მე და დათო რეზერვისტთა პირველ ბანაკში ვიყავით ერთად. ძალიან საინტერესო ჯგუფი გახლდათ. მაშინ ახალი დაწყებული გვქონდა პარლამენტარის ეთიკის კოდექსზე მუშაობა. კოდექსში ერთი სიტყვა იყო — „ნეპოტისტი“. არავინ იცოდა მისი მნიშვნელობა *(თანამდებობის პირის მიერ ახლო ნათესავის დახმარება, იმ სამსახურში მოწყობა, სადაც მის დაქვემდებარებაში იქნებოდა. — ავტ.)* ეს სიტყვა ძალიან მოგვწონდა, ვხალისობდით. ვთქვათ, ვინმე დარეკავდა; რომ გკითხავდნენ — ვინ დარეკაო? — ნეპოტისტი იყო-თქო, — ვპასუხობდით. კობა ბექაურმა ამ სიტყვის მნიშვნელობა არ იცოდა და მთელი 3 კვირა გვეხვეწებოდა — გამაგებინეთ, რას ნიშნავსო. ბოლოს, როგორც იქნა ვუთხარით და გამოქანდა პარლამენტში, ჩვენ კი ჯარიდან დასასვენებლად ზღვაზე წავედით. პარლამენტში ეთიკის კოდექსი რომ მიიღეს, ჩვენ იქ არ ვიმყოფებოდით. ჟურნალისტები ყველა დეპუტატს ნეპოტისტის მნიშვნელობას ეკითხებოდნენ. „ნეპოტისტთან“ ერთად დოკუმენტში იყო სიტყვა „ტოლერანტობაც“. ვერც ერთმა პარლამენტარმა ვერ უპასუხა დასმულ კითხვას, მათ შორის — განათლებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ, ვიცე-სპიკერმა, იურიდიული კომიტეტის წევრებმა და მიადგნენ ბექაურს. ბოლოს და ბოლოს, ჰკითხეს კობას და მანაც უპასუხა — იცოდა *(იცინის)*!.. მაგრამ ჟურნალისტები ოხერი ხალხი ხართ და „ტოლერანტობაც“ ჰკითხეს, რას ნი-

შნავსო. რადგან ჯარში ეს საკითხი არ ჰქონდა გარკვეული, ვერ უპასუხა და „ჩაიჭრა“...

— იუმორი თუ გეხმარებათ პოლიტიკაში? მაგალითად, სერიოზული ან დაძაბული მოლაპარაკებები იუმორით თუ განგიმუხტავთ?

— აფხაზ ე.წ. სეპარატისტული პარლამენტის წევრებს უნდა შევხვედროდით უცხოელი კოლეგების დახმარებით. შეხვედრა შედგა, მაგრამ ძალიან დაძაბული სიტუაცია იყო. ეს ის პერიოდი გახლდათ, როცა ირაკლი ოქრუაშვილმა თქვა, ახალ წელს ცხინვალში შევხვდებიო. ამაზე ერთი ამბავი იყო ატეხილი. ის ადგილი, სადაც შეხვედრა შედგა, ზღვიდან 25 კილომეტრის მანძილზე მდებარეობდა. სიტუაცია ძალიან მაგრად რომ დაიძაბა, ავდექი და ვთქვი — ზღვაზე არ გავიდეთ, არ ვიბანაოთ-მეთქი. ჩემს წინადადებას აფხაზურმა დელეგაციამ დაუჭირა მხარი. ჩვენი, ქართული დელეგაცია ძალიან სერიოზულად შეხვდა ჩემს წინადადებას. იმ დღეს, გარკვეული მიზეზების გამო, მართლაც ვერ მოხერხდა ზღვაზე წასვლა. მეორე დღეს, როცა ჩაშლის პირამდე მისული მეორე შეხვედრა შედგა, გაირკვა, რომ ამ საქმეში ჩემს წინადადებას უმოქმედია და შემოვიდა წინადადება რეგლამენტი შეგვემუშავებინა. ხელი ავწიე — თანხმობის ნიშნად. აფხაზეთის წარმომადგენლები მიხვდნენ, რომ ვიტყოდი — პლაჟზე წავიდეთ-მეთქი, — მართლაც ეს საკითხი წამოვჭერი, ვიკითხე — ვინ უჭერს მხარს ზღვაზე გასვლას-მეთქი? აფხაზური მხარიდან ხელი ყველამ ასწია, ჩემთან ერთად. ქართულმა მხარემ ეს რომ დაინახა, ამათაც ასწიეს ხელი. ჰოდა, ყველა ერთად წავედით პლაჟზე. სხვათა შორის, ის დღე იმ მოლაპარაკებებზე ყოფნისას ყველაზე ნაყოფიერი აღმოჩნდა.

— ბატონო ალეკო, შეგიძლიათ დაასახელოთ ორი რამ, რაც ასაკის მატებასთან ერთად შეიტყვეთ?

— რა საინტერესო კითხვაა!.. ორი რამ... ხედავ, ამაზე არც მიფიქრია... ერთი, რომ ცხოვრება ძალიან დიდი ყოფილა, თუ წესიერად იცხოვრებ და მეორე, რომ ბავშვობა თურმე დასაფასებელია. ბავშვობაში სულ ვფიქრობდი — ნეტავ, სკოლას როდის დავამთავრებ, როდის დამთავრდება ეს წვალება-მეთქი?.. ახლა კი მივხვდი — სად გეჩქარება, შე სულელო? ეს თურმე საუკეთესო წლებია!.. ბავშვობის მეგობრებთან, ნაცნობებთან შეხვედრისას სულ სხვანაირი, ამაღლებული გრძნობა მეუფლება.

— რეინკარნაციის თუ გჯერათ?

— *(იცინის)* ძალიან საინტერესო თემაა.

— თუ გიფიქრიათ, წინა ცხოვრებაში ვინ იქნებოდით?

— შეიძლება, XV საუკუნეში მიცხოვრია. ამაზე მიფიქრია... ან XV-XV საუკუნეში — იმ პერიოდში, როცა რაინდული სულისკვეთება იყო. პრეზიდენტმა თქვა — XX საუკუნის ადამიანიაო და შეიძლება მომავალშიც მომიწიოს ცხოვრებამ *(იცინის)*...

— თქვენს თავში რამე წარსულის ანაბეჭდი ხომ არ აღმოგიჩენიათ?

— არა, მაგრამ სიზმარი დამსიზმრებია. ვიბრძოდი ბრიტანელების შემადგენლობაში 1756-1763 წლებში 7-წლიანი ომის დროს *(იცინის)*...

— თუ შეგიძლიათ, დაასახელოთ 5 ნივთი, რომლის გარეშეც ცხოვრება ვერ წამოგიდგენიათ?

— სანთებელა, წიგნი, მანქანა, კომპიუტერი და...

— ...ტელეფონი?

— ტელეფონის გარეშე ვიცხოვრებდი... კარგი კალამი.

ᲕᲘᲑᲠᲫᲝᲚᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐᲨᲘ 1756-1763 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ 7-ᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ

— ისეთი რა საქციელი გაქვთ ჩადენილი, რომელსაც ამოშლიდით თქვენი ცხოვრებიდან?

— ბევრი სისულელე ჩამიდენია, პირდაპირ გეტყვით და ბევრს ამოვშლიდი ჩემი ცხოვრებიდან *(იცინის)*.

— და ბოლოს, ბატონო ალეკო, ბევრი ინტერვიუ მიგიციათ. ისეთი რა კითხვა არ დაუსვამთ ჟურნალისტებს, რომელზეც სიამოვნებით გასცემდით პასუხს?

— ასეთი კითხვა არ არსებობს. ჟურნალისტებთან ძალიან ხშირი კონტაქტი მაქვს და უამრავ კითხვაზე მაქვს პასუხი გაცემული. ჟურნალისტებმა საიდუმლო კითხვა არ დამიტოვეს *(იცინის)*.

■

ᲕᲐᲠᲓᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲚᲔᲜᲢᲘᲗ ᲨᲔᲣᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲐ ᲓᲐ ᲜᲘᲢᲐᲡ ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘᲗ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ანუ რამ გააგიჟა თათია გიორგობიანის ქმარი

ლუკა და თათია პატარა ანიტასთან ერთად ერთოთახიან ბინაში, ვორონცოვზე, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიასთან ახლოს ცხოვრობენ. ხედი მართლაც საუცხოოა, ფართი კი — ნამდვილად პატარა. მაგრამ იქ, სადაც დიდი სიყვარულია, პრობლემებზე ლაპარაკი ზედმეტია...

სამწუხაროდ, ოჯახის ყველაზე მნიშვნელოვანი წევრი — წლინახევრის ანიტა სახლში არ დამხვდა. სამაგიეროდ, მასზე უზომოდ შეყვარებული და მისი ანცობით მოხიბლული მშობლები დამხვდნენ.

ᲚᲔᲚᲐ ᲭᲐᲜᲙᲝᲢᲐᲫᲔ

ᲗᲐᲗᲘᲘᲐ:

— უკვე მესამე წელია, რაც მე და ლუკა ერთად ვართ. ამ ბინაში მარტო ვცხოვრობთ. ეს კარგია. მშობლებისგან დამოუკიდებლად, ჩვენით გვინდა ყველაფერი გავაკეთოთ, შევიძინოთ, მოვაწყოთ. ეს ბინა სანამ შევუღლდებოდით, მანამ გავაკეთეთ. ვფიქრობ, რომ ახალშექმნილი ოჯახი ცალკე უნდა ცხოვრობდეს. მშობლები გვეხმარებიან. მათ ანიტას გარეშე წუთით არ შეუძლიათ. ჩემი ბებია და ბაბუა შვილთაშვილს მოესწრნენ. დედაჩემი ხომ სულ გადარეულია. მე მისთვის ერთადერთი შვილი ვარ. წარმოიდგინეთ, რა გრძნობა ექნება ჩემი შვილის მიმართ... ეს ბინა ერთოთახიანია. გვინდა, რომ გავფართოვდეთ.

— ბინის აშენებას ხომ არ გეგმავთ?

— არა, აშენება არ გვსურს, რადგან დიდხანს ლოდინი მოგვიწევს. ბევრი კარგი ბინა იყიდება. რამეს შევარჩევთ. აქედან ძალიან ლამაზი ხედია, ნარიყალა ჩანს. საღამოობით აივნიდან გადახედვას არაფერი სჯობს. აქვე, საბჭოს ქუჩაზე ცხოვრობენ ჩემი მშობლებიც. აქ გავიზარდე და ეს დასახლება ძალიან მიყვარს. ლუკა საბურთალოზეა გაზრდილი და მას უფრო მეტად საბურთალო უყვარს. სავარაუდოდ, სახლს საბურთალოზე შევიძენთ. პეკინზე მეც დიდი სიამოვნებით ვიცხოვრებდი.

— განსხვავებული აზრი ურთიერთობაში პრობლემებს არ გიქმნით?

— ხშირ შემთხვევაში ერთმანეთს ვეთანხმებით და ერთმანეთის აზრს პატივს ვცემთ. ლუკას ძალიან უყვარს ფეხბურთი. მე მიყვარს ჯაზი. ვამაყობ, რომ კომპაქტდისკების კარგი კოლექცია მაქვს. ლუკა მხოლოდ კარგ, კლასიკად ქცეულ მუსიკას უსმენს. ძირითადად, რეტრო უყვარს. საბედნიეროდ, ჩვენი

ტელევიზორის ეკრანი ორ ნაწილად იყოფა. ასე ვახერხებ, ვუყურო იმას, რაც მე მინდა. ზოგჯერ ფეხბურთსაც ვუყურებ. როცა საინტერესო თამაშია, დიდი სიამოვნებით ვადევნებ თვალს. გვიყვარს ფილმები. კინოთეატრშიც დავდივართ. ხშირად ახალ ფილმებს ვყიდულობთ. საღამოს „ჩავუსხდებით“ ხოლმე და დივიდის საშუალებით ვუყურებთ.

— რა საკითხში ვერ აღწევთ შეთანხმებას?

— ეს ჩაცმას არ ეხება. საერთოდ ვფიქრობ, რომ ანგარიშის განევა აუცილებელია. არ მიყვარს, როცა მას გულს ვტკენ. ლუკაც ასეთივე რბილი ადამიანია. მე ვიცი, მას რა ესიამოვნება. მასზეც იმავეს თქმა შემიძლია. ცხადია, არის წვრილმანები, რომელთა გახსენებაც კი არ ღირს. ჩვენ არა მარტო ერთმანეთს, არამედ სხვებსაც ვუწევთ ანგარიშს. თუ ვინმეს ვაწყენინე, მერე განვიცდი და ვფიქრობ, ხომ შეიძლებოდა, ასე არ მოვქცეულიყავი-მეთქი.

— ძნელი იყო შეგუების პროცესი?

— მე სულ ადრე ვიღვიძებდი. დილით ხუთ საათზე ვდგებოდი. „მუსიკალური ფოსტის“ გამო, შაბათ დღესაც ვმუშაობდი. ლუკა წუხდა. მეუბნებოდა: რა გჭირს, ხალხი შაბათ-კვირას ისვენებს, შენ კი უთენია გარბიხარო. არ უნდოდა, ადრე ავმდგარიყავი. ამასთან შეგუება ნამდვილად მოუხდა.

ლუკა:

— მე ვიძინებ გვიან. როგორც წესი, დასაძინებლად ვწვები ღამის ორი საათის შემდეგ. სამაგიეროდ, ვიღვიძებ გვიან, ძალიან გვიან.

თათია:

— ჩემთვის გვიან დაძინება წარმოუდგენელი იყო, მაგრამ ახლა ხშირად მიწევს. სამაგიეროდ, დილით ისე ადრე აღარ ვდგები, როგორც ეს „ნუცას სკოლის“ დროს ხდებოდა.

ლუკა:

— ყველაზე კარგია ნიტას „გრაფიკით“ ცხოვრება.

თათია:

— როცა ლუკა არ მუშაობს და სახლშია, ნიტასთან ერთად, შუადღისას ჩვენც ვიძინებთ. საღამოს კი ათ საათზე ვაწვენთ და ჩვენც ვწვებით. ნიტა ჩაიძინებს, ჩვენ კი ტელევიზორს ვუყურებთ.

— რა ხდება მაშინ, როცა ნიტა ეკრანზე თავის მშობლებს ხედავს?

თათია:

— ჩემს მშობლებს აქვთ ჩემი ჩანაწერები. ნიტა, როცა მათთან არის, ჩაართვევინებს და მთელი დღე უსმენს ან უყურებს.

ლუკა:

— რაც ყველაზე მთავარია, ნიტა ჭამს დედიკოს სიმღერის ფონზე. ჩემს მობილურ ტელეფონში წერია თათიას კლიპი. ჭამის დროს ნიტა ჩამართვევინებს ხოლმე. თუ არ უყურებს, ისე არ შეჭამს. ჭამას დაამთავრებს თუ არა, მაშინვე დახურავს და იტყვის — „დედაა“.

— ამ სამი წლის განმავლობაში რა შეცვალეთ ერთმანეთის ხასიათში?

თათია:

— ჩვენ ერთმანეთი „იმედში“ გავიცანით. თავიდან ლუკა ჩემთვის მხოლოდ კოლეგა იყო. ასევე მიიჩნევდა ლუკაც. ჩვენი ურთიერთობა ჩვეულებრივად, მეგობრობით დაიწყო. ყოველთვის მომწონდნენ მისი მსგავსი ადამიანები. ძალიან იშვიათია მამაკაცი, ასე კარგად რომ შეეძლოს ყველას მიმართ ყურადღების გადანაწილება. ჩემთან დამოკიდებულებაში ორმაგად უკეთესია. განსაკუთრებული ურთიერთობა აქვს ანიტასთან. მე მგონი, მამებისთვის გოგონები უფრო საყვარლები არიან. მომწონს ლუკას პიროვნება, მის ხასიათში არაფრის შეცვლა არ მიფიქრია.

— პატარას როგორ შეურჩიეთ სახელი?

— სახლში სახელების სია გვაქვს. არ გვინდოდა, მისთვის ჩვეულებრივი სახელი დაგვერქმია. გვინდოდა, რაღაც ლამაზი და ორიგინალური შეგვერჩია. ანბანის მიხედვით სიაც კი შევადგინეთ. ბოლოს ვთქვი, რომ გაჩნდება და დავხედავ, მაშინ გადავწყვეტ-მეთქი. ლუკა იცინოდა, ბავშვს რომ გააჩენ, სახელზე ფიქრის თავი სადღა გექნებაო. მაგრამ მაინც ისე მოხდა, რომ ორი დღის განმავლობაში ჩვენს პატარას ხელზე ეწერა მხოლოდ „გოგო“. ყველა გვეკითხებოდა, რას არქმევთ, რა მოიფიქრეთო. ბოლოს, ერთხმად გადავწყვიტეთ ანიტა დაგვერქმია. არჩევანით ნამდვილად კმაყოფილი ვარ.

— ეი. მეორე ბავშვისთვის საკარაუდო სახელების სია უკვე არსებობს?

— მეორეზე ცოტა ვკამათობთ. ლუკას ბიჭი უნდა. მე კი მიმაჩნია, რომ ეს მხოლოდ ღვთის ნებაა. თუ ბიჭი გვეყოლება, ბიჭის სახელების სიას ამოვიღებთ. სასაცილოა, მაგრამ სია ვარდისფერი ლენტით შევკარი და სათუთად შევინახე. უახლოეს მომავალში მეორე ბავშვის გაჩენა დაგეგმილი არ გვაქვს.

ლუკა:

— კიდევ სახელებზე ლაპარაკობთ?

თათია:

— ჰო, სიაზე მოვუყევი.

— წარმომიდგენია, ბიჭს როგორ შეურჩევთ სახელს.

ლუკა:

— ბიჭზე მოფიქრებული მაქვს.

— რა უნდა დაარქვათ?

ლუკა:

— ლაზარე.

თათია:

— ანიტა უფრო ევროპული სახელია. ლაზარე კი აბსოლუტურად განსხვავებული.

— ე.ი. მეორე აუცილებლად ბიჭი იქნება?

ლუკა:

— რა თქმა უნდა.

თათია:

— ეს ლუკა ფიქრობს ასე. ის ძალიან ოპტიმისტია.

ლუკა:

— კიდევ გოგო გინდა? ერთი გოგო არ გვეყოფა? ნიტასთან თოჯინებით მე ვთამაშობ. უკვე გიჟს ვგავარ.

თათია:

— თავიდანვე ვიცოდი, გოგო რომ მეყოლებოდა. გამოკვლევა ორსულობის ადრეულ პერიოდში ჩავიტარე. მაგრამ სქესი მაინც მითხრეს. ამის გამო მერე ყველა მეუბნებოდა, ექიმი შეიძლება შეცდესო. მე ჯიუტად ვამბობდი, არ არსებობს-მეთქი. მაგრამ ბოლოს ეჭვი მაინც შემეპარა. ჩემზე წინ ვინც იმშობიარა, ყველას ბიჭი შეეძინა. გავიფიქრე, ალბათ, მეც ბიჭი მეყოლება-მეთქი.

ლუკა:

— პირველი მეც გოგო მინდოდა.

— მეორეც რომ გოგო იყოს?

— ლუკა:

— მერე რა მოხდა. მესამე ხომ იქნება ბიჭი. ოთხზე გავჩერდებით.

თათია:

— დედაჩემს ჰყავს ორი და და ორი ძმა. მის მშობლებს ჰყავთ რვა შვილიშვილი და შვილთაშვილი. ჩემს შემთხვევაში მოხდა ისე, რომ ერთი ვარ. მაგრამ დეიდაშვილების გვერდით გავიზარდე, ამიტომ დედისერთებისთვის დამახასიათებელი ეგოიზმი ჩემგან შორს არის.

— რა გეგმები გაქვს?

თათია:

— ვწერ ახალ სიმღერებს. რამდენიმე სიმღერა უკვე მზად მაქვს. შეიძლება ალბომიც გამოვცე. ამჟამად ვმუშაობ ორ ახალ სიმღერაზე. ერთი ეკუთვნის ლილიკო ნემსაძეს, მეორე გია მაჭარაშვილს. ძალიან საყვარელი და ცნობილი რუსულენოვანი სიმღერის ჩაწერასაც ვგეგმავ. სულ მეკითხებიან, რამე ახლის გაკეთებას არ აპირებო? ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემს მსმენელს მოვენატრე. სექტემბრიდან სატელევიზიო სივრცეშიც გამოვჩნდები.

— რატომ დაიხურა შენი გადაცემა?

— სამი წლის განმავლობაში პროექტი არ შეცვალილა. აბსოლუტურად ერთფეროვანი გახდა, ამიტომაც გაჩერდა. ახლა მინდა, მაყურებლის წინაშე უფრო სერიოზული და ნაფიქრი პროექტით წარვდგე. ■

erTmetriani aryis boTli, milion dolarad dazRveuli cxviri da 1 boTl viskiSi gadaxdili 11 aTasi dolari

„45 წელია, საყვარელ საქმეს ვემსახურები"

დღემდე უცნობია, სად შეიქმნა პირველი ალკოჰოლური სასმელი. მის წარმოშობასთან დაკავშირებით, ჩვენამდე არაერთმა ვერსიამ მოაღწია. კეთილშობილი და დახვეწილი გემოს მქონე პროდუქციის შექმნა, ყოველთვის მატერიალური კულტურის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. მათ მრავალსაუკუნოვანი განვითარების გზა გაიარეს, დაწყებული მათრობელა სითხიდან, რომელსაც სხვადასხვა ხილისა და ნედლეულისგან ამზადებდნენ, დამთავრებული თანამედროვე მაღალხარისხოვანი სასმელებით.

მაგარი ალკოჰოლური სასმელების ცნობილი ქართველი სპეციალისტი ბონდო კალანდაძე 45 წელია, ამ სფეროში მუშაობს. მონაწილეობა აქვს მიღებული მსოფლიოს 35 ქვეყანაში გამართულ თათბირ-სემინარებში, საერთაშორისო გამოფენებსა და ბაზრობებში; ამასთანავე, ის სხვადასხვა მაგარი ალკოჰოლური სასმლის 50-ზე მეტი ფორმულა-რეცეპტის ავტორი და თანაავტორი გახლავთ.

თამუნა კვინიკაძე

— იმაზე, რომ საქართველო ღვინის სამშობლოა, უცხოელები დიდი ხანია, აღარ დაობენ. „ვინოპოლისის მუზეუმში" (ლონდონი) ანუ „ღვინის ქალაქის" შესასვლელში წერია: „თქვენ იმყოფებით პირველ პავილიონში, ქვეყანში, სადაც ვაზი პირველად გააკულტურეს და ღვინო შექმნეს. ეს ქვეყანაა საქართველო". შემდეგ, გრძელდება ისტორია და მოთხრობილია, თუ რომელ ქვეყანაში როდის გავრცელდა ეს კულტურა.

— ქართული მითი ჩვენს ქვეყანაში ვაზის გავრცელების შესახებ, რას მოგვითხრობს?

— სვანეთში დამკვიდრებული ერთ-ერთი მითის მიხედვით, ღმერთი თავისი ხელით დაატარებდა ვაზის ნერგებს და ავრცელებდა მთელ საქართველოში. მდინარე ენგურს რომ აჰყვა, სოფელ ლალხორთან (ხაიშის საკრებულო) ეშმაკი შეხვდა და იქ ყოფნის მიზეზი ჰკითხა. როდესაც ღმერთისგან პასუხი მოისმინა, შესთავაზა: მომეცი ეგ ვაზის ნერგები, შენი სახელით მდინარეს უშგულამდე ავუყვები და გავავრცელებო. ამბობენ, მაცხოვარმა ეშმაკს დაუჯერა, ვაზის ნერგები მას გადასცა, თვითონ კი უკან გაბრუნდა; ეშმაკმა ნერგები უშგულში ატანის ნაცვლად, მდინარეს გაატანა, ამიტომ ენგურს იქით ვაზი დღესაც არ ხარობსო. ჩვენს ქვეყანაში კახურ და იმერულ ღვინოებს ოჯახურ პირობებში ოდითგანვე აწარმოებდნენ. მაგრამ მას შემდეგ, რაც საზღვარგარეთის ბაზარზე გავედით, ევროპულ ღვინოებზე მოთხოვნილებამ იმატა.

— რა განსხვავებაა ევროპული ტექნოლოგიით და ოჯახურ პირობებში დაყენებულ ღვინოებს შორის?

— ევროპული ღვინო საწნახელისა და ქვევრის გარეშე დგება. ყურძნის დაწურვის და შემდგომი დადუღების პროცესი უახლესი ტექნოლოგიით ხდება. კარგი ღვინის მისაღებად დიდი მნიშვნელობა აქვს ყურძნის ხარისხს, მისი დაკრეფის დროს. ხშირ შემთხვევაში, გლეხი ყურძნის კრეფას მაშინ იწყებს, როდესაც ოჯახის წევრების თავმოყრას მოახერხებს. არადა, ყურძნის დაკრეფის დროს ბევრი რამ არის გასათვალისწინებელი.

— კონკრეტულად რას უნდა მიექცეს ყურადღება?

— აუცილებელია მოხდეს ყურძნის შაქრიანობისა და მჟავიანობის შემოწმება. არ შეიძლება წვიმიან ამინდში დაკრეფა, რადგან ამ დროს მტევნიდან ბუნებრივი საფუვრის ჩარეცხვა ხდება, რაც შემდეგ დუღილის პროცესის შეჩერებას იწვევს. სასურველია, ყურძენი კარგ ამინდში, დილადრიან, მზის ამოსვლამდე დაიკრიფოს. მისი ტრანსპორტირება შორ მანძილზე არ არის სასურველი, რადგან მარცვლები იჭყლიტება, მასში მიკრობები აღწევს, რაც საბოლოო ჯამში, ღვინის ხარისხზე აისახება.

— ქართული სუფრა თამადის გარეშე წარმოუდგენელია. საინტერესოა, როდიდან დამკვიდრდა ეს ტრადიცია საქართველოში?

— ზაქარია ჭიჭინაძის მოგონებებში წერია: ერთმა მოხუცმა კაცმა მიამბო, რომ ერეკლე მეფის დროს სახელგანთქმული მსმელი ყოფილა ვინმე თამაზ ჩერქეზიშვილი. თითო ჩარექა ღვინოს ისე დაცლიდა, ერთხელაც არ შეისვენებდა, ამიტომ მას „ჩარექიშვილი" უწოდესო. როდესაც სამეფო კარზე სხვადასხვა ქვეყნიდან სტუმრები გვეწვეოდნენ, მეფის ბრძანებით მთელი საქართველოს წარჩინებული ახალგაზრდობა შეიკრიბებოდა. ეს ახალგაზრდები ამოირჩევდნენ ერთ-ერთს, რომელსაც ბევრი ღვინის დალევა შეეძლო და სუფრაზე საპატიო ადგილზე, მუთაქაზე დასვამდნენ. პირველად მას უნდა დაეცალა აზარფეშა და საჭმლის გემოც გაესინჯა. აქედან წარმომდგარა სიტყვა „თავი მადა" ანუ თამადა. ტოლუმბაშიც იმიტომ დაურქმევიათ, რომ იგი მიიჩნეოდა, როგორც „ტოლების თავი" ანუ სპარსულად „ბაში". აი, ასეთი საინტერესო ამბავი აქვს მოთხრობილი ზაქარია ჭიჭინაძეს.

— რას გვეტყოდით „პახმელეიის" სინდრომზე?

— დილაობით თავი არ სტკივა მას, ვინც ცოტა კი არ დალია, არამედ მას, ვინც სწორად დალია. დიდი რაოდენობით ალკოჰოლის მიღების დროს, ორგანიზმში ტოქსინები გროვდება, რაც იწვევს „პახმელიას". არ არის რეკომენდებული სასმელების ერთმანეთში არევა ან მაგარ სასმელზე გაზიანი უალკოჰოლო სითხის დაყოლება. ეცადეთ, „პახმელიაზე" არ მირთვათ ყავა. კარგია, თუ დიდი რაოდენობით წყალს მიიღებთ, რათა აღიდგინოთ წინა დღეს დაკარგული სითხე. მისაღებია ასევე ბანანი, წყალში ხსნადი ვიტამინი C, სუფთა ჰაერზე გასეირნება. „პახმელიას" ყველა ქვეყანასა და ენაში შესატყვისი გამოთქმა მიესადაგება: ფრანგულად — ხის დინგი, გერმანულად — კატების კნავილი, პოტუგალიურად — გადაგორება, ნორვეგიულად — დურგალი თავში, იტალიურად — მოშლილი, დანიურად — დურგალი, იეზიდურად — თავი მტკივა. თუ ადამიანი ალკოჰოლურ სასმელს ზომიერად მოიხმარს, დღის 3-დან ღამის 12 საათამდე პერიოდში, მას ალკოჰოლიზმის დაავადება არ ემუქრება.

— თქვენ აღნიშნეთ, რომ ღვინოს ჩვენი წინაპრები უძველესი დროიდან აწარმოებდნენ. საინტერესოა, როდიდან იწყება საქართველოში მაგარი ალკოჰოლური სასმელების ისტორია?

— უძველესი ლიქიორების და მა-

გარი სასმელების შემქმნელები იყვნენ ალქიმიკოსები, შემდეგ კი — ბერები და მონაზვნები. თითქმის ყველა ცნობილი ლიქიორის შექმნის იდეა ქალთან არის დაკავშირებული. გავიხსენოთ იამაიკური „თია მარია“, რომელიც ყავის ლიქიორის ბაზაზე მზადდება. მისი წარმოშობის შესახებ ლეგენდა მოგვითხრობს: XVII საუკუნეში, როდესაც იამაიკა კარიბის ზღვის ქვეყნების კოლონიურ ომში ჩაება, ერთ-ერთი სოფლის დაბომბვის დროს ოჯახის მეპატრონეები გაიქცნენ, მათ ჩამორჩათ მოსამსახურე ქალი — მარია და ოჯახის მცირეწლოვანი ქალიშვილი. მარიამ მოახერხა, გაქცევის დროს თან წაეღო საოჯახო ლიქიორის რეცეპტი. წლების შემდეგ, მოსამსახურემ ეს რეცეპტი ოჯახის მცირეწლოვან ქალიშვილს გადასცა. ლიქიორს შემდეგ მოსამსახურის პატივსაცემად „თია მარია“ ანუ „დეიდა მარია“ დაერქვა. საქართველოშიც ქარხნული ტექნოლოგიით დამზადებული მაგარი ალკოჰოლური სასმლის პირველი წარმოების პატივი ქალბატონს — ბარბარე იმერლიშვილს ეკუთვნის. მან სესხის სახით 25.000 მანეთი აიღო და 1828-1829 წლებში იმ ადგილას, სადაც მდინარე ვერე მტკვარს უერთდება, საქართველოში პირველი ქარხანა დააარსა, საზღვარგარეთიდან უცხოური ტექნიკური აღჭურვილობა ჩამოიტანა და სპეციალისტები ჩამოიყვანა. იმერლიშვილის ქარხანა აწარმოებდა როგორც ჭაჭის, თუთის, ფიჭის და სხვა ხილის არყებს, ასევე ლიქიორს, ლუდს და ძმარს. ამ ასპარეზზე მან უცხოელ სპეციალისტ ედილსონთან ერთად დიდ წარმატებას მიაღწია. გარდა იმისა, რომ წარმოებული პროდუქცია საზღვარგარეთ გაჰქონდა, ადგილობრივ, მის მიერვე დაარსებულ დუქნებს ამარაგებდა. იმ პერიოდისთვის თბილისში ბევრი უცხოელი იყო ჩამოსული: შვეიცარიიდან — მესაათეები, ავსტრიიდან და რუსეთიდან — ექიმები. ზოგი მუშაობდა, ზოგიც საკუთარ ბიზნესს აწარმოებდა. ამიტომ ალკოჰოლურ პროდუქციას საქართველოშიც დიდი გასავალი ჰქონდა. ბარბარე იმერლიშვილის შემდეგ თბილისში 1836-37 წლებში ალკოჰოლური სასმელების მეორე ქარხანა გაიხსნა. მისი მფლობელი გახლდათ იაკობ ზუბალაშვილი. ზუბალაშვილების სახელთან არის დაკავშირებული საქართველოში პირველი შაქრის ქარხნის ამუშავებაც. მოგვიანებით, მაგარი ალკოჰოლური სასმელების წარმოებით სახელი გაითქვეს: ბოლქვაძემ, ადანაიამ, გაბუნიამ, ჭელიძემ. მათ ვაშლის, ატმის, ალუბლის, ტარხუნის არყების გარდა, ისეთი ელიტური სასმელების წარმოებასაც მიჰყვეს ხელი, როგორიც იყო შვეიცარიული აბსენტი, იამაიკური რომი, გერმანული შნაპსი. პროდუქციას საზღვარგარეთიდან შემოტანილი ნედლეულითა და რეცეპტურით ამზადებდნენ.

ერთადერთი კაცი ვარ საქართველოში, ვის ოჯახშიც ერთმეტრიანი არყის ბოთლი ინახება

— ალბათ საქართველოდანაც არაერთი რეცეპტის გატანა ხდებოდა...

— მოძიებული მასალებიდან ირკვევა, რომ პირველი ოფიციალურად დარეგისტრირებული არაყი ყოფილა „ერისთავი“. იგი იტალიაში მზადდებოდა, დიდი პოპულარობით სარგებლობდა და თავისი ხარისხით ერთ-ერთი საუკეთესო კლასიკური არაყი იყო ევროპაში. მისი შემქმნელი გახლდათ კონსტანტინე ერისთავი. კონსტანტინეს ოჯახი ქართლში ცხოვრობდა. იმ წლებში, როცა ქართლი რუსეთს შეუერთდა, ერისთავების ოჯახი პროტესტის ნიშნად საცხოვრებლად იმერეთში გადასულა. კონსტანტინე, როგორც რუსეთისადმი მტრულად განწყობილი პირი, 1804 წელს დაუპატიმრებიათ და სანქტ-პეტერბურგში გადაუსახლებიათ. ოჯახის სხვა წევრები კი სამშობლოში დარჩენილან. 1806 წელს თავად კონსტანტინეს, სანქტ-პეტერბურგში ყოფნის დროს, შეუქმნია არაყი „ერისთავი“. 1857 წ. პეტერბურგში მცხოვრებ თავად კონსტანტინეს პრინც ერისტოვის წოდება მიანიჭეს. წლების შემდეგ კონსტანტინეს შვილიშვილმა ნიკოლოზ ერისთავმა ნოტარიალურად დაამოწმა ნებართვა, რომლის თანახმადაც ქალაქ ტურინში არსებულ საზოგადოებას — „მარტინი და როსი“ — ექსკლუზივის სახით ეძლეოდა უფლება, ეწარმოებინა არაყი მისი რეცეპტით; ამავდროულად თვითონ წარმოების პროცესში ტექნიკური დახმარება უნდა გაეწია. რამდენიმე წლის განმავლობაში არაყი — ERISTOW — ევროპის მრავალ ქვეყანაში გახდა პოპულარული და დღეს 1 მილიონი 400 ათასი ყუთის ოდენობით იყიდება.

1806 წელს თავად კონსტანტინეს, სანქტ-პეტერბურგში ყოფნის დროს, შეუქმნია არაყი „ერისთავი“. რამდენიმე წლის განმავლობაში არაყი — ERISTOW — ევროპის მრავალ ქვეყანაში გახდა პოპულარული

— ბატონო ბონდო, როგორც ვიცი, თქვენ ქართული ლიქიორის თემაზე დაიცავით დიპლომი. რამდენიმე რეცეპტს ხომ ვერ შემოგვთავაზებთ?

— დიახ, ჩემი ნაშრომი იყო პირველი დიპლომი ქართულ ლიქიორზე. მას შემდეგ 45 წელია, ამ საქმეს ვემსახურები. საოჯახო პირობებში ლიქიორის დამზადების დროს იყენებენ ორ ვარიანტს: ხილისგან წვენის გამოწურვას და არაყზე დამატებას ან არყის ხილზე დაყოვნებას. ორივე შემთხვევაში უმატებ შაქრის სიროფს, სასურველი გემოს მისაღებად.

ფორთოხლის ლიქიორი:

5 ფორთოხლის კანი წვრილად დაჭერით და 2 ლ არაყთან ერთად მოათავსეთ მინის ჭურჭელში. 3 კვირის განმავლობაში დადგით მზეზე ან თბილ ადგილას. შემდეგ გაფილტრეთ და დაუმატეთ 400 გ შაქრის სიროფი. 2 კვირის განმავლობაში დააყოვნეთ, შემდეგ გაფილტრეთ და ჩაასხით ბოთლებში.

ნუშის ნაყენი:

200 გ ნუშის ნაყენი, 100 გ გარგარის კურკის გული, 4 გ მიხაკი, 5 გ ქინძის თესლი დანაყეთ და 4 ლ არაყთან და 500 გ შაქრის სიროფთან ერთად მოათავსეთ მინის ჭურჭელში. კარგად მოურიეთ და დააყოვნეთ 10 დღის განმავლობაში. შემდეგ დაუმატეთ 0,5 ლ ადუღებული წყალი, გაფილტრეთ და ჩაასხით ბოთლებში.

მაყვლის ნაყენი:

1 ლ 96%-იანი სპირტი, 2 ლ მაყვლის წვენი, 1,4 ლ შაქრის სიროფი, 0,05 გ ვანილი და 3 გ ლიმონის მჟავა მოათავსეთ მინის ჭურჭელში. კარგად მოურიეთ და დააყოვნეთ 2-3 დღე. შემდეგ გაფილტრეთ და მოათავსეთ ბოთლებში.

ჯვერცხის ლიქიორი:

4 კვერცხის გული და 300 გ შაქარი კარგად უნდა აითქვიფოს, დაემატოს 400 გ ადუღებული ცივი რძე და 250 გ სპირტი. ეს ყველაფერი უნდა მოთავსდეს მინის ჭურჭელში 5-6 დღით, შემდეგ გაიფილტროს და გადაისხას ბოთლებში.

უცხოელ კოლეგებთან ერთად

— **ახლა მოკლედ ბოთლის ისტორიის შესახებაც ვუამბოთ ჩვენს მკითხველს.**

— ბოთლის ისტორია ქვის ხანიდან იწყება. მინის გამოყენება პირველად ეგვიპტელებმა სცადეს. დიდი ხნის განმავლობაში მინის ჭურჭლით მხოლოდ მოსახლეობის შეძლებული ფენა სარგებლობდა. ძველ საბერძნეთში ღვინის შესანახ ჭურჭელს „ბოუტის“ უწოდებდნენ (აქედან წარმოიშვა სიტყვა „ბოთლი“). რუსი თავადების პირველი თაობა სუფრაზე ღვინოს ძვირფასი გრაფინებიდან მიირთმევდა. ამ დროს საფრანგეთში სუფრის ტრადიციებში რევოლუცია მოხდა. როდესაც ერთ-ერთმა ფრანგმა მარკიზმა სტუმრები სადილად დაპატიჟა, სუფრაზე ღვინო ბოთლებით მიართვა. მაშინ მდიდრულ წვეულებაზე ბოთლების სუფრაზე მიტანა, ძვირად ღირებული ვერცხლის, ბროლის, ვენეციური მინის გრაფინების გვერდით ვერავის წარმოედგინა, მაგრამ მალე ბოთლი მოდურად გადაიქცა. მარკიზის მიერ გადადგმულმა გაბედულმა ნაბიჯმა ჯერ ფრანგულ სუფრაზე მოიკიდა ფეხი, შემდეგ კი ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში გადაინაცვლა.

— **დღეს ალკოჰოლის სიმაგრის გასასინჯი არაერთი საშუალება არსებობს. როგორ უსინჯავდნენ მას სიმაგრეს ჩვენი წინაპრები?**

— პირველი საწარმოები ძალზე ორიგინალურ ხერხს იყენებდნენ: სპირტს და დენთს ერთმანეთში თანაბარი პროპორციით ურევდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ. თუ მიღებულ მასას ცეცხლი არ წაეკიდებოდა, სუსტი სიმაგრის მქონედ მიიჩნეოდა, ხოლო თუ აფეთქდებოდა ან ცეცხლი სწრაფად წაეკიდებოდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ სპირტი მაღალი გრადუსის იყო; თუ წვა თანაბრად მიმდინარეობდა და ლურჯი ალით გამოირჩეოდა, მაშინ პროდუქტი ნორმალურად მიიჩნეოდა, თანამედროვე კლასიფიკაციით — 50% და მისი მოხმარებაც შეიძლებოდა. ამ მეთოდს იყენებდნენ XVII ს-მდე. შემდეგ, კლარკმა გამოიგონა წონითი ტივტივა, რომლის საშუალებითაც ალკოჰოლის სიმაგრეს ადგენდნენ.

— **თქვენ, როგორც მაგარი ალკოჰოლური სასმელების სპეციალისტს, 35 ქვეყანაში გამართულ გამოფენებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული. მათ შორის რომელი დაგამახსოვრდათ განსაკუთრებულად?**

— თითოეულ გამოფენაში მონაწილეობას ჩემთვის, როგორც სპეციალისტისთვის, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. საფრანგეთში კონიაკის დეპარტამენტში ყოფნის დროს გავიცანი „სარდაფის ოსტატი“ ჟაკ რუვიე (ეს უმაღლესი წოდებაა ამ დარგში). მან ჩემში კოლეგა დაინახა, ყველა საცავი დამათვალიერებინა, შემდეგ ოჯახშიც მიმიპატიჟა, გამოცდილება გამიზიარა. ცნობილ რომაულ გამოთქმას — „გემოვნებაზე არ დაობენ“, — დეგუსტატორებმა დაუმატეს — „მაგრამ მსჯელობენ“. ცნობილი ფრანგი ენოლოგი (ღვინის სპეციალისტი) აწ გარდაცვლილი ემილ პეინო ამბობდა — მიაწოდეთ ნებისმიერ პიროვნებას სასმელი სადეგუსტაციო ჭიქით და იმის მიხედვით, თუ როგორ დაიჭერს მას ხელში, შეიტყობთ, არის თუ არა ის პროფესიონალი. სადეგუსტაციო ჭიქის ფეხი საკმაოდ გრძელია, რათა ხელი ჭიქას არ შეეხოს. ზედმეტი სითბო, რომელიც ჭიქას ხელისგულიდან გადაეცემა, ღვინისთვის არასასურველია. შოტლანდიელი დეგუსტატორის, კოლინ სკოტის ცხვირი მილიონ დოლარად არის დაზღვეული. როდესაც ის თვითმფრინავით მგზავრობს, რეცეპტურა სეიფში ინახება. პარიზში მონტორგეილის ქუჩაზე ათეულობით რესტორანია განთავსებული, რომელიც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის გურმანების თავშეყრის ადგილია. სულ ახლახან მათ რიგს კიდევ ერთი — Gout du noir („წყვდიადის გემო“) შეემატა. რესტორანი სარდაფშია განთავსებული და მსოფლიოში ერთადერთია, სადაც მომხმარებელს სრულ სიბნელეში ემსახურებიან. მეპატრონეები კლიენტებს წინასწარ აფრთხილებენ, ეწვიონ ძველი ტანსაცმლით, რადგან სიბნელეში შესაძლოა ღვინო გადაესხათ. მომხმარებელმა სიბნელეში მირთმეული კერძის დასახელება „ბრმა დეგუსტაციის“ წყალობით, თვითონ უნდა გაარჩიოს. დარბაზში სიგარეტის მოწევა, სანთებლის ან ასანთის გამოყენება და ფოსფორის ციფერბლატიანი საათებით შესვლაც კი იკრძალება. თავიდან სიბნელის გამო ბევრი პანიკაშიც ვარდება, მაგრამ შემდგომში ეგზოტიკისა და ცნობისმოყვარეობის გრძნობა სძლევთ და იქაურობას ეჩვევიან. ჰოლანდიაში საქმიანი ვიზიტით ყოფნის დროს, ჩემს იქაურ კოლეგებს იმდენად მოეწონათ ჩატანილი პროდუქცია, მითხრეს — რაიმე ორიგინალური საჩუქარი უნდა გაგიმზადოთო. გამომგზავრების დღეს გადმომცეს ერთმეტრიანი არყის ბოთლი. ასე რომ, ერთადერთი კაცი ვარ საქართველოში, ვის ოჯახშიც ერთმეტრიანი არყის ბოთლი ინახება.

შოტლანდიელი დეგუსტატორის, კოლინ სკოტის ცხვირი მილიონ დოლარად არის დაზღვეული

— **რომელია ყველაზე ძვირად ღირებული სასმელი, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში ვიზიტის დროს შეგხვედრიათ?**

— 2004 წლის ივნისში, ლონდონში დიდი პომპეზურობით აღინიშნა დედოფლის ელისაბედ II-ის ტახტზე ასვლის 50 წლისთავი. ვისკის მიმწოდებელმა კომპანიამ ამ საიუბილეო თარიღისათვის მზადება 10 წლით ადრე დაიწყო. ამ კომპანიის ცნობილმა კუპაჟის ოსტატმა, კოლინ სკოტმა საცავებში არსებული სპირტის საუკეთესო ნიმუშები შეარჩია და სამეფო კუპაჟი დაამზადებინა. 10 წლის წინ დამზადებული კუპაჟიდან 2004 წელს ჩამოისხა 255 ბოთლი ვისკი სახელწოდებით — Royal Salute 50. აქედან 1 ბოთლი დედოფალს აჩუქეს, დანარჩენი 254 ბოთლი კოლექციონერებმა შეიძინეს, 5 ბოთლი რუსეთში აუქციონზე გაიყიდა, თითოეული ბოთლი — 8.888 დოლარად. ამ კოლექციის ვისკის ფასი ყოველდღე იზრდება: მოსკოვში ღვინის სპეციალიზებულ მაღაზია „ღვინის კოლექციაში“ 194-ე ბოთლი 11.000 დოლარად გაიყიდა.

სიყვარულში გამოუცდელი ანანო ზრდილობიან და ყურადღებიან საქმრის ძიებს

„თუ ადამიანი შინაგანად ცარიელია, მისი ფული არაფერში გამოგადგება“

„ჯეოსტარელმა“ ანანო მჟავიამ სცენაზე გამოჩენის დღიდანვე უამრავი თაყვანისმცემელი შეიძინა. მომხიბლავი „ჯეოსტარელი“ თავისი საქმის პროფესიონალი და ამავე დროს, კარგი მეოჯახეცაა. „დაოჯახების შემდეგ, თავისუფლად შემიძლია, ცალკე ვიცხოვრო და ყველანაირ საოჯახო საქმეს თავი იოლად გავართვა“, — ამბობს ანანო.

სოფო ჭონიშვილი

— ანანო, შენი ოჯახი გაგვაცანი.

— მყავს დედა, მამა და ერთი ძმა. მამაჩემი — ზურაბ მჟავია კომპოზიტორია. დედაჩემი მომღერალი იყო, მაგრამ შემდეგ, გარკვეული მიზეზების გამო სიმღერას თავი დაანება და ამჟამად ბავშვებს უცხო ენაში ამეცადინებს. ძმა 23 წლისაა, ტურიზმის ფაკულტეტი დაამთავრა. რაც შემეხება მე, მოდელირების ფაკულტეტის ბოლო კურსზე ვსწავლობ, პარალელურად კი ახალ სიმღერებს ვწერ.

— რამდენი წლის ხარ?

— 21-ის.

— ორი სიტყვით, როგორ შეაფასებდი საკუთარ თავს?

— გაწონასწორებული და უკონფლიქტო ადამიანი ვარ.

— ბედისწერის გჯერა?

— მიმაჩნია, რამდენად შრომისმოყვარე და ნიჭიერიც არ უნდა იყო, თუ იღბლიანი არა ხარ, წარმატების მიღწევა ძალიან გაგიჭირდება.

— ოდესმე მკითხავთან ყოფილხარ?

— (*იცინის*) ერთხელ ვიყავი, მეგობრებთან ერთად. მსგავსი რამის გაკეთება დიდი სისულელეა და იმედია, ეს ცოდვაში არ ჩაგვეთვლება, რადგან მაშინ პატარები ვიყავით.

— მოდი, ახლა შენს თვისებებზე გველაპარაკე.

— საერთოდ, ბუნებით ძალიან უპრეტენზიო გახლავარ, მხოლოდ საკუთარი მიღწევებითა და შრომით ვარ თითქმის ყოველთვის უკმაყოფილო. ვერ ვიტან უწესრიგობას.

— ეი. მოწესრიგებული ადამიანი ხარ?

— ყოველ შემთხვევაში, ვცდილობ, რომ ვიყო.

— ხშირად იტყუები?

— არასოდეს ვიტყუები იმიტომ, რომ არ გამომდის, სახეზე მეწერება, როცა ტყუილს ვამბობ. იმ შემთხვევაში, თუ ტყუილის თქმის აუცილებლობაა, მაშინ ვჩუმდები, ხმას არ ვიღებ.

— ბრაზიანიც არა ხარ?

— იშვიათად ვბრაზდები. ყველაზე მეტად, უსამართლობა მაღიზიანებს. ზოგჯერ შეიძლება, წყობილებიდანაც კი გამოვიდე.

— წყობილებიდან გამოსვლაში რას გულისხმობ?

— რა თქმა უნდა, ლეწვა-მტვრევაზე არ გადავდივარ, უბრალოდ, პროტესტს ხმამაღლა გამოვთქვამ.

— შეიძლება, იტირო კიდეც?

— ვტირი მხოლოდ მაშინ, როცა გულს მტკენენ.

— რამ შეიძლება გული გატკინოს?

— გული შესაძლოა, ელემენტარული რაღაცის გამოც მეტკინოს, თუმცა ყველაზე დიდი საშინელება ისაა, როცა ახლობელი ადამიანი გიღალატებს. მე თვითონ ძალიან ერთგული და ამავე დროს, მიმტევებელი ვარ. დაბოღმვა და წყენის გულში ჩადება, არ მჩვევია. როცა ახლობელ ადამიანზე ვბრაზდები, ამის შესახებ მას არასოდეს ვეუბნები, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ გამონაკლისს დავუშვებ და მაინც ვუსაყვედურებ, მერე შეიძლება ისე ვინერვიულო, რომ მთელი დღე ვიტირო.

— რა მავნე ჩვევები გაქვს?

— ბავშვობაში ფრჩხილებს ვიჭამდი, მაგრამ როცა გავიზარდე, მივხვდი, რომ ცუდი იყო და გადავეჩვიე.

— ადრე სარძლოს იმის მიხედვით არჩევდნენ, თუ როგორი მეოჯახე იყო. შენ როგორი დიასახლისი ხარ?

— თამამად შემიძლია ვთქვა, რომ თუკი რაიმე საოჯახო საქმე არსებობს, ყველაფრის გაკეთება ვიცი. რეკლამას არ ვიკეთებ, მაგრამ ასეა... მე-3 კლასში ვიყავი, საკუთარ დაბადების დღეზე ტორტი რომ გამოვაცხვე. იქედან მოყოლებული, შინ ნამცხვრებს და ტორტებს დღემდე მე ვაცხობ. საჭმელების მომზადებაც კარგად ვიცი. წვნიანი კერძები მიყვარს და უფრო ხშირად, მათ ვამზადებ.

— სახლსაც შენ ალაგებ?

— როცა დრო მქონდა, ე.წ. „უბორკებსაც“ ვაკეთებდი. მინების გაწმენდა, ფარდების გარეცხვა-გაუთოება და ა.შ. კარგად გამომდიოდა. ახლა კი იმის გამო, რომ დატვირთული გრაფიკი მაქვს, ამ ყველაფერს ოჯახის დამხმარე ქალბატონი აგვარებს.

— ხელსაქმე თუ გეხერხება?

— გამომდინარე იქიდან, რომ მოდელირების ფაკულტეტზე ვსწავლობ, ქსოვა, კერვა და ქარგვა კარგად ვიცი. ბავშვობაში თოჯინებს კაბებს ვუკერავდი, მაგრამ როცა მივხვდი, რომ ეს საქმე კარგად გამომდიოდა, რაღაცებს ჩემთვისაც ვიკერავდი. დღესდღეობით კი შინ უამრავი რამ მაქვს ჩემი ხელით გაკეთებული: საკუთარი საძინებელი ოთახისთვის ფარდები და საწოლის გადასაფარებელი შევკერე, ბალიშის პირები ლამაზ-ლამაზი ყვავილებით მოვქარგე და ა.შ.

— გამოდის, რომ კერვა, ქსოვა, ქარგვა შენი ჰობია?

— დიახ, ასეა. როცა თავისუფალი დრო მაქვს, ან ვქსოვ ან ვკერავ. ცეკვა და სიმღერაც ჩემი ჰობია.

— თუ როგორ მღერი, ეს უკვე ვიცით. კარგად ცეკვავ?

— ქართული ცეკვების ცოდნით ვერ

რამდენად შრომისმოყვარე და ნიჭიერიც არ უნდა იყო, თუ იღბლიანი არა ხარ, წარმატების მიღწევა ძალიან გაგიჭირდება

დავიტრაბახებ. თუმცა ბავშვობაში კი დავდიოდი ცეკვის წრეზე, მაგრამ თავი მალევე დავანებე, მასწავლებლის დაყვირება და ჩქმეტა ვერ ავიტანე. არ მიყვარს უხეშობა და ძალადობა.

— პოეზია გიყვარს?

— ძალიან. განსაკუთრებით მიყვარს, როცა ლექსს სხვა კითხულობს და მე ვუსმენ.

— ბევრი ლექსი იცი?

— სამწუხაროდ, ლექსები ზეპირად არ ვიცი, წიგნებს გადავშლი და ვკითხულობ. ასევე, ძალიან მიყვარს რომანების კითხვა, განსაკუთრებით — ფრანგული რომანების.

— როგორი მამაკაცები მოგწონს?

— ჩამოყალიბებული აზრი არ მაქვს იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ჩემი რჩეული — ამ თემაზე იშვიათად ვფიქრობ და ამ მხრივ, გამოცდილებაც ნაკლები მაქვს. მთავარი, რითიც ადამიანს ვაფასებ, კულტურა და ზრდილობაა.

— მისი მატერიალური მდგომარეობით არ დაინტერესდები?

— არა, ფული მთავარი არ არის. თუ ადამიანი შინაგანად ცარიელია, მისი ფული არაფერში გამოგადგება.

— ოდესმე შეყვარებული ყოფილხარ?

— არასოდეს. ჩემი გული ამჟამადაც თავისუფალია (*იცინის*).

— იმაზე თუ გიფიქრია, შენი ქორწილი როგორი უნდა იყოს?

— საერთოდ, ყველა ადამიანს აქვს იმის მოთხოვნილება, რომ სხვებისგან განსხვავებული და გამორჩეული იყოს. დაგეგმილი ნამდვილად არ მაქვს, თუ როგორ ქორწილს გადავიხდი, მაგრამ ალბათ ტრადიციულ გრძელ თეთრ კაბას არ ჩავიცვამ. როცა მეგობრების წრეში ამ თემაზე ვლაპარაკობთ, ტრადიციული გრძელი სუფრები და მიკროფონიანი თამადა არავის მოსწონს. ჩემს საქორწილო სუფრას ქალაქგარეთ, ბუნების წიაღში გავშლიდი ცოცხალი მუსიკისა და ვიოლინოს თანხლებით.

— გამოდის, რომ ქართული ტრადიციები არ მოგწონს. ასეა?

— როგორ არა, ქართულ ტრადიციულ ოჯახში ვარ გაზრდილი, მაგრამ გადამეტებული არაფერი მიყვარს. არ ვამბობ, რომ ტრადიციებს პატივს არ ვცემ, უბრალოდ, უნდა ეცადო, რომ იმ ტრადიციებმა და წეს-ჩვეულებებმა არ დაგაკომპლექსოს, შენს საკუთარ „მეზე“ უარი არ გათქმევინოს.

— მზითვი თუ გაქვს შეგროვებული?

— არა (*იცინის*). ეს რა საჭიროა? ყველა ლეიბს, საბანს და ბალიშს ვიყენებთ, ჩემი გათხოვებისთვის მას არავინ ინახავს.

— საქორწინო მოგზაურობაში რომელ ქვეყანაში წახვიდოდი?

— დიდი სიამოვნებით წავიდოდი იტალიაში. მიუხედავად იმისა, რომ იქ ნამყოფი არა ვარ, იქაურობა ძალიან მომწონს და მიყვარს. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ჩემი მშობლიური ქვეყანაა.

— ოჯახის შექმნის შემდეგ, ქმრის მშობლებთან ერთად იცხოვრებ?

— ჩემთვის ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. როგორც უკვე გითხარი, ძალიან უკონფლიქტო ვარ, ამიტომ ადამიანებთან ურთიერთობა არ მიჭირს. კარგია, თუ იმის საშუალება იქნება, რომ ჩემს მეუღლესთან ერთად ცალკე, დამოუკიდებლად ვიცხოვრო, მაგრამ მის ოჯახთან ერთად ცხოვრებაზეც არ გამოვთქვამ პრეტენზიას. ჩემს ერთ-ერთ საუკეთესო თვისებად სტუმართმოყვარეობა მიმაჩნია. მიყვარს, როცა მათ ჩემ მიერ მომზადებული საჭმელებით ვუმასპინძლდები.

— ყველაზე გემრიელი რომელი კერძი გამოგდის?

— განსაკუთრებით კარგად ბორშჩს ვამზადებ. ასევე კარგად მეხერხება სხვადასხვანაირი წვენის, ბლომანჟესა და კოქტეილის მომზადება, რომლითაც ძირითადად, ჩემს მეგობრებს ვუმასპინძლდები.

— შენი აზრით, რა არის იმისათვის აუცილებელი, რომ ცხოვრების თანამგზავრის არჩევაში არ შეცდე?

— პირველ რიგში, დრო — ანუ ერთი თვის გაცნობილ ადამიანს ცოლად არ უნდა გაჰყვე, მაგრამ ზოგჯერ ისეც ხდება, რომ შეყვარებულები წლების განმავლობაში ხვდებიან ერთმანეთს და მხოლოდ დაოჯახების შემდეგ აღმოაჩენენ თავიანთ რჩეულში ისეთ თვისებას, რომელიც საშინლად არ მოსწონთ. ბევრ მამაკაცს შეუძლია იმსახიობოს და თავი ისე მოგაწონოს... არ მესმის იმ მამაკაცების, რომლებიც ცოლებს საყვარელი საქმის კეთებას უკრძალავენ.

— ასეთ შემთხვევაში, შენ როგორ მოიქცეოდი?

— თუკი გათხოვების შემდეგ აღმოჩნდება, რომ მას ჩემი საქმიანობა არ მოსწონს, მას მაშინვე მივატოვებ. მამაკაცს გარეგნული მონაცემებით არასოდეს ვაფასებ, ეს ჩემთვის მეათეხარისხოვანია. მთავარია, ადამიანი პატივისცემით და ყურადღებით გექცეოდეს.

■

ტესტი ერუდიციაზე

1. სად ჭრიან ქართულ ფულს?
ა) საფრანგეთში;
ბ) ჰოლანდიაში;
გ) დანიაში.

2. რისგან იშვა სიყვარულის ქალღმერთი აფროდიტე?
ა) ღრუბლისგან;
ბ) ზღვის ქაფისგან;
გ) გუმბულისგან.

3. გველის რომელი სახეობის ახალგამოჩეკილ წიწილებს შეუძლიათ, სასიკვდილოდ დაკბინონ ადამიანი?
ა) კობრის;
ბ) გიურზის;
გ) ანკარის.

4. რის სიმბოლოდ მიიჩნევა კუნძულ იამაიკაზე ანანასი?
ა) სიმწიფის;
ბ) სტუმართმოყვარეობის;
გ) სიყვარულის.

5. სად გაიხსნა პირველი საზოგადოებრივი ტუალეტი?
ა) ლონდონში;
ბ) პარიზში;
გ) სანქტ-პეტერბურგში.

პასუხები იხილეთ 103-ე გვერდზე

მოცვლება რაჭულად

ინგა ჯაყელი

რაჭველების სიდინჯეზე იმდენი თქმულა, ვერც წარმოვიდგენდი, თუ საზაფხულო მივლინება-მოგზაურობისას ამის თაობაზე ახალ კურიოზს გადავაწყდებოდი; არადა — ჯერ გავიკვირვე მომხდარი, მერე კი იმდენი ვიმხიარულე, რომ ვერაფრით მოვითმინე, თქვენთვისაც არ გამეზიარებინა განცდილი...

მოკლედ, აგვისტოს ხვატით გულშეღონებული ის-ის იყო, ძველი კაკლის ჩრდილში ჩამოვჯექი დასასვენებლად ჩემს მასპინძლებთან ერთად, რომ შორიდან, სადღაც სოფლის ბოლოდან აურზაურის და გაწევ-გამოწევის ხმა შემოგვესმა, რასაც ერთი-ორი გასროლაც მოჰყვა და ხმაურის მიმართულებით გავიქეცით, სადაც უკვე იკრიბებოდნენ დინჯი რაჭველები და კმაყოფილები ატყობინებდნენ ერთმანეთს მომხდარს:

— გაბედა, რავარც იქნა, იმ ღმერთგაწყრალმა დათიკუნამ და მოუტაცებია თამარუკა, დოუყენებია საშველი. ჰოდა, მევემზადოთ ქორწილისთვის, სავსე ოჯახია, შორს წასვლა კი არ დაგვჭირდება, გავუუჟოთ გოჭუნები და ინდოურები, თონე გავახუროთ!..

...ქორწილი ვის არ უხარია, მე რომ მწყენოდა და სიძე-პატარძლის ვინაობა ვკითხე; თან გაწევ-გამოწევის მიზეზითაც დავინტერესდი, რადგან ორ, 50-55 წლის კაცს ვერაფრით აკავებდნენ ეზოს ბოლოში.

— ალბათ რომელიმე, გოგოს მამაა, ხომ?

— რას ამბობ?! გოგოს მამა კი არა, პატარძლის შვილები არიენ და მოკვლით ემუქრებიან დედის მომტაცებელს!..

— არ გადამრიოთ, ამათი დედა რა მოსატაცებელია, სულ ცოტა 75 წლის ხომ მაინც იქნება!

— 75-ის არა, მარა 67 ქვე მოათავა ამ გაზაფხულზე, ტოლები ვართ ჩვენ! — მითხრა ჭაღარა ბუთხუზა კაცმა და რადგან ინტერესი შემატყო, ხელკავით ტალავრის ჩრდილში გამიყოლა. — მე, თამარუკა და დათიკუნა კლასელები ვართ, ათი წელიწადი ერთ კლასში ვსწავლობდით და ვმეგობრობდით. ნამეტნავი უყვარდა დათიკოს თამრო: პირველკლასელები რომ ვიყავით, მის მერე მოსდიოდა ელეთმელეთი მის დანახვაზე და არც თამრიკუნა იყო გულგრილი — იცით, რავარი ბიჭუნა იყო დათიკუნა?! თმახუჭუჭა, თვალებციმციმა. ტანაშოლტილი... ბევრი გოგო დნებოდა მასზე ფიქრით და ოცნებით, მარა რომ დეიფიცა, თამროს მეტი არავინ მინდაო, არც გოუხედია სხვისკენ და მე იმას უფრო ვდარდობ, ახლაც „ვაუწულია“ ეს ჩვენი დავითა და ვაითუ, სირცხვილიც ქვე ჭამოს ორნაქმარევ თამროსთან...

— კი, მაგრამ თუ ასე უყვარდა, ორჯერ როგორ დაუთმო სხვას?

— მეც მაგას არ ვამბობ?! 12 წლის რომ შეიქნა თამრო, მას მერე არ გამოლევია მთხოვნელი და მოსიყვარულე. ვეუბნებოდით, ვაძალებდით, დათას — დროზე ქენი, თვარა, აგაცლიან ქალს ცხვირწინ-თქვა, მარა არ გეიგონა: ქვე რა დროსია, რა მეჩქარებაო?! ჰოდა, მეიტაცა თამარუკა გაღმაუბნელმა კაციტაძემ, სკოლაც არ დაამთავრებია... რომ გევიგეთ, მაშინაც ვაძალებდით დათიკოს — მივუხტეთ და წავართვათ, ხომ იცი, თამრო არ გაგვაწბილებს-თქვა! ვერ გადაწყვიტა უცებ და მეოთხე დღეს რომ ეკვედით, აღარც ქე გამოგვხედა ქალმა — ამდენ ხანს სად იყავით, ახლა სად წამოგყვეთ, უკვე ორსულათ ვარო... ორი ბიჭუნა გოუჩინა იმ კაციტაძეს თამრომ და ისინი არიენ, ახლა რომ იკლავენ თავს — დედა დაგვიბრუნეთო!.. ამათი მამა ადრე მოკვდა, პატრეები დარჩნენ ობლები თამროს და მაშინაც შევუჩნდით დათიკოს: ვარდივით ყვავის თამრო, მაგას ქვრივად დიდხანს არავინ დატოვებს და დროზე წამევიყვანოთ-თქვა!.. არ გეიგონა: ჯერ რა დროსია, ქალს შავები აცვია, შავ თავსაფარს გადეიძრობს და მერეო! მარა სხვამ არ იფიქრა ასე და ვინცხა იმერელმა მეიტაცა... ტყუპი გოგოები გოუჩთა იმასთან, მარა მაინც გამეექცა — ჩემს ბიჭებს მიჩაგრავდაო!..

პირველი ქმრის სახლ-კარს დოუბრუნდა და წარბი აღარავისთვის გოუხსნია. თავისი მამიდაშვილისთვის გოუმხელია: დღემდე დათიკო მიყვარს, ის თუ მინდომებს, თვარა, კაცი ჩემთვის აღარ არსებობსო!.. მიუტანეს ეს ამბავი მაშინათვე. დათიკოც უცოლოდ ბერდებოდა, არავინ გეიკარა სიახლოვეს სხვა — თამროს სიყვარულს ეწირებოდა, მშობლებს თავისი დარდი გააყოლა საფლავში... დავტრიალდით შევაფუცხუნეთ და... არ დეელია მიზეზი: ჯერ ახალი მობრუნებულია, იქნება ქვე შოურიგდეს თავის ქმარსო... ბიჭუნეები წამეეზარდენ, იმათ უნდა დავეკითხოო!.. რძალი მოუყვანია და ახლა ვერ გამეეცლება ახალგაზრდა ოჯახსო!.. შვილიშვილი ჰყოლია გლახა გასაზრდელი, თამროს კალთიდან არ გადადისო თურმე!.. გოგო მოსტაცეს თურმეო!.. მეორეც წოუყვანიათო!..

— აბა, ახლა, რამ გადაგაწყვეტინა? — დამელია მოთმინება, რადგან მთხრობელიც აშკარად რაჭული სიდინჯით აგრძელებდა მოგონებებს...

— საცხა შეხვედრიან ერთმანეთს, ვინცხეის გასვენებაზე და იქით დოუნამუსებია თამარუკას — მე თუ არ გებრალები, შენს თავს რას ერჩი, წუთისოფელი მარტოობაში რომ გაატარეო?! — მერე კიდო, დოუბარებია შეხვედრაზე — ვილაპარაკოთო! — ჰოდა, ე, ქვე გაპარულან საცხა... თამარუკას დოურეკია შვილებისთვის — მომიტაცა და ვრჩებიო! მარა ტყუილია ეგ ამბავი, იქით მეიტაცა, როგორც ჩანს, ეგ ჩვენი დათა!.. ასე იყო, თუ ისე, დათიკო და თამრო იმავე საღამოს მოიყვანეს შინ მეზობელ-ნათესავებმა და სუფრაც სანაქებო დაახვედრეს... თამროს შვილებმა ცოტა კი „იჭიჭყინეს“ და დათიკოს „საქმის გარჩევაც“ დაუპირეს, მაგრამ კაცმა ამისი საშუალება არ მისცა:

— 60 წელიწადია, მიყვარს თამრო, ჩემი მზეც ეგაა და ჩემი მთვარეც. თუ მომკლავთ, მაგისთვის არც სიკვდილზე ვიტყვი უარს!.. — ყურებამდე გაღებული პირით იღიმებოდა და თვალებიც ჩვიდმეტი წლის ბიჭივით უციმციმებდა...

სუფრის თავში ჩამომჯდარი სიძე-პატარძალი კი ისე ეტმასნებოდა ერთმანეთს და ისეთი „აელვარებული“ იჯდა, მართალი ყოფილა — სიყვარულმა ასაკი არ იცისო! — მით უმეტეს, რაჭული „ტემპერამენტის“ გათვალისწინებით... აკი, სამადლობელშიც თქვა ძია დათიკომ:

— ქვე რა მეჩქარებოდა, რომ მაჩქარებდით, ყველაფერს თავისი დრო აქვს — ოთხი შვილი, ორი იმდენი შვილიშვილი და შვილთაშვილი მზამზარეული მომივიდა. მოფერება კი ჩემი მოგონილია!.. ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

1. ინდოელები თაფლს თხევად ოქროს ეძახიან.

2. „ში“ ჩინურად „კის“ ნიშნავს, „პუ ში“ — „არას“.

3. ლეკი — ფულის ერთეულია ალბანეთის სახალხო რესპუბლიკაში.

4. ტრეჯენი — კროლის მსგავსი თავისუფალი სტილით ცურვის სახეობაა.

5. შექსპირის ეპოქაში ინგლისში ძალზე პოპულარული იყო დათვების ბრძოლა.

6. ჰემინგუეი ღვინოს კაცობრიობის ცივილიზაციის ერთ-ერთ უმაღლეს მწვერვალს ეძახდა.

7. ტომატისებური ბაყაყი მადაგასკარზე ბინადრობს. ეს ამფიბია მწიფე პომიდორივით წითელია.

8. „კრატკოსტ სესტრა ტალანტა, ნო მაჩეხა გონორარა“, — ამტკიცებს ალექსანდრ სვობოდინი.

9. „ზამთრის ფეხსაცმლიდან მხოლოდ თხილამურები მაქვს“, — წუწუნებდა კლარა ნოვიკოვა.

10. არისტოტელე ონასისთან განშორების შემდეგ მარია კალასი სცენაზე აღარ გამოსულა.

11. ნავთობს მსოფლიოში ყველაზე დიდი რაოდენობით ამერიკის შეერთებული შტატები მოიხმარს.

12. მუდმივ კლიენტებს ლონდონის საიუველირო ფირმები ბრილიანტის სამკაულებს ქირითაც აძლევენ.

13. Êàìóõàðè Êàìóñèñè, Íàêàñÿ Âûêóñè, — ასე დასცინიან იაპონურ სახელებსა და გვარებს რუსები.

14. „რაც უფრო დიდია სკანდალი, მით უფრო ხმადაბლა საუბრობენ მასზე“, — ამბობს ზბიგნევ ხოლოდიუკი.

15. გამოთქმის — „გოლი მომწიფდა“ — ავტორი ეროსი მანჯგალაძეა. სიტყვა „თანამსაჯიც“ მისი ნიჭის ნაყოფი გახლავთ.

16. „ის, ვინც საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად თავისუფლებაზე თქვა უარი, საბოლოოდ ერთსაც დაკარგავს და მეორესაც“, — ამბობდა ბენჯამინ ფრანკლინი.

17. „რომ იცოდეს, რა პომპეზური დასაფლავება ელის, კარგა ხნის წინ მიაბარებდა უფალს სულს“, — ამბობდა აბრაამ ლინკოლნი ერთ-ერთი ამერიკელი გენერლის შესახებ.

18. კორსეტში სიმაგრისთვის ხშირად, ვეშაპის ულვაშს აკერებდნენ. ეს სამოსი ქალებს ხშირად ისე უჭერდა, რომ ბევრ მათგანს გულიც კი მისდიოდა ოფიციალურ მიღებებზე.

19. უილ სმიტის მეუღლე ჯადა პინკეტი არასდროს ეჭვიანობს ქმარზე. წყვილი შეთანხმებულია, რომ ერთმანეთის დაუკითხავად

ქართველი ბიჭები აფხაზურ ჯარში

სავალდებულო სამხედრო სამსახურის აფხაზურ ჯარში მოხდა ენგურსგაღმელი ქართული მოსახლეობისთვის ისევ აქტუალურ პრობლემად რჩება. აფხაზეთის ხელმძღვანელობა ტაქტიკას ცვლის და გალის რაიონის ქართულ მოსახლეობასთან მორიგი გარიგების მიღწევას ცდილობს: ახალწვეულთა ოჯახებს, რომლებიც აფხაზურ ჯარში იმსახურებენ, ადგილობრივი ხელმძღვანელობა ხელფასის სახით თვეში 200 დოლარს გადაუხდის. არიან ისეთებიც, ვისაც აფხაზურ ჯარში სამსახურმა მაინც მოუწიათ.

ადგილობრივთა განცხადებით, აფხაზების მხრიდან ეს უკვე მერამდენე ხერხია: თავიდან დე ფაქტო ხელისუფლება თანხის პირდაპირ შეთავაზებას ერიდებოდა და ცდილობდა, საქმე შუამავლის დახმარებით მოეგვარებინა. შუამავალი კი გალის აფხაზურ ადმინისტრაციასთან დაახლოებული პირი იყო, რომელიც ადგილობრივ ქართველებში ნდობით სარგებლობდა და ნებისმიერი ახალწვეულის ოჯახისთვის გადახდილი „აფხაზური ხელფასიდან“ წილს იღებდა.

ჯარში მისაზიდად მოგონილი ხრიკები, განნადვისას დაჯარგული მხედველობა და სოხუმელი თანაარმიელი სტუმრად გალში

ლალი პაპასკირი

გოგა, *20 წლის:*

— ჩემს სოფელში — არ ვიცი, მაგრამ გალის რაიონის დაბალი ზონის სოფლებში რამდენიმე ახალგაზრდას ვიცნობ, ვინც ჯერ ძალით წაიყვანეს და ახლა „ხელფასსაც“ უხდიან. ამ ყველაფერს, ვითომ ჩუმად, მაგრამ სხვების დასანახავად აკეთებენ. ჯარის ასაკი მაქვს და წასვლა მომიწევს. როგორც იტყვიან, ორ ცეცხლს შუა ვარ: ქართულ ჯარში რომ წავიდე, ჩემს ოჯახს სახლ-კარის დატოვება მოუწევს, აფხაზური ადმინისტრაცია არ მოასვენებს, აფხაზურ ჯარში წასვლას კი ყველაფერი მირჩევნია.

— სამხედრო კომისარიატიდან გაკითხავენ?

— გვაკითხავენ კი არა, ჩემს ტოლ ბიჭებს დასაჭერად დასდევენ. რამდენი ხანია, ენგურის ხიდიდან არ გადმოვსულვარ, ჭუბურხინჯისა და ნაბაკევის შემოვლითი გზებით ტყე-ტყე დავდივარ. ღამე სხვის სახლში მძინავს, რადგან რამდენჯერმე მომაკითხეს. ვინც „საჯაროა“, ყველა ასეთ დღეშია.

— აფხაზურ ჯარში სამსახურის სანაცვლოდ ფული შემოგთავაზეს?

— პირდაპირ — არა, მაგრამ თავიდან გვითხრეს, ქართველები პრივილეგიებით ისარგებლებთო (უფრო სწორად, მეგრელებიო, რადგან აფხაზური ადმინისტრაცია ჩვენთან საუბრისას ქართველს არასდროს გვიწოდებს და ამას უკვე შევეჩვიეთ). გალის მცხოვრებლებიც, როდესაც ქართულ მხარეზე ლაპარაკობენ, „ჩვენს მთავრობას“ კი არ ამბობენ, „საქართველოთი“ მოიხსენიებენ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ თავს ქართველებად არ მიიჩნევენ. რაღაცნაირი, ცოტა გაურკვეველი ტენდენციები იკვეთება, რაც იმით აიხსნება, რომ გალს ვერც ქართული მხარე აკონტროლებს, ვერც აფხაზური. გარდა ამისა, ბაღაფშის ხელისუფლებამ რამდენიც არ უნდა ამტკიცოს, ვერც რუსი მშვიდობისმყოფლების სიტყვა ჭრის დიდად. თუმცა ის, რომ გალის მოსახლეობა ქართულ მხარეს „საქართველოთი“ მოიხსენიებს, მაინც მათ „კისერზეა“ და ყველა აღიარებს, რომ ეს მავნე ტერმინოლოგია, რუსული და აფხაზური ძალების გავლენით დამკვიდრდა.

— რა პრივილეგიებს გპირდებოდნენ აფხაზები?

— თვეში ერთხელ — ერთკვირიან შვებულებას; ამბობდნენ — ქართველები ერთ ნაწილში იმსახურებთო. ამ ინფორმაციას მათთან დაახლოებული ჩვენებურები გვაწვდიდნენ. მაგრამ ხშირად ყოფილა შემთხვევა, როცა ზოგიერთ მათგანს მერე დაურეკავს ან პირადად მისულა წვევამდელთან და გაუფრთხილებია — აქაურობას ცოტა ხნით გაეცალეო.

— შენ აღნიშნე, რომ რამდენიმე ადგილობრივი ქართველი აფხაზურ ჯარში მსახურობს. რას ჰყვებიან, როგორი სიტუაცია არისო?

— პირადად არც ერთთან არ მისაუბრია, მაგრამ გადმოცემით ვიცი, რომ ახალწვეულები ერთმანეთს ეთნიკური ნიშნით არ ასხვავებენ. აფხაზურ ჯარში ის ახალწვეულები მიდიან, ვისაც სხვა გამოსავალი არა აქვს ან უბრალოდ დაიჭირეს და ადგილობრივი მილიციის ჩარევით წაიყვანეს. ჩემს სოფელში ჯარში გასაწვევ ბიჭებს ნაკლებად შეხვდები. მაშინ, როცა ჯარში გაწვევის პერიოდი მოდის, ისინი იმალებიან. შეიძლება, იმ დროს დაიმალო და ოჯახს არაფერი დაუშავონ, მაგრამ თუ წაგიყვანეს და გამოიქეცი, გალში დიდხანს ვეღარ დაბრუნდები.

მერაბი, *24 წლის:*

— შემოდგომის მიწურულს სახლში დამადგნენ და წამიყვანეს. ხეები მოშიშვლებული იყო, გაქცევასა და დამალვას ვერც მოვასწრებ-

დი და არც მიცდია. ისე, მანამდე რამდენჯერმე ავარიდე თავი. როგორც ვიცი, თავის დროზე წვევამდელს ქართულ სამხედრო კომისარიატში 50 ლარის გადახდა უწევდა; აფხაზური ჯარიდან თავის დაღწევა გაცილებით ძვირი — 4 ათასი რუბლი ჯდება, რასაც ასე თუ ისე, მანდარინისა და თხილის წყალობით მაინც ვახერხებდი. ჩემი ძმის ავადმყოფობის შემდეგ, ამ თანხის შეგროვებას ვერ ვახერხებდით და სავალდებულო სამხედრო სამსახურში წასვლამაც მომიწია.

— შენს ოჯახს უხდიდნენ?

— არა, მსგავსი არაფერი არც სხვა ახალწვეულებისგან გამიგონია. ყველა ჩემსავით, გამოუვალი სიტუაციის გამო იყო წასული. როგორც გითხარით, მანამდე ჯარიმას ვიხდიდი.

— ძმას რა მოუვიდა?

— 2000 წელს გაერომ და ერთ-ერთმა ბრიტანულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ ცხელი წერტილებიდან ნაღმების ამოღების პროექტი დააფინანსა. ფაქტობრივად, ეს ის ადგილები იყო, სადაც მათ გადაადგილება ყოველდღიურად უწევდათ. შრომის ანაზღაურება საკმაოდ მაღალი იყო და ნაღმის საძიებლად საჭირო ინვენტარიც ჰქონდათ. პროექტი რამდენიმეთვიანი იყო და თუმცა რისკი დიდი იყო, ძალიან ბევრი ახალგაზრდა ჩაეწერა. „მინაისკატელი“ მარტო ნაღმის კი არა, ნებისმიერი ლითონის „დანახვაზე“ სიგნალს აძლევდა, ტყეში კი, სადაც ქართულ-აფხაზური მოვლენების დროს, ისე პარტიზანების იქ ყოფნისას არაერთი შეტაკება მომხდარა, ლითონს რა გამოლევდა?!. როგორც ჩანს, ჩემი ძმა ყველაფერს ყურადღებას არ აქცევდა. ნაბაკევის ტყესთან ახლოს მან ნაღმს დააბიჯა და ორივე თვალში მხედველობა და მარჯვენა ხელ-ფეხი დაკარგა. გარკვეული დახმარება გაერომ გაუწია, ცალ თვალზე მხედველობა რამდენიმე პროცენტით აღუდგინეს, მაგრამ მაინც ჯანმრთელობა ძალზე შერყეული აქვს.

— მერაბ, აფხაზურ ჯარში რა სიტუაცია იყო?

— განსაკუთრებული არაფერი, ნორმალური სიტუაციაა. ნებისმიერ დროს შემეძლო მეთხოვა და სახლში წამოვსულიყავი. პირველ დღეებში ოჯახში ჯარში ჩემი წასვლა ტრაგედიად აღიქვეს, მაგრამ ერთ კვირაში ნაწილის უფროსმა დამიბარა და მითხრა — წარმომიდგენია, შენები რა დღეში იქნებიან, წადი და ორშაბათ დილას მოწყობაზე აქ იყავიო... ვიფიქრე — ხომ არ მცდის-მეთქი? — მაგრამ ბიჭებმა მითხრეს — წადი, სანამ გადაუფიქრებიაო.

— გამოდის, ქართველები იქ უკვე იყვნენ?

— კი, რამდენიმე იყო. უფრო აფხაზეთის სხვადასხვა ქალაქში მცხოვრები, ქართული გვარების მქონე ბიჭები იყვნენ. იმათ გალელები მტრები ეგონათ და გვერიდებოდნენ — ისე, როგორც ჩვენი ხალხი ერიდება ოჩამჩირის იქით მცხოვრებ აფხაზებს. მერე დავმეგობრდით და სახლშიც მომყავდა.

— უფროსობას რა რეაქცია ჰქონდა თქვენს დამეგობრებაზე?

— ჩვეულებრივი. მათგან აგრესია არ მიგრძნია. მათ უფრო აძლევს ხელს, თუ გალის მოსახლეობა დანარჩენ აფხაზეთს დაუახლოვდება, მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ გალი დანარჩენ საქართველოს მოსწყდება.

— ჯარის შემდეგ თუ აგრძელებ მათთან მეგობრობას?

— ზოგიერთთან — კი. ვინც გუდაუთასა და აფხაზეთის სიღრმეში ცხოვრობს, უბრალოდ ვერ ახერხებს ჩამოსვლას. თავიდან ქართული გვარის მქონე სოხუმელი აფხაზი სახლში რომ მოვიყვანე და მეზობელი ბიჭები დაინახა, დაფრთხა, მერე თანდათან მოშინაურდა და კვირაობით რჩება ხოლმე.

— როგორია მისი პოზიცია?

— ჩვენს თაობას არ უბრძოლია, ჩვენ ერთმანეთისთვის არავინ მოგვიკლავს და ეს ვისაც ესმის, ჩემი თაობის ქართველებს მტრად არ აღიქვამსო... ისე, ისიც მითხრა, თავიდან ოჯახში არ მითქვამს, გალში რომ მოვდიოდი, შეიძლება, არც გამოვეშვითო. მერე და მერე უკვე აღარ მალავდა.

— შენ არ დაუპატიჟებიხარ სოხუმში?

— კი, დამპატიჟა — ამ ზაფხულს ზღვის სეზონზე ჩამოდიო. მაგრამ მართალი გითხრათ, მაინც ვერ ვბედავ. ჩვენთან ყველა ერთმანეთს ვიცნობთ და ვინმეს ბოლმაც რომ ჰქონდეს, ჩემი პატივისცემით, არაფერს დაუშავებს ჩემს სტუმარს, სოხუმში კი ათასი ჯურის ხალხი ცხოვრობს და ვერ ვენდობი... სწყინს და რომ დამიყოლიოს, სოხუმის სურათები ჩამოაქვს.

— ჯარში წესრიგი გქონდათ?

— დაახლოებით იგივე სიტუაციაა, როგორსაც რევოლუციამდელ ქართულ ჯარში მყოფი ახალწვეულები აღწერდნენ. ნაწილში ჩუსტებით დავდიოდით და საკვებიც „დამსახურების“ მიხედვით გვქონდა. თვეში რამდენჯერმე სახლში ვიყავი. მეზობლები მეკითხებოდნენ — სულ აქ რომ ხარ, ჯარში როდისღა მსახურობო?..

— უფროსობა აფხაზი იყო თუ რუსი?

— უფრო მეტად — რუსები არიან. წვრთნების დაწყების დროს, დამატებითი შემადგენლობა ჩამოდიოდა, რამდენიმე ნაწილს გვაერთიანებდნენ და კარვებში ან ყაზარმებში ვცხოვრობდით. ეს მხოლოდ რამდენიმე დღე გრძელდებოდა. მახსოვს, ერთხელ ბიჭები სროლაში ვეჯიბრებოდით ერთმანეთს. სანადიროდ დავდივარ და იარაღი ჩემთვის უცხო არაა, თუმცა იქ ჩემზე ბევრად უკეთესებიც იყვნენ. ერთი რუსი მაიორი მოვიდა და მკითხა — რა გვარი ხარო? როცა ვუპასუხე, ჩამეძია — მეგრელი, არა? — ქართველი-მეთქი, — ჩემთვის ჩავიბურტყუნე: იქ პატრიოტობას აზრი არა აქვს და არც გაგიკვირდა... ჩაეცინა და მხარზე ხელი დამარტყა — ომი კავკასიელი ხალხის საქმეა, მაგრამ ტექნიკა გაკლიაო...

— აფხაზურ ჯარში ნამსახურებ ჯარისკაცს რაიმე პრივილეგია თუ აქვს?

— არა მგონია. ყოველ შემთხვევაში, მე ისევ სახლში ვზივარ, იმ განსხვავებით, რომ მშვიდად ვარ და მილიციის არ მეშინია. აფხაზები ცდილობენ, დანარჩენ წვევამდელებს დაანახვონ, რომ იქაც ნორმალური მდგომარეობაა. ვფიქრობ, ადგილობრივ ხელმძღვანელობას ამ ჯარით, ერთმანეთს მოწყვეტილი აფხაზეთის რეგიონების მოსახლეობას შორის გაწყვეტილი ურთიერთობის აღდგენა სურს, რადგან როგორც მე, ისე დანარჩენ ჩემს მეგობრებსა და ჯარისკაცებს არანაირი საბრძოლო გამოცდილება არ მიგვიღია. ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

არასოდეს უღალატონ ერთმანეთს. ცოლმა ქმარს ერთხელ იდიოტიც კი ეძახა, როდესაც ამ უკანასკნელმა სელმა ჰაიეკთან ერთად სასიყვარულო სცენაში გადაღებაზე თქვა უარი.

20. ბერძნულ გვარდიას ყველაზე სასაცილო მარში აქვს მსოფლიოში. ჯარისკაცები ყარაულში რამდენიმე საათი გაუნძრევლად დგომისგან დაბუჟებულ ფეხებს მაღლა სწევდნენ და სისხლის ასამოძრავებლად, ტერფებს აცანცარებდნენ. სააღლუმო მარშშიც სწორედ ეს ელემენტია შესული.

21. მარანები შუა საუკუნეებში ესპანეთსა და პორტუგალიაში მცხოვრები ებრაელები იყვნენ, რომლებიც სასტიკად იდევნებოდნენ ინკვიზიციის მიერ და იძულებული იყვნენ, ქრისტიანობა (კათოლიკობა) მიეღოთ.

22. ურბნელი ეპისკოპოსის კარის მოძღვარ ყანდურზე ჯავრის ამოსაყრელად მიმავალმა ბექარა ჯეირანაშვილმა და დათა თუთაშხიამ იარაღი და ცხენები ქვიშხეთში, დათას ძმაკაცგუდაძესთან დამალეს, დღიური მუშების ყაიდაზე შეიმოსნენ, მხარზე თითო ცელი გაიდეს და ხაშურისკენ გასწიეს. უბეში ორივეს თითო ნაგანი და ას-ასი ტყვია ჰქონდა დამალული...

23. კოსმოსური რაკეტის დამაჩქარებლები, რომლთა დახმარებითაც ხომალდი ორბიტაზე გადის, აფრენიდან მცირე ხანში ხომალდის კორპუსს სცილდება და ოკეანეში ვარდება, სადაც მათ პოულობენ და კვლავ ბაზაზე მიაქვთ, საწვავით ხელახლა გასამართავად. მრავალჯერადი მოხმარების თითოეული ასეთი დამაჩქარებელი 50 მილიონი დოლარი ღირს.

24. მონღოლური შუბი ჰუნების შუბისგან თითქმის არაფრით განსხვავდებოდა. სიგრძე, ბუნიკის ფორმა და მასალა, რომლითაც ის იყო დამზადებული, თითქმის იდენტური იყო, მაგრამ მონღოლური შუბით მიყენებული დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ უნაგირიდან ისროდა მოწინააღმდეგეს. საქმე ისაა, რომ ჰუნებს შუბი ხელში ეჭირათ, მონღოლთა შუბის ბოლო კი, უნაგირს იყო მიბჯენილი და დარტყმა ცხენის მთელი წონის გამოყენებით ხორციელდებოდა.

25. სტალინმა სპეციალური ბრძანებით, პოლიტბიუროს წევრებსა და მაღალჩინოსნებს აუკრძალა, დაკავებულიყვნენ სპორტის ისეთი სახეობით, სადაც დიდი იყო ტრავმის მიღების ალბათობა. თუმცა მისი მმართველობის შემდეგ, ცურვასა და დომინოზე უფრო სახიფათო სპორტის სახეობით არც არავინ დაკავებულა. (ბრეჟნევი რეზინის ქუდითა და გასაბერი კამერით ცურავდა აუზში.) რუსეთის მმართველთაგან პუტინი ამ მხრივ, გამონაკლისი გახლავთ: ის თხილამურებზეც სრიალებს და ძიუდოშიც ვარჯიშობს. ზებგერითი გამანადგურებლითაც ისე იფრინა, რომ ექიმებისთვის არაფერი უკითხავს.

„ქალს მამაკაცი დიზაინერი უფრო მოხდენილად შემოსავს, რადგანაც მამაკაცმა გაცილებით უკეთ იცის, ქალს რა სტილის სამოსი მოუხდება“, — ამბობს ახალგაზრდა დიზაინერი **დათო სულიკაშვილი**. მან, ცოტა ხნის წინ, საზოგადოებას ახალი კოლექცია წარმოუდგინა. კოსტიუმები 80-იანი წლების მოდის მიხედვით იყო შექმნილი.

რატომ სჯობია დიზაინერი მამაკაცი ქალს

და რას გვთავაზობს წელს საზაფხულო მოდა

ეკა მინდაძე

— დათუნა, რატომ აირჩიე კოლექციისთვის 80-იანი წლების სტილი?

— ალბათ იმიტომ, რომ ის აქტუალური, თავისუფალი და კომფორტულია. ამ კოლექციაში შენარჩუნებულია ქალური სილუეტი, ქალის მკერდის, წელისა და თეძოს ფორმები.

— რა ფერებია ამ სეზონში მოდაში?

— თეთრი, კრემისფერი, ღია ვარდისფერი, რუხი და შავ-თეთრი.

— ქალბატონებისთვის მოდა როგორ შარვალს გვთავაზობს?

— მოდაშია შარვალი, რომლის სათავე ისევ წელზეა, ტოტები კი დავიწროებულია. ქალის შარვალი ისეთი სიგრძის უნდა იყოს, რომ კოჭი ჩანდეს.

— ქვედაბოლოებზე რას გვეტყვი?

— ქვედაბოლო მაღალწელიანი უნდა იყოს და მუხლს ქვემოთ. რაც შეეხება პიჯაკებს, მოდაშია წელში გამოყვანილი პიჯაკი, მაგრამ ამავე დროს მამაკაცური შტრიხით.

— რომელია დღესდღეობით მოდური ქსოვილები?

— აბრეშუმი, გიპიური, ხავერდი, ტრიკოტაჟი და კოტონი.

— მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ხომ არ გადასულა მოდიდან?

— არა, ისევ აქტუალურია, შეიცვალა მხოლოდ ფეხსაცმლის ცხვირის ფორმა — ის არც მრგვალი უნდა იყოს და არც წვეტიანი. ქუსლის სიმაღლე 12, 13 სმ-მდე გაიზარდა.

— ხელჩანთების ზომა ხომ არ გაზრდილა?

— საგრძნობლად. ამ სეზონზე აქტუალურია დიდი, მასიური ჩანთები, ოღონდ ხელში დასაჭერი და არა მხარზე გადასაკიდებელი.

— ქალის სხვა აქსესუარებზე რას გვეტყვი?

— განიერ მაისურსა ან სარაფანზე შეგიძლიათ გაიკეთოთ ვიწრო ქამარი.

— ზაფხულში როგორ ჩავიცვათ, მოდურად რომ გამოვიყურებოდეთ?

— ზაფხულში გირჩევთ, ატაროთ თავისუფალი სარაფანი, ვიწრო ქამართან ერთად; ქვედაბოლოსა ან შარვალთან ერთად, აქტუალურია განიერი მაისური.

— თავად როგორ სტილს ანიჭებ უპირატესობას?

— თავისუფალს. მთავარია, კომფორტულად ვგრძნობდე თავს. ჩემი საყვარელი სამოსია ჯინსი და მაისური.

— წვეულებაზე წამსვლელ გოგონებს რას ურჩევდი?

— ჩაიცვან სადად და ელეგანტურად.

— შენ არაერთი საქორწინო კაბა შეგიკერავს. თუ საიდუმლო არ არის, ცნობილ ადამიანებს შორის ბოლოს ვის შეუკერე?

— ბოლოს ზაზა გოროზიას მეუღლეს — თამთა კობახიძეს შევუკერე საქორწინო კაბა.

— ტანსრულ გოგონებს რას ურჩევდი? როგორი საქორწინო კაბა ჩაიცვან?

— ტანსრულ ქალბატონებს ვურჩევ, საკუთარ ქორწილში თავისუფალი და გაშვებული ფორმის კაბა ჩაიცვან.

— რატომ აირჩიე ეს პროფესია?

— ბავშვობიდანვე მომწონდა ეს საქმე. პირველად, 13 წლისამ შევიკერე საკუთარი ხელით შარვალი, მაგრამ მასზე ზუსტად ერთი თვე ვმუშაობდი. ისე, უნდა ვაღიარო, რომ ძალიან კარგი გამომივიდა.

— შენი აზრით, დიზაინერობა ვის უფრო კარგად გამოსდის — მამაკაცს თუ ქალს?

— მამაკაცს, რადგან მან უკეთ იცის, ქალს რა სტილის სამოსი მოუხდება. ამიტომ დარწმუნებული ვარ, დიზაინერი მამაკაცი უფრო ლამაზად და მოხდენილად ჩააცმევს ქალს, ვიდრე დიზაინერი ქალი. ■

მენდელსონის მარშამდე არც ისე შორია

საშუალოდ, ხუთი გრძელვადიანი სასიყვარულო ურთიერთობიდან მხოლოდ ერთი თუ გვირგვინდება ქორწინებით. დანარჩენ დროთა განმავლობაში ცვდება და საბოლოოდ, ირღვევა, მანამდე ბედნიერი წყვილები კი ერთმანეთისთვის სრულიად უცხონი ხდებიან.

ერთი სიტყვით, თუკი არ გსურთ, რომ მღელვარე წლებმა ფუჭად ჩაგიაროთ და საბოლოოდ, პირად ტრაგედიად გექცეთ, დროზე დაფიქრდით: ხომ არ დადგა გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმის მომენტი?

ქორწინების რამდენიმე ხელის შემშლელი მიზეზი:

1. კონფლიქტი ერთ-ერთი მათგანის ახლობლებთან. მხედველობაში გვაქვს რომელიმეს მშობლების გააფთრებული წინააღმდეგობა. გაცილებით დიდია შანსი, მშობლების პოზიციამ გადამწყვეტი როლი ითამაშოს მაშინ, როცა ქალ-ვაჟი ჯერ კიდევ მათთან ერთად ცხოვრობს და მატერიალურადაც მათზეა დამოკიდებული.

2. შეყვარებულთა ასაკი — ისინი მცირეწლოვნები არიან და ჯერ კიდევ სწავლობენ; ანდა მუშაობენ, მაგრამ სტაბილური შემოსავალი არა აქვთ.

3. მატერიალური პრობლემები. შეყვარებულ წყვილს მატერიალურად არ ულხინს, არც მათ მშობლებს გადასდის თავზე. მომავალ ცოლ-ქმარს არც ცალკე ბინა აქვს, არც ნორმალური ანაზღაურება და არც რაიმე ცხოვრებისეული პერსპექტივა.

4. შეყვარებულების დროებითი განშორება რაღაც გარემოებებისდა გამო. ეს შეიძლება იყოს სამხედრო სამსახური, გახანგრძლივებული მივლინება და ა.შ.

5. ერთ-ერთი მათგანის მძიმე

ავადმყოფობა, რომელსაც ხანგრძლივი რეაბილიტაცია სჭირდება. მეორეს ეჩვენება, რომ თითქოსდა უვადოდ უწევს ლოდინი...

6. ერთმანეთის მიმართ უნდობლობა. მიუხედავად დიდი ხნის მეგობრობისა, შეყვარებულები არ არიან დარწმუნებულნი, რომ სათანადოდ იცნობენ ერთმანეთს და საჭიროდ მიაჩნიათ, მანამ გააგრძელონ მეგობრობა, ვიდრე საბოლოოდ არ დარწმუნდებიან არჩევანის სისწორეში.

მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ შეყვარებულთა ყველაზე დიდი მტერი დროში გაწელილი ურთიერთობაა. ეცადეთ, არ მოადუნოთ ყურადღება და მხედველობიდან არ გამოგრჩეთ თქვენი ურთიერთობის პიკი — ანუ ის ეტაპი, როცა სასწრაფოდ უნდა მიიღოთ გადამჭრელი ზომები.

13 წესი პიკის მიახლოებისა

გაიარეთ ტესტ-ორიენტირი და განსაზღვრეთ, რამდენად მზად ხართ ქორწინებისთვის.

1. თქვენ ერთმანეთს ყოველდღე, ხშირად დღეში რამდენჯერმეც კი ხვდებით, რადგან ერთურთის გარეშე ცხოვრება უკვე აუტანელია.

2. მაშინაც კი, როცა ერთმანეთს ვერ ხედავთ, გამუდმებით ურთიერთობთ ტელეფონით ან ერთმანეთს უამრავ სმს-ს უგზავნით.

3. თქვენი ეჭვიანობა მაქსიმალურ ზღვარს აღწევს. გეჩვენებათ, რომ ირგვლივ მხოლოდ საეჭვო ტიპები ტრიალებენ, რომელთაც თქვენი შეყვარებულის ცდუნება უნდათ.

4. თქვენი სექსუალური ურთიერთობა კარგა ხანია სტაბილური გახდა. ერთმანეთის უსიტყვოდ გესმით.

5. თქვენმა მშობლებმა, მეგობრებმა და ახლობლებმა მშვენივრად იციან, რომ „ერთმანეთისთვის ხართ გაჩენილი“ და დღეს თუ ხვალ იქორწინებთ.

6. თქვენი მშობლები უკვე პირადად (ან დაუსწრებლად მაინც) იცნობენ ერთმანეთს.

7. როცა გვიანობამდე (ან თუნდაც დილამდე) ერთად ხართ, აღარ გჭირდებათ შინ ათასნაირი ტყუილის მოგონება.

8. ერთმანეთისთვის აღარაფერი გენანებათ. მოკრძალებულ სამახსოვრო ნივთებს მსხვილმანი საჩუქრები ცვლის. ხშირ შემთხვევაში, საერთო ბიუჯეტიც გიჩნდებათ, რომელიც თითქმის არაფრით განსხვავდება ოჯახურისგან.

9. თითქმის აღარსად დადიხართ მარტო. სიამოვნებით სტუმრობთ ერთად ერთმანეთის მეგობრებსა თუ ნათესავებს.

10. საყვარელი ადამიანის დედმამიშვილებს ოჯახის წევრებად აღიქვამთ და მათთან საკუთარ და-ძმებზე არანაკლებ დროს ატარებთ.

11. ერთმანეთს ძირითადად ასე მიმართავთ: „ძვირფასო“, „საყვარელო“. სხვების წინაშე თამამად მოიხსენიებთ შეყვარებულს როგორც საქმროს ან საცოლეს.

12. უკვე გაქვთ ერთად დასვენების, თანაც არაერთჯერადი გამოცდილება.

13. პერიოდულად, თუკი ამის საშუალება გაგიჩნდებათ, ცდილობთ თუნდაც რამდენიმე დღით განმარტოვდეთ.

თუკი ჩამოთვლილთაგან მხოლოდ 5-7 პუნქტს ეთანხმებით, ესე იგი, თქვენი ურთიერთობის პიკი ჯერ კიდევ წინ არის. ნუ იღელვებთ, საჩქარო არაფერია.

თუკი თქვენ სახეზე 8-13 წინასაქორწინო ნიშანი გაქვთ, მხედველობაში იქონიეთ: ან უკვე მიაღწიეთ ურთიერთობის პიკს ან მასთან ძალიან ახლოს იმყოფებით. ამიტომ, გაფრთხილდით, არ გადააჭარბოთ, რთული ამოცანის წინაშე დგახართ: სწორედაც რომ გადაწყვეტილების მიღების დროა.

გაითვალისწინეთ: თუკი არაფერს მოიმოქმედებთ, სიმშვიდეს შეინარჩუნებთ და გულხელდაკრეფილი გაჰყვებით დროის დინებას — იმ იმედით, რომ თქვენი შეყვარებული ვერსად გაგექცევათ და იმდენ ხანს დაგელოდებათ, რამდენ ხანსაც საჭიროა, მწარედ ცდებით; თუ გგონიათ, რომ სიტუაციის ბატონ-პატრონი ხართ და ყოველთვის ყველაფერი თქვენი გეგმისდა მიხედვით წარიმართება, გარწმუნებთ: გარდაუვალი იმედგაცრუება და პირადი ტრაგედია გელით.

კონიაკი შაქრით

მასალად საჭიროა:

50 გ კონიაკი, 30 გ ფორთოხლის ნაყენი, 1 კვნიტი შაქარი, 1 ც ალუბალი, დაჭრილი ლიმონი (გემოვნებით), ყინულის კუბურები.

მოამზადების წესი:

ფორთოხლის ნაყენი ჩაასხით სირჩაში, დაუმატეთ 1 კვნიტი შაქარი და ყინულის კუბურა. დაასხით კონიაკი და კოვზით ფრთხილად მოურიეთ. ბოლოს ჭიქაში მოათავსეთ გამოკურკული ალუბალი და სირჩა ლიმონის ნაჭრებით მორთეთ.

რუბრიკა მოამზადა ეკა გუნთაიშვილმა

● მომსახურების მაღალი ხარისხი
● ჟურნალ-გაზეთების ფართო არჩევანი
● ყველაზე დაბალი ფასები

გამოიწერეთ!

და ეს ყველაფერი სახლიდან გაუსვლელად!

გამოცემის დასახელება	1 კვ.ზ ფასი	6 თვე
1 ბიმონდი	2,00	52,00
2 Бурда	7,00	42,00
3 Вог	12,00	72,00
4 Космополитан	12,00	72,00
5 Мадам фигаро	10,00	60,00
6 Елле	12,00	72,00
7 Караван истории	8,00	48,00

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები

პრესის გავრცელების საგენტო „ელვა“

ქ. თბილისი ოსტროვსკის ქ. № 49
ტელ: 42-43-40; 38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elvaservice@mail.ru.

„მსახიობმა შეიძლება სცენასა და ეკრანზე ისე დაასრულოს მოღვაწეობა, რომ ბუმბერაზ კოლეგებთან თამაშმა არც კი მოუწიოს. ამ მხრივ, თავს იღბლიან მსახიობად მივიჩნევ, რადგანაც ღვთის წყალობით, წილად მხვდა რამაზ ჩხიკვაძის პარტნიორობის ბედნიერება“, — ამბობს „თეატრალური სარდაფის“ მსახიობი ნატუკა გულისაშვილი. მიუხედავად იმისა, რომ მას სცენაზე არაერთი როლი აქვს ნათამაშები, ხალხმა ის რეჟისორ გიორგი შენგელაიას ფილმით — „მიდიოდა მატარებელი“ — გაიცნო.

„სუთგზის“ მეძავი, მსახიობი ქალი

კვლავაც „მეძაობისთვის“ ემზადება...

ეკა მინდაძე

— ჩემი დიდი ბებია დედის მხრიდან — მარო თარხნიშვილი გახლდათ. აქედან გამომდინარე, ოჯახში სიმღერას თავიდანვე დიდი ადგილი ეკავა; ჩვენთან სახლში უამრავი ცნობილი ადამიანი იკრიბებოდა და ლამაზი საღამოები ეწყობოდა. მიუხედავად იმისა, რომ მთელი ოჯახი სიმღერის მოტრფიალე იყო, ჩემი ოცნება მაინც მსახიობობა გახლდათ. ერთ მშვენიერ დღეს, გადავწყვიტე, თეატრალურ ინსტიტუტში მეცადა ბედი და ოცნება რეალობად მექცია. თუმცა დიდი იმედი არ მქონდა, რადგანაც ყოველთვის მეგონა, რომ სამსახიობოზე გამხდარ, ცისფერთვალება, ქერათმიან, „ბარბის“ ტიპის გოგონებს ილებდნენ. მოხდა საოცრება, იმავე წელს ჩავირიცხე სამსახიობო ფაკულტეტზე.

— გაგიმართლა თუ არა, როგორც მსახიობს შემდეგ?

— ბედნიერი ვარ, რომ ისეთ ბუმბერაზ მსახიობებთან მომიწია მუშაობამ, როგორებიც არიან: რამაზ ჩხიკვაძე და კახი კავსაძე. დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი კიდევ ერთხელ ბატონ რამაზთან და ბატონ კახისთან ერთად.

— როგორ მოხვდი გიორგი შენგელაიას ფილმში — „მიდიოდა მატარებელი“?

— სრულიად მოულოდნელად. ერთ მშვენიერ დღეს, ფილმის ტექნიკურმა რეჟისორმა დამირეკა და მითხრა: გიორგი შენგელაიასთან ხარ დაბარებული ამა და ამ საათზეო. თავი ზღაპარში მეგონა, რადგანაც დაუჯერებელი იყო ის ფაქტი, რომ ისეთი დიდი რეჟისორი, როგორიც ბატონი გიორგია, მიბარებდა. რა თქმა უნდა, მასთან დათქმულ დროს მივედი. შევედი თუ არა, მაშინვე თქვა — ზუსტად ეს მჭირდებაო. ეს საოცარი და ლამაზი სიზმარი ანუ ფილმზე მუშაობა ჩემთვის 3 თვე გაგრძელდა. თავიდან ძალიან შემეშინდა და დავფრთხი, როდესაც შევიტყვე, რომ ისეთ ბუმბერაზ მსახიობებთან მომიწევდა თამაში, როგორებიც არიან რამაზ ჩხიკვაძე და კახი კავსაძე. ძალიან ვნერვიულობდი, მაგრამ ეს ადამიანები არა მარტო გენიოსი მსახიობები, არამედ კარგი ფსიქოლოგებიც ყოფილან. ისინი თავიანთი ქცევით კი არ მაბნევდნენ, პირიქით, ძალას მმატებდნენ. ეს ჩემთვის, როგორც მსახიობისთვის, ნამდვილად დიდი პრაქტიკა იყო. ისინი საოცარი მონდომებით თამაშობდნენ.

— ეთანხმებით თუ არა იმას, რომ მსახიობმა ყველანაირი როლი უნდა ითამაშოს?

— რა თქმა უნდა. ოღონდ რეჟისორს უნდა ენდობოდე და დარწმუნებული უნდა იყო მის პროფესიონალიზმში. მიმაჩნია, რომ მსახიობმა ყველანაირი როლი უნდა ითამაშოს, მაგრამ ისიც არ უნდა დაივიწყოს, რომ საქართველოში ვცხოვრობთ. ქართველი მაყურებელი ყველაფერს მაინც სულ სხვა თვალით უყურებს და სხვანაირად აღიქვამს. მაგალითად, ფილმში — „მიდიოდა მატარებელი“ — ჩემი გმირი სულაც არ არის მეძავი. ის არის ქალი, მას ჰყავს ასაკით უფროსი მეგობარი, რომელიც ასმევს, აჭმევს და თავს ნამდვილ ქალად აგრძნობინებს. დღეს საქართველოში ბევრი ასეთი ქალია.

— მაგრამ შენ არაერთი მეძავის როლი გაქვს ნათამაშები...

— 5 ასეთი როლი ნამდვილად მაქვს ნათამაშები, ოღონდ ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ. მიუხედავად ამისა, წინასწარ ვიცი, რომ კიდევ ერთი მეძავის როლის შესრულება მომიწევს. რა ვქნა, ეტყობა, ასეთია ჩემი ბედი *(იცინის)*...

— როგორ ფიქრობ, მსახიობისათვის რა არის ყველაზე მთავარი?

— შრომისმოყვარეობა და თავისი საქმის სიყვარული. მას არ უნდა დაეზაროს ამა თუ იმ როლზე მუშაობა. ჩვენი პროფესია ისეთია, რომ თუ ნამდვილად გიყვარს ეს საქმე, შეიძლება, ბევრი რამის დათმობამ მოგიწიოს. პირადად მე, ჩემს პროფესიას ოჯახი შევწირე — ამას შეეწირა ჩემი და ჩემი მეუღლის ურთიერთობა. მან იცოდა, რომ მსახიობი მეუღლე ჰყავდა, მაგრამ ქართველი კაცისათვის ძნელი ასატანია, როცა მეუღლე ასეთ დაძაბულ რეჟიმში მუშაობს. არაერთხელ მიწევდა სპექტაკლის შემდეგ რეპეტიციაზე დარჩენა, ღამის 4-5 საათამდე. ასეთი რამ კი ქმარმა, მით უმეტეს, თუ ის მსახიობი არ არის, შეიძლება, ერთხელ მოითმინოს, ორჯერ, მაგრამ განუსაზღვრელი დროით ვერ მოითმენს. ამის გამო, ჩემდა უნებურად მომიწია არჩევანის წინაშე დადგომამ და ორიდან ერთ-ერთის არჩევამ. ოჯახს პროფესია ვამჯობინე.

— შენი ნამუშევრებიდან ყველაზე წარმატებულ როლად რომელს მიიჩნევ?

— ყველაზე დიდი წარმატება გიორგი შენგელაიას ფილმმა — „მიდიოდა მატარებელი“ მომიტანა. ამას წინათ, „თეატრალური სარდაფის“ მსახიობები ერთ-ერთ სკოლას ვესტუმრეთ. გვაინტერე-

შვილთან ერთად

მსახიობობა რთულია

სებდა, სკოლის მოსწავლეები თეატრში თუ დადიან. აღმოჩნდა, რომ ბავშვების უმეტესობა, სამწუხაროდ, თეატრში არ დადის. ამის შემდეგ, ბავშვებს თეატრის ხელმძღვანელობამ ასეთი კითხვა დაუსვა: მოზარდებისთვის სპეციალურად რომ დაიდგას შესაბამისი სპექტაკლი, მსახიობებად ვის ისურვებდითო? ჩემდა გასაოცრად, ყველამ მე დამასახელა. მათ ეტყობა, ეს არჩევანი კინოდან გამომდინარე გააკეთეს. დღეს ასეა, თეატრში რაც არ უნდა ბევრი როლი შეასრულო, მსახიობი პოპულარული მაინც კინოს მეშვეობით ხდები.

— თუ გყავს იდეალი — მსახიობი, რომელსაც გინდა მიჰბაძო?

— ჩემთვის იდეალური მსახიობია სოფი ლორენი, მაგრამ მე მას არასდროს ვბაძავ, რადგანაც ვფიქრობ, რომ მსახიობს საკუთარი სახე უნდა ჰქონდეს.

— სცენაზე კურიოზულ სიტუაციაში თუ აღმოჩენილხარ?

ყველაზე დიდი წარმატება გიორგი შენგელაიას ფილმმა – „მიდიოდა მატარებელი“ მომიტანა

— ერთხელ სცენაზე გავედი, სკამზე დავჯექი და უეცრად ყველაფერი დამავიწყდა, იმწუთას, თავიდან ამომივარდა ჩემი პერსონაჟის ტექსტი. ამის გამო, შეწუხებულმა დავიწყე აქეთ-იქით ყურება — იქნებ, ვინმე მომეშველოს-მეთქი. უეცრად დავინახე, რომ ჩემთან ერთად სცენაზე მდგარმა მსახიობმა მაყურებელთა დარბაზისკენ გაიხედა, მერე ხელი პირთან მიიტანა და საჩურჩულოდ მოემზადა. ამის დანახვაზე „მექანიზმი“ ჩაირთო და გამახსენდა ის ტექსტი, რომელიც იმწუთას უნდა მეთქვა.

— როგორ მოხვდი პროექტში „იმედის ტალღა-2“?

— ბედნიერი ვარ, რომ ამ შესანიშნავ პროექტში მონაწილეობის შანსი მომეცა. განსაკუთრებით გამიმართლა იმაში, რომ ჩემი პარტნიორი, გიო ხუციშვილი იყო. არაჩვეულებრივი ადამიანია. ერთმანეთს მშვენივრად შევეწყვეთ. მე მისი აცეკვება შევძელი, მან კი — ჩემი ამღერება. იმის გამო, რომ პროექტში დიდი ყურადღება შოუს ექცეოდა, გიო თავს დამნაშავედ გრძნობდა, გაუთავებლად ბოდიშს მიხდიდა და სულ მეუბნებოდა — მე არა ვარ ის ტიპი, რომელიც თავზე რქებს დაიდგამს ან ამა თუ იმ გმირის კოსტიუმში გამოეწყობაო. ამას იმიტომ კი არ ამბობდა, რომ ეთაკილებოდა, უბრალოდ, ის ასეთი ადამიანია.

— თანდათან პოპულარული ხდები. ეს რა შეგრძნებას იწვევს შენში?

— საოცარი შეგრძნებაა. აბა, იმაზე სასიამოვნო რა უნდა იყოს, როცა ქუჩაში სრულიად უცნობი ადამიანი ყვავილს გაჩუქებს?! კარგად მახსოვს, 5 დღის განმავლობაში ყოველ დილით ჩემი ბინის კართან დიდი, ულამაზესი თაიგული მხვდებოდა. თაიგულის აღებისთანავე შევდიოდი შინ, ყველა ჩემს მეგობარს ვურეკავდი და ვეკითხებოდი: ნეტავ, ვინ მაშაყირებს-მეთქი? მათი პასუხი ასეთი იყო: არავინ გაშაყირებს, უბრალოდ, ეტყობა, ასეთი მამაკაცები ჯერ კიდევ არსებობენო... ერთხელ ქუჩაში მამაკაცი მომიახლოვდა და დიდი ამბით მომიკითხა. შემდეგ მკითხა — მართალია, რომ „აირზენა“ ორად გაიყოო?.. აი, აქ კი მივხვდი, რომ იმ კაცს ვიღაცაში შევეშალე. მაგრამ მიუხედავად ამისა, გადავწყვიტე, ბოლომდე მეთამაშა. მას ეტყობა „აირზენის“ მენეჯერი ვეგონე და მეც „ჩემი ახალი პროფესია“ კარგად მოვირგე *(იცინის)*. ის ახლა თქვენი ჟურნალის საშუალებით გაგებს, რომ ის არ ვიყავი, ვინც ვეგონე...

— მხიარული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებ და თან ოპტიმისტი ჩანხარ, ასეა?

— კი, მიუხედავად იმისა, რომ ძნელია, დღევანდელ ცხოვრებაში ოპტიმისტი იყო. ჩემთვის მთავარი, გარშემო მყოფი ადამიანების კარგად ყოფნაა. მთავარია, ადამიანების სიცოცხლე, სხვა ყველაფერს ეშველება. ბევრჯერაც მიტირია, მაგრამ არ მესმის, რა საჭიროა, შენ გამო ცუდ გუნებაზე სხვა ადამიანები დააყენო.

— გაგვაცანი შენი ოჯახი.

— მყავს 12 წლის ქალიშვილი, დედა და ძმა.

— ქალიშვილს ხომ არ სურს მსახიობობა?

— საბედნიეროდ, არ სურს. მსახიობობა რთულია და ამიტომაც არც მინდა, რომ ჩემი შვილიც ამ გზას გაჰყვეს. ანას ენების მიმართ აქვს მიდრეკილება და ალბათ შესაფერის პროფესიასაც ავირჩევთ.

— გათხოვებას არ აპირებ?

— როცა ერთხელ რაღაცას შეჭამ და ის ძალიან გაწყენს, ვფიქრობ, მეორედ მის გასინჯვას აღარ მოინდომებ. 12 წლის წინ ძალიან „გემრიელი საჭმელი“ ვჭამე, 5 წლის თავზე მივხვდი, რომ მან მაწყინა და მერე ის „კერძი“ საერთოდ ამოვიღე „რაციონიდან“. მართალი გითხრა, ჯერ ისეთი მამაკაცი არ შემხვედრია, მომწონებოდა და მეფიქრა, მასთან ერთად ღირს, ოჯახი შევქმნა-მეთქი.

— ახლა რაზე მუშაობ?

— ამჟამად ახალ სპექტაკლზე ვმუშაობ. საბავშვო სპექტაკლია, რეჟისორი ოთარ ეგაძე გახლავთ. „კონკიას“ დგამს, მე — დედოფლის როლში ვარ. მეორე სპექტაკლში ისევ მეძავის როლი მერგო. რას ვიზამ? მე ხომ მსახიობი ვარ. მსახიობმა კი ყველანაირი როლი უნდა ითამაშოს. ■

ბედნიერი ვარ, რომ ამ შესანიშნავ პროექტში მონაწილეობის შანსი მომეცა

რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

პირველი დახმარება კომური მდგომარეობის დროს

დიაბეტური კომა. მისი გამომწვევი მიზეზი სისხლში შაქრის მეტისმეტად მომატებაა.

სიმპტომები: ვითარდება უგონო, ღრმა ძილის მდგომარეობა, ღრმა, ხმაურიანი სუნთქვა, ამოსუნთქულ ჰაერს აცეტონის სუნი დაჰკრავს, პულსი აჩქარებულია, შარდი არ გამოიყოფა, არტერიული წნევა დაქვეითებულია, გუგები — შევიწროებული, ენა — მშრალი, ტუჩები — წითელი, დახეთქილი და აქერცლილი, თვალის კაკლები — დარბილებული (ხელის დაჭერისას ცომისებრ სირბილეს შეიგრძნობთ).

პირველი დახმარება: დიაბეტური კომა სიცოცხლისთვის მეტად საშიშია, ამიტომ არაკომპეტენტურმა ჩარევამ შესაძლოა, მდგომარეობა უფრო დაამძიმოს. ასე რომ, აჯობებს, დაუყოვნებლივ „სასწრაფო დახმარება“ გამოიძახოთ.

ჰიპოგლიკემიური კომა: ვითარდება მაშინ, როცა შაქარი სისხლში 60-70%-ზე დაბალია.

სიმპტომები: მკვეთრი სისუტე, მოთენთილობა, გაძლიერებული ოფლიანობა, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, შიმშილის შეგრძნება (სასწრაფოდ ითხოვს საჭმელს), მთელ სხეულში წამოხურვების და შემცივნების შეგრძნება, ხელ-ფეხის კანკალი, რასაც ზოგჯერ კრუნჩხვები მოჰყვება; სახე ზოგჯერ ფერმკრთალია, ზოგჯერ — წამოწითლებული, გუგები — გაფართოებული. პირიდან აცეტონის სუნი არ ამოდის. ამ დროს შაქრის დონე სისხლში მკვეთრად არის დაქვეითებული.

პირველი დახმარება: ავადმყოფს დაუყოვნებლივ მიეცით მურაბა, კომპოტი, ვაშლის, ყურძნის წვენი ან უბრალოდ, შაქრიანი წყალი. ამასთან, ერთად, რეკომენდებულია 1 მლ 0,1%-იანი ადრენალინის ხსნარის შეყვანა კანქვეშ — ეს ხელს უწყობს სისხლში შაქრის დონის მომატებას.

ალკოჰოლური კომა: ვითარდება ალკოჰოლის ჭარბად მიღებისას.

სიმპტომები: ფერის დაკარგვა, გულისრევის შეგრძნება, ღებინება, სლოკინი; პულსი აჩქარებულია, არტერიული წნევა — დაქვეითებული, სუნთქვა ზოგჯერ ზერელე ხდება, თვალის გუგები ფართოვდება და სინათლეზე რეაქცია არა აქვს. აღინიშნება უნებლიე შარდვა და დეფეკაცია.

პირველი დახმარება: პირველ რიგში, კუჭი თბილი წყლით ამოურეცხეთ, შემდეგ კი გასათბობად ცხელი ჩაი ან ყავა მიეცით. გამოსაფხიზლებლად და ტონუსის ასაწევად კუნთებში კორდიამინის ან კოფეინის ინიექციები გაუკეთეთ. სუნთქვის ცენტრის გასაღიზიანებლად აყნოსეთ ნიშადური. გარდა ამისა, აუცილებელია სუფთა ჰაერი. თუ მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმეა, უსათუოდ გამოიძახეთ ექიმი. ■

თუთია

თუთია ადამიანისთვის აუცილებელ მიკროელემენტთა რიცხვს განეკუთვნება. იგი მონაწილეობს ცილების, დნმ-ის, რნმ-ის სინთეზში, აუცილებელია ორგანიზმის შეუფერხებელი ზრდისთვის, განსაკუთრებით — ნაყოფის მუცლად ყოფნის პერიოდში. გარდა ამისა, ეს ელემენტი მონაწილეობს ჭრილობების შეხორცების პროცესში, უზრუნველყოფს გემოს ნორმალურ აღქმას, დიდ როლს ასრულებს იმუნური სისტემის მუშაობაში, ნახშირწყლოვან ცვლაში.

თუთია განსაკუთრებით მამაკაცებს სჭირდებათ. ამ ელემენტის უკმარისობა იმპოტენციას, სპერმის რაოდენობის შემცირებასა და პროსტატიტს იწვევს.

თუთიას შეიცავს როგორც მცენარეული, ასევე ცხოველური საკვები: ლოკოკინები და მოლუსკები, ქათმის გულღვიძლი, საქონლის ღვიძლი, ცხვირის ხორცი, გოგრის თესლი, ინდაურის თეთრი ხორცი, ლობიო, მუხუდო, კარტოფილი, შვრიის ფაფა, მზეუსუმზირა.

თუთიის დეფიციტის მიზეზი შეიძლება იყოს კუჭ-ნაწლავში მისი შეწოვის დარღვევა (ენტერიტის, ალკოჰოლიზმის დროს), შარდთან ერთად გაძლიერებული გამოყოფა (ღვიძლის ციროზის, ნეფროზული სინდრომის გამო), ტრავმები, დამწვრობა და ქირურგიული ოპერაციები, მიოკარდიუმის ინფარქტი, ინფექციები, სიმსივნეები, შიდსი, ანემია და სხვა.

მაგნიუმი

მაგნიუმის 67% ძვლებშია მოგროვილი, დანარჩენი კი — რბილ ქსოვილებში (უპირატესად კუნთებში). მაგნიუმი კალიუმის შემდეგ ყველაზე გავრცელებული უჯრედშიგა კათიონია (უარყოფითად დამუხტული იონი). მას დიდი მნიშვნელობა აქვს გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციონირებისათვის, ხოლო ტვინს მეხსიერების კონცენტრირებაში ეხმარება. ეს ელემენტი განსაკუთრებით მოხუცებს სჭირდებათ, რადგან ორგანიზმიდან ჭარბი ქოლესტერინის განდევნას უწყობს ხელს.

მაგნიუმით მდიდარი მარცვლეული (განსაკუთრებით — უხეშად დაფქული), პარკოსნები, წიწიბურა, კაკალი. შედარებით ნაკლებია იგი ხორცსა და თევზეულში. ■

იდეალური წონა უდიეტოდ

ვის არ სურს, ჰქონდეს იდეალური წონა? მოხდენილი სხეულის ქონის სურვილი ზაფხულის სეზონის მოახლოებასთან ერთად მძაფრდება ხოლმე. გაზაფხული კი საუკეთესო დროა იმისათვის, რომ მშვიდად, ექსტრემალური დიეტების გამოყენების გარეშე მოიშოროთ ზედმეტი კილოგრამები. ამისთვის კვების კონტროლი და ქცევის თავისებურებების გამომუშავებაა მნიშვნელოვანი.



პირველ რიგში, გირჩევთ, საკუთარ დევიზად გაიხადოთ ცნობილი გამოთქმა: „ვჭამთ იმისთვის, რომ ვიცოცხლოთ და არ ვცოცხლობთ იმისთვის, რომ ვჭამოთ“. შემდგომისთვის კი ასეთი რეკომენდაციები უნდა გაითვალისწინოთ:

• გადადით სამჯერად კვებაზე (საუზმე, სადილი, ვახშამი, პლუს ჭიქა მაწონი ძილის წინ); საკვები უნდა იყოს მრავალფეროვანი, მაგრამ არა გადატვირთული. უარი თქვით შუალედებში „წახემსებაზე“. საკვების მორიგ მიღებებს შორის შუალედი 4-6 საათი მაინც უნდა იყოს.

• ჭამეთ ნელა, მცირე ზომის ლუკმებით, საჭმელი კარგად დაღეჭეთ და ყურადღება მიაქციეთ მის გემოსა და არომატს. ეს გააუმჯობესებს საჭმლის მონელებას და შედეგად, დანაყრების შეგრძნება შედარებით მცირე მოცულობის საკვების მიღების შემდეგ გექნებათ.

• უმჯობესია, სუფრიდან „მსუბუქად“ თუ ადგებით, დანაყრებას კი მოგვიანებით იგრძნობთ. ნუ ეცდებით, რომ საკვებმა ბოლომდე გადაავსოს კუჭი.

• დასაწყისში ეცადეთ, შეზღუდოთ პურის, ფუნთუშებისა და სხვა ცომეული ნაწარმის მიღება. სადილზე ერთი ნაჭერი პური სავსებით საკმარისია. გავრცელებული აზრი, რომ პურის გარეშე დანაყრება შეუძლებელია, სწორი არ გახლავთ.

• საკვები ისეთი რაოდენობით მოამზადეთ, რომ შემდგომ ოჯახის წევრების წილის შეჭმამ არ მოგიწიოთ.

• გამოიყენეთ მცირე ზომის თეფშები.

• ნუ მიირთმევთ საკვებს ტელევიზორთან, რადგან შესაძლოა, ამ დროს მიღებული საკვების მოცულობა ვერ გააკონტროლოთ. თუ ტელევიზორთან ღეჭვის ჩვევა ძლიერია, შეგიძლიათ ახალი კომბოსტოს ფურცელი მიირთვათ ან უშაქრო საღეჭი რეზინი ღეჭოთ.

• სტუმრად ყოფნისას არ არის აუცილებელი, რომ ყველაფერი გასინჯოთ. შეაჩერეთ არჩევანი იმ კერძებზე, რომლებიც წყალში არ ჩაგიყრით თქვენ მიერ მიღწეულ შედეგებს. ეს შეიძლება იყოს ბოსტნეულის სალათები, თევზეული. ტორტზე უმჯობესია უარი თქვათ.

• ნუ აიწონებით ხშირ-ხშირად. უმჯობესია, წელისა და თეძოების გარშემოწერილობა გაიკონტროლოთ. თუ მიმდინარე კვირაში ამ ზომებში ცვლილება არ არის, გულს ნუ გაიტეხთ — მომდევნო კვირას ისინი აუცილებლად შემცირდება.

• დადებითი ფსიქოლოგიური ეფექტი აქვს საკვებ პროდუქტებზე ასეთი წარწერების გაკეთებას: „ხელი არ მახლო“, „არ შემჭამო“.

• ნუ შეზღუდავთ სითხის მოხმარებას. სითხის შეზღუდვა აძნელებს ნივთიერებათა ცვლის უკანგავი პროდუქტების გამოყოფას და ხელს უწყობს მარილების ჩალაგებას. გარდა ამისა, წყალი კუჭის სისავსის შეგრძნებას იწვევს და შეიძლება, მადა დაგიქვეითოთ.

• თუ სამსახურიდან შინ დაბრუნდით და ძალიან გშიათ, ნუ „ეცემით“ საკვებს დაუყოვნებლივ. უმჯობესია, მშვიდად მიიღოთ შხაპი, შემდეგ მეგობრებს დაურეკოთ, ახალი ამბები შეიტყოთ; თუ შეძლებთ, რომელიმე რომანის თუნდაც რამდენიმე გვერდი წაიკითხეთ და მხოლოდ ამის შემდეგ მიირთვით ბოსტნეულის კერძი (დაბალკალორიული) და ხორცი ან უმჯობესია — თევზი.

• ჭამაზე გამუდმებული ფიქრი თავიდან რომ მოიშოროთ, შეგიძლიათ რაიმე მნიშვნელოვანი საქმის კეთებას შეუდგეთ, წახვიდეთ სასეირნოდ, შეიარ-ოთ გამოფენაზე.

• იდეალური წონის მისაღწევად დიდი მნიშვნელობა აქვს აქტიური ცხოვრების წესს. საკვების შეზღუდვის შედეგად მიღებული ეფექტი ფიზიკური აქტიურობის ფონზე კიდევ უფრო ძლიერდება. ამიტომ აუცილებლად დაიწყეთ ყოველი დღე დილის გამაჯანსაღებელი ვარჯიშით. სასურველია, ამას დაემატოს საცურაო აუზზე, სატრენაჟორო დარბაზში სიარული.

• ძალიან მნიშვნელოვანია გარკვეული წესების დაცვა პროდუქტების შეძენისას. უპირატესობა მიანიჭეთ უცხიმო რძის ნაწარმს. ხშირად იყიდეთ თევზი, ზღვის კომბოსტო, ზღვის სხვა პროდუქტები, აგრეთვე, მწვანე, ყვითელი, წითელი შეფერილობის ბოსტნეული. ძალიან კარგია მწვანე სალათის ფურცლები, კომბოსტო. ნუ დაივიწყებთ ხილსაც, უპირველეს ყოვლისა, ვაშლსა და ციტრუსებს. მაგრამ ბანანი, ყურძენი, ხურმა შედარებით იშვიათად შეიძინეთ. უარი თქვით ძეხვეულზე, სოსისსა და სარდელზე.

• პური მცირე რაოდენობით იყიდეთ. ის უმჯობესია ჭვავის ან უხეშად დაფქული ხორბლისა იყოს. ნუ შეიძენთ საკონდიტრო ნაწარმს. ყველის ყიდვისას ეცადეთ, იგი მეტისმეტად ცხიმიანი არ იყოს.

• ნუ შეიძენთ ისეთ პროდუქტს, რომელიც თქვენი ოჯახის წევრებს არ უყვართ — მათი შეჭმა თქვენ მოგიწევთ. ნურასოდეს წახვალთ პროდუქტების მაღაზიაში მშიერი კუჭით: მშიერი ადამიანი ყოველთვის იმაზე მეტს ყიდულობს, ვიდრე საჭიროა.

• კვებითი ქცევის შეცვლისას აუცილებლად მოგიწევთ ძველ გატაცებებზე და „გემრიელ“ ჩვევებზე უარის თქმა. მოიშორეთ ეს ტვირთი დაუნანებლად — ჭარბი წონის დაკარგვით ხომ მხოლოდ ლამაზ ფიგურას კი არა, ჯანმრთელობასაც შეიძენთ. ■

ლეო მესი — დონ დიეგოს ღირსეული მემკვიდრე?!

სულ ცოტა ხნის წინ, კონკრეტულად კი ესპანეთის სამეფო თასის გათამაშების ნახევარფინალური ეტაპის პირველ მატჩში „ხეტაფესთან“ დაპირისპირებისას „ბარსას“ არგენტინელმა თინეიჯერმა ლეო მესიმ გასაცარი გოლი გაიტანა, რომლითაც მთელი საფეხბურთო სამყარო აღაფრთოვანა. უფრო მეტიც, ქომაგებმაც და მიმომხილველებმაც მესის გოლი 1986 წლის მუნდიალის მეოთხედფინალურ პაექრობაში დიეგო მარადონას მიერ ინგლისელთა კარში გატანილ ულამაზეს გოლს შეადარეს, ხოლო თავად „ბარსას“ ფორვარდი დიდი არგენტინელი ოსტატის ღირსეულ მემკვიდრედ გამოაცხადეს.

ცხადია, მესის გოლი შეუმჩნეველი არც თავად მარადონასათვის დარჩებოდა, რომელიც ამჟამად ერთ-ერთ კლინიკაში მკურნალობს. ჯანმრთელობის საგრძნობი გაუარესების მიუხედავად, მარადონა კვლავაც თვალს ადევნებს საფეხბურთო სამყაროში მიმდინარე მოვლენებს. დონ დიეგოს ერთ-ერთი თანაშემწის, გაბრიელ ბუონოს თქმით, 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის გმირი, მესის მიერ გატანილ ორივე გოლს აღუფრთოვანებია. „მე ვიცი, ვინ არის ის ფეხბურთელი, რომელიც ჩემს ადგილს დაიკავებს. მისი სახელი ლეო მესია“.

19 წლის მესიმ დაამტკიცა ის, რაც მარადონამ თავის წიგნში აღნიშნა, რომელიც ტონი ფრიროსის დაწერილია. „ლეო მესი „ბარსელონის“ განძია, — ამბობს ფეხბურთის არგენტინელი „ღმერთი“, — ის ნამდვილი ტალანტია“. შეგახსენებთ, რომ ორიოდე წლით ადრე, ანალოგიური განცხადება მარადონამ რონალდინიოს შესახებ გააკეთა. „ორი წლის შემდეგ, ფეხბურთმა სხვა განძი გვაჩუქა — ლეო მესი. ის 18 წლის ასაკიდან პროგრესირებს, მისი ნიჭი შეუკავებელია. მესი ფეხბურთისთვისაა დაბადებული. მხოლოდ იმას შეუძლია ბურთის ამგვარად ფლობა, ვინც ქუჩაშია გაზრდილი. გეგონება, მას ბურთი ფეხზე აქვს მიწებებული. მისი შეუპოვრობა და პატიოსნებაც დაბადებიდან თანდაყოლილი თვისებებია“, — აცხადებს არგენტინელი ლეგენდა, რომელსაც ეჭვი არ ეპარება, რომ მესი ფეხბურთის ისტორიაში დარჩება: „ჩემი აზრით, „ბარსა“ მისთვის საუკეთესო კლუბია. მე შენი ნომერ პირველი თაყვანისმცემელი ვარ, ლეო. ჯანმრთელობასა და წარმატებებს გისურვებ მომავალშიც“...

2005-2006 წლების სეზონში „ბარსელონის“ მაისურით მესის გამოჩენა ფეხბურთის არც ერთი ქომაგისათვის არ დარჩენილა შეუმჩნეველი. ახალგაზრდა არგენტინელის ნიჭის შესახებ ყველაზე გავლენიანი სპორტული გამოცემების მიმომხილველები ალაპარაკდნენ, რამაც თავად ლიონელიც კი გააკვირვა. „ვფიქრობ, ვაცნობიერებ იმას, რასაც ამ სეზონში მივაღწიე, მაგრამ ხანდახან რეალობაში ეჭვიც კი მეპარება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ყველა მოვლენას ვიხსენებ. ახლა ეს ყველაფერი სინამდვილეა, ადრე ამაზე მხოლოდ ოცნება თუ შემეძლო. „ბარსელონაში“ თამაში ყოველთვის მინდოდა, ამიტომ ახალი ხელშეკრულების გაფორმებამ უპრობლემოდ ჩაიარა“, — ამბობს ვუნდერკინდი, რომლის ბრწყინვალეებაც პირველად საფეხბურთო სამყარომ ახალგაზრდულ მსოფლიო ჩემპიონატზე იხილა. შემტევი ნახევარმცველის ამპლუაში მოთამაშე ლიონელ მესიმ უმაღლესი კლასის ფეხბურთი უჩვენა. ეს იყო ფილიგრანული პასები, შესანიშნავი ინდივიდუალური ტექნიკა, შეტევის დაგვირგვინების ნიჭი...

მხოლოდ იმას შეუძლია ბურთის ამგვარად ფლობა, ვინც ქუჩაშია გაზრდილი

მსოფლიო ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი სანტაფეში დაიბადა. ისევე, როგორც ყველა არგენტინელი ბიჭუნა, მესიც ბავშვობიდანვე ბურთს დააგორებდა და „რივერ პლეიტის“ მაისურით თამაშზე ოცნებობდა. 5 წლის ასაკში ადგილობრივ გუნდში — „გრანდოლიში“ მოხვდა, საიდანაც ფეხბურთის ქომაგთათვის კარგად ცნობილ „ოლდ ბოიზში“ გადავიდა. იქ ის „რივერ პლეიტის“ სკაუტებმა შენიშნეს. მაგრამ მალე მომავალი ვარსკვლავის მშობლებმა სამწუხარო ცნობა შეიტყვეს — მათ ვაჟიშვილს ჰორმონული დარღვევა აღმოაჩნდა (სწორედ ამით ხსნიან მედიკოსები ფეხბურთელის ტანმორჩილობას). ამის გამო, მესის ოჯახი ესპანეთში გადავიდა საცხოვრებლად. მაგრამ ახალ გარემოში ლიონელმა მალევე დაიმკვიდრა ადგილი. „მინიატიურული“ არგენტინელის ნიჭი შეუმჩნეველი არ დარჩენილა „ბარსელონის“ სკაუტებისათვის. ერთი სიტყვით, 2000 წელს 13 წლის ასაკში მესი კატალონიური გრანდის წარმომადგენელი გახდა. ჯერ კიდევ მაშინ, ლიონელის პოტენციალს მაღალ



აბა, წარმოიდგინეთ — ჩემ წინ თავად მარადონა იყო!

შეფასებას აძლევდნენ ფეხბურთის სპეციალისტები. ამიტომ გუნდის ხელმძღვანელობამ მასთან 2012 წლამდე გააფორმა კონტრაქტი. სპეციალურად მესისთვის შეიმუშავეს ფიზიკური მომზადების პროგრამა. არგენტინელიც ძალისხმევას არ იშურებდა, რათა კლუბის მესვეურთა მიერ მისდამი გამოჩენილი ნდობა გაემართლებინა. „ბარსას“ საბავშვო გუნდის მაისურით ჩატარებულ პირველსავე მატჩში მესიმ 5 გოლი გაიტანა, ხოლო იმ სეზონში გამართულ 30 შეხვედრაში 35-ჯერ გამოიჩინა თავი.

16 წლის ასაკში მესი „ბარსელონის“ მეორე გუნდთან ერთად უკვე ესპანეთის მეორე დივიზიონში ასპარეზობდა. იმავე წელს შედგა მისი დებიუტი ძირითად გუნდში — მესიმ „პორტუსთან“ გამართულ ამხანაგურ მატჩში მიიღო მონაწილეობა. ვუნდერკინდის მიერ ევროპაში მიღწეული

მე მხოლოდ ახლა ვიწყებ კარიერას...

წარმატებები არგენტინაშიც შენიშნეს. ის ქვეყნის ახალგაზრდულ (20 წლამდე ასაკის მოთამაშეთა) ნაკრებში მიიწვიეს, რომელშიც ნამდვილ ლიდერად იქცა. ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში არგენტინის ნაკრებმა ლიონელის მიერ გატანილი ორი პენალტის წყალობით, ნიგერიის გუნდი დაამარცხა (2:1). 2006 წელს კი, სუპერბიჭუნამ გერმანიაში გამართულ მუნდიალზეც იასპარეზა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 19 წლის „ბარსელონელს“ უკვე დიეგო მარადონას ადარებენ. „ეს უკვე მეტისმეტია! — დასძენს ის, — მე მხოლოდ ახლა ვიწყებ კარიერას... და რამდენადაც არასასურველი არ უნდა იყოს ჩემთვის, მაინც ვიტყვი: მარადონა ერთადერთი და განუმეორებელია და მასთან გატოლებას ვერავინ შეძლებს. როდესაც ის პირველად ვნახე, მეტყველების უნარი დავკარგე. აბა, წარმოიდგინეთ — ჩემ წინ თავად მარადონა იყო! ეს რომელიღაც ტელეგადაცემაში მოხდა. მასთან შეხვედრამდე მართლაც ძალიან ვნერვიულობდი“....

ლეო მესი აცხადებს, რომ მას „ბარსელონიდან“ არსად გადასვლა არ სურს: „მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო კლუბში ვიმყოფები. გარდა ამისა, ვცხოვრობ ბარსელონაში, ქალაქში, რომელშიც უკვე 6 წელია, თავს ძალიან კომფორტულად ვგრძნობ. მეტს რას ისურვებს კაცი?! აქ ყველაფერი მაქვს, მათ შორის, ქუჩაში სრულიად მშვიდად სეირნობის საშუალებაც. მშობლიურ როსარიოში, როდესაც ტრავმას ვიშუშებდი, იგივე ვცადე, მაგრამ ხალხი უეცრად დამაცხრა თავს. ეს წარმოუდგენელი იყო... ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის კომფორტია, რომელსაც აქ ვგრძნობ და ფულზე არ ვფიქრობ. სხვა კლუბს არ შეუძლია, შემომთავაზოს ის, რაც აქ მაქვს: კონკურენტუნარიანი გუნდი, რომელსაც გამარჯვებების მიღწევა შეუძლია, დიდი ქალაქი და ძალიან კარგი ატმოსფერო გასახდელში. „ბარსა“ ყველაფერს მაძლევს“. ■

უბრალო ბიჭის ახდენილი ოცნება

გოგიტა გოგუა: „მალხაზ ასათიანი რუსეთში საუკეთესოა“

საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა გოგიტა გოგუამ, რომელიც შარშან ნალჩიკის „სპარტაკში“ ასპარეზობდა, რუსეთის პრემიერლიგაში თავი მშვენივრად გამოავლინა. მანამდე რუსებისთვის ნაკლებად ცნობილი მოთამაშე ჩემპიონატის განმავლობაში ჩამოყალიბებული ფეხბურთელის საკადრისად ირჯებოდა და შედეგად, სეზონის საუკეთესო დებიუტანტის პრიზი დაისაკუთრა. გარდა ამისა, ის საკმაოდ იშვიათი რეკორდის თანაავტორი გახდა — კერძოდ, ნომერ პირველ დებიუტანტად იმ გუნდში აღიარეს, რომელიც თავად იყო პრემიერლიგის დებიუტანტი.

ლაშა თაბაგარი

გასულ ზამთარში გოგიტამ ნალჩიკი დატოვა, რადგან შოტლანდიურ „ჰართსში“ კარიერის გაგრძელების შანსი მიეცა. ამ ტრანსფერის განხორციელებას თითქოს არაფერი ედგა წინ და კლუბის ხელმძღვანელობასთან ჩვენებურს ყველა პირობა შეთანხმებული ჰქონდა, მაგრამ ბოლო მომენტში ყველაფერი ჩაიშალა. საქმე ის გახლავთ, რომ ბრიტანეთის საკონსულომ ქართველს სამუშაო ვიზა არ მისცა.

ამის შედეგად, გოგუამ თამაში უკვე სხვა რუსულ კლუბში — რამენსკოეს „სატურნში“ გააგრძელა. სხვათა შორის, ის გაკეთებულ არჩევანს არ უჩივის და რუსეთის საფეხბურთო პირველობაზეც ფრიად მაღალი აზრისაა: „რუსეთის ჩემპიონატს ჩემთვის სამი შესამჩნევი პლუსი აქვს — აქ უკვე მიცნობენ, ვიცი ენა, რომელზეც თანაგუნდელებთან ურთიერთობა შემიძლია, ხოლო უშუალოდ პირველობა კი ძალიან საინტერესოა. რუსეთში ბევრი ძლიერი კლუბია“.

თავად „სატურნის“ თაობაზე ის ამბობს: „ნალჩიკში ძირითადად ის ფეხბურთელები იყვნენ შეკრებილი, რომელთაც პრემიერლიგაში საკუთარი შესაძლებლობის წარმოჩენა სურდათ, რათა კარიერა უკეთეს გუნდში გაეგრძელებინათ. აქედან გამომდინარე, ისინი ხშირად ზედმეტ დროსა და ენერგიას ხარჯავდნენ ინდივიდუალურ მოქმედებაზე და შეიძლება, პასიც არ მოეცათ. „სატურნში“ კი მეგობრული ატმოსფერო სუფევს და მოთამაშეებს შორის სრული ურთიერთნდობაა. რამენსკოეში ნალჩიკისგან განსხვავებით, ყოველი შეხვედრის წინ მხოლოდ მოგებას გვისახავენ მიზნად, თუნდაც ჩემპიონატის ლიდერს ვხვდებოდეთ“.

ამჟამად, გაცილებით ხშირად შეუსეშებიან და შესაბამისად, თამაშიც უფრო მიძნელდება,

საუკეთესო დებიუტანტად აღიარების შემდეგ, მეტოქე ფეხბურთელები გოგიტას მეტი ყურადღებით ეკიდებიან და მის წინააღმდეგ უხეშობასაც არ თაკილობენ. „ამჟამად, გაცილებით ხშირად მეუხეშებიან და შესაბამისად, თამაშიც უფრო მიძნელდება“, — თქვა მან.

განვლილ სეზონში პუბლიკამ უფრო კარგად რომ გაიცნო, გოგუას აზრით, ამაში დიდი წვლილი ნალჩიკურ კლუბს მიუძღვის: „ვფიქრობ, რომ რუსეთში ფეხბურთის თამაში ნალჩიკიდან დავიწყე და არა „ხიმკიდან“, რომელშიც მანამდე გამოვდიოდი. იქ უბრალოდ ვირიცხებოდი და მოედანზე გამოსვლა ფაქტობრივად, არ მიწევდა. ნალჩიკში კი სათანადოდ დამაფასეს, ჩემი შესაძლებლობებისა ირწმუნეს და შანსი მომცეს, რასაც არასოდეს დავივიწყებ“.

მართალია, ნომინალურად საყრდენ ნახევარმცველს ასპარეზობა დროდადრო, ფლანგზეც უწევს, მაგრამ თავად აღიარებს, რომ დიდი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ სად ითამაშებს.

„საყრდენ ნახევარმცველად ნალჩიკელთა მთავარი მწვრთნელის, იური კრასნოჟანის

ხელში ჩამოვყალიბდი. ადრე, არცთუ ისე იშვიათად, სხვადასხვა პოზიციაზე ვთამაშობდი. მაგალითად, ნაკრებში ზოგჯერ მარჯვენა მცველად ან მარცხენა ნახევარმცველად გამოვდიოდი, ხანდახან მთელი ფრთის კონტროლსაც მავალებდნენ. პრინციპში, ჩემთვის სულერთია, სად ვითამაშებ, მთავარია, რომ მოედანზე გამოსვლის საშუალება მომეცეს. ნალჩიკში ძირითადად შეტევაზე ვიყავი ორიენტირებული, რამენსკოეში კი ხშირად დაცვაში თამაშიც მიხდება. ჩემთვის ეს სავსებით მისაღებია. თუმცა არ დავმალავ და გეტყვით, რომ შეტევა გაცილებით მიტაცებს“, — აღნიშნა გოგუამ.

წინა ჩემპიონატის ფინიშზე გოგუა „სპარტაკის“ ძირითად შემადგენლობაში მუდმივად ვერ ხვდებოდა, რაც ბევრმა, კლუბის ხელმძღვანელობასა და მთავარ მწვრთნელთან მის კონფლიქტს მიაწერა. ამასთან დაკავშირებით თავად გოგიტამ განაცხადა: „ამ საკითხზე გუნდის თავკაცს ვესაუბრე. მან ყოველივე ზედმიწევნით ამიხსნა. შესაძლოა, მისი განმარტება არ მომეწონა, მაგრამ შედეგზე, პირველ რიგში, მთავარი მწვრთნელი აგებს პასუხს. მოთამაშემ თავიდან ის უნდა გააკეთოს, რასაც ეტყვიან, ხოლო დასკვნები მოგვიანებით გამოიტანოს. კრასნოჟანს მოედნის ცენტრში სხვა ტანდემის გამოცდა უნდოდა და ამიტომ, ნახევარი ტაიმი მათამაშებდა. ხანდახან მაკრიტიკებდა კიდეც, რაც ჩვეულებრივი სამუშაო მომენტია. რა თქმა უნდა, თამაში პირველსავე წუთიდან მსურდა, მაგრამ შეცვლაზე რომ შემოვდიოდი, ვცდილობდი, მაქსიმალურად დავხარჯულიყავი“.

ახალგაზრდა ფეხბურთელის აზრით, რუსეთში მოასპარეზე ქართველებს შორის საუკეთესო — მალხაზ ასათიანია: „ის საერთოდ რუსეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელია. მის გარეშე „ლოკომოტივი“ ცოტა განსხვავებული გუნდია. იცით, მალხაზის წარმატების საიდუმლო რა არის? მას ბევრ პოზიციაზე შეუძლია თამაში და ყველგან ერთნაირად მაღალ დონეზე გამოდის. მშვენიერია, არა?! ასეთი ფეხბურთელი ყველა გუნდს სჭირდება. საერთოდ, რუსეთში არცთუ ისე ცოტა ქართველი თამაშობს. თუ ყველას გავითვალისწინებთ — პრემიერლიგაში, დუბლშემადგენლობაში, პირველ ლიგაში მოთამაშეებს, — ერთი გუნდის შეკრება შეიძლება... რუსეთში მოასპარეზე ქართველებს ტელეფონით ერთმანეთთან კონტაქტი ყოველთვის გვაქვს“.

თუ ფეხბურთელი მზად არ არის თამაშის ძალისმიერი მანერისთვის, ბევრს ვერ დარბის

რუსეთში წარმატების მიღწევის ფორმულას გოგუა ასე აყალიბებს: „მთავარი, ათლეტიზმი და სერიოზული ფიზმომზადებაა. თუ ფეხბურთელი მზად არ არის თამაშის ძალისმიერი მანერისთვის, ბევრს ვერ დარბის, არ შეუძლია, ორი ტაიმის განმავლობაში მაღალი ტემპი შეინარჩუნოს და მუდმივად ორთაბრძოლაში შედიოდეს, მას რუსეთის ლიგაში არაფერი ესაქმება. ეს აბსოლუტური სიმართლეა. საერთოდ, გასული სეზონი, როგორც ერთი დიდი ზღაპარი, ისე მახსენდება. დღესდღეობით ბედნიერი ვარ და მადლობას ვწირავ ღმერთს დახმარებისთვის, რომლის გარეშეც ჩვეულებრივი ადამიანისთვის წარმატებაზე ფიქრი ძნელია. მე ხომ ძალზე უბრალო ბიჭი ვარ“.

ბევრი ფეხბურთელი შვებულებას საზღვარგარეთ ატარებს, ხოლო გოგუა გეგმურ არდადეგებზე საქართველოში ჩამოდის, რასაც შემდეგი გარემოებით ხსნის: „საქართველოში დედ-მამა, მეგობრები და ახლობლები მყავს. აქ ჩემი სახლია და მშვენივრად ვისვენებ. იმ ხალხის გვერდით ყოფნა მჭირდება, ვისთან ერთადაც თავს ბედნიერად ვგრძნობ“.

აქვე გეტყვით, რომ თავდაპირველად რუსეთში ჩასულ გოგუას ენობრივი ბარიერი შეექმნა, მაგრამ ამჟამად რუსულს იმდენად კარგად ფლობს, რომ ადგილობრივ ჟურნალისტებს ინტერვიუებსაც თავისუფლად აძლევს. „ნალჩიკში ჩასვლამდე რუსული არ ვიცოდი, მაგრამ ენა წელიწად-ნახევარში ავითვისე. რუსეთში თამაშის საწყის პერიოდში თითქმის ყველაფერი მესმოდა, მაგრამ პრობლემა მექმნებოდა, რადგან რასაც ვფიქრობდი, სწორად ვერ ვაყალიბებდი“, — აღიარებს იგი.

გოგუას სათამაშო მანერის გამო, საქართველოში მეტსახელად გატუზო შეარქვეს

გოგუას სათამაშო მანერის გამო, საქართველოში მეტსახელად გატუზო შეარქვეს და ამასთან დაკავშირებით ფეხბურთელი ამბობს: „ეს მეტსახელი თანაგუნდელებმა საქართველოში, სათამაშო სტილიდან გამომდინარე მიწოდეს: მინდორზე ნამდვილი აგრესორი ვარ და არც საკუთარ თავს ვინდობ და არც მეტოქეს. მოედანზე ხისტად ვთამაშობ და ყოველთვის ბოლომდე ვიხარჯები. თუმცა ასე მხოლოდ მატჩის დროს ვიქცევი და ცხოვრებაში სულ სხვანაირი გახლავართ“.

სხვათა შორის, გოგიტამ ნალჩიკელები თავისი კულინარიული ცოდნითაც გააოცა: „მე მსურდა, ბიჭები ერთად შემეკრიბა და მათ გავმასპინძლებოდი. საკუთარ კედლებში ყაზანის „რუბინი“ რომ დავამარცხეთ, თანაგუნდელები მწვადზე დავპატიჟე, რომელიც თავად შეეწვი. „ლოკომოტივთან“ მოგების შემდეგ კი ქართული სამზარეულოდან რამდენიმე კერძი მოვამზადე, რომელიც ფეხბურთელებს ძალიან მოეწონათ. აქვე გეტყვით, რომ ნალჩიკში მარტო ცხოვრებისას პრობლემა არ შემქმნია, თუ სადილად რა მეჭამა და ვახშმად — რა, რადგან საჭმლის გაკეთება თავადაც ვიცი. ეს ხელსაყრელიც იყო, ვინაიდან ყოველდღე კაფეში ან რესტორანში შესვლა და ზედმეტი ფულის ხარჯვა არ მჭირდებოდა“.

გოგუა რუსეთსა და საქართველოს შორის გართულებული ურთიერთობით ფრიად უკმაყოფილოა. სხვათა შორის, ამის გამო, შარშან ნალჩიკში თამაშისას მას სამშობლოში დასაბრუნებლად მარშრუტის შეცვლამაც კი მოუწია. მანამდე გოგუა ნალჩიკიდან ვლადიკავკაზამდე ავტომანქანით ჩამოდიოდა, ხოლო იქიდან თბილისამდე იმავე სატრანსპორტო საშუალებით სარგებლობდა.

„რუსეთ-საქართველოს შორის ვიზიტარების დაძაბვის შემდეგ, ვლადიკავკაზიდან თბილისში წამოსვლა აღარავის სურდა, რადგან არ არსებობდა გარანტია, რომ საზღვარს გადააკვეთინებდნენ. რა უნდა ვთქვა, როდესაც თბილისი-მოსკოვის ავიარეისი არ არსებობს? რაც გასული წლის შემოდგომიდან ეს პროცესები დაიწყო, ქართველი ლეგიონერები თბილისში სტამბოლის ან ფრანკფურტის გავლით ვბრუნდებით“, — დასძინა გოგუამ.

ჟურნალი ჟურნალში

მზეკვნილები

26.04-2.05.2007



მაგია

ეს ჯაცი
მაწანწალა და
სახელგანთქმული
თემქელი გიჟი
– ბუგი-ბუგი
აღმოჩნდა...

უხ, დავბრიდავ
ბებიაჩემს, მომატყუა
მაგ მაგიურმა
ეშმაკმა...

გრაფი თარხანი

**სიყვარულის
წამალი ანუ
როგორ მოვიპოვოთ
ბედნიერება ერთ თვეში**



ვარ
გათხოვილი,
შვილების
პაატრონი ქალი.
ყოველთვის
სულიერ
სიმარტოვეს
განვიცდიდი.
შემიყვარდა
ჩემზე
ახალგაზრდა,
უცოლო ბიჭი.
დავშორდით...
ლოგინად
ჩავვარდი.

„სიცოცხლემისჯილი"

ორი ადამიანის მკვლელობაში
ბრალდებული ყოფილი
პოლიციელის შემაძრწუნებული
რეალური ისტორია

...დავდივარ
ქალაქსა თუ
რაიონში და
ჯაცებსა და
ქალებს
ვხოცავ...
ნამდვილი
სერიული
მკვლელი
ვყოფილვარ

მარტივი რჩევები

რა უნდა
იცოდეს
ზრდასრულმა
მამაკაცმა

თუ
გადაწყვიტე
მამა გახდე,
ეცადე ბავშვი
გამთენიისას
ჩაისახოს



ამჯერად ჩვენმა მკითხველებმა ყოველგვარი რეკორდი მოხსნეს და თემასთან დაკავშირებით იმდენი მესიჯი გამოგზავნეს, ნ „გზავნილებს“ ეყოფა. ეს ალბათ იმან გამოიწვია, რომ ძალზე იშვიათად თუ გაიჟღერებს ხოლმე „მამაშვილობის“ თემა. პირველი ამბავი ჩვენს ცნობილ, ძველ მგზავნელს, „ფინტიკოზას“ ეკუთვნის. თქვენ და ჩემი სახელით მას დაბადების დღეს ვულოცავ და მისი ცხოვრებიდან ერთ სევდიან ამბავს გთავაზობთ:

რატომ არ ფეხმძიმდებიან მამაკაცები და „ბიჭო, გამაგრდი“ ანუ „როდის დაბერდება, ნეტავ?“

მარი ჯაფარიძე

მკვდარი საიქიოდან არ ბრუნდება

„ბავშვობაში საკმარისი იყო, დედას შეეხსენებინა, ცუდად თუ მოიქცევი, მამა არასდროს დაგიბრუნდებაო, რომ მაშინვე ბეჯით და ჭკვიან გოგოდ ვიქცეოდი. შევნატროდი მეზობლის თანატოლ გოგოს, რომელსაც მამა ხშირად აკითხავდა და სათამაშოებს ჩემთვისაც ყიდულობდა. ყოველ დაბადების დღეს, 28 აპრილს სულმოუთქმელად ველოდი, თუმცა ეს დღე ჩემთვის იმედგაცრუებასთან ასოცირდება. მამაჩემს სხვა ოჯახი ჰქონდა და ჩემთვის არასოდეს ეცალა. მთელი ბავშვობა ამაოდ ველოდი. სკოლა რომ დავამთავრე, ბანკეტისთვის ვემზადებოდი. კაბა მკერავს შევაკერინე, მაგრამ იმ პერიოდში დედა ავად გახდა და შეგროვილი ფული წამლებში გადავიხადეთ, კაბა კი ვერ დავიხსენი. ბანკეტის წინ დედამ მამასთან მისვლა მირჩია: ასეთ დღეს მაინც არ გეტყვის უარსო. 60 ლარი მჭირდებოდა. მაშინ მამა „ვაგზლის“ ბაზრობაზე სანტექნიკითა და მანქანის ნაწილებით ვაჭრობდა. დახმარებაზე უარი მითხრა. — ფული არ მაქვსო. — ბანკეტი მაქვს და იქნებ მასესხო-მეთქი, ვთხოვე. ზურგი შემაქცია. ავტირდი. — გითხარი, ფული არ მაქვს და წადიო, — მომაძახა. შენი შვილი ან ცოლი ავად რომ გახდეს, რას იზამ? — ვკითხე. — ვისესხებო. — ჩათვალე, მეც გადაუდებლად მჭირდება-მეთქი. — შენთვის ვერ ვისესხებო. მივხვდი, არაფრად მივაჩნდი. — მაშინ, რადგან ბანკეტზე ვერ მივდივარ, შენთან ოჯახში წამოვალ-მეთქი. ღამის გაგიჟდა. ცოლის ისტერიკა უნდოდა? ჰოდა, დამიბარა, 2 საათში მოდი და ფულს დაგახვედრებო. ძალიან მეჩქარებოდა, 20 წუთში მივაკითხე. — წამოდიო, — მომაძახა და წინ გამიძღვა. აკაკი წერეთლის ძეგლთან რომ ბაღია, იქ მიმიყვანა და მითხრა: — ხელწერილი დამიწერე, რომ ამ ფულის მიღების შემდეგ აღარასდროს მოხვალ და მემკვიდრეობაზეც უარს აცხადებო. — ფურცელი და კალამი არ მაქვს, როგორ დაგიწერო-მეთქი? — ვიდრე არ დამიწერ, ფულს ვერ მიიღებ; შენ მგონი გეჩქარებოდა, ფურცელი და კალამი კი იმ ბიჭებს სთხოვეო, — მიმანიშნა იქვე, ხის ძირას მსხდარ ხუთ-ექვს ახალგაზრდა ბიჭზე, რომლებიც „ჯოკერს“ თამაშობდნენ. — არც ერთს არ ვიცნობ და როგორ ვთხოვო-მეთქი? მეგონა, გადაიფიქრებდა და ეს მხოლოდ ხუმრობა იყო. — როგორც გინდა, ისე ფულს ვერ მიიღებო, — გამიმეორა. სხვა რა გზა მქონდა? მივედი და ვთხოვე. — რად გინდა, ღამაზო? — ურცხვად შემათვალიერა ერთ-ერთმა. მე დაუფარავად, მოკლედ ვუთხარი, რისთვისაც მჭირდებოდა და თან ტირილი დავიწყე. — ეგ კაცი მამაშენიაო? თავი დავუქნიე. ეს ბიჭი წამოდგა, მამაჩემისკენ შებრუნდა და შეაფურთხა — ფუ, შე არაკაცო, შვილს ხელწერილს როგორ აწერინებო? ეგ კაცი შენი ცრემლების ღირსი არ არისო, — მომიბრუნა შემდეგ და ფურცელი და კალამი გამომიწოდა. მამაჩემს ნირი არ შესცვლია. დავწერე, ხელიც მომაწერინა, 60 ლარი მომითვალა, ფურცელი ჯიბეში ჩაიდო და ისე წავიდა, ჩემი ცრემლები მგონი, არც შეუნიშნავს. ბანკეტმა ისე ჩაიარა, არაფერი გამიგია. იმ დღეს მამა ჩემთვის მოკვდა. თუმცა მას შემდეგ მაინც ვცადე მასთან ურთიერთობის აღდგენა, მაგრამ როდის იყო, მკვდრები საიქიოდან ბრუნდებოდნენ?! ფინტიკოზა“.

მამა-შვილი

„25 წლის ბიჭი ვარ. 2 წლის წინ დავქორწინდი. ჩემი მეუღლე ბავშვზე მშობიარობას გადაჰყვა და დაიღუპა. მისგან სახსოვრად გოგონა დამრჩა. მე და ჩემი პატარა ერთად ვცხოვრობთ. დღისით დედაჩემი ჰპატრონობს, საღამოს, სამსახურიდან რომ ვბრუნდები, ჩემს თავზე ვიღებ მის მოვლა-პატრონობას. ღამითაც ჩემთან სძინავს. სძინავს რაა... მთელი ღამე ვთამაშობთ, არ იძინებს. თუ მხედავს, ჩუმად არის და ღუღუნებს. თუ არა და, ისე გაყვირის, მთელ კორპუსს ფეხზე აყენებს ხოლმე. ამიტომ იძულებული ვარ, ტუალეტშიც კი ერთად წავიდეთ. აბა, ჩემზე უკეთ ვინ იცის, რა არის მამაშვილობა?“

შიშველი ხუმრობა

„მამაჩემი ერთი უცნაური კაცია. ცხოვრებაში ბევრი პრობლემა შემიქმნა, მაგრამ კურიოზიც ბევრი იყო. იმის გამო, რომ სულ

ჩხუბობდა და სულ დაძაბულობა იყო, შინ გული აღარ მიჩერდებოდა და სულ გარეთ ვიყავი. ხან ბიძაშვილებთან, ხან — მეგობრებთან, ხან კი მარტო ვსეირნობდი და სახლში გვიან მივდიოდი. ამაზე, რა თქმა უნდა, მამა მეჩხუბებოდა და კარს მიკეტავდა ხოლმე. რომ დაეძინებოდა, დედაჩემი ჩუმად მიღებდა. ერთხელ ისევ დავიგვიანე. თან ვფიქრობდი, როგორ მოვქცეულიყავი. ჰოდა, ასეთი აზრი მომივიდა: ტანსაცმელი გავიხადე, სადარბაზოში დავმალე და კარი მოვსინჯე. ღია იყო. ჰოდა, დავაკაკუნე და ჩუმად შევედი სახლში. კაკუნზე მამაჩემი გამოვიდა და ცოტა არ იყოს, გაოცებულმა შემომხედა. მე კი თვალების ფშვნეტით და მთქნარებით ვთქვი: — ალბათ ვინმეს კარი შეეშალა-მეთქი. ასე გადავრჩი იმ ღამეს“.

პაპიკიჩა

„ერთხელ მე და მამაჩემი რაღაცაზე დავნაძლევდით. მოკლედ, წააგო პაპიკიჩმა და ვინც დარეკავდა ტელეფონზე, ყველა უნდა გაეღადავებინა. ამ დროს ზარიც გაისმა. ჰოდა — ანი მინდოდაო, იკითხეს. ბედი არ გინდა? ჩემი ერთ-ერთი თაყვანისმცემელი აღმოჩნდა. — ანი ნაშებშია, ვინ კითხულობსო? :-) ტიპმა ბლუყუნით უპასუხა — ამხანაგი ვარო. მამიკომაც არ დააყოვნა და ჰკითხა: — ეს ამხანაგი რა არის, ბიჭო? კომუნისტური სიტყვაა, თქვი რამე ისეთი... ან ძმაკაცი, ან მეგობარიო :-) ბევრი რომ არ გავაგრძელო, მეგონა, ვიხალისებდი და ღამის გავლურჯდი. ასე გადამიხადა პაპიკიჩმა სამაგიერო, ნაშასთან რომ ჩავუშვი. ისე, მაგარი ჯიგარი მამიკო მყავს. ვძმაკაცობთ... რა მოხდა, თუ გოგო ვარ? ქალიშვილებს ხომ, მამიკო უფრო უყვართ? მამი, მომენატრეეე... შენი „სანდრიკა“ ისევ ისეთი გადარეულია. „ზატო“ ისევ ისე მიყვარხარ!“

საერთო ნაყინი

„მამა ძალიან მიყვარს, სიგიჟემდე. მამა კი არა, ძმა და მეგობარია. მაგარი გამგებია. სიმპოა და ახალგაზრდა. ერთხელ ბიჭთან ერთად ვსეირნობდი და ნაყინს ვჭამდი. ამ დროს მამაჩემმა გამოიარა და ჩემს ნაყინს უკბიჩა. ეს ბიჭი მივარდა და ჩხუბი დაუწყო: — რა უფლება გაქვს, რომ ამ გოგოს ეხებიო. როცა გაიგო, მამაჩემი იყო, ისე დაიბნა, რომ ძლივს „ავკრიფე“. მამაჩემი სიცილით კვდებოდა. მე მეუბნებოდა: — ხომ გითხარი, ჯერ არ დავბერებულვარო? (მე ვეძახი ბებერს). კახელი ფილო“.

„ცუდი გოგოს“ ფიქრები

„1 წლის ვიყავი, მამა რომ გარდამეცვალა. ყოველთვის მინდოდა, მამის სითბო მეგრძნო. პატარაობაში ოთახში შევიდოდი, თვალებს ვხუჭავდი და ჩემს წარმოდგენაში მამას ვხედავდი. ეს სიტყვა ძალიან მიყვარდა და ჩუმად, გულში ვიმეორებდი. როცა სახლში მარტო ვარ, მამაზე ვფიქრობ. ხანდახან ისე გადავეშვები ხოლმე ოცნებებში, რომ მგონია, ცოცხალია და მოვა. იცი, ერთხელ დაბადების დღეზე ტორტის სანთლებს ვაქრობდი და თან სურვილიც ჩავიფიქრე: ნეტავ მამა გამომეცხადოს-მეთქი, მაგრამ რომ დავფიქრდი, თუ როგორ შემეშინდებოდა, წამში შევიცვალე აზრი. ალბათ ბევრია უმამოდ გაზრდილი. მარი, ჯიგარი ხარ, ასეთ თემებს რომ გვთავაზობ. მე რაც მოგწერე, ის სიტყვები, ის გრძნობა არავისთვის გამიმხელია. მიყვარხარ. ცუდი გოგო“.

რამ შეცვალა მამა?

„13 წელია, რაც დედა გარდამეცვალა. ის 48 წლის იყო. სიკვდილის წინ მამას სთხოვა, ცოლი არ მოიყვანოო. მან კი წლისთავზე დაგვასაჩუქრა და დედინაცვალი მოგვიყვანა. მას მერე ჩვენთვის ერთი თბილი სიტყვაც კი არ უთქვამს. არადა, მსოფლიოში არ არსებობდა მამაჩემზე თბილი და მოსიყვარულე კაცი. ახლა მამას რომ ვხედავ, მეცოდება და მინდა, რომ მოვეფერო, მაგრამ ვერ ვახერხებ, რადგან ჩაკვდა ჩემში ის გრძნობა, რასაც მამაშვილობა ჰქვია. მანჩო“.

„ონლაინ“ რეჟიმი

„26 წლის ბიჭი ვარ და როდესაც სახლში არ ვარ, ყველაზე მეტად მამაჩემი ნერვიულობს და განიცდის. დედაჩემს კი მისი დაწყნარება უწევს ხოლმე. ეს კი იქიდან გამომდინარეობს, რომ მამაჩემი ახალგაზრდობაში ძველბიჭობდა. სულ ჩხუბობდა და კარგ დამრტყმელადაც მიიჩნევდნენ. ჰოდა, ჰგონია, რომ მეც რაიმე შარში გავეხვევი და ყოველ ორ წუთში ერთხელ რეკავს და კითხულობს, როგორ ვარ. ეს ერთი მხრივ კარგიცაა. ხშირად დაურეკავს იმ დროს, როცა მეგობრებთან ერთად ვქეიფობ და მშობლების სადღეგრძელოა. ჰოდა, მეც „ონლაინ“ რეჟიმში ვადღეგრძელებ ხოლმე :-) და ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ მას ძალიან ვუყვარვარ. ალექსანდროს ძმა“.

გაჯგიმული მამა და საყვარელი შვილი

„პატარაობიდანვე, როცა მეკითხებოდნენ, დედა უფრო გიყვარს თუ მამაო? ყოველთვის მამას ვამბობდი და მამაჩემიც იჯგიმებოდა, არიქა, შვილს მე უფრო ვუყვარვარო. ამ ზაფხულს სოფლიდან რომ ჩამოვედი, მამიკო რესტორანში დამხვდა წასული, ძმაკაცებთან ერთად და ვინაიდან სახლში მარტო ვიყავი (ვიცოდი, ის მთვრალი მოვიდოდა), 2 საათამდე მომიწია ლოდინმა. ბოლოს, როგორც იქნა, მობანცალდა რვიანების ხაზვით და რომ დამინახა, ისე გაუხარდა, ჩამიხუტა და სულ ის იძახა, რაც კი შვილები მყავს, მათში ყველაზე მეტად შენ მიყვარხარო. არადა, მე ვყავარ და ერთიც — ჩემი ძმა, მეტი არავინ... მგონი... „კაროჩე“ ახლა ველარ სვამს, მაგრამ მე ჯიშს არ ვარცხვენ. ჩვენს მამაშვილურ სიყვარულში დილიკაურის ამბროზია დიდ როლს თამაშობს :))) ნინუა“.

იგივე პონტი და სუპერმამა

„წინა კვირას ბიძაშვილს ქორწილი ჰქონდა. მამაჩემი თამადა ბრძანდებოდა. ჰოდა, გვიან ღამით, საკმაოდ შეჭუკჭუკებული, ხელკავით ამყავდა მე-9 სართულზე. შუა გზაში ამიხირდა, რად მინდა ხელის მოკიდება, ბოლო სართულზე მომკიდე, იგივე „პონტიაო“. გაიგეთ რამე? ვერც მე :) უი, ჰო, მანამდე ტაქსის მძღოლს უმტკიცებდა, ფული რად გინდა, იმდენი ახალი ტექნიკაა შემოსულიო. გადარია საწყალი. ასეთი სუპერმამა მყავს, აბაა!“

ქალები 3 ყალბამდე იყოფიან: 1. ყოლაძაზოები. 2. მოდალაცვეები 3. ლაძაზები და ეროგუოები, ოლონდ ვახაზეში.

უცნობი შვილი

„ჩემი მშობლები ჩემს დაბადებამდე გაშორდნენ ერთმანეთს. მამაჩემს პირველ ცოლთან ჰყავს ვაჟი — თემო. მან რამდენიმე წლის წინ მომძებნა და მნახულობდა ხოლმე. ერთხელ, მესტუმრა ძმა და მომახსენა, რომ თავის დაბადების დღეზე ოჯახში მეპატიჟებოდა. მე, რა თქმა უნდა, გამიხარდა, მაგრამ დედამ გაიგიჟა თავი. დიდი ხვეწნის და ტირილის შემდეგ დავითანხმეთ. სოფელში ჩასვლისას მამამ უცერემონიოდ შემომხედა და მკითხა: — ვინ ხარო? აი, ასეთი მამიკო მყავს“.

უსაქმური პოლიციელი

„მამაჩემზე უნდა გიამბოთ. იცით, როგორ მიშლის ნერვებს? რაღაცნაირი, უთავბოლო კაცია. თან ზარმაცი. გარჯა ეზარება. გამოიკვლანწება პოლიციის ფორმაში, მორიგეობს და სახლში თითქმის არაფერს აკეთებს. ერთი წელია, ჩემი გარდერობის კარი ჩამოგდებულია და ვერაფრით გავაკეთებინე. დამაწყვიტა ნერვები. დედაჩემი სულ ეჩიჩინება, მაგრამ მიდიიი... თურმე ცუდ პირობებში რომ ცხოვრობ, უნდა შეეგუო და უარესი უნდა დაგემართოს. წარმოგიდგენიათ? ხან ვბრაზდები, ხან გიჟივით მეცინება. ეჰ, დედი, ნეტავ სად იპოვე?“

ჩუმი სიყვარული

„8 წლის ვიყავი, ჩემი მშობლები რომ გაიყარნენ. მამას აუტანელი სიმთვრალე ჰქონდა. განსაკუთრებით ჩემსა და დედიკოს მიმართ იყო აგრესიული. ჩემს დაიკოს კი ყოველთვის ეფერებოდა. მიუხედავად ასეთი სიცივისა, მაინც ძალიან მიყვარს. თუმცა ეს არავინ იცის. ყველას ჰგონია, ვერ ვიტან და მძულს. არადა იცი, რამდენჯერ მიტირია ჩუმად? ყოველთვის, როცა ვხვდებოდი, ცივად ვექცეოდი, ვერ ვპატიობდი იმ ტკივილს, სულ პატარას რომ მომაყენა. დღემდე მტკივა გული. მე ხომ წესიერად ვერც გავიგე, რას ნიშნავდა სიტყვა „მამა“. მშურდა გოგონების, ვისაც გვერდით ჰყავდა მამიკო. მეც მინდოდა მათსავით მომფერებოდა, ვყვარებოდი და ეზრუნა ჩემზე, მაგრამ ღმერთმა არ გაიმეტა ჩემთვის ასეთი ბედნიერება, რასაც მამაშვილობა ჰქვია. მაპატიე, მამიკო, თუ ვერ გაპატიე... და მაინც, ყველაფრის მიუხედავად, ძალიან მიყვარხარ“...

როდემდე?

„დიდი ხანია, თქვენთვის არ მომიწერია. დღევანდელმა თემამ კი გულგრილი ვერ დამტოვა. არც ყველა დედაა დედობის ღირსი და არც ყველა მამა — მამობის. ჩემს ქმარს ანგელოზივით ბიჭები გავუჩინე, წელებზე ფეხს ვიდგამდი, რომ მათთვის საჭმლის ფული მეშოვა, დღე ნამცხვრებს ვაცხობდი და ვაბარებდი, ღამე კი ვქსოვდი და ვკერავდი, გასაყიდად. თან ოჯახს ვუვლიდი. ის კი მთელ დღეებს გარეთ, ბიჭებთან „ჯოკერის“ თამაშში ატარებდა. ან ეძინა ან ჭამდა, მეტზე არაფერზე ფიქრობდა და არაფერი ადარდებდა. დიდი ხანი ვითმინე და ბოლოს, რომ ვეღარ გავუძელი ამდენი უზნეობის ყურებას, მოვკიდე ამ ჩემს შვილებს ხელი და წამოვედი. ისე საცოდავად გამოიყვანა თავისი თავი, თითქოს თვითონ დარჩა დაზარალებული და მიტოვებული. რომ აღარავინ მიუტანა საჭმელი, კეთილი ინება და მუშაობა დაიწყო, მაგრამ მაინც არ კითხულობს, რით სულდგმულობენ მისი შვილები. მიუხედავად ამისა, ბავშვებს მამა ეცოდებათ, მე კი ათას სამსახურში გაბმული და მათზე გადაგებული, მაინც დამნაშავედ მივაჩნივარ და საქმე საქმეზე რომ მიდგეს, მას გაამართლებენ, მე კი არა. ექსტრემი“.

ბუზღუნა მამა

„აუ, მამაშვილობის თემა ზედგამოჭრილია ჩემზე. აგერ, მე და მამაჩემს სულ დაკა-დაკა გვაქვს სახლში გამართული. მაგარი ბუზღუნა და ცხოვრებით უკმაყოფილოა, მე კიდევ, უპასუხისმგებლო და გამოუსწორებელი. წუხელ დაბადების დღეზე ვიყავი და 2 ლიტრამდე ღვინო დავლიე. სულ განსხვავებულ-ვახტანგურებით, მაგრამ მამაჩემმა ვერ შემატყო და სიტყვა არ უთქვამს. დღეს კიდევ, უნივერსიტეტიდან მოსვლა 1 საათით დამაგვიანდა და კინაღამ წესი ამიგო. აკვა“.

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.

„ზადნით“ გაშვებული მამა

„ეჰ მარი, მაგ თემაზე იმდენი მაქვს მოსაყოლი... მაგრამ თავს შევიკავებ. ისე კი დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ მსოფლიოში არც ერთ ადამიანს არ ექნება მამასთან ისეთი ურთიერთობა, როგორიც მე მაქვს. სამწუხაროდ, ცუდ ურთიერთობას ვგულისხმობ. ასე რომ, ეგ ჩემთვის ძალიან მტკივნეული თემაა... პენსიონერი“.

„ვაიი, ცერი თითი როგორ მექავებაააა... რა ვქნაააა? :)) ვაა, მოოვიიიფიიიიქრეეე... მარის მესიჯს მივწერ და თან ხუთშაბათსაც გავიხარებ, ხომ, მარიიი? კაპარჩხანა გურული“.

„ვაიმე მარი, რა მამა მყავს, იცი? ძალიან მაგარი კაცია. როცა მთვრალია, ვატირებთ ხოლმე. იცით, რატომ? ვეუბნებით, რომ დედა არ გიყვარსო და... — როგორ არ მიყვარსო და ტირის... არადა, გიჟდება დედამისზე. მაგრად უყვარს. აუ, რას ვკაიფობ ხოლმე, იცით? ცაკალელი მამა მყავს. გარიჟრაჟა“.

„შორს ჩვენგან მაგია და „მაგიოზები“! ისე, ჩემმა ყოფილმა ქმარმა ერთ-ერთი მაგიური რიტუალისას სიზმარში მნახა, 30 წლის წინ ანუ 9 წლით ადრე, ვიდრე დავიბადებოდი. აკვა“.

„ეჰ, მარი, როდის გამიმართლებს და ჩემს მესიჯს როდის ვიხილავ ახალ „გზავნილებში“? ყველასგან განსხვავებით, „გზისთვის“, არსად გავრბივარ. 90 თეთრს ვიხდი და ყოველ პარასკევს სახლში მოაქვს გაზეთის გამყიდველს, მაგრამ ვინ გაცდის წაკითხვას? დედას და მამას ავიწყდებათ შვილი და მორიგეობით კითხულობენ. ჯერ თქვენთან ვუჩივლებ. თუ არაფერი მეშველა, ვივიწყებ „დედამამაშვილობას“ და სასამართლოში სარჩელს შევიტან. ხომ დამეხმარებით? გამწარებული ციანიდი“.

„ჩემთვის არც მამა არსებობს და არც დედა. ყველამ გამრიყა. არავინ მკითხულობს. ვცხოვრობ ჩემს შვილთან ერთად მარტო, განადგურებული. ნუთუ ჩემს მამას მამა ჰქვია? პატარა ბავშვთან ერთად თავიდან მომიცილა და ახლა ქუჩაში ვარ. ნუთუ ღირს, ასეთი სიცოცხლე? ტანჯულა“.

„ახლა რომ იცოდეთ, ჩემს უბანში რა მოხდაააა... ძმამ დას შეუსწრო საყვარელთან. აქ ამბავი დატრიალდაააა... მტრისას, ღმერთმა დაგვიფაროს. კეტრინ ზეტა ჯონსი.

„პირველად წავედი ბიჭთან პაემანზე და საერთოდ არ ვაპირებდი, რომ მამაჩემისთვის მეთქვა,

მაგრამ სახლში რომ მოვედი, სულ თავისით მომეყოლა :) დამარიგა და ბევრი კარგი რამ მირჩია. ამას ვერც კი წარმოვიდგენდი. მამა, მაგრად მიყვარხااااარ. ბუტია :) მااარ, დამიბეჭდე რااა... „გეფლიზები“.

„თემამ ჩემი დღიური გამახსენა, სადაც 4 წლის წინანდელი ასეთი ჩანაწერია: „დღეს ჩემი ძმა აქეთ-იქით დარბოდა, ყვიროდა. მამა მივარდა და ცემა დაუწყო. დედამ დაიცვა, მან კი დაარტყა. მეზიზღება! ის კაცი რა კაცია, ვინც ქალზე ხელს ასწევს? ის ლაჩარი და ქალაჩუნაა. როდის დაბერდება, ნეტავ?“ ამის გახსენება საშინლად მოქმედებს“.

„მამა ჩემთვის მარტო მამა კი არა, საფიცარი ადამიანია. ჩემი ცხოვრება ძალიან რთულია და მამა რომ არ მედგას მხარში, ალბათ, გავგიჟდებოდი. მასთან ნებისმიერ თემაზე ვსაუბრობ და მისგან ბევრს ვსწავლობ. ის განათლებული ადამიანია და დღეს თუ რაიმეს წარმოვადგენ, მისი დამსახურებაა. მას რომ რამე დაემართოს, ალბათ თან გადავყვები. მიყვარხარ, მამიკო და ვამაყობ შენით“.

„მყავს დაქალი. მისი მეჯვარეც ვარ. 5 წლის წინ მას მოულოდნელად 13 წლის და გარდაეცვალა. დედა მოთქმითა და ტირილით გამოხატავდა მწუხარებას, მამა კი უხმოდ იტანჯებოდა. 40 წლამდე ასაკის კაცი დაავადდა, სიარულიც უჭირდა, სმა დაიწყო. 1 წელიწადში კი ავტობუსს შეუვარდა და გარდაიცვალა. ამბობენ, გამიზნულად გააკეთაო. ავტობუსის მძღოლი პო“.

„მეც მინდოდა, რამე მომეწერა, მაგრამ არ გამომივა, რადგან მამა არ მყავს. ისე, ჩემს დაქალ შამილკოზე გეტყვით, რომ მას მამასთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა აქვს. ასევეა ჩემი მეორე დაქალი, კლეოპაც. ისე, მე თუ მკითხავ, რასაც ბავშვს დაუშლი, მით მეტს გააკეთებს. აკრძალული ხილი ხომ უფრო გემრიელია? ამიტომ, ეს ყველა მშობელმა უნდა გაითვალისწინოს. თაფლაკვერა“.

„მამაჩემმა დედაჩემი ჩემზე ფეხმძიმობისას მიატოვა და რუსეთში გაიქცა. ხუთი წლის შემდეგ დაბრუნდა და დედამ ყველაფერი აპატია. ახლა ერთად ვართ, მაგრამ ცუდად მხვდება გულზე, როდესაც წარმოვიდგენ, მიტოვებული დედა რა უბედური იყო... მიმი“.

„ადამიანს, რომელსაც კარგი მამა ჰყავს, მაგრად გაუმართლა. მე ძალიან მიხარია, რომ მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო მამა მყავს. ყველა სურვილს მისრულებს, ძალიან ვუყვარვარ და საზღვარგარეთაც მიშვებს მალე... ავოეეე... მაა, მიყვარხარ! ნაბოლარა ბარტყი“.

„არაჩვეულებრივი მამა მყავს და ძალიან მიყვარს, მაგრამ სამაგიეროდ, მამამთილი მყავს, ზეაფერისტი. — ჩემი შვილი ხარო, მეუბნება, მაგრამ ჯერ სახელი არ დაუძახია. გოგოს მეძახის. ეს არის მამაშვილობა? მას ჩემი უსაქმური ქმარიც ემატება. სიცოცხლე გამიმწარდა“.

„3 წლის ვიყავი, როცა მამაჩემი დედაჩემს გაშორდა და ვის გამო? მისი ძვირფასი დედიკოს გამო. ცხვარივით დაუჯერა მამაჩემმა. ახლა ალიმენტს გვიგზავნის მე, დედას და ბებიას (დედის დედა). მაგის დედიკოს ბებიად არ ვაღიარებ. ბოროტი ქალია. ახლა მეორე ბიჭის ცოლს „წველის“, მაგრამ ის რძალი ჭკვიანი გამოდგა. იმ ქალბატონმა მთელი ცხოვრება მშვიდად გალია. 80 წლის დედა მოსამსახურედ დაიყენა. საწყალი მალე გარდაიცვალა. ახლა მეორე რძალი შვილს ელოდება. ვნახოთ. თიკო“.

„აი, ამიტომ არ მიყვარს სოფელში „მივლინებები“. დღეს ძლივს მეღირსა „გზის“ ნახვა. არადა, მამიკო მენატრებოდა და... ის არ მეყო, მთელი 7 წელი რომ არ მანახვებდა დედა? ილინი“.

„ერთ ღამეს მე, ჩემი და და კიდევ 2 ნათესავი გოგო პარკიდან მოვდიოდით. ამ დროს დარეკა მამაჩემმა და გვითხრა: — მანქანაში დამელოდეთ და 10 წუთში მე თვითონ მიგიყვანთ სახლშიო. თვითონ შევიდა რესტორანში და ქეიფი გააგრძელა. გავიდა 1 საათი, მაგრამ არ გამოჩნდა. ჰოდა, მოგვბეზრდა ლოდინი. თან გოგონებიც მანამუსებდნენ: ნეტავ, შენსავით ბიჭი ვიყო, ამ მანქანას ასე გავაჩერებდიო? მეც წამოვეგე ანკესზე, დავქოქე მანქანა და შევუბერეთ, მაგრამ 5 წუთში დარეკა ტელეფონმა და გაისმა მამაჩემის სასიამოვნო ხმა: შვილო, არ იჩქარო, ისე მობრუნდი უკანო. როცა მივედით, ჩამოგვყარა მანქანიდან და იმ სიბნელეში წინ გაგვირეკა. თვითონ უკან მანქანით მოგვყვებოდა. თან გაიძახოდა: — მადლობა თქვით, გზას რომ გინათებთო. აი, ასე დავისაჯეთ. დიდ-თავა“.

„გამარჯობა მარი, მე ის მამა ვარ, შვილი რომ ვერ ვიცანი „მარშრუტკაში“... ხომ არ გიკვირთ? საერთოდ, ასეთი დაბნეული ვარ. ამას წინათ ტელევიზორს ვუყურებდი. სათვალე მეკეთა და მთელი ხუთი წუთი სათვალეს ვეძებდი... რაც შეეხება დღევანდელ თემას, ვცდილობ, შვილებთან მეგობრული ურთიერთობა მქონდეს. ლენგი“.

„ამქვეყნად ყველაზე მაგარი მამა მყავს. იგი ჩემთვის კაცის იდეალია. ხმამაღლა არასოდეს უთქვამს, მაგრამ ვიცი, ჩემით მაგრად ამაყობს. მა, მართლა ძალიან მიყვარხარ და ვეცდები, იმედები არ გაგიცრუო. ეკა“.

„ჩემთვის და მამაჩემისთვის ერთი სახლი ძალიან პატარაა... ბევრი დაწერს, როგორი გამგები და ჯიგარი მამა ჰყავს. მე კი შავი შურით შემშურდება... უბედური“.

„რომ იცოდეთ, რა მაგარი მამა მყავს! პატარა ვიყავი, დედა რომ დამეღუპა, მაგრამ მამას ცოლი არ მოუყვანია. შვილებს არავის დავაჩაგვრინებო, ამბობს. ჰოდა, ჩვენ უკვე დიდები ვართ. მა, კარგ „დედიკოზე“ უარს არ ვიტყოდი. ძალიან მიყვარხარ. ლიკუნა“.

„დღეს ქუთაისში პირველ ნომერში ავედი და დავჯექი თუ არა, „გზა“ გავაძრე და ცხვირი ჩავრგე. მარი, მამაჩემი რომ არა, ვინ ჩამიკუჭავდა 50 ლარიანებს? მია“.

„ჩემზე და მამაჩემზეა ზედგამოჭრილი თემა. დედაჩემი გვეუბნება, მაგრად ჰგავხართ ერთმანეთსო. სატანა. უი, სახელზე გამახსენდა, მანდ ვიღაც სახელს „მახევს“. სატანა“.

„ერთი პატარა ზღაპარი: იყო ერთი ბიჭი. ცუდმა ხალხმა მას დაიკო წაართვა. მამა არ ეცადა, დაებრუნებინა ძმისთვის. არც უკითხავს, ხომ არ გენატრებაო? მერე ბიჭს გოგონა შეუყვარდა ძლიერ. ცუდი საქციელის გამო მამამ საზღვარგარეთ წაიყვანა. არც უკითხავს, რატომ არ გინდა წამოსვლაო. დაიკარგა სიყვარული. გული მოუკლა მამამ შვილს... იცით?“

„მამაშვილობა საოცარი რამეა. უდიდესი სითბო, სიყვარული და მეგობრობაა, მამასა და შვილს შორის. მე კი ამ ყველაფერს მოკლებული ვარ. მარტო სიყვარუ-

ბედნიერება ამის ხანმოკლეა, მინანილის გამეორ.

ლი არ კმარა, შენი შვილის მეგობარი უნდა იყო, მისი უსიტყვოდ უნდა გესმოდეს. მის ტკივილს უნდა გრძნობდე. უამრავი ტკივილის მიუხედავად, მამას უდიდეს პატივს ვცემ. ის ერთადერთია, სულით ლამაზია, შეუდარებელია. იცით, მამის გული რამდენ ტკივილს იტანს? მამა დასაფასებელია. სულში ჩასახუტებელი. დათო-1“.

„რაც შეეხება ამ კვირის თემას, ზუსტად ჩემთვისაა განკუთვნილი. აღარ შემიძლია, მე და მამაჩემი სულ ვჩუბობთ. არ მოსწონს ჩემი ჩაცმის სტილი, პარფიუმერიის გამოყენებასაც მიშლის. არ ვიცი, რა ვქნა. ნეტავ, მარტო მე ვარ ასეთ სიტუაციაში? მარტის გიჟი“.

„მამა, შენ რომ არ მყავდე, რა მეშველებოდა? ჩემი ფუსფუსა მამიკო ხარ. ახლა გვერდით მიზის და მეკაიფება, არ იქნება შენი მესიჯიო. მარი, მიდი გამახარე და დაბეჭდე, თორემ კაიფი ხუთშაბათს ნახე. კეტრინ ზეტა ჯონსი“.

„რატომ არ ფეხმძიმდებიან მამაკაცები? ერთი მაგათ გააჩინონ შვილი და მერე როგორ ეყვარებათ შვილები, გაიგებენ. ამას ჩემი ქმრის გამო ვამბობ. სულ არ ეფერება ბავშვებს. თუმცა, უკვე აღარც მე მეფერება“.

„თემა რომ ვნახე, ცრემლები მომაწვა, ისე მომინდა მამა გვერდით მყოლოდა, მაგრამ ეს მას თავად არ უნდა და ვერ ვხდები, რატომ. ხანდახან უზომოდ მინდა, ჩავეხუტო და სულ ჩემთან დავტოვო, მაგრამ... მამის სითბო მენატრება. ქეთი“.

„მამაჩემი რომ შემოვა ხოლმე მთვრალიი... ავოეეე... ბავშვი გააღვიძეთ! ვაა... ისეთი მდგომარეობაა... ვეღარ გაიგო, რომ მძინავს, რა! მამი, ბოლო ჭიქა აღარ უნდა დაგელიაა!“

„ყველაზე მეტად ამქვეყნად მამა მიყვარდა და უკვე 8 თვეა, აღარ არის. ძალიან მტკივა გული და მიჭირს უიმისოდ. ყველაზე კარგი მამა მყავდა ამქვეყნად“.

„მე სვანი მამიკო მყავს და მაგარი მამაშვილობაც გვაქვს. ერთხელ ერთმა ბიჭმა ვარდი მომიტანა. კარში ჩემი მამიკუნა შეეფეთა და... მეექვსე სართულიდან უბნის გაჩერებამდე ირბინეს საწყლებმა. იმის მერე ვარდი კი არა, სკოლაშიც აღარ მომსალმებია ის ბიჭი. დღეს მე და ჩემი სვანუკა მამიკო მაგრად ვღადაობთ, მაგრამ მაშინ რა დამატყდა თავს, არ მკითხოთ. ანგელოზკაა“.

„მამა მყავს, უბრალოდ კურიოზი. ერთხელ სკოლასთან ვაბირჟავებდი გოგო. ჭკუაზე არ ვიყავი, „პოპულარნი“ ბიჭებს ვეპრანჭებოდი და ამ დროს მამაჩემი მოჯაყჯაყდა, თავისი „ნიკოლოზის დროინდელი“ „პობედით“. „დაატორმუზა“ და გამომძახა: — შამოხტი „მაშინაში“, ჯიმითში მივდივართო. — აი სულ ასე მარცხვენს თავისი მანქანით, მაგრამ ვერ გავაყიდვინე. კახელი კონდოლიზა“.

„მაგრად მიყვარს ჩემი მამიკო, მაგრამ მაბრაზებს. სულ მაწუწუნებს და მახვეწნინებს იმაზე, რომ კომპიუტერი მინდა. მინდა და მინდაააა... ჰო, ახლა ტელევიზორთან ზის და ახლოს არც კი მაკარებს :(:(:(კაი მა, რა, წადი სადმეეე... კვატბატუნა“ :)

„რომ იცოდეთ, ახლა როგორ ვიტანჯები... მეზიზღება ლომაია! შეიძლება, ასე დატანჯო საცოდავი ბავშვები? ეშმაკუნა“.

„მამაჩემი ჩემი ძმაა და მაგარი კაცია, სუფრაზე ერთად ვართ, ერთად ვთევზაობთ, ვნადირობთ, ნაშებზე ვჩალიჩობთ, „კაროჩე“, მაგარი მამა მყავს, რა!“

„მარი, დამიბეჭდე, თორემ აღარ ვისწავლი და ვეღარ ჩავაბარებ. მერე დავდგები ქუჩაში და გავლოთდები, მერე მოვკვდები, ირბინე მერე მოძღვართან და მოინანიე... ხომ მაგარი ფანტაზია მაქვს? ხალხო, მიყვარხარ! იცოდით? ახლა ბობ მარლის ვუსმენ და „გზავნილებზე“ ვფიქრობ. მარი, „გზავნილების“ გარეკანზე, ხის ფულეროში რომ ქალუკა ზის, მაგის ნომერს ვერ მეტყვი? ბაკო“.

„ბავშვობისას მამა მიყვარდა, მხრებზე შემისვამდა და დავყავდი ტბაზე, ტყეში, სოკოს საკრეფად, სასეირნოდ, მეც მამიკოს გოგო ვიყავი... მერე დედა და მამა დაშორდნენ, ისევ შერიგდნენ, ისევ დაშორდნენ. ერთი წლის განმავლობაში მამას ვერ ვხედავდი. მერე უბრალოდ, შევეჩვიე. მამა რომ დაბრუნდა, ვეღარ ვიცანი. სვამდა, იგინებოდა, ყველაფერს ლეწავდა, მეც კი უშვერი სიტყვებით მაგინებდა. ძნელი იყო იმის დაჯერება, რომ მამა აღარ მიყვარდა. ახლა უკვე დაბერდა, ცდილობს, ყველას თავი მოაჩვენოს, რომ იდეალური მამაა, მაგრამ ყველაფერი ყალბია. უბრალოდ, ფეხებზე ვკიდივარ“.

„ვიცი, რომ ჩემი მესიჯი არ დაიბეჭდება, რადგან მარის სევდიანი ამბები არ უყვარს. არც დედაშვილობის თემაზე და არც ახლა, კარგი არაფერი მაქვს მოსაყოლი. ნეტავ, რა ვარსკვლავზე დავიბადე, ასეთი უიღბლო რომ ვარ? თუმცა ალბათ იმ ღამეს ვარსკვლავი საერთოდ არ ანათებდა. იამური“.

„მამაჩემი მსოფლიოში ყველაზე მაგარი კაცია, მაგარი ძმებივართ :) მინდა ყველას ვუსურვო ჩვენნაირი მამაშვილობა“.

„თათა-კრისს“ მინდა ვუთხრა, რომ ბედნიერია, მამის პატიება რომ შეძლო. მეც ანალოგიური რამ შემემთხვა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მამაჩემი ახლაც ცოცხალია და 17 წლის მანძილზე ერთხელაც არ გავხსენებივარ. ახლა აღარც დედა მყავს. მამაჩემს ამას არასოდეს ვაპატიებ. თათული“.

„ახალციხიდან გწერთ. მე მამინაცვალმა გამზარდა, 7 წლის ასაკიდან. მას მამას ვეძახი და არაჩვეულებრივი ადამიანია. ბევრი მამა არ უკეთებს შვილს იმას, რასაც მე მამინაცვალი მიკეთებდა. აგერ, 22 წლის ვარ, ოჯახი მაქვს, 2 წლის ანგელოზიც მყავს. რომ დავქორწინდი, ზღაპრული, 500-კაციანი ქორწილი გადამიხადა, პატარას რომ ველოდი, თან მყვებოდა“.

„იცით, რა მოვიფიქრე? მარის დაბადების დღეზე მივადგეთ სახლში, დიდი ტორტით. აუ, თან რამდენი ვიქნებით? აუუ... ოღონდ ჯერ მარის დაბადების დღე უნდა გავარკვიოთ. რაა, ცუდი იდეა მაქვს? მშვენიერიაა. გარიჟრაჟა. „გზავნილებს“ ვკითხულობ, უკვე მესამე „კრუგზე“ წავედი. ძალიან სწრაფად შემომეკითხა და იქნებ რამე მოიფიქრო, მარი? ა? მაგალითად, შრიფტი უკუღმა ან ჩინურად დაბეჭდო? ფინტიკოზა“.

„მამის ფასი არაფერია. „ჯიგარსონა“ მამა მყავს. ცოტა მკაცრია, მაგრამ 1-2 ტკბილი სიტყვა და ეგ არის. მამაჩემი ახალგაზრდობაში ქალებში პოპულარობით სარგებლობდა და დაგრიალებდა. მე კი ახლა მის ნაშებზე ვეკაიფები ხოლმე. ნათია“.

„17 წლის ვარ და ჯერ მამის სიყვარული არ მიგრძნია. მისგან ერთი საჩუქარიც არ მახსოვს. გგონიათ, მამა არ მყავს? მყავს,



ცოლს მამ ეფერები, ეცოდე, მასიმე ხახისმოდნაზე იფიქმა.

მაგრამ ჯობია, არ მყავდეს. ტყუილად ნერვებს გვიშლის მეც და ჩემს დედიკოსაც. ამხელა კაცისთვის სიგარეტსაც ცოლი ყიდულობს. მითხარით, ეს ნორმალურია? მე ის მეზიზღება და ვერავინ გამამტყუნებს. ჩემს დედიკოს მინდა ვუთხრა: არ ინერვიულო, მე შენ გვერდით ვარ. მიყვარხარ. დატანჯული ბავშვი“.

„2005 წლის მარტის „გზაში“ დაიბეჭდა ჩემზე მესიჯი თემაზე — მე და ჩემი მამინაცვალი, სათაურით: „ბანდერასივით ლამაზი და ალერსიანი“. სულ ტყუილები ეწერა ჩემს მამინაცვალზე, რამაც გული მატკინა. ჩემი მამინაცვალი ჩემთვის მამაზე მეტია“.

„აბა, ჩემნაირი მამა ვის ჰყავს? როცა სადმე მინდა წასვლა, თვითონ ხვდება და ფულს მიკუჭავს ჯიბეში. მაგარია, არა? ჩეგევარა“.

„მამაჩემი მაგარი კაცია, მაგრამ მის ერთ გაბრაზებს მთელი ოჯახის ერთკვირიანი დეპრესია მოჰყვება ხოლმე. პატარა მავნე“.

„კახური საღამი ჩემგან! მამაშვილობა მაგარი თემაა, „მამიანი“ ხალხისთვის. მე რა ვქნა, მამა რომ არ მყავს? არასოდეს მინახავს... ხალხო, როგორ გიყვართ მამა? ეს რა გრძნობაა? კახელი“.

„ძალიან მაგარი მამა მყავს. ჯერ 19 წლის ვარ და გათხოვდიო, მეჩიჩინება. მამიკო, არ მინდა გათხოვება, არა! ფოფო“.

„უნიკალური მამა მყავს. მაგარი ჯიგარი კაცია, ყველაფერზე შემიძლია, ველაპარაკო. ბიჭებთან დაკავშირებით რჩევებსაც კი მაძლევს ხოლმე. ნეტავ ქმარიც ასეთი საყვარელი მყავდეს, მაგარი იქნებოდა. მა, მაგრად მიყვარხართ, შენც და დედიკოც. იმიტომ, რომ მსოფლიოში საუკეთესო მშობლები ხართ. თქვენი გიჟქალა“.

„მამიკოს ვუთხარი: 5 ლარს თუ არ მომცემ, „გზავნილებში“ გაგაშანშალებ-მეთქი და აი... მამიკო, ფული მინდა, ფულიიი... მიყვარხარ. ყანჩა“.

„მარი, პირველად გწერ, მამაშვილობის თემამ მამაჩემი გამახსენა, რომელმაც ცოტა ხნის წინ მიმატოვა და „სხვა ქვეყანაში“ გადაინაცვლა. ნეტავ დრო უკან დაბრუნდეს და მამაჩემი ცოცხალი იყოს. ნამუ-ნამუ“.

„ეჰ, რა ტყუილად ვაქე მამაჩემი, კარგი მამიკო მყავს-მეთქი? ახლა გამომიცხადეს, დაბადების დღეზე შეყვარებულისგან საჩუქარი არ აიღოო“.

„მე დედა 2 წლის ასაკში მომიკვდა და მამამ გამზარდა. არც ცოლი მოიყვანა. ახლა მინდა, რომ დაქორწინდეს. კარგი დედინაცვალი არ არსებობსო, მეუბნება. როგორ არ არსებობს? მარი, ძალიან მიყვარხარ. იყავი ჩემი დედინაცვალი, რა? იცი, როგორ მეყვარები? პაწკუ“.

„გამზრდელი მამა 10 წელია, გარდამეცვალა, მაგრამ კარგად მახსოვს და ახლაც ისე ძლიერ მიყვარს, როგორც გარდაცვალებამდე. ჩემთვის ყველაზე წმინდა საფიცარი მამიკოს საფლავია... ჩემი ბიოლოგიური მამა კი მიცვალებულზე საშინლად ეჭვიანობს და უკვე რამდენიმე თვეა, იმიტომ აღარ მეხმიანება, რომ გამზრდელ მამას ვიფიცებ... საერთოდ კი საშინელი ხასიათი აქვს. ამაყი და ჯიუტია. (ეჰ, მისი გენები თავისას შვრება). კანიბალკა“.

„მამასთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს, მაგრამ ძალიან ეშინია ჩემი გათხოვების, რადგან არავისთვის ვემეტები. ჯერ მხოლოდ 18 წლის ვარ. ახლა გავიგე, რომ ერთი ბიჭი ჩემს ცოლად თხოვას აპირებს. საწყალი, მოკლავს მამაჩემი. ბიჭო, გამაგრდი!“

„მამაჩემს რომ შვილი ჰყااავს! ენა ვერ იტყვის. მაგარი ჯიგარი მამიკო მყავს, ხანდახან ვერ მცნობს, მაგრამ არა უშავს. უცნობი შვილი“.

„მე და მამაჩემს ერთნაირი უჟმური ხასიათი გვაქვს და ალბათ ამიტომ ვერ ვუგებთ ერთმანეთს. 3 თვეში ისე გავაოცებ, ჩემ მიმართ დამოკიდებულება საერთოდ შეეცვლება“.

„ვენაცვალე მამაჩემს, ფეხბურთს რომ ვუყურებთ ერთად და უცებ ხვრინვას რომ ამოუშვებს. რომ ვკითხავ: — მა, გძინავს? — და ჯიგრულად რომ მატყუებს: — არა, არ მძინავს, სანამ „მილანი“ გოლს არ გაიტანს, არ დავიძინებო. ახლა შორს არის ჩემგან და მინდა ვუთხრა: ჩემო დიდო მეგობარო, ძალიან მენატრები, შენი ფეხბურთზე გადარეული „ბიჭი“ ნინო-„მილანი“.

„ჩემს შეყვარებულს მამამისი ისე უყვარს, ერთ კვირაში ალმაათიდან ჩამოუვა და მე ალბათ სულ დავავიწყდები, მაგრამ როცა გავახსენდები, აი მაშინ კი დაატყდება თავს ქოქოლა. ფახუცანა“.

„უსაყვარლესი მამა მყავს. ხვალ ბათუმში რომ წავა, ჩემს დეპოზიტს რა ეშველება? ჯანდაბას, ახლა დედიკოს გოგო გავხდები ;) არა, ასეთი ცუდი არ გეგონოთ, ხალხო!“

„იცით, რა კარგია და საამაყო, როცა მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო და მაგარი კაცი მამაშენია? ასეთი კაცი ერთადერთია და ისიც ჩემი მამაა“.

„ძალიან მჭირდება მამის სითბო და ყურადღება. ჩემი მეგობრების და მამების ურთიერთობას რომ ვუყურებ, თეთრი შურით მშურს მათი. ხალხო, გაუფრთხილდით თქვენს მამიკოებს და დედიკოებს, რადგან საშინელებაა, როდესაც მშობლის ყურადღება გაკლია. თათა-კრის“.

„ვახ კაცო, ჩემს მეზობელს მამა ჰყავს... აშკარად — უიმე, რააა :) იმ დღეს იმდენი უჟაჟუნა ბავშვს, იმის მერე პირი აქვს კოლექტივის კარივით ღია:)) ეჰ, რად უნდათ ასეთ მამებს შვილები?“

„იცით, რა საყვარელი მამიკო მყავს? ხანდახან კი ჭედავს, მაგრამ მაინც ძალიან მიყვარს. ზუზკა“.

„3 წელი და 6 თვეა, მამა არ მინახავს. არადა იცით, როგორ მომენატრა? უზომოდ. პაპუტა, მომენატრე, გკოცნი უთვალავს. შენი წითელი გოჭი, თიანეთიდან. ირლანდიაში, პაპუტას“.

„ოოო... დიდო ოლეგი... მიშველეთ, მამაჩემმა სულ გააფრინა. ქუჩაში რომ მიდის, სულ პატარა გოგოებს უყურებს. თან გაიძახის, ადრე მოვიყვანე ცოლიო. კუნკულა“.

„ეს ჩემთვის ყველაზე მტკივნეული თემაა. პატარა ვიყავი, მშობლები რომ გაშორდნენ. მამას იშვიათად ვნახულობ. მასთან ყოფნის ყოველი დღე ჩემთვის ნამდვილი ჯოჯოხეთია“.

„იცით, როგორ მიყვარს ჩემი მამიკო? ვაბოდებ! თან 6 წელია, არ მინახავს. ამერიკაშია. როცა რეკავს და საუბარს ვამთავრებთ, ჩემი სული და გული მას მიჰყვება. ბევრჯერ ტირილში გამითენებია ღამე, ისე მომნატრე-

ბია. თვითონაც ამბობს: — აქ ის მაძლებინებს, თქვენ რომ კარგად ხართ და არაფერი გიჭირთო. არადა, ყველაზე მეტად უმისობა მიჭირს“.

„უფ, მამაჩემზე მკაცრი, მგონი სხვა მამა არ არსებობს. ყველგან წასვლას მიკრძალავს და მერე მეუბნება, ყველაფერს შენთვის ვაკეთებო. შენი მჯერა, მაგრამ ცოდო ვარ, ცოდო! მირჩიეთ რამე რა? პატარა ბ. ა. ლ. ი. “

„დღეს ერთმა ბიჭმა მკითხა: — მამაშენი რას იზამს, უცებ რომ გათხოვდეო? ეგ მას ჰკითხე-მეთქი, ვუთხარი, მაგრამ ჩემი წინასწარი პროგნოზით, რა გათხოვებაზეა ლაპარაკი? ასეთი კითხვის დასმისთვის შენც დაგალურჯებს, მეც დამალურჯებს და ტრიფონსაც დაალურჯებს... „ვოტ“!

„ვერ წარმომიდგენია შვილი, რომელსაც მამა არ უყვარს და მამა, რომელსაც შვილი არ უყვარს. მახსოვს, ბავშვობაში მამას როგორ დავყავდი სათეევზაოდ, როგორ შემაყვარა წიგნი დაწყებითი კლასის მოსწავლეს. მიყვებოდა საოცარ ამბებს, იდუმალი ხმით, მიხმოვანებდა რომანის გმირებს. ახლაც ყურში ჩამესმის მამის ხმა. გავიდა დრო და... ბევრჯერ ვაწყენინე და დავწყვიტე გული მამას... მე თვითონ გავაპატიოსნე მამაჩემის ცხედარი. ცრემლთან ერთად დარდიც მახრჩობდა, რომ მას სიცოცხლეში ისე ვერ მოვეფერე და მოვუარე, როგორც ეკუთვნოდა... მინდა, მამაჩემის სულს პატიება ვთხოვო. თქვენ კი გთხოვოთ, რომ შენდობა ითხოვოთ მისი სულისთვის. ბოხო“.

„მარი,ს პაპებმა და ბებიებმა რაღა დააშავეს? ეგ თემაც შემოაგდე, რაა... “

მის ანაკონდა“

„მამაჩემი იმენნა“ ჩემი მჭამელია. სულ ჩემთან აქვს საქმე, ყოველდღე მამოწმებს, სად დავდივარ, რას ვაკეთებ და ა.შ. მამ, სულ ნუ შემჭამ, სხვასაც ვუნდივარ, რაა... და თუ შემჭამ, მარილი მომაყარე, ისე უგემური ვიქნები :))) ლეო91, გამეცნობი? მპუები. „ტოჩკა“.

„ეჰ, იმდენადაც არ მახსოვს მამა, რომ ამ პატარა მესიჯში ჩავატიო მასზე მოგონება. ოლეგარიო“.

„დეკემბრიდან დავიწყე „გზის“ ყიდვა და მას მერე ერთი ნომერიც არ გამომიტოვებია. ნეტავ, აქამდე სად ვიყავი? როდის მოვა ხუთშაბათი? ნონ სტოპ“.

„მამაჩემს ვერ ვიტან! მეზიზღება! ჩემი დედიკო კი ყველას მირჩევნია! უმაგრესი ადამიანია, ჩემთვის დედაც არის და მამაც! მამა, მეზიზღები, გაიგე?“

„მე მამა მყავს, ნუ იტყვი... ძალიან მაგარი ადამიანია. მეც ძალიან ვუყვარვარ და წუხს — ნეტავ, როგორ გადავიტან შენს გათხოვებასო? მა, ნუ გეშინია, არ ვთხოვდები ჯერ. ნაზი“.

„ბავშობაში ერთხელ მამას გამოვყავდი ბაღიდან. ბაღი სახლიდან ცოტა მოშორებით იყო. ჩვენ ფეხით მივდიოდით. ცოტა ჩამობნელდა. მამამ მითხრა: სახლის გზა დამავიწყდა და შენ მიმიყვანეო. მე იმდენი ვიტირე, მამა ძლივს მაწყნარებდა“.

„ჩემს მეგობარს მამა სულ იმას დასძახის, რა ვალდებული ვარ, გარჩინო, მოგიარო და ფული მოგცეო. დედა სწორედ მისი მიზეზით მოუკვდა და ახლა კეთილი ადამიანების იმედზეა დარჩენილი. ასეთი მამა შვილის ღირსია, საერთოდ? არადა, რამდენი ღირსეული ადამიანი ნატრობს შვილს. ლანა“.

„არაჩვეულებრივი მამა მყავს. მაგარი მოქეიფე და „თინეიჯერი“ ტიპია. ერთხელ დედას ვუყვებოდი, შეყვარებულმა მაკოცა-მეთქი. მოულოდნელად მამა დაგვადგა თავზე. რა თქმა უნდა, ყველაფერი გაიგონა. მეგონა, არ გამიჯავრდებოდა. თუმცა შევცდი. სახლში მეორედ მოსვლა მოაწყო. მამიკო, მიყვარხარ“.

„იცით, რა კარგი მამიკო მყავს? იცის, რომ შეყვარებული მყავს და ჩემი ესმის. ჩემი მამიკო სხვებს არ ჰგავს. ჩემი შეყვარებული პირადადაც გაიცნო. მა, მიყვარხარ. რა ვქნა, თუ ამის გამოხატვა არ შემიძლია? ეშმაკუნა“.

„მიყვარს ხალხო, „გზა“. გუშინ დედა მიმტკიცებდა, „გზა“ ოთხშაბათს გამოდისო. ავიღე უკანასკნელი, დაფლეთილი ლარიანი და დავერჭე ჯიხურთან, მაგრამ იმედები გამიცრუვდა“...

„ეეჰ, ბავშვებო, მაგარი ცხოვრებით ცხოვრობთ. უნივერსიტეტი, კოლეჯი, სკოლა, მე კი... დილიდან ღამემდე მარკეტში ვზივარ და ვმუშაობ. არადა, 18 წლის ვარ“.

„მამაჩემი რამდენიმე წელი აქ არ იყო. რომ ჩამოვიდა, აეროპორტში მონატრებული მივაფრინდი და ვიბღავლე, სახლში მოვედით და უფრო ვიბღავლე. იმიტომ, რომ გამაბრაზა. ახლა კი ამ ბღავილს „უჟე სისტემნაია“ ხასიათი მიეცა. მამ, თუ კიდევ ასე გააგრძელებ, საიდანაც ჩამოხვედი, ისევ იქ გაგაფრენ. ბილეთს დაგაჭერინებ და 360°-იანი „ზადნით“ გაგიშვებ! „ვოტ ტაკ“!

„ბავშვობაში ბოშა ქალმა გამაჩერა და მითხრა: შენ დიდი ბიჭი გაიზარდოს, ამერიკაში წახვიდოდე... მისი სიტყვები ნაწილობრივ ამიხდა. გავიზარდე, ამერიკაში კი ვერ წავედი. ოლეგარიო“.

„წარმოშობით რაიონიდან ვარ, მაგრამ თბილისის ხშირი სტუმარი ვარ. ერთხელაც მეგობართან მივედი სტუმრად. ღამე, რომ უნდა დაგვეძინა, მე და ჩემი მეგობარი ერთად დავწექით. ბალიშში რაღაც მაგარი მოგვეჩვენა. ჩვენ ჯადო გვეგონა და ყვირილი ავტეხეთ. ეს ჩვენი ბედჩაკეტილობაც სულ იმ ბალიშს დავაბრალეთ. საბოლოოდ, კი როცა ბალიში შუაზე გავჭერით, აღმოჩნდა, რომ უბრალოდ, ცუდად ყოფილა გაკერილი და ნაკერები ერთად მოყოლილა. ანუკა“.

„მიყვარს ბიჭი, რომლის სიყვარულის უფლება არ მაქვს, რადგან დედაჩემი მსუბუქი ყოფაქცევის ქალია. ამიტომ ის ბიჭი ყურადღებას არ მაქცევს. რა ჩემი ბრალია, რომ დედა მყავს ასეთი? მე რა, მომწონს მისი საქციელი? ვინც კი მომწონდა და დედაჩემის შესახებ გაიგო, ყველამ კაიფი დამიწყო. ალბათ ჰგონიათ, მეც ცუდ გზას დავადგები, მაგრამ ვერ ეღირსებიან! არ გავბოზდები ამათი გულების დასახეთქად! იქნებ ჩემი მესიჯი იმ ბიჭმა წაიკითხოს და მიხვდეს, რომ მეც ისეთი არ ვარ. ბოდიში და გმადლობთ“.

ამჯერად „გზავნილებს“ აქ ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — მეორე (მესამე, მეოთხე და ა. შ.) ქორწინება. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8. 77. 45. 68. 61 ან მომწერეთ ელ მისამართზე: marorita77@yahoo. com მიამბეთ გაგიმართლათ თუ არა, როდესაც ხელმეორედ სცადეთ ბედი. მე კი ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

მახ უნდოდა ხიხამული ცაში მეენავამდა, მაგრამ მხამზე მედგმული ხიდედმან ყოთა აძძიმედა.



რამდენიმე წუთის განმავლობაში ყურადღებით დააკვირდით ამ ფოტოს და კონცენტრაცია მის შინაარსზე მოახდინეთ. იფიქრეთ იმაზე, რაც ამ დროს თავში მოგივათ. ეცადეთ, გასცეთ პასუხი კითხვაზე, რას უნდა ნიშნავდეს მასზე გადმოცემული მოქმედება. ტესტის პასუხები იხილეთ ქვემოთ.

1. თუ სურათზე დაკვირვების პროცესში გაიფიქრე, რომ ასეთ ქალზე არც შენ იტყოდი უარს, მოღალატე ყოფილხარ. ა�ა... ცოლი არ გყავს? მაშინ „საშიში“ მამაკაცი ხარ, ნამდვილი კაზანოვა და თუ ქალი მოგეწონება, არაფერზე დაიხევ უკან. მის ხელში ჩასაგდებად თვით მისი საყვარელი მამაკაციც კი ვერ დაგამუხრუჭებს.

2. თუ გაიფიქრე: — აუჰ, ზოგიერთს როგორ უმართლებს, — მაშინ ზარმაცი ყოფილხარ და ყველაზე სანუკვარი ოცნების სისრულეში მოსაყვანადაც კი ხელის განძრევა გეზარება. მიდექი, მოდექი, შეაწუხე ხალხი... ლამაზმანების მეტი რა არის შენ გარშემო?

3. — აუჰ, შე ბედნიერო, რა კარგად გძინავს! — ეს აზრი გაგიჩნდა? სავარაუდოა, რომ დასაქმებული, უცოლო მამაკაცი ხარ (ცოლიანი მამაკაცები, როგორც წესი, კარგად არიან გამოძინებული), დღისით თავდაუზოგავად მუშაობ, ღამით კი აღვირახსნილ ცხოვრებას ეწევი და ღამეში ხანდახან რამდენიმე ქალს სტუმრობ. სწორედ ამიტომ გენატრება ძილი.

4. თუ გაგიჩნდა აზრი, რომ ფოტო შეცდომითაა ასე დაბეჭდილი და სინამდვილეში, წყვილი ჰორიზონტალურ მდგომარეობაშია გადაღებული, არ ყოფილხარ დაკვირვებული ადამიანი. ასეთ შემთხვევაში ბოკალიდან ღვინო გადმოიღვრებოდა.

5. თუ ფოტოზე დაკვირვების დროს წამოიძახე: — ფუუ! რა გაძინებს, შე უპატრონო! — ვფიქრობ, ცოლიანი და ერთგული მამაკაცი ხარ, მაგრამ თუ ასეთ მშვენიერ ქალბატონთან ურთიერთობის შანსი მოგეცემა, სუფთა სინდისთან დამშვიდობება მოგიწევს და დიდი შანსია, აღსარების თქმამ მოგიწიოს.

6. თუ გაიფიქრე: — ვაი, სირცხვილო! ვაი, შერცხვენილო ვაჟკაცობავ! არა, ძმაო, თავს დავდებ, რომ ეს კაცი ქართველი არ არის... — დარწმუნებით ვიტყვი, რომ პატრიოტი ხარ და ცოტა ნაციონალისტიც. ყველა ქართველის უღირს საქციელს მწვავედ განიცდი და მზად ხარ, ამ ქერა ქალბატონს რამდენიმე წუთში დაუმტკიცო, რომ ქართველი კაცი ასეთ მშვენიერ მკერდზე ძილს არ იკადრებს. ●

როგორ შევათავსოთ ცოლი და საყვარელი

არ იფიქროთ, რომ ვინმეს პოლიგამიისკენ მოვუწოდებთ ან ღალატისკენ ვუბიძგებთ. ისევე, როგორც ბევრს, არც ჩვენ მოგვწონს ღალატი და ერთგულების მომხრენი ვართ. უბრალოდ, გვინდა, ცხოვრება შევუმსუბუქოთ იმ მამაკაცებს, რომლებსაც სხვაგვარად არ ძალუძთ და მათ ცხოვრებაში საყვარელი ისევე აუცილებელია, როგორც ფეხბურთი და წვერის გაპარსვა. ან უბრალოდ, რომ ვთქვათ, თქვენთვის განწყობილების ამაღლებას ვცდილობთ. მაშ ასე, რა უნდა იცოდეს იმ მამაკაცმა, ვისაც ცოლიც ჰყავს და საყვარელიც:

1. დაგვიანების გამო იმის მომიზეზება, რომ სამსახურში შეგაგვიანდათ, თათბირი გქონდათ ან მეგობრებთან ერთად ლუდს მიირთმევდით, უკვე არც ერთ ცოლს აღარ სჯერა. თანაც ამის გადამოწმება ძალზე იოლია. ღმერთმა ნუ ქნას, რომ თქვენმა მეორე ნახევარმა სწორედ ამ დროს დარეკოს სამსახურში ან მეგობართან. რა უნდა ქნათ მერე? მოიფიქრეთ რაიმე ორიგინალური. მაგალითად ის, რომ მოხუცი ბებო გადაგყავდათ ქუჩის მეორე მხარეს. თუ თავში არაფერი მოგდით, მაშინ უთხარით პირდაპირ, რომ საყვარელთან იყავით. პირობას გაძლევთ, რომ ცოლი გაიღიმებს, რადგან სიმართლის ქალებს არასოდეს სჯერათ.

2. არ არის საჭირო, რომ უცებ ყურადღებიან ქმრად იქცეთ. ბანალური მლიქვნელობა აუცილებლად ეჭვს აღძრავს.

3. ნუ გახდებით გულუხვი და ნუ დაიწყებთ ცოლისთვის უმიზეზოდ ყვავილებისა და საჩუქრების ყიდვას. მას მაშინვე გაუჩნდება ეჭვი, რომ საკუთარი ცოდვების მიჩქმალვას ცდილობთ. ასევე არ გირჩევთ, დაიმახსოვროთ მისი და სიდედრის დაბადების დღეები, თუ წინათ ეს ღირსშესანიშნავი დღეები მხოლოდ მაშინ გახსენდებოდათ, როცა დილით თქვენი ცოლი მრავალმნიშვნელოვნად დუმდა.

4. რაც შეიძლება ბუნებრივად დაიჭირეთ თავი. მბრწყინავი თვალები და მხიარული განწყობილება თქვენს ღალატს ააშკარავებს.

5. საყვარელს დღისით შეხვდით. ღამით თქვენი არყოფნა გაცილებით საეჭვოა. თუ სამსახური ამის საშუალებას არ გაძლევთ, ბოლოს და ბოლოს, შეგიძლიათ, გამოიცვალოთ სამუშაო ადგილი (ამბობენ, ღამის დარაჯებსაც კარგი ხელფასი აქვთ).

6. სთხოვეთ საყვარელს, არ იპკუროს სუნამო. სურნელი ყველაზე მეტად გაგცემთ. რა თქმა უნდა, ქალების უმეტესობას ასეთი თხოვნა არ აღაფრთოვანებს. ამიტომ თავიდან შეგიძლიათ გამოიყენოთ რაიმე ძლიერი სუნის მქონე სითხეები. მაგალითად, არაყი, აცეტონი, ბენზინი, იმისათვის, რომ უცხო სუნამოს სუნი გადაფაროთ.

7. მეორე ვარიანტიც არსებობს. თქვენს საყვარელს აჩუქეთ ისეთივე სუნამო, როგორსაც თქვენი ცოლი იყენებს.

8. თავის გაყიდვის კლასიკური ვარიანტი გახლავთ — პომადა პერანგის საყელოზე. ამიტომ ჩაიცვით მუქი ფერის პერანგი ან თან იქონიეთ მეორე, სათადარიგო. ბოლოს და ბოლოს, შეგიძლიათ, პერანგს საყელო მოახიოთ და იმ ბებოს დააბრალოთ, რომელიც ქუჩის მეორე მხარეს გადაგყავდათ და წინააღმდეგობას გიწევდათ.

9. იდეალური სიტუაციაა, როცა საყვარელი გყავთ და საიდუმლო ბინაც გაქვთ, რომლის შესახებ არც ცოლმა იცის, არც სიდედრმა და არც თქვენმა მეგობრებმა.

10. ეცადეთ, ქალაქში თვალში არავის მოხვდეთ თქვენს საყვარელთან ერთად. გაისეირნეთ ქალაქგარეთ, ოღონდ არ დაგავიწყდეთ, მართალია, მაიამი „ქალაქგარეთაა“, მაგრამ იქამდე დიდი მანძილია და დიდი დროით მოგიწევთ გადაკარგვა. მაშინ ახალი ზღაპარი უნდა მოიგონოთ, რადგან ბებოს ქუჩაზე გადაყვანა უკვე არადამაჯერებელი იქნება.

11. უნდა მოძებნოთ ისეთი სამსახური, სადაც სამუშაო დღე არანორმირებული იქნება. კარგი იქნება, თუ შეფს დაუმეგობრდებით და თქვენი ცოლის შეკითხვაზე, მართლაც სამსახურში იყავით მთელი ღამე თუ არა, უპასუხებს — დიახ, მთელი ღამე მნიშვნელოვან საკითხებზე ვთათბირობდითო.

12. დაიმახსოვრეთ, რომ მეგობარი თქვენი საყრდენი, თქვენი იმედი, სინდისი, ნამუსი და პატიოსნებაა. ის ბევრჯერ გადაგარჩენს სკანდალს.

13. საყვარლის სახელი კიდევ ერთი სუსტი წერტილია. წარმოიდგინეთ, რომ ცოლთან წევხართ და ამ დროს საყვარლის სახელი წამოგცდათ. სკანდალი! კოშმარი! განქორწინება! თუ ისეთ ქალს ვერ იპოვით, რომელსაც თქვენი ცოლის სახელი ჰქვია, მაშ, უნდა ეცადოთ, რომ ორივე ქალს ერთნაირი მოსაფერებელი სახელი შეურჩიოთ. მაგალითად: ცუგრუმელავ, სიხარულო, სიყვარულო...

14. თუ საყვარელსაც იმავე მანქანით ატარებთ, რომლითაც ცოლს, ყურადღებით იყავით, ისეთი ნივთები არ დარჩეს მანქანაში, რომელიც სხვა ქალის არსებობას უდავოს გახდის. შესაძლოა, სულ პატარა თმის სარჭიც კი განქორწინების მიზეზად იქცეს. ისეთი შემთხვევაც ვიცი, როცა ცოლმა საბარგულში პრეზერვატივი აღმოაჩინა, ქმარმა დაარწმუნა, რომ თუ მას „კარბურატორზე“ არ ჩამოაცვამს, მანქანა ისე არ ივლის, მაგრამ რა გარანტია გაქვთ, რომ თქვენი ცოლი დაიჯერებს ამას?

15. დაწვრილებით შეისწავლეთ ცოლის დღის გრაფიკი, რომ თქვენი გზები შემთხვევით არ გადაიკვეთოს. გაქვთ შანსი, რომ თქვენი ცნობისმოყვარეობა მან ყურადღებასა და მზრუნველობაში ჩაგითვალოთ. ამ საქმეს ისევე ყურადღებით მოეკიდეთ, როგორც თქვენს ბიზნესს. ამაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული.

16. არასოდეს მიიყვანოთ საყვარელი შინ. მაშინაც კი, თუ თქვენი ცოლი უცხოეთშია და მხოლოდ 1 თვის მერე დაბრუნდება. ყველაფერია მოსალოდნელი. იქნებ ფული გაუთავდა ან უბრალოდ, მოენატრეთ? ძველი სიბრძნე, რომ არაფერი არ არის მუდმივი, სწორედ ქალების ქცევაზე დაკვირვების შედეგად წარმოიშვა.

17. თუ 1000%-ით ხართ დარწმუნებული, რომ ცოლი არ დაბრუნდება, მაინც ნუ მიიყვანთ საყვარელს სახლში, რადგან მეზობლებს დიდი თვალები აქვთ, მახვილი სმენა და ძალიან გრძელი ენები.

18. თუ ჩვენი რჩევა არ გაითვალისწინეთ და მაინც მიიყვანეთ საყვარელი შინ, მისი წასვლის შემდეგ, ძირფესვიანად დაალაგეთ სახლი. ქალის თმას აქვს უნარი, ყველაზე არასასურველ ადგილზე აღმოჩნდეს. მისი სუნამოს სურნელი აუცილებლად დარჩება თეთრეულზე. ასევე

გადაყარეთ საჭმლის ნარჩენი, რომელიც თქვენი მომზადებული არ არის. ყველაფერი გაასუფთავეთ! გარეცხეთ!

19. არ მისცეთ საყვარელს სახლის ტელეფონის ნომერი. წინააღმდეგ შემთხვევაში ხშირად მოგიწევთ, გასცეთ პასუხი კითხვაზე — ვინ დარეკა? თუ ყურმილი ცოლმა აიღო... ამაზე ლაპარაკი აღბათ არ ღირს... საშინელებაა!

20. არ ჩაიწეროთ საყვარლის ტელეფონის ნომერი მობილურის მეხსიერებაში და უბის წიგნაკში. არ დაიტოვოთ სამახსოვროდ მისი წერილები, მესიჯები და სურათები. ცოლებს აქვთ თვისება, გაჩხრიკონ თქვენი ჯიბეები, პირადი ნივთები და მობილურის „შემადგენლობა“.

21. საერთოდ, წინასწარ უნდა გქონდეთ მოფიქრებული მრავალი მიზეზი დაგვიანების ასახსნელად, რომელიც „მამაო ჩვენოსავით“ ზეპირად გეცოდინებათ, უნდა გყავდეთ მეგობრების ჯგუფი, რომლებიც თქვენს ალიბის გაამყარებენ. კარგი იქნება, თუ თქვენს მშობლებს გადაიბირებთ, უნდა გქონდეთ ცალკე ბინა ან გყავდეთ ნაცნობი ადმინისტრატორები სასტუმროებში, თან უნდა ატაროთ გამოსაცვლელი ტანისამოსი და აქსესუარები. არ დაგრჩეთ საყვარელთან მობილური ტელეფონი. ცოლმა რომ დარეკოს, ხომ იცით, რომ ის აუცილებლად უპასუხებს?

22. საყვარელი არ შეარჩიოთ ცოლის მეგობრებიდან. ამ შემთხვევაში 100%-იანი გარანტირება გაქვთ საიდუმლოს გაცხადების და ოჯახის დანგრევის.

23. ეცადეთ, რომ თქვენი რომანი დიდხანს არ გაგრძელდეს. საყვარლის ხანგრძლივი როლი ხშირად გარდაიქმნება „მეორე ცოლის“ სტატუსად და ეს ქალი ისევე გაგბურღავთ, როგორც ოფიციალური. იეჭვიანებს და შეუძლებელს მოგთხოვთ. მგონი, ეს არ გჭირდებათ.

24. არასოდეს აღიაროთ თქვენი „გრეხები“, თუნდაც ფაქტზე წაგასწრონ. არ დაუჯეროთ, როცა ცოლი გეუბნებათ — მითხარი და ყველაფერს გაპატიებ. უარყავით ყველაფერი, მით უმეტეს, რომ თქვენს ცოლს ძალიან უნდა დაიჯეროს, რომ არ გიღალატიათ. დაუტოვეთ მცირე იმედი. დაარწმუნეთ, რომ ყველაფერი მოეჩვენა, თუნდაც საწოლში სხვა ქალთან მოგისწროთ.

როგორც ხედავთ, არც ისე იოლია, 2 ქალის შეთავსება. დაფიქრდით და გადაწყვიტეთ, როგორი ცხოვრება გირჩევნიათ. გისურვებთ წარმატებებს. ●

შავი ზღვა შესაძლოა, აფეთქდეს

1927 წლის 11 სექტემბრის ღამეს, ყირიმში 9-ბალიანი მიწისძვრა მოხდა, რომლის ეპიცენტრიც ზღვაში, იალტის სანაპირო ზოლიდან 25 კილომეტრზე მდებარეობდა. ამ მიწისძვრით გამოწვეულ ნგრევაზე, უამრავ დაღუპულსა და დაშავებულზე მაშინ დიდი და პატარა ლაპარაკობდა, პრესა წერდა, მაგრამ იმის შესახებ, რომ მიწისძვრის დროს ზღვა აალდა და „იწვოდა“, საბჭოთა სახელმწიფო დიდი ხნის მანძილზე დუმდა და საიდუმლოდ ინახავდა.

საერთოდ, შავი ზღვა საიდუმლოებებითა და ანომალიებით არის ცნობილი. ეს კი მისი წარმოშობის ისტორიასთან არის დაკავშირებული. თუ კვლევებს დავუჯერებთ, სულ რაღაც 8 ათასი წლის წინათ შავი ზღვის ადგილზე არსებობდა ნოვოევსკის ტბა. 5 ათასი წლის წინ დედამიწის ქერქის გადაადგილების, კლიმატის ცვალებადობისა და მსოფლიო ოკეანის დონის აწევის შედეგად, ჩამოყალიბდა ძველი შავი ზღვის აუზი. მომდევნო 3 ათასი საუკუნის განმავლობაში ბუნება მშვიდდებოდა და აუზი თანამედროვე სახეს იღებდა. ფართობი, რომელსაც შავი ზღვა იკავებს, იმხელაა, რომ მასზე ერთდროულად განთავსდებოდა ავსტრია, საბერძნეთი, ისლანდია და პორტუგალია. ზღვის სიღრმეში ჟანგბადის არარსებობის გამო, ცოცხალი ორგანიზმის გახრწნის შედეგად, გაჩნდა შავი ზღვის ყველაზე დიდი ანომალია, რასაც გოგირდწყალბადის წყალქვეშა ფენა წარმოადგენს. ის განთავსებულია 125 მეტრ სიღრმეზე და იკავებს მისი მოცულობის დიდ ნაწილს. გოგირდწყალბადი იოლად აალებადია, იოლად იხსნება წყალში და უეცრად ფეთქდება ჰაერთან შერევისას. ბოლო 30 წლის განმავლობაში გოგირდწყალბადის ფენამ 50 მეტრ სიღრმეზე ამოიწია. მის ზედაპირზე ასვლას ხელს უშლის „C“ ფენა. ეს ის ფენაა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, ზღვის სანაპირო ზოლში ვიცხოვროთ.

შავი ზღვის არსებობის პერიოდში არ ყოფილა შემთხვევა, რომ გოგირდწყალბადი ზედაპირზე ამოსულიყოს და ადამიანთა სიცოცხლე ემსხვერპლოს. თუმცა საფრთხეზე მიგვანიშნებს ის გამოცდილება, რომელიც მსოფლიო ოკეანის სხვა აუზებშიც მომხდარა. 1980 წელს, პერუში, სანაპიროზე მკვდარი თევზების მთები დადგა. ისინი გოგირდწყალბადით იყვნენ მოწამლული. 1983 წელს, ამერიკული თანამგზავრის მიერ გადაღებულ ფოტოზე გამოჩნდა, რომ მკვდარი ზღვა ცისფერი აღარ იყო, ის გაშავებულიყო. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ზღვა „გადაბრუნდა“ და ის ფენა, რომელიც გოგირდწყალბადით იყო გაჯერებული, ზევიდან მოექცა. 1986 წელს კამერუნში 1746 ადამიანი დაიღუპა ნიოსის ტბის შემოგარენში, რომელმაც მოულოდნელად ამოაფრქვია მხუთავი გაზი. მეცნიერებმა აქამდე ვერ დაადგინეს, როგორ გროვდება და იხარჯება გოგირდწყალბადი შავ ზღვაში. 1927 წელს, ზღვაში გაჩენილი ხანძარი ბევრ რამეზე დაფიქრების საშუალებას გვაძლევს. ყირიმის ნახევარკუნძულზე მსგავსი მიწისძვრები 70-100 წელში ერთხელ ხდება. არ არის გამორიცხული, რომ მომდევნო მიწისძვრა 2010-2030 წლებში მოხდეს. 1949 წლიდან 1980 წლამდე ყირიმში შედარებით მცირე 6 მიწისძვრა მოხდა, 5 წლის ინტერვალით. ხოლო 1980-დან 1998-მდე — 7 მიწისძვრა, 2,6 წლის ინტერვალით. ცხადია, რომ ზღვის ქვეშ აქტიური პროცესები მიმდინარეობს. ცეცხლოვანი კატასტროფის გამოწვევა შეუძლია არა მხოლოდ მიწისძვრას, არამედ იმასაც, რომ ყოველდღიურად შავი ზღვის აუზის ქვეყნები მას დიდი რაოდენობით ორგანული და არაორგანული ნივთიერებებით აბინძურებენ. ეს კომპონენტები ერთობლიობაში მძლავრ, ფეთქებად ნივთიერებად გარდაიქმნება. ასე რომ, სირაქლემასავით ქვიშაში თავის ჩარგვა არ გვარგებს და დროა, შავი ზღვის ეკოლოგიას საფუძვლიანად მივხედოთ. ●

მეც ისეთივე სიყვარული შემიძლია, როგორიც ჩვეულებრივ ადამიანებს

გამარჯობა. მინდა, ჩემი გულის ტკივილი გადმოგცეთ. შესაძლოა, ბევრმა გამამტყუნოს და ადამიანების რისხვაც კი დავიმსახურო, მაგრამ მაინც მინდა გითხრათ ის, რაც გულში მაქვს და რაც თავს გადამხდა. ქუთაისში, ჩვეულებრივ ოჯახში დავიბადე. ჩემი მშობლები არაფრით განსხვავდებიან სხვა, ათასი დედისა და მამისაგან. მდიდრები არასოდეს ვყოფილვართ, მაგრამ არც ღარიბთა ფენას ვეკუთვნით. დედისერთა ვარ. ჯანმრთელი ბავშვი ვიყავი. ჩვეულებრივად ვიზრდებოდი და თანატოლებს არაფრით ჩამოვუვარდებოდი, მაგრამ ასე ხდებოდა მხოლოდ 5 წლამდე.

იმ წელს სკოლაში უნდა მივსულიყავი. ზაფხულში დასასვენებლად წავედით ზღვაზე. იქ ავად გავხდი. მაღალი სიცხე მომცა, თურმე ვერაფრით დამიგდეს ტემპერატურა. მშობლებმა სასწრაფოდ წამომიყვანეს თბილისში. გზაში „კრუნჩხვა“ დამემართა. ამის მერე ფეხზე ველარ გავიარე. რა არ იღონეს ექიმებმა თუ ჩემმა მშობლებმა, მაგრამ არანაირი შედეგი არ გამოიღო მათმა მცდელობამ. 6 წლის ასაკიდან სავარძელს მივეჯაჭვე. ექიმებმა ყველა იმედი გადაუწერეს მშობლებს, მაგრამ მათ ფარ-ხმალი არ დაყარეს. მოსკოვშიც წამიყვანეს სამკურნალოდ, მაგრამ იქიდანაც უიმედოდ გამომიშვეს. ექიმები მხრებს იჩეჩენ და მხოლოდ იმას ამბობენ, რომ რაღაც საშინელი ვირუსი შემხვდა, რომელიც კოღოს ნაკბენმა გამოიწვია. ნერვული სისტემა დამიზიანდა. ვირუსმა მხოლოდ მუხლს ქვემოთ მომწყვიტა.

სკოლაში 1 წლის დაგვიანებით მივედი. 1 დღეც არ გამიცდენია, ისე დავამთავრე საშუალო სკოლა და უმაღლესშიც ჩავირიცხე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი. ვინაიდან მე დამოუკიდებლად ცხოვრება არ შემიძლია, დედამ სამსახური მიატოვა, თბილისში გადმოსახლდა და ყოველდღე უნივერსიტეტში დავყავდი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ქუთაისში დავბრუნდი. ახლა ძირითადად, სულ სახლში მიწევს ყოფნა. ერთ მშვენიერ დღეს, ჩემს მობილურზე ვიღაცის მესიჯი მოვიდა. ჩვეულებრივი, არაფრის მთქმელი ტექსტი იყო. მე პასუხი გავუგზავნე: — არასწორ ნომერზე გამოგზავნეთ მესიჯი და ნამდვილი ადრესატი მას ვერ მიიღებს-მეთქი. მერე მისგან მომივიდა კიდევ მესიჯი, — შენ ვინ ხარო? — მეკითხებოდა. — მე ანი ვარ-მეთქი. ასე გავიცანი ლევანი. ის 26 წლისაა, მე კი 23-ის. დღედაღამ ტელეფონზე ვიყავით „დაკიდებული“ და ერთმანეთს მესიჯებს ვწერდით. ეს იყო პირველი მამაკაცი, რომელიც ჩემს გულში შემოიჭრა. დავიწყე ჩემი ფიზიკური მდგომარეობა. არ მინდოდა, იმაზე ფიქრი, რომ მე სავარძელს ვიყავი მიჯაჭვული. მინდოდა, რაც შეიძლებოდა გამეხანგრძლივებინა ლევანთან ურთიერთობა, დავმტკბარიყავი სიყვარულით და თავი სრულყოფილ ადამიანად მეგრძნო. მე ხომ ასე მენატრებოდა სიყვარული. მერე რა, რომ ინვალიდი ვარ. მეც ისეთივე სიყვარული შემიძლია, როგორიც ჩვეულებრივ ადამიანებს. შესაძლოა, მე უფრო ძლიერიც კი. დროდადრო გამოვფხიზლდებოდი ხოლმე და ტირილით თავს ვიკლავდი, რადგან წინასწარ ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან, ეს ყველაფერი დამთავრდებოდა. ლევანი თბილისელი იყო. ამიტომ ჩვენი შეხვედრა მალე ვერ მოხდებოდა. თავს ვიიმედებდი, რომ იქნებ მომხდარიყო სასწაული და ვიდრე შევხვდებოდით, გამოვჯანმრთელებულიყავი. რა თქმა უნდა, ეს არარეალური იყო, მაგრამ მე სასწაულის მჯეროდა. რამდენჯერმე ვცადე, სავარძლიდან ავმდგარიყავი, მაგრამ იქიდან გადმოვარდნილს საათები გამიტარებია იატაკზე დაგდებულს, ვიდრე დედა ან მამა არ მოვიდოდა. ამასობაში რამდენიმე თვე გავიდა. გაზაფხული დადგა. ლევანმა მოუხშირა ჩვენს შეხვედრაზე საუბარს. მე ვაყოვნებდი, რადგან ყოველდღე მინდოდა, მისთვის ჩემი მდგომარეობის შესახებ მეთქვა, მაგრამ ვერა და ვერ გავბედე. ბოლოს, ლევანს მოსწყინდა ამდენი ხვეწნა, ერთ მშვენიერ დღეს დამირეკა და მითხრა: — ანი, მე შენ მიყვარხარ და უშენოდ ვერ ვძლებ. შენი ნახვა მინდა, არ მაინტერესებს, რას იტყვი, ზეგ ქუთაისში მოვდივარ და გნახავო. — ტირილი დავიწყე. ლევანი შეშფოთდა, დამამშვიდა, მაგრამ ჩამოსვლა მაინც არ გადადო. თავის მოკვლაც კი გადავწყვიტე, მაგრამ ლაჩარი აღმოვჩნდი და ვერ გავბედე. წინა საღამოს დედას ყველაფერი ვუამბე. ჯერ დამტუქსა იმის გამო, რომ აქამდე არ ვუთხარი ყველაფერი. მერე კი ტირილით თავი მოიკლა. — ახლა რაღას ვიზამთ, უნდა შეხვდე და ყველაფრის გამო ბოდიში უნდა მოუხადო. მეორე დღეს შუადღისას ლევანმა დამირეკა, მითხრა, რომ უკვე ქუთაისში იყო და მთხოვა, შევხვედროდი. მე შინ დავპატიჟე. კერძო სალში ვცხოვრობთ. ძალიან ლამაზი ეზო გვაქვს. მაშინ გაზაფხული იდგა და ხეები ყვაოდა. თეთრად გადაპენტილ ბაღში დედას მაგიდა და ერთი სავარძელი გავატანინე, მე კი ჩემს ინვალიდის სავარძელში მოვთავსდი. ლევანს დედა შეეგება ჭიშკართან და ბაღში შემოუძღვა. — ანი იქ გიცდისო, უთხრა და თვითონ სახლში შებრუნდა. შორიდანვე დავინახე, როგორ გაფითრდა ლევანი ჩემს დანახვაზე. ნაბიჯი შეანელა. მერე გამიღიმა, მაგრამ სახეზე ტანჯვა უფრო ეწერა, ვიდრე სიხარული. რომ მომიახლოვდა, პირველ შოკს უკვე გადავლილი ჰქონდა. არაფერი შეიმჩნია. გვერდით მომიჯდა, ჩემი ხელი ხელებში მოიქცია და უსიტყვოდ მიყურებდა. მე ვტიროდი. ცრემლები თავისით მოგორავდნენ ლოყაზე. ის ცრემლს მწმენდდა და თვალებზე მკოცნიდა. მეორე დილით ლევანი თბილისში გაემგზავრა. მომდევნო 2 დღის განმავლობაში არც დაურეკავს, არც მესიჯი გამოუგზავნია. მერე, როგორც ჩანს, გადალახა ზღვარი და გადაწყვეტილება მიიღო. დამირეკა და მითხრა, რომ ძალიან ვუყვარვარ და ჩემი მდგომარეობა ხელს ვერ შეგვიშლის ბედნიერებაში. მე სიხარულით ცას ვეწიე, მაგრამ დედა არ მაძლევდა მასთან ურთიერთობის უფლებას. მობილური წამართვა, სახლის ტელეფონი გააუქმა და სულ იმას ჩამჩიჩინებდა, რომ ცუდად ვიქცეოდი. ლევანმა ჩემთან ტელეფონით დაკავშირება რომ ვერ შეძლო, ისევ ჩამომაკითხა. ამის მერე ხშირად ჩამოდიოდა ხოლმე. მერე ოჯახს ყველაფერი დაწვრილებით მოუყვა და უთხრა, რომ ჩემზე დაქორწინებას აპირებდა, მაგრამ აბა, ვინ მისცემდა ამის უფლებას? დიდი წინააღმდეგობა შეხვდა, თითქოს არ ეპუებოდა, მაგრამ ბოლოს მაინც დაყარა ფარ-ხმალი. დეკემბერში დაქორწინდა მშობლების დაჟინებული მოთხოვნით. ახლა ჩემთან ისევ ჩამოდის, ისევ მეუბნება, რომ ვუყვარვარ, მაგრამ მე აღარ ვაძლევ უფლებას, რომ ძველებური ურთიერთობა შეინარჩუნოს. მიყვარს, ძალიან მიყვარს, მაგრამ მე ბედნიერების უფლება არ მაქვს და ამას უკვე შევეგუე. ნახვამდის.

ამ კვირაში, როგორც იქნა, ზაზასთან საუბარი მოვახერხე. თურმე ზონაში, სადაც ის სასჯელს იხდის, პელიკომის აპარატი დაუდგამთ და ზაზამ ჩემთან დარეკვა შეძლო. რა თქმა უნდა, მადლობის სიტყვები არ დაიშურა არც ჩემთვის და არც მკითხველებისთვის, მათთვის, ვინც მას ასე მხურვალედ გულშემატკივრობს. როგორც ვვარაუდობდი, თქვენ მესიჯები მას ამხნევებს და იმედს აძლევს, რომ ამქვეყნად ყველაფერი ბოროტებით არ არის სავსე და ადამიანებს თანადგომა და მოყვასის გასაჭირის გულთან მიტანა შეუძლიათ. ახლა, ჯერ თქვენ მიერ გამოგზავნილ მესიჯებს გავეცნოთ და შემდეგ ზაზას დედის, ქალბატონი ნათელას ინტერვიუს შემოგთავაზებთ. ძირითადი ამბის თხრობას კი მომდევნო ნომერში განვაგრძობთ.

„ზაზა, ვკითხულობ შენს ამბავს და გული ტკივილით მევსება, თვალები კი ცრემლით. ნეტავ შემეძლოს რამით დახმარება. შენზე ვილოცებ და ვიფიქრებ, რომ ცოტა დაგეხმარე. გული არ გაიტეხო. გწამდეს უფლის და ყველაფერი კარგად იქნება. ყველას გვიყვარხარ! პატარა ჟურნალისტკა“.

„ხალხო, უზომოდ მენატრება ჩემი უდანაშაულოდ დაპატიმრებული ძმა. დათა, მიყვარხარ“.

„ვაჰ, უეჭველად გოგიტა გაიჩითა ზაზას საკანში. ეს ძალიან კარგია. იქნებ, გული გადააყოლოს. ასე, დრო გაცილებით შეუმჩნევლად გავა. ფახუცანა“.

„გამარჯობა. მინდა, ზაზა ჩუთლაშვილს მივმართო: ზაზა, იმ პატარა ბიჭზე ნუ გაბრაზდები, რომელმაც შენს წინააღმდეგ მისცა ჩვენება. ერთ ამბავს მოკლედ მოგიყვები: ჩემს უბანში არის პოლიციის განყოფილება. ჰოდა, თვალი დამადგეს, რადგან მეცხრე კლასიდან გამოვედი. არადა, მე იურიდიულზე მინდოდა ჩამებარებინა კოლეჯში და სკოლიდან ამიტომ გამოვედი. მოკლედ, ერთ დღეს კაბინეტში შემიტყუეს და არჩევანის წინაშე დამაყენეს. წინ რაღაც პარკით შეფუთული დამიდეს. ან ეს აირჩიე, ან ერთი ადამიანის დაჭერაში დაგვეხმარეო. მაშინ 15 წლის ვიყავი, თანაც გოგო ვარ და მაგრად შემეშინდა. ჯერ ვიუარე, ვეუბნებოდი, აქედან გავალ და გიჩივლებთ-მეთქი. რომ ვერაფერს გახდნენ, სკამის ფეხზე მიმაბეს და „დუბინკებით“ მცემეს. მარტო 20 წუთი გავუძელი ამ ტანჯვას. თან ჩემს ძმაზე დამემუქრნენ, დავიჭერთო. მოკლედ, სრულიად უცნობი ბიჭის ცოდვაში ჩავდგი ფეხი, ჩემი ჩვენების საფუძველზე ის ბიჭი დაიჭირეს. მათქმევინეს, ვითომ ფულს მძალავდა და მცემა კიდეც. ფაქტი კი ზურგზე მეტყობოდა. მართალია, ეს სილურჯე მათ დამამჩნიეს, მაგრამ ფაქტი ხომ იყო და ვინ მცემა, ამას ვინ გამოიკვლევდა? მე ხომ დაზარალებულად მცნეს, მაგრამ მაინც არ მიშვებდნენ სახლში, რომ არ მეთქვა რაიმე. ერთი კვირა გამომკეტეს ოთახში ისე, რომ საჭმელიც კი არ შემოუტანიათ. ჩემები დაარწმუნეს, რომ ჩემი იქ ყოფნა აუცილებელი იყო. ძალიან გამაწამეს, მაგრამ როცა გავთავისუფლდი მათგან, ჩვენება შევცვალე. ოღონდ ახლა მე გავხდი ეჭვმიტანილი. სასამართლოც მოახლოვდა. თუ მეორე ჩვენებას მივაწვებოდი, ციხეში პოლიციელები ჩასხდებოდნენ და დაისჯებოდნენ. თუ პირველს, მაშინ — პირიქით. ერთ დილით დამადგნენ პროკურატურიდან და პროკურორთან წამიყვანეს. — თუ იმ ბიჭს არ დაადებ ხელს, ახლავე დაგაპატიმრებთო, — მითხრეს. ძალიან შემეშინდა. თან დედაც შემეცოდა. გარეთ მიცდიდა. სასამართლოზე ის დავადანაშაულე. თან ტირილით ვკვდებოდი. 2 წელი და 6 თვე მიუსაჯეს. ეს, იმიტომ, რომ ბოლოს ვთქვი, აღარ ვუჩივი-მეთქი. ზაზა, ყველას მიუტევე. შენ რომ გაწამეს, იქნებ, ის ბიჭიც ასე აწამეს და ისე მიიღეს აღიარებითი ჩვენება მისგანაც? ირაკლი ლეფსაია, მაპატიე, რომ გაგაუბედურე. თანდათან მეზღვება სამაგიერო. გამზრდელი დედა მძიმედ მყავს ავად, ეს კი ჩემთვის დიდი დარტყმაა. მაპატიე. იმედი მაქვს, „რეზბალნიცაზე“ რომ გაკითხავდი, დაინახე, რომ ბოროტი არა ვარ. როგორც ვიცი, ორთაჭალაში 70-ა კამერაში ზიხარ. პატიმრებო, გთხოვთ, გადაეცით ირაკლი ლეფსაიას ჩემი ბოდიში. თუ ნებას დამრთავ, გვერდში დაგიდგები და ყველაფერში დაგეხმარები! ფიქრია“.

„ძალიან მიკვირს ჩუთლაშვილის ადვოკატის. მგონი, ისიც სკამს უფრთხილდება, თორემ როგორ შეიძლება, ასეთი ალიბის და მტკიცებულებების არსებობის მიუხედავად, ვერ გაამართლოს ბრალდებული? იმის მაგივრად, რომ გული ამიცრუვდეს ასეთ ბინძურ სასამართლო სტრუქტურაში მუშაობაზე, კიდევ უფრო მიძლიერდება სიმართლისთვის ბრძოლის სურვილი. იცით, რა მინდა? მინდა, ზაზას შვილები გავიცნო და კიდევ, მგზავნელებო, ზაზას ერთი მაგარი „პერედაჩი“ გავუკეთოთ „გზის“ სახელით... ჰა? მეგრელი კანიბალკა“.

„ნეტავ ვინ არის ის ყველასთვის ცნობილი ადამიანი, ვინც ზაზასთან შეიყვანეს საკანში? ძალიან მაინტერესებს. სულ უფრო და უფრო საინტერესო ხდება მისი ამბავი. ზაზას დედის ინტერვიუსაც მოუთმენლად დაველოდები. ნინო“.

„ისე, ამ კვირაში ზაზას ამბავზე მაგრად ვიცინე. მაგრად ეკაიფებიან ერთმანეთს. წარმოვიდგინე, როგორ იდგა კართან დიდი, ჭრელი ჩანთებით ის პატიმარი და სიცილით მოვკვდი. მაგარია. ისე, ბევრი კურიოზი ექნება ზაზას მოსაყოლი. ცოტა გავხალისდი“.

„ისე, რომ დაუკვირდები, კაცმა ერთი ცხოვრება გაატარა ციხეში. ისეთ გამოცდილებას მიიღებდა ამდენი ხნის მანძილზე, რომ მაგას გარეთ აღარაფერი გაუჭირდება. ციხე დიდი ინსტიტუტია, სადაც ყველა ჯურის ადამიანს შეხვდები. ათასი აფერისტი, ოხერი და მამაძაღლია. ალალი ადამიანებიც არიან და მათ უჭირთ თავის გატანა“.

„ზაზა, მართალია, დიდი ხანია, ციხეში ხარ, მაგრამ არც ისე ასაკოვანი გამოხვალ და კიდევ გექნება შანსი, რომ ცხოვრება თავიდან დაიწყო. მით უმეტეს, ამხელა შვილები გყავს. ისინი დაგიდგებიან გვერდით და ყველაფერი კარგად იქნება. მალე გაივლის დარჩენილი პერიოდი და ჩიტივით თავისუფალი იქნები. ამდენს გაუძელი და სულ ცოტა, ერთი ამოსუნთქვა დაგრჩა. ახლა იტყვი, შორიდან ლაპარაკი იოლიაო. მერწმუნე, მთელი გულით გგულშემატკივრობ. ნუგზარი“.



ქალბატონი ნათელა მანვაველიძესთან ერთად

როგორც შეგპირდით, ამ კვირაში ჩვენი რეალური ამბის გმირის, ზაზა ჩუთლაშვილის, იმავე „სიცოცხლემისჯილის“ დედასთან, ქალბატონ ნათელა მანვაველიძესთან ინტერვიუს შემოგთავაზებთ. ქალბატონი ნათელა რკინიგზის სადგურთან ახლოს, 6 კვმ-ის ფართის ოთახში ქირით ცხოვრობს, სადაც მხოლოდ ერთი საწოლი ეტევა. კედლებზე მიჭედებულ თაროებზე უამრავი ძველი გაზეთი აწყვია, სადაც ზაზაზე დაწერილი სტატიებია. თაროებზე ასევე უმრავ საჩივარს, განჩინებასა თუ სხვა საჭირო საბუთს ინახავს, რომელიც წლების განმავლობაში ათასობით დაგროვდა. ქალბატონი ნათელა წინათ ლაგოდეხში დეზორაზმის უფროსი ვეტერინარი იყო. ახლა კი დილიდან შუაღამემდე ჟურნალ-გაზეთებითა და ათასგვარი წვრილმანით ვაჭრობს, რომ კვირა დღეს პატიმარ შვილს საჭმელი შეუგზავნოს. ასე გრძელდება უკვე 11 წელია...

დასაწყისი იხ. „გზა“ №10

მარი ჯაფარიძე

— ახლა, რა თქმა უნდა, მე ვიტყვი, რომ ჩემი შვილი უდანაშაულოა და ზოგიერთი ურწმუნო კი იტყვის, აბა, შვილს ხომ არ გაამტყუნებსო, მაგრამ ჩემი ზაზა მართლა არ არის მკვლელი. მე ღვთისმოშიში ქალი ვარ და ჯერ კიდევ მაშინ, კომუნისტური რეჟიმის დროს ვინახავდი მარხვას და დავდიოდი ეკლესიაში. შვილებიც მორწმუნე ადამიანებად გავზარდე. ზაზას არამცთუ თვითონ არ დაუკლავს ქათამი, არამედ, სხვა რომ კლავდა, იმასაც ვერ უყურებდა ხოლმე. სისხლის დღესაც ეშინია. სახლში რომ ბუზი შემოფრინდებოდა, იმის მოკვლასაც კი მიშლიდა, გარეთ გაუშვი, რას ერჩიო, მეუბნებოდა ხოლმე. არ ვიცი, ასე რატომ გამიმეტა უფალმა, მაგრამ მისი მაინც მადლობელი ვარ, რადგან ჩემი ზაზა ცოცხალი გადამირჩინა. როდესაც ის მცხეთის „კაპეზეში“ იჯდა, რაღაც სხვა დანაშაულისთვის ახალგაზრდა ბიჭი დაუჭერიათ და იქ მიიყვანეს. პატრონი სწორედ ამის გამო ვწირავ მადლობას, რომ ზაზა სიკვდილს გადაურჩა. უკვე 11 წელია, ჩემი შვილი პატიმარია. ამ ხნის მანძილზე 1 დღეც არ გასულა ისე, რომ გულხელდაკრეფილი ვმჯდარიყავი და არ მივდგომოდი კარს ვინმე მაღალჩინოსანს, რათა სიმართლის დადგენა მეთხოვა. მე არ ვითხოვ ჩემი შვილის უპირობო გათავისუფლებას. მხოლოდ ის მინდა, რომ სიმართლე დაადგინონ და ობიექტურად ჩაატარონ გამოძიება. ცა და დედამიწა შევძარი, მაგრამ სამართალი ვერ ვიპოვე. ყოველ საღამოს, ხატების წინ სანთლებს ვანთებ და მუხლმოდრეკილი ვევედრები, რომ ჩემი უდანაშაულო შვილი განსაცდელისგან იხსნას.

— მე როგორც ვიცი, თქვენ ამ 11 წლის მანძილზე მხოლოდ ერთხელ იყავით რაიონში, საკუთარ ოჯახში ჩასული.

დიდი ამბავი ატყდა. აღმოჩნდა, რომ წამების დროს შემოაკვდათ

ყოველდღე აკითხავდა და საჭმელიც მიჰქონდა ხოლმე. რამდენიმე დღის მერე კი უთხრეს, რომ „პერედაჩის“ მიღებაზე პატიმარი უარს აცხადებდა. 2 დღის მერე კი გამოუცხადეს, რომ გარდაიცვალა. დიდი ამბავი ატყდა. აღმოჩნდა, რომ წამების დროს შემოაკვდათ. ღმერთს

— კი, ასეა. როგორც კი ზაზას დაკავების ამბავი შევიტყვე, მაშინვე თბილისში წამოვედი. ჩემი უბედური მეუღლე ღვთის ანაბარად მივატოვე და ცოცხლად დავაქვრივე. ის ამდენი დარდით დაინვალიდდა, მაგრამ მე ჩემს შვილს გვერდიდან ვერ მოვცილდები. ზაზას აქ ვჭირდები. ჩემს მეუღლეს ჩემი ქალიშვილი უვლის. ქმარს კი არა, საკუთარ სიცოცხლესაც დავთმობ, თუ ჩემს ზაზას დასჭირდება. ამას წინათ ჩემმა შვილმა მითხრა: — ამ წლების განმავლობაში ყოველ საღამოს სანთელს ვანთებდი და ღმერთს შველას ვთხოვდი, ახლა კი სანთელს ისევ ვანთებ, მაგრამ ღმერთს უკვე იმას ვთხოვ, რომ შენი თავი მიმყოფოს კარგად, მეშინია, არ მომიკვდეო.

— თქვენ მცხეთის პოლიციის შენობაში შემთხვევით გადაეყარეთ ზაზას, როდესაც ნაწამებ პატიმარს 2 პოლიციელი მოათრევდა.

— როდესაც პირველად მცხეთაში მივედი, ჩემი კივილი ცას სწვდებოდა. ვითხოვდი, ჩემი შვილი მაჩვენეთ-მეთქი, მაგრამ ვის ესმოდა ჩემი ღაღადი? თმას ვიგლეჯდი სიმწრით, მაგრამ ამაოდ. უცებ, ვხედავ, 2 პოლიციელი ჩემს ზაზას მოათრევს. ხელები იღლიებში ჰქონდათ ამოდებული. ის კი ფეხებს ვერ ადგამდა. ფეხსაცმელი არ ეცვა, რაღაც ჩუსტები ჰქონდა წამოცმული, თავი ჩაექინდრა. რომ დავინახე, ყვირილით გავიქეცი მისკენ, მაგრამ პოლიციელებმა დამაკავეს. ზაზამ ჩემს ყვირილზე ძლივს ასწია თავი, ამომხედა და დაიყვირა — დედა, მკვლელი არა ვარ, არ დაუჯერო ამათ, არა ვარ მკვლელი... — პოლიციელებმა ეზოში გამათრიეს და კარი მომიკეტეს, ზაზა კი საკანში ჩაიყვანეს. ეს წამები არასოდეს დამავიწყდება. საშინელი მოგონებაა. არ მეგონა, თუ საქართველოში ასე აწამებდნენ

ხალხს. მცხეთის პოლიციის ეზოში, ყოველღამე გამომძიებლის მანქანას გარს ვუვლიდი სანთლებით ხელში და ღმერთს ვევედრებოდი, ამ მანქანის პატრონისთვის შთაეგონებინა, რომ ჩემი უდანაშაულო შვილი არ გაეწირა. ერთ საღამოს გამომძიებელი შენობიდან გამოვარდა და ყვირილი დაიწყო — მოშორდი ჩემს მანქანასო. — მე კი მოვშორდები, მაგრამ ღმერთმა შენც მოგაშოროს, თუ ჩემს შვილს უსამართლოდ მოექცევი-მეთქი. მერე ის მანქანა გაყიდა. მაგ გამომძიებლის ახლობლებს ვიცნობდი და მათგან ვიცოდი, რომ საკუთარი რაიონიდან საყვარლის შვილის გაუპატიურების გამო გამოაგდეს. ჩემი ნატანჯი შვილი რომ ვნახე, ჭკუიდან გადავდექი. პარლამენტში სანდრო კავსაძეს მივაკითხე. 3 დღის განმავლობაში ვცდილობდი, რომ მას შევხვედროდი. როგორც იქნა, მოვახერხე და გავესაუბრე. ბატონმა სანდრომ მცხეთაში სპეციალური კომისია გამოგზავნა და ექსპერტის დანიშვნა მოითხოვა. მათ დაადასტურეს ზაზას წამების ფაქტი და დასკვნა გენერალურ პროკურატურაში გადაგზავნეს, მაგრამ შედეგი არსად ჩანს. ზაზა ისე იყო ნაწამები, რომ მთელი 2 წლის მანძილზე ეტყობოდა სხეულზე სილურჯეები. ზაზას ადვოკატი, ნანა ლიპარტია ფიქრობდა, რომ სასამართლო მიუკერძოებელი იქნებოდა, მაგრამ მოსამართლემ არ გაითვალისწინა არც ერთი ალიბი, არც ერთი მოწმის ჩვენება და რომ გვეგონა, ზაზას სასამართლოდან გაათავისუფლებდნენ, მან 15 წლით პატიმრობა მიუსაჯა. მოსამართლემ არც ერთ სასამართლო პროცესზე არ დამასწრო. ვიდრე ზაზას დარბაზში შემოიყვანდნენ, ის აცხადებდა, ჩუთლაშვილის დედამ დარბაზი დატოვოს, თორემ პროცესს არ ჩავატარებო. იძულებული ვხდებოდი, გარეთ დავლოდებოდი სასამართლოს დასრულებას. როცა ზაზას წაიყვანდნენ ხოლმე, ცარიელ დარბაზში შევდიოდი და იქ, სადაც ზაზა იჯდა, სანთლებს ვანთებდი. ღმერთს შევთხოვდი: — აქ რამდენიმე წუთის წინ რომ ბიჭი იჯდა, იმას შეეწიე, უსამართლობას ნუ დაუშვებ, გაუნათე გონება მოსამართლეს, რომ სამართლიანი განაჩენი გამოიტანოს-მეთქი. როდესაც სასამართლო დამთავრდა და ზაზას განაჩენი გამოუტანეს, მეორე დღეს მოსამართლეს ჩემთვის საბუთი უნდა მოეცა, რომ ზაზა მენახა. უარი მითხრა: — შენ გუშინ ისეთი ამბავი ატეხე, რომ ღირსი არ ხარ, შვილის ნახვის უფლება მოგცეო.

ზაზა ჩუთლაშვილის შვილი, ნათია და დისშვილი, გიორგი

— **და რა ამბავი ატეხეთ?**

— როდესაც განაჩენი წაიკითხა და თქვა, რომ განსასჯელ ზაზა ჩუთლაშვილს მიესაჯოს 15 წლით თავისუფლების აღკვეთაო, ჩემს რძალს გული წაუვიდა, მეც ავკივლდი და ამას გულისხმობდა. მე ვუთხარი: — მე თუ იმის ღირსი არ ვარ, რომ ჩემი შვილი ვნახო, ღმერთს ვთხოვ, არც შენ გეღირსოს შენი შვილის ნახვა, თუ ზაზა მკვლელია, მე მომიკვდეს ჩემი შვილი, თუ არა და, ღმერთმა სამაგიერო შენ გადაგიხადოს-მეთქი. მართლაც, რამდენიმე თვის შემდეგ ახალგაზრდა ბიჭი დაეღუპა ავარიით. მე ბავშვს რას ვერჩოდი, როცა დავწყევლე, იმას ვგულისხმობდი, რომ თვითონ დამართვოდა რამე და არა მის შვილს.

— **ბოლოს და ბოლოს, მოგცათ ცნობა?**

— კი, მომცა და მეორე დღესვე ვნახე ჩემი ზაზა. გამოძიება 11 თვე მიმდინარეობდა, სასამართლო — 5 თვე და ზაზას მაინც ეტყობოდა დალურჯებული ადგილები. სულ დავუკოცნე იარები ჩემს ზაზას. გავამხნევე და დავაიმედე, რომ რკინის ქალამნებს ჩავიცვამდი, რკინის ჯოხს ავიღებდი ხელში და სამართალს მაინც მივაღწევდი.

— **მე ვიცი, თქვენ ბევრ მაღალჩინოსანთან ხართ ნამყოფი და ყველას დაწვრილებით უყვებოდით თქვენს გასაჭირს.**

— სასამართლომდე, მაშინდელ პრეზიდენტთან, ედუარდ შევარდნაძესთან ვცდილობდი შესვლას, მაგრამ ვერ მოვახერხე. მერე გადავწყვიტე, ნუგზარ საჯაიასთან შევსულიყავი. როგორც იქნა, მივაღწიე მასთან. უფალმა გაანათლოს მისი სული, ძალზე თბილი და კარგი ადამიანი იყო. დაწვრილებით ვუამბე ყველაფერი. ძალიან შეეცოდე და მაშინდელ გენერალურ პროკურორს, ჯამლეტ ბაბილაშ-

დედა, მკვლელი არა ვარ, არ დაუჯერო ამათ, არა ვარ მკვლელი...

ვილს დაურეკა, მიიღეო. მიმიღო. ისე მისმენდა, თავი მაღლა არ აუწევია. დამპირდა, გიშველიო, მაგრამ მეორე დღეს ოპერაცია გაიკეთა. თანაც, რას მიშველიდა? ზაზას საქმე სწორედ გენერალურმა პროკურატურამ

ჩემი უბედური მეუღლე ღვთის ანაბარად მივატოვე და ცოცხლად დავაქვრივე

გააყალბა. დროებით, ვიდრე ბაბილაშვილი გამოჯანმრთელდებოდა, მისი მოვალეობის შემსრულებლად როლანდ გილიგაშვილი დანიშნეს. ძალიან გამწარებული ვიყავი, რადგან ზაზამ ამ დროს შიმშილობა გამოაცხადა. ითხოვდა, რომ გენპროკურორი შესულიყო მასთან. ბატონი როლანდი შევიდა და გაესაუბრა. ზაზამ უამბო, როგორ მიიღეს მისგან აღიარებითი ჩვენება და სთხოვა, რომ გამოძიება ობიექტურად წარემართათ. როლანდმა ჰკითხა — მითხარი, ვინ არის მკვლელი, შენ გაგიშვებ და იმას დავიჭერო. ზაზას საიდან უნდა სცოდნოდა მკვლელის ვინაობა? აბა, ასეთი კაცი როგორ შეიბრალებდა ზაზას? სხვა გზა რომ არ დარჩა, კანცელარიის წინ მივდიოდი ყოველდღე და ქვევიდან განწირული ხმით გავყვიროდი — პრეზიდენტო, მიშველე, უდანაშაულო შვილს მიღუპავენ-მეთქი. ერთ დღეს, როცა ასე ვყვიროდი, ახალგაზრდა მამაკაცი გამოვიდა ჩემთან (მის გვარს არ დავასახელებ, რადგან ახლა ისიც ციხეშია) და მითხრა — ნუ ყვირი, თუ შენი შვილი უდანაშაულოა, ღმერთი ყველას სამაგიეროს გადაუხდის, 100 წლის მერეო. აბა, რა უნდა ელაპარაკო ასეთ ადამიანს? შევედი კანცელარიაში და მდივან გოგონას ვთხოვე, პრეზიდენტთან შევეშვი, მაგრამ მან სწორედ იმ კაცზე მიმანიშნა და მითხრა — მან არ მიიჩნია საჭიროდ, რომ პრეზიდენტს შეხვდე, მე არაფერი შემიძლიაო. ადგა და ოთახში დეზოდორანტი მოასხურა. ნაცემი ძაღლივით წამოვედი იქიდან. ერთ დღეს გავიგე, რომ შევარდნაძე თბილისობაზე უნდა მისულიყო. იქ დავხვდი. როდესაც მანქანიდან გადმოვიდა და გზას ფეხით გაუყვა, საჩივრით ხელში, ყვირილით გავექანე მისკენ. ერთი მოიხედა ჩემს ხმაზე და გზა განაგრძო. ერთი მხრიდან სოსო ალავიძემ ჩამავლო ხელი, მეორე მხრიდან დაცვის წევრმა და იქიდან გამათრიეს.

პატრიარქთან შეხვედრაც მოვახერხე. ილია მეორემ ჩემი საჩივარი პარლამენტს გადასცა, მაგრამ აბა, რა შედეგი გამოიღო?

— **როგორც ვიცი, ბადრი ბიწაძესთანაც იყავით.**

— დიახ, მაშინ ქალბატონი ნინო ბურჯანაძის ქმარი გენერალური პროკურორის მოადგილე გახლდათ. ვერა და ვერ მივაღწიე იმას, რომ მასთან შესასვლელად საშვი დაეშვათ. მერე მოვითხოვე, ნებისმიერ პროკურორთან შემიშვით-მეთქი. თავიდან ამაზეც უარს მეუბნებოდნენ, მაგრამ შემდეგ, როგორც ჩანს, მოჰბეზრდათ ჩემი ყოველდღიური ვიზიტები და საშვი დაუშვეს. მე კი დავადე თავი და პირდაპირ იმ სართულზე ავედი, სადაც გენპროკურორი იჯდა. იქ ერთი ადამიანი შემხვდა, რომელიც ზაზას საქმეში ძალზე დიდ როლს თამაშობდა. გვერდით ვიღაც კაცს გადაულაპარაკა — ეს ის ქალია, რომლის შვილმაც 2 ადამიანი მოკლაო. ეს რომ გავიგონე, წიოკი ავტეხე. ამ ხმაურზე კაბინეტიდან ბიწაძე გამოვიდა. რომ დავინახე, ფეხებში ჩავუვარდი — მიშველეთ, ჩემი შვილი უდანაშაულოა, უშველე, გევედრები, სახლში დავბრუნდები და შენს სიგრძე სანთელს ჩამოვქნი, იმას დავანთებ, ოღონდ ჩემი შვილის საქმე ობიექტურად გამოიძიეთ-მეთქი. ბატონმა ბადრიმ ფეხზე წამომაყენა, დამამშვიდა, შემპირდა, რომ პირად კონტროლზე აიყვანდა ჩემი შვილის საქმეს და ასე გულდამშვიდებული გამომიშვა. რამდენიმე კვირის შემდეგ, ბიწაძე გაათავისუფლეს. მის მერე ჯანაშია დანიშნეს. ახლა მისი კაბინეტის კარი ავატალახე, მაგრამ არაფერი გამომივიდა. უკვე 11 წელია, ყოველ ორშაბათს და სამშაბათს საჩივლელად დავდივარ, ხოლო კვირა დღეს ჩემს შვილთან მივდივარ.

თავიდან ზაზა ორთაჭალაში იხდიდა სასჯელს. დილით დავიტვირთებოდი და მივდიოდი მასთან. მძიმე ტვირთი ისე მსუბუქად მიმქონდა ხოლმე, რომ მე თვითონ მიკვირდა. ერთხელ ისე ჩავფიქრდი, რომ ციხეს გავცდი



ახალგაზრდა, მეამინოშვილე
მანდასი ეძებს ვიკინახ,
ამელიც ხეშაფად დამშლ
და ხმამალა ყვიმლ.

და ფონიჭალაში ამოვყავი თავი. იქიდან უკან გამოვბრუნდი. ამასობაში კარგა ხნით დამაგვიანდა და უკვე სამუშაო საათები დამთავრებული იყო. ძალიან ვინერვიულე. მერე შევეცოდე იმ მამაკაცს, ვინც ამანათების გადაცემას აწესრიგებდა და ზაზასთან შემიშვა. თან მითხრა: მთელი დღე შენი შვილი პაემნების ოთახში იდგა და გელოდაო. რომ შევედი, ზაზა ისევ იქ დამხვდა. ტირილით ჩავეხუტე. ვუთხარი დაგვიანების მიზეზი და შევპირდი, რომ ყურადღებით ვიქნებოდი და მეორედ ასე აღარ დამემართებოდა. — დედა, შენ რომ მიმატოვო ან რამე დაგემართოს, მე ყოველ კვირა დღეს აქ დაგელოდები, დილიდან საღამომდე ვიდგები და მერე წავალო.

— რევოლუციის მერე არ გიცდიათ, ახალი მთავრობისთვის მიგემართათ?

— შვილო, რევოლუციის დღეებში ძალიან გახარებული ვიყავი. მომავალი პრეზიდენტის სურათს გულში ჩახუტებულს ვატარებდი. არჩევნების წინა დღეებში ყველას ვეუბნებოდი, ხმა მიშას მიეცით, ეს კაცი გადაგვარჩენს-მეთქი. მეგონა, რომ ახლა მაინც მივაღწევდი სამართალს.

— სცადეთ ახალ პრეზიდენტთან შეხვედრა?

— ძველი მთავრობის დროს უფრო შესაძლებელი იყო თანამდებობის პირებთან შეხვედრა. ახლა საერთოდ შეუძლებელია მათთან დაკონტაქტება. მე ხომ სადგურის ტერიტორიაზე ვვაჭრობ. ჰოდა, ერთ დღეს თქვეს, რომ მიშა უნდა მოვიდეს, ბათუმის მატარებელი უნდა გააცილოსო. სასწრაფოდ დავჯექი კუთხეში და დავიწყე წერილის წერა. მის მოსვლამდე რამდენიმეგვერდიანი წერილი გავაშანშალე და მოვახერხე, რომ ბაქანზე შეუმჩნევლად ავსულიყავი. როგორც კი მიწისქვეშა გადასასვლელიდან თავი ამოვყავი, დავინახე, რომ პრეზიდენტი ჩემკენ მოდიოდა. წერილიანი ხელი მაღლა ავწიე და ხმამაღლა ვიყვირე:

— მიშველე, პრეზიდენტო, უდანაშაულო შვილი მეღუპება ციხეში, შენ ხარ ჩემი ბოლო იმედი-მეთქი. პატრულის თანამშრომლები მომცვივდნენ და პირზე ხელი ამაფარეს, რომ აღარ მეყვირა. ისე ჩამომკაწრეს სახე და კისერი, რომ კარგა ხანს ვიშუშებდი იარებს. გამათრიეს იქიდან. რა თქმა უნდა, პრეზიდენტს ჟურნალისტებიც ახლდნენ. როგორც კი ყვირილი დავიწყე, მაშინვე კამერები ჩემკენ მომართეს. მერე ახლობლები მეუბნებოდნენ, ტელევიზორში გნახეთ, პოლიცია რომ მიგათრევდაო.

— სად წაგიყვანეს?

— ოთახში ჩამკეტეს მთელი 2 საათით და ერთი კაცი დაცვად მომიჩინეს, რომ კიდევ არ ამეტეხა ერთი ამბავი. ის წერილი გამომართვეს და შემპირდნენ, რომ აუცილებლად გადასცემდნენ პრეზიდენტს, შინ დღემდე არავინ შემხმიანებია. პრეზიდენტს ჯერ კიდევ მანამდე შევხვდი, როცა ის იუსტიციის მინისტრი იყო. ყურადღებით მომისმინა, ჩემი განცხადება დაიტოვა და მერე შესაბამის ინსტანციას დაავალა, რომ ზაზას საქმე შეესწავლათ, მაგრამ ისევ მიჩქმალეს და არაფერი გამოვიდა.

— ზაზას საქმე უზენაესმა სასამართლომაც განიხილა, როგორც ვიცი.

— დიახ, 2 წლის განმავლობაში ნინო გვენეტაძესთან იდო მისი საქმე. არა და არ ჩაატარა პროცესი. მერე ის სამსახურიდან დაითხოვეს და საქმე სხვას გადასცეს. ახლა იმან გააჯანჯლა საქმე. მერე პროცესი ისე ჩაუტარებიათ, რომ ჩვენ არც გაგვაგებინეს. არც ჩვენი ადვოკატისთვის შეუტყობინებიათ. თავიანთი ადვოკატი დაუნიშნავთ და საქმეც ისე გადაწყვიტეს, როგორც თვითონ უნდოდათ. მერე გადავწყვიტე, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს შევხვედროდი. ყოველდღე მივდიოდი და ვითხოვდი, შემახვედრეთ-მეთქი, მაგრამ ყველა მეუბნებოდა, რომ ამას ვერ მოვახერხებდი. მომბეზრდა ამდენი უყურადღებობა და ერთ დღეს სასამართლოს ფოიეში ავყვირდი. დაცვის თანამშრომლებმა ჩამავლეს ხელი და გარეთ გაყვანა დამიპირეს. ვიდრე კბილებით არ ვწვდი ხელში და არ ვუკბინე, მანამდე ხელი არ გამიშვეს. სასამართლოს თავმჯდომარეს კი მაინც ვერ შევხვდი.

— ვიცი, რომ ზაზას მეორე ადვოკატიც ჰყავდა, რომელიც ერთ-ერთი მოკლულის მოგვარე იყო. შემდეგ ის მონასტერში წავიდა სამუდამოდ.

— დიახ, ეს ბიჭი თავისით დაგვიკავშირდა. სრულიად უანგაროდ ჩაერთო ზაზას საქმეში და იბრძოდა, რომ ჩემი შვილი გაეთავისუფლებინათ. ნანა ლიპარტია პირველსავე დღეებიდან გვერდით გვედგა და არაფერს იშურებდა ზაზასთვის. უკან არაფერზე იხევდა და არც იმის გამო შიშობდა, რომ ბევრ ადამიანს დაუპირისპირდა, მაგრამ ვერც ერთმა ვერაფერი გააწყო უსამართლობასთან ბრძოლაში. ღვანმა ალბათ ვეღარ გაუძლო ამდენ უსამართლობას და გადაწყვიტა, ეკლესიისთვის დაეთმო თავისი ცხოვრების დარჩენილი ნაწილი. ის ლანჩხუთში, ზემო ჯუმათის მამათა მონასტერშია დღემდე. ერთხელ ჩავკითხე. ძალიან დიდი გზა გავიარე ფეხით. მითხრა: — აუცილებლად მიიტანე ეგ საქმე საკაშვილის ყურამდე და მხოლოდ მას შეუძლია, დახმარება გაგიწიოს, მე კი ზაზასთვის ვლოცულობ, რომ ღმერთმა გადმოხედოსო. აბა, კიდევ რა გითხრა, შვილო, 11 წელია, მუხლი არ ჩამიხრია. ახლა კი უკვე ხელი ჩავიქნიე და სადაც ამდენი წელი, იქაც კიდევ 4 წელი გავუძლებ და მერე მაინც ხომ გამოვა ჩემი შვილი.

სასარგებლოა კალათბურთი

— გამარჯობა, გრაფ. მე ვარ 17 წლის ლუკა და მინდა, რომ უფრო მაღალი გავიზარდო. ჩემი სიმაღლე 175 სმ-ია. ვიცი, რომ ბიჭისთვის ეს ნორმალური სიმაღლეა, მაგრამ ჩემი მეგობრები ჩემზე მაღლები არიან და არ მინდა, მათ ჩამოვრჩე. იქნებ იცოდეთ, როგორ გავიზარდო, თუნდაც თვეში 2 სმ-ით?

— როგორც ამბობენ, ასეთ შემთხვევაში სასარგებლოა კალათბურთის თამაში და ტურნიკეტზე დაკიდება, მაგრამ გარანტირებულია თუ არა მიზნის მიღწევა, ეს უკვე აღარ ვიცი. ისე, 175 სმ სიმაღლე მართლაც ნორმალურია.

დაელაპარაკე, როგორც თანასწორს

— სალამი. მაინტერესებს, რატომ გრძნობს ქართველი ადამიანი თავს დაბეჩავებულად, უსუსურად და დაკომპლექსებულად, მასზე სტატუსით მაღლა მდგომ, მაგრამ ჩვეულებრივ მოკვდავთან შედარებით?

— ეს ცხოვრების მთელი ფილოსოფიაა, ჩემო კარგო. წარმატებულ ადამიანებს ახასიათებთ თავიანთი უპირატესობის წარმოჩენა. ხოლო იმ ადამიანებს, ვინც მათზე, როგორც შენ ამბობ, რანგით დაბლა დგანან, აწუხებთ არასრულფასოვნების კომპლექსი. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ისინიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან, ისეთივე როგორიც ჩვენ. უბრალოდ, უფრო მეტად გაუმართლათ; მაგრამ რა იცი, როგორ გაგიმართლებს შენ? მერწმუნე, როდესაც რაიმე სტატუსით მაღლა მდგომ ადამიანს ელაპარაკები, მასზე გაცილებით კარგ შთაბეჭდილებას მოახდენ, თუ ისე დაელაპარაკები, როგორც თანასწორს. თუ მისგან დამამცირებელ ფრაზებს ან რეპლიკებს მოისმენ, თამამად მიუჩინე თავისი ადგილი. დაე, იცოდეს, რომ თუ მას თანამდებობა და ფული აქვს, თქვენ გაცილებით მეტი ადამიანური ღირსებით ხართ შემკული. ეს კი უფრო მეტს ნიშნავს.

მოძებნე ბიოლოგიური დედა

— გული მიკანკალებს, თქვენთან ურთიერთობის შანსი რომ მეძლევა. გავიგე, რომ აყვანილი შვილი ვარ. უკვე ოთხი წელია, რაც ამის შესახებ ვიცი. ისე გავიზარდე და განვვლე ეს ოთხი წელი, დედის მოძებნა არც მიცდია...

— ჩემო კარგო, შენი მესიჯი აქ შეწყდა, მაგრამ დაახლოებით ვხვდები, რისი თქმაც გინდოდა. ასეთ შემთხვევაში, აყვანილი შვილები ხშირად ბიოლოგიური დედის მიმართ ცუდად არიან განწყობილი და გამზრდელი დედა უყვართ. ეს ბუნებრივია, რადგან არაფერს ნიშნავს, ვის სხულში ჩაისახე. როგორც წესი, უშვილო ცოლ-ქმარი წლების განმავლობაში შვილის ნატრულია, ამიტომ, აყვანილ შვილს ისე ექცევიან, როგორც საკუთარი სხეულიდან ნაშობს. ბავშვი ამ სითბოს და სიყვარულს გრძნობს და საპასუხოდ იმავეს უბრუნებს. ისიც ბუნებრივია, რომ გაშვილებული შვილების უმეტესობას აინტერესებს, ვინ იყო მისი ბიოლოგიური დედა და თუ მისი მოძებნა შეძლო, დანაშაულს აუცილებლად ჰპატიობს. ასე რომ, თუ გამზრდელ მშობელს გულს არ ატკენ, აუცილებლად მოძებნე ბიოლოგიური დედა. ქალები, რომლებიც რაღაც მიზეზის გამო ბავშვს აშვილებენ, დროთა განავლობაში იტანჯებიან ამის გამო. შენი ნახვით მას ამ ტანჯვას შეუმსუბუქებ.

ამაში არაფერია ანომალიური

— გამარჯობა, გრაფ. მივესალმები თქვენს გამოჩენას. მინდა, ჩემი შვილის შესახებ მოგიყვეთ. ის ჯერ 2 წლის არის, ბიჭია და როგორც კი დიდმკერდიან ქალს დაინახავს, მაშინვე მისკენ იწევს. მერე მკერდზე ცხვირს უხახუნებს და კოცნის. ეს ანომალიაა?

— ნამდვილი ვაჟკაცი გყოლიათ... ეს ხუმრობით. ისე, ბავშვებს ახასიათებთ მსგავსი ქმედებები და ეს სულაც არ გახლავთ ანომალია. თითქმის ყველა ბავშვი ძუძუს წოვს, აქედან გამომდინარე, მას ნებისმიერი ქალის მკერდის დანახვისას დედის ასოციაცია უჩნდება და მისი სიყვარულიც აქედან მომდინარეობს. დიდ ბრიტანეთში 4 წლის ბავშვი საბავშვო ბაღიდან იმის გამო დაითხოვეს, რომ მასწავლებელს მკერდზე ხელი შეახო. წერილში, რომელიც ბავშვის მამას გაუგზავნეს, ეწერა, რომ ბავშვი შენიშნული იქნა სექსუალურ ძალადობაში. წარმოიდგინეთ, რა მოუვიდოდა მამას. რა თქმა უნდა, შესაბამის ინსტანციაში იჩივლა. ამის შემდეგ, მან კიდევ ერთი წერილი მიიღო, რომელშიც დანაშაულის ფორმულირება შეცვლილი იყო და ეწერა, რომ ბავშვი შენიშნული იქნა არაეთიკური ფიზიკური კონტაქტის მცდელობაში. სამართალდამცავებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო დაწესებულებების მოქმედ წესებში არ არის რეგლამენტირებული ბავშვისა და აღმზრდელის ფიზიკური კონტაქტი და ბავშვის ქმედება აბსოლუტურად კანონიერი იყო. ასე რომ, არც თქვენი შვილის საქციელშია რაიმე ანომალიური და მისი ქმედება შეშფოთების საფუძველს არ იძლევა.

დავცანკავ ნებისმიერ ხახელმწიფო ანგანიზაციას — ბავლოობლი, ცოლეფობლი

„შემოლაწუნება გქირდებათ“

— ვარ გათხოვილი, შვილების პატრონი ქალი. ყოველთვის სულიერ სიმარტოვეს განვიცდიდი. შემიყვარდა ჩემზე ახალგაზრდა, უცოლო ბიჭი. ერთად ცოტა ხანს ვიყავით. ახლა მისი ინიციატივით დავშორგან დროა, დაოჯახდეს და

„შემოლაწუნებული“

— გრაფო, მე ის ვარ, რომელსაც უთხარით — „შემოლაწუნება“ გჭირდებაო. გეთანხმებით, რომ მოღალატე ვარ, მაგრამ ის არ მითქვამს, რომ ჩემი უკვე ყოფილი საყვარელი ცოლობას მთხოვდა, მაგრამ სწორედ შვილების გამო ვთქვი ამაზე უარი. ახლა ყველაფერს ვაკეთებ საიმისოდ, რომ არავინ შემატყოს, რა მჭირს. დიდი მადლობა, „შემოლაწუნებამ“ მართლა გამომაფხიზლა.

— კარგია. ხშირად ადამიანები ფსიქოლოგთან მისვლისას ფიქრობენ, რომ ის მათ აუცილებლად ანუგეშებს, ექიმი მასთან ერთად ატირდება და სხვა ამგვარი, მაგრამ ეს მეთოდი ყოველთვის როდი ჭრის. ფსიქოლოგის მიზანი და ამოცანა ის კი არ არის, ანუგეშოს პაციენტი. მან უნდა გამოიყვანოს ის იმ სიტუაციიდან, რომლის გამოც მისი დახმარება დასჭირდა. მე მიმაჩნია, რომ საამისოდ ნებისმიერი მეთოდი გამართლებულია, ძალადობის გარდა, რა თქმა უნდა. წარმატებებს გისურვებ!

ლამაზი და ჭკვიანი თუ მახინჯი და უტვინო?

— მაინტერესებს, რატომ ურჩევნია ქართველი მამაკაცების 90%-ს ცოლად საშუალო გარეგნობის უტვინო ქალი და რატომ გაურბიან ისინი ლამაზ და ჭკვიან მანდილოსნებს?

— ეს ალბათ თქვენი მოსაზრებაა და ის ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველსაა მოკლებული. მე რომ ცოლის მოყვანა გადავწყვიტო, ალბათ ლამაზ და ჭკვიან ქალს ავირჩევ. თუმცა, არასოდეს იცი, ვინ შეგიყვარდება. გავრცელებული აზრის მიხედვით, მამაკაცებს ჭკვიანი ქალების ეშინიათ. ეს სასაცილოა. ჭკვიანი ქალის შესაძლოა, სულელ მამაკაცს შეეშინდეს. მე არ ვეთანხმები თქვენს აზრს და მიმაჩნია, რომ რეალური სურათი სულ სხვაგვარია.

განსხვავებული

— ხალხთან კონტაქტი მიჭირს. თუმცა ჰგონიათ, რომ კომუნიკაბელური და ხალისიანი ვარ. ვგრძნობ, რომ სხვებისგან განვსხვავდები. ამიტომ თავს გარიყულად და მარტოსულად მივიჩნევ. რას მირჩევ?

— ადამიანები ერთმანეთისგან მეტ-ნაკლებად განვსხვავდებით. ამის გამო კომპლექსი არ უნდა გაგიჩნდეთ. იქნებ, თქვენ ხართ სხვებზე უკეთესი? თქვენთვის აუცილებელია ისეთი ადამიანების გარემოცვაში ყოფნა, ვინც თქვენ გგავთ, ვისაც თქვენი ესმის. თუ ასეთ ადამიანს თქვენ გარშემო ვერ აღმოაჩენთ, კარგი საშუალებაა, აწარმოოთ დღიური, ხოლო „უებარი“ წამალია, ადამიანებთან ინტერნეტით ურთიერთობა. უცნობებთან გაცილებით იოლია, გახსნილად ისაუბრო და თქვა ის, რაც გაწუხებს. მერწმუნეთ, რამდენიმე კვირა საკმარისი იქნება საიმისოდ, რომ დაინახოთ — არცთუ ისე განსხვავდებით სხვებისგან, ეს მოგიხსნით კომპლექსს და გაგიადვილებთ ცხოვრებას.

ქვრივის ვნებანი

— ძალიან გამიხარდა, თქვენი რჩევები რომ შემოგვთავაზეთ, რადგან რეგიონში ვცხოვრობ და აქ ფსიქოლოგი არ არის; მაგრამ მეშინია (რადგან ისეთ თემაზე უნდა გესაუბროთ), მეც ისეთი პასუხი არ მივილო, როგორიც „შემოულაწუნეს“ გაეცით... 42 წლის ვარ. 5 წელია, დავქვრივდი. ოჯახი სიყვარულით არ შემიქმნია, 16 წლის ვიყავი, უცნობმა მამაკაცმა რომ მომიტაცა, მაგრამ 20 წელი ერთად ვიცხოვრეთ. ჩემი უბედურება 3 წელია დაიწყო: ცოლშვილიანი მამაკაცი შემიყვარდა. ვებრძვი ჩემს თავს, ამდენი ხანია. ვერაფერს ვუხერხებ ჩემს დაგვიანებულ სიყვარულს. მის ოჯახთან იმდენად ახლოს ვარ, ამის გამჟღავნება სიკვდილის ტოლფასი იქნება ყველასთვის. ვიტანჯები. თვითონაც იცის, რას განვიცდი. რას მირჩევთ?

— თქვენი საშველი სხვა მამაკაცშია. თქვენი გონება, ყურადღება სხვისკენ უნდა მიმართოთ. თავადვე ხვდებით, რომ არასასურველი კანდიდატურა შეგირჩევიათ. ვხვდები, რომ თქვენთვის დიდი ტრაგედია იქნება ამის გამჟღავნება. შეყვარებული ადამიანის თვალები უტყვადაც მეტყველებენ. მოერიდეთ იმ ოჯახს. თუ თქვენს გულში სხვა მამაკაცს შემოუშვებთ, მერწმუნეთ, აუცილებლად განიკურნებით მისი სიყვარულისგან. თქვენ სითბო, ალერსი გჭირდებათ, რომ ამ მდგომარეობიდან გამოხვიდეთ.

შეაყვარე თავი

— გრაფო, იცით, რა მიკვირს? მე ვინც მომწონს, მას რომ არ მოვწონვარ და მის სანაცვლოდ, ამდენი „პაკლო“ რატომ მყავს? არ შეიძლება, მას მოვწონდე და „პაკლოებს“ — არა?

— მესიჯის შინაარსით თუ ვისჯელებთ, ალბათ 15-17 წლის გოგონა ხარ. თუ მოგწონს, აგრძნობინე, თვალები აუუუუნე, ისე მოიქეცი, რომ მიხვდეს შენი გრძნობის შესახებ. გაიგე, როგორი გოგონები მოსწონს და ეცადე, ისე მოიქცე, რომ თავი შეაყვარო.

გინდა სიყვარული?

— გრაფო, ახალგაზრდა და სასიამოვნო მანდილოსანს არ შეიყვარებდით?.. გთხოვთ, გულწრფელად მიპასუხეთ.

ყოველ ადამიანს — ოთხკარა ადამიანი, ამდენია ვინდა ამ ქვეყანაზე — ჩვენ ჩავიწერეთ!

— სიყვარული არასოდეს გეკითხება, ვინ უნდა შეიყვარო, ის მოვა და მორჩა! გპირდები, მომდევნო ნომერში გიამბობ ჩემი წარსული სიყვარულის ამბავს, რომელმაც მთელი ჩემი ცხოვრება წარმართა, მსოფლიოს ბევრი ქვეყანა მომატარა და ბოლოს ისევ სამშობლოში დამაბრუნა. სწორედ იმ სიყვარულის გამო ვრჩები ინკოგნიტოდ ჟურნალის ფურცლებზე... დამასევდიანა შენმა შეკითხვამ. მოკლედ, ერთი კვირის შემდეგ რამდენიმე ეპიზოდს გიამბობთ და თქვენს შეკითხვაზე პასუხსაც ალბათ იქ იპოვით.

? მეორე საყვარელი ჰყავს

— ძალიან მიყვარს მამაკაცი, რომელსაც ოჯახი ჰყავს. ურთიერთობა გვაქვს, მაგრამ უფრო — ჩემი ინიციატივით. მე თუ არ შევეხმიანე, თვითონ მთელი თვეც არ გავახსენდები. ეს — სიფხიზლეში, მაგრამ სიმთვრალეში საალერსო სიტყვებით მავსებს. გთხოვთ, მიპასუხოთ, ეს ადამიანი ჩემს გრძნობებზე თამაშობს თუ მართლა ვუყვარვარ და ამას მალავს იმის შიშით, რომ ოჯახი არ დაენგრეს და არაფერი გამულავნდეს?

— როგორი მძიმე მოსასმენიც არ უნდა იყოს, პირდაპირ გეტყვით, რომ მას თქვენ არ უყვარხართ. შეუძლებელია, შეყვარებულმა ადამიანმა 1 თვე გაძლოს ისე, რომ საყვარელი ადამიანის ხმა არ გაიგონოს. თქვენ ამბობთ, რომ გიყვართ. ძლებთ მის გარეშე? ალბათ ვერა... როგორც ჩანს, უბრალოდ, თქვენთან თავს კარგად გრძნობს. ალბათ საწოლში მის ცოლზე გაცილებით უკეთ გამოგდით ბევრი რამ და თქვენზე უარს ამის გამო არ ამბობს. სიმთვრალეში ნათქვამი სიტყვები კი არ უნდა დაიჯეროთ. ამ დროს კაცს ყველა ქალი უყვარს. არც ის არის გამორიცხული, რომ მას თქვენ გარდა, სხვა საყვარელიც ჰყავდეს. ახლა კი თავად გადაწყვიტეთ, გინდათ თუ არა თავის მოტყუება. სხვათა შორის, დროებითმა განშორებამ და თქვენი დაკარგვის შიშმა შესაძლოა, ყველაფერი სხვაგვარად წარმართოს. სცადეთ...

? ექსტრემალი

— საოცარია, რომ ასეთ ადამიანს ვწერ რეალურად წერილს. მთელი ცხოვრება ვფანტაზიორობდი, მაგრამ ეს მხოლოდ ჩემი წარმოსახვის შედეგი იყო. ახლა კი, თან მჯერა, თან — არა. არ მჯერა, რომ ამას ისეთი ადამიანი წაიკითხავს, როგორიც „გზაში“ იყო აღწერილი. ნეტავ, ერთხელ მაინც მაჩვენა, როგორი ხართ! მეც მთელი ცხოვრება იდუმალი ქალის როლს ვთამაშობ, რადგან ის სტანდარტული წესები, რომლებსაც დღევანდელი ყოფა გვთავაზობს, ჩემთვის მოსაწყენი და ხანდახან მიუღებელიცაა. ის მეამბოხე სული, შინაგანად რომ მაწვალებს, მშვიდად ცხოვრების საშუალებას არ მაძლევს. სულ რაღაცას ვეძებ და სულ ხიფათში ვარ გახვეული. მე კი ამის უფლება ალბათ არ მაქვს, რადგან 37 წლის ქალი ვარ, 2 შვილს ვზრდი აბსოლუტურად დამოუკიდებლად და ალბათ მათ წინაშე ვალდებული ვარ, რომ ვიყო სტაბილური და გაწონასწორებული. მე კი, როცა ჩემი მანქანის საჭესთან ვზივარ, ყველაფერი მავიწყდება და ათასგვარ ავანტიურაში ვებმები. თუმცა, ღირსების გრძნობა არასოდეს მღალატობს და თითქმის ყოველთვის გამარჯვებული და ამაყი ვრჩები, მაგრამ ხშირად ბეწვის ხიდზე გავდივარ და ძალიან მომწონს ეს. ნორმალურია ეს ჩემი ხნის ქალისთვის?

— ეს სავსებით ნორმალურია ნებისმიერი ასაკის ქალისთვის. ერთფეროვანი ცხოვრება მოსაწყენია. ამიტომ, თქვენ მოგიძებნიათ „სათამაშო“, რომლითაც მშვენივრად ირთობთ თავს. ექსტრიმი ყველა ადამიანს მოსწონს, მაგრამ ბევრს გამბედაობა აკლია და ის ვერასოდეს გაიგებს, რა არის ნამდვილი ცხოვრება. რაც შეეხება იდუმალებას, — ეს იმიჯი მარიმ „მომაკერა“, თორემ არც ისეთი იდუმლი ვარ. კი, მართალია, განმარტოებით ვცხოვრობ და არც ბევრ ადმიანთან ვკონტაქტობ, შინიდანაც იშვიათად გამოვდივარ, მაგრამ ამას თავისი მიზეზი აქვს, რომელზეც, როგორც უკვე ვთქვი, მომავალ ნომერში გიამბობთ. ისე, მეგობრებიც მყავს და გართობაზეც არ ვამბობ უარს, როცა საამისო განწყობილება მაქვს. დროთა განმავლობაში ჩემ შესახებ კიდევ ბევრ რამეს მოგიყვებით, რაც ალბათ ინტერესს მოკლებული არ იქნება.

? 911

— ხანდახან უცნაური კითხვები მიჩნდება და ვერავისთვის დამისვამს, რადგან მეშინია, არ დამცინონ. რა ვქნა? ვკითხო ვინმეს?

— რასაკვირველია, უნდა ჰკითხო. არ არის სირცხვილი, შენზე ჭკვიან ადამიანს რჩევა ჰკითხო ან იმ კითხვაზე პასუხი სთხოვო, რომელზეც თავად არ



ყველა, ვინც ჩვენთან თანამშრომლობს იცილის, ყოველთვის ძალიან საჩუქრად!

იცი. მაგალითად, როდესაც ამერიკაში ვიყავი, ძალზე დავინტერესდი მათი სამაშველო სამსახურით — „911“-ით. აღმოჩნდა, რომ ხშირად მათ ძალზე კურიოზული თხოვნით მიმართავენ. მაგალითად, ერთმა ასაკოვანმა ქალბატონმა ღამის კლუბში გამოიძახა დახმარების ბრიგადა. როდესაც ადგილზე მივიდნენ, აღმოჩნდა, რომ მას მხოლოდ ფრჩხილი მოსტყდა!.. მეორე ქალბატონმა კი „სასწრაფო დახმარებას“ იმის გამო უხმო, რომ თურმე თაგვმა მისი წამალი გადაყლაპა... ქალებს არც მამაკაცები ჩამოუვარდებიან ფანტაზიით. ერთერთმა მათგანმა ბრიგადა იმისთვის გამოიძახა, რომ ტელევიზორის სხვა არხზე გადართვა უნდოდა, მეორემ ცუდი სიზმარი ნახა, მესამემ კი მაცივრიდან ბატიბუტის გამოღება მოითხოვა... არის შემთხვევები, როდესაც ქალები რეკავენ და ითხოვენ, რომ მთვრალი ქმრის საწოლამდე მიყვანაში დაეხმარონ. ასე რომ, შენც თამამად შეგიძლია იფანტაზიორო და ნებისმიერ ადამიანს სთხოვო კითხვაზე პასუხი.

? ბიჭი მინდა

— გამარჯობა, გრაფო. მე 2 შვილი მყავს, ორივე გოგონაა. ჩემი ქმარი ამბობს, რომ ვიდრე ბიჭი არ შეგვეძინება, მანამდე უნდა ვაჩინო შვილები. იქნებ მირჩიოთ რამე?

— მართალია, მე მაგ საქმის დიდი სპეციალისტი არა ვარ, მაგრამ თქვენი გულისთვის ცოტა გავისარჯე და აი, თქვენი ქმრისთვის რა ინფორმაცია მოვაგროვე: თუ სავსემთვარეობის დროს ფანჯრის რაფაზე შაქარს დაყრით, გოგონა შეგეძინებათ, თუ მარილს — ბიჭი.

ჩინელებს მიაჩნიათ, რომ თუ ვაჟი გინდათ, ჩასახვის დროს ქალს თავი ჩრდილოეთით



უნდა ჰქონდეს.

ზოგიერთ ქვეყანაში სჯერათ, რომ თუ ბავშვი წვიმიან ამინდში ჩაისახება, გოგონა იქნება, ხოლო ცხელ და მზიან ამინდში — ვაჟი.

თუ ვაჟი გსურთ, უნდა დაქორწინდეთ დამოუკიდებელ, „ფხიან“ ქალბატონზე. „ომახიანი“ ქალები უფრო ხშირად ბიჭს მათ ორგანიზმში არსებული მოჭარბებული ტესტოსტერონის წყალობით აჩენენ.

თუ აუცილებლად გჭირდებათ გვარის გამგრძელებელი, მაშინ ცოლი დიეტაზე უნდა დასვათ: ამბობენ, თუ ბავშვის ჩასახვამდე რამდენიმე თვის განმავლობაში ქალი ჭარბი რაოდენობით მიიღებს ისეთ საკვებს, რომელშიც ბევრი მარილი და კალიუმია (ხორცი, ძეხვი, პური, კარტოფილი, ლუდი) და ნაკლებს, მაგნიუმისა და კალციუმის შემცველს (რძეს, სალათებს, კაკაოს, ნაყინს), ვაჟიანობა გარანტირებული გექნებათ.

? გაცოცხლდა?

— გრაფო, მკვდრეთით აღდგომის გჯერათ?

— რა თქმა უნდა — არა. საიქიოდან მობრუნებული ადამიანი ალბათ არავის შეხვედრია. ისე, კურიოზულ ამბავს გავიხსენებ, რომელიც სერბეთში მოხდა: ერთ ოჯახს საავადმყოფოდან, სადაც ოჯახის უფროსი

მკურნალობდა, შეატყობინეს, რომ ბატონი ბოგოლიუბი გარდაიცვალა. მის გასვენებაში უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. როდესაც დაკრძალვის ცერემონია დასასრულს უახლოვდებოდა და მიცვალებულის მიწაში ჩაშვება დაიწყეს, გარდაცვლილის შვილის მობილურ ტელეფონზე ზარი გაისმა. ყურმილში მიცვალებულის ხმა გაისმა, რომელიც კითხულობდა, რატომ აღარავინ მიდიოდა საავადმყოფოში მის სანახავად? ეს ყველასათვის შოკის მომგვრელი იყო, მაგრამ შემდეგ გაირკვა, რომ თურმე საავადმყოფოში სხვა მამაკაცი გარდაცვლილა, ექთანს გვარები ერთმანეთში არევია და არავითარი მკვდრეთით აღდგომა არ მომხდარა.

მესიჯები გრაფს შემდეგნაირად უნდა გაუგზავნოთ: მობილურის „ესემეს“-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა grafi გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, აკრიბოთ ტექსტი და გადმოგზავნოთ ნომერზე 8884.

ჩემ ბრძოლის ჰიპნოზი

და როგორ გადავიდეთ ტრანსის მდგომარეობაში სხვის დაუხმარებლად

ჰიპნოზი საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი და კარგად ვიცი, რას წარმოადგენს. ვინც არ იცის, ვურჩევ, ჩემი წერილი ბოლომდე წაიკითხოს და ბევრ საინტერესო ამბავს შეიტყობს.

გრაფი თარხანი

ამბობენ, გამოცდილ ადამიანს ჰიპნოზის საშუალებით შეუძლია, უფასოდ იმგზავროს მეტროთი, ტაქსით, შეაბას ნებისმიერი ქალი და შეფსაც კი შთააგონოს, რომ ხელფასი მოუმატოს. ეს ნათქვამი ცოტა გადაჭარბებულია, მაგრამ მასში სიმართლის მარცვალი მაინც არის. სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი აკითხავს ფსიქოლოგ-ჰიპნოტიზიორს, თავი რომ დააღწიოს ამა თუ იმ მავნე ჩვევას ან ახლობელი ადამიანის სიყვარულსა თუ სიძულვილს. ეს, რბილად რომ ვთქვთ, „შარლატანობაა“, მაგრამ შედეგი გარანტირებულია. ჰიპნოზური სეანსის შემდეგ, სიგარეტი ხდება გამოუსადეგარი, კომპლექსები — სასაცილო. ექიმი საიდუმლო გზით აღწევს შენს გონებაში, თავის ჭკუაზე „ალაგებს“ იქ ყველაფერს და შედეგით შენც კმაყოფილი ხარ. მართალია, ეს ერთი შეხედვით უცნაურია. ნუთუ ჩვენ თვითონ არ შეგვიძლია, რომ საკუთარი აზრები ვმართოთ?

სხვადასხვა დაავადების მკურნალობის ბევრი მეთოდი არსებობს, მაგრამ დამეთანხმებით, რომ არც ერთი მათგანის სახალხოდ დემონსტრირებას არ ახდენენ. მხოლოდ ჰიპნოზის სეანსებს ატარებენ სახალხოდ. სანახაობა კი შთაბეჭდილებას ნამდვილად ახდენს. სცენაზე ასული ადამიანი ყველას დასანახავად ვარდება ტრანსში და ხშირად სასაცილო სიტუაციაშიც აღმოჩნდება. უჭირს ნაბიჯის გადადგმა და თავს იმ ცხოველად ან ნივთად წარმოიდგენს, რასაც ჰიპნოტიზიორი უკარნახებს. შესაძლოა, წარმოიდგინოს, რომ კურდღელია, მგელი ან თუნდაც სარეცხის მანქანა. შეუძლია, მოაგროვოს იატაკზე გაბნეული არარსებული, ცარიელი ბოთლები. ჩემი აზრით, ეს არის ადამიანის გონებასა და ქცევაზე სხვა ადამიანის სრული კონტროლი. სინამდვილეში, „საესტრადო“ ჰიპნოზის წარმატება სცენაზე ასაყვან მაყურებელთა ყურადღებით შერჩევაში იმალება. მაესტროს წინაშე უზარმაზარი აუდიტორიაა, საიდანაც ის ირჩევს ყველაზე იოლად დასამორჩილებელ და ყველაზე არტისტული ბუნების ადამიანს. შეცდომის გამორიცხვის მიზნით, ჰიპნოტიზიორი თავიდან სცენაზე იძახებს უამრავ ადამიანს. შემდეგ მისთვის შეუფერებელს თანდათან დარბაზში აბრუნებს და ერთ ან 2 „მსხვერპლს“ ტოვებს სცენაზე. რა თქმა უნდა, ცუდს არაფერს უკეთებს, მაგრამ ჩემი აზრით, ძალიან ცუდია, როცა საკუთარ აზრს, ნებას და გონებას უნდა გამოეთხოვო და ის სხვას უნდა „ჩააბარო“. ეს რაღაც უცნაური შეგრძნებაა. ამ სტატიის კითხვისას, შესაძლოა, იქვე გვერდით საათი წიკწიკებდა, ქუჩაში მანქანამ ჩაიარა ან ძაღლი ყეფდა, მაგრამ არაფერი შეგინიშნავს. ეს გარკვეული ტრანსის მდგომარეობაა. მსგავსი, მსუბუქი ტრანსის მდგომარეობაში ალბათ შენც აღმოჩენილხარ. აბა, გაიხსენე, ალბათ გქონია შემთხვევა, ადამიანი ერთს გეკითხება, შენ კი სხვას პასუხობ. ამის ახსნას ჩვენ სხვა სიტყვებით ვახერხებთ: „კითხვაში გავერთე“, „უი, რა დრო გასულა“, „ჩავფიქრდი“...

ყველა მავნე ჩვევა იგივე ტრანსია, საიდანაც გამოსვლა სამწუხაროდ, ხშირად შეუძლებელია.

ფსიქოლოგები, რომლებსაც „ჭკვიანი“ სიტყვებით ლაპარაკი უყვართ, ამბობენ: ტრანსი ადამიანის მდგომარეობაა, როცა მისი გონება შეცვლილია და ყურადღების ფოკუსი — შემჭიდროებული. როდესაც ამ ფოკუსში აღწევს ჰიპნოტიზიორის სიტყვები, გონება მათ ისე იღებს, როგორც საკუთარ ნააზრევს. მკურნალობის მიზნით არ არის აუცილებელი ღრმა ჰიპნოზი. საკმარისია, მხოლოდ გონების მსუბუქი მოდუნება. „უსაქმოდ“ დარჩენილი ორგანიზმი მზად არის, შეასრულოს ნებისმიერი ბრძანება. ამ დროს წარმოდგენილ ნებისმიერ სიტუაციას გონება ·ისე აღიქვამს, როგორც რეალურს. სწორედ ამის შედეგია, რომ ადამიანთა უმეტესობა წიგნის კითხვისას გამოგონილი გმირების თავგადასავალს საკუთარივით განიცდის. შეუძლიათ, იტირონ კიდეც. ერთ მარტივ მაგალითს მოვიყვან. ოთახში რამდენიმე ადამიანი სხედხართ და ტელევიზორიც ჩართულია. თქვენ საუბრობთ, ის კი თავისთვის „უბერავს“. შეუმჩნევლად აიღე პულტი და ტელევიზორი გამორთე. დანამდვილებით ვიცი, რომ ოთახში სიჩუმე ჩამოვარდება და რეალობის შეგრძნება ყველას შეეცვლება. სწორედ ასე ხდება ტრანსიდან გამოსვლა. ტელევიზორმა თავისებური ჰიპნოზი გაგიკეთათ. მართალია, თქვენ ფიქრობთ, რომ არაფერი საინტერესო შთაგაგონათ, მაგრამ — „გასინჯეთ „ორბიტი“ მენთოლის გემოთი“ — ეს უკვე პირდაპირი ჰიპნოზია. „იგრძენით თავი წვეულების დედოფლად, როცა უბრალო სადილია მეგობრებთან“. — ესეც ჰიპნოზია, მაგრამ არაპირდაპირი. ასეთი მეთოდი

გამოიყენება იმ ადამიანების მიმართ, ვისაც პირდაპირი ბრძანება აღიზიანებს.

პროფესიონალ ჰიპნოტიზიორებს თავიანთი მეთოდი აქვთ და თითქმის ყველა ფსიქოლოგმა იცის, როგორ გადაიყვანოს ადამიანი ტრანსის მდგომარეობაში. ექიმი ამ დროს დაგსვამთ ან დაგაწვენთ სპეციალურ ტახტზე. ჩაგირთავთ მონოტონურ მუსიკას. მოგასმენინებთ ტალღების ხმაურს ან გულისცემის ხმას. ასეთ დროს ხშირად იყენებენ მეტრონომის წიკწიკსაც. მერე შემოგთავაზებთ, რომ ყურადღება მოადუნოთ. ამ დროს პაციენტი ფიქრობს: რას გამიკეთებს, როგორ გამიკეთებს, მგონი უკვე დაიწყო... ახლა რაღაც უცნაურს ვიგრძნობ... — არსებობს აზრი, რომ ასეთ შემთხვევაში ადამიანს საკუთარი თავი თავად შეჰყავს ტრანსში. თვალსაჩინო მაგალითი, ტრანსში ყოფნისა, ის არის, რომ სისულელის გაკეთებას გაიძულებენ. მაგალითად, ის, რომ არჩევნებზე უნდა წახვიდეთ და თქვენც ავტომატურად ემორჩილებით ბრძანებას. არც კი კითხულობთ — რატომ? მაგრამ არსებობს სხვა ნიშნებიც, რომლის მიხედვითაც იოლად დაადგენთ, ტრანსის მგომარეობაში ხართ თუ არა:

- მოდუნებული კუნთები, დამძიმებული ქუთუთოები
- სხეულში სიმძიმის შეგრძნება
- ჩამოვარდნილი ქვედა ყბა
- ფრენის შეგრძნება, მთქნარება, პირის სიმშრალე
- უმიზეზოდ სიცივის ან სიცხის შეგრძნება
- სიცილის, ღიმილის ან ტირილის სურვილი
- დროის შეგრძნების დაკარგვა (დრო იწელება ან პირიქით, სწრაფად გარბის).

თუ ეს ყველაფერი, რაზეც ზემოთ ვილაპარაკეთ, კარგად გაიგე, მაშინ შეგიძლია ტრანსის მდგომარეობაში თავად, სპეციალისტის გარეშეც შეხვიდე. უნდა დაჯდე მშვიდად და თვალი გაუშტერო მოლურჯო-მომწვანო სურათს ან ნახატს. ეცადე, იპოვო საზღვარი მწვანესა და ლურჯს შორის. როდესაც სურათის შუაგულში ლურჯი წერტილი პულსაციას დაიწყებს, შეგიძლია ჩათვალო, რომ ტრანსში შესვლა დაწყებულია. თვალები დახუჭე. ქუთუთოები უნდა დაგიმძიმდეს და ეს სიმძიმე უნდა გავრცელდეს კისრისა და მხრების არეში, შემდეგ მთელ სხეულზე. ეს სასიამოვნო სიმძიმეა. თვალის გახელის სურვილი არ გაქვს, მაგრამ ნახევრად გაახილე და დამძიმებულ ქუთუთოებს მიეცი საშუალება, რომ თავისით დაიხუჭოს. ეს გაიმეორე რამდენჯერმე. საბოლოოდ თვალები დახუჭე. უკვე ტრანსში ხარ. კიდევ ერთხელ წარმოიდგინე ლურჯი წერტილი, რომელიც პულსირებს. ახლა შეგიძლია, შთააგონო საკუთარ თავს ის, რაც გინდა. მაგალითად — „მე გავიღვიძებ 4 წუთის შემდეგ“, „მე ვიქნები მხნედ“, „მე აღარ მოვწევ სიგარეტს“... ხუთი! ოთხი! სამი! ორი! ერთი! უკვე გამოხვედი ტრანსის მდგომარეობიდან.

ახლა ორიოდე სიტყვით იმის შესახებ, რისთვის არის საჭირო თვითჰიპნოზი:

- ტრანსი — ეს არის დასვენების ყველაზე ეფექტური მეთოდი. თუ ამ მეთოდს დაეუფლები, შეგიძლია დაისვენო ყველაზე შეუფერებელ პირობებშიც კი. მაგალითად, სამსახურში. დახუჭე თვალები და ფიქრით წადი იქ, სადაც ძალიან გინდა ყოფნა. ან წარმოიდგინე, რომ ჩიტი ხარ და ცაში ლაღად დაფრინავ... ცოტა ხნის შემდეგ კი საქმეს დაუბრუნდი.
- სპორტის ბევრი სახეობა ითვლება მოძრავი ტრანსის მდგომარეობად. მაგიდის ჩოგბურთის თამაშის დროსაც კი პირველობას ის მოთამაშე აღწევს, რომელიც თამაშის გარდა არაფერზე ფიქრობს. სპორტსმენები გაუცნობიერებლად იყენებენ თვითჰიპნოზს იმისათვის, რომ შედეგები გაიუმჯობესონ. მაგალითად, მორბენალი უყურებს თავისზე წინ მორბენალის ზურგს და წარმოიდგენს, რომ მასზე თოკითაა გამობმული. ამის გამო ის ერთი სანტიმეტრითაც კი არ ჩამორჩება მეტოქეს. შემდეგ ეს თოკი ნელა-ნელა იწყებს დამოკლებას და მათ შორის მანძილიც შესაბამისად მცირდება.

თვითჰიპნოზი გვეხმარება მივიღოთ გადაწყვეტილება და შემდეგ განვახორციელოთ ჩანაფიქრი. რა თქმა უნდა, გადაწყვეტილების მიღება ჩვეულებრივ მდგომარეობაშიც შეიძლება, მაგრამ ამ დროს გონება იმახსოვრებს სხვა ნიუანსებსა და არგუმენტებს, რომლებიც საბოლოო შედეგს საეჭვოს გახდის. ჰიპნოზის დროს მეხსიერებაში რჩება მხოლოდ საბოლოო შედეგამდე მისასვლელი გზა.

კარგი იქნებოდა, გცოდნოდა, როგორ გამოიყენო ჰიპნოზი სხვებთან მიმართებაში. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში მართლაც შეგიძლია, წარმატებას მიაღწიო. მაგალითად:

- უფროსმა გამოგიძახა და გისაყვედურა შეუსრულებელი სამუშაოს გამო. შენ მონოტონური ხმით დაიწყებ იმის ახსნას, რამ შეგიშალა ხელი, რომ დავალება შეგესრულებინა. ცოტა ხანში შეფს ისიც კი დაავიწყდება, რისთვის გამოგიძახა.
- როდესაც სხვა ადამიანთან რაიმე საკითხს ათანხმებ, რამდენჯერმე გაიმეორე ის ფრაზები, რისი მოსმენაც მას შენგან უნდა. ამის შემდეგ შეაპარე ის, რაც შენ გინდა. მოსაუბრე ინერციით გიქნევს თავს და ეთანხმება შენს წინადადებას.
- ყველა ქალს იოლად ვერ დაითანხმებ სექსზე. ამიტომ, როდესაც სასურველ ქალთან განმარტოვდები, უამბე მას, როგორ დაისვენე ხმელთაშუა ზღვაზე, როგორ იწექი გახურებულ ქვიშაზე და როგორ გაირუჯე. უთხარი, რომ ძალიან გიხდება გარუჯვა. აუცილებლად გაჭრის. დილით კი, თუ ის ფსიქოლოგია, მიხვდება, რომ არაპირდაპირი ჰიპნოზის მსხვერპლი გახდა.

ჰიპნოტიზიორები ამტკიცებენ, რომ ჰიპნოზით ნებისმიერი დაავადების განკურნებაა შესაძლებელი, მაგრამ ეს ასე არ არის. ჰიპნოზი არაეფექტურია:

- წონის დასაკლებად
- ფსიქოზური შემთხვევების დროს
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის დროს
- კბილის გაუტკივარებისთვის
- საგადასახადო ინსპექციისთვის თვალის ასახვევად.

სამაგიეროდ, კარგად ჭრის:

- სხვადასხვა ფობიისა და სტრესის დროს
- მორცხვობის დასაძლევად
- უძილობის დროს
- მეხსიერების გასაუმჯობესებლად და ყურადღების კონცენტრაციისათვის.
- სპორტული მიღწევების გასაუმჯობესებლად
- სიგარეტის მოწევის მავნე ჩვევისგან თავის დასაღწევად.

ცნობილია, რომ ჰიპნოტიზიორების პაციენტთა 35-40%, სეანსის შემდეგ ერთი წლის განმავლობაში აღარ ეწევიან. ჰიპნოთერაპიაში მაქსიმალური შედეგის მისაღწევად მას სხვა მეთოდებთან ერთობლიობაში გამოიყენებენ.

მას შემდეგ, რაც ქეთა თოფურია მოსკოვში გადასახლდა, მის ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა. პირველ რიგში — სახელი. აქ, საქართველოში, ქეთა იყო, იქ, დიდ რუსეთში, „კეწი“ გახდა, პატარა ვარსკვლავიდან დიდ ვარსკვლავად გადაიქცა და ამ ბოლო დროს თმის ფერიც შეიცვალა. თუმცა, ყველაფერი არა — უცვლელი დარჩა მისი საამაყო მკერდი და იქაც ისეთივე ხალისით ახდენს მის დემონსტრირებას და შანსს არ უშვებს ხელიდან, ისაუბროს თავის ღირსებებზე, როგორც აქ. შეგახსენებთ ძველ ინტერვიუს, რომელიც 2004 წელს ჩავწერე. მასში ქეთას დედა, ქალბატონი ნატოც იღებდა მონაწილეობას. ვნახოთ, რა შეიცვალა ქეთას ცხოვრებაში.

რა შეიცვალა ქეთას ცხოვრებაში სამი წლის განმავლობაში

ასეთი იყო ქეთა სამი წლის წინ

ქეთა (2007 წელი):

— საკმაოდ ხშირად ვიგებ ჭორებს ჩემ შესახებ და თანაც, ძალზე სასაცილო ჭორებს. მაგალითად გავიგე, რომ თურმე ფეხმძიმედ ვყოფილვარ და ბავშვის მამა ვლად ტოპალოვია. იმანაც გამაცინა, რომ თურმე მკერდის პლასტიკური ოპერაცია მაქვს გაკეთებული და სილიკონით მაქვს დაბერილი. არაფერი მსგავსი არ ჩამიდენია. ჩემი მკერდი ბუნებრივია და სულ თან ვატარებ.

ძ-ნი ნატო (2004 წელი):

— ერთადერთი, რაზეც ქეთას ვსაყვედურობ, მისი ჩაცმის სტილია. ძალზე უყვარს დეკოლტირებული ტანისამოსი. მე ვსაყვედურობ ხოლმე, ის კი მეუბნება — კლიპისთვის ან იმიჯისთვის არის საჭიროო. მეც ვჩუმდები.

ქეთა (2004 წელი):

— რაც გავიზარდე, ისეთ ჭორებს ვიგებ, რომელიც თავმოყვარეობას მილახავს, ამიტომ მძაფრი რეაქცია მაქვს ხოლმე.

როგორც ჩანს, ასაკის მატებასთან ერთად ქეთას იუმორის გრძნობაც მოემატა, რადგან რაზეც წინათ მძაფრი რეაქცია ჰქონდა, ახლა ის მხოლოდ ღიმილს ჰგვრის.

2007 წელი:

მოსკოვში, საკონცერტო დარბაზ „უკრაინაში“ გამართულ კონცერტში მონაწილეობას იღებდა უკრაინელი მომღერალი, არკტიკა. მისი გამოსვლა ბოლოს იყო დაგეგმილი. ამიტომ საგრიმიოროდან გასვლის შემდეგ კარი არ დაკეტა. ამასობაში კონცერტზე მივიდა „A-სტუდიო“ და გვერდით ოთახში განთავსდა. უკან დაბრუნებულმა არკტიკამ ვერ იპოვა ის კაბა, რომლის ჩაცმასაც მომდევნო სიმღერის შესრულებისა დროს აპირებდა. ის სადღაც გამქრალიყო. მომღერალი პანიკაში ჩავარდა და სასწრაფოდ გაგზავნა ერთ-ერთი მუსიკოსი, მისთვის ახალი კაბა რომ მოეტანა. მისი სცენაზე გამოსვლის დროს ქეთას სახეზე ირონიული ღიმილი არ შორდებოდა.

— მე არ მქონდა უფლება, მასთან მივსულიყავი, რადგან დამამტკიცებელი საბუთი არ მქონდა, რომ ნამდვილად ქეთამ მოიპარა ჩემი კაბა. — განაცხადა მან პრესასთან საუბრის დროს. — ეს პირველი შემთხვევა არ არის, დიდი ხანია, ვგრძნობ, რომ მითვალთვალებს. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც „წლის სიმღერის“ კონცერტები მიმდინარეობდა, ქეთამ სცადა ჩემს ოთახში შემოჭრა, მაგრამ ჩემმა მენეჯერმა შეუშალა ხელი. რას მერჩის?

ასეთი იყო რამდენიმე თვის წინ

კონცერტის შემდეგ არკტიკამ თავისი დაკარგული კაბა კარის ქვემოთ იპოვა. დაჭმუჭნილი და ჭუჭყიანი. ამ დროისთვის „A-სტუ-

დიო“ დარბაზში უკვე აღარ იყო. არკტიკამ თავისი ნივთები მოაგროვა და მუქარით დატოვა დარბაზი.

ჟურნალისტის კითხვაზე — აქვს თუ არა რაიმე კავშირი ქეთას აღნიშნულ ინციდენტთან, მან ღიმილით უპასუხა:

— უბრალოდ, ვიხუმრე. არ მეგონა, თუ ასე მწვავედ განიცდიდა ამ ხუმრობას და ასეთ ამბავს ატეხდა ასეთი წვრილმანის გამო.

ქეთა (2004 წელი):

— საშინელი ბავშვი ვიყავი. მე რომ ეზოში სათამაშოდ გავიდოდი, ბავშვები შინ გარბოდნენ ხოლმე.

უკვე გაზრდილი, „საშინელი ბავშვის“ ხუმრობები ალბათ არცთუ ისე სასიამოვნო უნდა იყოს იმ ადამიანებისთვის, ვისაც ქეთა მიზანში ამოიღებს. ისე, საინტერესო ხუმრობაა, რას იტყვით? ნეტავ, რით გადაუხდის სამაგიეროს არკტიკა?

ქეთა (2004 წელი):

— ძალიან მიყვარდა გარაჟებზე ჯდომა, ბავშვების ცემა. ავტოფარეხის უკან თუთის ხეები იდგა და ტოტები ისე ახლოს ჰქონდა, რომ სახურავზე ამძვრალი, ნაყოფს იოლად ვწვდებოდი. ასევე მიყვარდა როლიკებზე სრიალი.

დაქალები: ქეთა და ქრისტინე

სწორედ ასეთი სიცელქის გამო, 12 წლის ასაკში ქეთა დაეცა, ცხვირი ასფალტს დაჰკრა და ძგიდე გაეღუნა, რის გამოც სუნთქვა უჭირდა. 3 თვის წინ ქეთას უეცრად სუნთქვა ისე გაუჭირდა, რომ საშობაო სუფრიდან პირდაპირ საავადმყოფოში ამოყო თავი. მას სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს, რომელიც 2 საათის განმავლობაში გრძელდებოდა. გაუსწორეს გაღუნული ძგიდე და რამდენიმე დღით საავადმყოფოში დატოვეს. ახლა ქეთა უკვე კარგად არის და არც მის ჯანმრთელობას და არც კარიერას საფრთხე არ ემუქრება.

2007 წელი:

როდესაც ალმა-ათაში გასამგზავრებლად ქეთა თავისი „ნისანმურანოთი“ აეროპორტს უახლოვდებოდა, უცებ, ლიუკის შუშა ჩაიმსხვრა და მინის ნატეხები მომღერალს თავზე, გადაეყარა. ჯერ იფიქრა, რომ მინას რაღაც მოხვდა, მაგრამ მანქანის დათვალიერების შემდეგ გაირკვა, რომ მექანიკური დაზიანების კვალი მასზე არ აღინიშნებოდა და მინა თავისით ჩაიმტვრა. ახლა ქეთა აპირებს, სარჩელი შეიტანოს იმ ფირმის წინააღმდეგ, რომლისგანაც მანქანა შეიძინა. — რა უნდა მექნა, მინის ნამსხვრევებს ჩემთვის სახე რომ დაეზიანებინა? — თქვა მან ჟურნალისტებთან საუბრისას. ვიდრე სარჩელს შეიტანს, მან აუცილებლად უნდა მიიღოს რუსეთის მოქალაქის პასპორტი. სულ მალე დამთავრდება ყველა საჭირო პროცედურა და ქეთა რუსეთის მოქალაქე გახდება.

ქეთა (2004 წელი):

— როცა რაიმეს ვაკეთებ, ვხვდები, რომ სიზარმაცე ხელს რომ არ მიშლიდეს, უკეთ გავაკეთებდი. ისე, თუ რაიმე საქმე წამოვიწყე, აუცილებლად ბოლომდე მივიყვან.

ამ თვისებიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, ქეთა რუსეთის მოქალაქის პასპორტსაც მიიღებს და სასამართლო პროცესსაც მოიგებს.

ყველაზე თვალში საცემი ცვლილება ქეთას გარეგნობამ განიცადა. დამეთანხმებით, რომ ქერა თმა ნამდვილად მოუხდა. ბევრს არ მოსწონს, რომ ქეთა ჯერ ისევ თინეიჯერია, მაგრამ ჩაცმულობის ქალურ სტილს ანიჭებს უპირატესობას. მისი გარეგნობის შესახებ აზრი სტილისტ-დიზაინერ დათო გორგიაშვილს ვკითხეთ:

— ქეთას ქერა თმა ნამდვილად მოუხდა. ამას ყველა აღიარებს და მათ შორის მეც. ვინაიდან მას საკმაოდ დიდი და ლამაზი მკერდი აქვს, ხშირად უნდა ატაროს დეკოლტირებული ტანისამოსი. ის მეტისმეტად ხშირად იცვამს ისეთი სტილის ტანისამოსს, რომელიც 30 წლის ქალს გაცილებით მოუხდება. არასოდეს მინახავს ის „ჩაჩებით“, „კეტასებით“... არადა, მოუხდება.

ქეთა:

— არ მინდა, მთელი ცხოვრება ქერა თმით სიარული. მინდა, რომ ხშირად შევიცვალო. ხან ქერა ვიყო, ხან — შავგვრემანი, ხან — წითური. ხან კი ჩემი, ბუნებრივი ფერის თმას დავუბრუნდე. მინდა, სხვადასხვანაირი ვიყო. აი, მწვანე ფერი არ მინდა მხოლოდ.

●

დათო გორგიაშვილი

მობილი-ბუკი

იმისათვის, რომ „მესიჯომანიაში“ თქვენი მესიჯი მოხვდეს, მობილური ტელეფონის „ესემეს“-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა — gza გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ჯრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები



1. გამარჯობა. მინდა გავიცნო 16-20 წლის ბიჭი მე 15 წლის ვარ. კახეთში ვცხოვრობ. თუ ჩემი გაცნობა გსურს, შემეხმიანე. ჩემი ნომერი დაბეჭდეთ: 8.55.72.59.69.

2. ვარ 15 წლის, თბილისელი გოგო. თბილი და მოსიყვარულე. თუ ვინმეს დაგაინტერესებთ და გაგიჩნდებათ ჩემი გაცნობის სურვილი, ნომერი მარის გამოართვით. თათკა.

3. ლეო91-ის ნომერს ვერ მომცემთ?

4. მარი, მე მელია ვარ. გთხოვ გამომიგზავნო „გზა“ №14, მე-17 მესიჯის ავტორის ნომერი. ცანცარა სულაც არ ვარ და ლამაზ ურთიერთობაზე რატომ ვთქვა უარი?

5. ვარ 22 წლის, მაგარი გოგო. გამომეხმაურონ მაგარი ბიჭები.

6. ბიჭებო, კანფეტივით გოგონები არ გინდათ, გაიცნოთ? დაამესიჯეთ, არ ინანებთ. პატივისცემით, სუპერმაჭანკალი. აბა, თქვენ იცით!

7. ვეხმაურები „გზა“ №16, 32-ე მესიჯის ავტორს. ვარ 36 წლის, გასათხოვარი (ექიმი), ქალბატონი. ნომერი მარისთანაა.

8. ვარ 35 წლის, ბინიანი, ექიმი ქალბატონი. მაღალი, ალერსიანი. სერიოზული ურთიერთობისთვის დამიკავშირდით.

9. ვარ კარგი აღნაგობის, სასიამოვნო, მიმზიდველი გარეგნობის, 38 წლის ქალბატონი. მხოლოდ ოჯახის შესაქმნელად გავიცნობ წესიერ, სიმპათიურ, ქალაქელ მამაკაცს. ნუციკო.

10. ვარ 30 წლის, 170/60, თბილისელი, სიმპათიური, უმაღლესი განათლებით. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, დასაქმებულ, სერიოზულ მამაკაცს, 45 წლამდე.

11. ვეხმაურები მალუს. მეც დაქალს დავშორდი. დიდი სიამოვნებით გაგიცნობ. ეშმაკუნა.

12. ვარ 35 წლის, მხიარული, მეგობრული და თან ცოტა მოწყენილი. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობდი 38 წლამდე ასაკის მამაკაცს. არასერიოზულები არ გამომეხმაურონ.

13. 38 წლის, გასათხოვარი მანდილოსანი ვარ, ზღვისპირა ქალაქიდან. შემეხმიანოს ოჯახის შექმნის მიზნით, სერიოზული მამაკაცი. ვარ ძალიან მხიარული და კარგი მოსაუბრე.

14. ინტელექტუალი გოგო განაგრძობს ძებნას! ვეძებ უცოლო მამაკაცს, რომელიც არ ცრუობს და არის წრფელი გულის პატრონი. სასურველია, იყოს ხელოვანი, თბილისიდან, 32-40 წლის. ოდრი.

15. ვარ 35 წლის, ბინიანი, ექიმი ქალბატონი, მაღალი, ალერსიანი. სერიოზული ურთიერთობისთვის დამიკავშირდით.

16. ვარ 31 წლის, პატიოსანი, ერუდირებული, მეგობრების მოყვარული ქალიშვილი. გართულება მაქვს სვანებზე, თანაც ექიმებზე! თუ ვინმე არის ასეთი, შემეხმიანოს, მხოლოდ სამეგობროდ.

17. ვარ 41 წლის, სიყვარულს მოკლებული, მყავს ოჯახი, მაგრამ შვილების სიყვარულის მეტი არაფერი ვიცი. გთხოვთ, ვისაც სიყვარული შეგიძლიათ, გამომეხმაურეთ, მუდმივი მეგობრობისთვის.

18. ვეხმაურები „გზა“ №16, მე-2 მესიჯის ავტორს. ლევან, ერთგულებით გამოვირჩევი. ჯული-26.

19. ბიჭებო, გინდათ გაიცნოთ გოგო, რომელიც გაგიგებთ? ეს ჩემი დეიდაშვილია. არის პატიოსანი, ცოტათი კაპასიც. დაუმესიჯეთ და მომაშორეთ, რაა...

20. პუპსიკ, სიხარულო, შენი გაცნობა მინდა. შეიძლება? მგონი რუსთაველი ხარ, ხომ? მეც რუსთავში ვცხოვრობ. ძალიან გამიხარდება, თუ გაგიცნობ. გკოცნი. სევდია.

21. აუ, ლეო91-ის გაცნობა მინდა. ნომერი მარისთანაა. მიდი რა, ვიმეგობროთ? მისის ელიოზა.

22. ვარ 28 წლის, დასავლეთიდან. ვმუშაობ თბილისში. ოჯახის შექმნის მიზნით მინდა გავიცნო 35 წლამდე ასაკის, თბილი და სერიოზული მამაკაცი. სასურველია, თბილისელი ან რუსთაველი. ლოლა-22.

მამაკაცები

1. მარი, თუ შეგიძლია და მოინდომებ, მომეცი „გზა“ №16, მეთოთხმეტე მესიჯის ავტორის, გვანცას ნომერი. ახლავე გამომიგზავნე.

2. გამარჯობა. „გზა“ №16, მე-4 მესიჯის ავტორს ვეხმაურები. მომეცით ან მას მიეცით ჩემი ნომერი. ვარ 36 წლის, განათლებული მამაკაცი. გთხოვთ, ნომერი დაბეჭდოთ. 9.99.62.52.73.

3. ვეხმაურები „გზა“ №16, მე-11 მესიჯის ავტორს, თამროს. ვარ 25 წლის, მაღალი და სიმპათიური ბიჭი. მარი, მიეცი თამროს ჩემი ნომერი. დათო.

4. ვარ 24 წლის, შავგვრემანი, თბილისელი ბიჭი. გავიცნობ 20-25 წლის, თბილისელ გოგოს. ბავშვიანი იყოს, თუ გინდა. მარი, გთხოვ ჩემი ნომერი გამოაქვეყნე. 8.93.34.48.87.

5. ვარ 23 წლის, ღარიბი, გულით მდიდარი. გავიცნობ გოგონას. 8.55.65.72.63. ლევანი.

6. ვარ 18 წლის ბიჭი. გავიცნობ 16-18 წლის, ლამაზ და მიმზიდველ გოგოს. დამიმესიჯეთ, ლამაზებო. ნომერი იცით, ვისთანაც იქნება. ბაჩო.

7. ვარ მაგარი სიმპათიური, 188 სმ სიმაღლის, სპორტული, ათლეტური აღნაგობით, 30 წლის. მაინტერესებს, ძალიან ლამაზი გოგო თუ გამომეხმაურება. მაღალი უნდა იყოს, მინიმუმ 172 სმ. სიმაღლის.

8. მარი, ამდენი სიკეთისთვის სამოთხე გარანტირებული გაქვს. მე დათო ვარ, „გზა“ №15, 21-ე მესიჯის ავტორ გოგონას ვეხმაურები. კიევში ვცხოვრობდი 8 წლის განავლობაში. ახლა დავბრუნდი. შემეხმიანე, გთხოვ.

9. ვარ 34/95/185, სიმპათიური მამაკაცი. გავიცნობდი ლამაზ და სერიოზულ გოგოს, ვინც მოინდომებს ჩემთან მეგობრობას. ნომერი მარისთან იქნება.

10. ვარ 45/176/64, გავიცნობდი სამეგობროდ 40-45 წლის მანდილოსანს. ჩემი ნომერია 8.55.18.68.76.

11. მარი როგორ ხარ? დამიბეჭდე, ძაან გთხოვ. გავიცნობ რუსული წარმოშობის მანდილოსანს ან ნახევრად რუსს, 37 წლამდე. ლამაზსა და სიმპათიურს. ნომერი მარისთან არის. გიგა.

12. გავიცნობ ლამაზ და სევდიან გოგოს. ეს ნომერი გამოაქვეყნეთ. ბრისელი, 20 წლის. 8.55.43.67.17.

13. „გზა“ №17, მე-17 მესიჯის ავტორს მიეცით ჩემი ნომერი. ეს კი დამიბეჭდეთ: გავიცნობ ქუთაისელ, სერიოზულ მანდილოსანს, არახშირი შეხვედრებისთვის.

14. გავიცნობ თბილისელ გოგოს, 22 წლამდე. თავისუფალს და უკომპლექსოს. ვარ 22 წლის, 180 სმ. სიმაღლის. 8.95.25.01.72. ზურა.

15. გავიცნობდი „გზა“ №17, პირველი მესიჯის ავტორს. გთხოვთ დააფიქსიროთ ჩემი ნომერი. ალუდა. 8.55.39.08.74.

16. გავიცნობ სექსუალურ გოგოს, 22-28 წლამდე, ახლო ურთიერთობისთვის. ვარ 31 წლის. 8.55.62.82.98.

17. გავიცნობდი სასიამოვნო გარეგნობისა და შინაარსის მანდილოსანს, სამეგობროდ. ვარ 35 წლის. დანარჩენი შემდგომ, პირადად.

18. ვარ თბილისში მცხოვრები, 31 წლის. გავიცნობ სერიოზულ, არამწეველ, 22-27 წლის გოგონას, წარმოშობით აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთიდან. მიზეზებს ავხსნი მხოლოდ გაცნობის მერე. რომანტიკულ მესიჯებს ვერ ვუპასუხებ. ჯობია, მომწეროთ თქვენ შესახებ. დამიმესიჯეთ: 8.98.14.47.90. გოჩა.

19. 24-32 წლის, ლამაზ, გამხდარ, ერუდირებულ და პატიოსან ქალიშვილებს (მხოლოდ ქალიშვილებს) ვთავაზობ ერთ ვაკანსიას, მეუღლის „თანამდებობაზე“. ვხუმრობ, რა თქმა უნდა. თუ თავის ქებაში არ ჩამეთვლება, ვარ დასაქმებული, განათლებული, უღალატო და პატიოსანი, 35 წლის მამაკაცი. ბალუ.

• მე-16 ნომრის 22-ე მესიჯის ავტორს მიეცით ჩემი ნომერი. ბათუმელი ვარ. დამიმესიჯოს. გმადლობთ.

• გამომიგზავნე ნომერ 7-ის ტელეფონი.

• ვეხმაურები „გზა“ №16, 29-ე მესიჯის ავტორს. გთხოვთ, მისი ტელეფონის ნომერი მომცეთ. წინასწარ დიდი მადლობა.



• ცხოვრებამ ბევრი ტკივილი მომაყენა, მაგრამ სიცოცხლის წყურვილი არასოდეს დამიკარგავს! ცხოვრებისეული ტკივილის გაძლება სულიერად გაგვაძლიერებს! გჯეროდეთ მომავლის!

• აუ, ამ ამინდის გამოსვლას ზაფხულამდე უნდა ველოდო? :((ლეო91.

• ყველა სოფოს გაუმარჯოს! მაგრები ხართ. ბაჩა.

• მე მგზავრი ვარ, გზაზე მავალი,/ თქვენთან მოვედი, დიდი სალამით,/ თუ კი მიმიღებთ, თქვენს დიდ ოჯახში,/ თქვენთან დავრჩები, დიდი სიყვარულით. მგზავრი.

• „სტიქია“, კაკუ, მაგრები ხართ. ლეო91, მაგრად გამამხიარულა შენმა კურიოზებმა. ასე გააგრძელე. მპუა, ყველას. რა ცუდია, რომ მივდივარ და „გზას“ ვეღარ წავიკითხავ :(

• ნიკა კალანდაძე, თუ ახლა ამ მესიჯს კითხულობ, პირობა მომეცი, რომ იბრძოლებ სიცოცხლისთვის. გახსოვდეს, მე შენთან ვარ, ღმერთი — ჩემთან და ორივე გადაგარჩენთ. გკოცნი.

• ჩემს ლექსებს ვერ ვცნობ. რა საჭიროა გადაკეთება? ნუთუ არ შეიძლება, ისევე დაწეროთ, როგორც ვგზავნი? X-ვუმენ.

• იფ, იფ, რა კარგად ვიყინები! დარწმუნებული ვარ, ყველას შურს ჩემი. იმ საცოდავებს, სახლში თბილად რომ სხედან და ყავას რომ წრუპავენ. აი, ასე! უბედური.

• ლუციფერ, კეტრინ ზეტა ჯონსი „ატკაზებს“ ვის აძლევს, რა შენი გასარჩევია? კაიბიჭობაზე კი იბაზრე, „ნოუ პრობლემ“, კეტრინ ზეტა ჯონსი, ჩემი ოცნების ქალი ხარ. ბრედ პიტი.

• ლუციფერა ხარ თუ ვიღაც, კეტრინ ზეტა ჯონსს არ სჭირდება შენი შექება, რაა... კაიბიჭობაზე კი იბლატავე, შენ გვერდით ვარ. თიკო, მიყვარხააარ! ფარული ვნების ხუანი.

• „სტიქიავ“, მართალია, ძაან არ მეხატები გულზე, მაგრამ მაინტერესებს, ჩემს ნიკს როგორ გარითმავ. ამისრულე თხოვნა! გიუპოეტა, მაგარზე მაგარი ხარ, გენაცვა! ისტერიჩკა :-)

• მე მთიული ვარ, წარმოშობით. იქ არასოდეს მიცხოვრია. ვარ 20 წლის. რა დაჭამეთ ერთმანეთი? სხვა ერის დასაცინს რატომ იხდით თავებს? გორსკი.

• ერთი მარტოხელა, 40 წლის, ცასა და მიწას შერჩენილი ადამიანი ვარ, რომელიც ფიქრობს, რომ ადამიანის ცხოვრება განდგომილობაში მიმდინარეობს.

• ბიჭავ, ფშაველის ტირილი,/ აბა ვის გაუგონია,/ პირდაპირ მითხარ, რა გინდა,/ თორემ დავბერდით, მგონია! ლელა.

• „ზმიზმი“, ჩემს ნომერზე ბიჭი ვერ უპასუხებდა, მე გოგო ვარ! თუ მართლა ჩემს ნომერზე დარეკე. ჩემი ძმა იქნებოდა, მეტი არავინ. გული მწყდება... :-(:(((კაკუ.

• ისტერიჩკავ, მაინტერესებს, მე რას მერჩი? რამე დაგიშავე? ა? რაღაც, არა მგონია, რამე დამეშავებინოს. მით უმეტეს, შენთვის. :(კაკუ.

• მარი, გთხოვ, ეს მესიჯი დამიბეჭდე. მყავს მეგობარი, ლაშა. ის ბათუმელია და უყვარს ერთი ფოთელი, ულამაზესი გოგო, მარი ხორავა. ასეთი სიყვარული ჯერ არ გამიგონია.

• მაგთიჩატში რომ იყო კაკუ, ის დიდი გოგოა. ვიცნობდი. მე არა ვარ ამ ნიკით. ექს-ჩატელი ვარ, ძველი. ახლა აღარ ვარგა, გაბანძდა. :-(კაკუ.

• ეჰ, წავიკითხე ბოლოჯერ „გზა“ :(ხუთშაბათს კი უკვე საქართველოში აღარ ვიქნები :(ნახვამდის, მესიჯომანებო. „ცელუიუ ვას ვსეხ ი დო სკოროი ვსტრეჩი“. ზმიზმი.

• ყველანი ძალიან მიყვარხართ, მართლა. გთხოვთ, როცა მე მაყენებთ შეურაცხყოფას, იქნებ დამისაბუთოთ მიზეზი? მის სიო, მართლა რა ძალიან კარგი ხარ! მპუა, შენ. კაკუ.

• „მანჩესტერის“ ფანებო, სან სიროზე, რაა... „მილანი“, „რომა“ და „სელტიკი“ არ გეგონოთ, 3 და 7 გოლი რომ გივარდებათ. მალდინი მე-5 აღმართავს თასს! ფორზა, „მილან“! ნინო—მილანი.

• ლიგის ჰიმნი... „მილანი-მანჩესტერის“ შეხვედრას გთავაზობთ... დიმას ჯიგრული ხმა... სან სიროს გამოსასვლელი... აი ფეხბურთელებიც... აუუუ, 1 მაისი მინდაა :(ნინო—მილანი.

• ბებიაჩემი ეცემა მასზე, თუგინდ ის აძვრეს მაგიდის თავზე. ის აღარ დათმობს პოეტ „სტიქიას“, გინდ გაუჯავრდეს ბაბუ მინდია. მარგალ-მანგარ.

• 16 წლის თოკა თებაძე, ბათუმელო, კერძოდ, ბენზოში მცხოვრებო, ნინის თავი დაანებე, შენნაირი მახინჯი ბიჭი არ სჭირდება. ბოლოს მოგიღებ, თუ თავს არ დანებებ! ისტერიჩკა.

• კაკუ, სიხარულო, გთხოვ „ნივიუუებს“ ნუ მიკეთებ. ერთხელ მაინც დამელაპარაკე, გთხოვ. ჩემი პატარა ანგელოზი ხარ! მიყვარხარ. ლევ...

• კაკუ, გთხოვ, გთხოვ, გთხოვ რა, გეხვეწები რა, მნახე, გთხოვ, გთხოვ... მიყვარხარ მაგრაااად! მართლა სიხარულუკა ხარ! ლევ...

• პრივეტ ყველას! მე ახალი ვარ, ხომ მიმიღებთ? სამანტა.

• აუუუ, მაგარ გოიმობად მივიჩნევდი ამ „მესიჯომანიას“, მაგრამ საქმე რომ არ გვაქვს? „იტოგში“, მინდა ჩემს ცხოვრებაში ახალი სახე შემოვიდეს.

• ისტერიჩკავ, არანაირი ანტიპათია შენ მიმართ არ მაქვს. ვიმეგობროთ და ამაში დარწმუნდები. ლეო91.

• მის ნატალი, ჰო, ლევანი მქვია. სწორად მიხვდი, კურო ვარ. დაბადების დღე არ გაინტერესებს? :))) მალე... ლეო91.

• პაწაწკუნტელა, რა თქმა უნდა, მიგიღებთ. ნაყინზე მკითხე? რავი, მაგრად მცხელოდა. სიმართლე რომ გითხრა, არაფერს ვფიქრობდი. უბრალოდ, მე-4 ნაყინზე ყელი მეტკინა და... :(ლეო91.

• ვაუ, დაიკოც გამომიჩნდაა... :) ნინკა-ნინო, და თუ ხარ, ალბათ მეც მიყვარხარ! :) ცქნაფო, გაიხარე ჩემი მხარდაჭერისთვის. ისე, გირჩევ გამოცდებს მიხედო. აბა, შენ იცი :) ლეო91.

• ეს „გზავნილები“ კაი პონტია, აქ გასართობი მხოლოდ როდია, ზოგი ეძებს და ზოგიც პოულობს, ერთი მესიჯით ნაშას შოულობს. ბიჭი „პაბეგა“.

• გუშინ დავითარსე, რაა... :(2 კვირის წინ ნაყიდი ტელეფონი გადამეწვა, იმავე დღეს ფული ამწაპნეს, საბუთებიანად. ჩაფიქრებული გზაზე გადავდიოდი და კინაღამ ღიპიანმა ბიძამ მანქანით გამიტაცა. ახლა დაბინტული ხელით დავძუნძულებ :) გიო, თარსი ხარ, რაა... რომ არ მენახე იმ დღეს, ხომ ვიქნებოდი ახლა ყოჩაღად? :) შენც კარგი ადამიანი ხარ. ზაზუნა-22.

• baby smile, გაიხარე სიხარულო, შენც ძაან საკალელი ხალოოო... :) ყველანი ძაან კარგები ხართ, გენაცვალეთ, რااა... კვატუსია, გაიხარეეე... :) ზაზუნა-22.

• ისტერიჩკავ, სიხარულო, დარწმუნებული ვარ, ძაან კარგი ადამიანი ხარ და რატომ ცდილობ, საპირისპირო დაგვიმტკიცო? კარგი ხარ და აბა შენ იცი, არ შემარცხვინოო :) ზაზუნა-22.

• ბავშვებო, ერთმანეთს ნუ ეჩხუბებით, რა! ყველა ერთმანეთის მოსაწონი ვერ ვიქნებით. მაგრები ხართ ყველანი! ;-) აკე.

• კოხი-20, გაიხარე, ჩემო კარგო, მეც მიკვარხართ ყველანიი... :) ლეო91, ძაან საყვარელი ადამიანი ხარ :) ზაზუნა-22.

• გაგუ, გამაკვირვა შენმა მესიჯმა. ასეთი დადებითი დამოკიდებულება ჩემ მიმართ, საიდან? დიიიიდი მადლობა. კისს, კაკუ.

• დღეს ყველა კარგ ხასიათზე იყო, ჩემ გარდა. ეს იმიტომ, რომ ჩემი ბოდიალა მესიჯი დაიკარგა. ჰოდა, ჩავიცვი დახეული კეტები, ავიღე ფლეიერი და წავედი სასეირნოდ, მარტო. უბედური.

• კოხი-20, იცი, რა მაინტერესებს? ისევე არ გსიამოვნებს შენც ჩემი აქტიურობა? ხომ ასეა? დიდად არ გეხატები გულზე, ხომ? პირდაპირობას უფრო დაგიფასებ! კაკუ.

• baby smile, :-(უი, ის ცუდი ბიჭი! ლათა ალა უყვარხარ? ა? ძალიან საკალელი ხარ. როგორ დავიჯერო, შენზე უკეთესი ევასება? უი, უი, უი... კაკუ.

• პრინცესა, ცუნცულა, baby smile, ზმიზმი, .ზაზუნა-22, ლეო91, ნელკა, კისკისა, ელ-ლი... აუუუ, „იტოგში“ ვეღარ ვითვლი :) ყველანი უმაგრესები ხართ! უი, ნინი, მაგარი ხარ! კაკუ.

• პატალა, იცი, როგორ მაინტერესებს შენი სახელი? დაქალი მყავს, პატალას ვეძახით. იმანაც შენნაირად გაიცნო ბიჭი, იმ ბიჭს კი მეორე დაქალი მოეწონა. კუს, გილოცავ დაბადების დღეს. ბუტია :)

• ვაااااი, ღამურა სადაა? :(((დაბრუნდი ლა, გეხეწები, ლა... მთელი გულით გეხეწები, მალთლაااა... კუსკა, მე რომ ალკოჰოლს არ ვეტანები? :) უი, გენათალე, სენა. კაკუ.

• ლეო91, ძაან მაგარი მასტი ხარ! კაკუ.

• კისკისა, მოდი გენათალე! ერთ დროს მეც კისკისას მეძახდნენ. ახლა აღარ. :-(ხალისიანი ვეღარ ვარ და... კაკუ.

• ელ-ლი, შენც ჯიგარი ხარ, სიხარულო. გაიხარე. ლეო91, ძალიან ლამაზებია და გიჟისთვის მენანება :) ისე, სიკალული ტიპი ხარ. მპაჩები. ნელკა.

• „ცელუიუ“, მაგარი ვინმე ხარ, გენაცვალე. ისტერიჩკავ, თუ არ იჩხუბებ, ძალიან კარგი და ჯიგარი იქნები. აბა, შენ იცი :) ნუუუ, არც ისე ცუდი ხარ. :) ნელკა.

• მის სიო, მე გეუბნებოდი, მეეე, ვიმგეროთ-მეთქი :) აუ, კაკუ, სიხარულო, ყველა გთხოვთ, რომ გოიმების აზრი დაიკიდო და შენთვის სკუჩნად იცხოვრო, „გზაში“ :):):) ნელკა.

• მოკლედ, ყველანი საყვარლები ხართ. მეც, ხომ? :) ნუ, რა ვიცი :) მოდი, წავიდეთ, მოდი, წავიდეთ... მე გიტარაზე დაკვრას დავიწყებ, ეს სიყვარული არც იქ ყოფილა ძნელიიი :) ნელკა.

• სალამი ჯიგრებს, როგორ ხართ? მაგარი მომენატრეთ ყველანი. დავბრუნდი საქართველოში. „სტიქიავ“, ძმავ, გარითმე ჩემი ნიკიც, ოკ? ჯიგარი გოგო.

• აუ აქ არა, რაა... ეს რა გარჩევაა, ვინ კაია და ვინ — ცუდი? სვანებიც მაგრები არიან, გურულებიც, სომხებიც და იმენა ყველანი მაგრები ვართ. სხვა თემა შემოაგდეთ.

• აუუუ, კაკუ გამოჩნდაااა... რა იყო, კი მაგრამ, რა გჭირს?

მაძლიერეს შარვალი
იმისთვის სჭირდება, რომ
საყოველთაო ანბანები დაძლიოს.

ვნერვიულობ, იცი? ჰო, მართლა, დღეს მაგარი „ხუმრი“ დღე მაქვს, თან „გზა“ მაჩუქეს და რა მინდა მეტი?

• გენათალეთ, პაჩები ყველას, ზმიზმი, რავა ხარ? მის სიო, რამხელა ხარ? ჰო მართლა, სად წავიდა „მონასტრის ბიჭი“?

• აუ, ნელკა რატომ გგონია, რომ რაჭველები არ მევასება? პირიქით, მაგარი საკაიფო ხალხია! კოხი-20, მეც გკოცნი. გაიხარე. კაკუ, შენი ნომერი მინდა. ისტერიჩკა.

• გამარჯობა, ხალხო. მოკ—ლედ, „მობილი-ზაციაში“ სიცოცხლე დუღს და გადმოდუღს :) მოვიკითხავ ყველას, ვინც ამ რუბრიკაში ამინდს ქმნის. ლეო91, მაგარი როჟა ხარ. შენხელა ძმა მყავს. გაიხარე. :) მარი-მედეორ.

• კეტრინ ზეტა ჯონსო, უსაყვარლესი ხარ. მეწყინა, შენი ამბავი რომ წავიკითხე. გამეცანი და ხელისგულზე გატარებ. უკვე შემიყვარდი. უფალი გფარავდეს. ლევანი მელიქიშვილი.

• ჩემი უბედურება იცით, რა არის? მესიჯზე ნიკის მიწერა მავიწყდება. მარი, ძვირფასო, მე ფუნჩულა ვარ და არა ცუნცულა. ასე რომ, „სტიქიავ“, ჯობს ფუნჩულა გარითმო. ფუნჩულა.

• ზაზუნა-22, შენი გაცნობა შეიძლება? მაგარი ცაკალელი ხარ :) ბევრი გატოცე :)):)):)) baby smile.

• ჰმ, 7 მაისს 16 წლის ვირი ვხდებიიი... :(((ისე, დროა საჩუქრების სია ჩამოვწერო და მშობლებს ვაჩვენოოო :))) ლეო91.

• კაეშანს ვეძმე, სიხარული არის ნაკლები, ისეთი დროა, მოყვრად მიჩანს სევდა, ნაქები, შიშია განძი, ცოდნასავით რომ უნდა გქონდეს, დარდია პური არსობისა, ჩემი საკვები... დათო-1.

• პრინცესა, გავიგე პრინცესობა უნდა და ვერ ქაჩავსო. დამიწყნარდი?ლუციფერ, გაიხარე, უმაგრესი ხარ. ჯიგრიკუნა ხაარ? ლეო91, კაკუ, ზმიზმი, „ანარქია“, პაჩი? კეტრინ ზეტა ჯონსი.

• ლეო 91, რამე საინტერესო თქვი რა, ძმაო. არაა საჭირო, ვიცოდეთ, რამდენი ნაყინი მირთვი. მერე ყელი როგორ აგტკივდა. დღეს რა ამბავი გადაგხდა კაფეში და ა.შ. დათო-1.

• ხიპუნია, რა იყო, უკვე „მობილი-ზაციაში“ დაიწყე, გოგონების დევნა? ეგრე გიჭირს? ჯერ სად ხარ, ბოლოს სულ მარტო დარჩები. მაგის ღირსი ხარ. მარი, ნომერი არავის მისცე.

• ბედნიერ დღეს ვიხსენებ კვლავ, მე ისევ თქვენკენ მიხმობდა გზა, ეს იყო გუშინ, მზე მქონდა სულში, შენ ალბათ, გესმოდა სიმღერის ხმა.

• ძალიან მენატრება ერთი ადამიანი, რომელიც ზაფხულში გავიცანი. მას გიო ჰქვია და ძეგვში ცხოვრობს. გიო, შენ არ ფიქრობ ჩემზე? ნიკს კიდევ ვიცვლი, რადგან მიცნეს. ლორელაი.

• მგონი ამ მაისურს გამყიდველი თავზე დამახვევს. მეხუთედ ვისინჯავ და ყიდვა ვერ გადამიწყვეტია. :(ლეო91.

• თუ ცხოვრებისგან ხარ გულნატკენი, მე შემიძლია ამის გაგება, დაგეხმარები. ბიჭი პ.ა.ბ.ე.გ.ა. ადამიანი, არა — ღვთაება.

• შენ შამოგევლოს შენი და, შენ ფშავის ხევის იმედო. ეძღვნება ფშაველ დიაცს. თუშს კი მინდა ვუთხრა: ჩვენ კი ვყოფილვართ უკანა ფშავში, მაგრამ შენ ყოფილხარ ომალოში? დაიკო.

• რადგან ქართველი კაცის სიცოცხლე ქრისტე უფალმა ვერ გაათენა, ამიტომ არის ეს პოეზია სისხლის წვიმები და ანათემა. რუქაზე წავიშლებით ქართველებო, ვიქართველოთ. მთიული.

• „სტიქიას“: შენ ყოველ დილით მაიმუნს ხედავ, აბა დაფიქრდი, ვინ არის ნეტავ? ბევრს ნუ იფიქრებ რადგან შენა ხარ, მაშინ როდესაც სარკის წინ დგახარ. ნომერი არავის მისცეთ.

• ხალხო, მიმიღეთ რა, თქვენს „სასტავში“? კაკუ, მაგარი საკალელი ქალ. მიკალქალ. პრანჭია.

• რუისპირსში ჩემს დაქალებს, ელა პაპუნაშვილს, მარი ტატულიშვილს და ნანკა ნაცარაშვილს მინდა ვუთხრა, რომ მაგრები არიან. თქვენი თამთუშკი (ბაჩო).

• არ ვიცი, რა მომდის, თითებს ვერ ვაჩერებ, მესიჯი ავკრიბე, თავი შეგახსენეთ, თქვენზე ფიქრები აღარ მასვენებს, მომენატრეთ და რა მომასვენებს? კვატბატუნა.

• კაკუ, შენზე ბაბოდებს, ჩემი პატარა ფერია ხარ! გაიზრდები და ჩემი ანგელოზი გახდები. ლევ...

• ისტერიჩკავ, არა მგონია, ეგ ჩემზე მეტად გიყვარდეს. უბრალოდ, ყველაფერს თავისი დრო და ადგილი აქვს. :) დარწმუნებული ვარ, ერთმანეთს გავუგებთ. ლეო91.

• იტალიელო ქართველო, ის დათო არ ვარ, შენ ვისაც იცნობდი, გესმის? მარი, დამეხმარე ამ ანგელოზის პოვნაში. როგორ დაგაჯერო, უხილავო მტანჯველო? დათო.

• მის სიო, მეც გურული ვარ, გენაცვალე, აბა რაა! კაკულიკო, შენ შემოგევლე, კარგი ხარ, პატარავ! გაიხარეთ, ჯიგრებოო :)) ბაო-ბაო.

• ვაიმეე, ეროვნული გამოცდები კარზე მომადგა უკვე. დედა, რაფერ მეშინიااა :) ჩემს მაგივრად არავის უნდა გამოცდებზე გასვლა? ბაო-ბაო.

• გამარჯობა მარი, მე მინდა, მადლობა გადავუხადო ბადრი ჩარექიშვილის დედას, ასეთი კარგი შვილის გაზრდისათვის. ბაჩუკი. მადლობა.

• ლუციფერი, კაკუ, ზაზუნა-22, „ანარქია“, „სტიქია“, ლეო91, ნელკა, კანიბალკა, მის 13-07, ზმიზმი, ფშაველი, მის სიო, უსაყვარლესები ხართ. მე თქვენთან ვარ. კეტრინ ზეტა ჯონსი.

• „მნე ოჩენ ინტერესნო, კტო ტი, ზმიზმი, ნა სამომ დელე? ესლი ტი ტოტ, ო კომ ია დუმაიუ“, საძაგელო, „ოტზავის“. მარი, ჩემი ნომერი არავის მისცე.

• ყველა მიყვარხართ, ვისაც გიყვარვართ! ისტერიჩკა, სვანო, კოხი-20 და ჩემებო, „გზის“ მკითხველნო, ყველანი! გიჟი პოეტი.

• ნეტავ იცოდეთ, როგორ მიჭირს. ერთი შვილი მყავს და მეშინია, მარტო არ დარჩეს, რადგან მე ავად ვარ. თან ცხოვრებაში ბევრი რამ გადავიტანე. ღმერთი გფარავდეთ! ნათია-30.

• წუთისოფელში არაფერი არის უცვლელი. ვარსკვლავები ქრება, მტვრად იქცევა ვარდის ფურცელი. ულხინოდ ერთ დღეს ნუ გაუშვებ, თორემ გაფრენილს ვერ დაიბრუნებ და ვერც დარდით უშველი. მაშ, დაეწაფე სატრფოს ბაგეს, ღვინის ფიალას, მარადისობა ნეტარების ერთი წამია... დათო-1.

• კაკუ, პატარავ, ისე ვინერვიულე წინა ნომერში რომ არ დაამესიჯე და შემდეგ ნომერში რომ თქვი, მალე კარგად ვიქნებიო, ძალიან გამიხარდა. ღმერთი გფარავდეს! ნათია-30.

• არა, მართალია, რომ ყველა ბიჭი ერთნაირი ნაგავია! ხომ მეთანხმებით? baby smile.

• გენათალეეეთ. მოვედი.გურია (ლანჩხუთი) შენ გენაცვალე, გურულო. გადვირიე, შენი გზავნილი რომ ვნახე. :) სხვა როგორ ხართ, ხალხო? მის სიო.

• გან დიაცი ვარ, ლაჩარი, რაად მავერიდ ჩოფესა, რო

ვარხარ. თან მაგრად! მაგარი ადამიანი ხარ! კაკუ.

• მე ძალიან კარგად ვარ. ძალიან მალე სულ გამოვჯანმრთელდები და დიდხანს ვიცოცხლებ! კაკუ.

• ყველას დიდი მადლობა, ვინც თანამიგრძნობთ. მე მალე კარგად გავხდები! ყველას ბედნიერებას და ჯანმრთელობას გისურვებთ! კაკუ.

• „ჩორტიოზნაეტი“, არა, არ მწყენია. ერთს გეტყვი: როცა ადამიანი სამადლო საქმეს აკეთებს, აუცილებელი არაა აფიშირება. ჰოდა, მეც ჩუმად, ღვთის დასანახავად ვაკეთებ კარგ საქმეს. კაკუ.

• შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი. ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისა.. პირველად გწერთ. მიმიღებთ? ვერა.

• კვატუსია, გაიხარე და მეც გაკოცეეე :) აუუუ... მიშველეეეეთ! ლამისაა გავაფრინო, ისე მიხარია ცხოვრება. არადა, ისეთი არაფერი ხდება... თან „ლოვემაც“ მიღალატა... :) მისს დეპპი.

• აუ, ეს ცუდი ამინდები! ეს უაზრო ცხოვრება! იმ ბიჭის სიყვარული, რომელსაც არ ვუყვარვარ, ყელში ამომივიდა! baby smile.

• პრივეტ, ხალხო, რაფერ ხართ თუ იცით? გურულები მაგრები ვართ. გენაცვალეთ ყველა გურულს. აბა, გააქტიურდით, გურულებოო! :-) მიყვარხართ! თამთი.

• მე ფშაველი ვარ, იცოდეთ, თქვენ არ გეგონოთ ქედელი, ბოსლების კალატოზი ვარ, ბავშვების ოქრომჭედელი. გაუმარჯოს მესიჯომანებს! მაგრები ხართ. კაცი ლეგენდა.

• უიიი, დღეს უკვე მეორედ „მოვყანჩალდი“. ისტერიჩკა, რაო, პატარავ? არ იცი, რომ ფშავ-ხევსურებს სვანებზე დიდი და დაცემა ქუდები აქვთ? ზაზუნა-22-ს ვენათალე, ბრძნულ აზრებში.

• ახლა აქანე რომ ვამესიჯებ, აბდალი არ ვარ, ძამა? მარა მის სიო, იმფერი ცაკალელი ქალ, გადვირიე! დავადე თავი და ღლონტის ღორივით დავამესიჯე! გურია (ლანჩხუთი).

• მაგარი ახირებული დირექტორი მყავს. სკოლაში საქველმოქმედო გამოფენას ვატარებთ. ჰოდა, საჩვენებლად საპატიო სტუმრებისთვის განკუთვნილი 1ცალი მოსაწვევი შევუტანე. გაგიჟდა და შენიშვნებით ამიკლო — არა, არ ვარგაო. დღეს ზუსტად ის ეგზემპლარი მივეცი და ვუთხარი: ისე გავაკეთე, როგორც თქვენ თქვითმეთქი. ძალიან კარგია, შეგძლებიაო :) ლეო91.

• ითმინა ჩვენი ხმამაღალი „გზავნილების“ კითხვა ერთმა ქალმა და რომ არ გავჩერდით, გვითხრა: თქვენი ცოდვა მიეცა ჯაფარიძესო. ჰა, მარი, გინდა ჩვენი ცოდვები? :) ლეო91.

• ჯონდევიჩ, ქე მიგიღებთ, რავა არა, მაგაზე უარს რაფრა გეტყვით? :))) აბა, კეთილი იყოს შენი მოსვლა. ლეო91.

• ბასასუნა, ნუ დამივიწყებ, გთხოვ. ნამდვილი სიყვარული შენით შემიყვარდა.

• ბაო-ბაო, ვა თე გენათალეე... ქალიიი... შენც ძალიან კარგი ხააალ :)) კაკუ, მის სიო, ბაო-ბაო, ამ ბავშვებზე მეკეტება, რა. ძაან საყვარლები ხართ

• :) გენაცალეთ, ქალებოოო... :)) ზაზუნა-22.

• მეგონა ჩემი იყავი, მე ხომ ამ ფიქრით ვცხოვრობდი, მეგონა ჩემთვის სუნთქავდი, მე ხომ ამ სუნთკვით ვტბებოდი. მეგონა შენი თვალები ჩემს დიდ სიყვარულს ხედავდნენ. მეგონა ჩვენი გულები თითქოს ერთადა ფეთქავდნენ, მეგონა ჩვენი ოცნება ფრთებს შეისხამდა, იფრენდა, მეგონა მე შენ გიყვარდი, მაგრამ ეს მხოლოდ მეგონა. უკანასკნელი სახსოვარი ზვიოს.

• კაკუ, ნუ დაიბოღმები, პატარავ. ძალიან კარგი გოგო ხარ და შენს მესიჯებს სიამოვნებით ვკითხულობთ. ზოგიერთებს არც მოუსმინო.

• გააგრძელე შენებურად. ლენგი.

• შენ ჩემი ოცნება გერქვა, მინდოდა შენთვის მიყვარხარ მეთქვა, მე ვერ გითხარი ის ერთი სიტყვა, რა იქნებოდა შენ მაინც გეთქვა :) ანი.

• მინდა კეტრინ ზეტა ჯონსს [illegible] ურ[illegible]ნე — [illegible] ურ[illegible] ახლში [illegible] მასზე [illegible]ში არ აგივაოდეს, ხალხს ძეხ კი აარა, ნამდვილი კეტრინ ზეტა მოსწონს. მეც შემიძლია ჩემს მესიჯს ანჯელინა მივაწერო, მაგრამ ნათია ვარ. (პრინცესა).

• მე ის პატარა მესიჯომანი ვარ, თქვენ რომ არასდროს არ მოგასვენებთ! როგორ ხართ, ხალხო? „სტიქია“, ეს რა გიყო ჩვენმა კანიბალკამ? :)) რა ხდება საყავრიაში? „სევდა“.

• აუუუ, რა მაგარია ჟურნალი ჟურნალში... მარი, უუუუმაგრესი ხარ... ზესტაფონლებო, გააქტიურდით, საყავრია მაგარია! ხომ მეთანხმები, „სტიქია“? სებია და რიჟა მომიკითხე. „სევდა“.

• პრივეტებიი... მე ნინი ვარ. მაგრები ხართ, რაა... ვერ გამიგია, კაკუსთან რა გინდათ? ძალიან ძალიან საყვარელია და შურით კვდებით, არა? ასეა, ასე!

• მარი გთხოვ, გამომიქვეყნე, რაა. ახლა დედიკოს ტელეფონი მოვპარე და... მინდა გაგიცნოთ. 14 წლის „ცანცარა“ ვარ. ახლა გაკვეთილებს ვისწავლი და... სააბ, მიყვარხარ. შენ?

• კაკუ, ავად ყოფილხარ, პაწუკ, რა გჭირს? მე ჩატშიც გხედავ ხოლმე. ნიკი გამოგიცვლია. დამიპირადე მაგთიჩატში, შენთან ვიმეგობრებ. ნატალი-21.

• ტელეფონში კომუნისტური „ვსტავაი, სტრანა აგრომნაია“ ჩავიწერე და „მარშრუტკაში“ ბოლო ხმაზე ავაჟღერე. ხალხმა სახე მიიღოოო... ალბათ მიხვდით :)) ლეო-91.

• კაკუნა, გენათალე თენააა. ზაზუნა-22, რა ცაკალელი ხარ! :) baby smile.

• ზაზუნა, მართლაც ძალიან კარგი ადამიანი ყოფილხარ, ჩემო ხუჭუჭა და ლამაზო გოგო. ამას ჰქვია, სიყვარულმა ასაკი არ იცისო. ამხელა კაცი გამაგიჟა ამ ციცქნა გოგომ. გიო.

• ოთხმოცდათორმეტ ხომ იცით, ომი დაგვატყდა თავზედა, მტერი კი გააფთრებული იწევდა მუქარაზედა. გაგიჟდნენ არაგველები, თოფი აისხეს მხარზედა, როგორც ერთ დედის შვილები...

• მოკლედ, გადავწყვიტე, რომ აღარ ვიჩხუბო და ნიკსაც შევიცვლი. მაგარი მეტკინა გული. ლეო91, ასეთი ანტიპათიები ჩემ მიმართ საიდან, ხომ ვერ მეტყვი? ისტერიჩკა.

• ვეხმაურები წინა ნომრის 21-ე გზავნილს. დათო, თუ შენ ის დათო ხარ, ვისაც მე ვიცნობდი, იცოდე რომ ლაჩარი და უსინდისო ხარ. ისე, უბრალოდ დავრეკე. ნუ მელი.

• ნეტავ „გზაზე“ ვინ წერს, მაგარი ვინმე ხარო? „გზა“ ვინმე კი არა, რამეა. ქართული ენის მასწავლებელი დიდი ხნის მკვდარი გყავს? მომწერე, იქნებ ცოტათი გაგანათლო. „პრინცესა“.

• ნინი, ჩემი სიხარული, ნომერს რომ მთხოვ, არ იცი ვითომ? მინდი, კაი რა, ხომ იცი, ვერ მიპოვი. ნინი, მიყვარხარ. ჩემი ნომერი არავის მისცეთ. გრუნტი :-)

• პრივეწიკი ყველას. ახლი ვარ, მიმიღებთ? ხალხო, რა გაჩხუბებთ, არ მესმის. არ ჯობია, წყნარად იყოთ და ერთმანეთს არ აწყენინოთ? მე ყველა მიყვარხართ. პაწაწკუნტელა :-)

• ლეო91, მაპატიე, მაგრამ 4 ნაყინს რომ ჭამდი, რას ფიქრობდი? პაწაწკუნტელა.

• მე ლომისაში ღმერთს შევავედრებ, ღვთისმშობლის ხატზე დავიჩოქები და მთიულეთის მდუმარე

დამკარგეს ისინდაც ამბობენ ლამაზ, ამიტ მიხვდე, მაგრამ ეს ლამაზ დამკარგეს.

სასიყვარულო ჰოროსკოპი

ვერძი 21.03-20.04

ქალები: ყველაფერი შესანიშნავად იქნება, თუ თქვენი საყვარელი ადამიანის აზრს გაითვალისწინებთ და გამოიყენებთ ბუნებისგან მონიჭებულ დიპლომატიურ ტალანტს. თუ ემოციებს გასაქანს მისცემთ, ნამდვილ ქარიშხალს დაატრიალებთ და მას განარისხებთ.

მამაკაცები: ამ კვირაში დაიბრუნებთ დაკარგულ იმედს და სიმშვიდეს. საყვარელი ადამიანის მიმართ წყენა გაგივლით, მაგრამ სიამაყე არ მოგცემთ უფლებას, რომ მასთან ურთიერთობა ძველებურად განაგრძოთ. ისწავლეთ დაიოკოთ უეცრად გაჩენილი რისხვა, რისგანაც ასე დაიღალა თქვენი რჩეული.

ხარო 21.04-20.05

ქალები: თქვენ ისევ შეყვარებული იქნებით. გაბუსხეთ ტუჩები და გაჩუმდით, თუ ნაწყენი ხართ. თქვენმა რჩეულმა ჯერ კიდევ არ იცის, რა უნდა გააკეთოს, რომ თქვენს სახეზე კვლავ იხილოს ღიმილი. დაივიწყეთ წყენა და დააბრუნეთ სიყვარული თქვენს სამყაროში.

მამაკაცები: დროა, თქვენს საყვარელ ადამიანს გულახდილად დაელაპარაკოთ და კომპრომისი მოძებნოთ. თქვენმა სიჩუმემ შესაძლოა, ავნოს ურთიერთობას. ძველებურად იზრუნეთ მასზე. მგონი დროა, ყვავილები აჩუქოთ.

ტყუპი 21.05-20.06

ქალები: ჯერ კიდევ არ გაქვთ გადწყვეტილი, როგორ მიმართულებას მისცემთ თქვენს საყვარელ ადამიანთან ურთიერთობას — იმეგობრებთ, ცოლად გაჰყვებით თუ „ბოიფრენდის“ სტატუსს მიანიჭებთ. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თვითონ როგორ მოიქცევა. როგორც კი დარწმუნდებით, რომ მისთვის სულერთი არ ხართ, ყველა ეჭვი უცებ გაიფანტება.

მამაკაცები: ეცადეთ, თქვენს ურთიერთობაში უცხო ადამიანები არ ჩარიოთ. ეს კვირა თქვენია და მაქსიმალურად უნდა გამოიყენოთ. ისეთი შთაბეჭდილება შეგექმნებათ, რომ მსოფლიო თქვენს წინააღმდეგ აღდგა და ყველაფერი ხელს გიშლით, მაგრამ თქვენი მამაკაცური გამჭრიახობის წყალობით უნდა მოახერხოთ და თავი დააღწიოთ ყველანაირ სირთულეს.

ხიბრო 21.06-20.07

ქალები: პრობლემა არც თქვენშია და არც მასში. გარემოება და ახლობელი ადამიანები გაუცნობიერებლად აფუჭებენ თქვენს ურთიერთობას. თქვენი ამოცანაა, აუხსნათ მას, რომ არავის წინაშე არ არის დამნაშავე და არავის წინაშე არ გახლავთ ვალდებული.

მამაკაცები: გადაწყვეტილების მიღების გაჭიანურებით თქვენ მხოლოდ გააღრმავებთ კონფლიქტს. თქვენი საყვარელი ქალბატონი დიდი ხანია, ხვდება, რომ გიჭირთ გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა. ახლა უკვე ზომაზე მეტად ფრთხილობთ. დროა, გადამწყვეტი სიტყვა თქვათ.

ლომი 21.07-20.08

ქალები: გადაუსვით თავზე ხელი საყვარელ ადამიანს და უთხარით, რომ გიყვართ. თუ დაფიქრდებით, მიხვდებით, რომ კარგა ხანია, მისთვის თბილი სიტყვები აღარ გითქვამთ. არადა, სწორედ თქვენი სითბო სჭირდება მას ყველაზე მეტად.

მამაკაცები: გაამყარეთ თქვენი სტატუსი, როგორც ურთიერთობის წარმმართველმა ძალამ, თორემ თქვენმა რჩეულმა სადავეები იპყრო ხელთ და თავის ჭკუაზე გათამაშებთ. მიახვედრეთ ის, რომ თქვენი აზრი ნებისმიერ შემთხვევაში გადამწყვეტია სწორედ იმიტომ, რომ მამაკაცი ხართ.

ქალწული 21.08-20.09

ქალები: ეჭვი არ შეგეპაროთ საყვარელი ადამიანის გრძნობებში. ის მუდამ, ნებისმიერ სიტუაციაში თქვენ გვერდით იქნება. მას პრობლემაც ბლომად აქვს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თქვენ მიავიწყდით. ის თქვენზე ყოველ წუთს ფიქრობს.

მამაკაცები: თქვენმა შემოქმედებითმა ძიებამ უკვე დაღალა თქვენი რჩეული. ყველაზე საინტერესო კი ის გახლავთ, რომ ის მართალია, როცა ამის გამო წუწუნებს. უკვე დიდი ხნის წინ უნდა გაგეკეთებინათ არჩევანი პროფესიასა და საყვარელ ადამიანს შორის. „მარადმწვანე მოზარდი“ ქალისთვის ძნელი ასატანია.

სასწორი 21.09-20.10

ქალები: თქვენ გაწონასწორებული ადამიანი ხართ და ყოველთვის ზუსტად იცით, რა, როდის და როგორ უნდა გააკეთოთ. სწორედ ეს აღიზიანებს თქვენს რჩეულს. ის არ არის ჩვეული ერთხელ დადგენილი ნორმებით ცხოვრებას. ამის გამო ორივემ ცოტა უნდა დათმოთ და ყველაფერი კარგად იქნება.

მამაკაცები: როგორც იქნა, ურთიერთობებში სიმშვიდემ დაისადგურა. არც ერთს აღარ შეგრჩათ ძალა საომრად. ყველაზე საუკეთესო გარემო შესარიგებლად წყნარი, მყუდრო სიტუაციაა. დროა, დანიშნოთ პაემანი.

მორიელი 21.10-20.11

ქალები: როგორც იქნა, დააღწიეთ თავი ეჭვიანობასა და განცდებს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ საყვარელ ადამიანთან იმას მიაღწიეთ, რაც გსურდათ. უბრალოდ, ის უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს თქვენს აზრს. ესეც კარგია!

მამაკაცები: თქვენი ახლობლები გაცილებით ხშირად ითხოვენ თქვენგან ყურადღებას. თქვენ კი უკვე აღარ იცით, საიდან მოიტანოთ დღე-ღამეში კიდევ დამატებითი 12 საათი, რომ მოასწროთ ყურადღების ყველასთვის განაწილება. თქვენი რჩეული ძალზე განიცდის უყურადღებობას, თქვენ კი დროის უმეტეს ნაწილს უცხო ადამიანებს უთმობთ. იქნებ დაფიქრდეთ ამაზე?

მშვილდოსანი 21.11-20.12

ქალები: თქვენ დარწმუნებული ხართ საკუთარი აზრის სისწორეში და კვლავ აგრძელებთ საყვარელი ადამიანის ჭკუის დარიგებას, თუ როგორ უნდა იცხოვროს. ის კი თანასწორუფლებიანი ურთიერთობის მომხრეა და არა დიქტატურისა. დაიღალა მუდმივი შენიშვნებით. შეწყვიტეთ ყველაფრის მის მაგივრად კეთება.

მამაკაცები: თქვენ საკუთარი მომხიბვლელობის

ხიდედმან ხიყვარული ყოლმეცმეშია იხმეშ.

ᲔᲠᲗᲐᲜᲗᲔ ᲛᲣᲥᲘᲐ ᲚᲣᲓᲘᲡ ᲔᲛᲘᲣᲤᲐᲠᲣᲚᲔᲑᲡ

ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ, ᲚᲣᲓᲘ ᲓᲐ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ ᲘᲡᲔᲕᲔ ᲒᲐᲜᲣᲧᲠᲔᲚᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡᲒᲐᲜ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲖᲚᲕᲐ ᲓᲐ ᲗᲝᲚᲘᲔᲑᲘ, ᲓᲔᲑᲔᲢᲘ ᲓᲐ ᲙᲠᲔᲓᲘ ᲢᲘ, ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲔᲑᲘ. ᲠᲐᲪ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲘᲬᲔᲕᲡ ᲛᲐᲦᲚᲐ ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡᲬᲧᲚᲘᲡ ᲡᲕᲔᲢᲘ ᲗᲔᲠᲛᲝᲛᲔᲢᲠᲖᲔ, ᲛᲘᲗ ᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲔᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲗᲣ ᲓᲐᲐᲠᲦᲕᲔᲕᲡ, ᲔᲡ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲖᲠᲣᲜᲕᲐ. ᲐᲠᲐ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲪ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ — ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲥᲐᲛᲐᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲨᲐᲠᲨᲐᲜᲓᲔᲚᲡ ᲐᲥᲔᲗ ᲪᲝᲢᲐᲗᲘ „ᲓᲐᲞᲐᲢᲐᲠᲐᲕᲓᲐ“ ᲓᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲘ „ᲡᲐᲗᲐᲓᲐᲠᲘᲒᲝ“ ᲜᲐᲮᲕᲠᲔᲢᲘᲚᲐ ᲓᲐᲠᲩᲐ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ ᲛᲔᲗᲝᲓᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲘᲥᲪᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲚᲣᲓᲘᲪ ᲛᲘᲘᲠᲗᲕᲐᲗ, ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲘᲪ ᲘᲧᲝᲗ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲦᲘᲞᲘ ᲬᲐᲛᲝᲒᲔᲖᲐᲠᲓᲝᲗ.

„ᲑᲘᲠᲑᲐᲣᲮᲘ“ — ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲐ ᲓᲐ „ᲚᲣᲓᲘᲡ ᲦᲘᲞᲘᲡ“ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ. ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲔᲚᲛᲐ ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲐᲓᲒᲘᲜᲔᲡ, ᲠᲝᲛ „ᲚᲣᲓᲘᲡ ᲦᲘᲞᲘ“ ᲘᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲩᲜᲓᲔᲑᲐ, ᲗᲣ ᲛᲐᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲓᲘᲓᲘ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲘᲗ ᲛᲘᲘᲠᲗᲛᲔᲕᲗ. ᲐᲜ ᲛᲘᲐᲧᲝᲚᲔᲑᲗ ᲨᲔᲛᲬᲕᲐᲠ ᲫᲔᲮᲕᲡ, ᲙᲐᲠᲢᲝᲤᲘᲚᲡ, ᲦᲝᲠᲘᲡ ᲮᲝᲠᲪᲡ ᲓᲐ ᲘᲛ ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲚᲣᲓᲖᲔ ᲓᲐᲡᲐᲧᲝᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲔᲑᲐ. ᲚᲣᲓᲘ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲨᲔᲘᲪᲐᲕᲡ ᲘᲛᲐᲖᲔ ᲜᲐᲙᲚᲔᲑ ᲙᲐᲚᲝᲠᲘᲔᲑᲡ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲘᲝᲒᲣᲠᲢᲘ ᲐᲜ ᲮᲘᲚᲘᲡ ᲜᲐᲢᲣᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲬᲕᲔᲜᲘ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲮᲔᲚᲡ ᲣᲬᲧᲝᲑᲡ ᲜᲘᲕᲗᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲪᲕᲚᲐᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲛᲨᲘ. ᲔᲡ ᲙᲘ ᲘᲛᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲕᲘᲡᲐᲪ ᲬᲝᲜᲐᲨᲘ 1-2 ᲙᲘᲚᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲓᲐᲙᲚᲔᲑᲐ ᲡᲣᲠᲡ, ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲚᲣᲓᲘ ᲘᲓᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘᲐ.

ᲨᲣᲐ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲔᲑᲘ ᲗᲑᲘᲚ ᲚᲣᲓᲡ ᲘᲛ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲔᲑᲡ ᲣᲜᲘᲨᲜᲐᲕᲓᲜᲔᲜ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲗᲘᲠᲙᲛᲔᲚᲨᲘ ᲙᲔᲜᲭᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ. ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲣᲠᲝᲚᲝᲒᲔᲑᲘᲪ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲞᲐᲪᲘᲔᲜᲢᲔᲑᲡ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲣᲬᲔᲕᲔᲜ ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲪᲘᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲓᲦᲔᲨᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲑᲝᲗᲚᲘ ᲚᲣᲓᲘ ᲛᲘᲘᲠᲗᲕᲐᲜ, ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ.

�გᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲡ, ᲓᲝᲥᲢᲝᲠ ᲙᲝᲮᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐ ᲐᲦᲛᲝᲐᲩᲘᲜᲐ ᲥᲝᲚᲔᲠᲘᲡ ᲑᲐᲪᲘᲚᲐ, ᲛᲘᲐᲩᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲚᲣᲓᲘ ᲣᲬᲧᲝᲑᲓᲐ ᲮᲔᲚᲡ ᲥᲝᲚᲔᲠᲐᲡᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲡ. ᲙᲣᲭᲨᲘ ᲛᲝᲮᲕᲔᲓᲠᲘᲚᲘ ᲥᲝᲚᲔᲠᲘᲡ ᲑᲐᲥᲢᲔᲠᲘᲔᲑᲘ ᲚᲣᲓᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲨᲘ ᲘᲚᲣᲞᲔᲑᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲞᲠᲝ�გᲠᲔᲡᲘᲠᲔᲑᲡ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛᲘᲗ ᲐᲘᲮᲡᲜᲔᲑᲐ ᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲘ, ᲠᲝᲛ ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲨᲣᲐ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲔᲑᲨᲘ ᲥᲝᲚᲔᲠᲐ ᲛᲫᲕᲘᲜᲕᲐᲠᲔᲑᲓᲐ, ᲦᲕᲗᲘᲡ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲜᲘ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲜᲘ ᲓᲐ ᲣᲕᲜᲔᲑᲔᲚᲜᲘ ᲠᲩᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲚᲣᲓᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲠᲨᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ. ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲪ ᲚᲣᲓᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲐᲓᲔᲖᲘᲜᲤᲔᲥᲪᲘᲝ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲓ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲡ.

ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ 2 ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲡ ᲛᲘᲐᲩᲜᲓᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲚᲣᲓᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲐᲢᲝᲜᲘᲖᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲡ ᲛᲝᲛᲪᲔᲛᲘ ᲡᲐᲡᲛᲔᲚᲘᲐ. ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠ�გᲘᲡ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲔᲑᲨᲘ ᲞᲐᲪᲘᲔᲜᲢᲔᲑᲡ XIX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲨᲣᲐ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲐᲛᲓᲔ ᲐᲫᲚᲔᲕᲓᲜᲔᲜ ᲚᲣᲓᲡ, ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲔᲑᲚᲐᲓ. ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲛᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲡ, ᲠᲝᲛ 1 ᲚᲘᲢᲠᲘ ᲒᲐᲣᲤᲘᲚᲢᲠᲐᲕᲘ ᲚᲣᲓᲘ ᲒᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲐ, ᲕᲘᲓᲠᲔ 1 ᲚᲘᲢᲠᲘ ᲠᲫᲔ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲩᲘᲜᲝ ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲐᲓ ᲐᲠᲜᲝᲚᲓ ᲨᲕᲐᲠᲪᲔᲜᲔᲒᲔᲠᲘ ᲛᲝᲰᲧᲐᲕᲗ. ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐ ᲑᲠᲫᲔᲜᲘ ᲔᲥᲘᲛᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲖᲔ ᲐᲠᲜᲝᲚᲓᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲡ ᲣᲠᲩᲘᲐ, ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲣᲡᲢᲘ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲪᲘᲝᲜᲨᲘ ᲚᲣᲓᲘ ᲨᲔᲔᲢᲐᲜᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ ᲐᲠᲜᲘ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲕᲔᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ.

ᲡᲙᲐᲜᲓᲘᲜᲐᲕᲘᲣᲠ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ ᲚᲣᲓᲡ ᲛᲡᲣᲑᲣᲥ ᲐᲜᲢᲘᲓᲔᲞᲠᲔᲡᲐᲜᲢᲐᲓ ᲛᲘᲘᲩᲜᲔᲕᲔᲜ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲣᲠᲩᲔᲕᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲓᲦᲔᲨᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲚᲘᲢᲠᲘᲡ ᲝᲓᲔᲜᲝᲑᲘᲗ ᲛᲘᲘᲦᲝᲜ. ᲚᲣᲓᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲛᲘᲓᲐᲜ ᲙᲐᲜᲪᲔᲠᲝᲒᲔᲜᲣᲚ ᲜᲘᲕᲗᲘᲔᲠᲔᲑᲔᲑᲡ ᲒᲐᲛᲝᲓᲔᲕᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲘ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲙᲘᲑᲝᲗᲘ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲠᲘᲡᲙᲘ 2-3-ᲯᲔᲠ ᲛᲪᲘᲠᲓᲔᲑᲐ, ᲘᲝᲒᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲩᲘᲩᲔᲕᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲗᲣ ᲓᲦᲔᲡ 1 ᲭᲘᲥᲐ ᲪᲘᲕᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲗ, ᲔᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲬᲐᲐᲓᲒᲔᲑᲐ, ᲮᲝᲚᲝ ᲗᲣ 1 ᲙᲐᲗᲮᲐ ᲚᲣᲓᲘᲗ — ᲛᲐᲨᲘᲜ ᲘᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲛᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ ᲓᲐᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ.

ᲚᲣᲓᲘ ᲔᲡ ᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲛᲘᲓᲐᲜ ᲐᲚᲣᲛᲘᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲘᲚᲔᲑᲡ ᲒᲐᲛᲝᲓᲔᲕᲜᲘᲡ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗ ᲕᲔᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲗᲮᲔ ᲕᲔᲠ „ᲓᲐᲘᲙᲕᲔᲮᲜᲘᲡ“. ᲗᲣ ᲭᲐᲠᲑᲘ ᲝᲤᲚᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲒᲐᲬᲣᲮᲔᲑᲗ, ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ ᲒᲐᲐᲕᲡᲝᲗ ᲐᲑᲐᲖᲐᲜᲐ ᲗᲑᲘᲚᲘ ᲬᲧᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲩᲐᲐᲛᲐᲢᲝᲗ ᲔᲠᲗᲘ ᲑᲝᲗᲚᲘ ᲚᲣᲓᲘ ᲓᲐ 15-20 ᲬᲣᲗᲘᲗ ᲐᲛ ᲐᲑᲐᲖᲐᲜᲐᲨᲘ ᲩᲐᲬᲕᲔᲗ. ᲔᲡ ᲛᲝ�გᲘᲬᲔᲡᲠᲘ�გᲔᲑᲗ ᲝᲤᲚᲘᲡ �გᲐᲛᲝᲧᲝᲤᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲡ. ᲚᲣᲓᲘ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ �გᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲝᲗ ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲥᲔᲠᲢᲚᲘᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲗᲛᲘᲡ ᲫᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲛᲐᲒᲠᲔᲑᲔᲚ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲓ. ᲒᲔᲠᲝᲜᲢᲝᲚᲝ�გᲔᲑᲡ ᲛᲘᲐᲩᲜᲘᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲗᲣ ᲓᲦᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ 1-2 ᲙᲐᲗᲮᲐ ᲚᲣᲓᲡ ᲠᲔ�გᲣᲚᲐᲠᲣᲚᲐᲓ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲗ, ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲓᲐᲑᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲡᲐ�გᲠᲫᲜᲝᲑᲚᲐᲓ ᲨᲔᲩᲔᲠᲓᲔᲑᲐ.

�გᲣᲚ-ᲡᲘᲡᲘᲡᲚᲫᲐᲠᲦᲕᲗᲐ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲕᲔᲚᲐᲓ 2 ᲒᲖᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ. ᲔᲠᲗᲘ — ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲪᲮᲘᲛᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ — ᲓᲘᲕᲐᲜᲖᲔ ᲬᲐᲛᲝᲬᲝᲚᲘᲚᲛᲐ ᲚᲣᲓᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲬᲠᲣᲞᲝᲗ. 1-2 ᲙᲐᲗᲮᲐ ᲚᲣᲓᲘ ᲘᲜᲤᲐᲠᲥᲢᲘᲡ ᲠᲘᲡᲙᲡ, 50%-ᲘᲗ ᲐᲛᲪᲘᲠᲔᲑᲡ.

ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲘᲡᲐᲐᲙ ᲜᲘᲣᲢᲝᲜᲘ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲙᲔᲛᲑᲠᲘᲯᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲦᲐᲠᲘᲑᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ ᲘᲧᲝ, ᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲠᲕᲔᲣᲚᲨᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲐᲠᲯᲡ ᲘᲬᲔᲠᲓᲐ. ᲔᲡ ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ ᲨᲔᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲗᲣ ᲗᲕᲐᲚᲡ ᲒᲐᲓᲐᲐᲕᲚᲔᲑᲗ, ᲜᲐᲮᲐᲕᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲐᲓ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲙᲐᲗᲮᲐ ᲚᲣᲓᲡ ᲛᲘᲘᲠᲗᲛᲔᲕᲓᲐ.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲡ ᲘᲡᲘᲪ, ᲠᲝᲛ ᲘᲛ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲘᲡ ᲙᲝᲔᲤᲘᲪᲘᲔᲜᲢᲘ, ᲕᲘᲜᲪ ᲚᲣᲓᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲐ, ᲛᲗᲔᲚᲘ 3 ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲘᲗ ᲛᲐᲦᲐᲚᲘᲐ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲛᲐᲗᲘ, ᲕᲘᲜᲪ ᲐᲛ ᲡᲐᲡᲛᲔᲚᲡ ᲐᲠ ᲬᲧᲐᲚᲝᲑᲡ.

ᲛᲘᲣᲜᲮᲔᲜᲗᲐᲜ ᲐᲮᲚᲝᲡ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲑᲔᲜᲔᲓᲘᲥᲢᲔᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲘᲡ, ᲐᲜᲓᲔᲥᲡᲘᲡ ᲬᲔᲚᲗᲐᲦᲛᲠᲘᲪᲮᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲡ ᲗᲣ ᲒᲐᲓᲐᲕᲮᲔᲓᲐᲕᲗ, ᲗᲕᲐᲚᲜᲐᲗᲚᲘᲕ ᲓᲐᲕᲘᲜᲐᲮᲐᲕᲗ, ᲠᲝᲛ ᲗᲣᲠᲛᲔ 1624-1657 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ. 355 ᲞᲐᲠᲐᲚᲘᲩᲘᲗ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲛᲐ ᲤᲔᲮᲖᲔ ᲒᲐᲕᲚᲐ ᲨᲔᲫᲚᲝ. 188 ᲔᲞᲘᲚᲔᲤᲡᲘᲘᲗ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲜᲘᲙᲣᲠᲜᲐ, 237 ᲧᲠᲣᲡ ᲡᲛᲔᲜᲐ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲓᲐ, 860 ᲑᲠᲛᲐᲡ ᲗᲕᲐᲚᲘ ᲐᲔᲮᲘᲚᲐ. ᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲗᲐᲕᲘ ᲚᲣᲓᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ, ᲝᲚᲝᲜᲓ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ, ᲥᲐᲠᲮᲜᲣᲚᲘ ᲬᲔᲡᲘᲗ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ — ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲘᲡ! �გᲘᲜᲓ ᲓᲐᲘᲯᲔᲠᲔᲗ ᲓᲐ ᲗᲘᲜᲓ — ᲐᲠᲐ.



გველის ქერქში

ველური წაბლის ხეივანი

დასაწყისი იხ. „გზა“ №14-17

ზაზა ვაჩნაძე

ირაკლიმ მართას დაურეკა. მართა მალევე შემოვიდა.

— რა იცოდნენ, რომ ჩემია ეს ფირმა? ვინ ჩამიშვა, აქ როგორ მომაგნეს? — ვერ დაფარა სიბრაზე ირაკლიმ. — ანდა, რომ მირეკავ და მიბარებ, არ უნდა მანიშნო?!.

— როგორ მენიშნებინა, რა უნდა მეთქვა? პირში მიყურებდნენ!.. — გაცხარდა მართაც.

— შენ იცი, ჯიბეები ფულით რომ მაქვს სავსე?! რომ ეტაცათ ხელი და გავექანებინე, რა უნდა მექნა? — ხელებს შლიდა ირაკლი.

— ფულით გაქვს სავსე ჯიბეები?! მართლა? — გაოცდა მართა. — მაშინ მომეცი ჩემი ხელფასი, მესამე თვეა, უფულოდ დავდივარ, ერთი თეთრიც არ მოგიცია!

— რა მოგცე, ჩემი კი არ არის... — იმწამსვე „მოტვინა“ ირაკლიმ.

— მაშ, ვისია? — იქვე შეაგება შეკითხვა მართამ. — მთელი ჯგუფი გავუშვი დუბაიში, ათასი საბუთი მოვამზადე და ერთი თეთრი არ ვიცი, რა არის. როდემდე გელოდო?! იცოდე, ჩემს ძმას ვეტყვი, აღარ გავჩუმდები, მომბეზრდა შენი ლოდინი!

— მოიცა, რამდენი გეკუთვნის? — ჯობს გავაჩუმო და მოვიცილო ეს ქალიო, — გაიფიქრა ირაკლიმ.

— 400 ლარზე მეტი... 430! — დაუკონკრეტა მართამ.

— აი, შენ 200 დოლარი და ცოტა ხანს თავი დამანებე, — ირაკლიმ თითქოს ესროლაო, ისე დაუყარა ფული მართას მაგიდაზე.

— ეს 360 გამოდის სულ. დანარჩენი? — მაშინვე ხელი სტაცა და ჩაბღუჯა ფული მართამ.

— კაი, რა, მართიკო, არ გრცხვენია?! გამატყავე კაცი, უთეთროდ დამტოვე და კიდევ ფულს მთხოვ?

— შენ ვინ გაგატყავებს, იქით გაატყავებ ყველას... — მაინც კმაყოფილი დარჩა მართა, ძმის ჩარევა რომ არ დასჭირდა.

ირაკლის კი უკვე აექავა კანი ჯიბეებთან, შანსი ჰქონდა ბიჭს „წატრიპაჩების“, ქვეყნის ფული ედო ჯიბეში... მოვალეების მეტი რა ჰყავდა, მაგრამ როცა უფულოდ რჩებოდა, ისინი მხოლოდ მაშინ თუ ახსენდებოდა... ახლა კი მისი იყო ცაც და დედამიწაც... არც ანის შეგონება გახსენებია — აბა, შენ იცი, ეგ მიაფლანგე და ერთი მაგდენიც ვალად დაიდეო, რომ უთხრა.

ამოიღო მობილური და მაკასთან სტუდიაში გაუშვა ზარი.

— მაკა, ირაკლი ვარ! რაო შენმა მწერალმა?

— უარი არ უთქვამს, — მოახსენა მაკამ.

— დაურეკე და უთხარი, თუ ხუთ დღეში მოიტან, 50 დოლარსაც გიმატებთქო. რამდენსაც შეძლებ, თუნდაც თხუთმეტი-ოცი გვერდი იყოს-თქო.

— ვეტყვი! — დაჰპირდა მაკა.

ირაკლიმ მობილური გამორთო.

— ესეც ასე! — ჩაილაპარაკა და მობილურზე ბაიას ნომერი აკრიბა.

— ბაა, რას აკეთებ? სადა ხაარ? — „გატყლარჭა“ სიტყვები ირაკლიმ, რაღაც „წასვეტების“ პონტში.

— რას უნდა ვაკეთებდე, სახლში ვარ, ტახტზე წამოგორებული და ჭერზე ბუზებს ვითვლი!

— მერეე, „პრასვეტი“ არ არის არსაიდაან? — ისევ ისე გააგრძელა ირაკლიმ.

— რა „პრასვეტი“ უნდა იყოს ამ დამპალ ქვეყანაში?! „პრასვეტი“ კი არა, ისეთი წყვდიადია გარშემო, თვალთან თითს ვერ მიიტან...

— და გოგოებიი, სადა გყვანან, როო?.. — აგრძელებდა თამაშს ირაკლი.

— დეას გრიპი სჭირს, „ოცდაცხრამეტებით“, სად გაცივდა, არ იცის. თათიკოს „დამაშნი არესტი“ აქვს, მურაზს ჰყავს დამწყვდეული... და შენ ვინ გინდა?

— შენ, ჩემო სიცოცხლევ, შენ და სხვა არავინ! — უპასუხა ირაკლიმ სიცილით.

— შენ რა, ფული იშოვე? რაღაც კარგ ხასიათზე ჩანხარ... — მიუხვდა ბაია.

— ჰო, — გამოუტყდა ირაკლი, — გინდა, მოვხიოთ სადმე, სამდღიან „პაუზდკაში“, მე და შენ, მარტო? სანამ ჩამოვალთ, მანამდე აქ რაღაც-რაღაცები დალაგდება, ჰა?

— ოჰ, კარგი, რა, შენც რიო-დე-ჟანეიროში არ წამიყვანო ერთბაშად!.. ერთი „ხლამია“ ყველგან... — ჩაიბურტყუნა ყურმილში ბაიამ.

— რიო-დე-ჟანეირო... — ირაკლიმ პატარა პაუზა გააკეთა. — მგონი, კარნავალი აქვთ, არა?

— მაგათ სულ კარნავალი აქვთ, რა ვიცი... — უპასუხა ბაიამ.

— რატომაც არა?! „მოსულა“!.. პასპორტი წესრიგში გაქვს?

— არ გამაგიჟო! — გაისმა ყურმილში ბაიას კივილი. — მართლა? არ მომატყუო, არ დამშოკო!

— მართლა, მართლა. წამოიღე შენი პასპორტი და მოდი ჩემთან, „ევრო-თრეველში“.

— მოვფრინავ! — წამოიკივლა ბაიამ და ტელეფონი გათიშა. ირაკლი კი მართას მიუბრუნდა:

— მართა, ნახე, რა, ერთკვირიანი რიო-დე-ჟანეირო, სამვარსკვლავიანი სასტუმროთი... ოთხიანიც ნახე, ორ კაცზე რა ჯდება...

— რა იშოვე ამისთანა? — თითქოს ეწყინაო მართას. — აკი, ვალები მაქვსო?!

— ვალები მოიცდის... მაინც ჩემი გადასახდელია... — ხელები გაშალა ირაკლიმ.

„არავინ მაპატიებს, თუ მართლაც ამათი მოკლულია, ვინ მაპატიებს?“ — თითქოს საფეთქლებში ჩაქუჩებს სცემდნენ, ისე ნერვიულობდა მურაზ ლეშკაშელი. პირისპირ სამი ხელქვეითი ანუ სამი მკვლელი ეჯდა და სიგიჟეს არაფერი უკლდა.

— გეფიცები, ჩემს ორ შვილს და ცოლს!.. — უმტკიცებდა ზვიად მოლაშვილი. — წავუთაქეთ-მეთქი, ვერ ვიტყვი, ვცემეთ, კი, თან მაგრადაც... ორივეს, მაგრამ ორივენი გავუშვით...

— ჰო, პანტიანთან... და სახინკლე როა, „ცხრამეტი ნაოჭი“, იქ შევედით... — წაეშველა ზვიადს მარლენ ბარათაშვილი.



— მეორე, მეორე ვინ იყო? თქვენ რა, სხვაც გყავდათ წაყვანილი? — მაგრად გაუკვირდა ეს ახალი ამბავი ლეშკაშელს.

— აბა, იმან დაგვახურა, იმ მეორემ, მკვდარი და ცოცხალი არ დაგვიტოვა არც ერთს...

— ქალაქში ვერ ჩამოყარეთ?! პანტიანში რას მიათრევდით? — თითქოს მიზეზს ეძებსო, არ ეშვებოდა მურაზი.

— დაგვიჯერებ, რომ?.. — ზვიადს უნდოდა, როგორმე დაეწყნარებინა მურაზი.

— ჰო, ჰო... — თავი დაუკანტურა სვანამ.

— ჩავსვით თუ არა მანქანაში, ბიჭებო-მეთქი, — განაგრძო ზვიადმა, — რად გვინდა ეს შუღლი და გადაკიდება? შევრიგდეთ, თითო ჭიქა მივუჭახუნოთ და არ ჯობს, მეგობრებად დავცილდეთ-მეთქი?!. კაი ბიჭები იყვნენ, რომ შეხედავდი, ვერ იტყოდი, რა!

— ჰო, ჰო... — წაეშველა მეგობარს მარლენი.

— ვისთან უნდა ავწიო ჭიქა, თქვენი ძაღლი დედაო!.. თქვენთან ღვინოს დავლევ?!. თქვენი დედის რძეო, ნაცხიო... მოკლეედ!.. — აღარ გააგრძელა ზვიადმა.

— კაი, რომელმა ახსენეთ ჩემი შვილი კახასთან?

გუტა გელაშვილის მკვლელობას გამომძიებელი კახა ლაფერაძე იძიებდა, მას ყველანი კარგად იცნობდნენ, უფრო მეტიც, ის მარლენ ბარათაშვილის თანაკურსელიც იყო.

— მე... — როგორც იქნა, ამოღერღა სვანამ და ფერიფურმა გადაუარა.

— ამიტომაც ზიხარ, არა, მუნჯივით?! — რატომღაც ხელი აუკანკალდა მურაზს. სვანას ეგონა, სილა უნდა მტკიცოსო და მექანიკურად სახე უკან გასწია. მაინც მოხვდა, სილა კი არა — ხელუკუღმა მოქნეული, თან ისე მაგრად, რომ „გემოზე“ შეაჭანჭყარა.

— მაშინ ადგები და მიწიდან ამომითხრი იმ მეორეს, ცოცხალი რომელიც გადარჩა! — და მურაზი სხვებსაც მიუბრუნდა: — ეს თქვენც გეხებათ, ორივეს! დღესვე, სანამ დაგიჭერდნენ!.. იპოვით? ვეცდები, გადაგარჩინოთ! ვერ იპოვით და ჩემს შვილს კი არა, საკუთარ თავს დააბრალეთ!.. თავისუფლები ხართ. კიდევ, მაგ ზღაპრების მოყოლას, რამე ისეთი მოიგონეთ, რომ სხვებმაც დაგიჯერონ! — დაადევნა კართან მისულებს მურაზმა.

ერთკვირიანი ბრაზილია ორ კაცზე, 4.500 დოლარამდე ჯდებოდა. ეს მართამ ინტერნეტით მანამდე გაარკვია, სანამ ბაია პასპორტს მიუტანდა. ირაკლის თანხა ეცოტავა და მაგრად გაუსწორდა. მერე მართას იმ სააგენტოს მისამართი და ტელეფონები ამოაბეჭდვინა და საყვარელს ქუჩაში დახვდა.

რა თქმა უნდა, ბაიას ბოლომდე არ სჯეროდა დაპირების და ამიტომ სულელივით ეღიმებოდა, როცა ირაკლის მანქანაში უჯდებოდა. მაგრამ მერე, როცა ირაკლიმ სააგენტოში მიიყვანა, რომელსაც უცნაური სახელი — „შენ და პლუს დელ მონდო“ ერქვა, იქ საპასპორტო მონაცემები ჩააწერინა და 4.500 დოლარიც დაუტოვა, — მერე კი დაიჯერა.

ასეთი უეცარი სიურპრიზის აღნიშვნა აუცილებელი იყო და ისინიც სანაპიროზე, ფრიად რომანტიკული სახელწოდების მქონე რესტორანში — „ედელვაისში“ შებრძანდნენ.

— ვაიმეე! — დარბაზში შევიდნენ თუ არა, იკივლა ბაიამ და მათ მარცხნივ მდებარე მაგიდას მიეჭრა. — თამთა არა ხარ, შენ?

თამთას, რომელიც ჩაცმულობით კლასიკურ სტილში იყო „გადაწყვეტილი“ ანუ კლასიკური კოსტიუმი ეცვა და თმაც ლამაზად, კეფაზე ჰქონდა დახვეული, ისეთი ქალის დანახვა, როგორიც ბაია იყო, ნამდვილად გაუკვირდა. როგორც ჩანს, უცებ ვერც იცნო. ბაიას მუხლს ქვემოთ გადაჭრილი, დაბალწელიანი ჯინსის შარვალი ეცვა, რომელზეც სქელი, განიერბალთიანი, ჯაჭვებითა და ზიზილ-პიპილოებით გაძეძგილი ტყავის ქამარი ეკეთა. შარვალს, რა თქმა უნდა, უბეც მოკლე ჰქონდა და ქალს თუ წინიდან ჭიპი და მზეზე დახრუკული მუცელი მოუჩანდა, უკან, ლამის უკანალის ხაზი გამოსჩენოდა... თამთას კი ევროპული იერი დასდებოდა და სახით მადონას წააგავდა. მოკლედ, ამ ორ ქალს შორის იმხელა კონტრასტი იყო, წესით, მათ ერთმანეთი არც უნდა სცნობოდათ, მაგრამ რადგან ეს ყველაფერი პოსტსაბჭოთა საქართველოში ხდებოდა, სადაც არაფერია გასაკვირი, ისინი, რა თქმა უნდა, ერთმანეთს ძალზე კარგად იცნობდნენ, რადგანაც ერთ დროს ერთ კლასში სწავლობდნენ და ერთ მერხზეც კი ისხდნენ.

— ბაია?! — მაგრად გაუკვირდა თამთას და სახე შეეფაკლა. — ძლივს გიცანი! ძალიან შეცვლილხარ!

— შენც, სხვათა შორის, შეცვლილი კი ხარ, მაგრამ ისევ ისეთი ნაზი ხარ, როგორიც იყავი.

— ჰო, რა ვიცი... — ჩაილაპარაკა თამთამ, რომელმაც ამ უეცარი „თავდასხმის“ გამო, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო — უნდა გაეცნო თუ არა თავისი საქმრო, რომელიც მასავით ახალჩამოსული იყო გერმანიიდან და მის მეგობარს ანუ უცნაურ არსებას, რომელიც მარსიდან ჩამოფრენილ უცხოპლანეტელს უფრო ჰგავდა, ცოტა არ იყოს, შეცბუნებული უმზერდა.

მომავალი ნეფე-პატარძალი ისევ ბაიამ გამოიყვანა მდგომარეობიდან:

— შენს ბოიფრენდს არ გამაცნობ? — კეკლუცად შეხედა ფეხზე მდგომ დაბნეულ თანაკლასელს და ვაჟს ხელი გაუწოდა.

— კი, კი, გაიცანი! — თქვა თამთამ და ირაკლის შეხედა.

— ვაჟა, — ფეხზე წამომდგარმა თამთას კავალერმა ბაიას ხელი გაუწოდა.

— ეს კი ჩემი ბოიფრენდია, — ისე ხმამაღლა წარუდგინა ბაიამ ირაკლი თანაკლასელს, რომ მთელმა დარბაზმა მათკენ მიიხედა.

ირაკლიმ ქალ-ვაჟს ხელი ჩამოართვა.

— დავსხდებით, რა, თქვენთან! — სთხოვა ბაიამ მოურიდებლად ვაჟას. მასაც რა უნდა ექნა?! იძულებული იყო, დაუპატიჟებელი სტუმრები სუფრასთან მიეწვია.

ბაიამ სწრაფად გამოუწია სკამი ირაკლის და თვითონ მეორე სკამზე ჩამოჯდა.

— იცით?.. — ჯერ არ გასწორებულიყო ხეირიანად სკამზე, რომ იმწამსვე ჩაირთო ბაია. — ჩვენ ორ კვირაში რიოში მივფრინავთ, საგზურების ფული უკვე გადახდილი გვაქვს.

— მართლა?! — გულწრფელად გაუკვირდა თამთას და ირაკლის შეხედა, თითქოს უნდოდა ეთქვა — თქვენგან ამას ნამდვილად არ მოველოდიო.

— მართლა, მართლა! იცი, მინდა „ჩავტატუირდე“, გავშიშვლდე და სხვებთან ერთად ვიცეკვო ქუჩაში. იქ ხომ ყველას აქვს ამის უფლება?!

— ალბათ, კი... — ჩაიბურტყუნა ვაჟამ, რადგან ბაია პასუხისთვის სწორედ მას შესცქეროდა თვალებში. ბაია კი ისევ ირაკლის მიუბრუნდა.

— როგორ მოგწონს თამთა? — ჰკითხა და თამთას შეხედა. — როგორი სიფრიფანა და ნაზია, არა? სული რომ შეუბე-

რო, — და ბაიამ თამთას ნაზად შეუბერა, რაზედაც ის წელში გასწორდა და ოდნავ გაეღიმა, — შეიძლება ალვასავით გადაიხაროს... რა საყვარელია, არა?!

— კი, ძალიან, — გათამამდა ირაკლიც. ოთხივეს გაეცინა და მთელი დაძაბულობაც მოიხსნა. ბაია კი თამთას კავალერს მიუბრუნდა:

— თქვენც გერმანიაში სწავლობთ?

— არა, მე ვმუშაობ... — უპასუხა ვაჟამ.

— სად? თუ საიდუმლო არ არის... — არ მოეშვა ბაია.

— ახლა კოსოვოში ვარ, გაეროს ხაზით...

— ვაიმეე! — საოცრად გაუკვირდა ბაიას. — მართლა?!

ალბათ თამთამ იფიქრა, მეც უნდა ჩავერიო საუბარშიო და ბაიას შეეკითხა:

— შენ? შენ რას აკეთებ?

— მე? მე ბევრად დიდი მისია მაკისრია, ვიდრე შენს ელეგანტურ კავალერს, — მრავალმნიშვნელოვნად გააქნია ბაიამ თავი.

— მაინც? — ყოველი შემთხვევისთვის იკითხა თამთამ და ისეთი პასუხი მიიღო, როგორსაც არაფრით მოელოდა:

— ბიჭების დავაჟკაცებაში შემაქვს ჩემი წვლილი.

— შვილების? — გააგრძელა დაკითხვა თამთამ მორცხვად.

— შვილებისო?!. — თვალები შუბლზე აუვიდა ბაიას. — რას ამბობ, ღმერთმა დამიფაროს! სექსი ვიგულისხმე. იცი, რა საჭიროა დღეს?!.

ამაზე ვაჟას გულიანად გაეცინა.

— კარგი, კარგი, გასაგებია ყველაფერი... — ჩაილაპარაკა მან და სიგარეტს მოუკიდა.

— არა, რატომ? მართლა, მართლა, იცით, რა ხდება თბილისში? — აგრძელებდა ბაია. — როგორ აგიხსნათ, როგორც დაავადება, რა, როგორც ჭირი, ისეა მოდებული ყველანაირი სექსი — სხვათა შორის, გაუკუღმართებულიც, და ხმას არავინ იღებს. არა ვარ მართალი? — მიუბრუნდა ის ირაკლის.

— კი, მაგრამ ასეთ სუფრაზე ეგ რა მოსატანია?!. — ირაკლი ბაიას გაჩუმებას შეეცადა.

— კი, ბატონო, გავჩუმდები და მალე კაცის სახსენებელი საერთოდ გაქრება ამ ქალაქში... — ეწყინა ბაიას.

— გასაგებია, ბაია, მაგრამ კაცი კოსოვოდან ჩამოსულა, არ ჯობს, ვკითხოთ, რა ხდება მსოფლიოში?

— ეგ მე მკითხეთ, — ისევ აღელდა ბაია, — ხდება ის, რაც ყოველთვის ხდებოდა, გრძელდება მრავალსაუკუნოვანი ომი ქრისტიანებსა და მუსლიმანებს შორის და სანამ ერთიმეორეს არ გაუუჟავენ, არც გაჩერდებიან, ასე არ არის? — მიაჩერდა ის ვაჟას, რომელმაც არ იცოდა, რა და როგორ ეპასუხა და ისევ დანებება არჩია:

— ალბათ...

— ალბათ კი არა, ასეა! — დაუსვა თავის ნათქვამს ბეჭედი ბაიამ.

...მოკლედ, ხდებოდა ის, რაც ასეთ სუფრაზე ხდება ხოლმე, ყველაზე მეტს ის ჭიკჭიკებდა, ვინც ნაკლებად განათლებული და ალბათ ნაკლებად კულტურულიც იყო. ოფიციანტს, რომელიც მათ სუფრას მიუახლოვდა, მენიუ, რა თქმა უნდა, ბაიამ ჩამოართვა და კერძებიც ოთხივესთვის მანვე შეუკვეთა, თანაც — ყველაფერი ბლომად, რადგან იცოდა, ირაკლი არც ფულს გადაახდევინებდა ვინმეს და არც იწუწურაქებდა.

— ბაია, არ უნდა გეკითხა? იქნებ ამ ხალხს მარტო ერჩივნა ყოფნა?

— არა, არა, პირიქით, — დაასწრო ვაჟამ თამთას, — ერთადერთი, ვინ უნდა ჭამოს და დალიოს, ამდენი რამ რომ შეუკვეთეთ?

— თქვენ მშვიდად იყავით, — მაშინვე გააჩუმა ვაჟა ბაიამ, — ევროპაშიც გეყოფათ ბუტერბროდების ჭამა. ახლა კი გემოზეც უნდა გამოვძღეთ და მამაპაპურადაც შევუბეროთ, თორემ ეს თქვენი „კნეინა“, ასეთი სიფრიფანა რომაა, შესაძლოა, ისე გაიცრიცოს, სანამ სუფრიდან ავდგებით, გაქრეს კიდეც...

— მე ისეთ დიეტას ვიცავ, არ გავსუქდემეთქი და... — გაეცინა თამთას.

— დიეტა — ევროპაში!.. საქართველოში ჭამის კულტი გვაქვს და კბილებით უნდა შევინარჩუნოთ! — გამოაცხადა ბაიამ.

— კბილებით კი, მართლაც კბილებით! — გაიცინა ვაჟამ.

ოფიციანტმა მათ მაგიდასთან ურიკა მოაგორა. ხაჭაპურთან და სასმელთან ერთად, სალათები და მწნილეულიც ჩადგა სუფრაზე. ამ დროს რესტორანში მუსიკოსები შემოვიდნენ, პატარა სცენაზე ავიდნენ და ინსტრუმენტების შემოწმებას შეუდგნენ, რის გამოც დარბაზს ურიტმო მუსიკის ხმაური მოედო.

ირაკლიმ მოწყურებულივით, ბოლომდე შეავსო ჭიქები.

— მე — არა, მე ნუ შემივსებთ, მაინც ვერ დავლევ... — იუარა თამთამ.

— დალევ! — უბრძანა ბაიამ. — თორემ, რომ გიყურებ, მეშინია, ატროფია არ დაგემართოს. სასმელში რომ ორგანიზმისთვის აუცილებელი კალორიებია, იმდენი არაფერში არ არის. თან, თითქმის ათი წელი იქნება, ერთმანეთი არ გვინახავს!.. — ჭიქა ასწია და დაილოცა. — გაგვიმარჯოს, კარგად ვიყოთ და ერთმანეთისთვის თვალი არასოდეს აგვერიდებინოს!.. რა ჭკვიანი მამა მყავდა და იცით, რისი თქმა უყვარდა? ხელი ისეთ ადამიანს უფრო უნდა ჩამოართვა, რომელიც შენზე ნაკლებია ან დაბალი წრის წარმომადგენელი, რადგან შენი ხელის ჩამორთმევა მინისტრისთვის ან სხვა თანამდებობის პირისთვის არაფერია, აი, პატარა ადამიანს კი, უხარიაო. ხომ ასეა?

— ჭკვიანურია... — დაეთანხმა ვაჟა.

— ჰოდა, დავცალოთ და სანამ მუსიკა გაჩუმდება, მინდა, თქვენთან ერთად ვიცეკვო, ხომ შეიძლება? — მიიტანა იერიში ვაჟაზე ბაიამ.

— სიამოვნებით! — უპასუხა ვაჟამ, გამოცალა და წამოდგა.

— შენ კი თამთა გაიწვიე! — უბრძანა ბაიამ ირაკლის. — ოღონდ ხელი ფრთხილად მოჰკიდე, თორემ შესაძლოა, მიხაკის ყუნწივით წელში გადაგიწყდეს...

ის, რომ ჩვენს რესტორნებში მუსიკა ყურთასმენის წაღებამდე ღრიალებს, ყველას მოგეხსენებათ. იმდენად ყურის წაღებამდეც კი, რომ ხშირად ხეირიანად თანასუფრელსაც ვერ დაელაპარაკები. არ ვიცი, რა, რომელი და როგორი კულტურის მანიშნებელია ეს, მაგრამ ამჯერადაც ასე იყო და ჩვენი ახალდაწყვილებული მოცეკვავეებიც, ერთმანეთისთვის ხმა რომ გაეგონებინათ, იძულებულნი იყვნენ, ტუჩები ერთიმეორის ყურებთან მიეტანათ. ბაიაც სწორედ ასე მოიქცა და ვაჟას ჩასჩურჩულა:

— არ გაქვთ სურვილი, თქვენს „დამაჩკას“ უღალატოთ?

— არა, — უპასუხა ღიმილით ვაჟმა.

— არასოდეს?.. — შეეკითხა ბაია.

— არასოდეს, — უპასუხა ვაჟმა.

— მე კი ისე მომეწონეთ, ასი ქმარიც რომ მყავდეს, ყველას დაუფიქრებლად ვუღალატებდი.

— ჩემ გამო? — გაიცინა ვაჟმა.

— არა, თამთას გამო...

— არ გიყვართ? — ეჭვით შეხედა ვაჟამ.

— არა, ეგ რა შუაშია? კარგი გოგოა, მაგრამ მაინც ქალია და ალბათ, მაგიტომ... ხომ ასეა?

— არ ვიცი, ქალი რომ ვიყო, იქნებ მივმხვდარიყავი რამეს, მაგრამ კაცი ვარ და არ მესმის... — გაიღიმა ვაჟამ.

ბაია არ ერიდებოდა — ცდილობდა, აჰკვროდა მამაკაცს და არც მომენტს უშვებდა, რომ გახახუნებოდა.

— კარგი, თორემ ცოდოა თამთა... იეჭვიანებს... — სთხოვა ვაჟამ.

— ძალიან გიყვართ?.. — შეეკითხა ბაია.

— არ არის საყვარელი? დილა-საღამოს სანთლებს ვანთებ და ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ შემახვედრა...

— საინტერესოა, თაფლობის თვის მერეც ასე იტყვით? არ გიცხოვრიათ ჯერ ერთმანეთთან?

— არა და ჯვრისწერამდე არც ვაპირებთ... — სერიოზულად უპასუხა ვაჟამ.

— ქალიშვილი რომ არ აღმოჩნდეს? — თვალები მოწკურა ბაიამ.

— გამორიცხულია, — არ მოეწონა ვაჟას.

— დავუშვათ! მაშინ?..

— არ ვიცი, ალბათ, მოვკვდები... არა, არა, მაშინ წინასწარ მეტყოდა.

— წყნარ ტბაში ეშმაკები ბუდობენო — როგორც რუსები იტყვიან... არ გაგიგონიათ?

— არა, პირველად მესმის. რამე იცით

თამთაზე?

— აი, ხომ დაგაეჭვეთ, მაინც?!. არა, რა სისულელეა! ერთი წუთითაც არც გაივლოთ თავში. უბრალოდ, ჩემი აზრით, ყველა ქალშია პატარა გველის წლოკი, თავისი ნესტრით. ასე არ არის?

— კი, ბევრში პითონიცაა და ანაკონდაც...

— ჩემში, არა? — გადაიხარხარა ბაიამ.

ამ დროს ირაკლი და თამთა სულ სხვა თემაზე საუბრობდნენ.

— წარმოდგენა არ მაქვს, როგორ ძლებთ იმ უცხოეთში ასე დიდხანს, — უთხრა ირაკლიმ, რომელიც მართლაც ფრთხილობდა, ქალი რომ არ „გადაეტეხა“. — რომელიღაც მომღერალს თუ მსახიობს მაგონებთ, მაგრამ ვერ ვიხსენებ, რომელს.

— მადონას ვგავარ ფერით, მოლურჯო ფერი დამკრავს მეც... — თქვა თამთამ.

— ჰო, ჰო, მართლაც... — გამოცოცხლდა ირაკლი. — გიცქერთ და ასე მგონია, რომ გამჭვირვალე ხართ. გეფიცებით, სულ სხვანაირი სილამაზე გაქვთ, აბსოლუტურად უცხო, არ ვიცი, რა დავარქვა, ფერადი ბროლის სილამაზე?..

— არ გეჩვენებათ, რომ თქვენი თანამგზავრი და მისი კავალერი მეტისმეტად მიტმასნილები ცეკვავენ?.. — შეეკითხა თამთა და თვალებით ანიშნა, ირაკლის მეორე წყვილისკენ გაეხედა.

— არა უშავს, ნუ მიაქცევთ ყურადღებას, ცუდს ვერაფერს უზამს, ის ხომ... როგორ თქვა?.. ბიჭების დავაჟკაცებაში შემაქვსო წვლილი, ხომ?

— იცით, სკოლაში მუშტებით სცემდა ბიჭებს. მართლა, მართლა...

— ნუ გეშინიათ, ვაჟას ეგ არ ელის: არა მგონია, ცემას უპირებდეს, ეგ მე უფრო მელის, ალბათ... — და ირაკლიმ ხმამაღლა გადაიხარხარა.

— ჩუმად, როგორ შეიძლება?.. — აილეწა თამთა.

— ბოდიში, სულ დამავიწყდა, რომ თქვენ ევროპიდან ახალი დაბრუნებული ხართ... — მოუბოდიშა ირაკლიმ.

მუსიკა დამთავრდა. წყვილები სუფრასთან დაბრუნდნენ.

— რაზე იცინოდით ასე გულიანად? — შეეკითხა თამთა ვაჟას და ბაიას, როგორც კი სუფრას მიუსხდნენ.

— არაფერი, ისე... — ჩაილაპარაკა ვაჟამ.

— შენ რა, იეჭვიანე, ჩემო კარგო? — დაუტკბა ბაია თამთას. — სად მე და სად — შენ?! გგონია, მაგდენი არ მესმის?

— არა, მეც მინდოდა გამეცინა და...

— იცით, რა? მეჩვენება, რომ ჩვენს სუფრაზე მაგარი მოწყენილობაა. თქვენ? — იკითხა ირაკლიმ.

— იმიტომ, რომ ამ სუფრასთან ორი სხვადასხვა კლასი დაეჯახა ერთმანეთს, — დაიწყო ბაიამ, — ჩვენ, „მდაბიობები“ და ესენი — „ახალი ქართველები“...

— თქვენ ხართ „მდაბიოები“?.. ვერასოდეს გავბედავ, ამდენი რამ შევუკვეთო ერთდროულად!.. — მხრები აიჩეჩა ვაჟამ.

— რატომ? შენც თუ გაყიდი სახლს და იმ ფულით რესტორანს ესტუმრები...

— რა? სახლი გაყიდეთ და რესტორანში ფლანგავთ იმ ფულს?! — გაიკვირვა თამთამ.

— ჰო, თავად ფანტიაშვილის შვილიშვილია, მაშ! — თქვა ბაიამ.

— იცით, რა? — დაიწყო ირაკლიმ. — ქართულ ოჯახში რომ იგრიალებ და თავდაყირა დადგები, ვერც ერთ რესტორანში ისეთ დროს ვერ გაატარებ! ამიტომ, წინადადება შემომაქვს, თითო განსხვავებული სასმისი დავაყუდოთ და სადმე მაგარ აზარტულ პონტში გავიჩითოთ. რას იტყვით, სამორინე — „მოიგე, ალალი იყოს!“ — „მოსულა“?

— და ეს ამდენი რამე ასე ხელუხლებლად დავტოვოთ? რამდენი შრომაა ამ ყველაფერში ჩაყრილი... — დაუნანა თამთას.

— კი, ბატონო, მიირთვით, ჩვენ დაგელოდებით. შეჭამთ? — შეეკითხა ირაკლი და გაიცინა. მერე კი ოფიციანტს ანიშნა და ისიც იმწამსვე მათთან გაჩნდა.

— გნებავთ რამე?

— ანგარიში. მივდივართ! — უთხრა ირაკლიმ და სუფრაზე ანიშნა.

— რატომ, გეწყინათ რამე? — გაუკვირდა ოფიციანტს.

— არა, პირიქით, გენიალური იყო ყველაფერი... — უპასუხა ირაკლიმ.

— ახლავე! — ოფიციანტმა თავისი ბლოკნოტი და კალამი მოიმარჯვა და თვლას შეუდგა.

— ბოდიში, ცოტა უხერხული შეკითხვაა, მაგრამ ძალიან მაინტერესებს — რაც სუფრაზე რჩება, რას უშვრებით? თანამშრომლებს მიგაქვთ? — შეეკითხა მაინც თამთა.

— როგორ გეკადრებათ?! ყველაფერი ნაგავში იყრება... აკრძალული გვაქვს — შინ ვინ რას გაგატანს?!.

თამთამ ვეღარაფერი უპასუხა. ირაკლიმ თანხა გადაიხადა და გარეთ გამოვიდნენ, სადაც ასიათასობით მათი მოშიმშილე თანამემამულე ცხოვრობს...

სამორინეში დილამდე დარჩნენ. არა, დილამდე სათამაშო მაგიდას მხოლოდ ირაკლიღა შემორჩა, დანარჩენებმა ვერ გაუძლეს და გაექცნენ. ბაიამაც კი მიატოვა უიღბლო მოთამაშე, რომელიც საკუთარი ოჯახის წარსულს ასე დაუფიქრებლად აგებდა.

დაღლილი და ჯიბეამოსუფთავებული ირაკლი დილასღა გამოვიდა სამორინედან. ახლა უკვე შეეძლო, თავისუფლად ესუნთქა და აღარაფერზე ეფიქრა, არც თავის მოვალეებზე, რომლებიც ყოველთვის ფეხებზე ეკიდა.

ირაკლის ერთი თეთრიც აღარ ჰქონდა იმ თანხიდან, რომელიც ანიმ მისცა. სამაგიეროდ, რიო-დე-ჟანეიროს ორი საგზური ედო ჯიბეში, ჩვენს „ახალგამომცხვარ ოსტაპ ბენდერს“: ერთი — თავის და ერთიც ბაიას — სახელზე...

შუადღისას ირაკლის მაკამ დაურეკა და მოახსენა — დევი მოსაშვილმა სცენარის ათი გვერდი მოიტანა და ხომ არ წაიკითხავდიო?

— მაშინ, იცი, რა? — „მოტვინა“ იმწამსვე ირაკლიმ. — დაურეკე ბავშვებს და ხუთისთვის სტუდიაში დაიბარე ყველა. უთხარი, სცენარის პირველ ნაწილს ვკითხულობთ, როლებიც განაწილდებათქო და მოვიდნენ. მეც ვიქნები აუცილებლად.

ხუთზე ყველანი შეიკრიბნენ. ირაკლის მელანოს ნახვა აინტერესებდა განსაკუთრებით. დიდი გეგმა ჰქონდა დასახული, უზარმაზარი...

მაკას ყველა სკამი ჰოლში გამოეტანა, სადაც კინოსცენარს კითხულობდნენ ხოლმე გადაღებების დაწყების წინ. ირაკლიმ თავი ისე დაიჭირა, ვითომ მელანო საერთოდ ვერც შეამჩნია. ამან მელანოს თავმოყვარეობაზე, რა თქმა უნდა, იმოქმედა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

„თინეიჯერულ ასაკში ძირითადად, მხიარულებასა და გართობაზე ფიქრობ. ახლა 21 წლის ვარ ანუ უკვე მოზარდი აღარ გახლავარ, მაგრამ მგონი, თინეიჯერი არც არასდროს ვყოფილვარ“, — მითხრა „მის ბიკინიმ“ ანუ თიკო ჩხეიძემ, რომელიც ვერც „შატალოზე“ სიარულით დაიტრაბახებს და ვერც — ფრიადოსნობით.

ფეხების სიღაძაგის ჩვენებები პიჭების ცემით „სახელგანთქმული“ „ქის ბიკინისგან“

ანუ „ძველი პიჭები“ აჩასდროს ეხიკლავდნენ“

ლიკა ქაჯაია

— რას ნიშნავს, თინეიჯერი არასდროს ვყოფილვარ?

— რაღაც სხვანაირი მოზარდი ვიყავი, ბავშვური სისულელები არ მიზიდავდა. მართალია, ხანდახან ვცელქობდი, სკოლიდან ვიპარებოდი, მაგრამ უფრო მეტად, დამჯერიც გახლდი და *(ფიქრობს)*...

— საკუთარ თავში ჩაკეტილიც?

— არა, რა სისულელეა, საკმაოდ „გახსნილი“ ვიყავი.

— და შესაბამისად, დამჯერ მოზარდს მშობლები არაფერს გიკრძალავდნენ, არა?

— ჰო, ასე გამოდიოდა. ისეთი რაღაცების გაკეთების სურვილი არ მიჩნდებოდა, რისი აკრძალვაც საჭირო გახდებოდა.

— ვთქვათ, გვიან ღამით მეგობრებთან ერთად სეირნობა ან დაქალის სახლში დარჩენა არასდროს განდომებია?

— არა, საღამოს ძირითადად, სახლში ვიყავი ხოლმე... ისე, მეგობრებთან ერთად ღამის გათევის სურვილი კი მქონდა და ასეთი შესაძლებლობა წელიწადში მხოლოდ ორჯერ მეძლეოდა — ახალ წელს და ჩემს დაბადების დღეზე. ამ დღეებში ჩემი დაქალები ჩემთან რჩებოდნენ ან ახალ წელს მე მივდიოდი იმ დაქალთან, რომელსაც ჩემები ენდობოდნენ და მასთან ერთად ვხვდებოდი ამ დღესასწაულს... ზაფხულობით მიჩნდებოდა სურვილი, არდადეგები მეგობრებთან ერთად, ზღვაზე ან აგარაკზე გამეტარებინა, მაგრამ ყოველთვის ისე ხდებოდა, რომ მშობლები მომყვებოდნენ.

— როგორ ფიქრობ, აუცილებელია თუ არა, რომ ამ ასაკში მშობლებმა შვილი აკონტროლონ?

— კი, მგონი, უნდა აკონტროლონ... რა ვიცი, ამით ჩემს მშობლებს ზიანი არავისთვის მიუყენებიათ, პირიქით, ბევრი რამ მასწავლეს.

— რას გულისხმობ?

— როცა თინეიჯერი ხარ, არ იცი, როგორ მოიქცე და შესაძლოა, ისეთი შეცდომა დაუშვა, რომელსაც მერე მთელი ცხოვრება ინანებ. მშობელს კი შეუძლია, თავისი შეგონებით კარგის და ცუდის გარჩევაში დაგეხმაროს.

— ჰო, მაგრამ იმასაც ამბობენ, რომ ადამიანი ყველაზე უკეთ თავის შეცდომებზე სწავლობსო...

— ესეც მართალია, მაგრამ... რა ვიცი *(იცინის)*, მგონი, იმით არაფერი დაშავდება, რომ მშობლების მიერ დაშვებულ შეცდომებზეც ვისწავლოთ რაღაც.

— სკოლაში როგორ მოსწავლედ მიგიჩნევდნენ?

— ძალიან ცელქი ვიყავი, კარგად არ ვსწავლობდი, მარტო ჰუმანიტარული საგნები მაინტერესებდა. მეხუთე კლასში ვიყავი, როცა კლასელ ბიჭებს ვცემდი. ისინი ჩემს ძმასთან მიდიოდნენ და მაბეზღებდნენ: თიკომ გვცემაო.

— რატომ სცემდი?

— როცა რომელიმე ჩემს კლასელ გოგოს ან ბიჭს გააბრაზებდნენ, იმას თავი დაჩაგრულად რომ არ ეგრძნო, ინიციატივას ვიჩენდი და „ცუდ“ ტიპებს საქმეს ვურჩევდი — იმის წყენინება როგორ გაბედეთ-მეთქი *(იცინის)*.

— ბიჭებს ახლაც სცემ?

— ახლა — აღარ, უფრო სწორად, ვეღარ ვცემ. მაშინ თინეიჯერი ვიყავი და თავში მიქროდა.

— შენგან ნაცემი ბიჭები მშობლებთან საჩივლელად არ მიდიოდნენ?

— არა, მათი ჩივილი მხოლოდ ჩემს ძმასთან მისვლით შემოიფარგლებოდა.

— მერე, შენი ძმა რას გეუბნებოდა?

— რა უნდა ეთქვა?! გაკვირვებული იდგა და უსმენდა მომჩივნებს.

— სკოლა ფრიადებზე დაამთავრე?

— არა, ოთხიანები და სამიანები მყავდა.

— ახლა გული არ გწყდება, ფრიადოსანი რომ არ იყავი?

— არა, გული ნამდვილად არ მწყდება. მართალია, კარგი იქნებოდა, ყველაფერი მესწავლა, მაგრამ მარტო იმ საგანს ვსწავლობდი, რომელიც მაინტერესებდა და იმაშიც ოთხიანებს მიწერდნენ.

— „შატალოზე“ არ დადიოდი?

— კლასელებს სულ გვინდოდა, „შატალო“ მოგვწყო, მაგრამ მხოლოდ ერთხელ მოვახერხეთ გაპარვა და მაშინაც უკან მოგვაბრუნეს.

— სად გინდოდათ წასვლა?

— სურვილი გვქონდა გვეხეტიალა, ქალაქი დაგვეთვალიერებინა... მოკლედ, არ გვინდოდა გაკვეთილზე დასწრება... კლასში გოგონები უფრო ჩამოყალიბებულები ვიყავით, ვიდრე ბიჭები. ისინი ტანმორჩილებიც იყვნენ და თან, ვერც ვერაფერს წყვეტდნენ.

— მეგობრები როგორ ერთობოდით?

— ძირითადად, ერთმანეთს ვხვდებოდით და ვსეირნობდით. გვიყვარდა ბუნების წიაღში ხეტიალი.

— თინეიჯერობის ასაკში როგორი ბიჭები მოგწონდა და მას მერე თუ შეგეცვალა გემოვნება?

— რა ვიცი, მგონი, არ შემცვლია. ყოველთვის მომწონდა სიმპათიური და კარგი მანერების მქონე ტიპები. „ძველი ბიჭები“ არასდროს მხიბლავდნენ.

— კარგ მანერაში რას გულისხმობ?

— სიარულის, ქცევის, ლაპარაკის და ა.შ. მანერას. სკოლის ასაკში ძალიან ბავშვური ვიყავი, სულ ვთამაშობდი, ბიჭებისკენ არც ვიყურებოდი. ჩემს კლასელ გოგონებს შეყვარებული რომ ჰყავდათ, წერილებს მე მაწერინებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ შეყვარებული არ ვიყავი, ეს საქმე მეადვილებოდა.

— თაყვანისმცემლებს შენ გამო არასდროს უჩხუბიათ?

— ძირითადად, რა ხდებოდა, იცი? თუ ქუჩაში ვინმე ამეკიდებოდა ან რაიმე ისეთს მეტყოდა, რაც არ მესიამოვნებოდა, ჩემი ძმის მეგობრებს ვეუბნებოდი და ისინი საქმეს ურჩევდნენ, სცემდნენ და იყო ერთი ამბავი. ახლა ასე აღარ ვიქცევი, რადგან მივხვდი, რომ ეს ცუდი საქციელი იყო: ჩემ გამო ის ბიჭები ცუდ სიტუაციაში ცვივდებოდნენ.

— შენ გამო ვინმეს რომ სცემდნენ, სიამაყით ივსებოდი?

— ჰო, აბა, რა. ამაყად ვამბობდი: ახლა ხომ იცით, ვინც ვარ-მეთქი.

— მათგან სურპრიზები თუ გახსოვს?

— კი, რამდენიც გინდა. ერთხელ (მაშინ მეათე კლასში ვიყავი), დასვენებაზე მეექვსეკლასელი ბიჭი შემოვიდა და მითხრა: ჩემი საცოლე ხარ, უნდა დაგნიშნოო. მერე თითზე ბეჭედი გამიკეთა... მჩუქნიდნენ ყვავილებს, სათამაშოებს...

— რა უნდა გააკეთოს მამაკაცმა, თავი რომ მოგაწონოს?

— გააჩნია, რას ვგრძნობ კონკრეტული მამაკაცის მიმართ, თორემ ვინმემ ჩემ გამო რაც არ უნდა დიდი სიგიჟე ჩაიდინოს, თავს ვერ მომაწონებს. მაგრამ ვიღაცის მიმართ სიმპათია თუ მაქვს, მისგან უმნიშვნელო საჩუქარიც კი გამიხარდება.

— თინეიჯერობის ასაკში ვისი ფანი იყავი?

— „ბექსტრიტ ბოისის“. ამ ჯგუფის პლაკატები მქონდა ყველგან გაკრული, სულ მათ სიმღერებს ვუსმენდი... ასევე ვაგროვებდი სხვადასხვა მსახიობისა და მოდელის ფოტოსურათებს.

— ხომ არ გაგჩენია სურვილი, რომელიმე მათგანისთვის მიგეგბაძა?

— არა, რადგან ყოველთვის მინდოდა, სხვებისგან გამორჩეული ვყოფილიყავი.

— ამას როგორ ახერხებდი?

— ვცდილობდი, რაღაც ისეთი ჩამეცვა,

რაც მასიური არ იყო. ერთხელ სკოლაში ბეწვისგან დამზადებული „ჩექმა“ ჩავიცვი, რომელიც მაშინ არავის ეცვა და მახსოვს, სკოლაში გაკვირვებულები მიყურებდნენ, ერთმანეთს ეკითხებოდნენ: ეს რა აცვიაო?

— რითი განსხვავდებიან შენი თაობის თინეიჯერები დღევანდელებისგან?

— მგონი, ყველაფრით. მე ვიყავი ნამდვილი ბავშვი ანუ სათამაშოებით ვერთობოდი. დღეს კი სკოლის მოსწავლეები ზრდასრულ ადამიანებს ჰგვანან, თოჯინებით აღარ თამაშობენ.

— მათი ჩაცმულობის სტილი თუ მოგწონს?

— რა ვიცი, მგონი, მომწონს. იმის წინააღმდეგი არ ვარ, რომ უცნაურად აცვიათ და საერთოდ, რაც უფრო განსხვავებულ რაღაცეებს ჩაიცვამენ, მით უკეთესია. მთავარია, უხდებოდეთ და სამოსი მათ ასაკს შეეფერებოდეს. ტანისამოსი ხაზს უნდა უსვამდეს იმას, რომ ის მოზარდი — ანუ ჯერ ჩამოუყალიბებელი ადამიანია.

— ამბობენ, რომ ისინი ერთნაირები არიან. ამას რამდენად ეთანხმები?

— მართალია, ბევრი ერთმანეთს ძალიან ემსგავსება სტილით, მაგრამ ვიცნობ ისეთ მოზარდებსაც, რომლებიც ცდილობენ, სხვებისგან რაიმეთი გამოირჩეოდნენ. კედებსა და ჯინსში ცუდს ვერაფერს ვხედავ, მაგრამ გოგოებმა ისიც უნდა გაითვალისწინონ, რომ ხანდახან, მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის ჩაცმაც საჭიროა.

— რისთვისაა საჭირო?

— კედების დიდხანს ჩაცმა ფეხს აფუჭებს, ღუნავს, ორგანიზმს შლის და მერე, ამის გამოსწორება ძალიან ძნელია.

— თინეიჯერობის ასაკში შენ გეცვა მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი?

— კი, მისი ჩაცმა მიწევდა, რადგან „ნატალიში“ 16 წლის ასაკიდანვე დავდიოდი. თან ვიცოდი, რომ ეს ჩემი ორგანიზმისთვის თუ ფეხის სისწორისთვის კარგი იყო.

ვინმემ ჩემ გამო რაც არ უნდა დიდი სიგიჟე ჩაიდინოს, თავს ვერ მომაწონებს

— თავიდან ქუსლიანი ფეხსაცმლით სიარული არ გაგიჭირდა?

— თავიდან ვარჯიშზე დამქონდა, ცოტა ხნით ვიცვამდი და აქეთ-იქით დავდიოდი... მერე იმდენად შევეჩვიე, რომ ახლა ათასში ერთხელ თუ ჩავიცვამ კედს, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ამას საჭიროება მოითხოვს (მაგრამ მაშინაც ჩანთაში მიწყვია ჩემი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი).

— საჭიროებაში რას გულისხმობ?

— ვთქვათ, ბაკურიანში მაღალქუსლიანით ხომ არ ვიბაკუნებ? — ეს მოუხერხებელი იქნება.

— რას ურჩევდი თინეიჯერებს?

— ვურჩევ, იყვნენ ინდივიდუალურები. სიგიჟეების ჩადენა კარგია, მაგრამ დაიმახსოვრონ, რომ ყველაფერში ზომიერების დაცვაა საჭირო, რადგან როცა გაიზრდებიან, სინანულის გრძნობა არ გაუჩნდეთ. მშობლების აზრიც უნდა გაითვალისწინონ.

— თუმცა, ზოგჯერ ყველაფრის გათვალისწინება შეუძლებელია. მაგალითად, ვიღაცას მოდელობა უნდა, მაგრამ არჩევანს უწუნებენ და მკაცრად ეუბნებიან, რომ ამაზე არც იოცნებოს...

— მოდელობაში ცუდს ვერაფერს ვხედავ.

— შესაძლოა, შენ ან შენი ოჯახის წევრები ამაში ცუდს მართლაც ვერაფერს ხედავთ, მაგრამ ალბათ, დამეთანხმები, რომ ბევრი ქართველი მშობელი ასე არ ფიქრობს...

— თავდაპირველად, ჩემი ოჯახის წევრებსაც არ უნდოდათ, მოდელი ვყოფილიყავი, მაგრამ მერე მიხვდნენ, რომ ამაში ცუდი არაფერია... სჯობს, შვილებს მოდელობა კი არა, სხვა რაღაც აუკრძალონ.

— როგორ მოახერხე მშობლების დარწმუნება იმაში, რომ მოდელობა ჩვეულებრივი პროფესიაა?

— მათ, ვისაც მოდელობა უნდა, მაგრამ მშობლები პოდიუმზე გასვლას უკრძალავენ, პირველ რიგში ვურჩევ, მოიქცნენ ისე და მიაღწიონ იმას, რომ მშობლების ნდობა დაიმსახურონ, დაარწმუნონ ისინი, რომ სადაც არ უნდა იყვნენ, ცუდს არაფერს ჩაიდენენ და პრობლემა აღარ შეექმნებათ... ჩემი ძმაც მეუბნებოდა: რა მოდელობა, რის მოდელობა, ხომ არ გადაირიეო?! მაგრამ ერთხელ აქ მოვიყვანე და როცა ნახა, საგანგაშო არაფერი ხდებოდა, მთხოვა: ჩემი შეყვარებულიც წაიყვანეო.

— ეი. „სარძლო“ და „სამულე“ ერთად გამოდიხართ პოდიუმზე?

— ახლა ის ჩემი ძმის შეყვარებული აღარ არის.

— შენ თუ გყავს შეყვარებული?

— არა, მას შეყვარებულს ვერ დავარქმევ...

— აბა, მეგობარი ბიჭი გყავს?

— არა, მთლად ასეც ვერ დავარქმევ.

— ნუ გადამრიე, აბა, რა ჰქვია, მომავალი შეყვარებული?

— ჰო, ასე ვთქვათ *(იცინის)*... დაბოლოს, ყველა თინეიჯერსა თუ არათინეიჯერს წარმატება და ბედნიერება მინდა ვუსურვო.

ხაბურძანიას ჯაკუზეში ვალიზიანებული თინეიჯერები

ანუ „მრცხვენია, შინაურად მოვაზრდილი ადამიანის შვილი ვცხოვრობ“

უცნობი, *17 წლის:*

„სულ 3 კითხვა მაქვს თათია ხაბურძანიასთან. პირველი: მაინტერესებს, რას გულისხმობს „ხინკლის მონობაში“? მეორე — რას ნიშნავს მაგარი ვოკალისტი და მესამე — როგორია მისთვის კარგი ხმა?“

— „ხინკლის მონობაში“ ხინკალს ვგულისხმობ, როგორც პირდაპირ მნიშვნელობით, ასევე — სიმბოლურად. პირდაპირ მნიშვნელობით, ხინკალი არის გასტრონომიული მოთხოვნილების დაკმაყოფილების ერთ-ერთი მსუყე საშუალება, რომელიც ქართველებს არათუ უყვართ, არამედ ამ კერძით ამაყობენ და უცხოელების მოხიბვლას პირველ რიგში, ამით ცდილობენ. თუ მეტყვით, რომ იტალიელებსაც ხომ აქვთ პიცაო?! — მე გიპასუხებთ: რა თქმა უნდა, ყველა ერს აქვს ტრადიციული კერძი, მაგრამ იტალიაში ჩასული უცხოელი აეროპორტიდან პირდაპირ პიცერიაში არ მიჰყავთ და პიცას წიხლით არ ტენიან პირში. მიჰყავთ წმინდა პავლეს, წმინდა პეტრეს ტაძარში, ათვალიერებინებენ ვატიკანს და ლეონარდო და ვინჩის, მიქელანჯელოს, ტიციანის, ბოტიჩელის და სხვათა შედევრებს... თუმცა თბილისი ხომ არც რომია და არც — ფლორენცია, ამიტომაც ჰერი-ჰერი „შემოიხედე, გენაცვალეში“. ისე, ამბობენ, რომ იქ საუკეთესო ხინკალია... :) მაგარი ვოკალისტი რას ნიშნავს, ძნელი სათქმელია. მაგალითად, მაგარია ფრედი მერკური (მისი ნამდვილი სახელია პარუს ბალსარა)... ადამიანის ხმა ბევრი კომპონენტისგან შედგება: რიტმიკა,

ტემბრი, დიაპაზონი, ტექნიკა და ა.შ. ეს რაციონალურად, ხოლო ირაციონალურად, კარგ მომღერალს საკუთარი ინდივიდუალურობა, ხმის „ხარაკტერი“ უნდა ჰქონდეს და სხვადასხვა ჟანრის სიმღერის სწორად შესრულება შეეძლოს.

ბურზუმ, *17 წლის:*

„შენ არც ხარ იმის ღირსი, რომ ქართველი გერქვას. ეტყობა, ღირებული და ხარისხიანი ვერაფერი შექმენი, თორემ საქართველოში ძალიან ბევრი აფასებს გოტიკას. სულ რომ არაფერი, შენი ტონისა და ქართველობისადმი დამოკიდებულების გამო, არ გაქვს შანსი, აქ ადგილი დაიმკვიდრო. თანაც, თავს ნუ იქებ, კანტი და ჰეგელი რომ გაქვს წაკითხული, ადამიანობას მიხედე“.

— **„ბარო“, ბურზუმ! შენს სახელს განვმარტავ. „ბურზუმი“ არის ნორვეგიული ჯგუფი (უფრო სწორად, ეს არის ერთი ადამიანის პროექტი). ეს ადამიანია ვარგ ვიკერნესი (გრაფი გრიშნაკი). ამ ნორდისტმა, სიცოცხლეს გამოასალმა თავისი სატანისტი კოლეგა, ჯგუფ „მეიჰემის“ წევრი, გადაწვა ათობით ეკლესია, რისთვისაც 20 წლით ციხეში ჩასვეს და გამოვა 2010 წელს. ციხეში მან დაწერა და გამოუშვა ორი წიგნი, სადაც მიწასთან აქვს გასწორებული ქრისტიანობა. მოკლედ, ბურზუმის მაგივრად, ხომ არ ჯობდა, ნიკად ტარიელი ან ავთანდილი აგერჩია?!. და კიდევ, თუ ასეთი პაგანმეტალისტი ხარ, ყვითელ პრესას ასე ინტენსიურად რატომ ეცნობი?!**

ნანი, *15 წლის:*

„იცით, რა მჭირს? ყველაფერი ადვილად მწყინს და მაღიზიანებს, არავის მოსმენის თავი არ მაქვს და მაგარი გამოშტერებული ვარ. არ ვიცი, ეს რისი ბრალია. გთხოვთ, დამეხმარეთ, რჩევა მჭირდება“.

— **ნანი, ის, რომ იმპულსური ხარ და გარე სამყაროს მიმართ პრეტენზიები გაქვს, ეს ალბათ, უფრო ასაკის ბრალია... გაგივლის. :)**

ელენე, *16 წლის:*

„თათია, შენ ქართველი ერის სირცხვილი ხარ. ჩვენ ვამყობთ ქართველობით, შენ კი ამის გრცხვენია. აქ ალბათ, შენი ადგილი ვერ იპოვე, არა? მართალია, საქართველოში შენი ადგილი ნამდვილად არ არის და ძალიან კარგია, ამას რომ მიხვდი და გერმანიაში მიდიხარ. შენ ალბათ, ქრისტიანიც არ ხარ, არა? საინტერესოა, ასე რამ გაგაბოროტა, რომ ქართველობას უარყოფ და შენს თავზე ამხელა წარმოდგენა გაქვს. და საერთოდაც, მე თუ მკითხავ, მშვენიერი ჟურნალისტები გვყავს და თუ განათლების მხრივ რაიმე შეფერხება აქვს საქართველოს, ეს შენნაირი პესიმისტების ბრალია“.

— **განათლებულო და მშვენიერო ჟურნალისტო! „ქრისტიან“ ბურზუმს გაესაუბრეთ რელიგიაზე... რაც შეეხება იმას, რომ ჩემს თავზე დიდი წარმოდგენა მაქვს, ეს ახლა გავიგე, თქვენგან. რადგან ამ კრიტერიუმით მაფასებთ, ესე იგი ფიქრობთ, რომ მაგარი ვარ და თავზე დიდი წარმოდგენა უნდა მქონდეს. ალბათ, მართალი ხართ.**

მაპა *(სენაკიდან), 16 წლის:*

„თათია, მგონი, შენ უფრო აწვები ევროპელობას, ვიდრე სხვები. ვერ გავიგე, „ხინკლის მონა“ საერთოდ, რა შუაშია? ეტყობა, ხალხის დამცირება სიამოვნებას განიჭებს... ევროპელო, შენმა ინტერვიუმ გამაღიზიანა. ლიკ, დამიბეჭდე, რა, არ „დაბლოკო“. მადლობა წინასწარ“.

— **მაპატიე, იბერიელო, თუკი გაგაღიზიანა ჩემმა ინტერვიუმ. მგონი, არ ვარ ავტორიტეტი და რატომ ღიზიანდები? დაიკიდე, რა... „ხინკლის მონობა“ რა შუაშია, თუ გაინტერესებს, მაშინ დაითვალე დედაქალაქში არსებული სახინკლეების რაოდენობა... ალბათ მკითხავ, მერე ამაში რა არის ცუდი? გიპასუხებ — არაფერი, შეგერგოს! ჭირიმე, შენი!.. ხალხის დამცირება კი ნამდვილად არ მსიამოვნებს, ასეთი „ბალნიო“ ნამდვილად არ ვარ.**

გიო, *20 წლის:*

„თათია, „ნუცას სკოლაში“ შენ „გბალეშჩიკობდი“, ახლა კი ამას ვნანობ. მიკვირს, ის საყვარელი გოგონა ასე რამ შეცვალა?.. გერმანიაში ნამყოფი თუ არ ხარ, რატომ ხარ დარწმუნებული, რომ იქ ხალიჩებს დაგიფენენ?..“

— **თაყვანისცემა მე არა, მაგრამ შენს სამშობლოს სჭირდება ახლა. დაუდექი კაცურად გვერდში! რაც შეეხება ხალიჩების დაფენას, მე ამას ნამდვილად არ ველი. ხალიჩა აზიური „ვეშია“, სადაც მე მივდივარ, იქ არა მგონია, „ჩითავდეს“. :)**

ელენე, *14 წლის:*

„ვაიმე, ეს ვინ გყავთ! თათია, ჩვენი ნაგავი ჩვენვე უნდა შევინახოთ ანუ რასაც შენ ლაპარაკობ, ეს ყველამ იცის, მაგრამ ჩუმადაა... შენს ჯგუფს მსმენელი თუ არ ჰყავს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მუსიკის არაფერი გაგვეგება და გაუნათლებლები ვართ. და კიდევ, „ბაბოჩკიან“ ბიჭებს თინეიჯერები ვერ იტანენ“.

— **14 წლის გოგჩო, მომისმინე. აი, ჩუმად რომ არის ყველა, ზუსტად ეგ არის უბედურება. დიდი ერები ჩუმად არ არიან, ასეთ საკითხებზე ღიად ლაპარაკობენ. ისე, მე უკეთესად ვიცი, ჯგუფს მსმენელი ჰყავს თუ არა. კი, ბატონო, საქართველოში არ ჰყავს, გეთანხმები. თუმცა სამყარო არ არის 700 კილომეტრი 200-ზე, ის „ცოტათი“ მეტია.**

ზაზუნა, *22 წლის:*

„ლიკა, ჩემო კარგო, მიკვირს ეს ადამიანი „თინეიჯერულ პონტებში“ რატომ გაჩითე. მგონი, ის ყურადღების ღირსიც კი არ იყო. მიბრძანდი, გენაცვალე, მაგ შენს გერმანიაში. არა მგონია, ამ ინტერვიუს მერე რომელიმე ქართველს შენი მუსიკის მოსმენის სურვილი კიდევ გაუჩნდეს“.

— **თქვენ ვერ გიგეგეთ, აქ ჩემი მუსიკის მოსმენის სურვილი რომ არ აქვთ, მე ეს არ მწყინს — ეს აბსოლუტურად კანონზომიერია. ხოლო „თინეიჯერულ პონტებში“ რატომ ვარ, ეგ მეც ვერ გავიგე (უცნაურია! პოპულარული რუბრიკაში მოწვევა, პატივი მგონია, ყოველ შემთხვევაში, ჩვენი რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა ასე მიიჩნევს. — ავტ.).**

პატარა, *17 წლის:*

„რატომ გვლანძღავ ყველას ერთად? რას გვერჩი? ან ჟურნალისტებმა როგორ უნდა ჩამომიყალიბონ გემოვნება, როცა მე ვთქვათ, რეპერი ძვალი მომწონს? თუ ეს ვიღაცისთვის უგემოვნებობად მიიჩნევა? შენი მუსიკა ააჟღერე და რა იცი, იქნებ შენც პოპულარული გახდე? მაგრამ შენ ეტყობა, არც მწვადის დაწვა გინდა და არც — შამფურის“.

— **პატარავ, რატომ მოგხვდა გულზე, თუკი შენ არ მიიჩნევ თაქს გაუნათლებლად? მაშინ რატომ არ მიაკუთვნე თავი იმ ერთეულებს, რომლებიც მე ასევე ვახსენე?.. რაც შეეხება გემოვნების ჩამოყალიბებას, მაგალითად, 90-იან წლებამდე, გერმანიაში საშინლად არაპოპულარული და განუვითარებელი იყო ტელევიზია. შემდეგ ტელევიზიაში მოვიდა ე.წ. „პრადვინუტი“ ჟურნალისტების მთელი პლეადა, მათ ამოქაჩეს ტელევიზია და ამით გაამრავალფეროვნეს გერმანელების საკმაოდ ჩაკეტილი მენტალიტეტი... რაც შეეხება იმას, რომ შენ ძვალი მოგწონს, ამაში უცნაური არაფერია. ზოგს 2PAC მოსწონს და ზოგს — ბეთჰოვენი.**

თათია, *14 წლის:*

„თათია, ძალიან მაინტერესებს, შენ გლობალურად აზროვნებ? ისე ლაპარაკობ, თითქოს ქართველი არ იყო. მგონი, ძალიან ცდები მაშინაც, როცა ამბობ, რომ დღევანდელი თაობა უწიგნურია“.

— **კი, მე გლობალურად ვაზროვნებ. შენ თუ ფიქრობ, რომ დღევანდელი თაობა და მათ შორის შენც წიგნიერი ხარ, ნუ... კი, ბატონო...**

ნუცა, *20 წლის:*

„ძალიან მაინტერესებს, საქართველოს სახელით რატომ არ გავა სცენაზე გერმანიაში? თუ ქართველ ხალხსა და მათ მუსიკალურ გემოვნებაზე ასეთი მოსაზრებისაა, მართლაც არ ღირს, რომ აქ იცხოვროს. წარმატებებს ვუსურვებ გერმანიაში“.

— **დიდი მადლობა! ხომ დადიან ქართველი მომღერლები უცხოეთში და ანგრევენ იქაურობას... ჩვენ კი ერთი პატარა, უნიჭო ჯგუფი ვართ და საქართველოს როგორ შეგირცხვენთ?!**

ფშაველი, *20 წლის:*

„იცი, რას გეტყვი? ხინკლის ჭამა და ქართული მუსიკის მოსმენა, სულაც არ ნიშნავს მონობას. ეს ჩვენი კულტურაა. შენ ეტყობა, ევროპელობა ძალიან გინდა, მაგრამ რას იზამ, გინდა თუ არა, მაინც ქართველი ხარ და სულით ყოველთვის ქართველად დარჩები. მრცხვენია, რომ შენნაირად მოაზროვნე ადამიანის გვერდით ვცხოვრობ“.

— **ნებისმიერ ქვეყანას აქვს თავისი კულტურა. შენი სიტყვებიდან გამომდინარე, ხინკალი და ქალაქური სიმღერა ყოფილა თქვენი კულტურა. ჰოდა, ამინ! მე არ ვამბობ, რომ ხინკალი, ქეიფი და ქალაქური ჰანგები ცუდია. ეს ყველაფერი გიყვარს, არა? ჰოდა, შენ გეხარე, სიყვარულში და ჩახუტებაში!!! მე კი შენთან ჩახუტება არ მინდა. ჩვენნაირი აზროვნების ადამიანებმა ერთად არ უნდა იცხოვრონ, მართალი ხარ!**

P.S. ძვირფასო მშობლებო! თუ გაგიჩნდათ სურვილი, ჩაერთოთ ამ რუბრიკაში და თქვენც გამოთქვათ აზრი თინეიჯერების შესახებ, ან ვერ უგებთ საკუთარ შვილებს, დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომერზე: 8.99.17.35.27. შენ კი, ძვირფასო თინეიჯერო, ისევ შეგიძლია მოგვწერო — ვის ნახვას ისურვებდი მომავალ ხუთშაბათს და რატომ? რა კითხვას დაუსვამდი შენს რჩეულს? ან სულაც, თუ გინდა, შენი გულისტკივილი და ის პრობლემები გაგვიზიარო, რომლებიც შენი თაობის ადამიანებს აწუხებთ ან უფროსებთან შეკამათება გსურს, დაგვიმესიჯე. მომავალ ნომერში ფსიქოლოგის რჩევას მიიღებთ. წარმატებებს გისურვებთ! ■

ერუდიტის საპასუხოდ

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგეხედოთ თვალი.

1. ერთხელ მხატვარმა ზევსკისმა დახატა ბიჭი, რომელსაც ხელში ყურძენი ეჭირა. ნახატი ისეთი რეალისტური გამოვიდა, რომ სურათს ჩიტები ეხვეოდნენ ყურძნის მარცვლების ასაკენკად. ამ ამბავმა ყველა აღაფრთოვანა გარდა მხატვრისა. რა განაცხადა მან?

2. ამ ღვინის ბოთლი 6 ატმოსფერულ წნევას უნდა უძლებდეს. რომელ ღვინოზეა ლაპარაკი?

3. მთის ბალახი მომიტანეთო, — ითხოვა სიკვდილის წინ ამ ქართველმა მგოსანმა. დაასახელეთ იგი.

4. იყო შემთხვევა, როცა ამერიკის ერთერთ ქალაქში შერიფის პოსტის ორმა პრეტენდენტმა თანაბარი რაოდენობის ხმა დააგროვა. საბოლოოდ, ვის და რა მოსაზრებით მიენიჭა ეს თანამდებობა?

5. „ჩემი განზრახვა, ჩამოვსულიყავი საქართველოში, ზეგარდმო მადლით იყო შთაგონებული. ეს ნაბიჯი ღმერთმა გადამადგმევინა და მხურვალედ ვწირავ მადლობას უფალს: მე ვგრძნობ, საქართველოში უკეთესი გავხდი“, — დაასახელეთ ამ სტრიქონების ავტორი რუსი მწერალი.

6. დაასახელეთ საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი, რომლის ბაბუა კათალიკოს-პატრიარქი დავით V გახლდათ.

7. რას ნიშნავს სიტყვა „ხათრიჯამი“?

8. ვინ ჩაიტანა ჩინეთიდან იტალიაში მაკარონის მომზადების რეცეპტი?

9. რობერტ ისტონი ლოს-ანჯელესელი ლოგოპედია. მისი დახმარების გარეშე ბევრი უცხოელი მსახიობი ვერ შეძლებდა წარმატების მიღწევას. კონკრეტულად, რაში ეხმარება ისტონი თავის პაციენტებს?

10. „ყამთა სიავემ სივრცე დანისლა, ქარიშხლის ცის ქვეშ ველთა შრიალში არის სამარე ოსიანისა, იმ ჩემს მშობლიურ შოტლანდიაში“, — წერდა ეს რუსი პოეტი, რომელიც წარმოშობით შოტლანდიელი გახლდათ. დაასახელეთ იგი.

11. რა არის დაქტილოლოგია?

12. როდის აღნიშნავენ ევროპაში ფაშიზმზე გამარჯვების დღეს?

13. პაბლო პიკასოს სახლში უამრავი მგალობელი ფრინველი ჰყავდა. სახელგანთქმულ მხატვარს ძალზე ეშინოდა სიკვდილის და როცა რომელიმე ჩიტი კვდებოდა, მისი მეუღლე მისგან მალულად, ზუსტად ისეთსავე ჩიტს ყიდულობდა. ერთხელაც მხატვრის მეუღლე შეესწრო საუბარს, როცა პიკასო თავის მეგობარს უამბობდა: „ჩემს ჩიტებს ერთი განსაკუთრებული თვისება გააჩნიათ...“ დაასრულეთ მხატვრის სიტყვები.

ანეკდოტები

***

გვიან ღამით ქეთო მეზობელს ეუბნება:



— ნუნუ, მათხოვე, რა, ცომის გასაბრტყელებელი.

— ვერ გათხოვებ, ჩემო კარგო, მე თვითონ ველოდები ქმარს.

***

მარო თებროსთან რეკავს და ეუბნება:

— გავიგე, შენი ქმარი ისევ წავიდა სახლიდან.

— ხომ იცი, რა თავქარიანია? ასე იბოდიალებს ჩათლახებში და ისევ უკან დაბრუნდება. მართლა, შენთან ხომ არ შემოუვლია?

***

ორი დაქალი ლაპარაკობს:

— სოფი, სად შეხვდი ახალ წელს?

— როგორც ყოველთვის, ლოგინში!

— ხალხი ბევრი იყო?

***

სამსახურიდან დაბრუნებულ ქმარს ცოლმა ტირილით შესჩივლა:

— ნამცხვარი გამოგიცხვე და სამზარეულოდან როგორც კი გამოვედი, ჩვენმა ძაღლმა შესანსლა.



— ნუ ტირი, ძვირფასო, — დაამშვიდა ქმარმა. — თუ ვერ გადარჩა, უკეთესი ჯიშის ძაღლს გიყიდი.

***

შექსპირმა გაიგო, რომ ცოლი ღალატობდა.

— მართალია, ეს ამბავი?! — ჰკითხა ცოლს.

— მართალია. ოღონდ, ღვთის გულისთვის, ამისგან ტრაგედიას ნუ შექმნი.

***

— ჩემი საქმრო გაგიჟდა და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეს.

— ახლა მაინც გამომყვები ცოლად?

— შენ ვერ გამიგე, მე კი არა, ჩემი საქმრო გაგიჟდა.

***

ქმარი შინ გვიან ბრუნდება და ცოლს ეუბნება, რომ მეგობართან იყო და შეაგვიანდა. ცოლი მაშინვე იმ მეგობარს ურეკავს და ეკითხება:

— ჩემი ქმარი შენთან იყო ამდენ ხანს?

— რას ჰქვია, იყო? შენი ქმარი ახლაც ჩემთანაა!

***

ორი მეგობარი ერთმანეთს ხვდება. ერთი ეკითხება მეორეს:

— ჩემს ცოლს ხომ იცნობ?

— როგორ არ ვიცნობ.

— რომ დაგითმო, რამდენს გადამიხდი?

— არც ერთ თეთრს.

— თანახმა ვარ, წაიყვანე.

***

ჭიჭიკიამ თავისი ბიჭი ექიმთან მიიყვანა.

— ექიმო, მიშველე, შვილი მეღუპება!

— რა სჭირს, ამისთანა?

— რა და, როცა ჩვენი მეზობელი ქეთოია აბაზანაში ბანაობს და მღერის, ჩემი ბიჭი ჭუჭრუტანას თვალის ნაცვლად, ყურს ადებს!

***

ქმარი ცოლს ეუბნება:

— სანამ ბავშვს სცემდი, ჩემთვის უნდა დაგეძახა.

— არა უშავს, შენი ჯერიც მოვა.

***

შვილი მამასთან მიდის და უცხადებს:
— მამა, ცოლი მომყავს!
— ვინ?
— ვალერა!
— კი მაგრამ, ვალერა ხომ ბიჭია! — ყვირის გაოგნებული მამა.
— რაღა ბიჭია, 30 წლის კაცია.

***

მაღაზიის გამყიდველი პატარა ბიჭს ეკითხება:
— ბიჭუნა, შენ დარწმუნებული ხარ, რომ დედამ ასი გრამი კარტოფილისა და სამი კილოგრამი კანფეტის ყიდვა დაგავალა?

***

კაცი მეგობარს შესჩივლებს:
— ცოლს უნდა გავეყარო.
— რას ერჩი, კარგი ქალია და სახლიც ყოველთვის წესრიგში აქვს.
— მაგას ვჩივი, ზუსტად, ღამე წყლის დასალევად რომ ვდგები, საწოლი ალაგებული მხვდება.

***

ოსი მივიდა მილიციაში, საჩივლელად:
— უფროსო, გამაჩერეს ქუჩაში, ქურქს მართმევდნენ, ხან ზევიდან მირტყეს, ხან — ქვემოდან...
— ნუ, პრინციპში, გირტყეს...
— პრინციპში კი არა, სულ ცხვირპირში მირტყეს.

***

მწვრთნელი თავისი გუნდის ფეხბურთელებს სთხოვს:
— ხვალ დაბადების დღე მაქვს. მოდით, გამიკეთეთ კარგი საჩუქარი და ხვალინდელი მატჩი მოიგეთ.
— ჩვენ გუშინ უკვე გიყიდეთ ჰალსტუხი!

***

ცოლი გაზეთს კითხულობს და ქმარს ეუბნება:
— წარმოგიდგენია, მეცნიერებს გამოუგონებიათ აპარატი, რომელიც სიცოცხლეს 150 წლამდე ახანგრძლივებს.
— ეჰ! აუცილებლად მივმართავდი მაგ მეცნიერებს, ცოლიანი რომ არ ვიყო.

***

— გაიგე, ჩვენი შალიკო სამსახურიდან გაუგდიათ.
— რატომ?
— სწორედ იმ დროს შეუსწრეს, როცა პაციენტთან სექსუალურ კავშირს ამყარებდა.
— ეჰ, ეგეთ კარგ ვეტერინარს სადღა იპოვის კაცი?!

***

სამი მეგრელი — ლაიავა, მაიავა და ხაიავა საფრანგეთში მიდიან. ლაიავამ თქვა:
— მე დავირქმევ ლუის.
მაიავამ თქვა:
— მე დავირქმევ მუის.
ხაიავამ თქვა:
— მე კი... მე საერთოდ აღარ მოვდივარ საფრანგეთში.

***

მიხო ვენახშია. მარო მობილურზე ურეკავს:
— სახლში ზაქარა შამამივარ-

და ან მამისწრებ, ან — არა!
— რომელი ზაქარა, შარშან ცოლი რომ გაექცა?
— ჰო, ჰო, ეგა...
— ნუ გეშინია, მარო, ეგ ვერაფერს დაგაკლებს.

***

— დამისახელეთ ყველაზე საუკეთესო პოზა ცოლთან.
— მისიონერული: ცოლი წევს ლოგინში, გულაღმა. ის მოდუნებულია, მშვიდი. შენ კი ამ დროს ჰავაის კუნძულებზე იმყოფები, რაიმე მისიით.

***

— ცოლის გამო ყველაფერს თავი დავანებე — სმასაც, სიგარეტსაც და კარტის თამაშსაც.
— გაგიბედნიერებია.
— გამიბედნიერებია არა, ტორ-ოლა! სულ ერთთავად ცხვირ-ჩამოშვებული დადის. როგორც კი რამის თქმას დააპირებს, მაშინვე ახსენდება, რომ სათქმელი არაფერი აქვს და ჩუმდება.

***

— გიტარის გაკვეთილებზე სიარულს რატომ დაანებე თავი?
— სამწუხაროდ, გიტარას ექვსი სიმი აქვს, მე კი — ხუთი თითი.
— აბა, შენი აზრით, როიალზე მარტო მუტანტები უკრავენ?!

ჭორაობის სამსახური

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. მხატვარმა თქვა: „ბიჭიც რომ ისე კარგად იყოს დახატული, როგორც ყურძენი, ჩიტები დაფრთხებოდნენ“.
2. შამპანურზე.
3. ვაჟა-ფშაველა.
4. ის კენჭისყრით, ე.წ. „არიოლი“ და „რეშკას“ პრინციპით გათამაშდა. პოსტი ერგო პრეტენდენტს, რომელმაც „არიოლი“ თქვა.
5. ლევ ტოლსტოი.
6. ნანა დევდარიანი.
7. იმედიან, არხეინ ადამიანს.
8. მარკო პოლომ.
9. უცხოური აქცენტის მოშორებაში.
10. მიხაილ ლერმონტოვი (ლერმონტი.)
11. ხელის ანბანი, ყრუ-მუნჯთა თითებით ლაპარაკის ხერხი.
12. 8 მაისს.
13. „...ისინი უკვდავნი არიან“.

დედის ნამკერა

პლატონ წურწუმიას ერთი თვე!

თემურ მიქაუტიძე

— შენ გახსოვს, ერთხელ რომ გამლახე?

პლატონმა იგრძნო, რომ მოვლენების განვითარებას შეიძლება კიდევ ერთხელ შეცვლოდა კურსი და საქმე მისთვის (ეს უკვე მერამდენედ) არასასიკეთოდ წარმართულიყო.

თუმცა მისთვის უკვე სულერთი იყო. მხოლოდ ბრაზი მოერია, რომ ეს სამხედრო-ფორმიანი ღლაპი საზიზღრად ცრუობდა. ცრუობდა და თანაც იმ დროს, როცა წესიერი კაცი, ასეთ მდგომარეობაში მყოფ მოსისხლე მტერსაც არ შეახსენებდა თავისი განაწყენების მიზეზს. პლატონს კი ამ ლაწირაკისთვის უნდა გაეცა პასუხი და თანაც ისე, რომ მისთვის შემდგომი მიწოლის საბაბი არ მიეცა. თუმცა ასეთი დიპლომატიისთვის, მას არც სურვილი ჰქონდა და არც — განწყობილება.

ნამდვილად არ უცემია ეს გათავხედებული და ომში გამარჯვების მოპოვებით უეცრად მის მსაჯულად ქცეული ყმაწვილი, რომელიც ახლა იღიმებოდა და ვერ განსაზღვრავდი, რა ჰქონდა გულში.

კარგად ახსოვს ომამდე 10-12 წლის წინ მომხდარი ამბავი. ერთ მშვენიერ, მშვიდობიან დღეს, პლატონმა შენიშნა, რომ ცხენები გახვითქული დაბრუნდნენ საძოვრებიდან. ეს გამეორდა ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... მალევე შეიტყო, რომ სოფლის ბალღაუჭობა იჭერდა უბელო ცხენებს საძოვარზე, მოახტებოდა და დაჯირითებდა. ერთხელაც მიაკითხა თავის საქონელს და ყველაფერი საკუთარი თვალით იხილა.

— მოდი, ბიძია, აქ შენ! — დაუცაცხანა პლატონმა არამკითხე მხედარს, თოთხმეტიოდე წლის ბიჭს. — რომ გაგიგდია ეს ცხენები და დაარბენინებ, ცოდვები არ არიან? მაგათ თუ არაფერი ჭამეს საძოვარზე და შენ აჯირითე, სამუშაოდ როგორღა გამოდგებიან? არ დაგინახო მეორედ, პირუტყვს აწვალებდე, თორემ ყურებს აგახევ, იცოდე! ჰყავს მამაშენს სამაგისო ცხენები და არბენინე, რამდენიც გინდა. ვნახავ, თუ არ დაგიშლის. ჩემსას დაანებე თავი. გაიგე, შენ?

პლატონ წურწუმია (მარცხნივ) მეგობრის საფლავზე

გაუგია კი არა, გულშიც ჩაუდვია თურმე. ახლა გაახსენა.

ცუდად ტრიალდებოდა საქმე. დგას იარაღში ჩამჯდარი ყმაწვილის წინ პლატონ წურწუმია, ჭაღარაშერეული კაცი და პასუხი უნდა გასცეს ურცხვ ბრალდებას. ბრალდებას, რომლის მიზანიც შესაძლოა, უსამართლო შურისძიება გახდეს, ფასი კი — ვინ იცის, რა იქნება. ახლა ისეთი დროა, ადამიანი ქათამზე მეტიც არ ღირს.

დიდად არ შეშინებულა პლატონი. იმ ყველაფერმა, რაც ამ ბოლო დროს მის თვალწინ მოხდა და რაც მას თვითონვე გადახდა თავს, შეაგუა იმ აზრს, რომ ერთ მშვენიერ წამში შეიძლება თვითონაც გაქრეს. გააქრონ ისე, როგორც არაფერი. გააქრონ არაფრისთვის, უმიზეზოდ, ისე, უბრალოდ. ის ამ ომში, რომლის ვერც თავი გაიგო და ვერც — ბოლო, დამარცხებულთა მხარეს მოექცა. მართალია, თვითონ იარაღს არც გაჰკარებია (არავისთან არაფერი ჰქონდა საომარი), მაგრამ პასპორტში ქართველი ეწერა და ეს საკმარისზე მეტიც აღმოჩნდა იმისთვის, რომ დღეს ამ გამარჯვებული ლაწირაკის ხელში აღმოჩენილიყო მისი ბედისწერა და მას გადაეწყვიტა, კიდევ რამდენ დღეს, საათს თუ წუთს იცოცხლებდა პლატონ წურწუმია — კაცი, რომელიც თავისი უბრალოების გამო ომს არ გამოეცალა და კაცი, რომელმაც გუშინ მიაბარა მიწას პირუტყვივით დახოცილი მოხუცებული მშობლების გვამები.

დიდი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა პლატონისთვის, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები. ის გამოსავალს მაინც ველარაფერში ხედავდა. შეიძლება, ასეთი მომენტი, დღეს თუ არა ხვალ, მაგრამ მაინც დამდგარიყო. იგი მხოლოდ ცილისწამებამ გაამწარა.

— არ გამილახიხარ მე შენ, შვილო!

პლატონ წურწუმიამ ეს ღამე თავისი ძმის სახლში გაათია. აქ ახლა შტაბი იდგა. სადაც სამი-ოთხი ფორმიანი გაჩერდებოდა, ყველაფერს შტაბს არქმევდნენ. ეს ყველაზე მოხერხებული ფორმა იყო მიტოვებული სახლის უნებართვოდ, მაგრამ ვითომ ოფიციალურად დასაკავებლად.

მიტოვებულიც რომ არ ყოფილიყო, არც ეს იქნებოდა პრობლემა.

— აქ განთავსდება შტაბი! — გასცემდა ზეპირ ბრძანებას რომელიმე ფორმიანი და მორჩა. წადი და უყარე კაკალი. შტაბია, რა, არა?! შენ სადაც გინდა, იქ წადი. სახლების მეტი რა არის?! თუ არადა, დამარცხებული მხარე ხარ და მადლობა თქვი, საერთოდ ცოცხალი რომ ხარ. შენი სიცოცხლე შტაბის განთავსებისათვის პრობლემას არ წარმოადგენს.

პლატონის უფროსი ძმის სახლი კარგი სახლი იყო. თამაზმა ერთი თვის წინ დატოვა იგი და ოჯახიანად გაიხიზნა. პლატონმა მოხუცი დედ-მამა ვერ მიატოვა. არაფრით მოიცვალეს მოხუცებმა ფეხი, — ჩვენ არავინ არაფერს გვერჩის, თქვენ წადით, ჩვენ სახლებს მივხედავთ, გადაიდარეს და როცა ჩამოხვალთ, დაგახვედრებთო.

თამაზმა წაიყვანა თავისი ოჯახი, პლატონის ცოლ-შვილი, კიდევ, ვინ იცის, რამდენი მეზობლის ოჯახი, ყველა — ვინც კი დაეტია მისი „კამაზის“ ძარაზე. სად იყვნენ, ვის კარზე გაჩერდნენ, პლატონმა არაფერი იცოდა. არც წასულებმა იცოდნენ რაიმე დარჩენილების შესახებ.

დედა ერთხანს ეხვეწებოდა პლატონს: წადი, დიდა, შენც; რა მიხედვა გვინდა, ვინ რას გვერჩისო?! ვერაფრით რომ ვერ დაჯერა პლატონი, ქმარს შეუჩნდა: დავტოვოთ ეს სახლ-კარი; ცეცხლსაც წაუღია ყველაფერი, ბაღანა არ ჩავაგდოთ საფრთხეშიო. მოხუცი არ დაეთანხმა — აფხაზებმა ჩვენზე კარგად იციან უფროს-უმცროსი, არაფრის მეშინია მე, ყოველთვის კაცად მიცნობდნენ და ახლაც ასეაო.

25 სექტემბერს დაიცალა წურწუმიების კარ-მიდამო. თამაზმა წაიყვანა ყველანი. დარჩნენ მოხუცი ცოლ-ქმარი და პლატონი. ძმების ორი სახლი ერთ ეზოში იდგა. თავ-თავიანთი ჭიშკარი კი ჰქონდათ, მაგრამ მიჯნა არ იყო გაღობილი. დაფაჩუნებდა ორი მოხუცებული ხან ერთ სახლში, ხან — მეორეში. ელაპარაკებოდნენ, ესიყვარულებოდნენ ცარიელ კედლებს.

25 ოქტომბერს კი...

25 ოქტომბერს უკვე აღარც ის უხეირო პატრონი ჰყავდა დრანდას, რომელიც ვითომ აქამდე ჰპატრონობდა. კარგა ხნის მანძილზე იძულებით და არაფრის გულისათვის ფრონტის ხაზად ქცეულ სოფელს ახალი პატრონის ხელში გადაბრძანების ჯერი დაუდგა. როგორი იქნებოდა ახალი პატრონი?

26 ოქტომბერს მეორე მხრიდან შემოვიდნენ თოფიანები.

მათ შემოსვლამდე სიკვდილის სუნი და ხმა შემოვიდა. წურწუმიებივით ჩარჩენილი სოფლელები ამბებს ავრცელებდნენ, თუ რა ხდებოდა უფრო წინ მდებარე ქართულ სოფლებში. აოხრდა და გადაიწვა ცაგერა, კელასური, ტამიში. ჯერ შფოთი მოუძღოდა, მერე — შიში.

ახლა კი შეფიქრიანდნენ წურწუმიები — წასვლა და ადრევე გაცლა იქნებ ჯობდაო, მაგრამ ამაზე ლაპარაკს აზრი აღარ ჰქონდა, აღარაფერი ეშველებოდა.

პლატონი მხოლოდ გვიან ღამით შემოდიოდა სახლში, დასაძინებლად. დღისით დედა იკლავდა თავს და არიდებდა შვილს საფრთხეს: ყველას ჩვენ დავხვდებით, დიდა, წადი შენ, თვალს მოეფარე; წადი მანდარინებში, ყანაში გადი, დარდით და ნერვიულობით ნუ მომკლავო...

მის ეზოში პირველად შემოსულებს შორის, პლატონმა ოთხი კაციდან ერთი შორიდანვე იცნო: მისი ყოფილი თანამშრომელი — ბოჩია გაბედავა იყო.

ჭიშკარი გააღეს და დაიძახეს. მამამ გამოხედა. პლატონს არ ესმოდა მათი საუბარი. მებრძოლებმა ეზოს დათვალიერება დაიწყეს. ორი მათგანი ეზოს უკანა მხარეს მდგარ მანქანებთან შეჩერდა. ეს ყველაფერი უკვე პლატონთან ახლოს ხდებოდა.

რამ აიძულა პლატონი პლანტაციიდან გამოსულიყო და ჩხრეკაზე შემოსულებს მისალმებოდა?

„ბოჩია გაბედავა ჩემს ოჯახში შემოდის; ომი რომ არ იყოს, მე მას უნდა ვხვდებოდე, — გაიფიქრა პლატონმა, — მის ოჯახშიც ხომ ვარ ნამყოფი. ეს კაცი არც მომხდურია და არც ვინმე კაციჭამია. ომის კანონი ომის კანონია, მაგრამ თუ არსად წასულხარ და დარჩენა გადაგიწყვეტია, ხომ უნდა იცხოვრო კიდეც. ვიცნობ მე ბოჩია გაბედავას. გარდა ამისა, სულ შიშში ყოფნაც ხომ არ შეიძლება, ოდესღაც ეს ყველაფერი ხომ უნდა დამთავრდეს, რომელიღაც მომენტში ხომ უნდა შეეგუო მდგომარეობას და ცხოვრების ახალ რეჟიმს შეუთანხმდე...“ — პლატონმა გადაწყვიტა, რომ ამის დასაწყებად სწორედ ახლა იყო შესაფერისი დრო.

— გამარჯობა, — თავზე წაადგა პლატონი მანქანასთან ჩაცუცქულ უცნობებს.

ერთ-ერთი მათგანი წამოდგა და უცებ საიდანღაც გაჩენილ პლატონს შეცბუნებულმა შეხედა.

— გამარჯობა. ვაჰ, ეს შენა ხარ, ვარა? — გაუღიმა, ხელი გაუწოდა და აკოცა. — შენი სახლია? არც ვიცოდი. მანქანის წაღება გვინდოდა. რახან შენ აქა ხარ, შენ თვითონ დაგჭირდება და დაგრჩეს, ვარა! აწი მეცოდინება და არავინ შეგაწუხებს!

პლატონი გაოცებული შესცქეროდა კაცს, რომელიც ასე შინაურულად ესაუბრებოდა. თვითონ არ ახსოვდა ეს ფორმიანი.

— ჰო, ჩემი სახლია, პლანტაციაში ვიყავი, — ხელები ტანსაცმელზე შეიწმინდა. ცდილობდა, მალე მისულიყო ბოჩია გაბედავასთან და ამით უფრო იოლად შეძლებდა დაბნეულობიდან გამოსვლას. — შემოდით სახლში, სტუმრები ხართ.

გაბედავამაც შენიშნა უკვე სახლისკენ მომავალი პლატონი. თვითონაც მისკენ წამოვიდა.

— გამარჯობა, პლატონ, — როგორც დიდი ხნის უნახავს, ისე შეხვდა ბოჩია. გადაკოცნა. თითქოს შუაში საერთოდ არ ყოფილიყო ომი. — შენ აქა ხარ? არ ვიცნობდი შენს მშობლებს. ესე იგი, ეს შენი სახლია?

— კი, ჩემი სახლია, ეს დედ-მამაა ჩემი. შემოდით შიგნით, ბიჭებო. გლახა ამბავი დაგვემართა, გლახა დროა, მარა მაინც კი გვაქვს პატარა რამე.

დედაც უკვე ერდოზე გამოსულიყო და შვილის საუბარს ისმენდა. საოცრად ბედნიერი სახე ჰქონდა მოხუცს. მისი აზრით, ყველა საფრთხე ჩავლილი იყო და მის ხუნტულის (როგორც ეძახდნენ შინაურები პლატონს) აღარაფერი ემუქრებოდა. რა კარგად ეწყობოდა ყველაფერი. აკი, მამაც ამბობდა: აფხაზი არაა ჩვენი მტერიო. ბრძენია ეს მოხუცი.

— შემობრძანდით, დიდა, თქვენ შემოგევლოთ ჩემი თავი, ჩემი ხუნტულის მეგობრები ყოფილხართ, დიდა. თქვენ დაგლოცოთ ღმერთმა და დაგელოცოთ გამზრდელი და ყველა კაი ხალხი, დიდა.

შევიდნენ კიდეც ბიჭები. იარაღი მოიხსნეს, კედელზე მიაყუდეს. ჩამოსხდნენ. ხილი, პატარა რაღაც დალაგდა მაგიდაზე. არაყიც — ერთი ბოთლი. არ დალიეს ბიჭებმა. კაი დრო რომ იყოს, შეიძლებოდა, მაგრამ ცუდი დროა, ყველგან ისვრიან, არ შეიძლებაო. მათ თხილი ჩაუყარა მოხუცმა ჯიბეებში.

გასვლისას პლატონმა დრო იხელთა და ეს ბიჭი ვინ არისო? — ბოჩიას ჰკითხა. გაბედავამ უპასუხა: შენ რა გითხარი, ოთარ ციკუტანია ვერ იცანი? მისთვის სატრანსპორტო ზედდებულზე რამდენჯერ მოგიწერია ხელიო. გაახსენდა პლატონს ოთარი და თქვა — ფორმაში ვერ ვიცანიო. ბოჩიასაც გაეცინა: მართალი ხარ, ფორმაში ხანდახან მე ვერ მიცნია საკუთარი თავიო.

— ოთარ, — მიმართა პლატონმა, — წაიყვანე შენ ეს მანქანა. ჩემთან ამის დატოვებას აზრი არა აქვს. უნდა მოვიდეს ვიღაც გადამთიელი და წამართვას. მე ამის გულისთვის თავს ვერ შევაკლავ და... ქე მაინც, შენთან რომაა, მეცოდინება.

ოთარმა ცოტა იფიქრა და თავი დაუქნია.

— მანქანები მართლაც გვჭირდება, მაგრამ არც ამის პრობლემა გვაქვს. თუმცა შენ მაინც მართალი მგონიხარ, იყოს ეს მანქანა ჩემთან, დავუცადოთ. დალაგდება ყველაფერი და წაიღე უკან, ჩემთან უფრო შეგენახება. კაი, ხვალ მოვალ და წავიყვან.

წურწუმიებს გული თითქოს საგულეს ჩაუდგათ. მართალია, ბოჩიამაც გააფრთხილა: წვერმოშვებულებს და მკერდზე სურათიანებს მოერიდეთ განსაკუთრებითო, — მაგრამ წურწუმიები ხომ მთავარ ძალად მათ — ოფიციალურ სამხედროებს მიიჩნევდნენ.

მათთვის სასიკეთო მდგომარეობა მაინც ვერ შენარჩუნდა: ჯერ კანტიკუნტად იწყო საქონელმა კლება. მერე ერთბაშად არ დაბრუნდა საძოვრიდან არც ერთი. ორ კვირაში აღარ ჰყავდათ წურწუმიებს საქონლის ნასახი. პლანტაცია თავისთავად ოხრდებოდა, მისი მოვლას აზრი აღარ ჰქონდა. ფრონტის ხაზი აღარ გადიოდა დრანდაზე, მაგრამ ომის სუნთქვა მაინც ისმოდა. და

შვილიშვილთან ერთად

მაინც, ეს არ იყო დიდი უბედურება. არ იყო რაღაც აუტანელი. ძირითადი მაინც წარსულს ჩაჰბარდა, პირველმა შოკმა გაიარა.

თითქოს ეს ადრე იყო — კოშმარი, გრიგალი, ცეცხლი, უბედურება, მაგრამ ყველაფერს ხომ აქვს თავი და ბოლო?! არც მთლად იმის იმედი უნდა ჰქონოდათ, რომ — საბოლოოდ, მაგრამ იქნებ, რაღაც დონეზე მაინც გადაიარა?

გაუთამამდნენ წურწუმიები გარემოებას. ცოტა უკვე თამამად გამოვიდა ეზოში პლატონი.

ერთხელაც, კიდევ ხუთი ფორმიანი მოადგა ჭიშკარს. გააღეს და შემოვიდნენ დაუკითხავად.

— რას აკეთებ, აქ? — ერთ-ერთმა ისე იკითხა, პლატონი სახტად დარჩა. მიხვდა, აქამდე რა მყიფე იყო მისი სიმშვიდის საფუძველი.

— ძველი „კარბურატორია“ და ვშლი, — როგორც შეეძლო, მშვიდად უპასუხა.

— წამოდი ჩვენთან, საქმე გვაქვს. მოხვალ და მაგას მერე გააკეთებ.

— რა საქმე გაქვთ? — პლატონს ხმა გაებზარა. ძალიან ბრიყვულად ეხვეოდა შარში.

იცნობდა პლატონი ამ ბიჭებს. ისინი მეზობელი სოფლიდან იყვნენ და სანამ მშვიდობიანი დრო იყო, არათუ რაიმეს წარმოადგენდნენ, საერთოდ არავინ არაფერს ეკითხებოდა. მაგრამ ახლა სამხედრო ფორმა ემოსათ: ერთს სამხედრო შარვალი ეცვა და ზევით — სამოქალაქო ტანსაცმელი, მეორეს — პირიქით, მესამე — უფრო უარესად იყო ჩაცმული. იარაღით იყვნენ აღჭურვილები და დღეს ეს უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე ადრე ის, რაც მათ არ ჰქონდათ, მაგრამ ჰქონდა სხვას და მათ

ფონზე ესენი არ ჩანდნენ.

— იქ გაიგებ.

— აქ არ შეიძლება?

— არ შეიძლება. რა ბევრს ლაპარაკობ? აქ რომ გაიგო, ძვირი დაგიჯდება. დააწყვე ეგ ყველაფერი და წამოდი.

გაჯიუტებას აზრი არ ჰქონდა. „ბოევიკები“ უკვე იარაღს სახიფათოდ ათამაშებდნენ. ხმაურზე ეზოში შოთა და ლილი — პლატონის მოხუცი მშობლები გამოვიდნენ.

— კარგი, ხელებს დავიბან და წამოვალ, — ჭუჭყიანი ხელები უჩვენა პლატონმა.

— არ არის საჭირო, სუფრასთან კი არ გეძახიან.

— სად მიგყავთ, დიდა, ჩემი შვილი? — ატირდა მოხუცი ქალი. — ამოიღე, კაცო, ხმა, უთხარი რამე.

შოთამ თავმოყვარედ ჩაახველა.

— რომელი სოფლიდან ხართ, ბიჭებო, თქვენ?

— არ არის ეგ თქვენი საქმე. შედით სახლში. ეს კაცი წამოვა შტაბში, დავკითხავთ და ორ საათში მობრუნდება უკან. შედით სახლში, რომ გეუბნებით!

მოხუცი შეცბა. მისი შვილიშვილების ტოლი ახალგაზრდებისაგან ასეთი კადნიერება მოულოდნელი და მიუღებელი იყო. იმდენად დაბნეული, შეურაცხყოფილი და ამავე დროს შეშინებული დარჩა, რომ სათქმელს ველარ პოულობდა. მის წინაშე იყო ბრმა, გაუთლელი და უპასუხისმგებლო ძალა, რომლის რეაქციაც ნებისმიერ მოქმედებაზე არანაირ ადამიანურ კანონს არ ექვემდებარებოდა.

პლატონი მიხვდა მამის მდგომარეობას და რაც შეეძლო, გამამხნევებლად მიმართა მშობლებს:

— შედით, დედა, სახლში, სკანი გოლუაფირო. მამა, მიხედე დედას, წავყვები ამათ. მათ სოფელში ბევრი მიცნობს. იციან, ვინც ვარ. გავცემ პასუხს და მოვალ. მოვალ მე.

ამასობაში ეზოში მეზობლები — აშოტი და არდავაზი შემოვიდნენ. გაეგოთ თუ დაენახათ, წურწუმიების ეზოში მიმდინარე ამბავი და მათკენ გამოსწიეს.

პლატონი და აშოტ არამიაკიანი კარგა ხანს მუშაობდნენ ერთ დაწესებულებაში, ომის დაწყებამდე. მერე, როცა ქვეყანა აირია... გასაგრძელებლად არც ღირს. ყოველდღე აკითხავდა აშოტი წურწუმიების ოჯახს: როგორ ხართ, ხომ არაფერი გჭირდებათო? ყოველდღე პატარა მოსაკითხი გადმოჰქონდა.

შემოვიდნენ და სომხურად მიესალმნენ მებრძოლებს. თავიდან ისეთი სახით იდგნენ, თითქოს ვერაფერს მიმხვდარიყვნენ, თითქოს პლატონთან იყვნენ მოსულები საქმეზე. აქ კი... რა ხდებაო? — რუსულად იკითხეს. მერე გადავიდნენ სომხურზე და ნელა-ნელა ტონსაც აუწიეს. აშოტი არაფრით ანებებდა მებრძოლებს პლატონის თავს. პლატონმა ცუდად იცოდა სომხური, მაგრამ აქ ძნელი მისახვედრი არაფერი იყო.

„ბოევიკები“ აშოტსა და არდავაზსაც ეჩხუბებოდნენ და პლატონსაც ექაჩებოდნენ. უხეშად შეაბრუნეს ჭიშკრისკენ და ავტომატის ლულით ზურგში უბიძგეს.

■

ერთი მონეტა რაა, ისიც კი არ მოუკლია საგანძურისთვის, რომელიც საშობლომ ჩააბარა

„გზის“ ერთ-ერთ ნომერში უკვე მოგითხრობდით წმინდა ექვთიმეს (კერესელიძე) ცხოვრებისა და ღვაწლის შესახებ, მაგრამ ქართველებს კიდევ ერთი ექვთიმე ხომ გვყავს — ექვთიმე თაყაიშვილი. ამჯერად სწორედ მისი ცხოვრებისა და სამშობლოსადმი გაწეული ფასდაუდებელი ღვაწლის შესახებ მოგითხრობთ. საქართველოს სამოციქულო ეკლესიამაც დააფასა ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი და წმინდანად შერაცხა...

მორენა მერკვილაძე



„ძალაუნებურად მომიხდა ემიგრანტობა, რათა არ მოვშორებოდი ჩვენი ერის სასიქადულო კულტურულ საგანძურს“

წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი — ასე იხსენიება ექვთიმე თაყაიშვილი, წმინდანად შერაცხვის შემდეგ — დაიბადა 1863 წლის 5 ივლისს, გურიის სოფელ ლიხაურში, აზნაურ სიმონ თაყაიშვილისა და გიტული (გიტო) ნაკაშიძის ოჯახში. ექვთიმეს თავიდანვე გამოუვლენია სწავლისადმი მისწრაფება და დიდი ინტერესი. მიუხედავად იმისა, რომ მშობლები ჯერ კიდევ ყრმობის ასაკში მყოფს გარდაეცვალა, სწავლაზე გული არ აუცრუებია. გურიის სამაზრო სასწავლებლის დასრულების შემდეგ, ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში გააგრძელა სწავლა, რომელიც 1883 წელს ვერცხლის მედლით დაამთავრა. იმავე წელს პეტერბურგის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. 1887 წელს სწავლა დაასრულა, კანდიდატის ხარისხი მიიღო და სამშობლოში დაბრუნდა.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ, მეცნიერულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას მიჰყო ხელი. 1895 წელს დაოჯახდა — ცოლად თბილისელი იურისტის, ივანე პოლტორაცკის ასული — ნინო შეირთო.

მეცნიერების არაერთ დარგში მუშაობდა ექვთიმე თაყაიშვილი — ისტორიაში, არქეოლოგიაში, ეთნოგრაფიაში, ნუმიზმატიკაში, ფილოლოგიაში, ფოლკლორისტიკაში, ლინგვისტიკაში, ხელოვნების ისტორიაში. მისი მეცნიერული საქმიანობის უმთავრესი მიზანი საქართველოს ისტორია-არქეოლოგიისთვის მასალების შეკრება იყო.

1889 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა „საქართველოს საეგზარქოსო მუზეუმი“ დააარსა. მუზეუმში თავს უყრიდა ძველ საეკლესიო წიგნებსა და ხელნაწერებს, ასევე — უძველეს ნივთებს. ამავე პერიოდში აქტიურად მუშაობდა საქართველოს ეკლესიის ისტორიის შედგენაზე.

1907 წელს ექვთიმემ „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაც“ დააარსა. ამ საზოგადოების წევრებმა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოწყობილი ექსპედიციების წყალობით არაერთ ხელნაწერს, არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ ნივთს მოუყარეს თავი. მოგზაურობის დროს იღებდნენ ზუსტ ასლებს ეკლესია-მონასტრების ფრესკებიდანაც. ამ გზით, 73 ძველი ფრესკის ასლი გადმოიღეს.

იმ პერიოდში ერის რჩეული შვილები აქტიურ ბრძოლას იწყებენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად. მათ ექვთიმე თაყაიშვილიც უერთდება. 1917 წლის მარტში სვეტიცხოვლის ტაძარში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია აღდგენილად გამოცხადდა. 1918 წლის 26 მაისს კი ჭეშმარიტ მამულიშვილთა მეორე სანუკვარი ოცნებაც ახდა — საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მოიპოვა. თუმცა რჩეულ ქართველთა სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა. 1921 წელს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის წევრებს სამშობლო დაატოვებინეს. საფრანგეთში ევაკუირებულმა მენშევიკურმა მთავრობამ თან გაიტანა საბანკო ვალუტა, ისტორიისა და კულტურის სამუზეუმო განძეულობა და ხელნაწერები. ამ განძს მცველად გაჰყვა ექვთიმე თაყაიშვილი მეუღლითურთ: „ძალაუნებურად მომიხდა ემიგრანტობა, რათა არ მოვშორებოდი ჩვენი ერის სასიქადულო კულტურულ საგანძურს, დამეცვა იგი ყოველგვარი საფრთხისაგან“, — წერდა მოგვიანებით ექვთიმე თაყაიშვილი.

მართლაც მრავალჯერ დაემუქრა საფრთხე საქართველოდან გატანილ საგანძურს. ჯერ იყო და, ექსპონატების შესყიდვა ბრიტანეთისა და ნიუ-იორკის მუზეუმებმა სცადეს, შემდეგ გრაფ ოხონელსკის ქვრივმა — სალომე დადიანმა სასამართლოს გზით სცადა განძის ნაწილის მითვისება (იგი თავს ეროვნუ-

ლი განძის ერთადერთ მემკვიდრედ ასახელებდა). ბოლოს კი საფრანგეთის მთავრობამაც განაცხადა პრეტენზია საქართველოს ეროვნულ განძზე.

ერთხანს უცხოეთში გატანილ ეროვნულ საგანძურს საქართველოს ყოფილი მთავრობა მეურვეობდა, მაგრამ მისი დაცვა მთლიანად ექვთიმე თაყაიშვილს დაეკისრა. უცხოეთის ცის ქვეშ მყოფი ექვთიმეს ყველაზე ერთგული მეგობარი, მისი მეუღლე ნინო იყო. როგორც ექვთიმე თაყაიშვილის მეგობრების მოგონებებიდან ჩანს, საოცარი ქალი ყოფილა ნინო პოლტორაცკაია, ქმრის ერთგული მეგობარი, თანაშემწე და ტვირთის შემმსუბუქებელი. ერთად ეწეოდნენ უცხოეთში ცხოვრების მძიმე ჯაპანს. მაგრამ 1931 წელს ექვთიმე თაყაიშვილს ხელიდან გამოეცალა მეუღლე. ძალზე განუცდია ნინოს გარდაცვალება, ისეთი შეგრძნება ჰქონია, თითქოს დაობლდაო. მაგრამ სულიერად არ გატეხილა, მას ხომ სამშობლოდან გატანილი ეროვნული განძი უნდა დაეცვა და ბოლომდე დაიცვა კიდეც. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი გასაჭირი გადაიტანა — შიმშილი, სიცივე, ავადმყოფობა, ფიქრადაც კი არ გაუვლია, ღვთისა და ერისგან დაკისრებული მოვალეობისთვის ეღალატა: მას ხომ იმ დროს, როდესაც მეზობლები სამადლოდ აწვდიდნენ საკვებს, უძვირფასესი განძი ებარა. ერთი მონეტა რაა, ისიც კი არ მოუკლია საგანძურისთვის, რომელიც სამშობლომ ჩააბარა. არაერთხელ მისულან მასთან სხვადასხვა ქვეყნის მუზეუმების წარმომადგენლები, რათა საგანძურის ნაწილი მაინც მიეყიდა მათთვის ან თუნდაც დროებით დაეთმო, მაგრამ ვერავინ და ვერაფერმა გატეხა ჭეშმარიტი მამულიშვილი. სხვების ნდობა რა სახსენებელია, როდესაც საკუთარ თავსაც არ აძლევდა საგანძურიდან თუნდაც ერთი ნივთის გამოსაკვლევად წაღების უფლებასაც კი — თავს დაჰკანკალებდა, ეშინოდა, არ დაიკარგოსო.

1945 წელს, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ეროვნული საგანძურის საქართველოში დასაბრუნებლად. საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის მთავრობათა მოლაპარაკების შემდეგ საქართველოდან გატანილი საგანძური ამერიკულ თვითმფრინავში დატვირთეს და მცველების თანხლებით საქართველოში გამოგზავნეს. ცხადია, საგანძურს ექვთიმე თაყაიშვილიც გამოჰყვა. მაშინ 82 წლის იყო. როდესაც სამშობლოში დაბრუნების დრო დადგა, ერთი ხელი რიგიანი სამოსიც კი არ აღმოაჩნდა, მგზავრობისას რომ ჩაეცვა. სამშობლოს მონატრებული მოხუცის გული უსაზღვრო სიხარულით იყო სავსე, მხოლოდ ერთი წუხილი მოჰყვებოდა საფრანგეთიდან — მისი მეუღლისა და სიცოცხლის ერთგული თანამგზავრის ნეშტი საფრანგეთის მიწაში რჩებოდა.

თვითმფრინავი თბილისის აეროდრომზე 11 აპრილს დაეშვა. ექვთიმე თაყაიშვილმა ფეხი დადგა თუ არა ქართულ მიწაზე, ზეცას ახედა, მადლობა შესწირა უფალს, მერე დაიხარა, მარჯვენა ხელით მიწა აიღო და ეამბორა. ახლა შემიძლია ვთქვა, რომ შევასრულე ჩემი ვალი სამშობლოსა და ხალხის წინაშე და უფლება არა მაქვს, ბედს დავემდუროო, — უთქვამს.

მშობლიურ ქვეყანაში უდიდესი სიყვარულითა და პატივით მიიღეს. მალე თბილისის უნივერსიტეტშიც აღადგინეს პროფესორად, აკადემიის წევრადაც აირჩიეს. სამშობლოში დაბრუნებამ დაუძლურებულ მოხუცს ძალ-ღონე შემატა. ზედიზედ რამდენიმე ნაშრომიც გამოსცა. თავდაუზოგავად შრომობდა თურმე, დღესა და ღამეს ასწორებდა. ეცადე, ნაკლები იმუშაო და მეტი დრო დასვენებას დაუთმოო, — ხშირად ურჩევდნენ ახლობლები. ის ხომ ხშირად ავადმყოფობდა და ორგანიზმი ამდენ დატვირთვას ვეღარ უძლებდა, მაგრამ თავისას მაინც არ იშლიდა, ცდილობდა, ბოლომდე დახარჯულიყო სამშობლოსთვის.

ექვთიმე თაყაიშვილს ახლო ურთიერთობა ჰქონია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძესთან. პატრიარქიც დიდად აფასებდა თურმე მის ღვაწლს. რამდენჯერმე ერთადაც მოულოცავთ საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიწმინდეები.

მშვიდი ცხოვრება დიდხანს არ გაგრძელებულა: 1951 წლიდან, ექვთიმე თაყაიშვილს დევნა დაუწყეს. საბჭოთა ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა მოუდრეკელი და სამშობლოს სიყვარულით გულანთებული მოხუცის შევიწროებას. ჯერ იყო და, ცრუბრალდების საფუძველზე დააპატიმრეს მისი შვილობილი — ღიდა პოლტორაცკაია, რომლის ბინაშიც მეცნიერი ცხოვრობდა. შემდეგ, „საკმარისი პედაგოგიური დატვირთვის უქონლობის გამო“ უნივერსიტეტიდანაც დაითხოვეს, თან ხმები დაუყარეს — შინაპატიმრობაშიაო, — და მასთან მისვლა ყველას აუკრძალეს. პენსიის დანიშვნისგანაც თავს იკავებდნენ: იმიზეზებდნენ, — საკმარისი სამუშაო სტაჟი არა აქვსო. ახლობლებიც კი ერიდებოდნენ მასთან მისვლას. ექვთიმე თვითონვე შეეცადა თავის შველას. საქართველოს იმჟამინდელ პარტიის ცეკას მდივანს წერილი მისწერა, სადაც თავისი უნუგეშო მდგომარეობის შესახებ მოუთხრობდა და დახმარებას სთხოვდა. ცხადია, მისი ბედით ხელისუფალთაგან არავინ დაინტერესებულა. პასუხის ღირსადაც არ ჩათვალეს.

1952 წლის 3 თებერვალს გარდაიცვალა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე. ეს ამბავი ექვთიმე თაყაიშვილმაც შეიტყო. ძალზე განუცდია უწმინდესის ამ ქვეყნიდან წასვლა. ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ 90 წლის მოხუცებულს საბოლოოდ შერყეოდა ჯანმრთელობა.

უახლოესი მეგობრები უვლიდნენ ერთი წლის განმავლობაში. 1953 წლის 21 თებერვალს კი მშვიდობით შეჰვედრა სული უფალს.

დაკრძალვაც კი არ ჰქონია მისი შესაფერისი — ორმოცდაათიოდე კაცმა გააცილა უკანასკნელ გზაზე. ჩუმად, მალულად დაკრძალეს ვაკის სასაფლაოზე. უახლოესი ადამიანების გარდა ხომ არავის გაუგია ექვთიმე თაყაიშვილის გარდაცვალება, ანდა საიდან გაიგებდნენ — გაზეთებში ნეკროლოგი მხოლოდ დაკრძალვის დღეს დაბეჭდეს.

10 წლის შემდეგ ექვთიმე თაყაიშვილის ნეშტი დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გადაასვენეს. მალე საქართველოში მისი მეუღლის ნეშტიც ჩამოასვენეს. მოგვიანებით ერისთვის დამაშვრალი მამულიშვილი მთაწმინდაზე გადაასვენეს.

2002 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს ეკლესიამ ექვთიმე თაყაიშვილი წმინდანთა დასში შერაცხა — წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის სახელით. ■



ერისთვის დამაშვრალი მამულიშვილი მთაწმინდაზე გადაასვენეს

ამედეო მოდილიანი: ვარდა მარადისობაში

გვიან ღამით მოდილიანი და ჟანა ებიუტერნი ლუქსემბურგის ბაღს მიუყვებოდნენ. მოულოდნელად მოდილიანის მკერდიდან არაადამიანური ხმა აღმოხდა, რომელიც დაჭრილი მხეცისას უფრო ჰგავდა. ის ყვირილით მივარდა ჟანას: „მე სიცოცხლე მინდა, მინდა, ვიცოცხლო, გესმის? მინდა, ვიცოცხლო!“ შემდეგ ქალს ცემა დაუწყო, მთელი ძალით ჩაავლო თმაში ხელი და ბაღის რკინის ღობეს მიახეთქა. ჟანას ერთი კვნესაც არ აღმოხდენია. ის თავისით წამოდგა, მოდილიანთან მივიდა და ხელზე ხელი მოჰკიდა. კაცის უცაბედი მრისხანება უკვე ისე გამქრალიყო, როგორც თოვლი მზეზე, სახეზე კი ღვარად ჩამოსდიოდა ცრემლები. „არ მინდა სიკვდილი, — უთხრა ჟანას, — არ მჯერა, რომ იქ რაიმე არსებობს“.

„მოდი, — ნაზად და ძალიან რბილად წარმოთქვა ჟანამ მისი სახელი, ისეთი ტონით, როგორითაც გაჯიუტებულ ბავშვს უყვავებენ ხოლმე, — მე ხომ ბევრჯერ გიამბე ამის შესახებ, შენ კი კვლავ გეეჭვება. რატომ?“ იგი ნდობით მიეკრა ქალს და ორიოდე წუთის შემდეგ უცნაური წყვილი ქუჩის კუთხეს მიეფარა.

...მოდილიანი თითქოს დნებოდა. ბოლო ხანებში ისე შეიცვალა, მისი ცნობაც კი ჭირდა, მოჩვენებას დაემსგავსა: ჩონჩხივით გამხდარი იყო, სახეზე ლურჯი ფერი გადაჰკრავდა და ხელები უკანკალებდა. რა თქმა უნდა, არავისთვის იყო საიდუმლო (მონპარნასზე საერთოდ არ არსებობდა საიდუმლო), რომ მოდი ჭლექით იყო დაავადებული. მას ხომ ეს დაავადება ჭაბუკობიდანვე თან სდევდა და მასთან გამკლავებაც შეეძლო. პარიზში ჭორები გავრცელდა, რომ მას შემდეგ, რაც მოდი ჟანა ებიუტერნს დაუკავშირდა, ქალი ვამპირივით სწოვდა მას სასიცოცხლო ძალას.

ეს ძალა რომ არა, მას ჯერ კიდევ 13 წლის წინ, პარიზის ერთ-ერთ თხრილში ამოხდებოდა სული. მაშინ, 1906 წლის შემოდგომაზე პარიზში ჩავიდა განებივრებული, პეწენიკი ამედეო ან დედო, როგორც მას შინაურულად ეძახდნენ. ის ერთ დროს მდიდარი, ახლა კი გაღარიბებული ებრაული ოჯახიდან იყო. პარიზში ჩასვლამდე პატარა იტალიურ ქალაქ ლივორნოში ცხოვრობდა.

შავ, ხვეულთმიანი ყმაწვილი, რომელიც მკაცრი სტილის მუქ კოსტიუმში, თოვლივით თეთრ, გახამებულმანჟეტებიან პერანგსა და ბოლო ღილამდე შეკრულ ჟილეტში იყო გამოწყობილი, მონპარნასზე თავიდან ბირჟის მაკლერად მიიღეს. ამედეოს ეს ძალიან არ მოეწონა, რადგან მაკლერი სინამდვილეში მამამისი — ფლამანიო მოდილიანი იყო, რისი გამხელაც ახალგაზრდას სულაც არ სურდა. იგი ამჯობინებდა, თავი მდიდარი რომაელი ბანკირის შვილად და ბენედიქტე სპინოზას შვილთაშვილად წარედგინა. ერთიც და მეორეც, რა თქმა უნდა, წმინდა წყლის სიცრუე გახლდათ.

ამედეო ადრეული ჭაბუკობიდანვე თავს მხატვარს უწოდებდა — ის ცოტ-ცოტას ეუფლებოდა კიდეც ფერწერას ფლორენციასა და ვენეციაში. პარიზში კი იმიტომ ჩავიდა, რომ რომ ახალ ხელოვნებას გასცნობოდა და რასაკვირველია, სახელი მოეხვეჭა. დამწყები მხატვრებიდან იშვიათად თუ იქნებოდა ვინმე ისე დარწმუნებული საკუთარ ნიჭში, როგორც ეს იტალიელი ლამაზი ყმაწვილი. თუმცა მონპარნასი სავსე იყო ისეთივე (როგორიც ამედეო იყო) აუღიარებელი გენიოსებით, რომლებიც ხელოვნების ამ მექაში მთელი ქვეყნიერებიდან შეყრილიყვნენ.

აღმოჩნდა, რომ პარიზში მხატვარი არა იმდენად ხატვის ოსტატობით უნდა ყოფილიყო გამორჩეული, რამდენადაც სრულიად განსაკუთრებული ცხოვრების წესით. ხის დაფებითა და თუნუქის ფურცლებით შეკოწიწებული უბადრუკი ფარდული — ასეთი იყო ამედეო მოდილიანის პირველი საცხოვრებელი. კედლები ნახატებითა და ესკიზებით იყო დაფარული, ავეჯს კი ქუჩაში ნაპოვნი ორი ფეხმოტეხილი, დაწნული სავარძელი წარმოადგენდა. საწოლის მაგივრობას კუთხეში მიყრილი რაღაც ჩვრები სწევდა, მაგიდისას — გადაბრუნებული ყუთი. ამედეო ენთუზიაზმით აწყობდა ახალ ბინას — ბოლოს და ბოლოს, მთავარი ისაა, რომ ახლა პარიზშია; ძალიან მალე საყოველთაოდ ცნობილი გახდება და მაშინ მოძებნის თავისთვის უფრო კარგ საცხოვრებელს, ამ ბუნაგს კი მუზეუმად აქცევენ... ამედეომ კარგად იცოდა, რომ ოჯახის დახმარების იმედი არ უნდა ჰქონოდა — მამამ ცოლშვილი დიდი ხანია მიატოვა, ხოლო ფული, რომელსაც დედა უგზავნიდა, ძლივს ჰყოფნიდა ტილოებისა და საღებავების საყიდლად. ამასთან, მოდილიანის ცხოვრების პირობები მონპარნასისთვის ჩვეულებრივი იყო. მაგალითად, შორიახლოს მდებარე პიკასოს სახელოსნო მის საცხოვრებელთან შედარებით, დიდი სიმდიდრით არ გამოირჩეოდა.

ლივორნოში ამედეო მიჩვეული იყო წესიერ, კარგად აღზრდილ ყმაწვილებთან ურთიერთობას, რომლებიც ღირსეული ოჯახებიდან იყვნენ, პარიზში კი ძალზე უცნაური საზოგადოების გაცნობა მოუხდა: ამ ქალაქის სამხატვრო ბოჰემა უმეტესად ჰომოსექსუალისტების, ნარკომანების, ალფონსების, ყველა მიმართულების რელიგიური ფანატიკოსის, მისტიკოსებისა და უბრალოდ, გიჟებისგან შედგებოდა. ხელოვნების საკითხებზე გამართული მწვავე დისკუსიები, რომელიც ჩვეულებისამებრ პიკასოს სახელოსნოში იწყებოდა, ცნობილ კაფე „როტონდაში“ გრძელდებოდა, სადაც მოკამათეთა ენთუზიაზმი ალკოჰოლისა და ჰაშიშის „ცხენის დოზებით“ მწვავდებოდა.

მალე მოდილიანი უბრალოდ, მოდიდ იქცა და უკვე ყველა ძალლიც კი იცნობდა რაიონში. რადგან მის ნახატებში ერთი სანტიმის გადახდაც კი არავის უნდოდა, მოდი უკვე თავისი ბუნაგის ქირასაც ვეღარ იხდიდა. ზოგჯერ ის ღამეებს ტრაქტირში, მაგიდის ქვეშ ათენებდა, ზოგჯერ — რომელიმე პარკში, ხის გრძელ სკამზე ეძინა. შემდეგ საცხოვრებელი მიტოვებულ მონასტერში მოიწყო, ბლანშის მოედნის უკან, სადაც უყვარდა ხოლმე მუშაობა ფანჯრებიდან შემოჭრილი ქარის „აკომპანემენტის“ თანხლებით. მოდილიანი უცნაურობებით გამოირჩეოდა, რისთვისაც, სხვათა შორის, ბევრი მონპარნასელი დიდ პატივს სცემდა: მაგალითად, ის შიმშილს ამჯობინებდა, მაგრამ სხვებისგან განსხვავებით, კატეგორიულ უარს აცხადებდა იმაზე, რომ მხოლოდ ფულის გამო შეესრულებინა ესა თუ ის სამუშაო. სწორედ ამ მიზეზით, უარს ამბობდა აბრების ხატვაზე. ის ნამდვილი მაქსიმალისტი იყო და არ სურდა, საკუთარი ტალანტის ტყუილუბრალოდ ფლანგვა. ამხანაგებს არაერთხელ უცდიათ, დაეყოლიებინათ იმაზე, რომ კუჭის ამოვსების მარტივი და საიმედო საშუალება გამოეყენებინა: დილით ადრე მდიდარი მოქალაქეების კართან, დამტარებლები თავიანთ საქონელს ტოვებდნენ — ფუნთუშებს, ბეკონს, რძეს, ყავას... ცოტაოდენი მოხერხებულობა რომ გამოეჩინა, მშვენიერი საუზმე გარანტირებული ექნებოდა. მაგრამ ამაყი და



„მე შევხვდი ქალს ჩემი სიზმრებიდან! ზუსტად ისაა!“

ფაქიზი სულის მქონე მოდილიანი არასოდეს თანხმდებოდა ამაზე.

რისთვის იტანდა ასეთ გაჭირვებას? მისი ნახატები მხატვრებში „ნათხაპნებად“ მიაჩნდათ. არავინ ეკიდებოდა მის შემოქმედებას სერიოზულად. ასეთი დამოკიდებულებით განაწყენებულმა მოდილიანიმ შეწყვიტა პიკასოსთან სიარული და თანდათან ჩამოშორდა მის წრეს, მით უმეტეს, რომ ავანგარდულ ხელოვნება თითქოს არც აინტერესებდა. მარტოობაში ცდილობდა, ტილოსა ან ქაღალდზე გამოესახა ის, რასაც ბუნდოვნად გრძნობდა, მაგრამ არ იცოდა, როგორ გამოეხატა.

ფერმწერის ნანატრი დიდების ნაცვლად, ამ ანტიკური ღმერთივით ლამაზმა იტალიელმა ებრაელმა ძალიან მალე მონპარნასზე ქალთა გულთამპყრობლის სახელი მოიხვეჭა. არადა, საწყალ მოდის სულაც არ აინტერესებდა ქალები. ჰომოსექსუალისტი არ იყო, მაგრამ ქალებს მხოლოდ ისე უყურებდა, როგორც მხატვარი — მეტ-ნაკლებად საინტერესო ნატურას. მიუხედავად ამისა, მისი ლოგინი მისმა უკლებლივ ყველა მენატურემ მოიარა — მეძავებმა, მოსამსახურეებმა, მეყვავილეებმა, მრეცხავებმა... ნატურისთვის სეანსის შემდეგ ლოგინის შეთავაზება მოდილიანისთვის ისეთივე თავაზიანობის გამოხატვის ჟესტი იყო, როგორიც ბურჟუასთვის სტუმრისთვის ჩაის შეთავაზება და ზუსტად ამდენივეს ნიშნავდა — არც მეტს და არც ნაკლებს. სიამოვნებას კი არ ელტვოდა, არამედ — იდეების ხორცშესხმას, თავის საფერმწერო მასალას ეძებდა.

მაგრამ ქალები არ ცდილობდნენ ყველა ამ წვრილმანში გარკვევას და გალანტურობას სწორედაც რომ გალანტურობად იღებდნენ ანუ — სიყვარულად ან მოწონებად მაინც. 1910 წლის ზაფხულში პარიზში ჩავიდნენ ახალდაქორწინებული ანა ახმატოვა და ნიკოლაი გუმილიოვი. ახმატოვა ერთი შეხედვისთანავე აენთო „მონპარნასის ამ ღირსშესანიშნაობით“. მოდილიანი მას ყველაზე ფერწერულ მამაკაცად მოეჩვენა, რომელიც კი ოდესმე ენახა. იმ დღეს მას ეცვა ყვითელი ხავერდის შარვალი და იმავე ფერის ქურთუკი, ჰალსტუხის ნაცვლად, მყვირალა ნარინჯისფერი აბრეშუმის ბაფთა ეკეთა, წელზე კი ცეცხლისფერი შარფი ჰქონდა შემოხვეული. როდესაც ნახატებით სავსე, თავისი განუყრელი ცისფერი საქაღალდით ხელში, გვერდით ჩაურბინა, მოდილიანიმაც შეათვალიერა მოხდენილი რუსი ქალი. „ძალიან, ძალიან, საინტერესო ნატურაა,“ — გაიფიქრა მან და გაღიმებულმა შეთქმულივით ჩაუკრა თვალი. შემდეგ, ყვავილნარში ყვავილი მოწყვიტა და მის ფერხთით ისროლა. ანას გვერდით გუმილიოვი იდგა, მაგრამ მან მხოლოდ მხრები აიჩეჩა: მან კარგად უწყოდა, რომ აქ, მონპარნასზე საზოგადოებრივი ზნეობის კანონები გაუქმებული იყო...

ჟანა ებიუტერნი და მისი პორტრეტი

მოდილიანი არასოდეს ფიქრობდა ქალებზე. მართალია, ისინი იჭრებოდნენ მის ცხოვრებაში, მაგრამ ისე ტოვებდნენ მას, რომ მოდის გული „ხელუხლებელი“ რჩებოდა: მადლენი, ელვირა, ნატალი, ანა, მარი — იმ ლამაზ ქალთა დაუსრულებელი რიგი, რომელთა მშვენიერებაც მან თავისი ფუნჯით უკვდავყო. ერთ-ერთ მათგანთან — ინგლისელ ჟურნალისტ ბეატრის ჰასტინგსთან მოდილიანიმ მთელი ორი ბობოქარი წელი იცხოვრა, მაგრამ მასში ის უფრო „ძველ ბიჭს“ ხედავდა, ვიდრე საყვარელს. ისინი ერთად სვამდნენ, ჩხუბობდნენ, ერთმანეთს თმას აგლეჯდნენ. და როცა ბეატრისმა უთხრა, რომ მას ყელში ამოუვიდა „მთელი ეს ეგზოტიკა“, მოდილიანი დიდად არ დაღონებულა...

მიუხედავად ბობოქარი ცხოვრებისა და სუსტი ჯანმრთელობისა, მოდილიანი უზღვავი ენერგიით გამოირჩეოდა

ერთხელ მოდილიანი გამოუტყდა თავის გულითად მეგობარს, მოქანდაკე ბრანკუზის, რომ ელოდება ერთადერთ ქალს, რომელიც მისი ნამდვილი, მარადიული სიყვარული იქნება; რომელიც ჯერჯერობით ხშირად „სტუმრობს“ მას ძილში — და იქვე, ხელში მოხვედრილ ჭუჭყიან ხელსახოცზე დახატა იმ „ერთადერთი ქალის“ პორტრეტი. ბრანკუზის მხოლოდ ის დაამახსოვრდა, რომ მას სწორი, გრძელი თმა ჰქონდა.

მიუხედავად ბობოქარი ცხოვრებისა და სუსტი ჯანმრთელობისა, მოდილიანი უზღვავი ენერგიით გამოირჩეოდა: ჯერ ერთი, ის დღეში რამდენიმე ნახატის დახატვას ახერხებდა; ჰაშიშისა და ალკოჰოლის ისეთ ნაერთს იღებდა, რომელიც სხვა ჯანმრთელ ადამიანებს ფეხქვეშ მიწას აცლიდა; მონაწილეობდა ყველანაირ კარნავალში; არ აკლდებოდა არანაირ მხიარულებას — მოკლედ, სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობდა. მასში არასოდეს ჩამქრალა ენთუზიაზმი და იმის იმედი, რომ აი, ახლა შეამჩნევენ, დააფასებენ, აღმოაჩენენ... ბოლოს და ბოლოს, ამპარტავანმა პიკასომაც ხომ აღიარა, რომ მოდი ნიჭიერია. დროთა განმავლობაში მოდილიანიმ საკუთარი აგენტიც კი გაიჩინა — პოლონელი ზბოროვსკი, რომელიც მისი ნახატებისთვის მყიდველებს პოულობდა. მოულოდნელად, მოდის თითქოს რაღაც დაემართა: ჰორიზონტზე სწორ, გრძელთმიანი ქალიშვილი გამოჩნდა...

პირველად ამედეომ ქალი იმავე კაფე „როტონდაში“ ნახა: 19 წლის ჟანა ებიუტერნი, სამხატვრო აკადემიის სტუდენტი, თავის მეგობარ გოგონასთან ერთად, კაფეში აპერიტივის დასალევად შევიდა. მოდილიანიმ, რომელიც ჩვეულებისამებრ თავის საყვარელ ადგილას, დახლთან იდგა, ახალი სახე შენიშნა. ის დაჟინებით ჩააშტერდა ამ სახეს და დიდხანს აკვირდებოდა. „ასე იჯექი“, — უთხრა მან ჟანას რამდენიმე წუთის შემდეგ და მაშინვე მისი პორტრეტის ხატვა დაიწყო. იმავე ღამეს ისინი რესტორნიდან ჩახუტებულები გამოვიდნენ — ასე დაიწყო ერთ-ერთი ყველაზე უცნაური სასიყვარულო ამბავი მონპარნასზე. გაცნობიდან მეორე დღეს, სადაც კი მოასწრო შეხვედრა მოდიმ, რათა ერთი ჭიქა გადაეკრა, ყველგან საბოლოოდ ჩამოყალიბებული გიჟის შთაბეჭდილებას ტოვებდა: თვალები უბრწყინავდა, ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა, სკამიდან წამოხტებოდა ხოლმე და წამოიძახებდა: „არა, მომისმინეთ!“ ამფსონები გაოცებულები უყურებდნენ ერთმანეთს: „რა დაემართა მოდის?“ „მე შევხვდი ქალს ჩემი სიზმრებიდან! ზუსტად ისაა! — იმეორებდა მხატვარი ისე, თითქოს ამაში ვინმე ედავებოდა. — შემიძლია დაგიმტკიცოთ: მე მისი პორტრეტები მაქვს — საოცარი მსგავსებაა!“ მისი მეგობრები ამ სიტყვებს მხიარული სიცილით პასუხობდნენ. რა თქმა უნდა, არავინ დაეჭვებულა, რომ მოდილიანი ხუმრობდა. მონპარნასზე მიღებული არ იყო, სერიოზულად ემსჯელათ მარადიულ სიყვარულზე. ეს იქ უგემოვნებად მიაჩნდათ და ამისგან ყველას გული ერეოდა.

დასასრული შემდეგ ნომერში

ახმატოვა ერთი შეხედვისთანავე აენთო „მონპარნასის ამ ღირსშესანიშნაობით“. მოდილიანი მას ყველაზე ფერწერულ მამაკაცად მოეჩვენა, რომელიც კი ოდესმე უნახავს

ჰოლივუდი ფორესტ უითაკერის სახელობის ვარსკვლავი გაიხსნა



ჰოლივუდის დიდების ხეივანში „ოსკაროსანი“ ფორესტ უითაკერის (ფილმისათვის „შოტლანდიის უკანასკნელი მეფე“) ვარსკვლავი „აკიაფდა“, რომელმაც კინოთეატრ Kodak-ის შესასვლელი დაამშვენა, სადაც ყოველწლიურად ტარდება ამერიკული კინოაკადემიის პრემიების გადაცემის საზეიმო ცერემონია. 45 წლის მსახიობი ვარსკვლავის გახსნაზე ცოლთან — კეიშასთან და სამ ქალიშვილთან — 15 წლის ოტმენთან, 10 წლის სონეტთან და 8 წლის ტრუსთან ერთად გამოცხადდა. „მახსოვს, ბავშვობაში დიდების ხეივანში მოვდიოდი და მსახიობთა ვარსკვლავების ცქერით ვტკბებოდი. მაშინ იქ ჩემი სახელის ხილვაზე ვერც კი ვიოცნებებდი“, — განაცხადა გულაჩუყებულმა მსახიობმა.

ახალგაზრდობაში ფორესტ უითაკერი ამერიკულ ფეხბურთს თამაშობდა. მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, მაგრამ ხერხემლის უმძიმესი ტრავმის შემდეგ მომავალი მსახიობი დიდ სპორტს გამოეთხოვა და რადგან მშვენიერი ტენორი ჰქონდა, სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტის კონსერვატორიის ვოკალის, პარალელურად კი, სამსახიობო ფაკულტეტზეც ჩაბარა. კინოში მისი დებიუტი სასკოლო კომედიაში Fast Times at Ridgemont High („რიჯმონტ-ჰაის სკოლის მხიარული დღეები“ 1982) შედგა. ამ სერიალში მომავალში ისეთმა სახელგანთქმულმა მსახიობებმაც მიიღეს მონაწილეობა, როგორებიც არიან: ნიკოლას კეიჯი, შონ პენი, ენტონი ედვარდსი და ჯენიფერ ჯეისონ ლი. 1980-იან წლების ბოლოს, უითაკერმა ორ გახმაურებულ ფილმში: ოლივერ სტოუნის „ოცეულში“ (1986) და ბარი ლევინსონის სურათში — „დილა მშვიდობისა, ვიეტნამო“ (1987) მეორეხარისხოვანი როლები განასახიერა. 1988 წელს, კლინტ ისტვუდმა ახალგაზრდა მსახიობი 1940-50-იან წლების ცნობილი საქსოფონისტის ჩარლი პარკერის შესახებ შექმნილ ბიოგრაფიულ ფილმში Bird („ჩიტი“) მთავარ როლზე მიიწვია. ამ როლმა უითაკერს კანის კინოფესტივალის პრემია მოუტანა.

1990-იან წლებში მსახიობმა რამდენიმე გახმაურებულ ფილმში ითამაშა: ესენია: ნილ ჯორდანის სურათი The Crying Game („სასტიკი თამაში,“ 1992 წ.), რობერტ ოლტმანის Pret-a-Porte („მზა ტანსაცმელი, ანუ პრეტ-ა-პორტე“ 1994 წ.) და უეინ უენგის ფილმი Smoke („კვამლი“ 1994 წ.) განსაკუთრებით აღსანიშნავია ჯიმ ჯარმუშის სურათი — „ძაღლი-აჩრდილი: სამურაის გზა“ (1998 წ.). ფილმში „შოტლანდიის უკანასკნელ მეფე“ განსახიერებულმა უგანდის მმართველის, იდი ამინის როლმა ფორესტ უითაკერს მკაცრი კრიტიკოსების დადებითი შეფასება და „ოსკარი“ მოუტანა. როლში შესასვლელად მსახიობმა სუახილის ენა შეისწავლა, წონაში 20 კგ მოიმატა, აკორდეონზე დაკვრას დაეუფლა და უგანდაში იმოგზაურა, სადაც იდი ამინის რეჟიმის მსხვერპლთ და მისი მმართველობის თვითმხილველებს შეხვდა. აღსანიშნავია, რომ „მამაკაცის საუკეთესო როლის“ ნომინაციაში უითაკერის კონკურენტები იყვნენ: ლეონადრო დი კაპრიო („სისხლიანი ალმასი“), რაიან გოსლინგი („ნელსონის ნახევარი“), პიტერ ო'ტული („ვენერა“) და უილ სმიტი („ბედნიერების ძიებაში“).

ხულიო იგლესიასი თაყვანისმცემლებს კარგავს

გასულ კვირას პარაგვაის დედაქალაქ ასუნსიონში ცნობილი ესპანელი მომღერლის, ხულიო იგლესიასის კონცერტი გაიმართა, რომელსაც რეკორდულად მცირერიცხოვანი მსმენელი დაესწრო. 1200-ადგილიან დარბაზში მხოლოდ 600 ადამიანი იჯდა. „პარაგვაიელებო, ვერაფერი გამიგია! როდესაც უცნობი მომღერალი ვიყავი, ჩემს კონცერტებზე სიხარულით მოდიოდით, ახლა კი, როდესაც სახელი მოვიხვეჭე, მსმენელი არ ჩანს“, — ჩივის 63 წლის მომღერალი, რომელმაც პარაგვაიში ბოლო კონცერტი 20 წლის წინ გამართა. მისმა სიტყვებმა პარაგვაიელთა აღშფოთება გამოიწვია, რადგან კონცერტზე დასასწრები ბილეთების მინიმალური ფასი 150 დოლარი იყო. ეს თანხა კი ამ ქვეყნის მოქალაქეთა საშუალო ხელფასს ბევრად აღემატება. ■

ტექერემს სიფცვის — „ძუკნა“ სმარტმა ეკრძალომათ

ჰიპ-ჰოპის სფეროს გაშუქებისთვის შექმნილი ამერიკული ლეიბლის — Def Jam დამაარსებელს, რასელ სიმონსს არ სურს, რომ რეპერებმა უცენზურო სიტყვები იხმარონ. სიმონსმა მუსიკალური ინდუსტრიის წარმომადგენლებს მიმართა წინადადებით, რეპერებისთვის ზოგიერთი სიტყვის თანდათანობით აკრძალვის შესახებ. ლაპარაკია სინგლების და ალბომების ცენზურაზე, ანუ ე.წ. „სუფთა“ ვერსიაზე. ალბომებში შეტანისას, ხშირად სიმღერებიდან უცენზურო სიტყვებსა და გამოთქმებს იღებენ, მაგრამ დღესდღეობით რაიმე უნივერსალური სტანდარტი არ არსებობს.

სიმონსი ამბობს, რომ გამოთქმები, როგორებიცაა: bitch („ძუკნა“), nigger („ზანგუშკა“), ho („ბოზი“) „უკიდურესად უხეში გინებაა“ და ლექსიკიდან მათ ამოღებას და აკრძალვას მოითხოვს. ■

ჩევი ჩეიზის მწარე მავშვობა

ამერიკელმა კომიკოსმა ჩევი ჩეიზმა მწერალ რენა ფრუტჩერთან ერთად საკუთარი ავტობიოგრაფია დაწერა. წიგნი „მე ჩევი ჩეიზი ვარ, თქვენ კი — არა!“ მაღაზიების დახლებზე მიმდინარე თვეში გამოვა, მაგრამ ჩეიზმა გაზეთისთვის The NewYork Post მიცემულ ინტერვიუში, წარსული ცხოვრების ზოგიერთ საიდუმლოს ფარდა წინასწარ ახადა. „რაც თავი მახსოვს, დედაჩემის მუდამ მეშინოდა. მას დეპრესია ტანჯავდა; შეეძლო მთელი კვირა მათრახით ვეცემე. ვიცოდი, რომ ცუდად ვიქცეოდი, მაგრამ წარმოდგენაც კი არ მქონდა, სხვა ბავშვები დანაშაულისთვის ასე სასტიკად თუ არ ისჯებოდნენ“, — განაცხადა ჩევი ჩეიზმა და დასძინა, რომ დედას გარდაცვალების შემდეგაც ვერ აპატია ბავშვობაში გადატანილი ტანჯვა-წამება. ■

ხულიო სერ ენდონი ჰოპკინსი — ახალი მაქცია

საქვეყნოდ ცნობილმა მსახიობმა და რეჟისორმა სერ ენტონი ჰოპკინსმა განაცხადა, რომ მზადაა, საშინელებათა კლასიკური ფილმის — „ადამიანი-მგელი“ (The Wolf Man) რემეიქში ითამაშოს. „შესაძლოა, ამ სურათში ბენისიო დელ ტოროს გმირის მამის როლი ვითამაშო... ჩემი აგენტი ფიქრობს, რომ სცენარი შესანიშნავია“, — განაცხადა მსახიობმა, მაგრამ პროექტის დეტალებზე საუბარს თავი აარიდა.



ფილმს — „ადამიანი-მგელი“ ენდრიუ კევინ უოლკერის სცენარის მიხედვით რეჟისორი მარკ რომანეკი გადაიღებს, რომელსაც წარმატება ტრილერმა — „ფოტოსურათი 1 საათში“ მოუტანა (მთავარ როლში რობინ უილიამსი). ახალი სურათის პროდიუსერი ბენისიო დელ ტორო იქნება.

1941 წელს შექმნილი კლასიკური ფილმის გმირი, ამერიკელი ვიქტორიანული ეპოქის ინგლისში, წინაპართა მამულის მოსანახულებლად ჩადის. გზაში მას მაქცია უკბენს და მთავარი გმირი ნელ-ნელა მხეცად გადაიქცევა. ■

ინტიმური ტელეფონი

822-006-008
822-006-088
822-006-108

(ზარი ფასიანია)
18 წლიდან

ჯოდი ფოსტერი ჰიტლერის მუზის როლში მოგვევლინება

„ოსკაროსანი“ მსახიობი, რომელიც კარგა ხანია, ახალ ფილმში არ გვინახავს, მალე გერმანელ კინორეჟისორ ქალს, ლენი რიფენშტალს განასახიერებს. გაზეთ „გარდიანის“ ინფორმაციით, გადაღებები წლის დამლევისთვის დაიწყება. სცენარის ავტორად ბრიტანელი მწერალი რუპერტ უოლტერსი მოგვევლინება, ხოლო რეჟისორის ვინაობას 2-3 თვეში დაასახელებენ.

ლენი რიფენშტალი, მსოფლიოში ცნობილი გახდა როგორც მესამე რაიხის მხატვრულ სიმბოლოდ აღიარებული ფილმების — „ოლიმპია“ და „ნებისყოფის ტრიუმფი“ — შემქმნელი და ადოლფ ჰიტლერის სათაყვანებელ კინემატოგრაფისტად იყო მიჩნეული. მსოფლიო ომის შემდგომ, ის ნაცისტებისთვის ხელშეწყობის ბრალდებით დააპატიმრეს და 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. გათავისუფლების შემდეგ კინომოღვაწეობა ვერ გააგრძელა, რადგან სტუდიები ბოიკოტს უცხადებდნენ.

70-იან წლებში ის აფრიკაში გაემგზავრა, ფოტოხელოვნებას მიჰყო ხელი და აფრიკელი ხალხების ცხოვრების ამსახველი რამდენიმე მაღალმხატვრული ალბომი გამოუშვა. 2003 წელს, 101 წლის ასაკში გარდაიცვალა.

შეგახსენებთ, რომ ჯოდი ფოსტერი ორგზის „ოსკაროსანია“, ამერიკული კინოაკადემიის ჯილდო ფილმებში — „კრავთა დუმილი“ და „ბრალდებულები“ — ნათამაშები როლებისთვის მიიღო. ■

ნიკოლ კიდმანი — მერილინ მონროს საუკეთესო როლის შემსრულემელი

სტუდია — 20th Century Fox — კლასიკური ჰოლივუდური ფილმის — „როგორ გავთხოვდეთ მილიონერზე“ — რიმეიქის შესაქმნელად ემზადება. სცენარის დეტალებს საიდუმლოდ ინახავენ. ამჟამად მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ ფილმში მოქმედება დღევანდელ დროში იქნება გადმოტანილი და თვით სიუჟეტიც გათანამედროვებული იქნება. „დედანი“ 1953 წელს გადაიღეს და მასში განსახიერებულმა პერსონაჟმა ნაკლებად ცნობილი მერილინ მონრო ნამდვილ ვარსკვლავად აქცია. რიმეიქში ამ როლს ნიკოლ კიდმანი ითამაშებს. ამასთანავე, ის სურათის პროდიუსერადაც მოგვევლინება. ■

ბრიტნი კვლავ მედნიერია

ცნობილი გახდა ბრიტნი სპირსის საიდუმლოებით მოცული ბოიფრენდის სახელი, რომელსაც მომღერალი მალიბუს ნარკოკლინიკაში დაუახლოვდა. პოპპრინცესა მომღერალ ჰოუი დეის ხვდება, რომელიც მან მკურნალობის დროს გაიცნო, სულ მალე, ბრიტნი ახალ შეყვარებულთან ერთად საზოგადოების წინაშეც წარდგება. პოპის ვარსკვლავი აღფრთოვანებულია თავისი შეყვარებულით, რომლის სახელიც უკვე ყველა ტაბლოიდში დაიბეჭდა: დეის თვითმფრინავის ეკიპაჟის შეურაცხყოფა და სიმთვრალეში საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა ედებოდა ბრალად.

ბრიტნი და დეი პირველად ჩოგბურთის კორტზე ნახეს ერთად. მაშინ უცნობი ყმაწვილი და ბრიტნი ჩოგბურთის თამაშის შემდეგ პირდაპირ კორტიდან გაუჩინარდნენ. მათ მოსაძებნად გაგზავნილმა თანამშრომელმა წყვილი მოედნის მახლობლად, ბუჩქებში აღმოაჩინა. „როდესაც თვითონ ჰოუის ესაუბრება ან მის შესახებ ლაპარაკობს, ბრიტნი პირდაპირ ბედნიერებას ასხივებს. ფიქრობს, რომ დეი ძალზე ნიჭიერია. იმასაც ამბობს, რომ ჰოუის არაჩვეულებრივი კოცნა სცოდნია“... ■

მილა იოვოვიჩი ორსულადაა

მოდელი და მსახიობი მილა იოვოვიჩი ორსულადაა. ბავშვის მამა რეჟისორი პოლ ანდერსონია. ჟურნალს — Us Weekly ეს ცნობები მილას პრესმდივანმა მიაწოდა. 31 წლის იოვოვიჩმა და 42 წლის პოლ ანდერსონმა ერთმანეთი 2002 წელს ფილმის — „ბოროტების სავანე“ გადაღებებზე გაიცნეს. ერთი წლის შემდეგ კი მათ შორის სასიყვარულო რომანი გაჩაღდა. თავად მილა იოვოვიჩი ირწმუნება, რომ ახლო მომავალში გათხოვებას არ აპირებს. „ზოგჯერ ამის შესახებ ვლაპარაკობთ, მაგრამ ჯერ არაფერი გადაგვიწყვეტია“, — განაცხადა მსახიობმა და იქვე დასძინა, რომ ქორწილთან დაკავშირებით გეგმებს მაინც აწყობს. „იტალიაში მეგობარი მყავს, რომელიც უძველესი იტალიური საგვარეულოს შთამომავალი და ციხე-დარბაზის მფლობელია. იმედია, იქ ვიქორწინებთ“, — ამბობს მსახიობი. ■

კირსტენ დანსტს მარიხუანა ჰყვარდა!

მსახიობმა კირსტენ დანსტმა აღიარა, რომ მარიხუანის მოწევა უყვარს. მისი აზრით, სამყარო გაცილებით უკეთესი იქნებოდა, „ამ ბალახს ყველა რომ ეწეოდეს“. ფილმის „ადამიანი-ობობა“ ვარსკვლავს არც ის დაუმალავს, რომ მარიხუანის გარდა, სხვა ნარკოტიკებიც გაუსინჯავს. „ბევრს არ ვსვამ, მაგრამ ნარკოტიკები გამისინჯავს. „ბალახი“ მართლაც ძალიან მიყვარს. ჩემი დამოკიდებულება მარიხუანის მოხმარების შესახებ, აშშ-ის ოფიციალური პოზიციისგან განსხვავებულია. ჩემი საუკეთესო მეგობრის, საშას მამა — ასტრონომი კარლ საგანი მსოფლიოში ყველაზე თავგადაკლული „ბალახის მწეველი“ იყო, მაგრამ ის გენიოსი გახლდათ: მარიხუანაზე დამოკიდებული არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ მეჩვენება, რომ „ბალახისადმი“ ამერიკელთა დამოკიდებულება სასაცილოა. ყველა რომ ეწეოდეს, სამყარო ბევრად უკეთესი გახდებოდა. იმას კი არ ვამბობ, რომ მთელი დღე გაბრუებული უნდა დადიოდე... ვფიქრობ, „ბალახი“ სათანადოდ არ გამოიყენება, მაშინ, როცა მას ადამიანის გათავისუფლება და მისი შემოქმედებითი პოტენციალის გახსნა ძალუძს“, — განუცხადა 24 წლის მსახიობმა გამოცემა The Sun-ის ჟურნალისტს.

აღსანიშნავია, რომ დანსტი მარიხუანის მოყვარული ერთადერთი ვარსკვლავი როდია. ამას წინათ, პაპარაცებმა ჰავაის კუნძულ კაუაისზე კემერონ დიასი და დრიუ ბერიმორი სწორედ იმ დროს გამოიჭირეს, როდესაც მეგობრები „თვითნაკეთ სიგარეტს“ ტკბილად აბოლებდნენ. სწორედ ამ დროს წამოადგათ თავს ერთ-ერთი ტაბლოიდის პაპარაცი. ფოტოსურათზე თვალნათლივ ჩანს, რომ დრიუ მეგობარს მოკიდებულ სიგარეტს უწვდის, ის კი აქეთ-იქით იყურება, რათა დარწმუნდეს, რომ მათ არავინ უთვალთვალებს. ■

რუბრიკა მოამზადა ნატო მანჯავიძემ

სტალინის მკვლელები

XX საუკუნის მთავარი საიდუმლო

დასაწყისი იხ. „გზა“ №14-17

„ეჭვგარეშეა, რომ სტალინი მოკლეს სულ ცოტა, იმით მაინც, რომ საჭირო სამედიცინო დახმარება არ აღმოუჩინეს, — წერს ისტორიკოსი იური მუხინი იმ თავის დასკვნით ნაწილში, რომელიც „გზის“ წინა ნომერში შემოგთავაზეთ და დასძენს: — მაგრამ მართლები არ ვიქნებით, თუ ამ დასკვნაზე შევჩერდებით და შევწყვეტთ გამოძიებას, რადგან პარტნომენკლატურის „უცნაური“ ქცევა სტალინის სიკვდილამდე, მისი სიკვდილის შემდეგ და გორბაჩოვისა და ელცინის მმართველობის დროს საშუალებას გვაძლევს, უფრო გაბედული დასკვნა გამოვიტანოთ — სტალინი მოწამლეს. ამიტომ მოდით, გავაგრძელოთ მისი მკვლელობის საქმის გამოძიება“.

ნომენკლატურის მიერ სტალინის მკვლელობის ფაქტის დაფარვა

დავუბრუნდეთ წინა საუკუნის 40-იანი წლების დასასრულსა და 50-იანი წლების დასაწყისს. შეგახსენებთ, რომ ზუსტად ომის წინ დაიწყეს საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა კომისარიატის სამ უწყებად დაყოფა. მანამდე ეს ორგანო სამძებრო საქმიანობის ყველა სახეობას, დაზვერვას და კონტრდაზვერვას აერთიანებდა. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს გამოეყო ორგანოები, რომლებიც აწარმოებდნენ კონტრდაზვერვას ჯარში. თავიდან მათ განსაკუთრებული განყოფილებები ერქვა და თავდაცვის სახალხო კომისარიატის დაქვემდებარებაში იმყოფებოდნენ. ომის მსვლელობისას მათ „სიკვდილი ჯაშუშებს!“ (Смерть шпионам, შემოკლებით - Смерш) უწოდეს. მილიცია, მესაზღვრეები, შინაგანი ჯარები, ბანაკები და მათთან დაკავშირებული საწარმოები შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დაქვემდებარებაში დარჩნენ. დაზვერვის, კონტრდაზვერვისა და სახელმწიფო დანაშაულებათა გამოძიების სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატში გადატანა იგეგმებოდა, მაგრამ ომმა ეს დაყოფა შეაჩერა და ის ფაქტობრივად, 1943 წელს განხორციელდა. მაშინ ბერია შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს ხელმძღვანელობდა, მის „საქმეზე“ 1953 წელს მოკლული მერკულოვი — სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატს, ხოლო „სმერში“ აბაკუმოვის ხელმძღვანელობის ქვეშ იმყოფებოდა.

ვიქტორ აბაკუმოვი

ომის შემდგომ, ბერია პოლიტბიუროს წევრად აირჩიეს, ამასთანავე, ის ატომურ პროექტს ხელმძღვანელობდა და ალბათ ამიტომ გაათავისუფლეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის თანამდებობიდან. ამ დროს მერკულოვიც გაათავისუფლეს სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისრის პოსტიდან, ხოლო საბჭოთა კავშირის ყველა სახალხო კომისარიატი სამინისტროდ გადაკეთდა.

ახლა უკვე არა სახალხო კომისარიატებში, არამედ სამინისტროებში ბერიას თანამდებობას კრუგლოვი იკავებს, ხოლო მერკულოვისას — აბაკუმოვი.

უცნობია, თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდა ბერიას აბაკუმოვთან (რომელიც მისი ყოფილი ხელქვეითი იყო), მაგრამ მოვლენების შემდგომი განვითარებით თუ ვიმსჯელებთ, სახელმწიფო უშიშროების მინისტრად აბაკუმოვის დანიშვნა ლავრენტი პავლოვიჩის ინიციატივით როდი მოხდა, რაც იმით დასტურდება, რომ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ბერიასა და სახელმწიფო უშიშროების მინისტრს აბაკუმოვს შორის პრაქტიკულად უმალ იჩინა თავი უთანხმოებამ. ეს უთანხმოება მეტისმეტად დიდ მასშტაბებს ვერ მიიღებდა, რადგან ბერია პასუხს არ აგებდა ქვეყნის ძალოვან სტრუქტურებზე, ხოლო ატომური პროექტის განსახორციელებლად საჭირო დაზვერვასა და კონტრდაზვერვას, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს შესაბამისი განყოფილებები მისი უშუალო ხელმძღვანელობით აწარმოებდნენ.

მიუხედავად ამისა, ისტორიკოსებმა აი, ასეთი ყურადსაღები ფაქტები შეკრიბეს: ბერია, გარდა იმისა, რომ საბჭოთა კავშირის მარშალი იყო, ასევე გახლდათ უკანასკნელი მათ შორის, ვისაც პერსონალურად ჰქონდა მინიჭებული სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისრის წოდება, რომელიც მარშლისას უტოლდებოდა და ამიტომ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს შენობაში მას კაბინეტიც ეკუთვნოდა. მაგრამ აბაკუმოვმა გასცა ბრძანება, ბერიას კაბინეტიდან მდივანი მოეხსნათ და კაბინეტის დალაგებაც შეეწყვიტათ. ბუნებრივია, ბერიამ იქ სიარული შეწყვიტა და როცა მისი მკვლელობის შემდეგ ამ კაბინეტში შევიდნენ, რათა ჩხრეკა ჩაეტარებინათ, ის სულ აბლაბუდებით იყო სავსე. აი, ასეთი იყო აბაკუმოვის მიერ ჩადენილი საქციელი, თითქოსდა წვრილმანი, მაგრამ საკმაოდ ყურადსაღები სისაძაგლე!..

როცა ბერიას მკვლელობის შემდეგ აბაკუმოვი იმაში დაადანაშაულეს, თითქოს ისიც „ბერიას ბანდის“ წევრი იყო, აღშფოთებული პატიმარი ცდილობდა, ყველასთვის შეეხსენებინა, რომ ის და ბერია ერთმანეთის ისეთი მტრები იყვნენ, რომ ბერიას ერთხელაც არ მიუწვევია ის თავის წვეულებაზე, რომელსაც ქართული სუფრული ხელგაშლილობით მთავრობისა და ცეკას წევრი ამხანაგებისთვის სისტემატურად მართავდა.

ის ისტორიკოსები, რომლებიც უფრო დაწვრილებით ჩასწვდნენ ბერიასა და აბაკუმოვის საქმეებს, ერთსულოვნად აღნიშნავენ ამ მტრობის ფაქტს, მაგრამ უჭირთ მისი მიზეზების რომელიმე ვერსიის დასახელება. მართლაც, აბაკუმოვისთვის ბერია არა უშუალო, მაგრამ მაინც ძალზე დიდი უფროსი გახლდათ. მაშ, რა საჭირო იყო უმიზეზოდ მასთან მტრობა? თვითონ აბაკუმოვის კარიერის თვალსაზრისითაც, ეს უგუნურება იყო — მას ხომ თანამდებობაზე პოლიტბიურო ნიშნავდა, ბე-

რია კი 1946 წლის მარტში სწორედ პარტიული ხაზით დააწინაურეს და ამ ორგანოს 11 წევრიდან ერთ-ერთი გახდა. რაში სჭირდებოდა აბაკუმოვს პოლიტბიუროში ისეთი ადამიანის ყოლა, რომელიც მისდამი მტრულად განწყობილი იქნებოდა?

ვფიქრობ, აქ საქმე აი, რაშია. საბჭოთა კავშირის პარტიულ და სამეურნეო მუშაკებს შორის ფარული ანტაგონიზმი არსებობდა, რომლის შემჩნევაც ძალზე ძნელი იყო იმის გამო, რომ სამეურნეო მუშაკები პარტიულ მუშაკებზე დაქვემდებარებული გახლდნენ. მაგრამ ეს ანტაგონიზმი მით მეტი იყო, რაც უფრო „მეტად პარტიელი“ იყო პარტიელი — ანუ ფორმალური მოლაყბე, რომელიც საქმეს გაურბოდა, და რაც უფრო კარგი მეურნე იყო სამეურნეო მუშაკი — ანუ რაც უფრო ერთგული იყო იგი საქმისადმი.

ის, რომ ბერია, როგორც ნებისმიერი მეურნე, პარტიელებს ისე უყურებდა, როგორც უსაქმურებს, ჯერ კიდევ არ იყო ყველაზე დიდი უბედურება. მაგრამ ის არა მარტო მიიჩნევდა მათ უსაქმურებად, არამედ ცდილობდა, ეიძულებინა ისინი, ემუშავათ და ამას ისინი დანაშაულად აღიქვამდნენ. ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის ივლისის პლენუმზე, რომელზეც ბერიას დაგმობა მოხდა, ვერ მოასწრო გამოსვლა სტალინის ყოფილმა თანაშემწემ პოსკრებიშევმა, მაგრამ მან ცენტრალურ კომიტეტს გადასცა თავისი გამოსვლის ტექსტი ბერიას „დანაშაულებათა“ შესახებ. მათგან ყველაზე საშიში ასეთი იყო: *„მისი ინიციატივით შემოღებულ იქნა ისეთი პრაქტიკა, როცა მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებებში შეჰქონდათ პუნქტები, რომლებშიც ავალდებულებდა პარტიულ ორგანიზაციებს, შეესრულებინათ მინისტრთა საბჭოს ესა თუ ის დავალება. ასეთი დავალებები, რომლებიც ცენტრალური კომიტეტის მიერ არაა მიღებული, პარტიის ხელმძღვანელ როლს ასუსტებს“.*



ბუდიონი, ბერია და მალენკოვი მავზოლეუმის ტრიბუნაზე

...ამრიგად, აბაკუმოვს არ იწვევდნენ სამეურნეო მუშაკებთან ერთად ბერიას მიერ გამართულ სუფრაზე იმ მიზეზით, რომ აბაკუმოვს საკუთარი — ლენინგრადელ პარტიულ მუშაკთა კომპანია ჰქონდა. ჰოდა, მის თანამეინახეებს რომ მოსწონებოდა, მან წინასწარგანზრახვით გაიფუჭა ურთიერთობა ბერიასთან. სუდოპლატოვი ირწმუნება, რომ სახელმწიფო უშიშროების მინისტრად აბაკუმოვის დანიშვნისთანავე, მან ბერიაზე სისხლის სამართლის საქმის აღსაძრავად საკმარისი კომპრომატის შესაგროვებლად ზრუნვა დაიწყო. ბერიას ავტორიტეტი სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში იმდენად დაეცა, რომ მისი პირადი მცველი, პოლკოვნიკი სარქისოვი აბაკუმოვთან გამოცხადდა და საკუთარი შეფის „ჩაშვების წინადადებით“ მიმართა მას. — მიმართა მას.

ბელადის პირადი მცველი

სტალინისთვის სიკვდილის მუქარა განუწყვეტლივ მატულობდა იმის გამოც, რომ ზნეობრივად სრულიად გაიხრწნა მისი დაცვის უფროსი ვლასიკი.

არა, ვლასიკს სტალინისთვის, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, არ უღალატია. მის გამყიდველობას მას შემდეგ, რაც მისი მოგონებები წავიკითხე, ვერ დავიჯერებ. ეს მოგონებები მაშინ დაიწერა, როცა საბჭოთა კავშირში ყველა ჯურის ფინია ცდილობდა, ქვა ესროლა სტალინისთვის და ვლასიკი მას მაინც იცავდა! არც ერთი ცუდი სიტყვა სტალინზე არ დაუწერია. წარმოუდგენელია, რომ ადამიანი მკვლელობას ამზადებდეს, შემდეგ კი, როცა მსხვერპლზე მხოლოდ ცუდის თქმაა დაშვებული, არც ერთი აუგი სიტყვა არ თქვას. ვფიქრობ, ასე არ ხდება — სტალინისადმი ვლასიკის დამოკიდებულება სუფთაა.

მიუხედავად ამისა, თავისი სამსახურებრივი, საქმიანობის დასასრულისთვის მან ადამიანის სახე დაკარგა და სტალინი ისე გაყიდა, რომ თვითონაც ვერ მიმხვდარა ამას, რადგან პირუტყვად იქცა. ჰოდა, როგორც ნებისმიერ პირუტყვს, მასაც უყვარდა ხარახურა ნივთები, თუმცა — მაინც ნაკლებად, ვიდრე ვთქვათ, იგივე აბაკუმოვს. ვლასიკს სხვა ჰობი ჰქონდა — სექსუალური გამარჯვებები. როცა სასამართლო სხდომაზე თავმჯდომარემ მის მეგობარს — სტენბერგს ჰკითხა, ვლასიკის რამდენ ქალს იცნობდა, სტენბერგს პასუხის გაცემა გაუჭირდა:

„მიჭირს იმის თქმა, თუ რამდენ ქალთან ჰქონდა ინტიმური ურთიერთობა, რადგან ხშირად ხდებოდა, რომ მის აგარაკზე ჩვენი შეყრისას ის ამა თუ იმ ქალთან სხვა ოთახში განმარტოებულა. თუმცა რას აკეთებდნენ ისინი იქ, ჩემთვის უცნობია“.

მოდი, პატივი ვცეთ იმ დროის ზნეობრივ ჩვევებს: როგორც ხედავთ, ვლასიკი „ჯგუფურ სექსს“ არ მისდევდა, მაგრამ არც მიმზიდველ შანსს უშვებდა ხელიდან. სტენბერგმა სასამართლოზე უჩვენა:

„უნდა ვთქვა, რომ ვლასიკი მორალურად გახრწნილი ადამიანია. ის ბევრ ქალთან ცხოვრობდა, კერძოდ — ნიკოლაევასთან, რიაზანცევასთან, დოკუკინასთან, ლოკტიონოვასთან, სპირინასთან, ვეშჩიცკაიასთან, გრადუსოვასთან, ავერინასთან, ვერა ვ-სთან.

ვფიქრობ, ვლასიკს ასევე ინტიმური ურთიერთობა ჰქონდა: შჩერბაკოვასთან, დები გოროდნიჩევებთან, ლუდასთან, ადასთან, სონიასთან, კრუგლიკოვასთან, სერგეევასთან, მის დასთან და სხვებთან, ვისი სახელებიც აღარ მახსოვს.

რადგან ჩემთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა, ვლასიკი გვათრობდა მე და ჩემს ცოლს და შემდეგ ცხოვრობდა მასთან, რაშიც თვითონვე გამომიტყდა, როცა მოგვიანებით ციინიკურად მიამბო ამის შესახებ“.

როდესაც მოსამართლე დაეჭვდა — ასეთი დატვირთვისას, ვლასიკი მთავრობის დაცვასაც როგორ ასწრებდა, — ბელადის პირადმა მცველმა ნაწყენი ტონით უპასუხა: *„სამსახურს რაც შეეხება, მუდამ ადგილზე ვიყავი. სმა და ქალებთან შეხვედრები ჩემი ჯანმრთელობისა და თავისუფალი დროის ხარჯზე ხდებოდა. ვაღიარებ, რომ ბევრი ქალი მყავდა“.*

მაგრამ ვლასიკი, იმის ნაცვლად, რომ თავი ემტვრია მთავრობის დაცვის საზრუნავზე, საყვარელი ქალების სიიდან მორიგი პაემნისთვის ერთ-ერთის არჩევით იყო დაკავებული, — ეს კიდევ არცთუ ისეთი დამღუპველი რამ გახლდათ. გაცილებით დიდი უბედურება ის იყო, რომ ბელადის პირადი მცველი ლაპარაკობდა და აკეთებდა ისეთ რაღაცებს, რაც უბრალოდ დანაშაული იყო მისი თანამდებობის კაცისთვის. ამ ქცევის დანაშაულებრივი არსის დასანახავად მოვიყვან ორ მაგალითს იმისას, თუ როგორ ხდება სახელმწიფოს მეთაურზე თავდასხმა. გთავაზობთ ამონარიდებს კოლპაკიდისა და პრუდნიკოვას წიგნიდან „ორმაგი შეთქმულება“:

„იაპონიის გენერალური შტაბი უკვე დიდი ხანი იყო, რაც სტალინის ლიკვიდაციის იდეით იყო შეპყრობილი. მაგრამ შესაფერისი მომენტი არ ჩაუვარდა ხელში. ამის შესაძლებლობა 1938 წლის ზაფხულში გაუჩნდა — საზღვარი გადალახა და იაპონელებს ჩაჰბარდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის შორეული აღმოსავლეთის სამმართველოს უფროსი ჰენრიხ ლიუშკოვი — კაცი, რომელმაც კარგად იცოდა რუსეთში არსებული მდგომარეობა და მთელი არსებით სძულდა სტალინი. მალე იაპონიის გენერალური შტაბის უფროსმა დაამტკიცა ოპერაციის გეგმა კოდური სახელწოდებით „დათვი“.

ოპერაცია უნდა განეხორციელებინა ჯგუფს, რომლის შემადგენლობაშიც ემიგრანტული „რუს პატრიოტთა კავშირის“ ექვსი წევრი შევიდოდა. მათი გვარებია: ბეზიმენსკი, ლებედენკო, მალხ-

აკი, სმირნოვი, სურკოვი და ზელენინი. მათ უნდა გადაელახათ საბჭოთა კავშირის საზღვარი და სოჭში შეეღწიათ. სტალინს მაცესტაში სამკურნალო აბაზანების მიღება უყვარდა და ამ დროს სააბაზანოში მარტო იმყოფებოდა ხოლმე. ლიუშკოვი თავის დროზე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის აზოვი-შავი ზღვის სამმართველოს უფროსი გახლდათ და უწვრილეს დეტალებამდე იცოდა „განბანის“ მთელი რიტუალი და თავდასხმის გეგმა ამის გათვალისწინებით მოამზადა.

ღამღამობით სააბაზანო კორპუსში წყლის ნაკადს ამცირებდნენ, წყლის დონე იკლებდა და წყალსადინრის საშუალებით წყლის მიწისქვეშა რეზერვუარამდე მიღწევა შეიძლებოდა. მისი სიმაღლე დაახლოებით სამ მეტრამდე აღწევდა. ჭერის კუთხეში ლიუკი იყო, რომლიდანაც შეაღწევდი საწყობში, სადაც ცოცხები, ჩვრები და დამლაგებლების სხვა ინვენტარი ინახებოდა. ასე შეიძლებოდა სააბაზანო კორპუსში შეღწევა. საბოილეროში ორი

პაველ სუდოპლატოვი

ტექნიკოსი მუშაობდა. სწორედ ისინი უნდა შეეცვალათ ტერორისტებს.

ჩანჩუნის ბანაკში სააბაზანო კორპუსის მაკეტი დაამზადეს. ტერორისტები მექანიზმებთან მუშაობას ითვისებდნენ, რათა არავის აღძვროდა ეჭვი, რომ „ტექნიკოსები“ სულაც არ იყვნენ ტექნიკოსები. მაცესტაში სტალინის ჩასვლის შემდეგ, ორ მათგანს, ტექნიკოსის ხალათში ჩაცმულს, ლიუკი უნდა გაეღო და დანარჩენებიც შეეშვა. შემდეგ გათვალისწინებული იყო დაცვის ლიკვიდაცია და მხოლოდ ამის შემდეგ — სტალინის მოკვლა. ყველაფერი წვრილმანებამდე იყო შემუშავებული. რეპეტიციებზე ათიდან ცხრა შემთხვევაში, დაცვა რეაგირებას ვერ ასწრებდა. ჯგუფის უკან დაბრუნება არ იგეგმებოდა — ყველა ტერორისტი სასიკვდილოდ იყო განწირული.

იანვრის დასაწყისში ჯგუფმა გემით — „აზია-მარუ“ — ნეაპოლისკენ აიღო გეზი. 17 იანვარს გემი უკვე ნეაპოლში იყო, 19 იანვარს — სტამბოლში. 25 იანვარს ტერორისტები მიუახლოვდნენ საზღვარს სოფელ ბორჩკასთან. მაგრამ როცა „ბოევიკები“ შევიდნენ იმ მთის ნაპრალში, საიდანაც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოხვედრა იყო გათვალისწინებული, მათ ტყვიამფრქვევიდან ცეცხლი გაუხსნეს. სროლამ სამი ტერორისტი შეიწირა, დანარჩენები გაიქცნენ. იაპონელებმა ოპერაციის ჩავარდნის მიზეზები ვერაფრით დაადგინეს“.

ამ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა ვერსია არსებობს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ იმ წლებში საზღვრებზე ნამდვილი ომი იყო გაჩაღებული სხვადასხვა ბანდასთან (სწორედ მაშინ ჩამოყალიბდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ჯარი).

...ოცი წლის განმავლობაში, 1921 წლის თებერვლიდან 1941 წლის თებერვლამდე, საერთო ჯამში დააკავეს სახელმწიფო საზღვრის 932 ათასი დამრღვევი, რომელთა შორის 30 ათასზე მეტი ჯაშუში, დივერსანტი და ტერორისტი აღმოჩნდა. სასაზღვრო ჯარებმა მოახდინეს 1319 შეიარაღებული ბანდის ლიკვიდაცია, რომლებშიც 40 ათასზე მეტი ბანდიტი იყო გაერთიანებული. საზღვარზე დაკავებულ იქნა კონტრაბანდა, რომლის საერთო ღირებულებამაც 132 მილიონ მანეთს გადააჭარბა. გარდა ამისა, ამოღებულ იქნა 2363 კილოგრამი ოქრო და 3904 კილოგრამი ვერცხლი, ბევრი სხვა ძვირფასეულობაც. განადგურებულ იქნა 7 ათასზე მეტი დამრღვევი. მესაზღვრეებს შორის მსხვერპლმა 2443 კაცი შეადგინა. ასე რომ, გამორიცხული არ არის, რომ იმ წლებში მესაზღვრეები ჯერ ისროდნენ და მხოლოდ შემდეგ გაიძახოდნენ: „სდექ! ვინ მოდის?“

ახლა კი, მეორე მაგალითი: როგორ იყო ორგანიზებული თავდასხმა ჰიტლერზე. ფიურერი ყოველწლიურად გამოდიოდა პარტიის ძველი წევრების წინაშე ერთსა და იმავე დღესა და ერთსა და იმავე დროს იმ ლუდხანაში, სადაც საფუძველი ჩაეყარა ნაცისტურ მოძრაობას. ტერორისტმა ამ ლუდხანის მორიგი რემონტისას, ერთ-ერთ შიდა კოლონაში საათის მექანიზმით აღჭურვილი ასაფეთქებელი ნივთიერება ჩაამონტაჟა. მაგრამ იმ წელს ჰიტლერმა, გადაუდებელი საქმეების გამო, ტრადიციული შეხვედრა ჩვეულ დროზე ადრე ჩაატარა და ლუდხანიდან აფეთქებამდე 20 წუთით ადრე გავიდა.

თუ კარგად ჩაუფიქრდებით როგორც პირველ, ისე მეორე მაგალითს, უთუოდ მიაქცევთ ყურადღებას იმას, რომ ტერაქტის ჩაფიქრებაც კი შეუძლებელია, თუ წინასწარ არ არის ცნობილი, თუ რომელ ადგილზე გამოჩნდება ქვეყნის მეთაური სამსახურისა და საკუთარი საცხოვრებლის ფარგლებს გარეთ (რადგან იქ მისი ხელში ჩაგდება ძალზე ძნელია).

ვლასიკი კი თავის ქალებს ბილეთებს ურიგებდა და თვითონვე დაატარებდა ყველა თეატრისა და სტადიონის სამთავრობო ლოჟებში. ბუნებრივია, ამ ქალბატონებს მართლაც ჰქონდათ ერთმანეთთან სატრაბახო, მაგრამ ვლასიკი ხომ, თავისი დოყლაპიობის გამო, იმ ობიექტების შესახებ ცნობებს ამჟღავნებდა, რომელთა შესახებაც უცხო პირებს არავითარ შემთხვევაში არაფერი უნდა სცოდნოდათ. მის ქალებს კი საშუალება ჰქონდათ, უცხოელებს დაჰკავშირებოდნენ — ე.ი. გამორიცხული არ იყო, რომ ვლასიკი მნიშვნელოვანი ინფორმაციის წყარო ყოფილიყო ტერორისტებისთვის, თანაც ისე, რომ თვითონ არც კი სცოდნოდა ამის შესახებ. ამას, სხვათა შორის, დანაშაულებრივი გულგრილობა ჰქვია და ვლასიკი მადლიერი უნდა ყოფილიყო იმისთვის, რომ მხოლოდ 10 წელი მიუსაჯეს და ისიც — არა ბანაკში, არამედ — გადასახლებაში მოხდით.

მაგრამ მე სხვა რამ უფრო მაინტერესებს. ვლასიკის მოგონებებიდან აშკარად იკვეთება, რომ ვიღაც-ვიღაცები გამუდმებით ცდილობდნენ, ის ან ჩამოეშორებინათ სტალინისთვის, ან ეიძულებინათ, რაიმე დანაშაულებრივი ქმედება ჩაედინა. ამასთან, თვითონ ვლასიკს, როგორც ჩანს, ეს არ ესმოდა. აი, მაგალითად, რას ჩიოდა ის:

„1948 წელს აგარაკ ბლიჟნაიას კომენდანტი ფედოსეევი დააპატიმრეს. გამოძიებას აწარმოებდა სეროვი, ბერიას ხელმძღვანელობით. მას ფედოსეევისგან აღებული ჰქონდა ჩვენება, თითქოს მე სტალინის მოწამვლა მინდოდა. სტალინი ამაში დაეჭვდა და ამ ცნობის პირადად შესამოწმებლად ფედოსეევი გამოიძახა დასაკითხად. ფედოსეევმა თქვა, რომ ეს სიცრუეა და რომ ამაზე ხელის მოწერა ცემით აიძულეს. მან სტალინს შესჩივლა, რომ სცემდნენ. ამ საქმის შემდეგ ეს საქმე შინაგან საქმეთა სამინისტროს, ე.ი. ბერიას ჩამოართვეს და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში პირადად აბაკუმოვს გადასცეს“.

ჯერ ერთი, ამ შემთხვევაში ვლასიკი, როგორც ეს იმ დროს შეეფერებოდა, ყველაფერს ბერიას აბრალებს, თუმცა ბერიას მაშინ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა. შინაგან საქმეთა მინისტრი კრუგლოვი იყო, მისი პირველი მოადგილე სეროვი კი ხრუშჩოვის ძველი მეგობარი გახლდათ. ისიც, რომ ფედოსეევს სცემდნენ, სრული სიცრუეა. საეჭვოა, ვინმეს გაებედა, მთავრობის დაცვის უფროსის წინააღმდეგ „შეეკერა“ საქმე. უბრალოდ, სეროვი გარკვეული დოზით ფედოსეევის ჩვენებას ამახინჯებდა და აქცენტები ვლასიკის რაღაც ყბედობასა ან მისი ქცევის არასწორ ინტერპრეტაციაზე გადაჰქონდა. რატომ? ზედმეტ სიფხიზლეს იჩენდა? საეჭვოა: სეროვის საქციელს ეს არ ჰგავს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

29-30 აპრილს ვაკის „თეატრალურ სარდაფში“ რომა რცხილაძე განახლებული ბენდითა და „სპილო გრაბის“ სახელწოდებით წარდგა მაყურებლის წინაშე. გრაბი ფსევდონიმად აიღო, უცხოელი მსმენელისთვის ადვილად გამოსათქმელი რომ ყოფილიყო („გრაბ“ ინგლისურად რცხილას ნიშნავს). „ციცინათელას“, ანსამბლ „75“-ს, „დიელოს“, „ნატკრის ხესა“ და „ივერიას“ ახლა „რომა გრაბი“ ჩაანაცვლებს. ორწლიანი მუშაობის შემდეგ, მუსიკოსებმა სარეკლამო კომპანია TBC-TV-ისგან ბენდის „პატრონობაზე“ შემოთავაზება მიიღეს. ამგვარად იქცა სპილოს ბენდი TBC-TV-ის ბენდად. სულ მალე კი ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში კომპანიის საავტორო პროექტი გავა, რომელსაც მუსიკალურად სპილოს ბენდი გააფორმებს.

კონცერტის სამზადისში მყოფ მუსიკოსსა და მის პროდიუსერს რეპეტიციაზე ვესტუმრე და ექსკლუზიური ინფორმაციებიც მოვიპოვე.

სპილოს ახალი ბენდი, ფიუჟენის მოყვარულთა „მობილიზაცია“ და ტელეშოუ – „ცხოვრება მშვენიერია!“

მაია ღუღუნიშვილი

რომა რცხილაძე:

— არაჩვეულებრივი მუსიკოსები შევკრიბე. მზადდება ახალი მასშტაბური რეპერტუარი, გვაქვს დიდი გეგმები, რომლებიც ჩვენს ერთგულ მსმენელზეა გათვლილი. ჩვენ უკვე არა მარტო ბენდი ვართ, არამედ ძალზე სერიოზული ორგანიზაციის სახეს წარმოვადგენთ, გვყავს პროდიუსერი — ბატონი ზურა დვალი. ზუსტად ის ფორმატია დაცული, რომელიც ჯაზროკს სჭირდება. სამომავლოდ დიდი პერსპექტივები გვაქვს, ეს ყველაფერი ჩვეულებრივი პროცესია. ახლა უკვე ვიცი საკუთარი ფუნქციები, ვემსახურები ჩემს მუსიკას, რომელსაც საკმაოდ სერიოზულად „შეფუთავს“ ადამიანთა ჯგუფი. ისინი ამ საქმის პროფესიონალები არიან. ამიერიდან, ჩემს ცხოვრებაში ახალი ეპოქა იწყება. ახლა ვიგრძენი, თუ რა არის ნამდვილი შემოქმედება, ამიტომ შემიძლია, ჩემს ბიჭებთან ერთად ყველაფერი თავიდან დავიწყო.

— ალბათ ახლა უკვე, თქვენ მუსიკით მეტის თქმის საშუალება მოგეცემათ...

— რა თქმა უნდა. რაც აქამდე მითქვამს, იმის მიხედვით ჩემმა მსმენელმა კარგად იცის, რომ რომა რცხილაძეს ანუ სპილოს, საკუთარი ადგილი აქვს მუსიკალურ სამყაროში. თავს არ ვაძლევდით უფლებას, ამბიციურები ვყოფილიყავით, ვფიქრობ, მალე ამის საფუძველი გვექნება,

ეს არის ჯაზ-როკი, ფიუჟენი, პანკი

რადგან ძალზე ხმამაღლა ვაპირებთ ჩვენი სათქმელის თქმას. თუმცა დროს ნუ გავუსწრებთ.

— კონკრეტულად რა ცვლილებები შეიტანეთ რეპერტუარში და იმ ჟანრზე რას იტყვით, რომელსაც მისდევთ?

— ეს არის ჯაზ-როკი, ფიუჟენი, პანკი. ყველაფერი ერთ მიმდინარეობადაა გაერთიანებული, რომელსაც ფიუჟენი ჰქვია.

დღეს სხვა ხმა და ჟღერადობაა, დროს არ უნდა გაუსწრო, დროს უნდა დახვდე...

ჩვენ ორი წელია, ერთად ვართ, არც ერთმანეთისთვის გვიღალატია და არც ჩვენი მუსიკისთვის. ამ ხნის მანძილზე სერიოზულად ვიმუშავეთ და რეზულტატიც გვაქვს. ვნახოთ, ხალხი როგორ შეაფასებს. რაც შეეხება რეპერტუარს, — ძირითადად ძველ კომპოზიციებს ვასრულებთ, ოღონდ განახლებული ინტერპრეტაციით; იწერება ახალი ნაწარმოებები, რომლებსაც პერიოდულად წარვუდგენთ მსმენელს.

— ნაწარმოებებს თქვენ დაწერთ?

— ამ ეტაპზე მხოლოდ მე ვწერ. ვაპირებთ, რომ რეპერტუარი კლასიკური ჯაზით შევავსოთ. ჩვენი რეპერტუარი ნებისმიერ მსმენელზე იქნება გათვლილი.

— ქართულ შოუბიზნესში შექმნილი გაურკვეველი მდგომარეობა ხელს ხომ არ შეუშლის თქვენს შემოქმედებით საქმიანობას? სერიოზული კონცერტები თითქმის აღარ იმართება...

— ეს ყველაფერი მაშინ მოგვარდება, როცა გემოვნებიან მუსიკას მივაწვდით საზოგადოებას. მერწმუნეთ, ჩვენ სწორედ იმისთვის ვშრომობთ, რომ ეს პროცესი დაიწყოს. დიდი ხანია, ამ საქმეს ვემსახურები და ვიცი — თუ გულწრფელი ხარ იმაში, რასაც აკეთებ, შრომა აუცილებლად დაგიფასდება.

— კი, მაგრამ ეს ხომ ის ჟანრია, რომელსაც მრავალრიცხოვანი მსმენელი არ ჰყავს?

— ჰყავს, თანაც — ძალიან ბევრი, უბრალოდ, ჩვენ არ ვაწვდით სწორად და იმ დოზით, როგორითაც საჭიროა. თუ სწორი პიარკამპანია გაეწევა, აუცილებლად ეყოლება მსმენელი. მე ვიცი, რომ თბილისში არსებობს მრავალრიცხოვანი არმია, რომელიც ამ მუსიკის მოყვარულია და ისინი ჩვენგან სიახლეს ელიან. ჯაზ-როკის ენერგეტიკა ჯერ კიდევ ანსამბლ „75“-დან მოდის და დღემდე ვითარდება, ეს ერთი ეტაპი იყო, რომელიც უკვე დასრულდა. დღეს სხვა დროა და სხვანაირი ხელშეწყობა უნდა. დღეს სხვა ხმა და ჟღერადობაა, დროს არ უნდა გაუსწრო, დროს უნდა დახვდე... ეს ის მუსიკაა, რომელსაც დრო ვერაფერს აკლებს.

— ბატონო ზურა, რამ განაპირობა თქვენი და „რომა გრაბის“ ბენდის ტანდემი?

ზურა დვალი, *ბენდის პროდიუსერი:*

— შეიძლება, დღეს ფუფუნებად ჩაითვალოს საკუთარი ბენდის ყოლა. მოგეხსენებათ, ჩვენ სარეკლამო კომპანია ვართ, რომელიც სატელევიზიო „პროდაქშენს“ იწყებს, ამიტომ საკუთარი ბენდი გვჭირდებოდა. ამ შემთხვევაში არჩევანი რომა რცხილაძეზე შევაჩერეთ: ჩვენ მიგვაჩნია, რომ მას საქართველოში საუკეთესო ბენდი ჰყავს.

ისინი სწორედ იმ ჟანრში მუშაობენ, რომელიც ჩვენთვის მისაღებია, — ფიუჟენი ის მუსიკალური მიმდინარეობაა, რომელსაც შეძლებული, პერსპექტიული და წარმატებული ფენა უსმენს. ეს არის მუსიკა, რომელიც ნებისმიერ სერიოზულ კომპა-


ზურა დვალი, ბენდის პროდიუსერი

ნიას სერიოზულ იმიჯს უქმნის.

— კონცერტების შემდეგ ბენდი სატელევიზიო შოუში გადაინაცვლებს?

— ტელეკომპანია „იმედის“ დაკვეთით, ჩვენ ახალ სატელევიზიო შოუს ვამზადებთ, რომელსაც ცნობილი შოუმენი ზაზა ხელაია გაუძღვება. გადაცემას — „ცხოვრება მშვენიერია!“ ჰქვია. ძალიან ლამაზი, ხალისიანი და საინტერესო პროექტია, სადაც იქნება სიმღერა, ცეკვა, გამოვლენ კარგად ცნობილი და შედარებით უცნობი ადამიანები. ამ პროექტში მთავარი მისია ბენდს ეკისრება — მან უნდა გააფორმოს შოუ მუსიკალურად. პირველი გადაცემა უკვე ჩაიწერა და ყოველ შაბათს გავა ეთერში. ბენდს საშუალება ეძლევა, უფრო ახლოს გაეცნოს მაყურებელს, რომელიც კიდევ ერთხელ დარწმუნდება მის მაღალ პროფესიონალიზმში.

— კიდევ რა გეგმები გაქვთ? საერთაშორისო მასშტაბზე გასვლას თუ აპირებთ?

— ჩვენ სარეკლამო კომპანია ვართ, შესაბამისად, ყველა რეკლამის დამკვეთს ბენდის სარეკლამო კლიპებში მონაწილეობას შევთავაზებთ. სულ მალე გადავიღებთ კლიპს, რომელშიც ფრაგმენტების სახით შევა კონცერტების ნაწყვეტები და სხვადასხვა სიტუაციაში გადაღებული, ბენდის მუსიკოსების კადრები. ეს იქნება ბენდის საპრეზენტაციო კლიპი, რომლითაც განვახორციელებთ პრომოუშენს და მივიღებთ მონაწილეობას საერთაშორისო ფესტივალებში. ბატონ რომას ბევრი ნაცნობი და მეგობარი ჰყავს მუსიკალურ სფეროში საზღვარგარეთ. აუცილებლად აღვადგენთ ამ კავშირებს. გვინდა, პრესტიჟულ ღამის კლუბებში დავიმკვიდროთ ადგილი, რაც არა მარტო — ფინანსურად მომგებიანი, არამედ მუსიკოსებისთვის ყოველდღიური ტრენინგიც იქნება. თან, მსმენელთან უშუალო კონტაქტიც გვექნება. ასეთი გეგმები გვაქვს და ვეცდებით, ყველა ეს ჩანაფიქრი განვახორციელოთ. ■

რუბრიკის დასაწყისი იხ. გვ. 12

დიპლომატთა საიდუმლო დანაშაულები

ინგლისში პირველად გამოქვეყნდა ცნობები იმ დანაშაულთა შესახებ, რომლებიც 1999-2004 წლებში ლონდონში მოქმედი სხვადასხვა ქვეყნის საელჩოს თანამშრომლებმა ჩაიდინეს. სახეზეა 122 სერიოზული დანაშაული (გაუპატიურება, ბავშვების გახრწნა, თავდასხმა, თაღლითობა, მოქრთამვა, ნარკოტიკებისა და იარაღის შენახვა), რომელთა გამო ბრიტანეთს არავის დაჭერა-გასამართლება არ შეუძლია. კერძოდ, საელჩოების თანამშრომელთა შორის არიან მკვლელობის ჩამდენი კოლუმბიელი დიპლომატი, სამხრეთაფრიკელი დიპლომატი, რომელსაც გაუპატიურება ედება ბრალად და ორი მაროკოელი დიპლომატი, რომელსაც ბავშვთა გახრწნის მცდელობა ჰბრალდება.

საფრანგეთისა და გერმანიის საელჩოების თანამშრომლები თავდასხმებში არიან ბრალდებულნი, ინდოეთის საელჩოს დიპლომატები — გაქურდვის მიზნით შეთქმულებაში, გერმანელები ბრიტანეთში არალეგალური იმიგრაციის ხელშეწყობაშიც არიან მხილებულნი, დომინიკის რესპუბლიკის წარმომადგენლები კი — თაღლითობასა და ფულის გათეთრებაში.

ვენის 1961 წლის კონვენცია დიპლომატებს, მათ მეუღლეებს, შვილებსა და აპარატს ქვეყანაში სასამართლო დევნისგან ათავისუფლებს. მათვე იცავს 1978 წლის კანონი იმუნიტეტის შესახებ, 1967 წლის კანონი დიპლომატიური პრივილეგიების შესახებ და 1968 წლის კანონი საკონსულო ურთიერთობების შესახებ.

ერთადერთი ზომა, რომლის მიღებაც ბრიტანეთის მთავრობას ასეთ პირობებში შეუძლია, საელჩოების თანამშრომლების პერსონა ნონ გრატად გამოცხადება და მათი სამშობლოში გაგზავნაა. 2002 წელს მხოლოდ ტონი ბლერის პირადმა ჩარევამ აიძულა კოლუმბია, იმუნიტეტი მოეხსნა კოლუმბიის საელჩოში მომუშავე თავისი ორი მოქალაქისთვის, რომელთაგან ერთს Tesco-ს 23 წლის მუშის, დამიან ბრუმის მკვლელობა ჰბრალდებოდა.

ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური მონაცემები, რომლებიც საზოგადოების სამსჯავროზე საგარეო საქმეთა მინისტრმა მარგარეტ ბეკერმა გამოიტანა, იმასაც ცხადყოფს, რომ დაბურულმინიანი და დიპლომატიურნომრიანი მანქანებით ლონდონის ქუჩებში მოსიარულე საელჩოების თანამშრომლები საჭეს ხშირად არაფხიზელ მდგომარეობაში უსხედან. ამ მხრივ, კანონის დამრღვევთა სიას რუსი დიპლომატები უდგანან სათავეში, მეორე ადგილზე კი არამსმელი ქვეყნის — საუდის არაბეთის წარმომადგენლები არიან. თუმცა ამ ქვეყნის დიპლომატები პირველობას არავის უთმობენ ცივი და ცეცხლსასროლი იარაღის შენახვაში. 2003 წელს, საუდის არაბეთის დიპლომატი ალი ალ შამარანი ბრიტანეთის მთავრობამ ქვეყნიდან ლონდონის პოლიციის თანამშრომლის მოსყიდვის მცდელობისთვის გააძევა, 2004 წელს კი საუდის არაბეთის ელჩი, პრინცი თურქი ალ ფეისალა 11 წლის გოგონას გაუპატიურების საქმის „დაბლოკვაში“ დაადანაშაულა. საუდის არაბეთმა, საელჩოს მიერ საკუთარი გამოძიების წარმოების მომიზეზების გამო, დიპლომატს იმუნიტეტი მაინც არ მოუხსნა.

ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის შენახვაში ამერიკელი, შვეიცარიელი და ლიბიელი დიპლომატებიც არიან შემჩნეულნი. ნიგერიის წარმომადგენლები არც ნაქურდლით ვაჭრობასა და ფიქტიური ქორწინებების გაფორმებას თაკილობენ; ანგოლელები კი ბანდიტურ თავდასხმებსა და ძარცვაში აქტიურად მონაწილეობენ. ზიმბაბვეს საელჩო პირველ ადგილზე მანქანის დაზღვევის გარეშე მართვის შემთხვევების რაოდენობით გავიდა, სვაზილენდელებმა ავტომობილების მოპარვით, მონღოლმა დიპლომატებმა კი კონტრაბანდით გაითქვეს სახელი.

2002 წელს, იოჰანესბურგიდან ლონდონში კომპანიის — South Africa Airways — თვითმფრინავით მიმავალი მთვრალი სამხრეთაფრიკელი დიპლომატი ბორტგამცილებელ ქალებს აუხირდა და მთელი გზა რასისტულ ლოზუნგებს გაჰკიოდა, მაგრამ თუმცა ის ამისთვის არავის დაუსჯია.

1990-იანი წლებიდან დიპლომატიური ფოსტა ნარკოტიკების ტრანსპორტირების სინონიმად იქცა, რის გამოც, ბრიტანეთის მთავრობა მავანთ და მავანთ მეძებარი ძაღლების გამოყენებითაც კი დაემუქრა, თუმცა უცხოელი დიპლომატების დაპატიმრება მაინც ვერ გაბედა...

დაბოლოს, როგორც ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესმდივანმა განაცხადა, „ბრიტანეთს ვენის კონვენციის ცალმხრივი წესით შეცვლა არ შეუძლია...“ ■

რუბრიკა მოამზადა რუსუდან ლებანიძემ

დასაწყისი იხ. გვ. 11

ჯავახელი სომხები, „ვირქის“ მოსკოვური ლობი და ქართული ენის სწავლების ჩაგდებული პროგრამა

არსებულ პრობლემაზე საკუთარი პოზიციის მკითხველისთვის გაზიარება ისტორიკოსსა და პოლიტიკოსს ***გუგაზ სანიკიძესაც*** *ვთხოვეთ.*

— ბატონო გუგაზ, რამდენად შესაძლებლად მიგაჩნიათ, რომ ჯავახეთში მცხოვრები სომხების უმრავლესობამ ერთ მშვენიერ დღეს, ავტონომია მოითხოვოს?

— ამ მხრივ პრობლემები რეალურად არსებობს და როგორც ჩანს, კიდევ გაღრმავდება, მაგრამ მაინც ვფიქრობ, სომხებს, ქართველებს და განსაკუთრებით, ოფიციალურ ერევანს ეყოფა გამოცდილება, ჭკუა და ისტორიის ცოდნა იმის მისახვედრად, რომ საქართველოში სომხური ავტონომიის შექმნა აბსოლუტურად უპერსპექტივოა ჯავახელი სომხებისათვის, მეტსაც გეტყვით — ეს მათთვის ჩიხი იქნება.

— რატომ?

— თუნდაც გეოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარე. სომხეთი აბსოლუტურ იზოლაციაში მოექცევა. მათ აქვთ სერიოზული პრობლემები, როგორც თურქეთთან, ისე აზერბაიჯანთან ურთიერთობისას. ამიტომ ჩვენ მათთვის გარკვეული ხიდისა და კავშირის საშუალება ვართ დანარჩენ სამყაროსთან. სომხები საკმაოდ ჭკვიანი ხალხია და ვფიქრობ, მოერიდებიან დაპირისპირებას.

— ალბათ „ვირქისა“ და „ჯავახკის“ წარმომადგენლები ასე არ ფიქრობენ. რამდენად სახიფათოა მათი გააქტიურება?

— მათი მხრიდან გარკვეული ხიფათი არსებობს, მით უმეტეს, რომ „ვირქის“ წარმომადგენლებს საკმაოდ მყარი ურთიერთობები აქვთ მოსკოვთან, მაგრამ საბოლოო ჯამში, თუ ჩვენ, ქართველები ძალიან დიდ სისულელეს არ ჩავიდენთ, უპასუხისმგებლოდ არ მოვიქცევით და რეგიონს კიდევ დიდი ხნით არ დავტოვებთ უყურადღებოდ, სერიოზული პრობლემები არ შეიქმნება.

— უპასუხისმგებლო ქმედებებში რას გულისხმობთ?

— ჩვენი ხელისუფლება ერთს ამბობს და მეორეს აკეთებს. აცხადებს, რომ უნდა მოხდეს არაქართველი მოსახლეობის ქართველ საზოგადოებასთან ინტეგრირება, მაგრამ ამის საპირისპიროს აკეთებს. ამის ნათელი მაგალითი გახლავთ ის ფაქტი, რომ ჩავარდა პროგრამა ქართული ენის შესწავლის შესახებ.

— რატომ ჩავარდა?

— ნამდვილად არ ვიცი, ამაზე ალბათ ხელისუფლებას რაიმე პასუხი ექნება. ჩვენ ხანდახან მიკერძოებული საუბარი ვიცით — ყველაფერს მეორე მხარეს ვაბრალებთ. სომხები ჯერ კიდევ კომუნისტების პერიოდში მასობრივად მოითხოვდნენ ქართული ენის მასწავლებლებს, მაგრამ მათ ოფიციალური თბილისი ყურადღებას არ აქცევდა. ამ მხრივ არც დღევანდელი ხელისუფლება იქცევა მართებულად. ჩვენი პრეზიდენტი ჯავახეთში სპონტანურად რომ ჩავა, ამით პრობლემა არ მოგვარდება. ეს რეგიონი როგორც კულტურული, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით მოწყვეტილია დანარჩენ საქართველოს. სომხები თავიანთ პროდუქციას ერევანში ყიდიან და არა თბილისში, ქუთაისსა ან ბათუმში. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ გზები არ ვარგა და არც კომუნიკაციებია მოწესრიგებული. ეს ხალხი აბსოლუტურად სხვა ცხოვრებით ცხოვრობს და ჩვენ მათ შესახებ საინფორმაციო წყაროებში ვერაფერს ვიგებთ, გარდა იმისა, რომ ხანდახან 200 ან 300 კაცი საპროტესტო აქციას აწყობს და რაღაც სისულელეებს მოითხოვს. ჯავახეთში დაახლოებით 70 ათასი სომეხი ცხოვრობს. გამოდის, რომ ჩვენი სომეხი თანამოქალაქეები საკმაოდ წესიერად იქცევიან, რაც უდავოდ, დასაფასებელია. ჯავახელი სომხები სოფლის მეურნეობის მწარმოებელი ხალხია და მათ ბაზარი სჭირდებათ. საბჭოთა კავშირის დროს მათი ბაზარი რუსეთი იყო, ახლა იქ ვეღარ მიდიან, სადმე ხომ უნდა გაასაღონ თავიანთი პროდუქცია, რომელიც მაღალი ხარისხით გამოირჩევა?! შარშან ხელისუფლებამ პიარ-აქცია მოაწყო, განაცხადა — ჯავახეთში მოსულ კარტოფილს ჯარი შეისყიდისო. ეს ძალზე კარგი ინიციატივა იყო, მაგრამ მას რეალური ქმედება არ მოჰყოლია. ჯავახელ სომხებს მართლაც აქვთ სერიოზული პრობლემები, მაგრამ მათ უნდა იცოდნენ, რომ ისეთივე მდგომარეობა აქვთ დანარჩენ საქართველოში მცხოვრებ მოქალაქეებსაც. მთელი ქართლი — ჩვენი უმდიდრესი მხარე — პროდუქციის გასაღების გარეშე დარჩა, ვეღარც იქაურებმა გაიტანეს რუსეთში ხილი და ბოსტნეული. ქართველებმაც და სომხებმაც ერთი რამ უნდა გაითავისონ — ისინი თანასწორუფლებიანი უნდა იყვნენ. უფლებებსა და მოვალეობებს შორის დისბალანსი დაუშვებელია. ■

„სიყვარული კვარცხლბეკზე ანუ აფრინდა ჭილყვავი და გადაიყრანტალა“ — ასე უწოდეს სპექტაკლს, რომლის ავტორი ცნობილი დრამატურგი ირაკლი სამსონაძეა, ხოლო რეჟისორი — ანდრო ენუქიძე. პრემიერა გასულ კვირას ნანა ფაჩუაშვილის თეატრში — „თეატრი ათონელზე“ შედგა. სპექტაკლში სულ ოთხი მსახიობი — ნანუკა ხუსკივაძე, მალხაზ ქჯრივიშვილი, ნინო კასრაძე და გაგი სვანიძე თამაშობდა.

„თეატრი ათონელზე“, შემოქმედი მეგობრების შეხვედრა და ყრანტალა ჭილყვავი...

ანდრო ენუქიძე:

— ირაკლიმ მთხოვა, მისი პიესა მე დამედგა. სპექტაკლზე ორი თვის მანძილზე ვმუშაობდით. სამუშაო პროცესი საკმაოდ საინტერესო იყო და რადგან მეგობრები შევიკრიბეთ, ამიტომ სპექტაკლი ერთგვარად, ჩვენი „სიყვარულის აქტია“.

— საკმაოდ მწვავე პიესაა, მასში მაყურებლის სამსჯავროზე ერის მიერ ასწლეულის მანძილზე გადატანილი მთელი სატკივარია გადმოცემული. ეს ყველაფერი ბგერათა განსაკუთრებული წყობით მიიღწევა...

— მიუხედავად სირთულისა, სპექტაკლზე საკმაოდ ხალისიანად ვიმუშავეთ. ვფიქრობ, სათქმელი ითქვა, ხალხი სპექტაკლის მანძილზე ხან იცინის, ხანაც — ტირის.

ირაკლი სამსონაძე:

— სულ რაღაც ერთი წლის წინ დაიწერა პიესა. ანდრო იშვიათი გემოვნების რეჟისორია, მსახიობებიც შესანიშნავად

შემოქმედებითი ჯგუფი

— **მილიციელის როლს კარგად მოერგე?**

— არ გამჭირვებია, საინტერესო იყო მუშაობის პროცესი. პიესა წავიკითხე თუ არა, მაშინვე მივხვდი, რომ ჩემი გმირი სასაცილოც იყო და მხიარულიც. ძალისხმევა არ დამიკლია, მაგრამ რამდენად გამომივიდა, ეს მაყურებლის შესაფასებელია. ეს გახლავთ იუმორით გაჯერებული ტრაგედია.

კახი კავსაძე:

— მომეწონა სპექტაკლი. არნახული შრომაა გაწეული. დრამატურგის ნამუშევარიც კარგია. ღრმა, სერიოზული პიესაა. რეჟისორმა „განსხვავებული მინიშნებებით“ თავისი სათქმელი თქვა... მსახიობებიც მომეწონნენ, მაგრამ მამაკაცებს ალბათ, არ ეწყინებათ თუ ვიტყვი, რომ ქალები უფრო მეტად... თუმცა ოთხივე საერთო ჯამში შესანიშნავია. ვულოცავ მათ ამ ნამუშევარს! ვფიქრობ, ამ პიესას სხვა რეჟისორებიც დადგამენ.

რაც შეხება მსახიობ ქალებს — ნანუკა ხუსკივაძესა და ნინო კასრაძეს, სპექტაკლში მათ მთელი გული ჩააქსოვეს და საოცარი ოსტატობა უჩვენეს მაყურებელს. კულისებში მათთან მისულს კი კომენტარზე უარი მითხრეს: ჯობს, ჩვენზე სხვამ თქვას სათქმელი და თანაც, ისეთი დაღლილები ვართ, ვერაფერს ვიტყვითო.

ზაზა პაპუაშვილი მაყურებელთა შორის

თამაშობენ. მხატვრობაც კარგია. დრამატურგისთვის კი ეს მეტად მნიშვნელოვანია. ქალბატონი ნანას თავდადების შედეგიც იყო, რომ ეს სპექტაკლი შედგა.

მალხაზ ძვრივიშვილი:

— სპექტაკლში მილიციელის როლი მერგო, რომელიც თავის საბედოს ეძებს. ამ ძებნა-ძიებაში აღმოაჩენს სახლმმართველ მზიას *(მის როლში მსახიობი ნანუკა ხუსიკვაძეა. — ავტ.)* და მასზე იქორწინებს. სპექტაკლში ბევრი სიმბოლო და მინიშნებაა; მუდმივი ჭიდილია წარსულსა და მომავალს შორის.

ნატო გელაშვილი ზედა საფეხურზე ავიდა

ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ნატო გელაშვილის ერთი დღით დანიშნული კონცერტი, რომელსაც კომპოზიტორმა — „ერთი ქალის ისტორია“ უწოდა, მაყურებლისა და ნატოს ხელოვნების დამფასებელთა თხოვნით რამდენჯერმე გაიმეორეს. „არტ-რუსთავი“ — კომპანია, რომელმაც ორგანიზება გაუკეთა კონცერტს, ამას ნამდვილად არ ელოდა.

როგორც გაირკვა, ქართველები დიდ ინტრესს იჩენენ ისეთი შემოქმედის მიმართ, როგორიც ნატოა. მოსწონთ მისი რეპერტუარი, რომელიც მხოლოდ ქალაქური სიმღერებით არ შემოიფარგლება, ასევე მოსწონთ მისი ნამღერი, მისი ლექსები, რომელებმაც პირველად ფილარმონიის დარბაზში გაიჟღერა. პროექტის ავტორები, რეჟისორი და თავად ნატოც კმაყოფილები არიან. შემოქმედისთვის იმაზე მეტი გამარჯვება ალბათ არაფერია, ხალხი რომ მის სიმღერებს მღერის. ჰოდა, მღეროდა დარბაზიც...

ერთ-ერთი კონცერტის შემდეგ, რამდენიმე ადამიანს გავესაუბრე.

ნელი, *სამედიცინო უნივერსიტეტის პედაგოგი:*

— ნატო გელაშვილის შემოქმედებას კარგად ვიცნობ. დღევანდელი საღამოთი მან უზომოდ გაგვახარა. ასეთი დღე ცოტა გვაქვს, ეს ჩვენთვის უდიდესი სიამოვნებაა. დღეს ნამდვილი დღესასწაული ვიხილეთ, ეს იყო სახალხო ზეიმი.

ნიკა, *13 წლის:*

— ძალიან მაგარი იყო...

ნინო ჩაჩავა:

— სცენაზე ნატოსთან ერთად გამოსული ყველა ქართველი შემსრულებელი დღეს შესანიშნავ ფორმაში იყო, ალბათ იმიტომ, რომ ნატო გელაშვილი მათაც ძალიან უყვართ. ასეთი კონცერტებით ქართველები განებივრებულები არ ვართ.

ციური გავზელიძე, *ჟურნალისტი:*

— კიდევ ერთხელ დაამტკიცა ნატომ, როგორი არაჩვეულებრივი სიმღერების პატრონია. მასთან ერთად მთელი დარბაზი მღეროდა. მუსიკის მცოდნე არა ვარ, მაგრამ ჩემი აზრით, ის ნამდვილად სახალხო კომპოზიტორია.

მანანა გურგენიძე, *პოეტი:*

— თბილი საღამო იყო, არა პომპეზური და გადატვირთული. მისმა ლექსებმა გამოცა. ერთი ამოსუნთქვით წასაკითხია...

გიორგი ქუთათელაძე, *„სანო სტუდიის“ ხმის რეჟისორი:*

— ფანტასტიკური ქალია ნატო. სულ ვჩხუბობთ, მაგრამ მაინც გვიყვარს ერთმანეთი. დღევანდელი დღე მის შემოქმედებაში ნიშნავს იმას, რომ ის ერთი საფეხურით კიდევ ამაღლდა.

გზაში საკითხავი

1. ზოგიერთი პარლამენტარი ისე ცრუობს, იოტი-სოდენა შანსსაც არ გიტოვებს, რომ დაუჯერო.

2. გასაგებია, რომ ცხოვრება — სპექტაკლია, ადამიანები — მსახიობები. მაგრამ არ მასვენებს კითხვა: ვინ არის რეჟისორი და პროდიუსერი ასე ცოტას რატომ გვიხდის?!

3. ქერა ქალი ყოველთვის იდუმალებით არის მოცული: მიდი და გაიგე, შეღებილი აქვს თმა თუ მართლა უტვინოა.

4. თანასწორობისათვის არათანასწორ ბრძოლაში ყველანი თანასწორნი ვართ.

5. გონებავ, თუკი იპოვე რაიმე აზრი, ხელი არ ახლო — ჩემია.

6. რატომ მიყვარს ცხოველები? ჩვენნაირი პირუტყვები არ არიან და იმიტომ.

7. დრო მკურნალია... მაგრამ მკითხეთ ერთი, მინდა, ამდენი მკურნალობა?!

8. სიყვარული სულელებისა და ჭკვიანების გასათანაბრებლად არის მოგონილი.

9. ასეთი სიფათებით შაჰიდთა რიგებშიც არ მიგვიღებენ.

10. თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ!.. რა ბრძანეთ?!. კი, ბატონო, ფული იყოს, რა პრობლემაა?!.

11. როცა ცდილობ, ადამიანს თვალები აუხილო, ის ყურებს იცობს.

12. ხოხვისთვის დაბადებულმა ღირსეულად უნდა იხოხოს.

13. მამაკაცის გულისკენ მიმავალი გზა თუ კუჭზე გადის, საინტერესოა, სად იწყება იგი?

14. ავსტრალიელი ფემინისტების ლოზუნგი: „თუ სადმე შემთხვევით მამაკაცს გადააწყდით, თავში წაუთაქეთ ჩვენ მაგივრად“.

15. კულტურული ადამიანი მხოლოდ სპეციალურად ამისთვის განკუთვნილ სულებში აფურთხებს.

16. პირფერობის არსი არა ვინმეს შექება, არამედ საკუთარი არარაობის წარმოჩენაა. უფროსობა სწორედ ამას აფასებს.

17. ქალთა ერთი ნაწილი ღრმად არის დარწმუნებული იმაში, რომ მამაკაცებს მხოლოდ ერთი რამ უნდათ, დანარჩენები კი ნაკლებად ინფორმირებულები არიან...

18. თავი დაანებეთ სხვის ბოსტანში საკუთარი საფლავის ქვების სროლას.

19. თუკი ფორტუნამ ზურგი გაქციათ, ნუ დაღონდებით... ისარგებლეთ მომენტით.

20. საკუთარ ნებაზე მოსეირნე კატისთვისაც ვიეტნამური სამზარეულოს კვირეული დადგება.

21. ერთნი თვალის ერთი შევლებით ცნობენ უცხოური ავტომობილის მარკას, მეორენი კი ამ ავტომობილის საჭეს უსხედან.

22. ქალს ორ შემთხვევაში ეშინია მომავლის — როცა მისი აწმყო საშინელია და როცა მისი აწმყო მშვენიერია.

23. მოწყენილ ცოლთა უმრავლესობა მხიარულ ქვრივობაზე ოცნებობს.

24. შეუძლებელია ქალის გაუპატიურება მაშინ, როცა მას ამის საწინააღმდეგო არაფერი აქვს.

25. დაცემულს არ სცემენ, დაცემულს გადაუვლიან.

ჯიჯგარი კოლექციიდან

ბლეინდორიელი

ქალიშვილი ბორბალიქნელი ჯალი

ლიდსი-კოლეჯი ამერიკის ერთ-ერთი საუკეთესო და ყველაზე ძვირად ღირებული კოლეჯის სახელით იყო ცნობილი. ამიტომაც, რაღა თქმა უნდა, დაუშვებელი იყო, ასეთ სასწავლებელში მკვლელის ქალიშვილს ესწავლა. მაგრამ 1963 წლის სექტემბერში იქ ენ გრიფიტსი მიიღეს, რომლის მამაც 10 წლის წინ მკვლელობისთვის გაასამართლეს. სწორედ სექტემბრის ის დილა გახდა ენ გრიფიტსის მეორე ტრაგედიის დასაწყისი.

ახალი სტუდენტების ჩაწერა ტანვარჯიშის დარბაზში ხდებოდა, სადაც მომცრო მაგიდებთან, გოგონებისთვის ინსტრუქციის გასაცნობად და კონსულტაციის გასაწევად 172 პედაგოგი იჯდა.

ერთდროულად ამდენი უცხო ადამიანის ხილვით შემკრთალი, მორიდებული და გაუბედავი ენი ცოტა მოშორებით დამდგარიყო. მის გვერდით კი საკონდიტრო ფაბრიკის მფლობელის მემკვიდრე, უხეში სახის მქონე, ტანმაღალი და მოუქნელი კეროლ ლაუშერი იდგა. კეროლმა იცოდა, რომ უშნო იყო და ამის დაფარვას მკვირცხლი და თავისუფლად ქცევით ცდილობდა.

მომხიბვლელი, ნაზი ენი სინანულით უმზერდა კეროლს, ის კი უეცრად გამოეცნაურა:

— გამარჯობა! — მიესალმა და მხარზე ქაღალდის დახვეული ფურცლით შეეხო, რომელზეც გაკვეთილების ცხრილი ეწერა. — შენ ახალი ხარ, არა? მეც. კეროლი მქვია, კეროლ ლაუშერი.

ენი შეკრთა და მხოლოდ თავაზიანობის გულისთვის გაუღიმა. დეიდა და ბიძამისი მას ძალზე ხშირად ჩასჩიჩინებდნენ — მეტისმეტად გაუბედავი ხარ და სხვებს ამიტომაც ვერ უმეგობრდებიო. ამის გამო, დასახმარებლად ფსიქოლოგებსაც კი მიმართეს. მათ კი ურჩიეს, რომ ენი სასწავლებლად სახლიდან ცოტა შორს მიებარებინათ. ამით მას, ბოლოს და ბოლოს, უცნობებთან დამეგობრება უნდა ესწავლა.

მაინც არავის მივცემ ჩემთან დაახლოების საშუალებასო, — ფიქრობდა ენი. ყველაფერს უფრთხოდა. მერე და მერეც, მაღალ კლასებში ეს გრძნობა ვერაფრით მოიცილა. ეშინოდა, თანაკლასელებს მამამისის შესახებ რაიმე არ შეეტყოთ.

ლიდსი-კოლეჯის რეპუტაცია და ტრადიციები კი ამ საშიშროებას კიდევ უფრო უათკეცებდა. ერჩივნა, მიწა გასკდომოდა და თან ჩაეტანა, ვიდრე ამაზე ვინმესთვის პასუხი გაეცა. ამიტომაც ყველას ერიდებოდა...

მაგრამ ენის ქცევას კეროლი სულაც არ დაუფრთხია. მან ორიოდ წუთში დაითანხმა იმაზე, რომ ერთ ოთახში ეცხოვრათ. და როცა სპორტის სახეობის არჩევის დრო დადგა, კეროლმა საკუთარი თავიც და ენიც მშვილდოსნობაზე ჩააწერინა. ენმა კი წინააღმდეგობაც ვერ გაუწია, თუმცა სპორტის ეს სახეობა მასში უსიამოვნო გრძნობას იწვევდა, რადგან მამამისმა ცეცხლსასროლი იარაღით ჩაიდინა დანაშაული. რა თქმა უნდა, არა მშვილდით და ისრებით, არამედ რევოლვერით.

მიუხედავად ამისა, გოგონებმა მშვენივრად გაუგეს ერთმანეთს. კეროლის თავდაჯერებულობა და ენერგია დამამშვიდებლად მოქმედებდა ენზე. ხოლო კეროლს ენის უსიტყვოდ მორჩილება აკმაყოფილებდა, რადგან მან ბავშვობიდანვე უწყოდა, რომ ინდივიდუალობა ბევრად მეტს ნიშნავს, ვიდრე გარეგნული სილამაზე.

ოთახში კეროლმა — ენისგან განსხვავებით, რომლის კუთხეც სამონასტრო ასკეტურობითა და სიშიშვლით გამოირჩეოდა, საკუთარი კუთხე უამრავი სათამაშოთი და სუვენირით, ხოლო კედლები — პლაკატებითა და ილუსტრაციებით მორთო.

და მაშინვე, პირველსავე კვირას კეროლმა პაემანზე ახლომდებარე დორტმუთიდან ჩამოსული ორი სტუდენტი დაითანხმა. შესაძლო გართულებებით დამფრთხალმა ენმა აღარ იცოდა, როგორ აეცილებინა თავიდან ეს შეხვედრა.

თავიდან თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. კლიფ ფარმუერტი, რომელიც კეროლმა მეწყვილედ აირჩია, ნორმალურად გამოიყურებოდა, მაგრამ ტანით ამსიგრძე გოგოს მაინც არ შეეფერებოდა. თუმცა, ბოლოს ყველაფერი მაინც თვისით დალაგდა: ის ძირითადად ენს ეცეკვებოდა... კეროლისდა სამწუხაროდ, მეორე სტუდენტი, მაიკ პეტრუსკი, თუმცა ათლეტური აღნაგობა ჰქონდა, ინტელექტით მაინცდამაინც ვერ ბრწყინავდა და კეროლმაც ძალიან მოიწყინა მის გვერდით.

საცეკვაო მოედანი ისე იყო გადაჭედილი, რომ სივიწროვემ და ყურისწამღებმა კაკაფონიამ ცეკვები ძალზე საეჭვო სიამოვნებად აქცია. ენი მაგრად შეშინდა, როცა კლიფმა ხელი მოჰკიდა და ბრბოდან გაყვანა დაუპირა. მაგრამ ქუჩაში გრილოდა და სიწყნარე იყო. ენს სიმორცხვის გამო ლოყები აუფაკლდა, რადგან კლიფს მისი ხელი ისევ ხელში ეჭირა და გაშვებას არც აპირებდა.

— ენ, საიდანღაც მახსოვხართ, — უთხრა მას ჩაფიქრებულმა კლიფმა. — მაგრამ ვერ გამიხსენებია, საიდან...

ენმა მტკიცედ გააქნია თავი.

— მე ლოს-ანჯელესიდან ვარ, — განაგრძო კლიფმა. — თქვენ?

შეშინებულ ენს ერთადერთი სურვილი ჰქონდა — როგორმე ვაჟს ხელიდან დასხლტომოდა და გაჰქცეოდა. მაგრამ კლიფს აბა, საიდან უნდა სცოდნოდა, რომ ისიც ლოს-ანჯელესელი იყო? ის ხომ მხოლოდ 8 წლის იყო, როცა მკვლელობა მოხდა! ამის შემდეგ კი, ახლობლებმა ლოს-ანჯელესიდან გადაიყვანეს.

ვაჟებმა, წესისამებრ, სახლამდე მიაცილეს კეროლი და ენი. კეროლი მაიკს ძალზე სწრაფად დაემშვიდობა და მაშინვე მესამე სართულზე, თავის ოთახში ავიდა.

ხოლო ენი და კლიფი ჩაბნელებულ ჰოლში კიდევ რამდენიმე წუთით შეჩერდნენ. კლიფი თუმც მხოლოდ ცხრამეტი წლისა იყო, მაინც სრულყოფილ კავალრად მოჰქონდა თავი. მან უეცრად საჭიროდ ჩათვალა, რომ დამშვიდობებისას გოგოსთვის ეკოცნა, მაგრამ ამ ნაბიჯის გადადგმა უჭირდა და ხელსაყრელ მომენტს ელოდა.

— მართლაც მშვენიერი საღამო იყო, — თქვა მან. — აუცილებლად კიდევ

უნდა შევხვდეთ ერთმანეთს.

— კარგი საღამო იყო, — წაიბუტბუტა ენმა.

— ხომ შევხდებით ხვალაც? უარი არ მითხრათ, რა! მე ლექციები საღამოს მაქვს. დღისით კი საერთო საცხოვრებელში მეცადინეობა შეუძლებელია. მინდა, რომ დღისით ერთად ვიყოთ, ენ!

ენი შიშმა აიტანა, შიშმა, რომ ვინმე მისი წარსულის შესახებ შეიტყობდა...

— ახლა კი მხოლოდ ერთი კოცნა, სანამ დავემშვიდობებით ერთმანეთს, — ჩაიბუტბუტა კლიფმა.

ენმა მოხედვაც ვერ მოასწრო, რომ ვაჟმა ხელები ხელებში ჩასჭიდა და სცადა, მისთვის ეკოცნა. ენი იგერიებდა, კლიფი კი არ ეშვებოდა და დაბნეულობისა თუ უღონობის გამო, ქალიშვილი მეორე უკიდურესობაში გადავარდა: მან ვაჟს მკლავები კისერზე შემოაჭდო და მის უწყინარ კოცნაზე ისეთი ვნებითა და ძალით უპასუხა, რომ კლიფი დაიბნა და... უკან დაიხია.

...ენი მთვარეულივით აუყვა კიბეს მესამე სართულამდე. კეროლი ამ დროს საწოლის კიდეზე იჯდა, თმას ივარცხნიდა და დაქალს შესჩივლა, რომ საღამო მეტისმეტად მოსაწყენი იყო. შემდეგ, გაცხარებული დიდხანს ლაპარაკობდა მომავალ საშემოდგომო მეჯლისზე და იმის შესაძლობლობაზე, რომ მათზე საინტერესო და სიმპათიური ახალგაზრდებს გაიცნობდნენ. კეროლმა შუქი ჩააქრო და საღამური აანთო. ენი კეროლის ყბედობას ყურს არ უგდებდა, თავის საწოლზე გაყუჩებული იჯდა და ფიქრობდა.

— ენა ხომ არ გადაყლაპე?.. — გაიბერა კეროლი. — შენ რა, შეგიყვარდა ეგ კლიფი? თავი ისე უჭირავს, თითქოს მართლაც დიდი ვინმე ბრძანდებოდეს.

ენი კი ფიქრს მისცემოდა. უნდა ეთქვა თუ არა ის ყველაფერი, რაც ასე აწუხებდა?.. რომ ეთქვა, შესაძლოა, გაერიცხათ კიდეც კოლეჯიდან. ჰოდა, ბიძა და დეიდაც მაშინ მიხვდებოდნენ, თუ რა ჩაიდინეს. ანდა ის ფსიქოლოგი, რომელსაც ჰგონია, რომ სხვების აზრებს კითხულობს... ღმერთო, რა კარგი იქნებოდა, სადმე გადაკარგულიყო და მომკვდარიყო!..

ისიც ადგა და კეროლს მთელი თავისი ამბავი დაწვრილებით მოუყვა. როგორ დაიჭირეს მამამისი, როგორ აღიარა დანაშაული და გაასამართლეს. და ბოლოს, როგორ გარდაიცვალა ციხეში.

კეროლმა თმის ვარცხნას თავი ანება. უხმოდ და ყურადღებით უსმენდა ენს. და სულაც არ შეძრწუნებულა, როგორც ენი ვარაუდობდა. კეროლი ხომ კარგად იყო აღზრდილი და თავზე კონტროლს არასოდეს კარგავდა.

როცა ენმა თხრობა დაასრულა, კეროლმა მშვიდად თქვა:

— რა საჭირო იყო ამის მოყოლა? ერთხელ მამაჩემი კონგრესს აბარებდა ანგარიშს...

— მაგრამ ეს ხომ სულ სხვა რამაა...

— არა, ამ ამბავმაც ბევრი ხმაური გამოიწვია. ლაპარაკი იყო სახელმწიფო დაკვეთების განაწილებისას ჩატარებულ მაქინაციებსა თუ რაღაც ამდაგვარზე. მაგრამ მამაჩემი მუდამ ახერხებდა გამოძრომას და თავის გადარჩენას. თუ გინდა, სიმართლე იცოდე, საერთოდ, ყველა დამნაშავეა, მათ შორის, ჩვენც.

— მაგრამ მამაჩემმა კაცი მოკლა!

— რა გინდა, ამით თქვა?

— არ გესმის? მე მწამს, რომ ადამიანს ბევრი რამ მემკვიდრეობით გადაეცემა. ამ თემაზე ბევრი მიმუშავია. მარტო თვალების ფერი და გარეგნობა როდი გადმოგვეცემა, არამედ ხასიათიც და თვისებებიც.

კეროლი თმის ვარცხნას დაუბრუნდა. უნდოდა, ამით ეჩვენებინა ენისთვის, რომ მისმა ნაამბობმა მასზე არცთუ ისე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

— კარგი, მამაშენმა ადამიანს ტყვია დაახალა. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მან ეს ქალის სიყვარულის გამო ჩაიდინა. განა ბევრად უარესი არაა, როცა ვინმე სხვას ექსპლუატაციას უწევს ან ატყუებს? ან თუნდაც, რაიმე სხვა ხერხით ანადგურებს? აი, ასეთები არიან ნამდვილი, ჭეშმარიტი მკვლელები.

— შენ გგონია, ჩვენს კოლეჯში ყველა ასე ფიქრობს?

— შესაძლოა, არა. ასეთებიც არიან და ისეთებიც.

— დიახ. ამიტომაც მუდამ მეშინია, რომ ყველაფერი გამჟღავნდება. მაგრამ რატომღაც ვფიქრობ, რომ კლიფს ამის შესახებ აუცილებლად უნდა მოვუყვე.

— რატომ, ღმერთო ჩემო?!

— იმიტომ, რომ ხვალაც უნდა შევხვდე და...

— არ მითხრა ახლა, რომ მისმა ტრაბახმა გადაგრია. ეჰ, ენ, ჯერ ისევ მთლად ბავშვი ხარ და აუცილებლად ისეთი ვინმე გჭირდება, ვინც შენზე იზრუნებს. კლიფი კი ვინაა? ყოყლოჩინა და მეტი არაფერი!..

— ფიქრობ, რომ აღარ უნდა შევხვდე?

— ეს შენი საქმეა, მაგრამ თუ მასზე მართლაც სერიოზულად ფიქრობ, მე მგონი, ცდები. ის ამას ნამდვილად არ იმსახურებს.

ენმა ვერაფრით დაიძინა. იწვა ზურგზე, სიბნელეს მისჩერებოდა და გამალებული ფიქრობდა. ერთი რამ დარწმნებით იცოდა: კეროლი ნაწყენი იყო, რადგან კლიფს ის საღამო მისთვის უნდა მიეძღვნა. ამიტომაც ცდილობდა, ენის თვალში კლიფის დამცირებას. კეროლი უბრალოდ, შურიანი და ეჭვიანია. თუკი მე კლიფს ვერ ვუამბობ ჩემს ამბავს, მაშინ ამის შესახებ ვერც ერთ მამაკაცს ვერ მოვუყვები, — ფიქრობდა ენი. მერე კლიფის კოცნა და მიპატიჟება გაიხსენა. ნუთუ ის კლიფს შეუყვარდა? თავად? თავადაც უყვარს იგი?..

ეგზალტირებულმა, როგორც ეს ხშირად სჩვევიათ ნორჩი ასაკის გოგონებს, მათი ქორწინებაც კი წარმოიდგინა: ის და კლიფი კომფორტულ სახლში, ბუხრის წინ, ხელიხელჩაკიდებულნი... მაგრამ იქვე ისიც წარმოიდგინა, თუ როგორ უყვება ის სიმართლეს საკუთარ თავზე, როგორ აქნევს ამაზე კლიფი თავს და ზურგსაც კი აქცევს...

„არა, — გაიფიქრა ბოლოს შეშინებულმა, კლიფს არაფერსაც არ ვეტყვი. ჯერჯერობით არ ვეტყვი.“ ენმა, რაღა თქმა უნდა, თავის მოკვლაც გადაწყვიტა. სადღაც, ოდესღაც ამოკითხული ჰქონდა, რომ თვითმკვლელობა — სხვა არაფერია, თუ არა მკვლელობა, ოღონდ — საკუთარი თავისკენ მიმართული. მაშასადამე, — ფიქრობდა კრიჭაშეკრული და თვალზე ცრემლმომდგარი ენი, — მე მართლაც მკვლელად ვარ დაბადებული, ბოროტმოქმედი მემკვიდრეობით...

მერე ენმა ისიც გაიხსენა, თუ როგორ გამოიძახა ამას წინათ რექტორმა, რომელმაც მასთან საუბრისას, ხაზი გაუსვა იმას, რომ კოლეჯის თითოეული სტუდენტი ვალდებულია, იპოვოს საკუთარი, ნამდვილი „მე“, მიაგნოს საკუთარ ინდივიდუალურობას. აი, სწორედ ამის ეშინოდა ენს. ნუთუ საკუთარ თავში დამნაშავის აღმოჩენის პროცესი უკვე დაიწყო?..

როგორც იქნა, ღონემიხდილი და ცრემლებისგან თვალდასივებული, ძალზე გვიან მშფოთვარე ძილ-ბურანში გაეხვია.

მეორე დილას ენს საკმაოდ გვიან გამოეღვიძა. კეროლი უკვე წასულიყო. ენი ადგა, სასადილოში სასაუზმოდ ჩავიდა და შემდეგ, კოლეჯის ბაღში გაისეირნა. მაგრამ უეცრად შემაშფოთებელმა აზრმა გაურბინა გონებაში: ხომ შეიძლებოდა, ამ დროს კლიფს დაერეკა მასთან?! ენი სახლისკენ გაიქცა და ჰოლში ტელეფონთან ახლოს დაჯდა. მერე კი ზარის მოლოდინში მაგიდაზე გაბნეული გაზეთების ფურცვლას მიჰყო ხელი. სხვა დროს მის ყურადღებას უეჭველად მიიქცევდა ერთი პატარა სტატია, მაგრამ გონებაარეულს, ამჯერად გამორჩა. გაზეთი კი, აი, რას ამცნობდა მკითხველს: „კლერ ფრენსის სტენტონი, რომელიც გრიფითსების საქმის სასამართლო პროცესზე ერთ-ერთ მთავარ ფიგურად გვევლინებოდა და რომლის შესახებაც ათი წლის წინ ყველა გაზეთი წერდა, სახიფათო ოპერაციის ობიექტად იქცა...“

ენის გარდა, ჰოლში კიდევ ერთი გოგონა იმყოფებოდა, რომელიც პიანინოსთან მიმჯდარიყო და შოპენის ნაწარმოებს უკრავდა. რამდენიმე წუთში ენს რაღაც უსიამოვნო შეგრძნება დაეუფლა, მოეჩვენა, რომ უცნობი გოგონა მას აკვირდებოდა. და არა მარტო აკვირდებოდა, არამედ, დამცინავადაც კი შესცქეროდა, თითქოს ხვდებოდა, რომ ის მეგობრის ზარს ამაოდ ელოდა...

„არა, მე ეს მხოლოდ მეჩვენება, —

გაიფიქრა გაღიზიანებულმა ენმა, — მე უბრალოდ, ჩემსავე ეჭვიანობის გამო, ზედმეტად ვიტანჯები.“

მაგრამ ჰოლში ველარ გაჩერდა. იძულებული გახდა, თავის ოთახში დაბრუნებულიყო და საწერ მაგიდას მისჯდომოდა. განა კლიფი არ დაჰპირდა, რომ დაურეკავდა? მაშ, რატომ აღარ დარეკა? მართალია, შაბათია და ცოტა ადრეა, მაგრამ თუკი ბიჭს მისი ნახვა ნამდვილად სურდა, ხომ შეიძლებოდა, ცოტა ადრე ამდგარიყო?!.

ენი შეეცადა, ინგლისური ლიტერატურის სახელმძღვანელოს კითხვით შეექცია თავი, მაგრამ თვალები აუჭრელდა.

დაახლოებით თორმეტზე, მოულოდნელად ოთახში კეროლი შემოიჭრა.

— მე კი მეგონა, რომ დღეს შენს სუპერმენს შეხვდებოდი, — გაიცინა მან, სანამ ისევ წავიდოდა.

„მერჩივნა, მოვმკვდარიყავი,“ — ფიქრობდა ენი... მარტოობის ასეთი ძლიერი განცდა მანამდე არასოდეს დაუფლებია... იმის გამო, რომ კლიფმა არად ჩააგდო, საშინლად დამცირებული და შეურაცხყოფილი იყო.

ბაღიდან სიცილის და ნაწყვეტ-ნაწყვეტი ლაპარაკის ხმა შემოდიოდა. ის კი საერთო მხიარულებას სრულიად გამოთიშული იყო. ის სხვებისგან სრულიად განსხვავდებოდა. არც არავის სჭირდებოდა. ყველაზე უმწეოდ და უბედურად გრნობდა თავს...

ენი სასადილოში არ ჩასულა. იწვა საწოლზე, ჭერს მიშტერებოდა და საკუთარი თავის შეცოდებით გული ეწვოდა.

უეცრად ქვემოდან ვიღაცამ დაიძახა:

— ბი შრედერ! მოდი ტელეფონთან! კაცი გკითხულობს!

რამდენიმე ახალგაზრდის სიცილ-კისკისში წკრიალა ხმა გაისმა:

— ჰო, მოვდივარ!

ენი წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა. ის ახალგაზრდები, ვინც ქვევით ერთობოდნენ, ისეთი მხიარულები და უდარდელები იყვნენ... ალბათ არც პრობლემები და არც ისეთი დარდი აწუხებდათ, როგორიც მას. ფანჯარასთან მდგომ ენის ის უცნაური გრძნობა გაახსენდა, რომელიც მთელი ცხოვრება თან სდევდა: ამ დროს ყოველთვის ფანჯრიდან გადახტომის დაუოკებელი სურვილი უჩნდებოდა. ამ მანიას როგორმე რომ გამკლავებოდა, პირველად სწორედ ამიტომ მივიდა კონსულტაციაზე ფსიქოლოგთან და ამის შემდეგ თვითმკვლელობისკენ სწრაფვა ცოტათი შეუსუსტდა...

ასე, ნამტირალევი თვალებით გაჰყურებდა ეზოში მყოფ თანატოლებს და... უეცრად, მოკირწყლულ ბილიკზე დაინახა კლიფი, რომელიც ხელკავით ვიღაც გოგონასთან ერთად მიაბიჯებდა. ისინი ხალისიანად იცინოდნენ, რაღაცას ეჩურჩულებოდნენ და თვალებში შესცინცინებდნენ ერთმანეთს.

— ოო! — ანგარიშმიუცემლად აღმოხდა ენს. — მოვკლავ! მოვკლავ! მძულს, მეზიზღება!

ის აქვითინებული დაემხო საწოლზე და სახე ბალიშში ჩარგო. როგორ უნდა აეტანა ასეთი დამცირება?! ნუთუ მისი კოცნა არაფერს ნიშნავდა კლიფისთვის?! სულ არაფერს! მაშ, მასხრად აიგდო და



მასთან შეხვედრას არც აპირებდა?!. ის კი ელოდა, ელოდა...

ერთი საათის შემდეგ ქვემოდან ვიღაცამ დაიძახა:

— ენ გრიფიტს, ტელეფონთან!

ენი იმწამსვე წამოფრინდა.

— მოვდივარ! — გადასძახა მან ფანჯრიდან. შემდეგ ცივი წყლით სწრაფად მოიბანა ჩაწითლებული თვალები. „უეჭველია, ეს ბიძაჩემი იქნება, — გაიფიქრა, — ჰოდა, ვეტყვი, რა უბედურიც ვარ; უნდა წამიყვანოს, თუ არა და, მე თვითონ გავიქცევი ან ფანჯრიდან გადავხტები, ან კიდევ...“

მაგრამ ეს, არა ბიძამისი, არამედ კლიფი აღმოჩნდა. ენს გაუკვირდა, იგი უსმენდა და ცდილობდა, დაწყნარებულიყო.

— გამარჯობა, ენ! გარედან ვრეკავ. უნდა მაპატიო, დილით შინ არ ვყოფილვარ და აქამდე ამიტომ ვერ დაგირეკე. შემდეგი შაბათისთვის რა გეგმები გაქვს?

ტყუის, სინანულით გაიფიქრა ენმა. ახლახან არ იყო აქ, სხვა გოგოსთან ერთად?

— შეგვიძლია, შევხვდეთ მომავალ შაბათს? — შეეკითხა კლიფი. — როგორ ფიქრობ, ენ?

— კარგი, — ძლივს ამოთქვა ენმა.

— მაგარია! შენ ნამდვილი განძი ხარ!

— გიყვარვარ, ხომ ასეა?

გაოცებულმა კლიფმა მხოლოდ მოკლე პაუზის შემდეგ უპასუხა, ძალიან ხმადაბლა:

— კი.

— კარგი, მაშ, შაბათამდე, — ჩაიბუტბუტა ენმა და ყურმილი დაკიდა. ყურები მთლად გასწითლებოდა.

სადილის შემდეგ უსაქმოდ დაყიალებდა ტყეში. ფიქრობდა იმაზე, თუ რით გადაეხადა სამაგიერო იმ დამცირებისთვის, რომელიც კლიფმა მიაყენა. „მოვკლავ, მეზიზღება!“ — იმეორებდა განუწყვეტლივ. მისი ჯერ კიდევ უმწიფარი და დაბნეული სულის მთელი სიმწარე და რისხვა ახლა იმ ბიჭის წინააღმდეგ იყო მიმართული, რომელმაც ასე ძლიერ დაამცირა. უფრო და უფრო ებრალებოდა საკუთარი თავი. მოკვლა — სწორედ ეს იყო, მისი აზრით, ყველა პრობლემის გადასაჭრელად ერთადერთი გზა. „განა შეიძლება, სხვა გამოსავალი მოვძებნო? — ფიქრობდა ენი. — მეც ხომ ბოროტმოქმედად ვარ დაბადებული, ისევე, როგორც მამაჩემი!..“ — და მან საკუთარი თავი, კლიფის პირისპირ რევოლვერით ხელში მდგარი წარმოიდგინა. დაინახა, თუ როგორ ესროდა მას, ისევე, როგორც მამამისმა ესროლა იმ კაცს... „ყველაფერში მამაჩემს ვბაძავ, მემკვიდრეობით გადაცემული თვისებების მქონე ადამიანის ცოცხალი მაგალითი ვარ.“

უმიზნო ხეტიალში ენი სპორტულ მოედანთან მივიდა. სწორედ ჩოგბურთის კორტებიდან ცოტა მოშორებით იყო ის მდელო, სადაც ახალგაზრდები მშვიდობიანობაში ვარჯიშობდნენ ხოლმე. სამიზნეების უკან კი ჩალის კონებისგან გაკეთებული დამცავი კედელი იყო.

ენმა მშვილდი და ისარი აიღო და სროლა დაიწყო. თამაშმა ისე გაიტაცა რომ მცირე ხნით თავისი შავბნელი ფიქრებიც კი გადაავიწყა... გოგონამ ნახევარ საათში დაამთავრა ვარჯიში. სურდა, თავის ოთახში დაბრუნებულიყო და მამის სურათი აეღო, რომელსაც თეთრ კარადაში ინახავდა. ენმა იცოდა, რომ საოცრად ჰგავდა მამას, განსაკუთრებით — თვალებით. ის მრავალი წლის განმავლობაში ცდილობდა, გაეფერმკრთალებინა მამასთან დაკავშირებული მოგონებები, მაგრამ — ამაოდ. მაგრამ ახლა მას განსაკუთრებით უნდოდა, ჰყოლოდა მამა, ისევე, როგორც მის თანატოლ გოგონებს. უნდოდა, მისულიყო და სარკეში დაჰკვირვებოდა საკუთარ თავს, რომ კიდევ ერთხელ შეემოწმებინა — რამდენად ძლიერ ჰგავდა მამას. სურდა, მასთან საკუთარი მსგავსებით დამტკბარიყო. აქამდე ენს მამასთან ყოფნის ასეთი მძაფრი სურვილი არასოდეს განეცადა.

როცა გოგონა სახლისკენ ბრუნდებოდა, დასავლეთით ჰორიზონტს, მზის ჩასვლის გამო, სისხლისფერი მოჰფენოდა. და უეცრად მან ხეებს შორის სილუეტი დალანდა — მაღალი, შავი სილუეტი წითელი ცის ფონზე.

— კლიფ!

თითქოს თვით ბედისწერამ ჩაჰკიდა ხელი და მასთან მიიყვანაო... კლიფმაც იცნო ენი. სწრაფად წამოეწია და ისე გულითადად მიესალმა, თითქოს ეს შეხვედრა მისთვის ძალზე სასიამოვნო სიურპრიზი იყო.

— გამარჯობა, ენ!

ენს კრინტიც არ დასცდენია.

კლიფმა მორცხვად გაუღიმა.

— მთლად კარგად არ გამოვიდა, არა? ხომ არ მიბრაზდები? სიმართლე გითხრა, სულ დამავიწყდა, რომ დღეისთვის შეხვედრაზე შევთანხმდით. ყველასაც შეიძლება დაემართოს.

და რადგანაც ენი არაფერს პასუხობდა, ის კიდევ უფრო აიწურა.

— ენ, შენ ხომ კარგი გოგო ხარ! მოდი, დავივიწყოთ ეს ამბავი, კარგი? ყველაფერი თავიდან დავიწყოთ...

— მატყუარა, — ცივად თქვა ენმა.

— კარგი, რა, როგორ შეიძლება ასე ნერვიულობა?!

— შენ სულაც არ გინდა ჩემი ნახვა, — ისევ ისე განაგრძო ენმა.

— არა, დამიჯერე...

— ტყუილია. მე თავს ვიკავებდი, მეთქვა თუ არა შენთვის ყველაფერი ჩემ შესახებ, მაგრამ ახლა აუცილებლად გეტყვი: მამაჩემი მკვლელი იყო, მკვლელი! გესმის, რას ნიშნავს ეს? აბა, კიდევ გაქვს ჩემთან ლაპარაკის სურვილი? შეიძლება, ეს შენთვის სახიფათოც იყოს. დანაშაულისკენ მიდრეკილება ადამიანს მემკვიდრეობით გადაეცემა, იცი ეს? იქნებ, კვლავაც რომ მიმატოვო...

— კარგი, რა, დაწყნარდი.

კლიფი გოგონას დამშვიდებას ცდილობდა და ხელი მხარზე დაადო. როგორც ჩანს, მისი ისტერიკა სერიოზულად არ მიიღო. ის ტუჩებით ოდნავ შეეხო მის ლოყას. მაგრამ ენი უკან გახტა — თითქოს გველმა დაგესლაო. ამან კლიფი გაამწარა.

— კარგი, — ჩაიბურტყუნა მან. — გაითამაშე გიჟი, თუკი ძალიან გინდა, ეს ჩემთვის სულერთია! — მერე ზურგი აქცია და ნელი ნაბიჯით გზას გაუყვა.

ენი სიძულვილის გრძნობამ შეიპყრო. „მოსაკლავია!“ — ფიქრობდა გაშმაგებით. ის ხომ მკვლელის ქალიშვილი იყო, მკვლელობა მას სისხლში ჰქონდა გამჯდარი, მკვლელობა მისი ბედისწერა იყო... ის მთელი არსებით გრძნობდა ამას...

მხოლოდ შვილდის მშვილდ-ისრის სტვენის ხმაღა მისწვდა ენის ყურს, როცა ის ამ მდგომარეობიდან გამოვიდა. აღარც კლიფის სილუეტი მოჩანდა სისხლისფერი ცის ფონზე: ის გაუნძრევლად ეგდო მიწაზე. ზურგში გრძელი ისარი ჰქონდა გარჭობილი.

ენმა წამოიყვირა და სახლისკენ გაიქცა. ის ისეთივე სისწრაფით მიქროდა, როგორც კოშმარულ სიზმრებში. იქნებ ესეც მხოლოდ სიზმარი იყო, საშინელი სიზმარი და სხვა არაფერი?..

თავდაპირველად უნდოდა, ვინმე საშველად ეხმო და ყველაფერი ეღიარებინა. მაგრამ სირბილის დროს ისეთმა პანიკამ შეიპყრო, რომ თვითონაც ველარ გაეგო, თუ რა უნდოდა.

მერე მან კეროლი და თავისი ბიძა შენიშნა, რომლებიც სახლიდან მასთან შესახვედრად მიემართებოდნენ. ბიძამისის მოღიმარმა სახემ, რომელიც, ენის ვარაუდით, ამ დროს მისგან ასეულობით კილომეტრით უნდა ყოფილიყო დაშორებული, კვლავაც აფიქრებინა, რომ ეს მხოლოდ სიზმარი იყო და სხვა არაფერი... ენი ღონემიხდილი ჩაეკონა ბიძას და აქვითინდა. ბიძის ნათქვამიდან კი ერთი სიტყვაც ვერ გაარჩია. არადა, ის ენისთვის გამაოგნებელი ცნობის მისაწოდებლად ჩამოსულიყო: სასიკვდილო სარეცელს მიჯაჭვულ კლერ ფრენსის სტენტონს უღიარებია, რომ ენის მამა... აბსოლუტურად უდანაშაულო იყო. ჰოვარდ გრიფიტსს ძლიერ უყვარდა ის ქალი და მისი დანაშაული საკუთარ თავზე აიღო. ენის მამა მკვლელი კი არა, პირიქით — უკეთილშობილესი და საოცრად წესიერი კაცი იყო, რომელმაც სიყვარულის გამო უდიდესი მსხვერპლი გაიღო.

ეს ყველაფერი ენს ბედნიერმა და აღელვებულმა ბიძამისმა შეატყობინა. მაგრამ ენი ამ დროს იმ უსიცოცხლო სხეულზე ფიქრობდა, რომელიც გაუნძრევლად ეგდო იქ, ტყეში, პატარა ბილიკზე და უკვე აღარაფერი ესმოდა.

თარგმნა თამაზ მეტრეველმა

„ჩვენი რუსი ყოლეგები ხუმრობენ – ინსტიტუტში ქალარა საქართველოაო“

რუბრიკა „ემიგრანტებისა“ და ინტერნეტის წყალობით ბევრ სხვა ქვეყანაში მცხოვრებ ქართველს დავუკავშირდი და მათგან საინტერესო ამბებიც მოვისმინე, რომლებსაც ნელ-ნელა ჩვენს მკითხველსაც გავაცნობთ. ამჯერად, ჩვენი რესპონდენტი მოსკოვში მცხოვრები ქართველი, მარინა ყაჭეიშვილი გახლავთ, რომელიც უკვე წლებია, იქ ერთ-ერთ ცნობილ გულის კლინიკაში მუშაობს. თუ როდის და რატომ გაემგზავრა იგი საქართველოდან და როგორი დამოკიდებულება აქვთ რუსებს ქართველი ემიგრანტების მიმართ, ამ ყველაფერს ჩვენი საუბრიდან შეიტყობთ.

ნათია ქივიძე

— ქალბატონო მარინა, უკვე წლებია, მოსკოვში ერთ-ერთ ცნობილ კლინიკაში წამყვანი ექიმი ხართ. რა გზა განვლეთ ამ წარმატებამდე და რამდენი წელია, რაც რუსეთში მოღვაწეობთ?

— ბათუმში დავიბადე და გავიზარდე. ექიმობა ბავშვობიდან მინდოდა. ამ პროფესიისადმი სიყვარული დედამ ჩამინერგა. სკოლა რომ დავამთავრე, უმაღლესში ჩაბარებისთვის აბიტურიენტს აუცილებლად სტაჟი უნდა ჰქონოდა გავლილი. ამის გამო, ბათუმის მესამე საავადმყოფოში ქირურგიული განყოფილების საოპერაციოში სანიტრად დამასაქმეს. სკოლის დამთავრებიდან მეორე წელს ინსტიტუტშიც მოვეწყვე, რომლის დამთავრების შემდეგაც სხვადასხვა

მე და ირინა შინ ყოველთვის ქართულად ვლაპარაკობთ

რაიონის საექიმო ამბულატორიებში განაწილებებით ვმუშაობდი. 1990 წელს კი ჩოხატაურის რაიონმა მოსკოვის პედიატრიის ინსტიტუტში ორდინატურის დასამთავრებლად გამიშვა. მოგვიანებით მუშაობა მოსკოვის ტრანსპლანტაციისა და ხელოვნური ორგანოების ინსტიტუტში, უმცროს მეცნიერ თანამშრომლად დავიწყე. 2000 წლიდან დღემდე კი ბაკულევის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის სამეცნიერო ცენტრში ვმუშაობ, რომლის დირექტორიც ქართველებისთვის სასიქადულო და საამაყო ექიმი, ლეო ბოკერია გახლავთ.

— უფრო კონკრეტულად, ახლა რას საქმიანობთ ინსტიტუტში?

— ეს არის უდიდესი ულტრათანამედროვე კლინიკური დაწესებულება, სადაც ყოველდღიურად 7 ათასი გულის ოპერაცია კეთდება. მე ატომური დიაგნოსტიკის განყოფილებაში ვმუშაობ. ეს განყოფილება ოპერაციამდე და ოპერაციის შემდგომ ეტაპზე იკვლევს გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიით დაავადებულ ავადმყოფებს. გარდა გულისა, თავის ტვინის პათოლოგიასა და ონკოლოგიურ ავადმყოფობებსაც ვიკვლევთ. გასულ წელს ორ სპეციალობაში საკანდიდატო დისერტაცია დავიცავი. ესენი იყო: სხივური თერაპია — სხივური დიაგნოსტიკა და კარდიოლოგია. საბედნიეროდ, დისერტაციამ პროფესიონალების მოწონება დაიმსახურა. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ამ კლინიკის პარალელურად, რამდენიმე წლის განმავლობაში მოსკოვის გარეუბანში, ლიდკარინოში, ერთ-ერთ საავადმყოფოში, ბავშვთა ინფექციურ განყოფილებაში მორიგე პედიატრად ვმუშაობდი. ეს იმიტომ, რომ ჩემს პირვანდელ პროფესიას მთლად არ ჩამოვშორებოდი, მაგრამ ახლა ჩემი პროფილი კარდიოლოგიაა, თუმცა ყოველდღიურ ცხოვრებაში პედიატრიასთან შეხება მაინც მიწევს, რადგან მეგობრები, ნათესავები, მეზობლები თხოვნით მომმართავენ, რომ მათი შვილები გავსინჯო.

— როგორც ცნობილია, ის კლინიკა, რომელშიც თქვენ მუშაობთ, მოსკოვში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია. ზოგადად თუ იცით, სულ რამდენი ქართველი მუშაობთ იქ და რუს კოლეგებთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?

— ჩვენი რუსი კოლეგები ხუმრობენ, ჩვენს ინსტიტუტში პატარა საქართველოაო. მართლაც ასეა, იქ ნამდვილად ქართველების კულტია, რადგან ამ ინსტიტუტის ბურჯი და სულისჩამდგმელი, როგორც უკვე აღვნიშნე, ბატონი ლეო ბოკერიაა. გარდა ამისა, ჩვენთან ძალზე ბევრი კარგი ქართველი ექიმი მოღვაწეობს, მათ შორისაა მიხეილ ჭიაურელი, რომელიც ჩვენი საამაყო ვერიკო ანჯაფარიძის შვილიშვილია. ის შესანიშნავი კარდიოქირურგია, გულის თანდაყოლილი მანკის განყოფილებაში მუშაობს. ჩვენი კლინიკის კედლებში არც ერთი ქართველი არ გრძნობს შეზღუდვასა და შოვინიზმს. რუსებთან ძალიან ნორმალური და კოლეგიალური დამოკიდებულება გვაქვს.

— საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული დაძაბულობა იქ მცხოვრებ ქართველებზე თუ აისახება გარკვეულწილად მაინც?

— ჩემ გარშემო ვინც ტრიალებს, მათსა და ჩემს ურთიერთობაში არანაირი ბზარი არ გაჩენილა. პირიქით, როცა ვსაუბრობთ, ისინი ყოველთვის აღნიშნავენ, რომ ძალზე ცუდია, ამ ორ მეზობელ ქვეყანას ერთმანეთთან ასეთი დამოკიდებულება რომ აქვს. ეს არანაირად არ მოქმედებს არც ჩვენს ურთიერთობაზე, არც ჩვენს საერთო საქმეზე და არც ჩვენი პაციენტების ბედ-იღბალზე.

— ქართველი პაციენტები ხშირად გყავთ?

— კი, როგორ არა. ამ ბოლო დროს, ჩვენთან ცნობილი ქართველი მოღვაწეები იწვნენ: კომპოზიტორი გია ყანჩელი, მსახიობი არჩილ გომიაშვილი, რომელიც სიცოცხლის ბოლო წლებამდე მოსკოვში მოღვაწეობდა. ასევე, ჩვენთან გამოკვლევაზე იყო რეზო ამაშუკელი და ა.შ. ძალიან ბევრი ქართველი მოდის...

— თავისუფალ დროს იქ მცხოვრები ქართველების შემოქმედების გაცნობას თუ ახერხებთ?

— დროის სიმცირის გამო, ამას იშვიათად ვახერხებ. როგორც იცით, მოსკოვში ვახტანგ კიკაბიძის ვარსკვლავი გაიხსნა და იმ დღეს მის კონცერტს დავესწარით. გარდა ამისა, ხშირად იმართება ქართული კულტურის დღეები და სულ ვცდილობ, რომ ყველგან წავიდე, მაგრამ სამწუხაროდ, ხშირად ამ ყველაფერზე უარის თქმა მიწევს. ამ დანაკლისს იმით ვივსებ, რომ ქართული კონცერტების ვიდეოჩანაწერებს ვყიდულობ და ვუყურებ. ისე, ძალიან მიყვარს ხელოვნება და კულტურა. ეს ყველაფერი ჩემი სულიერი წყაროა. განსაკუთრებით ის მახარებს, თუ ამ ხელოვნების წარმომადგენელი ჩემი თანამემამულეა. ჩემი კოლეგები საუბრისას ყოველთვის აღნიშნავენ, რომ ქართველებს განსაკუთრებით კარგი ხელოვნები გვყავს. ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, სიამაყით მავსებს.

— გამოდის, რომ რუს მოქალაქეებს მათი მთავრობისგან განსხვავებით ქართველებისადმი არანაირი პრეტენზია არა აქვთ?

— ყოველ შემთხვევაში, იმ წრეში, სადაც მე ვტრიალებ, ქართველებისადმი სიძულვილი არავის აქვს. გარდა ამისა, მე მათ ხშირად ვუყვები, რომ საქართველოში ყველა ეროვნების ადამიანი ცხოვრობს და ჩვენ მათთან მეგობრული დამოკიდებულება გვაქვს, ერთი ოჯახივით ვართ. თუ რომელიმე მათგანი საქართველოში ყოფილა, დიდი სიამოვნებით იხსენებს აქ გატარებულ დღეებს. მათაც გული სწყდებათ, რომ ახლა, ამ ორ ქვეყანას შორის ასეთი დამოკიდებულებაა.

— თქვენს ოჯახზე გვიამბეთ რამე.

— მყავს 11 წლის ქალიშვილი, ირინა, რომელიც მეხუთე კლასშია. მართალია, ის მოსკოვში რუსულ სკოლაში სწავლობს, მაგრამ სრულყოფილად ფლობს ქართულ ენას. მე და ირინა შინ ყოველთვის ქართულად ვლაპარაკობთ.

— მასაც ექიმობა ხომ არ უნდა?

— არა. სულ მეუბნება, ვხედავ, როგორ წვალობ, რამხელა შრომა დაგჭირდა, რომ ამ ყველაფრისთვის მიგეღწია, ამიტომ არ მინდა, მეც შენი გზა განვვლოო. მას ძირითადად, ხელოვნება იტაცებს. ძალიან პლასტიკური ბავშვია, კარგი სმენა აქვს და ვნახოთ, რას იზამს.

— ხშირად ჩამოდიხართ საქართველოში?

— თითქმის ყოველ ზაფხულს ვსტუმრობ საქართველოს. უკვე 17 წელია, მოსკოვში ვცხოვრობ და ამ წლების მანძილზე 16 ზაფხული საქართველოში მაქვს გატარებული. 1996 წლის ზაფხულში ირინა შემეძინა და მაშინ ამიტომ ვერ ვესტუმრე სამშობლოს. ის დადებითი ენერგია, რომელსაც აქ ჩამოსვლისას ვიღებ, წლიდან წლამდე მყოფნის მოსკოვში და ყოველთვის მიხარია ზაფხულის მოსვლა, რადგან ვიცი, რომ თბილისში უნდა წამოვიდე.

— ოდესმე საქართველოში თუ დაბრუნდებით საცხოვრებლად?

— მიუხედავად იმისა, რომ დღეს რუსეთის მოქალაქე ვარ და ამდენი წელია, იქ ვცხოვრობ, სამშობლოში დაბრუნების დიდი სურვილი მაქვს. ხანდახან ნოსტალგია შემომაწვება და საბოლოოდ ალბათ, მაინც საქართველოში დავბრუნდები. თან იქ საშინელი კლიმატური პირობებია. თითქმის 6 თვე ზამთარია. ხან ისე გადის წელი, რომ შეიძლება, მხოლოდ ერთი თვე დათბეს. აი, ამ პირობებში მაინც ვახერხებთ იქაური ქართველები და ჩვენი რუსი მეგობრები, რომ ერთმანეთთან თბილი ურთიერთობა გვქონდეს და ყველას ეს გვაძლებინებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალიან გაგვიჭირდებოდა იქ ცხოვრება.

P.S. *თუ ოდესმე ყოფილხართ ემიგრაციაში ან ახლა იმყოფებით და გსურთ, თქვენი თავგადასავალი მკითხველს უამბოთ, მაშინ დაგვიკავშირდით ტელეფონით: 8.77.72.88.88 ან ელფოსტით: nati_8888@yahoo.com* ■

ახალი ოთხკარიანი კუპე BMW-საგან

ბავარიულმა ავტოგიგანტმა შანხაის საერთაშორისო ავტოსალონზე ოთხკარიანი კუპეს — CS-ის კონცეპტი წარმოადგინა. ავტომობილი 7-Series სედანის მომდევნო თაობის პლატფორმაზეა აწყობილი და თავისი სიგრძითა და სიგანით ყველა იმ მანქანას აღემატება, რომელსაც ამჟამად BMW უშვებს. მანქანის დიზაინი კრის ბენგლმა შეიმუშავა, რომელიც BMW-ს არაერთი თანამედროვე მოდელის ავტორიცაა. ახალ მოდელს აგრესიულ ელფერს სძენს 21-დიუმიანი სპორტული ბორბლები. მანქანა მოდელ M5-ის 507 ცხ.ძ. სიმძლავრის მქონე, V10 ტიპის მოტორის საფუძველზე შექმნილი V12 ძრავათი აღიჭურვა. ოთხკარიანი კუპეს დინამიკურ მაჩვენებლებზე ჯერჯერობით არაფერია ცნობილი. გამორიცხული არ არის, რომ კონცეპტ BMW CS-ის საფუძველზე ავტომობილის სერიული ვერსია შეიქმნება, რომელიც BMW 7-Series-სა და Rolls-Royce Phantom-ს შორის ნიშას დაიკავებს. ამ მანქანას კონკურენციას გაუწევენ: ახალი ოთხკარიანი კუპე Aston Martin Rapide და Porsche Panamera. როგორც მოსალოდნელია, სერიული მოდელი BMW 8-Series-ის სახელით გამოვა ბაზარზე. ■



Saab 9-3-ის 2008 წლის მოდელი გამოაშჯახავდა

კაბრიოლეტის — Saab 9-3 — 2008 წლის მოდელი ჟურნალის — AutoMotor&Sport — მკითხველმა შვედეთის ერთ-ერთ ავტოგასამართ სადგურზე გადაიღო. ფოტოს მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალი მოდელის ძარას წინა ნაწილის დიზაინი კონცეპტავტოს — Aero-X-ის მსგავსია. შეცვლილია წინა და უკანა მაშუქები, რადიატორის ცხაური და უკანა ბამპერი. როგორც გამოცემა AutoMotor&Sport Sweden იუწყება, ავტომობილი ექვსცილინდრიანი, 2,8 ლ მოცულობის ბენზინის ძრავათი აღიჭურვება, რომელიც Aero-ს ვერსიისთვის 250 და 300 ცხ.ძ. სიმძლავრემდე გაიზრდება. განახლებული Saab 9-3-ის პრემიერა მაისის შუა პერიოდში შედგება. ■

მოამგადა
ალექსი რეხვიაშვილმა

● მიმოსახილვების მაღალი ხარისხი
● ჟურნალ-გაზეთების ფართო არჩევანი
● ყველაზე დაბალი ფასები

გამოიწერეთ!

და ეს ყველაფერი სახლიდან გაუსვლელად!

გამოცემის დასახელება	I ჯერ ფასი	6 თვე
1. Авторевю	3,50	42,00
2 Автопилот	2,50	65,00
3 Классик	3,50	42,00
4 Автомобильный транспорт	37,00	222,00
5 Автопилот (комерсант)	10,00	60,00
6 Автоспорт	3,50	21,00
7 За рулем	7,00	42,00

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები

პრესის გავრცელების საგენტო

ქ. თბილისი
ოსიპოვის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elvaservice@mail.ru.

1 ქიმიური ელემენტი
2 შუამავალი სავაჭრო გარიგებაში
3 კენიის დედაქალაქი
4 სომებიანი მუს. საკრავი
5 რუსი პოეტი
6 შუამდინარეთი
7 ჯუჯა კამეი
8 მცენარეთა სამყარო
9 პარიზის აეროპორტი
10 იაპონური თეატრი
11 განცხრომა
12 ინგლისელი მწერალი
13 ამერიკელი კალთბურთელი შაკილ ...
14 აშშ-ის სახელმწიფო მდივანი
15 ვისამე ზუსტი მიბაძვა
16 სისხლძარღვი
17 მატყუარა
18 შხამიანი ბუზი
19 მეორე პირი
20 ვიეტნამის დედაქალაქი
21 ჭადრაკის ფიგურა
22 ძველი საბერძნეთი
23 ქვეყნის დასასრული
24 კერძო მეურნეობა
25 მოხეტიალე მღოცველი
26 უბრალო, მარტივი
27 ბოსტნეული
28 მხარე გერმანიაში
29 ვულკანის ყელი
30 პატარა ტანის
31 ქართველი რეჟისორი
32 ფინური აბანო
33 ამერიკის შტატი
34 კონტინენტი
35 პატარა სარწყავი არხი
36 იტალიური ავტომობილი
37 ჩვარდნილი ადგილი მთებს შორის
38 ლაშქარი
39 მცირე ჩრდილი
40 ნადირობა აფრიკაში
41 ფალიაშვილის ოპერა
42 დურბინდი
43 სამხრეთ კორეის დედაქალაქი



ᲒᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

1. კასტრაცია; 2. კუბრიკი; 3. საბძელი; 4. რომბი; 5. რიყე; 6. ლეიტენანტი; 7. ძარა; 8. კარაკალი; 9. იბერია; 10. კირჩხიბი; 11. მიჩიგანი; 12. კოპალა; 13. კეტი; 14. ამირეჯიბი; 15. ჯაფა; 16. ფალსიფიკატი; 17. შხარა; 18. მორი; 19. გლიპტიკი; 20. სელტა; 21. მიმინო; 22. ფერია; 23. ნუკრი; 24. ლისტი; 25. მაშხალა; 26. მარადონა; 27. ოაზისი; 28. ნივა; 29. ფშავი; 30. ალაო; 31. ზავი; 32. იდო; 33. შუქი; 34. ქაოსი; 35. თაობა; 36. კრანახი; 37. ალდაგი; 38. სომი; 39. უხა; 40. ტაბლა; 41. კვირა; 42. ხმალი; 43. კაირო.

სურათზე: ბობ მარლი; ჯესიკა ალბა.

26-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ბ; 3-ა; 4-ბ; 5-ა.

ჭარბი წონა და თქვენ

ჭარბწონიანობის პრობლემა უამრავ ადამიანს აწუხებს. ზედმეტი კილოგრამების დასაკლებად ადამიანები უამრავ ხერხს მიმართავენ: ვარჯიშობენ, ითვლიან კალორიებს, იცავენ დიეტას და ზოგჯერ შიმშილობენ კიდეც. ამ ტესტის მეშვეობით თქვენ გაარკვევთ, შეგიძლიათ თუ არა გახდომა. ამისათვის კი გულწრფელად უნდა უპასუხოთ ქვემოთ მოყვანილ შეკითხვებს.

1. რეგულარულად ასრულებთ თუ არა დილის გამამხნევებელ ვარჯიშს?
ა) დიახ — 10;
ბ) არა — 0.

2. ყოველთვის იცით თუ არა იმ საკვების კალორიულობა, რომელსაც მიირთმევთ?
ა) დიახ — 10;
ბ) არა — 0.

3. იკვებებით ხშირად, ვთქვათ, დღეში ექვსჯერ და ყოველ ჯერზე ცოტ-ცოტას მიირთმევთ?
ა) დიახ — 10;
ბ) არა — 0.

4. რეგულარულად, ვთქვათ, კვირაში ერთხელ იწონებით თუ არა იმისათვის, რომ გააკონტროლოთ თქვენი წონა?
ა) დიახ — 10;
ბ) არა — 0.

5. შინ ყოველთვის მომარაგებული გაქვთ თუ არა დიეტური პროდუქტები: ხაჭო, ყველი, მოხარშული მჭლე ხორცი და სხვა?
ა) დიახ — 10;
ბ) არა — 0.

6. შეგიძლიათ თუ არა ჭამისგან თავის შეკავება მაშინ, როცა არ გშიათ, მაგრამ ვიღაც კომპანიის გაწევასა და მასთან ერთად წახემსებას გთავაზობთ?
ა) დიახ — 10;
ბ) არა — 0.

7. როდესაც შინ ტკბილეული გაქვთ, გარკვეული ხნის მანძილზე ცოტ-ცოტას მიირთმევთ თუ იმ დღესვე ბოლომდე ჩაიტკბარუნებთ პირს?
ა) გარკვეული ხნის მანძილზე ცოტ-ცოტას მიირთმევთ — 10;
ბ) იმ დღესვე ბოლომდე ჩაიტკბარუნებთ პირს — 0.

8. იმ შემთხვევაში, თუკი სიმაძღრეს იგრძნობთ, შეგიძლიათ თუ არა, რომ თეფშზე გადმოღებული საჭმელი ბოლომდე არ მიირთვათ?
ა) დიახ — 10;
ბ) არა — 0.

9. დროდადრო თავში ხომ არ გიტრიალებთ თქვენთვის საყვარელ ამა თუ იმ კერძზე ფიქრი?
ა) დიახ — 10;
ბ) არა — 0.

10. რამდენად კარგად გრძნობთ თავს თქვენი ამჟამინდელი კვების რეჟიმის პირობებში?
ა) თავს შესანიშნავად გრძნობთ — 10;
ბ) არცთუ ისე კარგად გრძნობთ თავს — 0;

ტესტის შედეგები:

30 ქულამდე: აუცილებლად უნდა შეცვალოთ თქვენი კვების რეჟიმი; წინააღმდეგ შემთხვევაში, ჭარბწონიანობას თავს ვერასოდეს დააღწევთ.

40-60 ქულა: თუკი კიდევ უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევთ საკუთარი კვების რეჟიმს და რეგულარულადაც ივარჯიშებთ, ზედმეტ კილოგრამებს თავს აუცილებლად დააღწევთ.

70-100 ქულა: ძლიერი ნებისყოფის პატრონი ბრძანდებით და თუკი კვლავაც ასე გააგრძელებთ, სასურველ წონას მოკლე ხანში მიაღწევთ.

იაპონური სენსაცია სუდოკუ

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

2	9	5	7	8	6	4	1	3
3	4	8	2	9	1	5	6	7
7	1	6	3	5	4	2	8	9
5	2	9	4	3	8	6	7	1
4	8	3	1	6	7	9	5	2
1	6	7	9	2	5	8	3	4
6	3	2	8	1	9	7	4	5
9	5	4	6	7	3	1	2	8
8	7	1	5	4	2	3	9	6

2	7	6	1	4	8	9	3	5
3	9	1	5	7	2	4	6	8
8	4	5	3	9	6	2	7	1
6	8	4	9	3	5	1	2	7
7	1	9	6	2	4	5	8	3
5	2	3	7	8	1	6	9	4
4	3	7	2	5	9	8	1	6
9	6	8	4	1	3	7	5	2
1	5	2	8	6	7	3	4	9

5	3	1	9	8	4	6	2	7
8	2	7	6	1	5	4	9	3
4	6	9	3	2	7	1	8	5
9	5	6	8	3	2	7	4	1
2	4	3	1	7	6	9	5	8
7	1	8	4	5	9	3	6	2
3	7	4	5	6	8	2	1	9
6	8	2	7	9	1	5	3	4
1	9	5	2	4	3	8	7	6

* მარტივი

2				8				4
	5	6			1	3		8
	9			3	4	2		
	3		8				2	
5	4				9		3	7
	8		3	7			9	
		9	2	5			4	
3		5	4			7	6	
7				9				2

** საშუალო

	6			8	2	4		
	2			6			9	
		1	3			7		
		9				5		
					9			
		2		3		6		
		7			1	8		
	1			2			7	
		5	9	4			1	

*** რთული

	1							
5					8			4
	7				6		8	
7			6			2		
2								6
		9		3				1
	9		3				5	
6			4					9
							7	

კვირის ასტროლოგიური პროგნოზი

(3 – 9 მაისი)

ᲕᲔᲠᲫᲘ 21.03-20.04

ამ დღეებში გაგიჭირდებათ მიმდინარე მოვლენების გაკონტროლება, თუმცა კვირის ბოლოს მოგეცემათ შანსი, წამოიწყოთ ახალი საქმეები. თუ კარიერისკენ მიისწრაფვით, ნუ დააყოვნებთ, გაბედულად იმოქმედეთ და წარმატებას აუცილებლად მიაღწევთ.

ᲙᲣᲠᲝ 21.04-20.05

თქვენ ვერ შეურიგდებით ძველი წესების, ნორმებისა და ტრადიციების მსხვრევას, რის გამოც სრულიად უჩვეულოდ მოიქცევით. თქვენი პროტესტი არსებული უსამართლობისა და დრომოჭმული სტერეოტიპების მიმართ შესაძლოა, პარტნიორებთან დაპირისპირების მიზეზად იქცეს.

ᲢᲧᲣᲐ 21.05-21.06

ამ კვირას სიმშვიდის შესანარჩუნებლად საჭიროა, ნებისმიერი სიტუაცია აკონტროლოთ. წარმატებული და მომგებიანი აღმოჩნდება ის საქმეები, რომლებიც უცხოეთთან თუ უცხოელებთან იქნება დაკავშირებული. შაბათ-კვირა მეგობრების გარემოცვაში გაატარეთ.

ᲙᲘᲑᲝ 22.06-22.07

საკუთარ თავში შემოქმედებით მონაცემებს აღმოაჩენთ. მოძებნით ადგილს, სადაც ყოველდღიური საზრუნავისგან დასვენებას შეძლებთ. ეს კი ნამდვილად გჭირდებათ, რადგან ამ დღეებში მომეტებული მგრძნობელობის გამო თქვენი წყენინება ადვილი იქნება.

ᲚᲝᲛᲘ 23.07-23.08

შეეცადეთ, ხშირად გამოჩნდეთ საზოგადოებაში და მოახდინოთ საკუთარი მონაცემების დემონსტრირება. სამწუხაროდ, ოჯახური პრობლემები ხელს შეგიშლით დასახული მიზნების მოღწევაში. ასევე მოსალოდნელია უთანხმოება პარტნიორებთან. უქმე დღეები მოგზაურობას დაუთმეთ.

ᲫᲐᲚᲬᲣᲚᲘ 24.08-23.09

სასიყვარულო ურთიერთობები თანამშრომელთან თქვენს განწყობილებაზე უარყოფითად აისახება. იმადგაცრუებასა და ზედმეტ ხარჯებს მოგიტანთ რომანტიკული შეხვედრები საზღვარგარეთაც. ამ პერიოდში თქვენ ძალზე დაიტვირთებით, რის გამოც ახლო ნათესავებთან უთანხმოება გარდაუვალი აღმოჩნდება.

ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲘ 24.09-23.10

გეგმების შეცვლა მოგიწევთ. თუ თქვენი საქმეები შეფერხდა და ახლობელმა ადამიანმაც უსიამოვნო სიურპრიზი მოგიმზადათ, ეს იმის მაუწყებელია, რომ დროა, დაისვენოთ. უყურეთ ტელევიზორს, წაიკითხეთ გაზეთები, შეხვდით მეგობრებს, ასე უფრო გაგიიოლდებათ საჭირო ინფორმაციის მოპოვება.

ᲛᲝᲠᲘᲔᲚᲘ 24.10-22.11

თქვენი ძალისხმევა მთლიანად მიმართული იქნება სამსახურში წესრიგის დასამყარებლად. თუ ყველაფრის მიღწევას ერთბაშად მოისურვებთ, ამით საკუთარ თავს მხოლოდ სტრესს მიაყენებთ. კვირის ბოლოს მოსალოდნელია მატერიალური გართულებები, რაც ძველი ვალებით იქნება განპირობებული.

ᲛᲒᲕᲘᲚᲓᲝᲡᲐᲜᲘ 23.11-21.12

ამ დღეებში შექმნილი პრობლემები და კონფლიქტები სასურველია, დიპლომატიური ხერხებით მოაგვაროთ. ამ უსიამოვნებების მიზეზი თქვენივე იმპულსური და წინდაუხედავი ქმედებები აღმოჩნდება. გახსოვდეთ, რომ ყველაზე კარგ შემოსავალს ინტელექტუალური შრომა მოგიტანთ.

ᲗᲮᲘᲡ ᲠᲫᲐ 22.12-20.01

თქვენი საქმიანობა ყურადღების ცენტრში მოექცევა. ნაცნობებისთვის მისაბაძ ადამიანად იქცევით და მათ პატივისცემას მოიპოვებთ. თქვენი მონდომებითა და საქმიანი კავშირებით ბიზნესში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწევთ და მნიშვნელოვან მოგებასაც მიიღებთ.

ᲛᲔᲠᲬᲧᲣᲚᲘ 21.01.-19.02

ამ კვირას თქვენი სტუმართმოყვარეობით მრავალი ადამიანი მოიხიბლება. შეგიძლიათ, შინაურული ზეიმი მოაწყოთ და ამით გაახაროთ თქვენი ახლობლები, მეგობრები, ხოლო უცხოელ სტუმრებთან კარგი იქნება, თუ სარფიან მოლაპარაკებებს გამართავთ.

ᲗᲔᲕᲖᲔᲑᲘ 20.02-20.03

მართალია, თქვენ მტკიცედ და მიზანმიმართულად იმოქმედებთ, მაგრამ ოჯახის წევრებთან ურთიერთობა მაინც დაგეძაბებათ. საერთოდაც, ამ კვირაში ოჯახი დააბრკოლებს თქვენს შემოქმედებით თვითრეალიზაციას. უქმე დღეებში კარგად გამოიძინეთ.

SMS – ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ SMS-ᲘᲡ ᲢᲔᲥᲡᲢᲘᲡ ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲘᲡ ᲡᲘᲡᲬᲠᲐᲤᲘᲡᲨᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ. ᲐᲛ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲨᲘ 13 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲝᲒᲝᲜᲐᲛ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲝᲑᲘᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲘᲡᲔ ᲒᲐᲘᲬᲐᲤᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲡ ᲗᲕᲔᲨᲘ 8000 ᲨᲔᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲒᲖᲐᲕᲜᲘᲡ!

ᲛᲝᲙᲚᲔ ᲢᲔᲥᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲨᲘ, ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ L.G.-ᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ. ᲛᲐᲡᲨᲘ 250 ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲐ. ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ, ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲡ ᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲔᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲤᲘᲭᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡ ᲙᲚᲐᲕᲘᲐᲢᲣᲠᲐᲖᲔ ᲡᲮᲕᲔᲑᲖᲔ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲐᲙᲠᲔᲑᲓᲐ ᲫᲜᲔᲚᲐᲓ ᲬᲐᲠᲛᲝᲡᲐᲗᲥᲛᲔᲚ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡ ᲤᲘᲚᲛᲘᲓᲐᲜ „ᲛᲔᲠᲘ ᲞᲝᲞᲘᲜᲘᲡᲘ“ — Supercalifragilisticexpialidocious. ᲞᲔᲜᲡᲘᲚᲕᲐᲜᲘᲘᲡ ᲨᲢᲐᲢᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥ ᲙᲚᲔᲘᲡᲑᲣᲠᲒᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲛᲐ 13 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲝᲠᲒᲐᲜ ᲞᲝᲖᲒᲐᲠᲛᲐ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲖᲔ ᲐᲡᲐᲙᲘᲗ ᲑᲔᲫᲠᲐᲓ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐᲐᲛᲐᲠᲪᲮᲐ. ᲗᲐᲕᲓᲐᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲔᲒᲝᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ 21 ᲬᲚᲘᲡ ᲔᲚᲘ ᲢᲘᲛᲝᲨᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲛᲝᲑᲘᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ ᲛᲐᲒᲘᲓᲐᲖᲔ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐ ᲓᲐᲓᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲟᲘᲣᲠᲘᲛ ᲛᲘᲡ ᲨᲔᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲐᲨᲘ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲐ ᲐᲚᲛᲝᲐᲩᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲘᲖᲘ — 25.000 ᲓᲝᲚᲐᲠᲘ ᲞᲝᲖᲒᲐᲠᲡ ᲔᲠᲒᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ 34-ᲐᲡᲝᲘᲐᲜᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲐᲙᲠᲔᲑᲐᲡ 15 ᲬᲐᲛᲘ ᲛᲝᲐᲜᲓᲝᲛᲐ. ᲜᲝᲠᲩᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲤᲣᲚᲐᲓᲘ ᲞᲠᲘᲖᲘᲡ ᲓᲐᲮᲐᲠᲯᲕᲐᲡ ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘᲡ ᲔᲚᲘᲢᲣᲠᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ, ᲛᲐᲜᲰᲔᲢᲔᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲔᲑᲨᲘ ᲐᲠᲘᲠᲔᲑᲡ. ᲛᲝᲠᲒᲐᲜ ᲞᲝᲖᲒᲐᲠᲛᲐ ᲙᲚᲐᲕᲘᲐᲢᲣᲠᲐᲖᲔ ᲢᲔᲥᲡᲢᲘᲡ ᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲝᲪᲐᲠᲐ ᲡᲘᲡᲬᲠᲐᲤᲔ — 2,3 ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲝ/ᲬᲐᲛᲨᲘ ᲣᲩᲕᲔᲜᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ ᲨᲐᲠᲨᲐᲜᲓᲔᲚ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲖᲔ 16 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲘᲜᲒᲐᲞᲣᲠᲔᲚ ᲐᲜ ᲩᲣᲐᲜ ᲘᲐᲜᲒᲡ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ 160-ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲝᲘᲐᲜᲘ ᲢᲔᲥᲡᲢᲘᲡ ᲐᲙᲠᲔᲑᲐᲡ 42 ᲬᲐᲛᲘ ᲛᲝᲐᲜᲓᲝᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲡᲬᲠᲐᲤᲔ — 3,8 ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲝ/ᲬᲐᲛᲨᲘ ᲐᲩᲕᲔᲜᲐ.



ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ ᲕᲘᲝᲚᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ...

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲔᲕᲘᲝᲚᲘᲜᲔᲓ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲘᲠᲢᲣᲝᲖᲘ, 39 ᲬᲚᲘᲡ ᲯᲝᲨᲣᲐ ᲑᲔᲚᲘ ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲢᲠᲝᲡ ᲛᲘᲬᲘᲡᲥᲕᲔᲨᲐ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘᲡᲨᲘ 45 ᲬᲣᲗᲘ ᲘᲓᲒᲐ, ᲮᲔᲚᲗ ᲡᲢᲠᲐᲓᲘᲕᲐᲠᲘᲣᲡᲘᲡ ᲕᲘᲝᲚᲘᲜᲝ ᲔᲞᲧᲠᲐ ᲓᲐ ᲙᲠᲔᲘᲡᲚᲔᲠᲘᲡ, ᲨᲣᲑᲔᲠᲢᲘᲡ, ᲛᲐᲡᲜᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲰᲘᲡ ᲣᲙᲕᲓᲐᲕ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲑᲡ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲐ. ᲪᲜᲝᲑᲘᲚ ᲛᲣᲡᲘᲙᲝᲡᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲔᲑᲖᲔ ᲓᲐᲡᲐᲡᲬᲠᲔᲑᲘ ᲑᲘᲚᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ 1.000 ᲓᲝᲚᲐᲠᲘᲓᲐᲜ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ, ᲐᲗᲐᲡᲖᲔ ᲛᲔᲢᲛᲓᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲛᲐ ᲩᲐᲣᲐᲠᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲑᲔᲚᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲛᲐ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲛᲐ ᲘᲪᲜᲝ. ᲛᲣᲡᲘᲙᲝᲡᲡ 45-ᲬᲣᲗᲘᲐᲜᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘᲗᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 32,17 ᲓᲝᲚᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲛᲣᲨᲐᲕᲐ... ᲔᲡ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲘᲛᲔᲜᲢᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ The Washington Post ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲛᲐ ᲩᲐᲐᲢᲐᲠᲔᲡ. ᲯᲘᲜᲡᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ ᲑᲔᲚᲘ ᲓᲘᲚᲘᲗ, ᲞᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲐᲗᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲔᲢᲠᲝᲞᲝᲚᲘᲢᲔᲜᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲢᲕᲘᲠᲗᲣᲚ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲨᲘ „Enfant Plaza ᲘᲓᲒᲐ. ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲣᲛᲪᲔᲢᲔᲡᲝᲑᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲡ ᲛᲘᲓᲐᲛᲝᲔᲑᲨᲘᲐ ᲒᲐᲜᲚᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘ. ᲒᲐᲛᲒᲚᲔᲚᲗᲐ ᲥᲪᲔᲕᲐᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ ᲗᲣᲗᲕᲐᲚᲗᲕᲐᲚᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲤᲐᲠᲣᲚᲘ ᲙᲐᲛᲔᲠᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲐᲡ ᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲓᲐ. ᲘᲨᲕᲘᲐᲗ ᲒᲐᲛᲒᲚᲔᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲬᲐᲛᲘᲗ ᲨᲔᲩᲔᲠᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲑᲔᲚᲘᲡ ᲕᲝᲘᲚᲘᲜᲝᲡ ᲤᲣᲢᲚᲐᲠᲨᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲒᲠᲝᲨᲘ ᲩᲐᲐᲒᲓᲔᲡ, ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ ᲮᲕᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲒᲐᲜ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲡ ᲘᲦᲔᲑᲓᲐ. ᲗᲐᲕᲐᲓ ᲛᲣᲡᲘᲙᲝᲡᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲘᲛᲐᲜ ᲒᲐᲐᲝᲪᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲒᲚᲔᲚᲗᲐ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲐᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲐ ᲗᲘᲗᲘᲥᲝᲡ ᲐᲠᲪ ᲙᲘ ᲨᲔᲣᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ. ᲛᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲔ ᲤᲔᲮᲡᲐᲪᲛᲚᲘᲡ ᲛᲬᲛᲔᲜᲓᲐᲕᲘ ᲥᲐᲚᲘ ᲙᲘ ᲩᲘᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲫᲐᲚᲖᲔ ᲰᲛᲐᲛᲐᲦᲚᲐ ᲣᲙᲠᲐᲕᲓᲐ“.

ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝᲑᲓᲜᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ „ᲤᲘᲚᲐᲠᲛᲝᲜᲘᲣᲚᲐᲓ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚ“ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲑᲔᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲘᲛᲓᲔᲜ ᲛᲡᲛᲔᲜᲔᲚᲡ ᲛᲘᲘᲖᲘᲓᲐᲕᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲣᲡᲘᲙᲝᲡᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲛᲐ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲛᲐ ᲘᲪᲜᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲘᲬᲘᲡᲥᲕᲔᲨᲐ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘᲡᲨᲘ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲘᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲬᲣᲗᲘᲗ ᲐᲓᲠᲔ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ. ᲥᲐᲚᲛᲐ ᲤᲣᲢᲚᲐᲠᲨᲘ 20 ᲓᲝᲚᲐᲠᲘ ᲩᲐᲓᲝ, ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲓᲐᲔᲚᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲡᲘᲙᲝᲡᲗᲐᲜ ᲒᲐᲡᲐᲪᲜᲝᲑᲐᲓ ᲛᲘᲕᲘᲓᲐ. ᲔᲡ ᲤᲣᲚᲘ ᲯᲝᲨᲣᲐ ᲑᲔᲚᲘᲡ „ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ“ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲨᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲡᲣᲚᲐ.

ᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲡᲔᲥᲡᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲜᲘ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲜᲐᲙᲚᲔᲑ ᲓᲠᲝᲡ ᲣᲗᲛᲝᲑᲔᲜ. ᲣᲤᲠᲝ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲐᲓ — ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲡ ᲬᲔᲚᲘ�წᲐᲓᲨᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝᲓ 118-ᲯᲔᲠ ᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲔᲜ, ᲡᲮᲕᲔᲑᲘ ᲙᲘ — 103-ᲯᲔᲠ. ᲛᲐᲗᲘ ᲡᲔᲥᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲥᲢᲘᲡ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲝᲑᲐ 16 ᲬᲣᲗᲘᲐ, ᲔᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲘ ᲙᲘ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲖᲔ 2 ᲬᲣᲗᲘᲗ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲘᲐ. ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲚᲗᲐ 81% ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲔᲥᲡᲘ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲠ�გᲔᲑᲚᲝᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲘᲜᲢᲘᲛᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲚᲘᲐ ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘᲐ.

ᲔᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ Durex-Ს ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲓᲐ. ᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲔᲑᲘ ᲘᲛ ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ ᲒᲐᲙᲔᲗᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ 2006-2007 ᲬᲔᲚᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐᲛ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ 26 ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲩᲐᲐᲢᲐᲠᲐ.

ᲣᲮᲘᲚᲐᲕᲘ ᲡᲘᲚᲣᲚᲘ ᲝᲛᲘᲥᲠᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲞᲔᲠᲓᲘᲣᲡ (ᲘᲜᲓᲘᲐᲜᲘᲡ ᲨᲢᲐᲢᲘ) ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲕᲠᲔᲑᲛᲐ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲘᲡ ᲣᲮᲘᲚᲐᲕᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲥᲪᲔᲕᲘᲡ ᲒᲖᲐᲡ ᲛᲘᲐᲒᲜᲔᲡ. ᲛᲐᲗ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲤᲠᲘᲡ ᲛᲝᲓᲔᲚᲘ ᲡᲘᲜᲐᲗᲚᲘᲡ ᲡᲮᲘᲕᲘ ᲘᲛᲓᲒᲕᲐᲠᲐᲓ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲜᲘᲕᲗᲘ ᲰᲐᲔᲠᲨᲘ „ᲥᲠᲔᲑᲐ“. ᲐᲛ ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲬᲔᲕᲐᲓ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲛᲐ 10 ᲜᲐᲜᲝᲛᲔᲢᲠᲘᲡ ᲓᲘᲐᲛᲔᲢᲠᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲜᲔᲛᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲔᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲦᲔᲠᲫᲘᲓᲐᲜ ᲡᲮᲘᲕᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ. ᲔᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲐ ᲗᲛᲘᲡ ᲛᲠᲒᲕᲐᲚ ᲯᲐᲒᲠᲘᲡᲡ ᲬᲐᲐᲒᲐᲕᲡ.

ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲨᲐᲚᲐᲔᲕᲘ ᲘᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲒᲠᲝᲜᲔᲑᲐ ᲝᲞᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲨᲔᲛᲜᲘᲦᲑᲐᲕᲘ ᲡᲐᲤᲠᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲛᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲐ ᲗᲕᲐᲚᲘᲗ ᲮᲘᲚᲣᲚᲘ ᲡᲞᲔᲥᲢᲠᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲢᲐᲚᲦᲔᲑᲖᲔᲪ ᲘᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲡ. ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲒᲠᲝᲜᲔᲑᲐ, ᲓᲦᲔᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲦᲐᲛᲘᲡ ᲮᲔᲓᲕᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲚᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲘᲫᲚᲔᲕᲐ. ᲒᲐᲛᲝᲒᲠᲝᲜᲔᲑᲐ ᲠᲐᲙᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲖᲜᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲚᲐᲖᲔᲠᲘᲡᲣᲚᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲕᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲔᲑᲐ.

ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ!!!

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲝ, ᲗᲣ ᲒᲡᲣᲠᲗ, ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲩᲐᲔᲠᲗᲝᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐᲨᲘ — ᲨᲔᲛᲝᲛᲒᲕᲗᲐᲕᲐᲖᲝᲗ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲘᲓᲔᲐ, ᲛᲝᲒᲕᲐᲬᲝᲓᲝᲗ ᲭᲝᲠ-ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲖᲔ, ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲒᲕᲘᲖᲘᲐᲠᲝᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲨᲔᲮᲔᲓᲣᲚᲔᲑᲐ „ᲒᲖᲘᲡ“ ᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲪᲘᲔᲑᲖᲔ ᲐᲜ ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ, ᲓᲐᲐᲤᲘᲥᲡᲘᲠᲝᲗ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲐᲛᲐ ᲗᲣ ᲘᲛ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ, ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ ᲒᲐᲛᲝᲒᲒᲘᲖᲐᲕᲜᲝᲗ ᲛᲔᲡᲘᲯᲘ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲖᲔ: 8.77.40.02.60 ᲐᲜ ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲝᲗ ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐᲖᲔ: gza.fantazia@gmail.com

ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ ᲒᲘᲮᲓᲘᲗ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐᲡ.

ფოტოკუთხით ხედი

პირველი ელიტური ნაგები გურამიშვილზე

TB STARS

ბინა შენდება
PASCHAI-ის (გერმანია)
სამშენებლო ტექნოლოგიის
სრული გამოყენებით

ლიმალეე — გურამიშვილი

PASCHAI

ბინები 57 m^2 - დან
თანამედროვე ლიფტი
სუპერმარკეტი
საბავშვო ბაღი
აფთიაქი
სამედიცინო ცენტრი
მიწისქვეშა ავტოსადგომი
დაცვა
კაფე - ბარი
იზოლირებული,
კეთილმოწყობილი
ეზო 5000 m^2
მოპირკეთებული ქუჩა და
მიმდებარე ტერიტორია
თითრი კარკასი

ინდივიდუალური გადახდის სისტემა

☎ 38-91-92 45-17-17
877-77-70-77 899-35-90-00

გურამიშვილის 76 (მეტრო "გურამიშვილთან")